

უზენაესი



ს.ს. „გამომცემლობა აჭარა“
ბათუმი – 2011

აზმაიფარი ანუ საქებელი — გვამცნობს სულსან-საბა ორბელიანი.
ჩვენი მიზანიც ეს იყო — კრებულში წარმოდგენილ ავტორებს მო-
ეწოდებინათ თავიანთი შემოქმედებიდან საუკეთესო, საქებელი მოთხ-
რობა. ახლა ჯერი თქვენზეა ძვირფასო მკითხველო, ჩათვლით მათ აზ-
მაიფარად თუ არა.

იდეის ავტორი და
მთავარი რედაქტორი
დავით თედორაძე

რედაქტორ-შემდგენელი
ანზორ კუღბა

გამომცემლობის რედაქტორი
ლალი კონცელიძე

დიზაინი და
კომპიუტერული უზრუნველყოფა
მალხაზ ფალავა

კორექტორი
ნუნუ გულიაშვილი

ISBN 99940-21-38-3

© ს.ს. „გამომცემლობა აჭარა“ – 2011



ჩოლოძის ეპოპია

(ნაწყვეტები რომანიდან „ლაზეთის ლეგენდა“)

რუსები გამარჯვებას ზეიმობდნენ და ახალ სამანს ამაგრებდნენ. გურია-აჭარის მიჯნაზე მათ სისასტიკით განთქმული ბელოსტოცის ბატალიონი ჩააყენეს. დაიწყო მშიერი და აღვირახსნილი სალდათების თარეში ოზურგეთისა და ქობულეთის სოფლებში, მოსახლეობის რბევა-ანიოკებას საზღვარი არ ჰქონდა.

ოსმალეთის სარდლობაც თავისას აკეთებდა. ადგილის და გზა-ბილიკების კარგად მცოდნე ქობულეთელები და ლაზები ფარულად სანდო მცხოვრებთა სახლებში შეგზავნა. პირველი, რაც ამ რაზმელებმა გააკეთეს, ეს იყო დალუპულების დაძებნა და დაკრძალვა. ოთხი ძმა თამაზაშვილთა გვამები ერთ ველზე ნახეს მიმოყრილი. წაიღეს და სოდომურის სასაფლაოზე დაკრძალეს.

* * *

სოფელში აღარ ისმის სროლა. დაჭრილებს ადგილები, რომ მიუჩინეს და დალუპულებიც წაიღ-წამოიღეს, ისეთმა მდუმარებამ დაი-სადგურა, თითქოს არაფერი მომხდარიყო.

ტყის პირას შეყუყუული სახლის კიბიდან გოგომ ჩამოირბინა, ბოსელიდან რამდენიმე დღის დამშეული პირუტყვი გამოუშვა. ეზოს ჭიშკარი გამოალო და წკეპლით ხელში უკან ძროხებს გაჰყვა. ეზო-მიდამოს უნდა გააშოროს და საძოვარზე გადარეკოს. გოგოს თავზე ლეჩაქი ახურავს, ტანზე გრძელი ჭრელი კაბა აცვია. კორომთან ახლოს ძროხები მოლზე შეუშვა, თავად უკან გამობრუნდა.

ოთხი იარაღასხმული სალდათი საიდანღაც გზაზე ჩამოცვივდა. ისინი გაუგებარი ლილინით გზას გაუდგნენ. ეტყობოდათ დილით ვი-ლაცაზე წართმეული ღვინო-ჭაჭით ექვიათ და შეზარხოშებულები-ყვნენ. გოგო წინ მიიჩქაროდა და მათ ვერ ხედავდა.

ქალის დანახვაზე სალდათებმა ყურები ცქვიტეს, თანაც, ცდილობდნენ კარგად დაენახათ მისი სახე. სახლთან ახლოს უხმაუროდ გოგოს წამოენივნენ კიდეც. ერთი წინ გადაუდგა და სახეში შეაქცერდა. გოგონა ქურციკივით ქვევით გადახტა, ლეჩაქი შემოიხვია და უცაბედ მგზავრებს წესისამებრ გზა დაუთმო. ისინი გარს შემოეხვივნენ და არეული სახეებით გოგოსკენ ინეოდნენ.

– ასეთი ლამაზი ქალი, ვასკა, ჯერ არ მინახავს. – თქვა ერთმა სალდათმა.

გოგომ ლეჩაქი კიდეც უფრო შემოიხვია და გზისაკენ გაიწია, მაგრამ კვლავ ვასკა გადაუდგა წინ, ლეჩაქი მოქაჩა და გადააგდო.

– ლამაზი და მერე როგორი, თვალნარბი, ტუჩები ნახე, როგორ აცეცხლებია.

დაბნეული გოგო კვლავ ცდილობდა თავის დახსნას, ერთმა მკლავზე ხელი მოავლო და გადაუგრისა.

გოგომ შეჰკივლა, მაგრამ ამასობაში მას პირზე ხელი დააფარეს და წათრევა დაუპირეს.

– სად მივდივართ? – იკითხა ერთმა.

– აგერ ტყეში, – თქვა მეორემ.

– ასე არ ვარგა, წილი ვყაროთ – სიბრძნე გამოიჩინა მესამემ.

გოგო გზიდან გადაათრიეს და იქვე ტყისაკენ დააპირეს გასვლა.

ამ დროს საიდანღაც კენტი გასროლა გაისმა, ვასკა ადგილზე შეხტა და გზიდან გადავარდა. მკერდიდან სისხლმა ამოხეთქა. მეგობრებმა იარაღი მოიმარჯვეს და დაჭრილს მისცვივდნენ. გოგომ დრო იხელთა, ლეჩაქი აიღო და სახლისკენ გაიქცა.

სროლის ხმაზე ოთხივე კუთხიდან სალდათები გამორბოდნენ. ისინი დაჭრილთან შეგროვდნენ, სანიტარიც ახლდათ, მაგრამ გვიანი იყო. ვასკა თავის ცინიზმსა და გარყვნილობას შეეწირა.

– საიდან გაისროლეს? – მბრძანებლურად იკითხა ერთმა ოფიცერმა, რომელიც ასეულის უფროსი უნდა ყოფილიყო.

ჯარისკაცები დაიბნენ, მაგრამ ერთმა მოიკრიბა გონება და ხელი იმ სახლისკენ მიმართა, საიდანაც გოგო გამოვიდა.

ოფიცერმა ფიცხელი ბრძანება გასცა სახლზე ალყა შემოერტყათ. ყველამ თოფები მოიმარჯვა და სახლს მიუშვირა.

– შესვლა არ სცადოთ! – ბრძანა მეთაურმა. – იქნებ ცოცხლად შევიპყროთ.

სახლში ამ დროს ჩვენი ნაცნობი გოგო, მისი დედა და მოხუცი ბებია-ბაბუა იყვნენ. მათ გარდა აქ ოთხი შეხიზნული რაზმელიც გაჩერებულიყო. ისინი პირველ სართულზე კარაპნის უკანა გომურში იმალებოდნენ.

– ყველა სულდგმული, ქალი, კაცი, ბავშვი და მოხუცი გარეთ გამოდით და ჩაგვბარდით! – გაისმა ბრძანება, ამჯერად ქართულად.

სახლიდან ჩამი-ჩუმი არ ისმოდა.

– გიმეორებთ გარეთ გამოხვიდეთ, იარალი ჩაგვაბაროთ და ჩაგვბარდეთ. თუ არა და ცეცხლს გავხსნით.

კვლავ დუმილი.

მეთაურმა ხელით ანიშნა და სახლის მიმართულებით რამდენიმე თოფი გავარდა.

– აზრი არ აქვს თავის დაცვას. ჩვენც და ამ საცოდავ ხალხსაც ამოხოცავენ. – თქვა ერთ-ერთმა გომურში.

– გავიდეთ და ჩაგვბარდეთ, ბრმა სიკვდილს ეს აჯობებს – დაეთანხმა მეორე.

შიგნითა კიბეებით მეორე სართულზე აინაცვლეს, მასპინძლებს თვალებით გამოემშვიდობნენ და კარებისაკენ წავიდნენ.

თოფების ზალპი განმეორდა, ახლა უფრო მქუხარედ, რამდენიმე ტყვიამ ძელები გახვრიტა და სადღაც ჭერში გაერჭო.

ფანჯარაში თეთრი ზენარი გამოჩნდა, რაც დანებებას ნიშნავდა.

– იარალს ჩაგაბარებთ, ჩვენც დაგნებდებით, მაგრამ ამ უდანაშაულო მოხუცებულებს და ქალებს არაფერი ავნოთ, თუ არა და სიკვდილისათვის მზად ვართ და თქვენგანაც ბევრს გავიყოლიებთ – გაისმა სახლიდან.

ოფიცერი ერთხანს შეყოვნდა, მერე ახლომდგომს რალაც გადაულაპარაკა.

– თანახმა ვართ, მათ არაფერს დაუშავებთ. – გაისმა მისი მხრიდან.

ფანჯრებიდან თოფები, სავაზნე ქამრები და დამბაჩები გადმოცვივდა. მალე კარები გაიღო, ოთხმა ხელებანეულმა ასკერმა კიბეები ჩაათავა და ეზოში გამოვიდა. მათ ორმოცდაათამდე სალდათი შემოეხვია.

ოფიცერმა დამბაჩა ამოიღო, მენინავე ასკერთან მივიდა და ცხვირთან დაუტრიალა.

– ვინ მოკლა სალდათი? – დასჭყივლა მას.
ასკერი არ შემკრთალა, თავისიანებს მოუხედა და მშვიდად უპასუხა:

– მე ვესროლე, მოკვლა არ მინდოდა, თუმცა ჩვენი ხელით მოსაკლავი იყო.

– რატომ, შე ძაღლისშვილო, რა დაგიშავა?

– მან შეურაცხყო უმნეო გოგონა, თავზე ლეჩაქი ახადა, რაც ჩვენთან სასიკვდილო დანაშაულია.

ოფიცერმა დამბაჩა დაუშვა.

– ქართველები ხართ? – ჰკითხა.

– ჰო, ქართველები, ესენი ქობულეთიდან, მე ლაზეთიდან.

– შეუკარით ხელები და წაიყვანეთ! – ბრძანა ჩვენმა თანამოძმემ, რუსეთის ოფიცერმა.

ბრძანება უმაღვე აღსრულდა, ხელფეხშებორკილი ასკერები წინ გაიგდეს და უახლოესი შტაბისკენ წაიყვანეს.

* * *

კაცთა მოდგმის დაუნერელი კანონით გმირს წარმოშობს შემთხვევა, სადაც სიმამაცე, გაბედულება და მოხერხება ერთმანეთს ავსებს. მართალ კაცს კი მისი ყოველდღიური სიკეთე და სიქველე ქმნის. ასეთმა კაცმა ისიც იცის, რომ სიკეთის ჩამდენს მადლიერებასთან ერთად მეშურნენიც გაუჩნდებიან. თუ ამას არ შეუშინდება და კვლავ კარგ საქმეს განაგრძობს, ბოლოსდაბოლოს შურიანებსაც შერცხვებათ.

რუსების ხელში ტყვედმყოფი იუსუფი დღე-დღეზე ელოდა მკაცრ სასჯელს. აბა ჯარისკაცის სიკვდილს ვინ შეარჩენდა. ერთ დღეს ათი ტყვე ეზოში გამოიყვანეს. ალბათ დამხვრეტენ ან საჯაროდ ჩამომახრჩობენო, ფიქრობდა დურმიში. სამართალი ვილაც მაღალჩინოსანს უნდა გაეჩინა და სწორედ მას ელოდნენ. მალე ტყვეთა ყაზარმის ეზოს ჭიშკარი გაიღო და რამდენიმე მხედარმა შემოაგელვა ცხენები. უკან დიდი ბომბორა ძაღლი მოსდევდათ. წინ შავ ულაყზე ოფიცერი იჯდა. ყაზარმის ხელმძღვანელმა მის ცხენს აღვირი დაუჭირა, ის კი ტყვეების მახლობლად ჩამოხტა ცხენიდან. ჯერ ყველას გადახედა, შემდეგ იუსუფს გაუსწორა თვალი. წამით ორივენი შეცბნენ, მაგრამ ეს ოფიცერმა არ შეიმჩნია, იუსუფი გაოგნებული შესცქეროდა მას.

ეს კაცი მისი კაცხელი მასპინძლების, აბაშიძეების მეგობარი, პორუჩიკი ნიკო ჭავჭავაძე იყო. იგი რამდენჯერმე ეწვია მათ კაცხში. იუსუფმა იგრძნო, რომ მანაც შენიშნა და იცნო, კინალამ დაიყვირა, მაგრამ მადლობა ღმერთს ენა ჩაყლაპა, თორემ ამით მასაც ნაუხდენდა საქმეს, თვითონ კი თავის აღსასრულს დააჩქარებდა.

ოფიცერმა ტყვეებს ჩამოუარა, ყაზარმაშიც შევიდა, ერთხანს იქ დარჩა. გარეთ გამოსული ცხენზე მოექცა და კვლავ ტყვეებისაკენ გამოემართა, იუსუფს მიაშტერდა, შემდეგ მათრახი მისკენ გაიშვირა და ყაზარმის უფროსს მიმართა:

– ეს კაცი მე მომეცით და განაჩენსაც მე აღვასრულებ.

– თქვენო აღმატებულებავ, მაგის კისერზე ჩვენი ჯარისკაცის სიცოცხლე ჰკიდია.

– ვიცი, – არ აცალა ოფიცერმა – მაგას სხვა ცოდვებიც აქვს, ამიტომ განსაკუთრებული სისასტიკით უნდა დაისაჯოს.

– თქვენი ნებაა, თქვენო აღმატებულებავ!

– სოკოლოვ! – მიმართა ოფიცერმა თავისი ამალის წევრს – შეუხსენი ფეხ-ბორკილები და წამოიყვანე.

სოკოლოვმა ფეხ-ბორკილები ახსნა. ცხენით რომ გაუხსნორდა, ნიკომ იუსუფს მათრახი ისეთი ძალით გადაუჭირა, ეს ბრგე და ჯანმგარი ბიჭი დაიკლაკნა. ახლა კი იფიქრა, რომ ოფიცერმა ვერ იცნო, ან არ სურდა ამის გამხელა.

ჯერ საურმე გზით იარეს, შემდეგ დაბურულ ტყეში შევიდნენ. მოულოდნელად ოფიცერმა ცხენი შეაჩერა და იუსუფის უკან მომავალ სოკოლოვს რაღაც გადაულაპარაკა, მხლებლები ჩამოქვეითდნენ და იქვე დარჩნენ, ტყვე კი ოფიცერმა წინ გაიგდო. ცოტა გაიარეს, ტყვე კიდევ უფრო გაუკაცრიელდა, მაგრამ ოფიცერს აქამდე ხმა არ ამოუღია, ტყვეს კი არ ასვენებდა ფიქრი. ალბათ მართლაც აქვე უნდა გამისნორდესო. გონება აურიო იმის გააზრებამ, რომ ასეთი კეთილი და ზნემაღალი კაცი, კაცხელ თავადთა მეგობარი, ვინც კარგად უწყის ტაძრის მშენებლობაზე ლაზი ძმების გარჯა, ამ ულრან ტყეში აღასრულებდა რუსი მხედრონის განაჩენს. ზურგით რომ დააყენა და იარალი მომართა, იუსუფს ამაში ეჭვი აღარ შეპარვია. წინ სალომეს ლანდი აღიმართა. ზედიზედ სამი გასროლა გაისმა, მაგრამ არცერთი არ მოხვედრია. იდგა დურმიში და თვალდახუჭული ელოდა ახალ გასროლას.

წამით დუმილი ჩამოვარდა, შემდეგ ფრთხილი ხმა გაისმა:

– უკან არ მოიხედო, ბუჩქნარში შეიმალე, დაილაშე, შემდეგ ამ ბილიკით იარე თხუთმეტი ვერსი, ჩოლოქის პირას ჩვენს ნაწილთან მოდი და მოითხოვე ჩემთან შეხვედრა, როგორც მოენებ. თუ ვინაობა გკითხონ, უთხარი, რომ ოსმალებს გამოექეცი და სხვა გვარ-სახელი დაუსახელე. აი, ეს გადაიცვი. იუსუფის ფეხებთან რუხი რუსული ლაბადა დაეცა. ოფიცერმა ცხენს დეზები ჰკრა და გააჭენა, იუსუფი გაშტერებით კვლავ წინ იხედებოდა. მას მხოლოდ უკან გაბრუნებული ულაყის ნალების ხმა ესმოდა, მალე ისიც მიწყდა. ერთხანს გაოგნებული იდგა, მალე გონება მოიკრიფა, ყველაფერი სწრაფად გაიზრა, მოტრიალდა, ლაბადას ხელი დაავლო, საბედისწერო ადგილს გამოვლიდა და ბუჩქნარში შეიმალა.

* * *

დურმიშს გზაზე შემოაღამდა. ერთხანს მიდიოდა უცნობი ბილიკებით, მაგრამ გზები არ ამერიოს და მტერს ხელში არ ჩავეუარდებო, ერთი დიდი ტოტებდაშვებულ ხის ძირას შეჩერება არჩია. გამთენიას გზა გააგრძელა, მაგრამ ბილიკი სადღაც დაეკარგა და პატარა მდინარის ნაპირს დაუყვა. ამასობაში ტაროსი მოიშალა მდინარე უეცრად ადიდდა, ერთგან ნაპირზე ხელისგულისოდენა მოლზე შეჩერდა, მაგრამ უცებ ეს ადგილიც მოირღვა და მგზავრი მდინარის მღვრიე ტალღებში აღმოჩნდა. ნაპირზე ხელმოსაკიდი არაფერი ჩანდა, გამოსვლაზე ფიქრიც არ შეიძლებოდა. სხვა გზა აღარ დარჩენოდა მიენდო დინებას... უცებ ერთ მხარეს ხეებს შორის რაღაც ჯარგვალის მსგავსი შენობა დალანდა. განთქმულმა მოცურავემ მხარული მოუსვა და იმ ნაპირზე გაღწევა სცადა, მაგრამ მოულოდნელად მდინარე ორად გაიყო. ერთი ტოტი ჯარგვალისაკენ მიშხუოდა.

„ნისქვილი“, გაუელვა თავში. თუ არ ამოვიდოდა, შეიძლება ბორბლებს ჩაეთრია. იუსუფი მდინარის მეორე ტოტისაკენ მიეძალა, პატარა ჩანჩქერით გადაეშვა და მდორე ნაკადში ამოყო თავი. აქედან ძნელი არ იყო თავთხელის მიგნება და ნაპირზე გასვლა. მშრალი აღარაფერი შერჩა. ტანსაცმელი ისე დამძიმდა, რომ მისი ტარება შეუძლებელი გახდა.

„მენისქვილე თუ არ არის, შევალ“ – უთხრა თავისთავს. ბევრი აღარ უფიქრია, ნისქვილის კარი შეაღო. ალასთან კაცი მიწოლილი-

ყო, კარის შეღების ხმა არ გაუგონია, მაგრამ შეჭრილმა სინათლემ მოსჭრა თვალი. მოულოდნელი სტუმრისაკენ მობრუნდა.

კეთილი მოხუცი აღმოჩნდა. იუსუფიც მიენდო და გული გადაუშალა. მალე გარეთ პატარა კოცონი აგუზგუზდა. იუსუფი გათბა, გაშრა. მასპინძელი პატარა ნაცარკვერით და ახალი ყველით გაუმასპინძლდა, გზებიც მიასწავლა და გაისტუმრა.

* * *

გურიაზე ოსმალთა თავდასხმის ახალი საფრთხე დღითიდღე იზრდებოდა. ჩოლოქთან განლაგებულ გენერალ დანიბეგაშვილის ნაწილს მტრის მოსაგერიებლად დამხმარე ძალები სჭირდებოდა, მაგრამ ჯერჯერობით არ ჩანდა. ფრონტის წინა ხაზზე იდგა ქართველ მოხალისე ცხენოსანთა და არტილერიისტთა ასეულები, რომელსაც ახალგაზრდა ოფიცერი ნიკო ჭავჭავაძე მეთაურობდა.

დახმარების მოლოდინში საომარი ტაქტიკა ორივე მხრიდან იცვლებოდა. ოსმალეთის ჯარის გაფანტული ჯგუფები თანდათან ერთ ადგილას იყრიდნენ თავს. უცებ თვალსაწიერზე ციხისძირის მხრიდან ფერდობზე გამოჩნდა პატარა შავი ღრუბლის მსგავსი ბურთი, რომელიც ჭავჭავაძის რაზმის თავზე თანდათანობით ქექა-ქუხილის გამომწვევ ნისლად იქცა.

ოსმალების ძალების ზრდასთან ერთად, უმჯობესდებოდა მათი პოზიციები ციხისძირის მიუვალ ფერდობებზე, სადაც ისინი, ვითარცა ქვის ბუდეში, ჩასხდნენ და თავს ფრიალო კლდეებს აფარებდნენ.

მტრის სიახლოვე ახლომახლო სოფლების მოსახლეობის ქცევებზეც აისახა. ორცეცხლშუა მყოფნი კარგად გრძნობდნენ რუსთა არმიის სისუსტეს და თუ აქამდე მის გამარჯვებას წინასწარმეტყველებდნენ, ახლა ოსმალთა გაძლიერებას თანაუგრძნობდნენ. თუმცა მათზე დახმარებისაგან ჯერ თავს იკავებდნენ. დანიბეგაშვილის კორპუსის ოფიცრები ურჩევდნენ თავად დაეცვათ თავიანთი საზღვრები, მაგრამ მოსახლეობა ამასაც ვერ ბედავდა.

მოვლენები ძალზე მოულოდნელად და სწრაფად ვითარდებოდა. დახმარების იმედიც ნაკლები იყო და ახლა ჭავჭავაძის ასეულს საკუთარი გმრობისა და ღრმა რწმენის იმედილა რჩებოდა. ახალგაზრდა მეთაურს ორი გზიდან ერთი უნდა ამოერჩია: მტრის მოზღვავების შესაჩერებლად თავად გადასულიყო შეტევაზე, თუ დალოდებოდა

დახმარებას. თუმცა ისიც კარგად უწყობდა, რომ ამით ოსმალებს საშუალებას მისცემდა თავი მოეყარათ ახალი ძალებისთვის.

ნიკო ჭავჭავაძემ პირველი, უფრო საშიში, მაგრამ მტრისათვის მოულოდნელი, გაბედული და გამირული გზა აირჩია. მკედარი სიჩუმე პირველად ვახვახიშვილის ასეულმა დაარღვია, რასაც მოჰყვა ჭავჭავაძის მოხალისეთა ზუსტი ცეცხლი. როგორც ჩანს, მტერი ასეთ შემოტევას არ ელოდა და მან უკან მახლობელი სოფლისაკენ დაიხია. აქ ქართველი მეთაურების მთავარ დაბრკოლებას სახლებში ჩასაფრებული მტრის მსროლელები და მჭიდრო დასახლება წარმოადგენდნენ, რადგანაც მძიმე იარაღის გამოყენებით ასკერებთან ერთად მოსახლეობასაც ზიანს მიაყენებდნენ. სწორედ მათი სახლებიდან ისროდნენ ოსმალოებიც. ახლა მთავარი იყო მათი იქედან გამოდევნა. ქართველთა დარტყმა იმდენად ძლიერი და მოულოდნელი აღმოჩნდა, რომ მტერი იძულებული გახდა შენობები დაეტოვებინა და ტყისკენ გაქცეულიყო. ისიც გაირკვა, რომ შენობებში მკვიდრი მოსახლეობა არ იმყოფებოდა, ადრე გახიზნულიყო.

ბრძოლა ეზოებსა და შუკა-ბილიკებზე გაგრძელდა. აქ ქართველთა მცირე ძალებს მრავალრიცხოვან მტერთან მოუხდა ბრძოლა. სახლებიდან გამოდევნილი ასკერები გაერთიანდნენ და მთელი ძალით იცავდნენ თავს, ბოლოს ისინი შეტევაზეც გადმოვიდნენ. ანდრონიკაშვილის და ვახვახიშვილის ასეულები თავგანწირვით იბრძოდნენ იმ იმედით, რომ ბოლოსდაბოლოს დახმარება მოვიდოდა, მაგრამ ასე არ მოხდა. დახმარება არა და არ ჩანდა. ხელჩართულ ბრძოლაში ერთზე ორი და სამი ასკერი მოდიოდა. გააფთრებული შეტაკებისას დაილუპნენ ასეულის მეთაურები პრაპორჩიკები ანდრონიკაშვილი და ვახვახიშვილი. მეზობლები დაიქსაქსნენ, გადარჩენილები იარაღით ხელში ცდილობდნენ მათ შემჭიდროებას და გამხნევენას.

ოზურგეთზე მტრის შტურმის დროს ჭავჭავაძის რაზმში მოვიდა რამდენიმე ოფიცერი და ერთი მღვდელი მამა ნიკოლოზი, რომელიც ჯვრით ხელში ყოველთვის იქ გაჩნდებოდა, სადაც ყველაზე მძიმე ბრძოლას ხედავდა. მოძღვარმა ჯერ ღია ცის ქვეშ ილოცა, შემდეგ უბიდან საკმაოდ დიდი ხატი ამოიღო და პირდაპირ ცხელი ხაზისკენ დაიძრა. როცა ბრძოლის ველზე ხატი ხელში ანაფორიანი მღვდელი გამოჩნდა, უჩვეულო რამ მოხდა. მეორე მხარეს დაბანაკებულმა აჭარელ-ქობულეთელებმა და ლაზებმა ვილაცის ბრძანებით სროლა

შენწყვიტეს. რამდენიმე მათგანი ჭავჭავაძის რაზმს ტყვედ ჩაბარდა. როგორც ისინი ამბობდნენ, მინაზე მღვდელის გამოჩენისთანავე ცაში ღვთისმშობელი მარიამი გამოეცხადათ და ამან ლამის ყველას მოძმეებისაკენ მიღწერებული იარაღი დააყრევინა.

ადამიანის სულის სიძლიერე უსაზღვროა, მაგრამ ფიზიკურ გამძლეობას თავისი საზღვრები აქვს, თუმცა ათასობით თავზე ხელაღებული მებრძოლი, რომელიც სიკვდილს თვალეში თავგანწირვით უცქეროდა, არ გატყდა. ისინი საკუთარი მინა-წყლიდან უკანდახევას არ აპირებდნენ, ხელჩართული ბრძოლა გრძელდებოდა, მაგრამ დილით მტრის ახალი ძალები გამოჩნდა, რომელიც ასეულების ზურგში მოექცა და სოფელს გარს ერტყმოდა. ბრძოლის შემდგომი გაგრძელება სრულ დაღუპვას ნიშნავდა და ჭავჭავაძემაც ბრძანება გასცა უკან დაეხიათ. ესეც ბრძოლითა და სისხლისღვრით გაგრძელდა. ისედაც დასუსტებულმა ასეულებმა მოკლულისა და ტყვედჩავარდნილთა სახით კიდევ რამდენიმე ჯარისკაცი დაკარგეს. მტერმა რუსული ზარბაზანიც ხელში ჩაიგდო და ახლა მონინაალმდეგეს მისივე იარაღი დაუშინა. ხუთსაათიანი ბრძოლის შემდეგ რაზმები გვარახუცუბნის ბორცვებთან ძველისძველ ურიების სასაფლაოს შეეხიზნენ. აქ ხშირი ტყეების საფართან შეეძლოთ სულის მოთქმა და დანაყრება.

შუადღეზე მონინაალმდეგის ახალი ჯგუფები დაინახეს, რომლებიც ემზადებოდნენ სასაფლაოზე შესატყევად. სწორედ ამ დროს დასავლეთიდან გამოჩნდნენ დასახმარებლად წამოსული რაზმები, რამაც ასეულთა დაქანცული მეომრები გაამხნევა. დამხმარე რაზმებისაკენ მაშინვე გაემართა ცხენოსანი ოფიცერი, რომელმაც მეთაურს გადასცა ჭავჭავაძის ბრძანება, შეჭრილიყვნენ მტრის ზურგში. სამი მხრით გარშემორტყმული ასკერები იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ. ციხისძირი კვლავ ქართულმა რაზმებმა დაიკავეს.

ბრძოლა მიწყნარდა, მაგრამ რამდენიმე საათიანმა ხელჩართულმა შეტაკებებმა ჯარისკაცებს ძალები გამოაცალა. ამ დროს ფერდობზე გამოჩნდა ასკერთა ახალი ჯგუფი, რომელიც უკან იხევდა, თან ტყვიის წვიმას უშენდა დასახმარებლად მოსულ რაზმებს. ერთი წვერებიანი ასკერი ხელში დროშით უკანდახეულებს ოდნავ ჩამორჩა. ჭავჭავაძემ გადაწყვიტა თავად შეეპყრო ოსმალო, ცხენს დეზები ჰკრა და ხმალამონვილილი იქეთ გაქანდა. დროშიან ასკერს პირისპირ

ეძგერა, მაგრამ დროშამ ცხენი დააფრთხო და ნიკოს დამბაჩის ხმარე-
ბა მოუხდა, თუმცა ტყვია მტერს ასცდა. მეთაურს წამონეულმა სოსო
მოდებამ სცადა ასკერისათვის ხიშტით შეეცია, მაგრამ მან მოხერ-
ხებულად აიცდინა. ჭავჭავაძემ მას ახლა ხმალი მოუქნია, მაგრამ
სწორედ ამ დროს ოსმალომ დამბაჩა გაისროლა. ტყვია ნიკოს მკერ-
დში მოხვდა. ცხენზე შეტორტმანდა, ხმალი გაუვარდა. ასკერმა დრო
იხელთა და ნიკოს ხიშტიც აძგერა, თუმცა თვითონაც იმავე წამს მო-
დებამის ხიშტს წამოეგო... გვიანი იყო, ნიკო ცხენიდან გადმოვარდა.

სოსომ მეთაური სწრაფად შესვა ცხენზე და საკუთარი ნაწილისა-
კენ გააქანა, მაგრამ ტყვიამ მასაც უნია... დაჭრილებიდან ზოგი
ნატყვიარ ფეხს მოათრევდა, ზოგს სისხლიანი ხელი მაზარის კალთა-
ში მოექცია, ზოგიც ფეხზე ვერ დგებოდა და ადგილზე თხოულობდა
შველას.

გადარჩენილი მოლაშქრეები აღარავის დაელოდნენ. ნიკო და მი-
სი თანაშემწე მოდებამ საგანგებოდ მოწყობილ ორთვალაზე დაან-
ვინეს და უახლოესი ლაზარეთისაკენ გააქანეს. ორთვალას უკან ბომ-
ბორა ქოფაკი აედევნა.

ნიკო აღარ სუნთქავდა, სოსოს ჯერ კიდევ შერჩენოდა სიცოცხ-
ლის ნიშნები. მეგობრებმა თითქმის გამოიტყვეს თავიანთი მეთაუ-
რი.

საველე ლაზარეთში ექიმმა გიორგი შაბურიშვილმა ნიკოს გარ-
დაცვალება ჩაინიშნა, ხოლო სოსო ყოველ შემთხვევისათვის საოპე-
რაციო ოთახში შეიყვანეს. მალე იქედანაც სამწუხარო ცნობა გამო-
ვიდა: „არ გადარჩება“. ეს ცნობები გაზეთების მაშინდელმა კორეს-
პონდენტებმაც ჩაინერეს.

იმ პალატისკენ, სადაც ნიკო მოათავსეს, რამდენიმე წუთში ბომ-
ბორა შევარდა. ლაზარეთის პერსონალი ჯოხებით ცდილობდა აბე-
ზარი ოთხფეხის მოშორებას, მაგრამ ნაგაზი თავისას არ იშლიდა,
ყმუოდა და პალატისაკენ მიიწევდა, ამასობაში ის ოფიცრები გამოჩ-
ნდნენ, ვინც ნიკო გადმოიყვანა, მათ აუხსნეს ლაზარეთის პერსო-
ნალს, რომ ეს ძალღიპატრონის განუყრელი მეგობარიაო. ბომბორაც
იმ სანოლს ეცა, სადაც ნიკო ესვენა, ტახტზე აიჭრა და მეგობარს მო-
ეფერა. ლოყაზე ლოკავდა და წკმუტუნებდა. ექიმები გაოცებით შეს-
ცქეროდნენ ოთხფეხის ადამიანურ გამოვლინებებს.

უეცრად ერთ-ერთმა წამოიძახა:

- სისხლი, ლოყაზე სისხლი ჩქეფს.
 - იქნებ ცოცხალია!? – გაკვირვება ველარ დაფარა მეორემ.
- ორივე დაჭრილს მისცვივდნენ, ვინ მაჯას უსინჯავდა, ვინ გულზე ყურის მიყრდნობით ცდილობდა სინამდვილის გაგებას.
- ცოცხალია! – ორივეს ერთად აღმოხდა ეს ერთადერთი სიტყვა.

* * *

იმ ადგილს, სადაც ნიკომ და სოსომ მძიმე ჭრილობები მიიღეს, მათი წაყვანიდან სულ რამდენიმე წუთში, თითქოს მიწიდან ამოძვინენო, სანიტრები და მონყალების დები მოედევნენ.

საშინელ სურათს წარმოადგენდა ნაომარი ადგილი. ამ თითქოსდა მცირე შეტაკებაში ასეულობით მოკლული და დაჭრილი დარჩენილიყო ველზე. ეს იყო შემადრწუნებელი სანახავი. დაჭრილ-დახოცილთა „ტყეში“ მონყალების დები დახმარების განეევასაც ვერ ასწრებდნენ. მათ თვალწინ მეომრები სისხლისაგან იცლებოდნენ ან შოკისაგან იხოცებოდნენ. სანიტრებს საკაცეები და ურიკები აღარ ყოფნიდათ და ზურგზე მოგდებული გადაყავდათ მეტნაკლებად საიმედო გადარჩენილები.

ერთმა პირტიტველა ჭაბუკმა სანიტარმა დაჭრილთა ჯგუფში პორუჩიკი ჭავჭავაძე მოიკითხა.

- გულში დაჭრილი ნაიყვანეს, არავინ იცის თუ გადარჩებაო. – უთხრეს.

ჭაბუკი შეტოკდა. ერთხანს გაოგნებული იდგა. შემდეგ გონს მოეგო, საკაცე გახსნა და სისხლის მორევიდან გასაყვანად პირველივე დაჭრილთან ჩაიჩოქა.

ასეთ დროს ადამიანი მხოლოდ თავის მოვალეობაზე ფიქრობს, ომის დაუნდობელი კანონით ასეა. დიახ, უნდა იფიქრო დაჭრილზე და საკუთარ თავზეც. არავინ იცის, საიდან გამოვარდება ტყვია და მოხედება ადამიანს. მისი ხმა არაფერში აგერევა. გუბეში საგნის ჩავარდნის ტყაპუნს მიაგავს. შენს გვერდით მებრძოლი პირით მტვერსა და ტალახში ემხოზა.

ბრძოლის ველზე ახლად გასულ სანიტარს პირველად ყველაფერი სიზმრად ეჩვენებოდა, მირბოდა, დაჭრილს მიათრევდა, კიდეც ისროდა, მაგრამ ამას ვერ იმახსოვრებდა. ამიტომ შიშს არასოდეს აუტანია, მიეჩვია. ორი-სამი კვირა გავიდა და სახელის გარდა აღარა-

ფერი შერჩა, სახელი, რომლითაც მას მიმართავდნენ. თითქოს სხვა გახდა. მოკლულის დანახვის აღარ ეშინია. იმას კი ფიქრობს, რომ სა-
შინელ ამინდში, წვიმა-თოვაში, პაპანაქება სიცხეში დაჭრილი ან და-
ღუპული ზურგით უნდა ეტარებინა.

ახლაც მეცამეტე დაჭრილი გადაჰყავს. ფეხმოგლეჯილ მებრძოლს
მკლავი ისე მჭიდროდ მოუხვევია სანიტრისათვის, რომ მისგან თავს
ვერ გაითავისუფლებს. მიხობავენ და მიწაზე ტოვებენ სისხლის
კვალს. წამოდგნენ. აი, ლაზარეთიც გამოჩნდა. მალე იქ იქნებიან, მა-
გრამ ჯერ პატარა ხევი უნდა გაიარონ...

...უცებ „ლაფის ტყაპუნის“ ხმაც გაისმა, ტყვია ეტაკა სანიტარს
და დაჭრილთანაც გააღწია, მშველელის სხეული მოადუნა და ორივე
ძირს დასცა. სანიტარი მიხვდა, რომ უბედურებამ მასაც უნია, სანამ
შეეძლო, მიწაზე გასწორდა და გონი დაკარგა.

* * *

ლაზარეთი დაჭრილებით გაივსო. სანიტარი, რომელსაც ფეხმოგ-
ლეჯილი ჯარისკაცი გადმოჰყავდა, იმ დღეს სულ ბოლოს მოიყვანეს.
გონზე არ მოდიოდა. იგი ამხანაგებმა იცნეს, სანიტარი ანტონიო,
თქვეს. ჭრილობა მძიმე აღმოჩნდა, საჭირო იყო ოპერაცია.

დაჭრილს მონყალების დებმა ტანთ გახადეს და სახტად დარჩნენ.
ანტონის ნაცვლად ხელში შერჩათ სანთელივით ჩამოსხმული, ტანკე-
ნარი ქალის მიმზიდველი სხეული. ეს იყო თავადის ქალი ანა ერისთა-
ვი-ჭავჭავაძისა.

შინაურების თქმით, იგი მართლაც გაექცა უბედო ბედს, ფიქრობ-
და, რომ ენვეოდა გულის წადილი, ან იპოვიდა დაკარგულ იმედს,
სწორედ ამიტომაც თქვა უარი განცხრომით ცხოვრებაზე, მეუღლის
ნების გარეშე ომში წავიდა, როგორც მოხალისე, თანაც სწორედ იქ,
სადაც მისგან დაშორებული გულისსწორი ეგულებოდა.

ბათუმის მკვლევართა კომისია

ბათუმის პორტის სანაპირო ქუჩაზე სასტუმროების პირველ სართულზე ყავახანები და ჩაიხანები იყო ჩამწკრივებული. აქ ძალზე ჭრელი, საეჭვო წარმომავლობის სოციალურად და პოლიტიკურად განსხვავებული მუშტარი იყრიდა თავს. ერთ ფინჯან ყავაზე მთელი დღე ისხდნენ და ბჭობდნენ ვინ კერძო საქმეზე, ვინ ვაჭრობაზე, ვინ კიდევ კონტრაბანდაზე და ქვეყნების ურთიერთობაზე. დღევანდელი ბაასის თემა ოსმალეთ-რუსეთის ომია. ზოგი წარსულს მისტირის, ზოგიც მომავალს წინასწარმეტყველებს. აგერ წარდის ქვებსა და კამათლებს გამუდმებით გაუდით ჩხაკუნი, იქეთ უფრო მშვიდად დომინოს ათამაშებენ. ზაფხულობით ყავახანის მთელი ავლა-დიდება გარეთ ქუჩაში გამოჰქონდათ და ახლა აქ ჩაღებოდა გაუთავებელი კამათი და ყაყანი.

ლემლიოლლის სასტუმრო „ორიენტალის“ ყავახანის მუშტარები ბათუმურმა წვიმამ დააფრთხო, თავიანთ მრგვალ მაგიდებს და ჯორკო-სკამებს ხელი დაავლეს, შენობაში შეცვივდნენ, ავეჯი დაალაგეს და ადგილები დაიკავეს.

კარებში ნაბდინი ცხენოსანი გამოჩნდა. იგი ჩამოქვეითდა, ცხენი მსახურ ბიჭს გადასცა, ნაბადი და ბოხობი მოიხადა, ოდნავ დაფერთხა და ყავახანაში შევიდა, თავისუფალ მაგიდასთან ჩამოჯდა, ცხვირსახოცი ამოიღო და სველი სახე შეინწმინდა. ტანმალალ, მხარბეჭიან კაცს ქართული ჩოხა ეცვა, წელზე ხანჯალი და ხმალი ერტყა, სარტყელში მოსაჯადებული დამბაჩის ტარი მოუჩანდა.

მის წინ მსახური ბიჭი ასვეტილიყო.

– ყავა რომელი მოგართვათ, ბატონო.

– სულერთია, – ყასიდად მიუგდო ბიჭს, რომელიც პასუხმა დააბნია – იყოს ოსმალური.

ახლად მოსული ყავახანის მუდმივი სტუმარი რომ არ იყო, ყველა მიხვდა, ამიტომ მისკენ მობრუნდნენ და ყურადღებით ათვალეირებდნენ. ერთ-ერთი მათგანი მორიდებით მიუახლოვდა და მახლობელ სკამზე ჩამოჯდა.

– ამინდმა ხომ არ შეგანუხათ, ეფენდი.

– ტაროსი იცვლება, ეს ღმერთის საქმეა. – მიუგო მოსულმა.

– მუთი-ბეგ...

– თქვენთვის ახლა მემი-ალა ნიჟარაძე ვარ – ხმადაბლა ჩაილაპარაკა და აგრძნობინა, რომ ერთმანეთს გაუგეს. – თქვენ ვის გეტყვიან?

– მე, ალი ვარშალომიძე. – დღეს ამინდმა გვიღალატა, თორემ აქ ასი კაცი მოიყრიდა თავს – თქვა დამხდურმა.

– ახლა რამდენი გყავს?

– ვისაც ხედავ ყველა ჩვენია.

– იარაღი აქვთ?

– უიარაღოს არ ვლბულობთ. გარედან არ გამოაჩინოთო, დავა-ვალეთ. ზოგი ტანსაცმელში მალავს, ზოგმა პიბოდის თოფები ახლო-მახლო სანდო ნათესავეებთან შეინახა. საქმე როგორაა მემი-ალა – მოუთმენლად იკითხა ალიმ.

– ცუდად – არ დააყოვნა ნიჟარაძემ. – აქეთ ოსმალები გვყავდა გასაყრელი, სულიც ვერ მოვითქვით და ახლა რუსებმა შემოგვიტიეს. ბევრი დაგვიხოცეს. ხასან-ბეგი მოგვიკლეს, მეთაურები დაგვიჭრეს. ლაზები და ქობულეთელები მამაცურად დახვდნენ, მაგრამ ერთნი ოცთან რას გააწყობდნენ. ცხრაათასიდან ცოცხალი ერთი კაციც ვერ გადარჩებოდა. ხასანბეგი ორი დღით ადრე მიხვდა რაც მოგველოდა და ანდერძავით დაგვიბარა: თუ უნდა დავიხოცოთ, ისევ ოსმალებს შევაკვდეთ, იქნებ რუსებმა დაგვიფასონო. ჩვენც თოფები ასკერებს მივუღერეთ, ბევრიც დავხოცეთ, მაგრამ რუსი მაინც ცუდი თვალთ გვიყურებდა, არ გვენდო და ამ რუსის და ოსმალის, ორი გაუმაძღარი ცოფიანი ნადირის ქიშკს შეენირა ორი ათასი კაცი.

ალი-ეფენდი დანაღვლიანდა. საომრად გამზადებულმა ახლა აღარ იცოდა როგორ მოქცეულიყო და სოფლებიდან მოყვანილი იარაღასხმული ბიჭებისათვის რა ეთქვა.

– ახლა რას ვაპირებთ? – შეეკითხა მემი-ალას.

– ხალხი სახლებში დავაბრუნოთ, ოჯახებს მიხედონ. ახლა ჩვენი ომში ჩაბმა სიბრიყვეა და მეც იმიტომ ჩამოვედი, რომ გურიისაკენ არ წამოსულიყავით.

ალი-ეფენდი დუმდა. რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ აყოვნებდა.

– ამდენი ხალხი დავკარგეთ, იმათ სულ არ მიადგათ ზიანი? – იკითხა.

– როგორ არა. ექვსასმა კაზაკმა და რუსმა დატოვა სული ჩვენს მინაზე, სამნუხაროდ მათთან ერთად ჩვენებურებიც შემოგვაკვდა.

– ღმერთმა რა დაგვიწერა, ორი დიდი ფოცხვერი ერთმანეთს ეომება და შუაში ერთ ძმას მეორეს ახოცინებს. – ჩაილაპარაკა ალი-ეფენდი.

– რას ვიზამთ ომი ომია, მას თავისი კანონები აქვს. ახლა ერთი სათხოვარი მაქვს – ხმა დაიდაბლა მემი-ალამ. – ციხისძირთან ხელჩართული შეტაკების დროს ჩვენმა ლაზმა მეომრებმა ჭავჭავაძის მცველში სარფელი ოსმან დურმიშის უმცროსი ბიჭი იუსუფი ამოიცნეს.

– საიდან სად? – გაიკვირვა ალი-ეფენდი.

– ჩვენებური ქალის შერცხვენისთვის რუსი სალდათი შემოაკვდაო. მერე ტყვედ ჩავარდა, ჭავჭავაძემ გამოიხსნა, სოსო მოდებამ დაარქვა და თავის მცველად დააყენაო. ბოლო შეტაკების დროს კი თავის უფროსთან ერთად...

– საცოდავი მამამისი – აღარ აცალა შენ უხებულმა ალი-ეფენდიმ. – ვიცნობ ოსმან დურმიშს, მასთან ოჯახშიც ცყოფილვარ და ეს ბიჭიც მახსოვს, პატარა იყო.

– მაშინ სათხოვარი მექნება, ალი-ეფენდი. – ხალხი რომ გაიგებს იუსუფ დურმიში რუსების მხარეს ომობდაო, ლალატს დასწამებენ, გამწარებულ მამამისს ლაზები გადაემტერებიან. უნდა ჩახვიდე სარფში და ბევრი მითქმა-მოთქმის გარეშე მხოლოდ ოსმანს მიუსამძიბრო შვილის დალუპვა. საქმისთვის ასე აჯობებს. ახლა შენს ხალხთან მიდი. ისედაც ბევრ ხანს დავრჩით ერთად.

ალი-ეფენდი დიდ მაგიდასთან მივიდა, ერთ კაცს მოკლედ რაღაც გადაულაპარაკა, ის კი სხვებთან გადავიდა და... სულ რაღაც ხუთ წუთში ყავახანა მთლიანად დაცარიელდა. ნიჟარაძეც გამოემშვიდობა ვარშალომიძეს.

წვიმას გადაელო. მემი-ალამ ბოხოხი დაიხურა, ნაბადი მხრებზე მოიგდო, გარეთ გავიდა, ცხენს მოახტა და სანაპიროს ქუჩას ჩორთით გაუყვა.



ნკვერტიხევი მაღალი სოფელია

რა ხანია, არ მინახიხარ, ჩემო თემელ, სად დამეკარგე? მე დავიკარგე? ჰო, მართალი ხარ, მგონი. მომენატრა შენთან საუბარი. დუმილიც მომენატრა შენი. მოსმენა იცი კარგი. ცუდ ლაპარაკს კარგი მოსმენა სჯობია. სამწუხაროდ, ბევრს ვერ შეუგნია ეს. შენ ლაპარაკიც გიხდება. მაგრამ, მოსმენა – უფრო მეტად. სხვებივით კი არ ხარ, თვალეში გიცქერენ და ვითომ გისმენენ... თავსაც გიკანტურებენ შიგადაშიგ, თავის საქმეზე კი ფიქრობენ, არც გაემტყუნებათ. დღეს საფიქრალ-სადარდებელს რა გამოლევს... აგერ ზღვისპირა კაფეში ჩამოვჯდეთ. გახსოვს, აქ ჩვენი ჭაბუკობის დროს ზღვაზე გადამდგარი რესტორანი იყო? სახელიც „ტალლა“ ერქვა. ლამაზადაა მოწყობილი ეს კაფე. ევროპული გემოვნებით. მე კი მაინც იმ ფარღალადა „ტალლისკენ“ მიმიწევს გული. ეკა, მოდი აქ, ჩემო გოგონი. ვარცხნილობა გიხდება ძალიან. რაკი ამ კაფეში შემოვედით და შენს მაგიდას მივუჯექით, ესე იგი ასე გვირჩევნოდა. მიხვდი, რასაც ვამბობ?.. ახლა ორი ყავა და „ბორჯომი“ მოგვიტანე. ნაღდი იყოს „ბორჯომი“. როგორ მღერიან იმ რეკლამაში? „ჭეშმა-რი-ტი ბორ-ჯო-მიი!..“ იმიტომ, რომ არაჭეშმა-რიტიც არის. მეტი არაფერი. ნადი ახლა... კააი ჯიშიანი გოგოა, ხო იცი შენ, ჰი-ჰიიი!.. ჰო, იმას ვამბობდი, მომენატრა შენთან საუბარი-მეთქი, ხომ არსად გეჩქარება? თუმცა, დღეს ხომ შაბათია.

რასაც ვიამბობ, შეიძლება უცნაურადაც მოგეჩვენოს და არ დამიჯერო. შენი საქმეა. მაგარი გამოთქმა აქვს რუსებს: „Каждый дурак по-своему с ума сходит“–ო. მეც ჩემი მჭირს, ალბათ. ნუ გამიმტყუნებ, ძმაო, მხატვარი ვარ. ჩვენ სხვა სამყაროში ვცხოვრობთ. ლამაზია ეს სამყარო. მდიდარიც. ფულით – არა, ფერით. ჩვენი წილი სამოთხეა ეს და იქიდან გადმოსულები, დავაბიჯებთ დედამიწაზე. ყველა ჭეშმარიტ ხელოვანში ფიროსმანის სულია. მეტ-ნაკლებად, ცხადია. შენ არქეოლოგი ხარ და დედამიწის წიაღეში ეძებ წარსულის საოცრებებს. შვიდი უკვე აღმოჩენილია. მერვეს ეძებთ. ყველა თქვენგანს

პგონია, რომ თვითონ იქნება მისი აღმომჩენი. რა მნიშვნელობა აქვს, აღმოაჩენთ თუ ვერა, მთავარია, თქვენში უკვე არის იგი – მერვე სა-
ოცრება.

ჩვენ კი ზეცაში ვიცქირებით, პოეტებივით. ლეონარდოს უთქვამს
თურმე... ვინაა, ბიჭო, დევდარიანი! პარლამენტარი? ვიცი შენი ირო-
ნია. მე იტალიელ მხატვარზე გეუბნები, „ჯოკონდას“ ავტორზე. ფერ-
წერა მუნჯი პოეზიაა, პოეზია კი – ბრმა ფერწერაო, დაეჯერება იმ
ბრძენკაცს.

სხვა პროფესიას ვერც ავირჩევდი, თემელ. რასაც ვქმნი, ჩემი ძარ-
ღებიდან მოდის, ჩემი ნერვებიდან და სისხლის უჯრედებიდან მო-
დის. იქაა ჩახატული და თავის რიგს ელოდება. ბედნიერი ვარ, როცა
ვხატავ. არც ჭამა მინდა მაშინ, არც არაფერი. დროსაც ვერ ვგრძნობ.
ვხატავ და ბედნიერი ვარ. აკი ვამბობ, კარგი მოსმენა იცი-მეთქი.
სხვები ისე შემომხედავენ, ამას ფესტივალი აქვს თავშიო, ამბობენ.
გულში, ცხადია. ერთმა პირდაპირაც მომახალა. იმ რუსული ანდა-
ზით, ზემოთ რომ ვთქვი. სულის მოთქმა არ ვაცალე, გავუქანე და
ვლენე. დიდი ხნის ამბავია ეს, ოცდახუთი წელი მაინც იქნება გასუ-
ლი. აჰა, ახლა რალა დროის ლანა-ლუნია ჩემი. ჯანიც მომდევდა მა-
შინ. არც ახლა ვგრძნობ თავს მოფამფალებულად, მარა... წლები
ადინჯებს კაცს. მილიციაში მიკრეს თავი. რატომ ცემეო, მეკითხები-
ან. ასე და ასე იყო, ვეუბნები. მაგან, უფროსო, მე კი არა, მსოფლიო
შემოქმედებით აზრს მიაყენა შეურაცხყოფა-მეთქი. რრ-აო?! – მე-
კითხებიან, – სხვა არაფერიო?! ამაზე მეტი რა უნდა ყოფილიყო, – გა-
ოცებულნი ვპასუხობ. შენ ან გიჟი ხარ ვილაცა ან ჩვენ გვაბლაყუნებო,
– მეუბნებიან. როგორ გეკადრებათ, ბატონო, არც მიფიქრია, – გულ-
წრფელად ვამბობ, – შემოქმედება ღმერთთან საუბარია... დიდი რა-
ფაელი... ველასკესი... გოია...

ეგ დიდი გოია ვინ იყო, არ ვიცი, შენ რომ დიდი გოიმი ხარ, ნალ-
დიაო, – ოხუნჯობს ვილაც. მივუხედე. პოლკოვნიკი ყოფილა. მაღა-
ლი, ლამაზი, ფორმაში მოხდენილად გამონკეპილი. ჯერ ორმოცისაც
არ იქნება, უკვე პოლკოვნიკია. რალაც დიდი დამსახურებით, ალბათ.
მერე რა, რომ გოია არ იცის, არც რაფაელი. ფიროსმანიც არ ეცოდინ-
ება. მერე რა. სამაგიეროდ, პოლკოვნიკია. მის ენამახვილობაზე ისე-
თი ხარხარი ატყდა, რომ ჭალი აუივყვიდა ჭერში. ამოჰკარით ჭიტლა-
ყი მაგ შემოქმედს და გააგდეთ აქედანო, მონყალე სახით თქვა და მე-

ორე სართულის კიბეს შეუდგა. დაბალჩინოსნებმა პირდაპირ გაიგეს მისი ნათქვამი. ექვსი კაცი იყო იქ... ალბათ, ჩემამდეც ვარჯიშობდნენ ჭიტლაყის ამორტყმაში. კარგა ხანს კუდუსუნი მტკიოდა...

ორშაბათი იყო, შუადღე. ვინ თქვა პირველად, რომ თარსია ორ-შაბათიო, ვინ დააბრალა. მზე ხან გამოანათებდა, ხან მიიმალებოდა ღრუბლებში. მიიმალებოდა და მაშინვე წამოვიდოდა თქეში. არა, ჯერ ტკაპატკუპს ატეხდა მსხვილი წვეტები, მერე მოუხშირებდა. ღვარები დაეკიდებოდა სახურავებს. შიშველ წვივებს დაუსვლებდა ქალებს. ისინიც თავშესაფარს მიაშურებდნენ.

ნელა მიმყავდა მანქანა. უცებ წინა ბორბალი ამომტკრეულ ასფალტში ჩავარდა.

– ვაი! – შემომესმა ქალის ხმა. ტროტუარს გავხედე. კაბას იფერ-თხავდა ცხვირსახოცი. – პირველად ჩავიცვი დღეს და, აი... – თვალი შემასწრო, – რას მომჩერებიხართ ნეტავი, წადით, სხვებიც განუწეთ!

მანქანიდან გადმოვედი.

– მაპატიეთ, უნებლიეთ მომივიდა.

– კაბა კი გამიფუჭეთ და...

– მზად ვარ, გამოვისყიდო შეცდომა.

– მაინც, როგორ?

– ქიმწმენდაში მიგიყვანთ. მაშინვე გააქრობენ ლაქებს, ან...

– ბრძანეთ.

– ახალს ვიყიდით, ბოლოს და ბოლოს.

ჯიბეში თხუთმეტი ლარი მქონდა მხოლოდ.

ქალმა გამომცდელად შემომხედა.

– ასეთს სად ნახავთ?

– ახლა ყველაფერი იშოვება.

– ასეთს ვერ ნახავთ, – გაიმეორა.

მართლაც ძვირფასი კაბა ეცვა.

– მაშინ... უკეთესს შევიძენთ.

– ესე იგი, ჩავჯდები მანქანაში, თქვენთან, და კაბის შესარჩევად გამოგყვებით?

– დიას. ხომ უნდა მოგერგოთ ტანზე. მერე კიდევ, თქვენი გემოვნებით უნდა შევარჩიოთ.

– უცხო მამაკაცს მანქანაში ჩავუჯდე და კაბის შესარჩევად გავყვი?

– რა პრობლემაა. გავიცნოთ ერთმანეთი და უცხოებიც აღარ ვიქნებით.

ქალი ლამაზი იყო. აივნის ქვეშ ვიდექით. „ნეტავ ერთხანს არ გადაიღოს“, – ვფიქრობდი.

ჰმ... – ჩაიცინა, – ლიზა მქვია. – ხელი გამომიწოდა.

– აფრასიონი.

გამომცდელად შემომხედა.

– ახლა მოიგონეთ?

– რა?

– ეგ სახელი ახლა მოიგონეთ?

– არა. მართლა აფრასიონი მქვია. მძლოლის მონმობას გაჩვენებთ, – ხელი პერანგის გულისჯიბისკენ წავიღე.

– არ არის საჭირო. ბავშვობაში მოფერებით, რა... აფრას გეძახდნენ?

– კი. ერთმა იალქანიც მიწოდა.

ლიზა კისკისებდა. უხდებოდა სიცილი.

– ნუ გეწყინებათ, არ მომწონს ეგ სახელი.

– მეც, – ამოვიოხრე, – მაგრამ, როცა მარტმევედნენ, ჩემთვის არ უკითხავთ.

– არც ჩემი მეხატება გულზე.

– არა, თქვენ კარგი სახელი გაქვთ. თანაც შეგეფერებათ. ლიზა ჩემს წარმოდგენაში მაღალი, ოქროსფერთმიანი და თეთრყირმიზი იყო ყოველთვის. თქვენ ნამდვილი ლიზა ხართ.

– მონა ლიზა?

– უკეთესიც.

– რას მეუბნებით! – ისევ სიცილი წასკდა.

– თქვენ ცოცხალი ხართ, ესე იგი – უკეთესი.

– სასიამოვნო იყო თქვენი გაცნობა, ბატონო აფრასიონ... არა, მართლა აფრასიონი მქვიათ? – პასუხს არ დაელოდა, – მაპატიეთ, მეჩქარება.

– კაბა?

შებრუნდა და წავიდა. ლამაზად მიდიოდა. მზემ გამოიხედა. უცებ შეწყდა თქეში. გადაღმა, ქუჩაში, წვიმდა, აქ კი მზის სხივები უამრავ ბრჭყვიალა ძაფებად იღვრებოდა ზეციდან და ლიზას თმებს ოქროსფრად ეთამაშებოდა. მონუსხულივით შევეყურებდი.

– გამარჯობათ, – შემომესმა. შევეტრიალდი.

– გაგიმარჯოთ. – ნაცნობის ხელს ჩემი შევაგებე. მხარსზემოდან მივიხედე.

მზე ღრუბლებში შემალულიყო. დაცარიელებულიყო ქუჩა.

ქალი არსად ჩანდა.

ეჰ, რამდენ ქალს ჩაუვლია ჩემს ცხოვრებაში. სიყვარულიც ბევრჯერ გამომიცდია. ნაღვლიან-ფიქრიანი ლამეები მითენებია. რას ვიფიქრებდი მაშინ, რომ ჩემი ცხოვრების თავისებურ ისტორიას ვწერდი, სადაც არაფერია გათამაშებული.

ბავშვი ვიყავი და ბავშვად დავრჩი, თემელ.

ამ რამდენიმე დღის წინ მეგობარს ჩემი ბავშვობის ეპიზოდი მოვუყევი, ოთხი წლის ასაკში რომ გადამხდა. შენ გგონია, შევიცვალე? – ვეუბნები, – რომ ჩაუფიქრდები, ისევე ისა ვარ-მეთქი. თვითირონით ვამბობ ამას, ცხადია. გოგიტა კი მპასუხობს... ვინ არის გოგიტა? როგორ თუ ვინ. გოგიტას გვარი რად უნდა, შე კაცო. ვინ იცის, რამდენი გიორგია ჩვენს ქალაქში, გოგიტა კი – ერთი. ჰოდა, მეუბნება, იცი, რატომა ხარ ასეთი და არა ი-სეთი? იმიტომ, რომ დღესაც ოთხი წლის ბავშვის გულით დადიხარო.

ეს მან დაინახა, თემელ. იმიტომ, რომ თვითონაც ბავშვის გულით დადის.

სიყვარული გიჟური ვიცოდი. მახსოვს, თითქმის პირტიტველა ბიჭი ვიყავი, ისე მომენატრა ჩემი გოგო, ისე, ი-სე!.. დილის ოთხ საათზე წამოვვარდი და მის ფანჯრებს ქვეშ გავჩერდი. „თუ შენც გიყვარვარ, გაიღვიძებ და გადმომხედავ!.. თუ გიყვარვარ, გაიღვიძებ და გადმომხედავ“... – ვიმეორებდი და ვიმეორებდი.

უცებ ოთახში სინათლე ჩაირთო და ლანდმა გაიარ-გამოიარა. მერე ფანჯარა გაიღო და ჩემმა გოგომ გადმოიხედა. ლოყებზე ხელები იტკიცა:

– დე-დაა!

– აქა ვარ, გო! – სიხარულისაგან შევხტი და განდაგანას იღეთი შევასრულე.

სახელი? რად გინდა სახელი, ნამდვილს მაინც არ გეტყვი. რა მნიშვნელობა აქვს, ნანა ერქვა, ანია თუ ტანია? ერთ წუთში ჩემთან იყო. ერთმანეთს ვეხვეოდით და ლამაზ სისულელებს ვეჩურჩულებოდით. მთელი ღამე არ მეძინაო, – მითხრა. არც მე, – ვუპასუხე. ვი-

ცი, მთავარი მაინც სხვააო. ვინრიალე, ვინრიალე ლოგინში და უცებ ვინატრე, თუ გიყვარვარ, თუ მართლა გიყვარვარ, ადგები და მოხვალ-მეთქი...

მიყვარხარ და იმიტომ მოვედი, – ვპასუხობ.

იმ დილაადრიან, ალიონზე, დიდ ევკალიპტის ქვეშ... ორივემ ჩვენი უბინოება მივუძღვენით ერთმანეთს.

ეჰ, ახლაც მიყვარს ი გოგო, ზაფხულის მაშინდელი დილა, დღესაც მოშრიალე დიდი ევკალიპტი და ჩვენი მოუხერხებელი ფართიფურთი...

* * *

წკვერტიხევში ყოფილხარ, თემელ? პატარა სოფელია აჭარის მთიანეთში. სახელს დაუკვირდი, სახელს! მე თუ მკითხავ, მხატვარი, მწერალი, გინდა კომპოზიტორი რომ გინოდონ, სულაც არ არის აუცილებელი ტილოები, რომანები ან სიმფონიები შექმნა. ვინც იმ სოფელს წკვერტიხევი დაარქვა, ჭეშმარიტი შემოქმედია. გახსოვს ის ლექსი?.. „ღრუბლითავე გაფრენილი ჩანჩქერების ჩქერებით, ნუნუმეტაი ლოდინვერი, ცისატრყელას ფერებით“... წკვერტიხევეზეა ნათქვამი ნაღდად.

იცე ჩემი მოუსვენარი ხასიათი. ბავშვობიდან ასეთი ვარ. დიდ ხეს მივადგებოდი და მანამ ვუტრიალებდი, ვიდრე ზედ არ ავფოფხდებოდი. ასვლით კი ავდიოდი, ჩამოსვლა მიჭირდა. ბოლოს მომძებნიდნენ, კიბეს მოაყუდებდნენ და რის ვაი-ვაგლახით ჩამომიყვანდნენ. ამას რაც მოჰყვებოდა, ხვდები. მერე რა, ხვალე, ვნახოთ, ახალ ხეზე ავცოცებულვარ. ვიზრდებოდი და ჩემი ჟინიც იზრდებოდა. ყველაზე მაღალი ლოდიდან უნდა გადავმხტარიყავი წყალში, ყველაზე შორს უნდა გამეცურა, გამორჩეულად უნდა ჩამეცვა, ყველაზე ლამაზი გოგო უნდა მომეხიბლა...

თხუთმეტი წლის წინანელ ამბავს გიყვები ახლა. ბეშუმში მივდივარ, შუამთობის დღესასწაულზე. გოდერძის უღელტეხილზე გაეჩერდით. საოცარი ხედი იშლება აქედან. დგახარ მოხიბლული, ამ სიტყვის ძირძველი მნიშვნელობით. რაც მეტს ხედავ, უფრო მეტი გრჩება შეუცნობელ-უხილავი. გრძნეულია გოდერძი, რალაც დიდი ჯადო იმალება იქ. ღვთიური ჯადო. ძალიან ახლოს ხარ ზეცასთან, ამიტომაც უფრო მტკივნეულად შეიგრძნობ მინის სიდიადეს.

აქედან ელაპარაკებოდა თურმე ის მითიური მგოსანი სამყაროს შემოქმედს.

– რა სოფელია, აი იქ, მთის კორტოხზე? – ვკითხულობ და ნისლეტში გახვეულ ფერდობზე მივუთითებ. გუმანით ვხვდები, ვილაც უნდა სახლობდეს იქ.

– წკვერტიხევი. პატარა სოფელია, ხულოს ცენტრიდან საათნახევარის სავალზე.

იმ დღეებში წკვერტიხევეზე ვფიქრობდი. ვგრძნობდი, მეძახდა თითქოს. ერთ ადრიან დილით გარაჟიდან გამოვავაგორე ჩემი ერთგული „ნივა“ და გზას გავუდექი...

– კარგი სოფელია, ჩემო ფიქრო და დერდო, მარა... მეტი მაღალია, იმა ზეიდან ზეცა, მზეი და მასკლავებია.

მარჯან ბიძია სოფლის, ასე ვთქვათ, უპორთფელო გამგებელი იყო, მისი სულიერი მოძღვარი.

– მთვარე რატომ გამოტოვეთ, არ გიყვართ?

– თვარე... ჯეილობაში იმფო მიყვარდა. გამოვიდოდი სახლიკისერ, დავუდებოდი ჩუმად ე-იმ ქვიძირში და შევაჭყირდებოდი. სულ ჩემ სევიეს გავდა. მასავით გვალი სახე ჰქონდა და ძალვან თეთრი. ვიცოდოდი, რომ ახლა ფანჯარასთან იდგა და თვარეს უყურებდა იგიც.

– კარგად საუბრობთ, მარჯან ბიძია.

– ჩემზე ფიქრობდა სევიეიც.

– თქვენც ჰგავდით?..

– მთვარეს თუ... ჰი-ჰიიი!..

– რატომ იცინით?

– თმა-წვერი ახლა მაქ თეთრი, თვარა მაშინ... ეგერ, ბუხარში რომ ჯაჭვი ჰკიდია, იმასავით შავი და დაგრეხილი ვიყავი.

– დაგრეხილი? ჯაჭვივით?

– ახლანდელ კაცებს ქალებივით გაქვთ ტანი – რბიილი, ნააზი, ნამსხვანი მქონდა, დანა რომ დაგეკრა, გვერდით გაგისხლტებოდა.

– უყვარდით?

– სევიეს თუ... ჩემთვის შენ თვარეზე თეთრი ხარო, მეტყოდა. სიყვარული ბრმაო, უთქვამთ. ჭვარტლიან ჯაჭვსაც ოქროს ძენკვად მოგაჩვენებს თურმე. იმითანაი გოგო მერე ჰადმე აღარ დიმიანახავს.

– მაინც... როგორი იყო?

– არ დამცინეფ, შვილო?

– ეგ რამ გაფიქრებინათ.

– როგორ აგიხსნა... ეგერ, ყანაში, სიმინდის ფოჩვებს ხედავ? ჭყინტი სიმინდის, ჭო. ე. იმითანაი თმა ჰქონდა. სირმასავით დაშეებული. საფეთქლებთან ჩაკუჭკუჭებული. აქედან შეხედავდი, მზიფრად ჭირჭვალობდა, იქედან – თვარისფრად.

– მთვარისფერი თმები, მარჯან ბიძია?!

– ხატვარი შენ ხარ თუ მე? ასე ვხედავდი და გიყვები. შენც დახატე, თუ გინდა. თვალებს რომ მოვხუჭავდი და გავხედავდი, მასკვლავები ციცინათელობდნენ ზედ. წარბები შავი ჰქონდა, მერცხლებივით გაფრენილი აქეთ-იქით. თვალები – ადრიანი გაზაფხულის კორდიფერი. ხასხასა ბალახით რომ მოირთვება და ციცქნა ია-იებით მოიჩითება. მითხარ ახლა, ხატვარო, ამ ყოლიფერს ტილოზე გადაიტან?

– არ ვიცო... თქვენ ისეთი ფანტასია გაქვთ... მეც უნდა დავინახო ეგ ფერწერა, თანაც მარტო საღებავებით არ დაიხატება. რალაც სხვა მჭირდება კიდევ. სამყარო მჭირდება კიდევ. სამყარო მჭირდება თქვენი, მარჯან ბიძია.

– ჰო-ო? იმითანაი გოგოი იყო სევიე, რომ ჩაივლიდა... ესეც იცოდე, შეილო, რომ ჩაივლიდა, სულიერიცა და უსულოც თვალს გააყოლებდა.

– უსულოც?

– ლამაზი ქალი სამყაროს სიმღერაა, ჩემო ფიქრო და დერდო.

* * *

არა, ტყუილად არ მეძახდა წკვერიხევი, თემელ. ასე მგონია, ადრეც მიხმობდა, მე კი ვერ ვხვდებოდი. გოდერძის ურელტეხილზე გავიგონე, არა, უფრო დავინახე ის ძახილი. იქნებ იმიტომ, რომ რალაცით ვგვეართ ერთმანეთს მე და მარჯანი?

მოლბერტზე იდო თეთრი ტილო, მე მის ირგვლივ დავდიოდი. ზოგჯერ მიუვახლოვდებოდი და ხელისგულით შევეხებოდი. ტილო ცოცხალი იყო. იქ უკვე შესახლებულიყვნენ მარჯანი და სევიე. წკვერტიხევიც. ჯერ შორეული გოდერძიდან დანახული, მერე – ახლობელი.

მუშაობას შევუდექი. მე და მარჯანს თუ მართლა გვქონდა რალაც შეუცნობელი საერთო, მე დავხატავდი სევიეს – ქალს, რომელიც არასოდეს მეხილა. ახლა უნდა დამემტკიცებინა (ნეტავი, ვის-

თვის?), რომ შექმნა მსგავსება, სულაც არაა აუცილებელი, ფიზიკურად იცნობდე.

კარგი გამოვიდა. ჯერ მომეწონა... მერე – არა. იმიტომ რომ უცებ სხვაინაირად გამომეცხადა იგი. ნავშალე და ხელახლა შევუდექი. შორს, ნისლებში მქრქალად მოიხაზა მარჯანის სახე – ოდნავ მოხრილი მხრები, თეთრი თმა – წვერი, ძარღვიანი ხელები (ხელებში უფრო იყო „ფიქრი და დერდი“).

სევით აგერ, გვერდით იდგა თითქოს. უცებ გამისხლტა. დამეკარგა. სახელოსნოში დავბორიალობდი უთავბოლოდ, მერე დივანზე წამოვწვებოდი და ჭერს მივაპყრობდი მზერას.

იქნებ... სულაც არ არსებობდა სევით და მარჯანის ფანტაზია იყო მხოლოდ? ჰმ, აქამდე როგორ ვერ ვიაზრე. თუ ასეა, ჩემთან არასოდეს მოვა. თუ ფიზიკურად არ არსებობდა, არ მოვა ჩემთან.

ის იყო, წასასვლელად მოვემზადე, რომ, საკვირველებავ! მოლბერტთან იდგა ახალგაზრდა ქალი. მარჯანი ტილოდან შესცქეროდა. არ მახსოვს, როგორ გავჩნდი მოლბერტთან. აუტანელი ხასიათის აღმოჩნდა ჩემი მოხუცი. ხან ეს არ მოსწონდა, ხან ის. სევითს ესკიზის ტილოზე გადატანას რომ შევუდექი, გაყუჩდა, სადღაც შორეულ კუთხეში ჩაინისლა და იქედან მიცქერდა. დროდადრო მზერას გავაპარებდი. „კარგია, აფრასიონ... ჰო, ისაა, ჩემი სევით“... – თვალებით მეუბნებოდა.

რამდენიმე დღეში დავამთავრე. კმაყოფილი ვიყავი. ვიფიქრე, ვიფიქრე და „სოფლელი გოგო სევით“ ვუნოდე (სად არის ნეტავ ის ნახატი?). მარჯანს გაეხედე. არც „ჰოს“ მეუბნება, არც „არას“. ვხვდები, უფრო სხვა სურს.

„დიდი სიყვარულის სერენადაზე“ რას იტყვი?“ – ვეკითხები.

იშმუშნება: „არ გინდა ბრტყელ-ბრტყელი რალაცები“.

„მოხუცი მარჯანის ფიქრები“ (ღმერთო ჩემო, სად წავიღე, ვერ გამიხსენებია!)

ერთხანს სდუმს, მერე თავს მიკანტურებს, იყოსო.

თოთხმეტი წლის განმავლობაში ვინ იცის, რამდენი სურათი დავხატე. მათ შორის, მშვენიერი ქალებისაც. არასოდეს მიმუშავია ისეთი შთაგონებით.

დავამთავრებ თუ არა, მარჯანს ავუტან სოფელში, ვფიქრობდი.

მერე თვითონაც შემეყვარდა ბალახებით აბიბინებულ მინდორში მოფარფატე ფერია. სახელოსნოში შესვლისთანავე თვალებით მოვ-

ქებნიდი ტილოს და გოგონას ოდნავ მოჭუტული თვალების კუთხეებში ვნებიანი სიყვარულის კაეშნიან ღიმილს ვეფერებოდი შორიდან.

„ასე მინდოდა თუ თავისთავად გამოვიდა?“

გამოფენაზე ყველაზე ნათელი ადგილი მივუჩინე.

ი-იმდენ დამთვალე რეზებელში მყიდველი ერთადერთი აღმოჩნდა. ასამდე ნამუშევარს შორის მაინცდამაინც „მარჯანის ფიქრები“ ირჩია.

– იქნებ კიდევ გადავათვალე როთ... სხვა შეარჩიოთ...

შეცბა.

– უკვე გაყიდულია?

– არა.

– სხვა არ მინდა.

იმ დღეებში ქესატად ვიყავი და ერთადერთი კლიენტის გამოჩენა ღვთის ნყალობად მივიღე. ვაჭრობა არ დაუნყია. იქვე ჩამითვალა ფული. პირდაპირ გამოფენიდან ჩამოხსნა სურათი და „ვოლგის“ უკანა სავარძელზე დაასვენა. ერთხანს უყურა, მერე თავი გააქნია და მანქანა დაძრა.

იმ ადგილზე სხვა ნახატი ჩამოვკვიდე.

კიდევ უფრო მტკიცენულად ვიგრძენი სიცარიელე.

* * *

ათი-თერთმეტიოდენ წლის ბიჭუნა სოფლის გზაზე საქონელს მიერეკებოდა და წკრილა ხმით მღეროდა:

*ერთი გოგო შემეყვარდა,
ტანთართქალაი, გულთეთრაი,
მისმა დერდმა იმიტანა,
ალარ მინდა ქალი სხვაი.
სიყვარული ისეთია,
როგორც ბობოქარი ზღვაი.
ისევ ის თუ დამაწყნარებს –
ტანთართქალაი, გულთეთრაი.*

– გამარჯობა, ბიჭუნა!

– გაგიმარჯოთ, ბიძია!

– კარგად მღერი, პირველად მესმის ეს სიმღერა. რა გქვია?

– ლადო.

– ჰო-ო? მაშინ ლექსიც უნდა გამოთქვა.

ბიჭუნამ მხრები აიჩეჩა და გვერდულად ამომხედა.

– ეს სიმღერა მარჯანისაა. მისი ლექსები და სიმღერები ხალხშია გასული.

– ეგ არავის უთქვამს ჩემთვის. არც – თვითონ. დიდი ხანია, ნკვერტიხევში არ ამოვსულვარ. მისი სახლი...

– ეგერ, იმ კორტოხზეა. თქვენ ვინ გინდათ, ძია?

– მარჯან ბაბუ, ცხადია.

ბიჭუნამ თავი ჩაჰკიდა.

– ტყულად ამოსულხართ. ექვსი წლის წინ გარდაიცვალა.

* * *

ლიზა გაქრა.

კაცმა რომ თქვას, როგორ უნდა მომეძებნა, არც გვარი ვიცოდი მისი, არც მისამართი.

ქუჩაში შემხვდა შემთხვევით. შეიძლება ერთ საათში განმეორდეს ასეთი შემთხვევა, ერთ დღეში, კვირაში, თვეში...

ან აღარ განმეორდეს. სტუმრად იყო ჩვენს ქალაქში და ნავიდა ლიზა.

თავს ველარ ვფლობდი. ჯიუტად ვეძებდი მასთან შეხვედრას. გავაჩერებდი მანქანას ნაცნობ ადგილზე, გადავიდოდი მახლობელ სკვერში და ჩამოვჯდებოდი ძელსკამზე.

„სულელივით ვიქცევი ეს ხანშიშესული კაცი, – საკუთარი თავის ლანძღვას მოვეყვებოდი, – დამთავრდა შენი რომანტიკული ასაკი, რით ვერ გაიგე, დამ-თავრ-და! სად შენ და სად ის ახალგაზრდა მზე-თუნახავი. ჰმ, თავგადასავალი თუ მოენატრა, ტოლს ვერ მონახავს?! მე შენ გეტყვი, ერთხელ თვალი შეავლოს ვინმემ და...“

– ბატონო აფრასიონ!

– ?!

– მეორეჯერ მოგმართავთ...

– მაპატიე, ტარიელ.

– ჩაფიქრებული მეჩვენებით ძალიან.

– ცხოვრება – ჰჰ!

– ჰოო...

– ახალი რაა შენსკენ?

– გუშინ, კონცერტზე, დონ ბაზილიოს არია ვიმღერე. დარბაზი კინალამ ჩამოინგრა ტაშით.

– შენი გამოსვლის შემდეგ ასეა სულ.

- არ ყოფილხართ?
- სამწუხაროდ...
- ეს როგორ მოგივიდათ.
- პრობლემები მომიმრავლდა ერთბაშად და...
- გამოფენა როდის გექნებათ?
- ალბათ, მალე. ვემზადები.
- მე თქვენი ხელოვნების გულშემატკივარი ვარ.
- მე კიდევ - შენი, ჩემო ტარიელ.

მიდიოდა ტანგამართული, მხრეგაშლილი. გეგონებოდა, სცენაზეა და ჰა და ჰა სიმღერას დაიწყებსო. მარტო ყელით კი არა, ტანიც მზად იყო ყოველთვის სასიმღეროდ.

„ერთხელ ნაღვლის ბუშტმა შემანუხა ძალიან, ბატონო აფრასიმონ. ო, რა ტკივილი სცოდნია, თურმე. არადა, მეორე დღეს კონცერტია. პროგრამა დამტკიცებულია, აფიშები გამოკრული. დიდი საერთაშორისო სიმპოზიუმის დამთავრებას ეძღვნება ეს კონცერტი. ექიმი მომიყვანეს. სომეხია. ქართული იცის, სომხური - არა. ჩოხატაურში დაბადებულა და გაზრდილა. შოთა კაშანიანი - გაგეგონება. აშოტ კი არა, შოთა. სამი ბოთლი ნამალი მომცა, ბალახებით შემზადებული. წითელი, ყვითელი და მწვანე იყო ნამალი. თითო ჭიქას დაღვევ, მერე ას გრამ ზეითუნის ზეთს დააყოლებ და ყოველ ერთ საათში... უკაცრავად მითქვამს... ოყნას გაიკეთებო.“

მთელი დღე ოყნას ვიკეთებდი და ტუალეტში დავრბოდი.

ტკივილები გაქრა. ხმაც - მასთან ერთად.

ჩვეულებრივ, ქუჩის თავში რომ ვლაპარაკობ, ბოლოში ისმის. ახლა ისე ვჩურჩულებდი მეც არ მეყურებოდა.

ცისანა, ჩემი კონცერტმაისტერი შენუხებულია:

- რა გვეშველება!..
- ვიმღერებ, - ვჩურჩულებ მე.
- რა?

- ყველაფერი რიგზე იქნება, ციცო, აი ნახავ. დამიკარ ერთი, „დამისხი, დამალევიწე“.

- ცისანა მხრებს იჩეჩავს და ფორტეპიანოს თავზე ნოტებს ფურცლავს. ლამაზია ეს არია - ქართული ცეცხლით, ჟინით, შემართებით, სიტყვებისა და მუსიკის იშვიათი თანანწყობით. ასეთი სახასიათო ნაწარმოები იშვიათია მსოფლიო კლასიკაში.

ცისანა გაოგნებულია:

– ეს ხმა საიდან, ტარიელ?!

გულზე ვიდებ ხელს:

– აქედან.

კონცერტზე ისე ვიმღერე, ბისზე გამომიძახეს.

კორესპონდენტმა ინტერვიუ მთხოვა. ხმა არ მაქვს – მეთქი, მოვუბოდიშე.

სახეზე შევატყვე, არ დამიჯერა, მედიდურობად ჩამითვალა. კაი გოგო იყო...”

ტარიელ ჭიჭინაძემ ქუჩის კუთხეში შეუხვია.

* * *

დალაგებული ცხოვრება არასოდეს მქონია, ჩემო თემელ. ასე მოვდივარ ბავშვობიდან. აბა, რა კაცი ვარ, ერთი ძარღვიანად შეგიწებაც არ შემიძლია. რაც უნდა გავბრაზდე და ნამსხვანიდან გამოვიდე, ეგ სიტყვები არ მოვა თავში.

გუშინწინ ანეგლოტი გავიგონე. ნარკომანი და ქურდი ნარდს თამაშობენ თურმე. გააგორებს კოჭებს ქურდი, არ დაუდგება კარგი ზარი, – შენი დედაო... შეიგინებს. გააგორებს ნარკომანი, არ დაუდგება მასაც – ჩემი დედაო...

ჰოდა, იძახიან ასე – „შენი დედა“... „ჩემი დედა“...

გაბრაზდა ნარკომანი:

– შენ რა, შეჩემა, დედა არა გყავს?!

კატის კნუტი მყავდა ერთი. თეთრი-თეთრი. ადამიანივით გონიერი. ფაქიზი იყო ძალიან. ეზოში რომ გავიყვანდი, იმდენად გამორჩეული ჩანდა, გეგონებოდა, სხვა სამყაროდანაა მოსულიო. მარკიზი დავარქვე, შეეფერებოდა.

რომ წამოიზარდა, ბუნებამ თავისი ჰქნა, გარეთ გაუწია გულმა. კარებთან დაცუტქედებოდა და ისეთი მუდარით შემომხედავდა, უარს ვერ ვეუბნებოდი.

ერთ დილით ტალახში ამოგანგლული და დასისხლიანებული მობრუნდა.

– ეგ რა მოგსვლია, მარკიზ?! – ვეკითხები. თავი დახარა, თვალეები მონკურა.

– ნუხელ ეზოში ერთი კატა გავიცანი, – მეუბნება – სიბილა ერ-

ქვა. კაი გოგო ჩანდა. მასაც მოვეწონე. ის იყო, თითქმის დავიყოლიე, რომ ...

– განაგრძე, განაგრძე. ყურადღებით გისმენ, – თან სველი ბამბით ვწმენდ.

– ქუჩის მანანწალები დამესხნენ თავს. შენ ვინა ხარ და აქ საიდან გაჩნდიო, – დამჩხავიან. მე მარკიზი ვარ და ა-იმ სახლში ვცხოვრობ-მეთქი. თქვენო ბრწყინვალეზავო, ხითხითებენ, ეგ ქუჩის კახპა რა თქვენი საკადრისიაო. თქვენ სცდებით, კახპა არ არის, თანაც ძალიან მომწონს, – ვპასუხობ. მაგ გოგოს თავი დაანებე და სახლში მიბრძან-დი, თორემ... და ისეთი ცუდი სიტყვები დამაყარეს, ვერ გავიმეორებ. მაგას რატომ კადრულობთ, მეგობრებო, სირცხვილია. თანაც ასე ხმაური როგორ შეიძლება, შენ უხდება ხალხი, – ვანამუსებ ამაოდ. მოდით, სიბილას ვკითხვით, ვისაც აირჩევს, იმისი იყოს, – ვეუბნები.

– კარგად გითქვამს, მარკიზ, – ვაქებ.

– შენ ასე გგონია, აფრასიონ? – მწარედ ჩაიციინა. – რალაც კაცურ-რი მაინც მეგონა შენში, შენ კი მართლა მარ-კი-ზი ყოფილხარ, – აგ-დებით მეუბნება ერთი მათგანი. ქალს, ბი-იი-ჯო, მოპოვება უნდა, შენ კი – ვკითხვით ვისაც აირჩევსო. თფუი! სად ნახე, გოგო, ეს ჯენტლმენ-ნი? – ახლა სიბილას ვკითხება.

– შევხედ-შემოვხედე, ბიჭებო, მომეწონა. არადა, გარეგნულად რა უშავს. ჰოდა, კინალამ არ მივეციო? – პასუხობს სიბილა.

რა უნდა მოგეცა, – ვეუბნები, – მე ხომ შენთვის არაფერი მითხო-ვია... ამ სიტყვებზე რაც დაემართათ იმ მანანწალა კატებს, ვერ გად-მოგცემ. ისეთი სიცილ-ხარხარი ატეხეს, რომ აქეთ-იქით გაგორდნენ. ეგ ვილაცაა, მთლად გოიმი ყოფილაო, ამბობდნენ. გული რომ იჯე-რეს, მეცნენ და ისე მიმბეგვეს, სული ძლივს მოვიტანე...

იოდი ნავუსვი ჭრილობებზე, ზოგიც შევეუხვიე და თბილად ჩა-ვანვინე. მთელი დღე იწვა. ზოგჯერ ძილში წამოიკრუსუნებდა და ისევ მილულავდა თვალებს.

სალამოს, ვხედავ, ისევ დაცუცქულა კარებთან...

* * *

ლიზაზე ფიქრი არ მშორდებოდა. არ ვიცი, რა იყო ეს, ლამაზი ქა-ლისადმი ლტოლვა, სიყვარული თუ მხატვრის ინტერესი. ალბათ, ყველაფერი ერთად.

რამდენჯერ ვცადე ქალაღზე გადამეტანა მისი სახე. არაფერი გამომივიდა.

გული ამეყარა ხატვაზე. სახელოსნოში ველარ ვჩერდებოდი. ერთხელ, თუნდაც შორიდან, მანახა, მეტი არაფერი მინდა, ვნატრობდი.

ზოგჯერ ეჭვი შემიპყრობდა: „იქნებ ყველაფერი მირაჟი იყო?“..

ვიცი, თემელ, შენი ხასიათი. ქალის მეტი რა არისო, მეტყვი შენებურად. მოეშვი მაგ რომანტიკულ გატაცებებს, დანყნარდი და კარს მომდგარ სიბერეზე იფიქრეო.

სიბერეს ფიქრი რად უნდა, შე კაცო, თავისით მოდის. წინასწარ გატყობინებს – ხან წელს აგიტკივებს, ხან გვერდს, ხან მუხლებს შეგისუსტებს, ხან... ყველაფერს ვერ იტყვი.

ერთხელ, იმ წყუელი ქუჩის სკვერში ვზივარ. ვხედავ, ჩემს „ნივასთან“ შავი „ჯიპი“ ჩერდება. მაღალი და საკმაოდ ტანსრული ახალგაზრდა კაცი გადმოდის და პირდაპირ ჩემსკენ მოეშურება.

– მიცანით?

– ვერა. ჩავიჩოჩე, – დაბრძანდით.

ოცდათხუთმეტი წლის იქნებოდა. საქმიანი კაცის ენერგია და თვითდაჯერება იგრძნობოდა მის მიხრა-მოხრაში.

– ალბათ, ძალიან შევიცვალე, – დაიმორცხვა, – აი, თქვენ კი ისევე ისა ხართ.

– გმადლობთ.

– ვანო მქვია, ბატონო აფრასიონ.

სახელმა ვერაფერი მითხრა.

– წინწკალაძე.

ვერც გვარმა.

– სიურპრიზი მაქვს თქვენთვის.

შენ იცი, თემელ, ბავშვობიდან გამოირჩეოდი ცნობისმოყვარეობით.

– საინტერესოა, გისმენთ.

– თავის დროზე, ბატონო აფრასიონ. ძალიან დამავალებთ თუ გამომყვებით.

– სად?

– ჩემთან, ოჯახში. თქვენი მანქანა აქ დავტოვოთ. როგორც წაგიყვანთ, ისევე დაგაბრუნებთ.

რამდენიმე წუთში „ჯიპი“ სამსართულიან სახლთან გაჩერდა. სახლი სვეტიცხიანი იყო და გალავანი ერტყა. ჭიშკარი თავისით გაიღო.

ეზოში ულამაზესი პალმები შრიალებდა. ერთ კუთხეში ბამბუკის ფანჩატური იდგა. ჭიშკარი თავისითვე დაიხურა. ფანჩატურის ერთ სვეტზე გალია ეკიდა, მოზრდილი თუთიყუშით.

– მობ-რრ-რ-დანდით, ბატონო... ხოშ ხელდი... დობ-რრ-რო პოჟუა-ლოვატ... ანტილ-ე... ველქამ... – ენად გაიკრიფა იგი.

– რა ლამაზი და ჭკვიანია, – აღტაცება ვერ დაეფარე, – რა ჰქვია?

– ციცერონი.

– შეეფერება. გამარჯობა, ციცერონ!

– პელოუ, სე-რრ-რ!.. – მერე ზურგი შემაქცია, – ვინაა, ბიჭო, ეს ნაგ-გავი?!

ვრცელ პოლში შევედით. მასპინძელმა სავარძელი შემომთავაზა, თვითონ ბარში შევიდა.

– რას დალევთ?

– ბორჯომს.

ვანომ ხონჩაზე ბორჯომის ბოთლი დადო. მერე მომცრო გრაფინ-ში რამდენიმე წვენი ერთმანეთში აურია, ცოტა ვისკი და რომელი-ღაც სასმელები აპკურა. ისევ აურია. ისიც ხონჩაზე დადო.

პოლი გემოვნებით იყო მოწყობილი. მარმარილოს იატაკზე სპარსული ნოხები ეფინა. მეორე სართულზე ამაველ რიკულებიან კიბეს მდიდრული ფარდაგი მიჰყვებოდა. კედლებს ძვირფას ჩარჩოებში ჩასმული ტილოები ამშვენებდა. ერთ სურათზე აბრეშუმის ნაჭერი იყო ჩამოფარებული.

– ახალია? – ვკითხე.

– არა. არც ძველი. როგორ მოგენონათ ჩემი მომზადებული ფუნჯი?

– ჯერ არ გამისინჯავს.

– მე განსაკუთრებული სტუმრებისათვის შევამზადებ ხოლმე.

– გმადლობთ.

მოვსვი. უცებ მწყურვალევით გამოვცალე ჭიქა. ისევ შემვივსო. ჯერ სითბომ დამიარა, შემდეგ წყნარი სიგრილე შემოვიდა და ჩამეფინა ტანში.

– ბრიჯის კუნძულებზე მასწავლეს მისი შემზადება. ოჯახით ვისვენებდი შარშან. ფუნჯის თაიგული რომ შეიგრძნო, ნება-ნება უნდა სუა.

მასპინძელი წამოდგა, სურათს მიუახლოვდა და ფრთხილად მოსწონია ფარდის ზონარი. ქსოვილი ნელა ჩამოცურდა ნახატიდან.

„ისაა, ჩემი „მარჯანის ფიქრები“!

– იცანით? – მეკითხება.

თავი დავუქნიე.

– მეც მიცანით?

– დიახ. მაშინ მგონი, ტანწვრილი ყმანვილი კაცი იყავით.

– როგორც კი შევიძინე, მაშინვე სოფელში ავეუტანე მარჯან ბაბუს.

– როგორ შეხვდა?

– ქალაღდი შემოვაცალეთ თუ არა, მუხლებზე დაეცა... ჩემი სვეიე, ჩემი ფერიად ქცეული ოცნებაო, ჩურჩულებდა.

მასპინძელი გაჩუმდა. დუმილი გაგრძელდა.

– ასე მგონია, მარტო მაგის სათქმელად არ მომიწვიეთ, – თქვა ბოლოს.

– მალე მარჯანი გარდაიცვალა. მე მათი მომავალი სიძე ვიყავი და მარჯანის თხოვნის თანახმად, ნახატი ქალაქში ჩამოვიტანე.

– ჰო, ეგ თქვენი საქმეა.

– ბატონო აფრასიონ, აქეთ მობრძანდით, – ვანომ მკლავში გამომდო ხელი და ჰოლის შორეული კუთხისაკენ წამიყვანა. – აქედან გაეხედოთ ახლა...

შევტრიალდი. უცებ გავხევედი. სურათის ქვეშ სვეიეს ორეული იდგა. ისთივე კაბით, მზისფერ-მთვარისფერი გრძელი თმებით...

თვალები მოვიფშვნიტე.

– ?!

– არა, ბატონო აფრასიონ, ეს ლიზაა – მარჯანისა და სვეიეს შვილიშვილი და ჩემი მეუღლე. მე მხატვარი არა ვარ, მაგრამ ვიცნობ შემოქმედის სულის რთულ და ფაქიზ ხვეულებს... როცა ლიზამ მომიტხრო იმ წვიმიანი დღისა და თქვენი უცნაური ქცევის შესახებ, მივხვედი, შეუცნობლად გაიღვიძა თქვენში სვეიეს სახემ...

– საიდან იცოდით, რომ იქ მიპოვიდით?

– რამდენიმეჯერ სახელოსნოში მოგაკითხეთ. დაკეტილი დამხვდა. ლიზამ მითხრა იქ იქნებაო...

ჭირის ოფლმა დამასხა.

– მე მარჯანის თხოვნა შევასრულე... ცუდი არაფერი ჩამიდენია... თუ არ გსურთ ეგ ნახატი, შემიძლია გამოვიწყიდო... – ვლულულულებდი.

– ეს ჩვენი ყველაზე დიდი განძია. იმიტომ, რომ იქ მარჯან ბაბუ და სევეია. იმიტომ, რომ იქ ჩემი ლიზაა – სევეის ხატება და შვილიშვილი. ჩვენ რამდენიმე წელია ქალაქში ვცხოვრობთ, მაგრამ ლიზა სიზმრებში და ფიქრებში სოფელში დაფრინავს. იქ მას... სევეის ეძახიან. კიდევ იმიტომ, რომ იქ ჩვენი ნკვერტიხეცია – ყველაზე მაღალი სოფელი.

ვანო სურათისა და ლიზას წინ გაჩერდა. უცებ მუხლები მოიყარა. ქალი შეირხა და მის თმებში ვარსკვლავები ათამაშდა. ქმარს თავზე შემოხვია მკლავები და მიიზიდა. მერე ნელ-ნელა ჩაცურდა დაბლა, თავი დახარა და კაცის მხრებზე მიმოაბნია ულამაზესი კულულები...

მე ჰოლიდან გამოვედი, სწრაფად გადავჭერი ეზო. ჭიშკარი თავისით გაიღო.

– გუდ ბაი, სერრრ!.. – მომადახა ციცირონმა, – ვინააა ეს კრ-რრე-ტინი!..

ჭიშკარი თავისითვე ჩაიკეტა.

ძალი ნისლიდან

გოდერძის უღელტეხილს რომ მიაღწია, საღამოს ექვსი საათი იქნებოდა.

მანქანა გააჩერა და გადმოვიდა. სხეული გაშალა.

ოქტომბრის ცხრამეტი იყო. აქ საკმაოდ ციოდა, დაბლა ხევხუვებში, სქელი ნისლი მიმოდოდა. ჭაჭანება არ იყო ძეხორციელის. ზვიადი სიჩუმე მეფობდა ირგვლივ. მესხეთს იყო შეგრილი. იქაურ კოლეგებთან ერთად სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ზოგიერთ საკითხზე მუშაობდა. უკან ბრუნდებოდა ახლა.

დაბლა ნისლი სქელდებოდა, ივსებოდა ხეობები. ზევით მოინეკდა დაგრაგნილი ქულები, ქარი თუ ტრიალებდა ჭიუხებში. ზურგს უკან ღრუბლებიდან ცაში აზიდულიყო მთათეთრობი.

აქ სიჩუმე იდგა ისევ.

შერგილი იცნობდა აჭარის მთიანეთს. სულ ცოტა ხანში ალბათ ჯოჯოხეთი დატრიალდებოდა უღელტეხილზე. დარჩენა არ შეიძლებოდა, მგზავრობაც არ ელოდა უხიფათო.

მანქანაში ჩაჯდა და ნისლების შესახვედრად გაეშურა.

მალე ჩამობნელდა. ფარები ჩართო. ქარი აწყდებოდა ფანჯრებს. ხელმარჯვნივ ელვა ჩაიკლაკნა უფსკრულში და გამაყრუებელმა გრგვინვამ შეაზანზარა კლდეები.

სეტყვა წამოვიდა.

შერგილმა მანქანა გააჩერა. აღარაფერი ჩანდა წინ. სეტყვა მსხვილდებოდა. მანქანის ძარაზე ბრაგაბრუგი გაჰქონდა მომსხო ბურთულებს.

„ფანჯრის მინებს ჩამიმტვრევს!“... – გაიფიქრა და უკანა სავარძელზე გადაჩოჩდა. საბარგულიდან დიდი სქელი პირსახოცი ამოიღო, მერე ქურთუკი გადაიფარა თავზე და გარეთ გავარდა. თავსა და სხეულზე ქვებივით ეყრებოდა სეტყვა. საქარე მინას გადააფარა პირსახოცი და ისევ შევარდა კაბინაში.

„დიდია უფალო, განგება შენი... მე თუ მომიწყვე ეს განსაცდელი?..“

უცებ შეწყდა ხოშკაკალი. ოდნავ აიკრიფა ნისლი. შერგილმა მანქანა დაძრა. ახალთახალი, მუხლუხებიანი საბურავების ქვეშ ახრაშუნდა თოვლის მკვრივი ბურთულები. ახალბედა მძღოლი არ იყო შერგილი, მაგრამ ასეთ ჯოჯოხეთში არასოდეს მოხვედრილიყო. სეტყვა კოკისპირულმა წვიმამ შეცვალა. გამალებით მუშაობდა სანმენდები. ნიაღვრები ჩამოეკიდა კბოდეებს.

„ზვავები ჩამონვება“, – გაიფიქრა.

საჭირო იყო სადმე უხიფათო ადგილზე გაჩერებულიყო.

ხუთი-ექვსი მეტრის იქით აღარაფერი ჩანდა.

„სად ვარ ნეტავ?“

ჯერ იმატა წვიმამ, მერე იკლო, ცრიატი მოდიოდა ახლა.

გზისპირას სილუეტი დალანდა. მხედველობა დაძაბა. მომეჩვენაო გაიფიქრა. არა, ვილაცა იყო იქ. ეს უფრო იგრძნო, ვიდრე დაინახა. სქელი ნისლი ისე ქანაობდა, იფიქრებდი, გამჭვირვალე სხეული ჰაერში ფარფატებსო. სინათლის ჭავლებმა რომ გადაურბინა, წამით გაქრა ხაზები.

„მომეჩვენა!“ – ის იყო, დაასკვნა, რომ ისევ ათამაშდა ნისლი და მქრქალი ხაზები გამოიკვეთა. მანქანა გააჩერა და დააკვირდა. ბურუსი იცრიცებოდა იმ ადგილას და უფრო იხატებოდა სილუეტი. „ქალია! – გაუელვა გონებაში, – ამ ჯოჯოხეთში მარტოდმარტო?..“

ამაყად შემართულიყო უფსკრულის პირას. ქვევით, პირდაღებულ წყვილიადში, ლოდებს ებრძოდა გაცოფებული მდინარე.

კარი გააღო.

– ქალბატონო, ქალ-ბა-ტონო!..

უცნობი შეირხა. შემობრუნდა. ახლა შენიშნა, რომ ზურგით იდგა გზისკენ. – უკაცრავად, ბარში მივდივარ და... ხომ არ ავცდი გზას?

– პირდაპირ იარეთ.

– გმადლობთ... თქვენ აქ რას აკეთებთ?

– ავტობუსს ვუცდი.

– მოვა?

– რა ვიცი.

– თუ ერთი გზა გვაქვს...

– არა, ვერ შეგანუხებთ.

– რას ბრზანებთ, აბა, რა შენუხებაა.

ქალი ნისლიდან გამოცურდა.

– თქვენ რომ გამოჩნდით, ეს ჯოჯოხეთიც შეწყდა. ალბათ, ჩემი მშველელი ანგელოზი ბრძანდებით, – ქათინაურად გაიკრიფა შერგილი.

– არა... ავტობუსს დავეუცდი... შეცბა ქალი. უკან გაბრუნებაც მოერიდა. – არ მინდა შეგანუხოთ, – გაიმეორა.

– მგონი, უნდობლობას არ უნდა ვიმსახურებდე, – ნათქვამს წყნაც გააყოლა შერგილმა.

ძალიან სურდა, რომ დამგზავრებოდა ეს ქალი.

იქნებ იმიტომ, რომ ეშინოდა მგზავრობა მარტოს?

თუ ქალისაკენ გაუნია გულმა?

ახალგაზრდა იყო ქალი, ტანმალალი. კაბინაში რომ შემოდოდა, თმები ჩამოეშალა და სახე მთლიანად დაუფარა. დაჯდომისთანავე შეიცურა თითები და ზურგზე და მხრებზე მიმოიყარა.

– სველი იქნებით, გცივათ ალბათ, აი, ჩემი ქურთუკი მოისხით.

– გმადლობთ. წვიმა და სეტყვა ზევით იყო. აქ, როგორც ხედავთ, ძაფიც არა მაქვს სველი. მართალს ამბობდა. შერგილმა ძრავა ჩართო.

– თუ სანინალმდეგო არაფერი გაქვთ... მე შერგილი დამიძახეთ.

– კარგი სახელია, ძველქართული.

– თქვენ?

– ფიქრია.

– შეგეფერებათ.

– რატომ?

– რალაც იდუმალა თქვენში, ფიქრივით... აქაური ბრძანდებით?

– ხეკიბეთში დავიბადე. გაგიგონიათ?

როგორ არა, საკმაოდ შორი სოფელია... რამდენიმე ხევს იქით.
„ნუთუ ამდენი გამოვიარე?“ – გაიფიქრა შერგილმა.

– მერე ქალაქში გავთხოვდი, – ამოიოხრა ქალმა, – თქვენი ბედი, რომ გზაზე არ შეყოვნდით. ზევით, რამდენიმე ადგილას, ზვაკი ჩამონვა, თუ არ ჩაგიტანდათ, ჩაგიხერგავდათ სავალს.

– თქვენ საიდანლა იცით?

– ხმაური გავიგონე.

– მე კი არაფერი მსმენია. ჰო, მართლა, რატომ ჰქვია თქვენს სოფელს ხეკიბეთი?

– ღელეებით დაქსელილია, ამდენი ღელე-ღურდანი, ალბათ, არც ერთ სოფელს არ ექნება აჭარაში. სოფლელები ერთმანეთს ხის საცალფეხო ხიდებით უკავშირდებიან. ხიდები აღმართ-დაღმართიანია. ფეხი რომ არ დაუცდეთ, კიბეებს აკეთებენ ზედ. ასე მოდის ძველი დროიდან, ამიტომაც ჰქვია ხეკიბეთი.

– გიყვართ?

– აქ გავატარე ბავშვობა – ჩემი ცხოვრების ყველაზე ლამაზი ხანა.

– არ გეშინოდათ ასეთი ხიდებით სიარული?

– ზოგჯერ, ნანვიმარზე.

მარცხენა ხელი საქარე მინის რაფაზე ედო. ოდნავ შებრუნებით იჯდა. კაცი მისი პროფილსაც ვერ ხედავდა ხეირიანად. სალონში ისედაც ბნელოდა თითქმის... გრძელი მწვანე კაბა ეცვა ფიქრიას... ვისაც ფერის შეგრძნება გამახვილებული აქვს, დამეთანხმება, რომ ნისლიან მწუხრში მისი გარჩევა არ გაუჭირდებოდა შერგილს. კაბას აქა-იქ ფოთლები ეყარა. წითელი არ იყო, ცხადია, არც ყავისფერი. ალბათ, ყვითელი. მწვანე ფონზე ეს უფრო იგრძნობოდა. ძალიან ლამაზი თმები მძიმედ ჩამოლვრილიყო ქალის მხრებზე. ჯერ შავი ეგონა შერგილს, ახლა იცოდა, რომ გიშრისფერი ჰქონდა. იქნებ ეს კაცის ფანტაზია უფრო იყო? იქნებ ასე სურდა დაენახა ქალი?

კიდევ... ლავინის ზემოთ... მარჯვნივ... ხალი.

„ეს ხალიც საიდან გაჩნდა! – გაიფიქრა შერგილმა და თავი გააქნია, – სიბერეში შევდივარ, წარმოსახვები კი ჯერაც ჭაბუკისა მაქვს...“

– შეილები გყავთ? – ჰკითხა.

– ქმარიც, – ერთგვარი ნიშნის მოგებით უპასუხა ფიქრიამ, – იმხელაა, რომ მისი ზომის ტანსაცმელი მაღაზიებში არ იშოვება. სადილად ერთი დიდი პური, რკინიგზულს რომ უნოდებენ, და შემწვარი მსუქანი დედალი სულს მოუბრუნებს.

– დღევანდელი ცხოვრებისათვის ძვირი მეუღლე გყოლიათ, – ჩაიცინა შერგილმა.

ქალს არაფერი უპასუხია, ოდნავ გააქნია თავი, უფრო საკუთარ ფიქრებში, მაგრამ მაინც შენიშნა შერგილმა. სველი და ოღროჩოღრო გზა მძლოლისაგან დაძაბულ ყურადღებას ითხოვდა. ავტომანქანის მართვის ოცდაათწლიანი გამოცდილება ჰქონდა და გვერდით მჯდომის შინაგანი ხედვის გრძნობა განუვითარდა თანდათან.

– თქვენს ნაცვლად სხვა რომ ყოფილიყო... – ფიქრია შეჩერდა. უცებ ჰკითხა: – არ გაგიკვირდათ, რომ მაინც ჩავეჯექი?

– ჰო... არა... მგონი. ის უფრო გამიკვირდა, კინალამ უარი რომ თქვით.

– რატომ?

– ჩემი ჭალარისადმი უპატივცემულობად მივიღე.

– ეგ თქვენი ფრიად კეთილშობილური ჭალარა თქვენს ენერგიას ვერ უთავსდება, ბატონო შერგილ.

„საიდან იცის?“ – გაიფიქრა კაცმა.

– ეს ალბათ თქვენი ორიგინალური ქათინაურია ჩემი ხნის კაცის გულის გასაკეთებლად, – სიცხილთ მიუგო.

ქალმა მხრები აიჩეჩა.

– მიიღეთ, როგორც გგონიათ.

კაცს უცნაურად ეჩვენებოდა ეს შეხვედრა; უფრო უცნაურად, ვიდრე სტიქიის მოულოდნელი ამძვინვარება. რალაცით იზიდავდა ეს ქალი, თან აფიქრებდა. გულსუსტი არ იყო შერგილი, მაგრამ... რა იყო ეს, შიში, რიდი თუ წინათგრძნობა? „ვინ არის ეს ლამაზი... რატომ ლამაზი? – უცებ დაიჭირა საკუთარი ფიქრი, – მე ხომ მისი სახეც არ დამინახავს. რამ გამოიყვანა ამ ყიამეთში?“

– თქვენ რომ არ გამოჩენილიყავით, უკან გაბრუნება მომინევდა, – თითქოსდა, თავისთვის ჩაილაპარაკა ფიქრიამ.

კაცი შეკრთა: „ჩემს ფიქრებს კითხულობს?“

– გრძელი გზის გავლა მოგიწევდათ ამ სიბნელეში. მერე კიდევ... თქვენი სოფლის საცალფეხო ხიდები...

– ღმერთმა გამომიგზავნა თქვენი თავი, ბატონო, – გაიმეორა.

– თქვენ ვინ გამოგზავნათ?.. – კინალამ „ჩემთვისო“, – დაამატა.

ქალმა იყუჩა. უტაქტო შეკითხვა გამომივიდაო, გაიფიქრა შერგილმა და ცერად გახედა ისევ. წამით შეხვდა მათ მზერა. განათდა და ჩაქრა უცებ ქალის თვალები... კაცს გააჟრჟოლა. „აღბათ მომეჩვენა, – გაიფიქრა მაშინვე, – სიბნელეს სჩვევია ასე“.

– ხეკიბეთში ჩემი მეგობარი გოგონას საფლავი მოვიწახულე. თანატოლები ვიყავით. დებივით ვიზრდებოდით. ერთად დავამთავრეთ სკოლა, მერე – ინსტიტუტი. დღეს ლელას დაბადების დღეა.

– რამდენის გახდებოდა?

– ოცდათხუთმეტისა.

„გამოდის ესეც ოცდათხუთმეტისაა... – გაიფიქრა შერგილმა, – ხმა და იერი თითქმის ბავშური აქვს, ყმანვილქალური“. – ძალიან გიყვარდათ ერთმანეთი? – ჰკითხა.

– ძალიან. თქვენ მეგობრები გყავთ?

კაცმა მხრები აიჩიჩა.

– საერთოდ უცნაური ხვედრისა ვარ, მეგობრებისათვის თავს გადავდებ, მაგრამ... სიკეთის წილ მტრობით მპასუხოვენ ხოლმე. გახსოვთ, აღბათ, დათა თუთაშხიას ამონათქვამი, ვისაც ჩავაცვი, სწორედ იმან გამხადაო...

– ესე იგი არა გყავთ?

– მყავს. უმეტესად ქალები. ისინი უფრო გულწრფელნი და უღალატონი არიან. რატომ მკითხეთ? – კითხვა შეუბრუნა.

– ლელა – ჩემი მეგობარი გოგონა – ზეცაშია, უკვე 14 წელია. მეორე ცოცხალია, მაგრამ არ იცის, რომ მისი მეგობარი ვარ.

– საინტერესოა.

– ოჰ, დიდი არაფერი. თუ ინებებთ, ლელას შესახებ მოგიტხრობთ.

– გთხოვთ. „გზა მაინც დიდი გვაქვს“, – გაიფიქრა

– დროის მოსაკლავად, ბატონო შერგილ, თორემ არ არის თქვენი ყურადღების ღირსი.

„შემშლის ეს ქალი ჭკუიდან. უკვე მერამდენედ მიბრუნებს ნააზრევს... თანაც დიდი ტაქტიით“...

ისევ ჩამოწვა ბურუსი. შუქფარები ვერ ერეოდა ნისლის ფარდას. წვრილად წვიმდა. შერგილმა ძრავა გამორთო და სალონში სინათლის ჩამრთველისაკენ გასწვია ხელი.

– გთხოვთ... არ არის საჭირო, – ფიქრია მ ხელისგული დააფარა, – ასე უფრო კარგად დავინახავთ ლელას, ხომ მართალს ვამბობ?

– დიახ.

– ლამაზი გოგო იყო. გაზაფხულის პირზე ახლად ამობიბინებული ბალახისფერი თვალები ჰქონდა. გრძელი შავი ნამწამებით დაჩრდილული. საუბრის დროს ხან ჩაუმუქდებოდა, ხან გაუნათებოდა. აი, ისე, მზიან კორდს რომ გადაურბენს ხოლმე ღრუბლების ფთილები. მისი სიცილი გვიყვარდა. გულიდან ნამოსული კისკისი იცოდა. სახე, თვალები, მთელი ტანი უცინოდა, თმებიც კი. ჩვენც აგვიყოლიებდა... თუ დაგვიგვიანებდა ღიმილს, აქეთ-იქიდან შევულიტინებდით გოგონები... ეჰ, კარგი დრო გექონდა... – ფიქრია გატაცებით ლაპარაკობდა. ახლა იგი თავის ყმანვილქალობაში გადასახლებულიყო. უცებ თმები შეარხია და უკან გადაიყარა. შერგილმა პირველად დაინახა მისი პროფილი და შეკრთდა, „თქვენ ხომ არ გგავდათ?“ – გაიფიქრა უნებურად.

– ერთი შეხედვით ამაყი გეგონებოდათ, სინამდვილეში გულისხმიერი, კეთილი და ნაზი სულის გოგონა იყო, – განაგრძობდა ფიქრია, – ზოგჯერ ზედმეტად გულბრყვილო და მიმნდობი, – დაამატა მცირე პაუზის შემდეგ, – არც მე ვიყავი გარეგნობით დაჩაგრული, მაგრამ მასთან სად მივიდოდი...

„ეს ქალი ჩემს აზრებს კითხულობს!“

– ჰო, კარგია-მეთქი სტუდენტობა, განსაკუთრებით გოგონებისათვის. მერე ოჯახი, ბავშვები, ათასი საზრუნავი... – ამოიოხრა, – ძნელია ქალის ხვედრი... რა ბედნიერები და ლალები ვიყავით... არც ბიჭების ყურადღება გვაკლდა, ლელას – განსაკუთრებით.

ბოლო დროს ერთი ახალგაზრდა კაცი აეკვიატა და მოსვენებას არ აძლევდა. დეიდასთან ცხოვრობდა ლელა, ქალაქის გარეუბანში, ლეონიძის დასახლებას რომ უწოდებენ. სახლში ავტობუსით ბრუნდებოდა. მერე ორასიოდე მეტრს ფეხით გაივლიდა და დიდი შენობის ეზოში შედიოდა... გარეგნულად, თითქოსდა, არა უშავდა იმ ყმანვილს, მაგრამ... როგორ გითხრათ... ისეთი იყო, პირველივე შეხვედრიდან რომ ვერ მოგანონებს თავს. ერთი სიტყვით, მომბაზრებელი ტიპი იყო... მგონი ნისლი აიკრიფა, ბატონო შერგილ.

დიახ, თქვენმა ამბავმა გამიტაცა, – კაცმა მანქანა დაძრა.

– ჰოდა, ერთ ბათუმურ, წვიმიან დღეს, ნამდვილი თქვენი რომ ჩამოდიოდა ციდან, ლელამ ქოლგა გაშალა და სირბილით გადაჭრა ქუ-

ჩა. ქარიანი თავსხმა იყო და ქოლგა წინ გადმოეწია თავის დასაცავად.

– ჩვენ ბოდიში, ლამაზო... ასე ვთქვათ... – მოესმა და ქოლგა ასწია. სამი ბიჭი იდგა მის წინ. ერთ-ერთი ის ტიპი იყო, – აგერ – ჩვენი მანქანა და აგერ კიდევ – ჩვენი წიტა, – ტიპზე ანიშნა მან.

– წიტა გქვია? – გულიანად გაიცინა ლელამ.

– ჰო, მეტსახელია მისი, – ჩაუბრუნა მეორემ, – გარდატეხის ასაკში რომ შევიდა, წიტები დააყარა ძალიან... ასე ვთქვათ, ზედმეტი ენერჯის გამო. კაი ხანს იყო ანიტული, ამიტომაც...

– მე ლევანი მქვია, – იუკადრისა „წიტამ“.

– ახლა, როგორც ხედავ ლამაზო, ერთი წიტიც აღარ აქვს.

– სამაგიეროდ, სული აქვს წიტებით სავსე, – უპასუხა ლელამ.

– თუ ეგ არ მოგწონს, აგერ ჩვენ ორის თავი შემოგვევლოს, ასე ვთქვათ... აირჩიე, რომელიც მოგწონს, – თქვა პირველმა.

ლელა აენტო.

– ახლავე ჩამომეცალეთ! – ნაბიჯი წინ გადადგა, – გზა – მეთქი!

– სწორედ მაგისტვის ვიცდით სამი საათი, ხო იცი შენ, – ჩაიცინა მეორემ, – თუ ნებით არ წამოგვყვები... – და შეთანხმებულებივით ეცნენ გოგონას.

მე კარგად ვიცნობდი ლელას. ეს ნაზი და გულმიმყოლი გოგონა ჭირში შეუპოვარი ხდებოდა. ერთ-ერთს ფეხსაცმლის ჭვინტი ამოჰკრა კაცებისათვის ყველაზე მტკივნეულ ადგილას. დარტყმა ისეთი ძლიერი გამოვიდა, რომ იგი ადგილზე ჩაიკეცა. ორმა ხელები გადაუგრიხა და მანქანისაკენ წაათრია.

– ახლავე გაუშვით! – გაისმა ვილაცის მშვიდი ხმა.

მათ წინ ორმოცი-ორმოცდაორი წლის მამაკაცი იდგა.

– რა შენი საქმეა, რომ ეჩრები, – თქვა „წიტამ“ და მაშინვე ისეთი დარტყმა მიიღო უცნობისაგან, რომ ჯერ მანქანას მიეხეთქა, მერე ტბორში გაიშხლართა.

– შენც ხომ არ გინდა? – მიუბრუნდა მესამეს.

მან ხელები ასწია. საერთოდ წინააღმდეგი ვიყავი ამ საქმისაო, – ჩაიბურტყუნა.

უცნობმა მისამართი ჰკითხა ლელას. გოგონა მომხდარისაგან გაოგნებული და დაბნეული იყო. ძლივს უპასუხა. მერე არც უცნობს

ამოულია ხმა. სადარბაზომდე მიაცილა და დაბრუნდა. ლელას მადლობაც არ უთქვამს, ისე შეეარდა სახლში.

რამდენიმე დღეში დაადგინა თავისი მხსნელის ვინაობა.

გიგა ქალაქში ცნობილი პიროვნება იყო.

– სად მუშაობდა? – შეეკითხა შერგილი.

ქალმა არ უპასუხა.

– გვარი მაინც მითხარით, ფიქრია.

– სახელიც არ მითქვამს ნამდვილი. ქუჩაში რომ შეეფეთებოდა, აღმური მოედებოდა სახეზე, მთელს ტანზე; გული აუფორიაქდებოდა, ფეხები აერეოდა...

ვხედავდი, რაღაც ხდებოდა მის თავს.

– გიგა ვერ ცნობდა?

– წარმოიდგინეთ წვიმისაგან გალუმპული, განენილი, შიშისაგან თითქმის შეშლილი გოგო...

– ჰო, ცხადია.

– თვრამეტი წლის ქალიშვილს თავდავინყებამდე შეუყვარდა შუახნის მამაკაცი. მე ვკიცხავდი, მას არაფერი ესმოდა.

არ დაგიმალავთ, ზოგჯერ მშურდა კიდევაც მისი. ალბათ, მართლა დიდი ბედნიერებაა, გიყვარდეს, ვფიქრობდი.

ბოლოს მათი გზებიც გადაიკვეთა.

ჩვენი თანაკურსელი ვაჟის ქორწილზე მოვიდა. კოტეს მამის მეგობარი იყო თურმე ბატონი გიგა.

ლელა თვალებს ვერ აშორებდა.

– შეხედე, ფიქრია, – მეუბნებოდა, – განა ყველასგან არ გამოირჩევა? ვინ შეედრება ჩემს გიგას?

– მაგ „შენს გიგას“ კაი საცოლე ბიჭი ჰყოლია, ლელა, კიდევ, შენი კბილა გოგო. როგორც გავიგე, ცოლიც ცოცხალი და ჯანმრთელი ჰყავს და არც განქორწინებას აპირებს თურმე.

– რა მისი ბრალია, რომ ადრე დაიბადა... მე კი – გვიან.

– სამყაროა ასე მოწყობილი, ლელა, ძველი მიდის, ახალი მოდის. შენ შენი ასაკით უნდა იცოცხლო და იცხოვრო.

ჩემი არ ესმოდა ლელას. უცებ დაიძაბა. მის თვალთა მზერას ჩემიც გავაყოლე. ვილაც ქალთან ერთად ცეკვავდა ბატონი გიგა. ისე საუბრობდნენ, ჩანდა, კარგი ნაცნობები იყვნენ.

ლელა წამოდგა. მე შეჩერება მინდოდა, მაგრამ ნერვიულად ამიქ-
ნია ხელი. უნდა ვიცეკვო, მითხრა. მოდი ერთად ვიცეკვოთ-მეთქი.
გააქნია თავი. ჯერ არაო, მიპასუხა. წავიდა და გიგას შორიახლოს
გაჩერდა.

ქალმა გაუღიმა და, მობრძანდითო, დაუთმო.

მერე გიგამაც გაინვია ლელა.

ისე, ცუდად არ გამოიყურებოდნენ, რალაც უხილავი პქონდათ, სა-
ერთო... რომ იგრძნობ, ვიდრე შევნიშნავ. ცეკვავდა ერთად ტანა-
შოლტილი, ულამაზესი ასული და საფეთქლებშევერცხლილი, ენერ-
გიით სავსე მამაკაცი. „ყვავილების ქვეყანაა ჩოქვით შე-მო-ვი-არ-
ეე“... – გრძნობით ასრულებდა პოპულარულ სიმღერას ახალგაზ-
რდა შემსრულებელი.

ცნობისმოყვარე სახეები მატულობდა. რალაც სხვანაირადააო სა-
ქმე, თვალებით ეუბნებოდნენ ერთმანეთს.

ლელა და გიგა მხოლოდ ერთმანეთს ხედავდნენ. ლელას სახეს შე-
ფაკლოდა. გრძელი წამწამებით დაჩრდილული ზურმუხტისფერი
თვალეები დაეხარა და მორცხვი ღიმილით პასუხობდა გიგას. ასეთი
ბედნიერი და გასხივებული არასოდეს მენახა.

გიგას ადგილას, ალბათ, მეც ვერ დავრჩებოდი გულგრილი.

„რა კარგი ხარ და როგორი სულელი!“ – ამოვიოხრე ჩემთვის.

უცებ გაჰქრნენ. ამაოდ ვეძებდი დარბაზში. ეზოც მიმოვათვალიე-
რე...

მეორე დღეს ინსტიტუტში არ მოსულა. სალამოს დავურეკე.

სახლშია, ცოტა შეუძლოდაა და წევსო, მიპასუხა დეიდამისმა.
გულმა არ მომითმინა და მივაკითხე.

დამინახა თუ არა, თავზე საბანი გადაიფარა. სანოლის კიდეზე ჩა-
მოვჯექი.

– დიდხანს აპირებ მასე ყოფნას? – შევეკითხე.

უცებ წამოჯდა და ჩამეკრა. მთელი ტანით თრთოდა. ტუჩებს ამ-
ოძრავებდა, რალაცის თქმა სურდა, მაგრამ ვერ მოეხერხებინა.

წყალი მივანოდე. მოსვა, ოდნავ მოეშვა. ინსტიტუტის ამბები მო-
უყყევი, ცოტა წავუჭორავე, საუბარში ავიყოლიე.

– ახლა კი შენი ამბავი მითხარი, – ვთხოვე.

მანქანით გაესეირნათ, მერე ქალაქგარეთ მყუდროდ გაჩერებუ-
ლიყვნენ.

– რალაცაზე გაცხარებით მესაუბრებოდა... მგონი, თავის ახალ ნაშრომზე. მე მისი არაფერი მესმოდა, სახეში შევეყურებდი მხოლოდ და ერთი სურვილი მქონდა, მომფერებოდა. – უცებ გაყურდა ლელა.

– მერე?

– გონს რომ მოვედი, მის ხელებში ვიყავი.

– სულელო! – ხელი ვკარი.

– მე ბედნიერი ვარ, ფიქრია.

– არა!.. უბედური ხარ, უბედური, ლელა!

– რატომ? ცუდი არაფერი მომხდარა.

– ესე იგი...

– ჰო, არაფერი. ამიტომაც მიყვარს უფრო ძლიერ. კიდევ უფრო ძლიერ. არადა, გამოგიტყდები, რომ მოესურვებინა...

– გასაგებია, ახლა რას აპირებთ?

– არ ვიცი. გიგამ ორჯერ მიხსნა... ჯერ – სხვისგან, მერე – საკუთარი თავისგან.

– უფრო სწორად, ისევ შენგან, – ჩავურთე.

კვლავ გადაურბინა ალმურმა.

– გიგა ნამდვილი რაინდია, მთელი ჩემი ცხოვრება ასეთ მამაკაცზე ვოცნებობდი. ახლა როგორ დავთმო... – უცებ თავი ასწია, პირდაპირ შემომხედა და ჩურჩულით თქვა: – მე ვერ ვიქნები სხვასთან, ვერ შევძლებ!..

მშურდა მისი, თან მებრალებოდა.

დღეს არავის უყვარს ასე, ბატონო შერგილ! ა-ლა-რა-ვის!

დეიდამისმა გოგონას მშობლებს შეუთვალა, სასწრაფოდ გაათხოვეთ, თორემ მერე გვიანი იქნებაო.

მშობლებმა სოფელში წაიყვანეს და ოთახში გამოკეტეს. მალე უფრო სასტიკი საპყრობილე მიუსაჯეს – გაათხოვეს სხვაზე შეყვარებული გოგო.

კარგი ოჯახისშვილი შეურჩიეს. დედოფალივით ჰყავდათ ლელა.

ცოლის მზეს ფიცულობდა ქმარი.

ის კი თვალსა და ხელს შუა ილეოდა, დნებოდა...

სისხლის გათეთრებააო, დაუდგინეს ექიმებმა და უმწოდ აიჩიეს მხრები.

სიკვდილის წინ თვლებით მანიშნა, ჩემკენ გადმოიხარეო.

იმისი სახელი ამოიჩურჩულა და გათავდა.

– გიგას? – შერგილმა საკუთარი ხმა ვერ იცნო.

სიცილი მოესმა. თანდათან შორდებოდა. მანქანის კარი ღია იყო. „როდის გავაჩერე... როდის გადავიდა კაბინიდან?“ – გაიფიქრა.

კვლავ ჩაესმა სიცილი, ახლა უფრო შორიდან. ჰაერის რხევას ნა-აგავდა ეს – ჰა-ჰა-ჰააა!.. მაგრამ დიდი ნაღველი ახლდა.

გარეთ გავარდა შერგილი. შეშლილივით აწყდებოდა აქეთ-იქით. რალაცას ყვიროდა, ეძახდა ვილაცას. უცებ გონებით დაიჭირა საკუთარი ამოძახილი...

– თე-ააა!.. თე-ააა!..

თავზარი დაეცა. ერთხანს იდგა ასე, მერე ბარბაცით წავიდა მანქანისაკენ.

– რად მიმატოვე, თეა.

– ვიცი, მეძებდი, რაც დრო გადიოდა უფრო მეძებდი, – ნაცნობი ხმა მოდიოდა ნისლიდან.

– მაგრამ... შენ ხომ ფიქრია ხარ...

– მე თეა ვარ. ფიქრია ჩემი შინაგანი ხმა იყო მხოლოდ, ჭკუას რომ მარიგებდა ერთთავად. – ქარმა ნისლი მიმოყარა და უფსკრულის პირას კვლავ გამოიკვეთა ქალის სილუეტი. მაღალ ყელზე, ლავინის ზემოთ, პატარა ხალი დაინახა შერგილმა.

„შენი ყველაფერი მშლიდა ჭკუაზე, განსაკუთრებით ეს ხალი“...

– ჰო, გეძებდი, თეა, ძლივს გიპოვე... ნუ დამტოვებ... მე უშენოდ არ შემიძლია.

– არც მე, – თეამ შერგილისაკენ გაიშვირა ხელები, – წამოდი ჩემთან.

– შენთან?

– ჰო, ჩემთან.

– მოვდივარ, თეა... – უცნაური სიმსუბუქე იგრძნო. მანქანიდან გადმოვიდა. უფრო – გადმოცურდა. ქალმა ხელები შემოჰხვია და ჰაერში აიტაცა. შერგილმა იგრძნო, როგორ მოწყდა დედამიწას. უფსკრულის თავზე მიფრინავდნენ ახლა. უცებ სიმღერა შემომესმა: „ყვავილების ქვეყანაა, ჩოქვით შემოვიარე-ეეე, რომ მითხარი მოვალ-ოოო, რატომ დაიგვიან-ეეე“... – ხმა იცნო შერგილმა.

ნისლებში, ერთმანეთს ჩახვეული, ცეკვავდა წყვილი...

„ბედნიერი ვარ, შერგილ!“

„მეც, თეა!..“

დაბლა, ბნელ სიღრმეში, ლოდებს ებრძოდა აჭარისწყალი.
დილით ზვავეებისაგან გზის გასანმენდად გასული ბულდოზერი ხეობის პირას გაჩერებულ “ნივას“ მიადგა.
აღმოსავლეთით, მთის წვერზე, ბრდღვიალებდა მზე.
ჭალარა მძლოლი საზურგეს მიყრდნობოდა და უძირო სივრცისათვის მიეპყრო ფართოდ გახელილი თვალები.
სახეზე ნეტარი ღიმილი შეჰყინვოდა.

დედაპაცი

ფრთხილად გამოცურდა ლოგინიდან. ბავშვებს მოუხედა. ბათუკის ხელისგული ამოედო ლოყის ქვეშ. ტუჩებს აცმაცუნებდა დროდადრო. დილის ზმანებებში იყო ბიჭუნა. თიკას მზისფერ თმებში გაბლანდოდა თავი. ბულული გადაუნია და ლოყაზე ეამბორა. გოგონა შეიმშუშნა და გადაბრუნდა.

„ლამაზი იზრდება... მალე თორმეტის გახდება, სხვანაირი ჩაცმადახურვა უნდა. ე-ეჰ, ლადო, ლადო, ეს რა მიყავი ბიჭო, რა დღეში ჩამაგდე!“ – თვალები ცრემლებით გავესო, ლოყებზე გამოეღვარა და ნიკაპზე დაეკიდა. ხელუკულმა შეიმშრალა.

სარკესთან მივიდა. თმები უკან გადაინია. ოქროსფერი ჰქონდა. ჭალარა არ უჩანდა. ეს – შორიდან. ლადოს შემდეგ წამოუვიდა. ქალმა ამოიოხრა. უფრო – ამოისლუკუნა, შიშით მოუხედა ბავშვებს, არ გავალვიძო.

ლამაზი ტანი ჰქონდა, უბესავსე. უბეში სინათლეები ელაგა თითქოს. მრგვალ-მრგვალი ნათურები. შუაში წამონვეტებულები. იმ ნათურებს ჯერ კიდევ მოსდევდა ლადოს ხელების სითბო, ამიტომაც ნათურობდნენ ჯერაც. დალიმ ხელები დაიწყო ზედ – ლადოს რომ სჩვეოდა, ისე. მერე ხელებს ლოყით შეეხო – როგორც თვითონ სჩვეოდა. თვალები დახუჭა. ასე უყვარდათ დგომა სარკესთან. ქალი გრძნობდა მამაკაცის ტანის სიძლიერეს, გახშირებულ სუნთქვას და მუხლებში ძალა ერთმეოდა. ითენთებოდა. კაცი ხელში აიყვანდა...

მეზობელ ოთახში გავარდა. იქ მოიოხა გული.

– სამსახური? ქალ-ვაჟს მიზრდი, დალი, ამაზე დიდი სამსახური განა შეიძლება ჰქონდეს ქალს, ძვირფასო?! – ეტყოდა, – ოჯახი მე შეეკმენი, რჩენაც ჩემი საქმეა! – დასძენდა.

„ნეტავ არ ვყოფილიყავ შენით ბედნიერი,.. უშენობა აღარ მეტკივნებოდა ასე ძლიერ!..“

ლალი და ნებიერი იყო ლადო, ნაცნობ-მეგობრიანი, მომლხენი, გულგახსნილი, მოხარხარე, მღერალი, ჭირმოზიარე, ქალთამპყრობი... მაგრამ მაინც ცოლზე უზომოდ შეყვარებული.

– შენს ლადოს წელწვრილები და მკერდასვეები უყვარს, – ტანის შეთამაშებითა და მზაკვრული ჩალიმებით უთხრა ერთმა ნაცნობმა ქალმა დალის.

– ვიცი, ამიტომაც შემირთო მე.

– უცხო ქალები, უცხო, – დაუზუსტა იმან.

დალიმ შეათვალიერა ნაცნობი.

– არა, შენ ეგ ნამდვილად არ გემუქრება, – ათვალწუნებით მიუგოდო და შებრუნდა.

ქმრის ნათამაშებებს არ იმჩნევდა დალი.

– რა ჰქნას, თუ მის გამოჩენაზე ქალებს ცეცხლი ეკიდებათ. აკი მეც აბრიალებული დავდიოდი ჩემი ლადოს სიყვარულით... კი, ახლაც დავდივარ, გო!

უბედურება უცებ მოშვავდა.

ლადო შემხვედრ მანქანას დაეჯახა. იმ მანქანას ყმანვილი კაცი მართავდა. ადგილზევე გარდაიცვალა. ლადო საავადმყოფოში გააქანეს. სამი დღე ებრძოდა სიკვდილს.

ვერ გაუძლო. სამართალდამცავებმა ლადო დაადანაშაულეს.

დალი ორივეს გლოვობდა. ერთიცა და მეორეც თვითონ დაასაფლავა.

თუ ამდენს არ მოგვიტან, შენს პატარებსაც იგივე დაემართებათო, – შემოუთვალეს. უსიტყვოდ დაჰყვა.

ქალაქის ცენტრიდან გარეუბანში გადასახლდნენ, ოთხოთახიანიდან ერთოთახიანიში, ურემონტოში, მოუნყობელში...

ქმრის მრავალრიცხოვან სამეგობროდან არავის გახსენებია, სიტყვითაც არ მოუკითხავთ.

მიდგა-მოდგა დალი. კერძო ოფისებში დაინყო მუშაობა. ერთში – კურიერად, მეორეში – დამლაგებლად. ასე გაჰქონდა თავი.

უჯრა გამოაღო.

ათლარიანი იდო იქ. უახლოეს ხელფასამდე სამი დღე იყო დარჩენილი.

„პურსა და კარტოფილს ვიყიდი. კილოგრამ შაქარსაც. გავიტანთ როგორმე“, – გაიფიქრა. ცელოფანის პარკები ჩანთაში ჩაჩურთა და ფრთხილად გავიდა ბინიდან.

ბაზარი შორს იყო, მაღაზიები – ახლოს, ყოველ ფეხის ნაბიჯზე. მხოლოდ კარტოფილი უნდა შეეძინა ბაზარში. თითოეული თეთრი გათვლილი ჰქონდა.

ფეხით გაუდგა გზას.

პირისპირ კაცი მოდიოდა. მოხუცი იყო. იცნო. ბატონი კარლო ბრძანდებოდა. კარლო მასწავლებელი. მთელი სკოლის რისხვა. მარტო მოსწავლეების არა, მასწავლებლებისაც. მხოლოდ ცოდნა გადიოდა მასთან.

„როგორ მოტეხილა, ღმერ-თო!“...

მოხუცი მიუახლოვდა. შეჩერდა. უცებ ხელი გაუწოდა.

– გაგიმ.. – დალის ბაგეზე შეეყინა ეს რამდენიმე ბგერა.

– დამეხმარეთ, ქალბატონო, ღმერთი შეგენევათ.

ქალს მეხი დაეცა. კარლო მასწავლებლის სიტყვა თითქოს კანონი იყო უჯრაც, – დაუფიქრებლად გახსნა ჩანთა და ერთადერთი ათლარიანი გაუწოდა.

– გმადლობთ, შვილო, ასგზის სიკეთით დაგბრუნებოდეს... – ბუტბუტით ჩაუარა. ქალი თავზარდაცემული იდგა. ფეხს ველარ იცვლიდა ადგილიდან.

„რალა ვქნა ახლა... რა ვაჭამო ბავშვებს...“ – ეს სიტყვები უტრიალებდა თავში.

„მინც ვინაა ნეტავ ის ღვთისნიერი ქალი, ამხელა ფული რომ გაიშეტა? – ფიქრობდა ბერიკაცი, – ღმერთო, შენ გაუმართე ხელი ყველა საქმეში... ეჰ, ეს ჩემთვისაა დიდი ფული, თორემ მისთვის, ალბათ კაპიკებია... პურს, კარტოფილს, ცოტა შაქარსაც ვიყიდი და ერთხანს მეყოფა...“

პროდუქტებით სავსე ღია სავაჭროსთან გოგონა შენიშნა. გამხდარი იყო. დიდთვალება. ოქროსფერთმიანი. შორიახლოს იდგა და ათასგვარ ნუგბარს შესცქეროდა. მოხუცი შეჩერდა. გოგონამ მოუხედა, მაგრამ ვერ დაინახა. ისევ ლამაზად აბრჭყვიანებული ფოჩბიანი კანფეტები ტრიალებდა მის თვალებში.

– გ შია, გოგონი? – ჰკითხა.

– ჰო... არა, მე – არა, ჩემს პატარა ძამიკოს – კი. დედამ, ფული გაგვითავდაო. მე დიდი ვარ, ბათუკი – პატარა. ხუთისაა მხოლოდ. დედაც მეცოდება.

მოხუცმა ათლარიანი გაუნოდა.

– თუ მასეა, კანფეტები არ გინდა, კარგი? – მოხუცს ნერწყვი მოადგა პირზე, – პური, კარტოფილი და ცოტაც შაქარი იყიდე.

– მე მათხოვარი არა ვარ.

– ვიცი. მაგრამ... შენს პატარა ძამიკოს შია... აიღე.

– გმადლობთ, – გოგონა დახლთან მივიდა, გამყიდველს ფული სასწორზე დაუდო და მოხუცის დანაბარები გაუმეორა – პური, კარტოფილი და შაქარი მომეციო.

ბერიკაცი ტროტუარს გაუყვა. უცებ სისუსტე იგრძნო მუხლებში, შებარბაცდა.

– ცუდად ხომ არა ხარ, ბაბუ? – მოესმა.

წინ ლანდი იდგა. დააკვირდა. ვერ გაარჩია. თავი დაუქნია.

ლანდმა ხელი შეაშველა.

– აქეთ მობრძანდი, – სკამი შესთავაზა, – დაბრძანდი. დაისვენე.

მერე მის წინ დაიხარა.

რამე ხომ არ გსურს?

– წყალი.

– ახლავე. საჭმელიც მოვატანინო?

მოხუცს არაფერი უპასუხნია. უცნობმა მუხლებზე ლანგარი დაუდო. ზედ ქათქათა ქსოვილი დააფარა.

– ეს ჯადოსნური სუფრაა, კარლო მასწავლებელო.

– შენ ჯადოქარი ხარ?

– ჰო, ახლა მაგ სუფრას ვუბრძანებ და საჭმელიც გაჩნდება. შენ ოღონს ისურვე.

მოხუცს ლამაზი ცხოვრება გამოეველო. პატივიც ჰქონდა თავის დროზე. ჯილდოებიც, ბანკეტებიც, იუბილეებიც... უცებ თვალწინ გაურბინა ნაირნაირი საჭმელებით დატვირთულმა მაგიდებმა. რა არ ელაგა ზედ... შემწვარი ინდაურები, გოჭები, ხაჭაპურები, სხვადასხვა სასმელები...

– ცო-ოტა ლობიო და მჭადი... თუ შეიძლება.

უცებ საოცნებო საჭმლის სურნელება მისწვდა მის ყნოსვას.

– მე არ გახსოვართ, კარლო მასწავლებლო?
– არა... დავებრდი, შვილო. მაპატიე.
– მე კი მახსოვხართ, სანამ ცოცხალი ვარ, მემახსოვრებით.
– გმადლობთ.
– მეათე კლასში საშემოდგომო გამოცდა გამომყვა პირველად...
მოსუცს ლუკმა გაუშეშდა ჰაერში...
– თქვენს საგანში.
ქალს გოგონამ გაულო კარი.
შეცბა.
– საჭმელს აკეთებ?
– კარტოფილს ვწვავ, დედი.
– საიდან?!..
– ერთმა კაცმა ფული მაჩუქა და ვიყიდე.
– კაცმა?! – მხრებში მოჰკიდა ხელი და შეანჯღღრია, – კაც-მა?!
– მოხუცი იყო... გამიშვი, მეტკინა, დედა.
ქალს მუხლები მოეკეცა.
– იმათხოვრე, შვილო?
– არა. გეფიცები, არა. თვითონ მაჩუქა, ისეთი კეთილი სახე ჰქონდა...
ოჯახში რამე იყიდეთ.
„მდიდარი იქნებოდა ვინმე“, – გაიფიქრა დალიმ. – ხელფასამდე გვეყოფა, შვილო?
– გვეყოფა, დედი.
ტროტუარზე სწრაფად შეგროვდა ხალხი.
მოსუცი შორს, უსასრულობაში იცქირებოდა... ვილაცამ მაჯა გაუსინჯა.
თავი გააქნია...
იმ ღამით ქმარი ესიზმრა დალის.
ბავშვებს მიმიხედეთ. იცოდეთ, მე უბრალო ვარო.
– რა?
– დამაბრალებს. ბავშვები არავის დააჩაგვრინო!.. – და გაფრინდა.
– კიდევ მითხარი რამე!
– უბრალო ვარ, და-ლიი!.. – ნისლებიდან თუ ღრუბლებიდან მისწვდა ლადოს შორეული ხმა.
გაელვია.
რიჟრაჟი შემოდინდა ოთახში.

გარეთ წვიმდა. მსხვილი წვეთები ძალუმად ეხლებოდა ფანჯრის მინებს.

დაჩაგრული, ბედისაგან განადგურებულ-დათრგუნული არსები-დან ცეცხლად, გრიგალად, ცხრა ულელ-ხარის გამწევ დედაკაცად წამოიშართა დალი.

გამომძიებლებს საქმის გადახედვა მოუხდათ.

ყმანვილი კაცი ნარკომანი აღმოჩნდა. აღრიცხვაზე იმყოფებოდა. იმ დღეს დიდი დოზა მიეღო...



დედის ნატრული

(ისტორიული ნოველა)

„შვილი ჩემი საყვარელი, სანატრელი გულით, სულით, სიცოცხლეში მონყვეტილი უნახავად დაკარგული“.

ათას ორას თოთხმეტი წელია. საქართველოში ლაშა-გიორგი მეფობს თამარის ძე.

ქარი ძალუმად აშრიალებს უზარმაზარ მუხის ტოტებს ველისციხეში. მის შრიალში სიყვარულის მარადიული სიმფონია ისმის.

უტყუარმა ინსტიქტმა, რაც დიდ გრძნობას ახასიათებს, თუ გამოიყვანა ანანო ქმრის სახლიდან და მეფის ამალას წინ დაუყენა. მისი ყურყუმალა შავი თვალების მაგიური მზერა საქართველოს მეფეს, ლაშა-გიორგისაც მისწვდა, რომლის წინ ცეცხლოვანი წრეები ათამაშდა და თავისი მწველი მზერით მანაც აგრძნობინა გულისთქმა ქალს.

ანანოს მიბნედილი თვალების იდუმალმა ხიბლმა, რალაც ირეალებურ, მისტიკურ სამყაროში გადაიყვანა ლაშა გიორგი.

– ბედნიერებას უნდა დაეწიო და დაიჭირო. მისი მოპოვება ძალიან ძნელია და ამიტომ მხოლოდ გაბედულთა ხვედრიაო – ასე ფიქრობდა მაშინ იგი.

ისტორია გვამცნობს: „მეფეს მოეწონა ველისციხელი გლეხის ქალი, ქმარს წაართვა და სასახლეში წამოიყვანა“-ო.

მეფისათვის არც თუ მოსაწონი საქციელია ხომ?! სიყვარულის კანონები სულ სხვაა და სამეფოსი – სხვა.

მეფეს ჯვრისწერის ნება არ დართეს.

– უგვანო როგორ უნდა დაისვაო ცოლად – აღშფოთდნენ სამღვდელთა და დიდგვაროვანნი. მდაბიოთ კი გულში სიამაყის გრძნობა გაუჩნდათ. ჩვენშიც მოიპოვებაო, თურმე, მეფის საფერი.

ანანო... შავთვალემა, მერცხლის ფრთასავით გაფრენილი წარბებით, თეთრად გადაფითქინებული, ტანკენარი. ვინც მას დაინახავდა, განცვიფრებას ვერ მალავდა.

– მოჩვენებაა თუ ქალიო – ფიქრობდა. არამინიერი სილამაზე ჰქონდა ქალს.

ლაშა გრძნობდა, რომ ანანოს სიახლოვეს ბედნიერებით ივსებოდა. თითქოს გულიდან სიყვარულის ნიაღვარი მოჩქეფდა. სულის სიღრმეში სწვდებოდა ლაშას ანანოს მომაჯადოებელი ხმა-სიცოცხლეზე მეტად მიყვარხარ, სულო...

მერე შორიდან თითქოს ტრაგიკული სიტყვები ისმოდა. ეგ არასოდეს იქნება შენი რჯულიერი მეუღლე. მერე სიტყვები იხლართებოდა, სევდისა და სიყვარულის ნიაღვარი ერთად იღვრებოდა, ლურჯ ცაზე ნამგალა მთვარე ეკიდა და ტკბილი სიზმრებიც იწყებოდა. „ვეფხისტყაოსნის“ გმირებს ნესტანსა და თინათინს, ანანოში ვერ არჩევდა, ლაშა ვერ უმკლავდებოდა ნიაღვარივით მოვარდნილ სიყვარულს და ბედნიერების მორევში ცურავდა.

უხაროდა ლაშა-გიორგის, თავად უმშვენიერეს ვაჟკაცს, რომ გვერდით მისი საფერი ჰყავდა და არად დაგიდევდა მის მდაბიურობას.

– ცოდვას ჩადიხარ, მდაბიო რომ გიზის ცოლადო – ჩასჩინებდნენ.

– მეტ ცოდვას თუ არ ჩავიდენ, ეს ცოდვა მაპატიოსო გამჩენმა – პასუხობდა.

რა იცოდნენ მაშინ, რომ გაივლიდა რვა საუკუნე და ისეთი წყობილება დამყარდებოდა, რომ საკმევლის სურნელს დაივიწყებდნენ, ღმერთს სიზმარშიც ველარ იხილავდნენ, მდაბიონი წინ წამოიწეოდნენ, ხოლო დიდებულებს ვაგონებში ჩაცხრილავდნენ.

ანანოსათვის ირგლივ ყველაფერი მომხიბვლელი იყო, გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა, ზამთარი. გვერდით ლაშა-გიორგი ჰყავდა, ერთიანი საქართველოს მეფეთა მეფე. მერე ვაჟიშვილი შეეძინათ, დავითი დაარქვეს.

გავა შვიდი საუკუნე და მერე იტყვის პოეტი ალექსანდრე ჭავჭავაძე სიყვარულზე: „შენგან მეფე მონას ეყმოსო“... ეყმო კიდეც მეფეთა მეფე ანანოს. ყოველ სურვილს უსრულებდა. „იგი ცოლ-შვილს გვერდიდან არ იცილებდა, დაჰყავდა იმერეთს, გეგუთს, გელათს, ქუთაისს, აფხაზეთს“.

მათ ბედნიერებას საზღვარი არ ჰქონდა. ლაშას ცოლ-შვილზე მეტად, მშობლიური ქვეყნის გარდა, სხვა არვინ უყვარდა და არც ეტყობოდა, რომ გული ოდესმე შეეცვლებოდა. დიდებულებმა პირად შეურაცხოვად მიიჩნიეს მდაბიოს გადედოფლება და არც ადედოფლეს. ღრმად დარწმუნებულებმა, რომ ჯერისნერა არასოდეს მოხდებოდა, ბოლმა გულში ჩაიდეს.

ბედნიერებით დაქანცული ანანო... რაც უფრო მეტად გრძნობდა ლაშასადმი სიყვარულს, მით უფრო ანუხებდა თავისი წარმომავლობა. ნუხილი კი მის მდაბიურობაზე, ვერაფერს შევლიდა. ხშირად მიმოავლებდა შფოთიან მზერას ქმარ-შვილს და რალაც ცუდის მოლოდინში გული სიმწრით ენურებოდა.

* * *

არ შეარგეს მეფობა ლაშა-გიორგის. „წარტაცეს უსაყვარლესი ქალი და ქმარს დაუბრუნეს ველისციხეში“-ო, ამბობს მემატიანე.

არც ერთი ბრძოლა არ ყოფილა ისე ძნელი ლაშა-გიორგისთვის, როგორც ცოლთან დაშორება იყო.

– სიცოცხლეზე მეტად მიყვარსო – ამოიგმინა.

– ეს არ კმარა, მეფეო...

ლაშა და ანანო გრძნობდნენ, რომ მათი ცხოვრების ბორბალი უკულმა ტრიალებდა და შეჩერება არავის შეეძლო. ფრთები ეკვეცებოდა მათ უნაპირო სიყვარულს.

ეპისკოპოსებისა და დიდებულების ტირადაში ერთი სიტყვაც არ იყო თქმული გულის ამაჩუყებელი. თითქოს ირგვლივ ყინულის ზვინი აღიმართა, ყოველგვარ გრძნობას ხაზი გადაესვა და ანგარიში არ გაენია მეფის პირად სურვილს. ცეცხლი ტრიალებდა ლაშას გულში.

– მიზეზი მაინც ჰქონდესო – ფიქრობდა. მდაბიო რომ არის იმიტომ? რატომ ავიწყდებათ, რომ ადამიანი შიშველი იბადება, არავითარი ძონ-ფარჩეული არ მოჰყვება. ყველა ადამიანი თანასწორია...

ენაზე მომდგარ უმწარეს საყვედურს ლაშამ გზა არ მისცა. იცოდა მაინც ვერაფერს გახდებოდა.

ალბათ, დიდებულებს ვერც წარმოედგინათ, თუ რა ტკივილი მიაცენეს ანანოს და ლაშას.

უყურებდა ლაშა-გიორგი ამ ზეციურ, წარმტაც სილამაზეს და სრულიად წარმოუდგენლად მიაჩნდა მასთან დაშორება.

ლაშა-გიორგიმ ფიცი დადო, რომ ანანოს შემდეგ სხვა ქალს არ შეირთავდა. მან ეს ფიცი აღასრულა. ალბათ ეს მისი გადამეტებული ერთგულებით იყო გამოწვეული.

კუნაპეტივით შავ თვალებში უნრფელესი ცრემლები უბრწყინავდა ანანოს.

– ვინც ქმარ-შვილს მაშორებს, ისინი ცეცხლის მფრქვეველი გველშაპები არიანო – ფიქრობდა ანანო... რა საშინელებაა, როცა შენს გრძნობებს სხვები განაგებენ... ყოველგვარ ზღვარს გადადიოდა დიდებულების ზიზღნარევი გულგრილობა.

ანანომ იცოდა, რომ რაც საუკუნეებით განმტკიცებულა, მას წინ ვერვინ აღუდგება... ეს სარწმუნოებაა, სულიერებაა, ზნე-ჩვეულებაა, რომლის წინაშე მოკვდავი უძლურია.

ანანომ ლაშასაგან ისიც იცოდა, რომ „აშოტ კურაპალატს, ძაძაში გახვეულმა მიხრწნილმა ბერებმა, მოსტაცეს სატრფო უძლეველსა და უბედნიერესს“.

განშორების წამებიც დადგა და შავი ბურუსი ჩამოწვა. შვილი გულში ჩაიკრა...

– ჩემო პატარავ, ჩემო დათუნი, გტოვებ... ოღონდ შენ იყავი ბედნიერი და მე შენს ახლოს არასოდეს გამოვჩნდები, რომ ჩემი მდაბიურობით ზიანი არ მოგაყენო... სახსოვრად ბავშვის თმის კულული და პერანგი წამოიღო...

ამ მწუხარების ჟამს თავად გაამხნევა ლაშა.

– სიცოცხლეზე მეტად მიყვარხარ, სულო... არა აქვს მნიშვნელობა სად ვიქნები, არასოდეს დაგივინყებ. ჩემს ყოველდღიურ სიხარულს, ჩემს შვილს, გაბარებ, ვინძლო ღირსეული მეფე აღუზარდო ქვეყანას.

ლაშამ ანანო გულში ჩაიკრა. არავის მორიდებია... მერე არეული ნაბიჯებით წავიდა კარებისკენ.

– ყველანი მეზიზღებით, გამეცალეთ – დაიყვირა...

ლაშას ცხოვრება ჯოჯოხეთად ექცა. იტანჯებოდა საქართველოს მეფე, მაგრამ იცოდა, რომ ადამიანი ტანჯვისთვისაა გაჩენილი.

* * *

ცხოვრების უსაშინლესი კრიზისის წინ იდგა ანანო, რამაც საბოლოოდ მისი ნებისყოფა შეარყია. უკიდევანო იყო სასოწარკვეთილება მისი.

– მიშველეთ, ეგ რა შემემთხვა, სიზმარია თუ ცხადი?

ქმარ-შვილთან ყოფნა ენადა, მაგრამ იცოდა, რომ ეს შეუძლებელი იყო. გაქრა ყოველდღიური სიხარული, ყოველივე განქარდა.

მწარე იყო სინამდვილე.

დააბრუნეს ანანო ქმრის ოჯახში. გაბრიელა ცხვარშია წასულიო – უთხრეს. მწუხარებით სასომიხილი გათენებას არ დაელოდა, იმ ღამესვე მარტო მყოფ მამასთან გადავიდა საცხოვრებლად, რომელსაც სახლი სოფლის ბოლოში ჰქონდა. ანანოს დედა არ ახსოვდა, იგი ანანოს მშობიარობას გადაჰყოლია.

მშობლიურ სახლში დაბრუნებული მიხვდა, რომ მისმა ცხოვრებამ კალაპოტი იცვალა. თითქოს, ახლა უფრსკულისკენ მიექანებოდა და მშველელიც არავინ იყო.

იმხანად მთელ საქართველოს სალაპარაკოდ ეს ჰქონდა: მეფეს ველისციხელი გლეხის ქალი რომ მოეწონა, ქმარს რომ წაართვა და სასახლეში წაიყვანა. იგი ახლა დაუბრუნებიათ და მამასთან ცხოვრობსო...

ანანო საღამოობით ფანჯარასთან იჯდა და გზის შორეთს გასცქეროდა. ქმარ-შვილს თუ ელოდა ნეტავი?!

მამის სახლში გამოელვინა. თითქოს ტკივილი დაცხრა. თავი მაინც უბრუოდა, ტანში ზარავდა. იმის შეგრძნება, რომ უსაყვარლეს ადამიანებს დააშორეს, გულს უკლავდა. იმედის ნაპერწკალი ქმარ-შვილის ხილვისა, გულში კვლავ ბუუტავდა. კვლავ წარსულს ეპოტინებოდა, მაგრამ იცოდა, რომ მისი დაბრუნება არ შეიძლებოდა. გულში სიცარიელე იბუდებდა. ძნელი ასატანი იყო ერთი უკიდურესობიდან მეორეში გადასვლა. გუშინ საქართველოს მეფეს უმშვენებდა გვერდს, დღეს მოხუცი მამის გვერდით, ისლით დახურულ საბრძოლში იჯდა, ხორბალს არჩევდა და კალთა ცრემლებით ევსებოდა.

ზესკნელის იდუმალ სამყაროში ანანო თავს მარტოსულად გრძნობდა.

მერე თანმხლები ზმანებანი. თითქოს ისევ მათ გვერდითაა და ჟამთა წრებრუნვაში დარდიც ნელდებოდა. დროსა და სივრცეში თავი დაკარგულად მიაჩნდა. მერე უძილო ღამეები ერთმანეთს გადაება, დარდი თანდათან ილექებოდა და ყოფიერების წინაშე მდგარი იძულებული იყო ოჯახურ საქმეებში გადართულიყო. რაც სოფელში თავსაყრელად ჰქონდა.

ანანო გრძნობდა, სიმხნევის უკანასკნელ ნატამალსაც რომ კარგავდა. წარსულს ხშირად ეცლებოდა საბურველი და წინ ისინი წამოიმართებოდნენ, ვისი ნახვაც სანატრელი გახდომოდა... „ლოდინი და ლოდინი, ისევ ღამე ლოდინის“... მერე ამ ლოდინის ფიზიკურ ტკივილად გადაქცევა. მონატრება ყელში ბურთივით გაჩხეროდა. გრძნობდა, რომ პირნმინდათ დაიფშვნა ის, რასაც ქმარ-შვილი ერქვა. ხშირად მოუხედავდა წყვილადში ჩაძირულ წარსულს, სადაც მისი მონატრებული ქმარ-შვილი იყო. ჯერაც ვერ შეგუებოდა იმ აზრს, რომ მათ სამუდამოდ დააშორეს. ირგვლივ მხოლოდ უიმედობა დაფარფატიებდა.

– რა ბედნიერი ვიყავით სამივე ერთად – წამოიკვნესებდა. დღეს კი ღამის დარდში ჩამხრჩვალყო.

* * *

როცა ანანო მამის სახლში მივიდა, მეორე დღეს სიყრმის მეგობარმა მთვარისამ მოინახულა.

ახლა მთვარისას წინ განადგურებული ანანო იდგა, რომლის ირგვლივ ქარბორბალა ტრიალებდა. ანანო დამარცხებული იყო და ამ მარცხის რცხვენოდა.

– ანანო, „ჭირსა შიგან გამაგრება ისე უნდა ვით ქვითკირსა“... გახსოვს „ვეფხისტყაოსანს“ ერთად რომ ვკითხულობდით? უნდა გამაგრდე.

ანანოს შემხედვარე მთვარისა თავადაც იტანჯებოდა. მისი თანაგრძნობა სავსებით გულწრფელი იყო. იგი გრძნობდა, რომ ანანოს სიყვარულს ქმარ-შვილისადმი დავინყების ფერფლი არასოდეს გადაეფარებოდა.

– ანანო, შენ ერთ დღეს მაინც ხომ გაგილიმა ცხოვრებამ, იყავი ბედნიერი.

– ერთი დღის ბედნიერება არ ყოფნის ადამიანს მთვარისა, როგორც არ ყოფნის გუშინდელი სადილი. მას სიხარულს მხოლოდ დღევანდელიობა მოუტანს. დღეს ჩემს ირგვლივ წყვილადია და არსაიდან სინათლე არ ჩანს. ჩემგან წავიდა უსაშველოდ დიდი სიხარული და დარჩა მხოლოდ ტკივილი. გუშინ დავტოვე ჩემი ქმარ-შვილი და უკვე ორივე მენატრება.

– შენ ნამდვილად სამეფო ქალი ხარ, ანანო. ხომ იყავი მეფის გვერდით, ახლა მდგომარეობას უნდა შეეგუო. აქ რომ გყავდეს ლა-

შა-გიორგი რად გინდა. ბარს ხომ არ მისცემ ხელში. იგი საქართველოს მეფეა და მისი მემკვიდრე-მომავალი მეფე.

* * *

გადიოდა დრო... იზრდებოდა სასახლეში პატარა დავითი, დედის ნატრული. იშვიათად შეამჩნევდი მის სახეზე ღიმილს, გაუცინარ ხელმწიფეს ეძახდნენ. დედას თუ ჯავრობდა ნეტავი?

განგების ნება საქართველოს ბედს ნალმა-უკულმა ატრიალებდა.

გამეფების შემდეგ ლაშა-გიორგიმ მრავალი ბრძოლები გადაიხადა. გადამწყვეტი ბრძოლა მონღოლებთან ჰქონდა. ერთ-ერთი ბრძოლის დროს მონღოლების მიერ ნასროლი მონამლული ისრით დაიჭრა და ამ ქრილობისაგან ორი წლის შემდეგ გარდაიცვალა ოცდარვა წლის ასაკში. ნეტავ თუ აგონდებოდა ლაშა-გიორგის სიკვდილის წინ, როგორ გამოსტაცა დროს წამიერი სიყვარული ან ანანოს თმის დამათრობელი სურნელი თუ იგრძნო მომაკვდავმა ნეტავი? ვინ იცის!

სიკვდილის წინ, ლაშა-გიორგიმ ანდერძი დანერა: „ჩემს შემდეგ ჩემი და რუსუდანი გამეფდეს, მან აღზარდოს ჩემი შვილი დავითი, როცა შეძლოს მეფობა და მხედრობა, იგი დადგინდეს მეფედ და მემკვიდრედ მეფობისა ჩემისა“.

როცა ლაშა-გიორგი გარდაიცვალა უფლისწული დავითი შვიდი წლის იყო, ერთადერთი მემკვიდრე მეფისა. უღედო დავითი უმამოდ დარჩა. მამის ცხედარს ვერ მოაცილეს იგი.

– დათუნა, რა დაგემართა? შენ ხომ ჭკვიანი ბიჭი ხარ. მამა ზეცაში მიდის. ასე არ შეიძლება.

– მე მინდა მამა ჩემთან იყოს, დედაც მინდა, ჩემი მონატრებული დედა რატომ არ მოდის ამდენ ხანს? ხომ მეუბნებოდით მოვო, რატომ მატყუებდით?

– მოიცადე, გაიზრდები და ნახავ. შენი დედა ცოცხალია.

– მერე რატომ არ მოდის. არ ვუყვარვარ? მამამაც დამტოვა. მე კი მეგონა ვუყვარდი. ჩემ ტოლებს ყველას ჰყავს დედა და მამა. მე რა დავაშავე? ხომ ყველას გიჯერებდით. რატომ მოკვდა ჩემი მამა?

– მონღოლებმა მონამლული ისარი მოარტყეს და იმან მოკლა.

– რომ გავიზრდები, მონღოლებს ყველას ამოვხოცავ.

* * *

ლაშა-გიორგის სიკვდილი რომ გაიგო ანანომ, მოთქმით დაიტირა საქართველოს მეფე. მისი გოდება ქარმა ველისციხის მინდვრებიდან, თვალუნვდენელ სიშორეზე, ღრუბლებს ზემოთ აიტაცა და ლაშა-გიორგის ზეცად აღვლენილ სულს შეუერთა.

იმ დღეს რომ შავი ჩაიცვა, მერე სულ შავით დადიოდა. ხალხიც უნონებდა ამ ნაბიჯს. ეს გლოვაც შინაგანად აბრწყინებდა მას. თალხი ფერები ვერ ჩრდილავდნენ მის მშვენიერებას.

უსასრულო იყო სევდა, სევდა უღვევი გარდაცვლილ ქმარზე, ობლად დარჩენილ შვილზე.

რამდენი დვრიტა უნდა გააჩნდეს ადამიანს, რომ ასე უნაპირო სევდა მოინელოს, ალბათ ეს შეუძლებელიაო-ფიქრობდა.

კვლავ ფრთხილებდა მოგონებათა გუნდი.

– ლაშა, სიცოცხლევ ჩემო. სიკვდილი ყოველგვარი იმედის გამქრობი ყოფილა, თურმე. ორმა კათალიკოსმა და დიდებულების გაელენიანმა ნაწილმა, ჯოჯოხეთად მიქციეს ეს ცხოვრება.

რომ ამბობენ, რაც გულით გნადია, აუცილებლად აგისრულდებაო – ტყუილი ყოფილა. რაც სასახლე დამატოვებინეს, მის შემდეგ სულ ჩემი ქმარ-შვილის ნახვას ვნატრობდი. ლაშას ნახვას ვერ ველირსე, ეგებ შვილის ნახვა მაინც მაღირსოს განგებამ, ეგებ ეს ნატვრა მაინც ამისრულდეს.

* * *

ლაშა-გიორგის გარდაცვალებიდან შვიდი წელი გასულიყო. საქართველოში რუსუდანი მეფობდა. რამდენად ლამაზი იყო რუსუდანი, იმდენად – გულბოროტი და შეუბრალებელი. იგი ცოლად ჰყავდა არზრუმის სულთანის ძეს, მოლის ედდინს, რომლისგანაც ორი შვილი შეეძინა: თამარი და დავითი.

თამარი ცოლად გაატანა რუმის სულთანს ყიას ად-დინ ქაიხოსრო II-ს, დავითი ხუთი წლის ასაკში თანამოსაყდრედ დაისვა, ხოლო ძმის ანდერძი „როცა შეძლოს ჩემმა შვილმა მეფობა და მხედრობა იგი დადგინდეს მეფედ“ – დაივიწყა. მან გადაწყვიტა დავით ლაშას ძე თამარის ქმართან გაეგზავნა მცირე აზიაში. ხალხი ხვდებოდა, თუ რა ბოროტი განზრახვით აგზავნიდა თავის სიძესტნ ტახტის მემკვიდრეს. ამით იგი შვილს მეფობაში მეტოქეს ჩამოაცილებდა.

დავით ლაშას ძესაც მისწვდა ეს ხმები. ცუდ ხასიათზე დადგა უფლისწული. ერთ დღეს დაიბარა თანაშემზრდილი სოსანა და ველისციხეში დედასთან გაგზავნა. ველისციხეში რომ იკითხავ მეფის ცოლყოფილი ვინ არის, ყველა მიგასწავლისო – უთხრა...

– გადაეცი დედაჩემს, ჩემი გულბოროტი მამიდა თავის სიძესთან, რუმის სულთანთან მგზავნის, ვინ იცის ცოცხალი დავებრუნდები თუ არა. ილოცოს ჩემთვის ეგებ მონატრებული დედის ლოცვამ გადამარჩინოსო.

* * *

გომბორის აღმართი, რომ მოილია, სოსანამ დაღლა იგრძნო... ველისციხეში რომ ავიდა, მოსალამოვებული იყო. ანანოს მამისეული სახლის პოვნა არ გაჭირვებია...

ანანოს ხილვისას მიხვდა, რომ ეს ქალი ქვეყნიერების გასალამაზებლად იყო მოვლენილი, რომლის მომნუსხავ თვალებში სევდა და გუბებუღიყო.

ახლა იგი ანანოს წინ დგას და გაფითრებულ დედას შვილის დანბარებს გადასცემს.

– როგორია ჩემი დავითი, მითხარი.

– მშვენიერი ყმანვილია დედასაც ჰგავს და მამასაცო – ამბობენ. დედას სულ ახსენებს.

– მცირე აზიიდან თუ მშვიდობით დავებრუნდი, დედას აუცილებლად მოვინახულებო – დამაბარა.

– მოვესწრები კი მაგ დღეს... ჩემ შვილთან ღვთისმშობლის მცირე ხატს გაგატან. გულზე ჩამოიკიდოს, დედაჩემის დანატოვარი ხატია. ამ ხატზე ილოცოს. ეს და ჩემი ლოცვა გადაარჩენს საქართველოდან შორს გზაზე წასულს. გადაეცი, რომ მე გული იქ, სასახლეში, ჩემ ქმარ-შვილთან დავტოვე, რომ გზა სასახლიდან ველისციხემდე ჩემი ცრემლებითაა მორწყული...

* * *

გააგზავნა თავის სიძესთან მცირე აზიაში რუსუდანმა ტახტის მემკვიდრე დავით ლაშას ძე და შეუთვალა „მოაკვიდნეო“. როცა იქ დავითი ჩავიდა სულთანმა და თამარმა გაიხარეს, პირმშვენიერი, სათნო ყმანვილის ხილვით. ბედნიერი იყო სამშობლოს მონატრებული

თამარი, რომ ბიძაშვილი ეწვია. რუსუდანის წერილმა სულთანი დააფიქრა, მაგრამ სასიკვდილოდ ვერ გაიმეტა, ცოლის ბიძაშვილი, რომელიც მთელ დღეებს ლოცვაში ატარებდა, იგი დედის მიერ გამოგზავნილ ღვთისმშობლის ხატზე ლოცულობდა.

მაღლე გულბოროტი რუსუდანის მეორე წერილმაც მოაღწია, თავისი ასულიც არ დაინდო და სიძეს მისწერა, დავითი შენს ცოლს ჰყვარობსო. გაცეცხლდა სულთანი და ცოლი „თმებით დაითრია“. ბრძანა, დავითი სიკვდილმისჯილთა ჯურღმულში ჩაეგდოთ.

ისმენდა დავითი ყიას ად-დინის განაჩენს და კვლავ დედის ნაჩუქარ ღვთისმშობლის ხატზე ლოცულობდა.

ტელეპატია არ არსებობსო, ნუ იტყვი. ამ დროს ანანო ველისციხეში სუნთქვაშეკრული დადიოდა ავის მოლოდინში. მერე ეკლესიას მიაშურა და დაჩოქილი ავედრებდა ღვთისმშობელს შვილის შინ მშვიდობით დაბრუნებას.

მამიდამ გასწირა, სულთანმა გასწირა, მაგრამ ღმერთმა და სოსანამ არ გასწირა ლაშას ძე.

სოსანამ ჯურღმულის გვერდით ხვრელი გათხარა და იქედან აწოდებდა წყალსა და საჭმელს დავითს. ხუთი წლის განმავლობაში იჯდა ორმოში უფლისწული დავით ლაშას ძე, ირგვლივ კოსმიური სიმყუდროვე სუფევდა. იგი ვერც დროს გრძნობდა და ვერც სივრცეს აღიქვამდა. ირგვლივ მწუხრის ბინდი ჩამოწოლილიყო.

ამ დროს რუსუდანმა, რომელსაც შვილის გამეფება ეჩქარებოდა, მონღოლეთის სატახტო ქალაქ ყარაყორუმში ყაენთან გაუშვა იგი, რათა ყაენს საქართველოს მეფედ დაემტკიცებინა. შვილს ჩამოსვლა ძალიან რომ დააგვიანდა, იჯავრა რუსუდანმა და გარდაიცვალა. ეგებ სასიკვდილოდ ძმისშვილი, რომ გაიმეტა იმასაც ჯავრობდა? ვინ იცის.

დარჩა საქართველო უმეფოდ. ამ დროს სოსანამაც საქართველოში ხმა მიაწვდინა უფლისწული ცოცხალიაო. ქართველი ერისმთავრები წავიდნენ დავითის ჩამოსაყვანად. იხილეს ორმოში ყოფნით ნაწამები დავით ლაშას ძე, მოასულიერეს, პატივი მიაგეს, საქართველოში ჩამოიყვანეს და გაამეფეს.

როცა ჯურღმულში ხანგრძლივად ყოფნის შემდეგ ერისმთვრებმა დავით ლაშას ძე, საქართველოში ჩამოიყვანეს და გაამეფეს, სანამ მონღოლეთის დედაქალაქ ყარაყორუმში წავიდოდა დასამტკიცებლად, გადანიყვიტა დედა მოენახულებინა, მონატრებული დედა, ისე რომ დიდებულებს არაფერი გაეგოთ.

შემოდგომის გვიანი ღამეა, ანანოს ძილი გაუტყდა და სანთლის შუქზე ქსოვა დაიწყო. ის გაახსენდა, ლაშა-გიორგის დედის თამარის შეკერილი ჯუბა რომ ეცვა...

გაოგნებული იყო, თითქოს რაღაც სასწაულს ელოდა. კარი გაიღო და გარეთ გაიხედა. ეზოში მთვარის შუქი ეფინა. ჩუმი სიო ქროდა და მწვანე კონინდარი ნაზად ირხეოდა.

კვლავ საქსოვს მიუბრუნდა, გული ველარ დაუდო. წყალი მოსწყურდა. კოკადან წყალი ჩხრიალით წამოვიდა. წყლის ჩხრიალზე, თითქოს, ახალი ძალით გალალდა სული. მერე შვილი მოაგონდა, რომლის ნახვის სურვილით მხოლოდ ტკივილი იბეჭდებოდა გულში და არსაიდან იმედი არ ჩანდა. ის დღე ხშირად აგონდებოდა, შვილის გამოგზავნილი სოსანა რომ მოვიდა. შვილს კიდევ ეხსომებივარო, იმედის ნაპერწკალი მაშინ აკიაფდა გულში. სოსანას რომ ღვთისმშობლის მცირე ხატი გაატანა, შვილს ყოველთვის იმ ხატთან მლოცველს წარმოიდგენდა. შვილის სიყვარული მუდამ ფეთქავდა მის გულში და მოსვენებას არ აძლევდა. ჩვენი ერთად ცხოვრების წლები მეხსიერებიდან ხომ არ ამოშლია ჩემს შვილს ნეტავიო – ფიქრობდა.

ელვასავით გაირბინა მოგონებებმა. პატარა დათუნა ძლივს დაბაჯბაჯებს... შავთვალა და შავწარბება... დღეს კი... ანანო ამაყობდა იმით, რომ მეფე გაუჩინა ქვეყანას.

უცებ რაღაც უჩვეულო ხმაური მისწვდა მის სმენას. ყური მიუგდო. თითქოს უჩვეულო არაფერი იყო. მერე კარებზე ბრახუნი გაისმა:

– გააღეთ კარები, მეფე მობრძანდება.

ღამის სიმყუდროვეში იმის გაგონებამ, რომ მეფე მობრძანდებაო, ანანოს გული შეუქანა, ბედნიერება წვიმის წვეთებივით გაბნეული რომ ეგონა, ერთბაშად თავი მოეყარა და მის წინ დახვავებულიყო, ზეზე წამოიჭრა და კარები სასწრაფოდ გააღო.

მეფის სამოსში შვილი შეიცნო, რომელსაც ტკივილიანი მზერა სტყუორცნა. მიხვდა, რომ განგებამ მკვდრეთით ამდგარ შვილს შეახვედრა.

– დედა, მე მოვედი – კარებში უზადო ვაჟკაცი შემომართულიყო. ადამიანები სიხარულისაგან არ კვდებიან. ისინი კერპდებიან და ბედნიერებას შეგუებულნი თავდავინყებას ეძლევიან...

– შვილი ჩემი, სანატრელი – ქვითინით მკერდში ჩაეკონა.

ირგვლივ ყოვლისშემძლე, დედაშვილურმა სიყვარულმა დაივანა.

– სულ მუდამ მახსოვდი, დედა. შენს ნაჩუქარ ღვთისმშობლის ხატზე ლოცვამ და სოსანამ გადამარჩინა, რომელიც საიდუმლოდ გათხრილი ხვრელით წყალსა და საჭმელს მანვდიდა.

ანანომ გულში ჩაიკრა სოსანა და მადლიერების გრძნობით განიმსჭვალა იმის მიმართ, ვინც საქართველოს მეფე გადაურჩინა, მას კი – შვილი.

ახლა შვილს მიუბრუნდა.

– ტანჯვით განვლილი წლებია ეს წლები უშენოდ, შვილო, წამება იყო ჩემი ცხოვრება, თითქოს, შორიდან შენი ძახილი მესმოდა, დედას მეძახდი.

– მე მართლა გეძახდი, დედა. სულ შენს ნატვრაში ვიყავი დე...

– მე კი შენთან შეხვედრის მოლოდინით ვცოცხლობდი, შვილო, სასონარკვეთილი იმედით ვცოცხლობდი. მე კი ჩემი გოლგოთა უკვე გავიარე. ნეტავ შენმა ყოველმა ნაბიჯმა საქართველოს გაერთანება მოიტანოს, მუდამ სიყვარულით მოიგონე საქართველოსათვის თავშენირული, მონღოლთა ისრით განგმირული, ლაშა-გიორგი, რომელსაც უნაპირო სიყვარულით უყვარდა ცოლ-შვილი.

– მენატრებოდი დედა, მთელი სიცოცხლე მენატრებოდი. ბავშვობიდან მოყოლებული სულ შენს ნატვრაში ვიყავი. გზას გავცქეროდი, დედა ხომ არ მოდის-მეთქი. დღეს წლების ნატვრა ამისრულდა. გიხილე და გულით გავიხარე. რა ლამაზი დედა მყოლია, თურმე. კი მეუბნებოდნენ, გასაოცარი სილამაზის ქალიაო...

ანანოს ბედნიერებას საზღვარი არ ჰქონდა, მაგრამ იცოდა ეს ბედნიერება დიდხანს ვერ გასტანდა, საქართველოს მეფეს მას არავინ დაუტოვებდა.

– ახლა ჩემი წასვლის დროა, დედა...

დადგა განშორების უამი.

– არა! – წამოიყვირა – არსად არ გაგიშვებ, სულ ჩემთან უნდა იყო. მეყო, რაც უშენოდ ვიტანჯე.

– დედა, ჩემო მონატრებული დედა, ჩემი აქ დარჩენა არ შეიძლება. მე საქართველოს მეფე ვარ...

დედა-შვილი ძლივს დააშორეს ერთმანეთს.

– ნავიდა ჩემი მონატრებული შვილი – დაიკვნესა და კელაპტარივით ჩამოქნილი თითები ლოყაზე ძალუმად მიირტყა... თითების ანაბეჭდი წითლად დააჩნდა. მერე უგონოდ დაეცა.

ხეებს შორის გაბმულ თოკზე სარეცხი ქარში დროშასავით ფრიალებდა. გეგონებოდა, მეფის ამაღას მიაცილებსო.

მიდიოდა ცხენზე ამხედრებული მეფე დავით ლაშას ძე და მზეჩაუქრობი საქართველოს ბედი უმძიმებდა საჟნიან მხრებს, რომელმაც ნატრული დედა 22 წლის შემდეგ მოინახულა.

სამასწლოვანი მუხის გადაღმა ცისკარი აელვარებულიყო. თენდებოდა.

ცოტა ხანიც გაივლის და დავით ლაშას ძე ყარაყორუმის მძიმე გზას დაადგება, მონღოლთა ყაენმა რომ მეფედ აკუთხოს და დავითულულ დაუბრუნდეს ბედკრულ ქვეყანას, რათა ხმალი ქარქაშში არ ჩააგოს და საქართველოს დემეტრე თავდადებული მოუვლინოს, რომელსაც თერთმეტი წლის ასაკში გაამეფებენ.

შემდეგ კი დემეტრე თავდადებულისა და ბექა ჯაყელის ასულის – ნათელას შვილი გიორგი ბრწყინვალე მოეველინება ქვეყნიერებას.

ბაგრატიონთა შთამომავლობას ეს შტო აგრძელებს, რომელშიც ანანოს სისხლი ურევია.

ანანო... ულუ დავითის დედა, დემეტრე თავდადებულის ბებია და გიორგი ბრწყინვალეს დიდი ბებია.

მიუხედავად ამისა ანანოს, ალბათ, ხალხმა არ აპატია ლაშა გიორგის უკანონო ცოლობა და როცა გარდაიცვალა იმ ეკლესიას, სადაც დაასაფლავეს ხაჭისთვალის უწოდეს.

მომკლა შენა სიშორა

მე შენა ხილვამ მიმამსგავსა მიღულ მთვარეს,
სიცოცხლის ნაცვლად მოვინატრი სიკვდილსა მწარეს.

ბესიკ გაბაშვილი

გაზაფხულის გრილი ნიავი ქრის. სალამოს რვა საათია. მოგეხსენებათ, რომ რვა საათი გაზაფხულზე ღამე არ არის. ლევან ხიდაშელი ბინის ყიდვას აპირებს და ბინის გამყიდველთან, ნიკო ხვედელიძესთან, მიდის.

ხუთსართულიან სახლს მიადგა, კიბეები მეორე სართულამდე მოთმინებით აიარა და ზარი დარეკა. კარი ბავშვმა გაუღო.

– ზურიკო, შენი მშობლები სახლშია?

– კი, ლევან ბიძია, სახლშია. ჩვენთან სტუმარი ჩამოვიდა ჭიათურრიდან, მირანდა ჰქვია, – ჩაუკაკლა ბავშვმა.

არ ეამა ოჯახში უცხო ადამიანის ყოფნა. ნიკოს უნდა მოლაპარაკებოდა წინასწარ მისაცემ თანხაზე, „ბეს“ რომ ეძახიან. ალბათ, უცხოვსთან ეს უხერხული იქნებოდა.

– მობრძანდით. ნინო, გამოდი ლევანი მოვიდა – მხიარულად შეეგება ლევანს მასპინძელი.

– წინასწარ თანხა რამდენია საჭირო იმის გასარკვევად მოვედი.

– ამაზე არც მიფიქრია, მაგრამ, მგონი, ათას ხუთასი დოლარი საკმარისი იქნება. თუ სიტყვა გავტყუებთ თანხის გადახდა არ იქნება ძნელი.

ოთახში ნინო შემოვიდა და თეატრალური დახვეწილობით შემოჰყვა სტუმარი. უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა, შემოფრიალდა, როგორც უცხო ფრინველი.

– ლამაზი ქალის მეტი რა მინახავს ქვეყანაზე, მაგრამ ეს მეტისმეტიაო – გაიფიქრა ლევანმა. მან ქალს თვალი ვერ მოსწყვიტა. თითქოს ჯადო ენეოდა ქალისკენ.

– გაიცანით, ჩვენი ახლობელია მშობლიური ჭიათურიდან. ხვალ საბერძნეთში მიდის სამუშაოდ.

ლევანს გულში რალაც ჩანყდა. როგორ მიუახლოვდა ქალს, ხელი როგორ ჩამოართვა ან რა ჩაიღულღულა, აღარ ახსოვდა. სამართლიანობა მოითხოვს ვალიაროთ, ქალი დიდხანს აკვირდებოდა ლევანს, თითქოს ნაცნობი ყოფილიყო, თითქოს ენახა სადღაც.

ლევანი ქალით მოიხიბლა. მის გულში ჩაუქრობი ცეცხლი აგიზგიზდა. შეყვარება ნამდვილად ერთი ნახვითაა – გაიფიქრა, თორემ მერე არის განსჯა, სიტუაციის განჭვრეტა, საქმის ანონ-დანონა და დადებითისა და უარყოფითის შეჯერება. ვაი რა გადამრიე არაა, მაგრამ მდიდარი მშობლები ჰყავს ან დიდი თანამდებობა უკავია და ვინ იცის რამდენი ან წამოტივივდება ასეთ ვითარებაში.

ლევანი ამაოდ ცდილობდა საკუთარი ალგზნების მოთოკვას ანი რა უნდა მოხდესო, ამის გაფიქრებამ შეაშინა. ქალს იმდენხანს აკვირდებოდა, ვიდრე ამას ახალგაყნობილის ეთიკა ითვალისწინებდა. თითქოს დედამინა ცერზე დატრიალდა. სიხარულისა და დაბნეულობის ნაზავი დაეტყო სახეზე. ვილას ახსოვდა ოცი წლის წინ შექმნილი ოჯახი. ეჩვენებოდა, რომ ამ ქალის სახე მუდამ გულში ედო და ახლა იმიტომ გამოჩნდა, რომ მისი მონყენილობა გაეფანტა; ამ ბოლო დროს პატარა რამეზეც ღიზიანდებოდა. ცოლმა გუშინ იტალიური კაბა იყიდა, რომელიც ძალიან მოუხდა. იმის მაგიერ რომ გახარებოდა, თავზე კინალამ გადააფხრინა.

სტუმრის თვალეში იგავმიუნდომელი სეედა იკითხებოდა, თუმც მისი მალალი მკერდი ბინიერებისკენ სწრაფვას მიგანიშნებდა. ლევანს სიმნრით გული მოენურა. ვინ იცის როგორ უჭირს, სხვა ქვეყანაში სამუშაოდ მიდის. ლევანი აფორიაქებული იყო. მის გულში ქარბორბალა ტრიალებდა. რომ ამბობენ, ვნებით გატაცება ადამიანს გონების ჩიხში ამწყვედევსო, მართალი ყოფილა. ახლა ასე ფიქრობდა და გამოსავალი ვერ ეპოვა. „სიბერემდე სიქაჩლეო“ რატომღაც დარისპან ბაბუის საყვარელი გამოთქმა მოაგონდა. ახლა როცა სენტიმენტალურ ცხოვრებაზე ხელი მონერილი ჰქონდა და იმ პრინციპით ცხოვრობდა, ეს არ მეკადრება, ეს არ შეიძლება, ამას როგორ გავაკეთებ, რომ ეგონა ოცნების წლები ქარმა წაილოო, ასე არ ყოფილა. გრძნობდა, რომ სიმნრით აშენებული ოჯახი ხუხულასავით თავზე ენგრეოდა.

ლევანმა მირანდას ჰაეროვანი მზერა დაიჭირა და გული სიამით აევსო. შეატყო, რომ ქალს მისი ფიზიკური აღნაგობა თვალში მოუვიდა. სტუმარს შემოტმასნილი იუბკა ეცვა. მისი ჩაცმულობა თვალთმაქცურად ამხელდა მისი სხეულის მშვენიერებას.

ხომ გაგიგონიათ, ჩიტი აფრენაზე იყო და ხელის აკვრას ელოდაო, ისე იყო ლევანის საქმე. თუმც კარგად გრძნობდა, რომ ამ შემთხვევაში მელიის და ყურძნის არაკი უფრო მიესადაგებოდა მის მდგომარე-

ობას. ახლა იმაზე ფიქრობდა რით მოეხიბლა ნიკოს ლამაზი სტუმარი... გადანყვიტა თავი მდიდარ კაცად მოეჩვენებინა.

– ნიკო, არა ვარ თანახმა ხელწერილი ათას ხუთას დოლარზე მოგცე.

– რატომ – გაფითრდა ნიკო.

– ათას ხუთასი დოლარი რა ფულია. მაგდენს ერთ დღეს ვხარჯავ რესტორანში. მე მოგცემ ხელწერილს თხუთმეტ ათას დოლარზე და თუ პირი გიშაღე და შენი ბინა არ ვიყიდე, ალალი იყოს ეს ფული შენზე.

ნიკოს ლამაზ სტუმარს სახეზე გაკვირვება აღებეჭდა. ლევანის ჩანაფიქრმა, დიდ თანხას დავასახელებ და ამით სტუმრის ყურადღებას მივიქცევო, გაამართლა. მირანდამ კუნაპეტივით შავი თვალები რომ მიაბრიალა, ლევანმა თავი მნიშვნელოვან არსებად იგრძნო. მიზანი მიღწეული იყო. ქალს მის მიმართ ინტერესი აღეძრა. მას მკერდზე დიდი ვერცხლის ჯვარი რომ ეკიდა იმას დაუნყო წვალემა. სიმდიდრისათვის ქალს რომ კაცი მოეწონება, ეს პრამატიზმია, მაგრამ ახლა ლევანი ამას ყურადღებას არ აქცევდა. მან სასწრაფოდ დაუნერა ხელწერილი ნიკოს თხუთმეტ ათას დოლარზე და მიანოდა. ნიკომ უხმოდ ჩამოართვა.

– ერთი ხელი ჭადრაკი ხომ არ გვეთამაშა-წამოაყენა წინადადება მასპინძელმა.

– არა, ნიკო, თუ ძმა ხარ არ გინდა. ჭადრაკის ქვები წისქვილის ქვებად მომეჩვენება, ისე მიბრუნის თავი.

– რა დაგემართა.

– სიკვდილი და არგადარჩენა. თავად ვერ გამირკვევია რა მჭირს-თქვა და სტუმარს თვალებში ჩახედა. ქალი ყველაფერს მიუხვდა. ტყუილა კი არ ამბობენ, ქალი ეშმაკზე ერთი დღით ადრე დაიბადაო.

* * *

რაღაც გაურკვეველობაში ჩაძირული მივიდა ლევანი სახლში. კარი უცოდველი კრავივით გააღო თვალწინ კვლავ მირანდა ედგა ოდნავ აპრეხილი კოხტა ცხვირით. მერე ცოლს შეადარა. წინოსაც არ ჰქონდა ურიგო ცხვირი, მაგრამ ერთი უპირატესობა ჰქონდა მირანდას, იგი მის ცოლზე ბევრად ახალგაზრდა იყო და ეს ცოტას არ ნიშნავდა. ვინ თქვა ნეტავი? ცოლქმრობა უკიდურესი ფორმაა კაცისა და ქალის ურთიერთობის, მაგრამ ღმერთმა უკეთესი ვერ გამოიგონაო. ეს შეჩვევის ფენომენი ხომ საშინელებაა. ზოგს რომ ცოლის ლო-

გინიკენ გახედვა ისე ეზარება, თითქოს იქ შხამიანი გველი ეგულებოდეს, ჯერჯერობით მასე არაა ჩემი საქმე მაგრამ...

ურუანტელს მგერის იმ მომენტის გახსენება, კარი რომ გაიღო და ნიკოს ცოლთან ერთად იგი ოთახში შემოვიდა, უფრო სწორად შემოგომანდა. სახეზე სევდიანი ჩრდილები დასათამაშებდა...

ლევანმა ირგვლივ მიმოიხედა. გაუკვირდა, ცოლ-შვილი ტელევიზორთან რომ არ დახვდა მიჭიჭინებული.

ცოლი სამზარეულოდან ხელის მშრალებით გამოდიოდა.

– რა გავიგე რომ იცოდე. ხელწერილი ხომ არ მიგიცია ნიკოსთვის? – შეეკითხა.

– როგორ არა, მივეცი თხუთმეტათას დოლარზე.

– რა ამბავია. დავლუშულვართ და ესაა. დაიკარგა ეს ფული.

– რატომ დაიკარგა.

– მაგ სახლის ყიდვა არ შეიძლება. ადრე მანდ ეკლესია ყოფილა. იქ კაცი ვერ გაიხარებსო. ნიკოც ამიტომ ყიდის. ბავშვი სულ ავად ჰყავს, თურმე.

მოვიშხამე, მაგრამ რა უნდა მექნა.

* * *

ერთი კვირაა ჭკუაზე აღარა ვარ. მირანდამ საბერძნეთიდან დაგვირეკაო-ნიკომ მითხრა. ბავშვის მომვლელად აუყვანიათ.

როგორ მიჭირს... „ავადა ვარ, წამალი ვერ ვიშოვე, მომკლა შენმა სიშორემ“... „მომკლა შენმა სიშორემ“...

ყოველ წამს ამას ვლილინებ... ვხედავ ცოლს სახე მოემგელა.

– მოგკლა და მოგკლას ბარემ... ნუ ამოიღე სული – ნუნუნებს ჩემი ვოკალით შენუხებული ცოლი.

– სიმღერის კარგი ხმა რომ მაქვს იმან შეურაცგყო, ქალბატონო, შენ ხომ? ერთი მითხარი, ტურგენევის „მუმუ“ თუ ისწავლე სკოლაში.

– ვისწავლე და ვიცი, ძალღი დაახრჩო. მერე მაგით მაშინებ.

– კი არ გაშინებ, მაინტერესებდა თუ აქვს წაკითხული-მეთქი – ვიხევე უკან.

* * *

ადრე, იყო მომენტი, სიყვარულს შეეძლო დაესადგურებინა ჩემს გულში, მაგრამ ხელს მუდამ ოჯახი მიშლიდა. როგორც კი ვინმე

გულში ჩამივარდებოდა, მაშინვე ცოლის სახე ამესვეტებოდა თვალ-
წინ და ყველა ოცნება მაშინვე ქრებოდა. სწორად თქვა სტენდალმა-
ქორწინება ბოროტებაა, ოღონდ აუცილებელი ბოროტებაო. ყოველ-
თვის მიკვირდა, როგორ ახერხებენ ცოლიანები სხვასთან ყოფნას.
თუნდაც, „ქალი ისე, ხანდახან“.

„მომკლა შენმა სიშორემ“... „მომკლა შენმა სიშორემ“... ვლიღინებ
გულში, რომ „ქალბატონს“ ნერვები არ ავუშალო.

* * *

მინდა მკითხველმა დაინახოს აუცილებლობა იმისა, რაც მოხდა,
რა ქარბორბალა დატრიალდა ჩემს გულში. აი, თქვენ გყავთ ის. მე
ცოლს არ ვგულისხმობ. განა შეიძლებოდა არ შეხვედროდი მას. ეს
ხომ აუცილებლობა იყო. ასევე აუცილებლობა, კანონზომიერი აუცი-
ლებლობა იყო, რომ მირანდას შეხვედროდი და ჩემი ცხოვრება გა-
მელამაზებინა; თორემ რა გამოვიდა... ადექი, ჭამე, წადი სამსახურ-
ში, მოდი... მიეჯაჭვე ტელევიზორს. ტელევიზორს მიჯაჭვული კაც-
ზე საშინელება არაფერია იცოდეთ.

* * *

სახლში მეგობარი მესტუმრა, დათო ფალავა; მერე გელა დევაძე
მიემატა.

– რა გჭირს. ფერი არ გადევს სახეზე.

მე დანვრილებით ვუყვები, რომ ქალის მოსახიბლად დავდე დიდი თან-
ხა. სახლის ყიდვა კი არ შემიძლია. ნაეკლესიარზე ყოფილა აშენებული.

– აბა დაგიკარგავს ამდენი ფული. არაა საშველი.

– რა ჭირს ასეთი უსაშველო?

– ამურის ისრით რომაა დაკოდილი, ის არაფერია?

– ჰაუ, რა ეშველება მერე?

– საქმეც მაგაშია, რომ საშველი არაა. ქალი საბერძნეთშია წასუ-
ლი სამუშაოდ.

– ვავა, ვავა...

– ამან კიდევ მომკლა შენმა სიშორემო... სულ ამას ლიღინებს... გა-
დარია ცოლი.

– კაცი, რომელიც ოჯახის ღირსებას არად ჩააგდებს და სხვას შე-
იყვარებს, არაა შესაბრალებელი – გადაუწუნრა წყალი დათომ.

- ხედავ რა შეშინებული ლაპარაკობს?
- აბა არაა შესაშინებელი?
- ბიჭებო, დავინახე თუ არა ის, ასე მეგონა, ცას სვეტი გამოეცალა და საცაა თავზე დამემხოზა-მეთქი.
- ისე დადგება დრო და შენს დაუფიქრებელ ნაბიჯზე ინანებ.
- რა ნაბიჯზე, გელა, რა ნაბიჯზე. ცოლ-შვილი ხომ არ მიმიტოვე-ბია. ერთი ნახვით შემეყვარდა; არ გჯერავთ?
- მაგის დაჯერება კია ცოტა ძნელი.
- რამდენი წლისაა შენი რჩეული?
- ალბათ ოცდაათ წლამდე.
- აბა კი ყოფილხარ შენ ოცი წლით უფროსი.
- მასეა... ძილი არ მაქვს სულ. გამომღვიძება რიბრაბოზე და თვალბდაჭყლეტილი მივშტერებივარ ჭერს.
- აგი სამკურნალოა ნამდვილად – ბეჭედი დაუსვა დათომ.
- ვანახოთ მერე ვინმე კარგ ნევროპათოლოგს, მაგრამ იგი არ ვუთხრათ, არავის რომ არ უთხოვია, ისე რომ დადო წინასწარ თხუთმეტი ათასი დოლარი, თორემ პირდაპირ ფსიქიატრიულში წაიყვანენ.
- ისე თქვი სიმართლე, ჩვენს შესახარბებლად ხომ არ ამბობ. შემიყვარდაო.
- გაგიჟდით? ის კი არა, დღეში ასი-ათასჯერ მაგონდება. პატარა საქმე ხომ არაა. აგერ გოგოლმა უშველებელი მოთხრობა დაწერა შინელზე. ჩემი ამბავი შინელთან რა მოსატანია, უფრო მაშტაბური და ყოვლისმომცველია. რას იცინით.
- ეგებ „ყოვლისმომცველი“ ცოტა გაზვიადებულია, მაგრამ ჩემი მომცველი ხომაა? იცით რა არის მთავარი? ვის მოსაწონებლადაც ფული დავდე, იმას ჩემი სული გაჰყვა. ესაა მთავარი. უაღრესად თამამი და გაბედული ფიქრიც გამოორიცხულია იმაზე, რომ მე აწი მას შევხვდები.
- იმედს ნუ დაკარგავ.
- იცით რა დღეში ჩავვარდი მისი დანახვისას? ხელები ჯერ გამიცვივდა, მერე გამილიგვდა. რომ მომაგონდა ოჯახი, გულში სინდისის ქენჯნის მსგავსი რალაც აფუთფუთდა.
- თუ აფუთფუთდა მაგი არაა ცუდი. მთლად წყალწალეებული არ ყოფილხარ.
- ნუ გამამტყუნებთ, ბიჭებო, კაცობას გაფიცებთ.

– გამტყუნებთ კი არა, მშურს შენი. რა ლამაზია შენთვის ცხოვრება. დაღამება გიხარია. დაძინებამდე მასზე ფიქრობ და გული სიამთ გვესება. აბა ჩემი ცხოვრებაა ცხოვრება? არაფერი მახალისებს ამ ქვეყნად. შენს ძარღვევში რომ სისხლის ყვილია, ის მეხარება. ჩემი სისხლი კი მდორედ მიედინება, თუ მოძრაობს არ მგონია. ისე არ დაგავინყდეს, ზნეობრივ სფეროში ერთად ვერ იბოგინებს პატიოსნება და უპატიოსნება.

– ა, დამინყო ამან ჭკუის სწავლება.


* * *

გარეთ შემოდგომის ცივი ქარი სისინებს. ხეები ავის მოლოდინში განაბულა. ცაზე მიღებული მთვარე მოჩანს. მერე ისიც ღრუბლებში მიიმალა და ირგვლივ იდუმალი ბინდი გამეფდა. ლევანი ფანჯარასთან დგას და ღამეულ ცას შესცქერის. ნისლის საბურველში გახვეულა ტკბილი ოცნება, ოცნება სანატრელ ქალზე. იგი ტკბილ სიზმრად მიაჩნია, რომელიც არასოდეს განმეორდება.

– ისე რომ დაუკვირდე, არაფერი არაა კაცის ცხოვრება. წლები არ გეყოფნის. მოიხედავ და წამში გაქრება ბავშვობა, ახალგაზრდობა... ცხოვრებით რომ დატკებ არ გაცლის. ყველაფერი სწაფად ქრება, თითქოს ყოველი დღის გასვლა სიბერესთან მიახლოება არ იყოს. ახლა რომ დავფიქრდები ვხვდები, რომ დავაშავე. კაცს სიყვარული გენვია, სიხარული გენვია, მერე და რა ასაკში... ხელი უნდა მეკრა? არ უნდა დავდევენებოდი? საბერძნეთამდე კი არა, იმის იქეთ უნდა გავყოლოდი, უნდა მომებრუნებინა. მეთქვა, რომ უმისობას ვერ გავუძლებდი. ხომ ასე ფიქრობთ თქვენ, მკითხველო... თუ სულერთია... არ ხარ მართალი. ეს „სულერთია“ რომ შეგიჭამს გულს და მიგიყვანს ადრეულ სიბერესთან, ეს „სულერთია“ რომ ჩაგაძინებს და ცხოვრებას თვალსა და ხელს შუა გაგიქრობს.

– ადამიანები საკუთარ გრძნობებში, ზოგჯერ, ცუდად ვერკვევით. ის, რასაც სიყვარული ჰქვია, შესაშური გულმოდგინებით ვმალავთ ან გულის ერთ კუნჭულში მივუჩენთ ბინას, რათა წლების მერე გამოვიხმოთ და გული გავიხალისოთ. ეს ხდება მერე, როცა ყველაფერი დაგვიანებულია, დამთავრებულია. დაგვიანების მიზეზი კი ჩვენ ვართ, არ გავუფრთხილდით სიყვარული მიტომ გაფრინდა.

ვის გულშიაც სიყვარულს ერთხელ მაინც შემოუნათებია, ვიცი ამ ნოველას გულდასმით წაიკითხავს და ეგებ გაკვეთილადაც გამოადგეს... ვინ იცის...



მისუთი მცნება

„პატივი ეცი მამასა შენსას და დედასა შენსას“...

ერთხელ კიდეც აკუტაგავასებურად...

შვილი:

...გლახუნა ერქვა ბაბუაჩემს, მამაჩემის მამას...

მამა:

ბაჩი ბირუაზე მელოდება ალბათ.

ძლივს მოვუყარე თავი ამდენ ფულს, რომ ვალი გამესტუმრებინა მისთვის. შვილიც თან მახლავს, ჩემი ვაჟიკო. თავნება ბიჭია. პრობლემური. დიდი წარმოდგენისაა თავის თავზე. ეს მაშინ, როცა კაცი საერთოდ ერთი პანია, სულ უმნიშვნელო, მოარული მოლექულაა, იქნებ ბაცილაც – დედამინაზე მოვლინებული: არავინ უწყის: საიდან მოსულა, რატომ მოსულა და მიეჩქარება საითკენ? მართლაც და რა უნდა დედამინაზე? ჩვენს წუთისოფელში რის გაკეთება უნდა მოასწროს იმ ერთ წუთში, რომელიც მისცემია ასე სამადლოდ.

ჩემს ვაჟიკოზე ვამბობდი: თავის თავზე დიდი წარმოდგენისააო... უფრო მეტიც: თანატოლებს ზედაც არ უყურებს, თითქოს ეთაკილებოდეს კიდეც მათთან ყოფნა. ბავშვობა დროის ფლანგვააო, ესეც კი მითხრა ერთხელ და დამცინავი ღიმილი განგებ შეაჩერა ჩემს დანაოჭებულ შუბლზე. მწვავედა მისი მზერა და თავს ძალა დავატანე, რომ ღიად დარჩენილი კარისკენ არ მიმებრძანებია. არ გამძალიანებია, მაგრამ თავისთვის ჩაიხიბითა, მაკვირვებ, გლახუნოვიჩო და თავის ქნევით გამშორდა. არ ვიცი, რას ფიქრობდა მაშინ, მაგრამ თავისებურადაც რომ მიკბინა, ამან მომიკლა გული. მაგრამ ჯერ სად ვიყავი?

თოთხმეტი წელი ამ რამდენიმე თვის წინ შეუსრულდა. ნაკითხია და ფიქრიანი, იქნებ პატივმოყვარეც და არა უბრალოდ თავმოყვარე.

– ვაჟიკო, გეყო ამდენი კითხვა, თორემ ხომ ხედავ, მამაშენს რა უყო ამდენმა კითხვამ და შენ რაღას გიზამსო? – ეტყოდა დედამისი ჩემს გასაგონად, ჩემი ლილი და სიხარულის ცრემლებს შეინმენდდა: – მისი ჭირიმე, ნამდვილი ვუნდერკინდიაო.

იციც: – ვიცი, რა დღეშიც ჩააგდო მამაჩემი ამდენმა კითხვამო, ჩაიქირქილებდა და თითქოს და გალიზიანებული კიდეც უფრო მონდომებით გააგრძელებდა კითხვას.

– იქნებ, გასულიყავი, ბიჭო, შენს ტოლებშიო, მიეფერებოდა ლილი, მაგრამ ხელს აუქნევდა ვაჟიკო, ხელს ნუ მიშლიო, გულისგასანვრილებლად აბუზღუნდებოდა, მაგრამ წიგნს მაინც დახურავდა და ღრმად და მრავალმნიშვნელოვნადაც ჩაისუნთქავდა.

„ენაცვალოს დედამისიო!“ – გაივლებდა ლილიც გულში და ნიშნისგებით გამომხედავდა.

მე ხომ ვალმერთებ ჩემს ვაჟიკოს! მინდა ყველასგან გამოირჩეოდეს. ჯერაც ბავშვია და უკვე რამდენი იცისო, მაგრამ მაინც მეშინია „არ დაჩოჩდეს“... ამას წინებზე გურჯიევის „ბელზებელი“ მოუუტანე და თავის ოთახში ჩაიკეტა. ასეთი წარწერაც კი გააკეთა: „ძალიან მეჩქარება და ნურავინ ეცდება ჩემს შეჩერებასო“. აღარც ცხამდა და თითქმის აღარ სვამდა. სანამ ბოლომდე არ წაიკითხა ამხელა წიგნი და შენიშვნებიც არ დაურთო, გარეთ არ გამოსულა.

ერთი კვირის შემდეგ რწევარწევით გამოვიდა თავისი ოთახიდან და ამათვალ-ჩამათვალა: – შენ რომ ბელზებელი ვერ ხარო? – თითქოს თავისთვის იკითხაო და რომ არაფერი ვუთხარი, თავი გადააქნია, ხედავთო?! – ამოახველასავით და დამტოვა დამცირებულიც და გაკვირვებულიც: – იფიქრე, გლახუნოვიჩ, ფიქრი, შენგანაც მსმენია, კაცს როდი წყენსო? მალე მოვალო, მითხრა და დრო თუკი გექნა, ძველებურად წავიფილოსოფოსოთო. ახლაც დამცინოდა ჩემი ბიჭი და ამჯერადაც არ მისაყვედურებია მისთვის. წიგნი დამიბრუნა: – წაკითხული გექნება, მერე რა, რომ წაკითხული გაქვს? არც ამ წაკითხვით შეემატოს კაცს რაიმე და ამის წაუკითხველობითაც დააკლდეს რა...

„მართლაც პატივმოყვარეაო“, ჩემივე გული დავგესლე, მაგრამ არც ახლა გამომითქვამს რაიმე საყვედურისნაირი რამ მის მიმართ.

ვთქვი ერთხელ: დიდი თავნება ვინმეაო და აღარ გავიმეორებ. მეშინია, ხუთ-ექვს წელიწადში თავხედობაში არ გადაეზარდოს ეს ავზნიანობა და თავს არაფერი ავნოს...

– გლახუნოვიჩი, გეყო ამდენი ფიქრი! – ფიქრებიდან გამომიყვანა ვაჟიკომ და დაბნეულობაში გადაზრდილი გაკვირვება რომ შემატყუო, თავისებურად ჩაიხითხითა: – რაო, გლახუნოვიჩი, თავმოყვარეობა ხომ არ შეგილახე? ხომ არ მეშლება რამე, მაგრამ კაი, ნულარ მიღრენ. გიჯობს, სუპერმარკეტში რომ ველოსიპედების განყოფილებაა, იქ შემომყვე. თვალს წყალს დავალევიანებდი და უარი არ მითხრა! ბაჩი მოსულიც არ იქნება... მაგრამ თუკი მოსულია მაინც და მაინც, მოიცდის ცოტას...

მეც: შევიაროთო: ამოვლერლე და ბრაზი მომერია საკუთარ თავზე, მაგრამ სუპერმარკეტში მაინც შევყევი ვაჟიკოს.

ვაჟიკომაც თავი მოაბრუნა ჩემკენ და არ ჩამომრჩეო, გადმომიჩურჩულა.

ერთ ველოსიპედთან შეჩერდა.

– ეს ველოსიპედი, გლახუნოვიჩი, შენც უნდა მოგენონოს, ხელი საჭეს დაადო და თითი დამიქნია, ფეხი გამოადგი, ნულარ ზოზინობო, – საუკეთესოა! – ასე არ არის? – იკითხა ხმაბალლა, თუმცა სულერთი იყო მისთვის, ვინ რას ფიქრობდა.

დიახ, საუკეთესოა, უთხრეს ვაჟიკოს და ვაჟიკომაც ჩვეულებისამებრ აიქნია ხელი: – გლახუნოვიჩი, მოსახდენი მოხდა და ამასთან ვერაფერს გაანყობ! ასე რომ, ამ ველოსიპედს მიყიდი! არა და... – თითი დამიქნია ისევ.

როგორო? გაგულისებულმა ვკითხე.

– მინდა მე ეს ველოსიპედი და აღარ გადამინდება ანი! გლახუნოვიჩი...

– ბაჩი რომ გველოდება?!

– ბაჩი მოიცდის, მაინც და მაინც უნდა გაგიმეორო?! მე ვერ მოვიცდი, გლახუნოვიჩი! – ისე მითხრა, არც დაფიქრებულა, – მოიცდის და შეიძლება კაი დიდხანსაც მოუნიოს მოცდა!

მკლავზე წავატანე ხელი, ამდენს როგორ მიბედავო და მაჯაზე დამარტყა ხელი, – გრცხვენოდეს, გლახუნოვიჩო! – დამტუქსა პატარა ბიჭივით და დამემუქრა კიდეც: – ეს ველოსიპედი არ გიყიდია და თავბედს დაგანყევლინებ! – ამხედ-დამხედა და ისევ თავისებურად, მაგრამ ავისმომასწავლებლად ჩაიცინა-ჩაიხითხითა: – ამიტომ: ჩემთან ურთიერთობის დროს გირჩევ ქცევის ნორმები დახვეწო და... შესწორებებიც შეიტანო შიგა და შიგ... დროულად, გლახუნოვიჩი!

– ამაზე მართლა არ მანყენდა ფიქრი, მაგრამ ბაჩის რომ შევპირ-
დი, დღეს გაგისტუმრებ ვალსო? სიტყვა გავტეხხო?

– გლახუნოვიჩ, მაშინ მე გავტეხხო სიტყვა?

– შენ?

– ვთქვი ვილაც-ვილაცებთან, რომ დღეისთვის მეყოლებოდა ვე-
ლოსიპედი... ამაზე რალაც იტყვი, გლახუნოვიჩ? ხომ დამაჯერებე-
ლია ჩემი არგუმენტები?

– ვაჟიკო, ბაჩი გველოდება ბირჟაზე! – ხმას ავუნეი და ვაჟიკოც
უცებ შეიცვალა: კრავის თვალები შემომანათა და ცრემლებიც გად-
მოცვივდა, ბარემ ყელში გამომისვი დანაო.

მეც: – აქეთ დავუნყე ხვენნა, ოლონდ ნულარ იტირებ და... შენია
ეს ველოსიპედიო.

– მერე ბაჩიო? ღიმილით მკითხა.

– ბაჩიმ მოიცადოს ცოტა... – ვთქვი და ჩემებურად, თვალებით მი-
ვეფერე ვაჟიკოს.

– დიახაც, მოიცდისო, თქვა იმანაც და გაიცინა.

მეც სასწრაფოდ (არ ვიცი, რა მაჩქარებდა) ჩავუთვალე გამყიდ-
ველს ბაჩისთვის მისაცემი ფული და მომეშვა გულზე: – მერე ბაჩი? –
ეს გულმა მკითხა და ცოტას მოიცდის ბაჩიო, ჩავილაპარაკე ჩემთვის,
მაგრამ ისე ხმადაბლა, რომ თვითონ არ გამეგონა ჩემივე სიტყვები.

– გლახუნოვიჩ... – თვალი ჩამიკრა ვაჟიკომ, – ბედი გქონია შენ, –
თვალები აუეშმაკუნდა: – რომ არ გეყიდა, მართლა არ ვიცი, რას ვი-
ზამდი...

– გლახუნოვიჩ, გლახუნოვიჩო, რომ დაგიჩემებია, ვაჟიკო, ხომ არ
დაგავინყდა, რომ მამაშენი ვარ და სახელიც მაქვს ჩემი!

– ამაზე ვიფიქრებ, გლახუნოვიჩ! უკაცრავად, ბატონო ლაზარე
და მამავ ბატონო... – უკან დაიხია ვაჟიკომ უცებ, – კაი ერთი, გლა-
ხუნოვიჩ, ახლა მეც მომისმინე!

– მე დიდხანს გისმენდი, ვაჟიკო!

– რაო, არ ხარ გლახუნოვიჩი და ... გამოვიგონე რამე?

– არა, მაგრამ...

– ერქვა მამაშენს გლახუნა? ერქვა! მაშასადამე, გლახუნოვიჩი ყო-
ფილხარ! და რატომ არ გიხარია? იფიქრე ამაზეც!

– კაი, კაი... – ისევ მე დავიხიე უკან, – აქედან გავალთ და ... შეჯ-
დები ამ შენს ველოსიპედზე და პირველ ცდაზევე თუ არ წაგიყვანია,

ვაი შენი ბრალი! ველოსიპედს ხომ დავაბრუნებ უკან, ბაჩისაც და-
ვუბრუნებ ვალს და...

– და კიდევ რა, გლახუნოვიჩ?

– სახლში ჩაგკეტავ ერთი დღით და...

– მოიცა, გლახუნოვიჩ! ჭირვეულის მოთვინიერება მოგიხდომე-
ბია შენც? უკვე გავიზარდე... დათმობას ნულარ მოელი ჩემგან! გლა-
ხუნოვიჩს კი აღარ დაგიძახებ, თუმცა შეიძლება წამომცდეს ზოგჯერ
და ნულარ გადაირევი... თუ გნებავს, შენც მომმართე მამის სახე-
ლით... ეჰ, გლახუნოვიჩ, გლახუნოვიჩ... მაინც რას ერჩი „გლახუნო-
ვიჩს?“ მაგრამ მთავარი გეავინყდება! ჰო, პირობა როგორიაო? თუ
პირველ ცდაზევე არ წამიყვანია ველოსიპედი, ჩამომერთმევა და...
ასეა მგონი... გამონვევას ვლებულობ, მაგრამ რომ გავიმარჯვო?

– ველოსიპედი შენია!

ვაჟიკომ ხელი დაკრა ველოსიპედის საჯდომს, შეჯდა ზედ და ად-
გილს მონყვიტა. ქუჩების გადაკვეთამდე ვირტუოზივით გაიარა,
სვლაც უცებ შეანელა და კაი ოსტატივით შეუხვია მარჯვნივ. მეგო-
ნა გადაიქცეოდა და სუნთქვა შემეკრა შიშისაგან, მაგრამ აქაც იმარ-
ჯვა და აუღელვებლად გამოსნია ჩემკენ. დაამუხრუჭა ჩემს ცხვირ-
ნინ და ველოსიპედიდან გადმოსტა. – შენ კი გეეჭვებოდა ჩემში...
იცო, გლახუნოვიჩ: მე იმაზე კაი შეგირდი ვყოფილვარ თურმე, ვიდრე
წარმოგედგინა. ასე რომ, თითი მოკაკვე, გლახუნოვიჩ! უნდა შეეგუო
„გლახუნოვიჩს“...

– ვაჟიკო, სინამდვილეში სულ სხვა ხარ... შენ თამაშობ... – შუბ-
ლზე მიუუკაკუნე თითი და უკან ჩაიხია.

– გლახუნოვიჩ! – დამიქნია თითი, – საქციელს ვერ მოგიწონებ...

რაო, არ გავბრაზებულყავი?!

ოთხში ამოვიღებდი, მაგრამ თავს მოვერიე და ვაჟიკომაც დამიკ-
რა თავი, ამხედ-დამხედა თავმომწონედ და ღიმილით მითხრა: – მგო-
ნი თმობ, გლახუნოვიჩ! მე მნებავს ასე: თვითონაც იცი, რომ შეგუები-
ხარ ამ სახელს და მერე: გლახუნოვიჩი ხარ... მესმის შენიც, მაგრამ ...
მე სხვანაირად ვფიქრობ. ნებელობა, გლახუნოვიჩ, ჩემგან არ გესწავ-
ლება შენ და... იმედი გაგიცრუე? შენი ჩრდილიდან გამოვდივარ,
გლახუნოვიჩ და... გიხაროდენ, გლახუნოვიჩ! როგორც მახსოვს, შენი
ნება იყო, გავთავისუფლებულიყავი ყოველგვარი სტერეოტიპისა-
გან... თავისთავადი ვყოფილიყავი და როცა მართლა ვინებე შენი

ჩრდილიდან გამოსვლა, შეგეშინდა, ჩრდილი არ დაგეკარგა. მე კი, დაიხსომე, გლახუნოვიჩ, არც ჩრდილი ვარ და არც ვისმეს ჩრდილში ყოფნა მინდა... განა შენ არ მიკითხავდი ლექციებს ადმიანის სულზე, ნებელობაზე საერთოდ? ჰოდა, მეც მინდა ვიყო თავის უფალი... უნდა მომილოცო, გლახუნოვიჩ! გიკვირს? მე კი არ მიკვირს, ასე რომ გიკვირს შენ... აღარ მაკოცებ? – თითქოს გული მოუბრუნდა ჩემზეო, – გელოდები, გლახუნოვიჩ!

აღარ ვიცოდი როგორ მოვექცეულიყავი.

ვაჟიკომ პალმაზე მიაყუდა ველოსიპედი და ლოყა მომიშვირა საკოცნელად, – ჰე, გლახუნოვიჩ!

– ვაჟიკო, აგერ ახლა არ მითხარი, გავიზარდეო?! – ვუთხარი და არ გყვარებივარო, თავი გადააქნია, – გლახუნოვიჩ ხედავ, არც შენ გყვარებია უკან დახევა.. ისევ შენ ამიხილე თვალი...

ბაჩიც ამ დროს გამოჩნდა.

– კი დაგიბარე, მაგრამ... ვფიქრობდი, ვალი დამებრუნებია შენთვის, მაგრამ შექმნილი ვითარების და გამო... – ენა დამება.

– იმ ფულით, აგერ რომ ველოსიპედი მიაყუდებული პალმაზე, ის მიყიდა და გთხოვ, არ გენყინოს მამაჩემისგანო, – უხერხული მდგომარეობიდან ისევ ვაჟიკომ გამომიყვანა.

– დღეს ბაჩი, ვერაფერს მიიღებ ჩემგან, მერე მოდი, ან მე მოვალ შენთან და გავსწორდებითო, ამას მე ვეუბნები ბაჩის და სირცხვილისაგან აღარ ვიცი, თავი სად წავიღო.

– მერე და რას მებოდიშებით? – მხრები აიჩეჩა ბაჩიმაც.

– დაბადების დღეზე არაფერი მიყიდა ამისთვის და... ხუთი წუთიც არ იქნება, რაც ეს ველოსიპედი მაყიდვია, ბაჩ...

– არც მე მომიტანია შენი ბიჭისთვის საჩუქარი და ახლა მეძლევა საშუალება, რომ იმდღევანდელი ჩავარდნა გამოვასწორო. – მითხრა ბაჩიმ და ვაჟიკოს მიუბრუნდა: – ეს ველოსიპედი შენ ჩემგან, ვაჟიკო, საჩუქრად, – დამარცვლა და მე გადმომხედა.

ვაჟიკოც თავდახრილი მივიდა ბაჩისთან. ბაჩიმ ლოყაზე აკოცა და დიდი ბიჭი გაიზარდეო, დალოცა ვაჟიკო, – ჩათვალე, რომ მამაშენმა ვალი დამიბრუნა, მე კი იმ ფულით ველოსიპედი გიყიდე, მოწყვით? ასე რომ, მამაშენს ჩემი აღარ მართებს, – ხელი ჯერ ვაჟიკოს ჩამოართვა, მერე – მე და ბარში შეგვიპატიყა.

– მე ველარ შემოგყვებითო, – უკან დაიხია ვაჟიკომ, – დედიკოს შეეპირდი, მამაჩემს ველოსიპედს ვაყიდვინებ და იმ ველოსიპედით დაებრუნდებიო, – თვალები აუელვარდა, – ინერვიულებს, რომ დავიგვიანო.

ყოჩაღ, ვაჟიკოო, შეაქო ბაჩიმაც და მე გადმომხედა, იქნებ შენ მაინც მითხრა, რა ხდებაო.

– ნავალ, გლახუნოვიჩ და შეგიძლია ბაჩის განკარგულებაში გადახვიდეთ... ჰო, მართლა, გლახუნოვიჩ... ეს ველოსიპედი მაჩუქეს მე, შენგან კი ანი მერგება საჩუქარი. რამე მოიფიქრე, გლახუნოვიჩ! როცა გექნეს... სულს ხომ ვერ ამოგხდი?

– ვაჟიკო...

– განყენინე, გლახუნოვიჩ... ესეც ვიცი, მაგრამ ნულარ ანუნუნდები... ეს საკითხი გარკვეულია უკვე! მაგრამ... ბაჩი ფულიანია ყოველთვის, შენ კი ისეთი რა გჭირს, რომ... ეჰ, გლახუნოვიჩ, გლახუნოვიჩ! – თითი დამიქნია.

აქ კი ველარ მოვითმინე და გლახუნოვიჩს გაჩვენებ, შე მართლა უკულმართო!

ვაჟიკომ ახლაც არაფრად ჩააგდო ჩემი მუქარა და ბაჩის მიუბრუნდა... მადლობა გადაუხადა, „ამხედრდა“ თავის ველოსიპედზე და ხელი დაგვიქნია, მერე ჩვენკენ მოატრიალა თავისი ველოსიპედი და კამიკაძესავით გამოექანა.

ვხუჭავ თვალს და ვითვლი გულში: ერთი, ორი და „სამზე“ გავახელ თვალს.

მოსახდენი უკვე მომხდარიყო, ბაჩი ნელ-ნელა მართავდა მუხლს. ვაჟიკოს გამონვდილ ხელს თავისი შეაშველა, მაგრამ ვაჟიკომ აღარ ინდომა შეშველებოდა და უკან წაიღო ხელი.

დარჩა ბაჩი ასე წინხელგანვდილი.

– ბიჭო, რას მერჩი, შენთვის რა დამიშავებიაო? – აღმოსდა შენუხებულს.

– ხომ არ გგონია, ხელი წამოსაყენებლად გამოგინვდინე? თითი მინდოდა დამექნია შენთვის, მაგრამ შემეშალა. შენც ხომ ჩემი გლახუნოვიჩივით ხარ... ოცდამეერთე საუკუნეში თქვენნაირებს რა უნდათ, რომ აღარ ვიცი?! ჩარჩენილიყავით იმ თქვენს საუკუნეში, ოცდამეერთე კი ჩვენია, თქვენი შვილების. თქვენი დრო წავიდა. დღე-

ვანდელ რიტმს თქვენ ვერ შეიგრძნობთ, ვერ ჯდებით საუკუნის რიტმში... დროიდან ამოვარდინილებს გონებაც დაგბნელებიათ და...

– კაი, ვაჟიკო, გონება შეიძლება მართლა დაგვბნელებია და ვერც ახალი საუკუნის რიტმში ჩავმჯდარვართ, მაგრამ... – სული მოითქვა ბაჩიმ, – მაინც და მაინც უნდა მოგეკალი? – შარვლის ტოტები დაიფერთხა და გასწორდა წელში.

– შენი მოკვლა არც მიფიქრია... უბრალოდ... მინდოდა უბრალოდ გადამეგდე ამ საუკუნიდან... მართლა ვერ ხვდებით, რას გერჩით? აბა, მომისმინეთ: თქვენი თაობა სულს ლაფავს... კვდება და არც კვდება, ჩვენი თაობა კი ახლა იწყებს სიცოცხლეს, მაგრამ ზოგიერთი თქვენებური ფეხებში გვებლანდება და ჩვენს წინსვლას აფერხებს. ერთი შეხედე, გლახუნოვიჩს? ხედავ, რასა ჰგავს? ნამდვილი გლახაა! შენც დაგლახდები მალე. რატომ არ აცნობიერებთ, რომ მამებისა და შვილების ბრძოლაში ყოველთვის შვილები რჩებიან გამარჯვებულნი... გლახუნოვიჩი დამეთანხმება ამაში!

– ვინაა, ბიჭო, შენი გლახუნოვიჩი?! – გაეცინა ბაჩის, – შენი ხუმრობა არ მესმის, ვაჟიკო!

– კარგად შეხედე გლახუნოვიჩს... სამსახურიდან დაითხოვეს და სამართლიანადაც! გლახუნოვიჩზე გეუბნები... ვითომ ექნება ანი ამას მომავალი?! მალე შენც დაკარგავ სამსახურს და გლახუნოვიჩით დაგლახდები! იცი რა: გლახუნას შვილი რომ გლახუნოვიჩია დღეს, ეს წყინს მამაჩემს. თქვენ თვალი ვერ გაგისწორებიათ დღევანდელიობისთვის, ასე არაა, ბაჩი ბატონო? ჩვენთან სოფელში, გლახუნოვიჩი დამეთანხმება, გლახა იყო ერთი... შერეკილი ვინმე.. ხელები სულ წინ ჰქონდა გამონვდილი და გლახუნოვიჩიც იმასავითაა, შენ კი მიეცი... მიეცი, რადგან ითხოვდა! ამიტომ, შენგან საჩუქარს მე ვერ მივიღებ! მეც თქვენსავით ხომ არ უნდა ვიყო?! სამადლოდ მოცემულს ვერაფერს ავიღებ! უკან გიბრუნებ საჩუქარს! თქვენ კი – წინა საუკუნის ადამიანები, ვიცი, მორიდდებით...

– ჩვენ მართლა მოვრიგდებით, მაგრამ... ვაი, რომ მართალია, გლახუნოვიჩ, შენი ვაჟიკო... ამოიოხრა ბაჩიმ, მაგრამ ველოსიპედისთვის ხელიც არ დაუკარებია, ისე გაგვშორდა.

– გლახუნოვიჩ... – გავიგონე ვაჟიკოს ხმა.

– ჰო, წავალ და დავაბრუნებ უკან... – ვამბობ დაზაფრული.

– და მოვალთ ხვალ ამ ჩვენს ბირჟაზე... ბაჩიც აქ დაგხვდება და...

– ჰო, ვალს დაეუბრუნებთ ბაჩის...

– კი არ დაეუბრუნებთ?! დაუბრუნებ შენ! ასე, ჩემო გლახუნოვიჩ!
– დღეს... მეოცეში კი არა, გლახუნოვიჩ, ოცდამეერთეში ვართ და ეს საუკუნე ჩემია!

– შენია, აღარ გედავები... – ამოვთქვი და მეგონა სულიც ამოვაცოლეთო. თითქოს აღარც ვყოფილიყავი.

იყო ოცდამეერთე საუკუნე და იყო ჩემი შვილი ვაჟიკო, მე კი: აღარ ვიყავი...

* * *

მხოლოდ შინ მოვეგე გონს.

– გლახუნოვიჩ...

– შენ რომ მომექეცი დღეს, ისე არ ექცევიან შვილები მამებს...

– გამკვირვებია შენი, გლახუნოვიჩ... განა შენ არ იყავი, მამებისა და შვილების ურთიერთობებზე ლექციებს რომ მიკითხავდი? ასე რომ, შენ უნდა დათმო, გლახუნოვიჩ! ამიტომ გირჩევ: თითი მოკაკვო და მარცხიც აღიარო!

– შენ რა, ჭკუაზე აღარ ხარ, ვაჟიკო? შეიშალე მართლა?

– კაი ერთი, გლახუნოვიჩ, ნულარ მეღადავები!

– მე ლაზარე მქვია და მამა ვარ შენი!

– მაგრამ მაინც გლახუნოვიჩი ხარ! კაი ერთი, ნუ გამიხურე... მაგრამ მაინც გათხოვ გამარჯვებული, დედამ ვერაფერიც ვერ უნდა შეიტყოს, რომ ჩვენს შორის შავმა კატამ გაიარა... გლახუნოვიჩ, გონს მოდი!

– ისე იქნება, როგორც შენ იტყვი... დედას გულს ნულარ ვატკენტ...
– მინდა, შეგაქო, გლახუნოვიჩ, ხედავ, კომპრომისი მშვიდობის გარანტიაა და თუკი გასურს, მშვიდობა სუფევდეს ჩვენს შორის, უნდა შეგეძლოს რალაცის დათმობა... გლახუნოვიჩ, სალიუტ!

– ვაჟიკო...
– გლახუნოვიჩ... – ლოყა მომიშვირა საკოცნელად და ვაკოცე. – აღარ მემდური, გლახუნოვიჩ? – მკითხა.

აღარ ვუპასუხე და მკლავზე წამეტანა: – თუ გინდა, გლახუნოვიჩი არ დაგიძახო, ჭკუით უნდა იყო.

– მე უნდა ვიყო ჭკუით?! – გავიკვირე, მინდოდა საყვედურებით ამეკლო, მაგრამ დუმილი ვარჩიე მაინც.

– გლახუნოვიჩ, არ უნდა ახლა...

– რა არ მინდა?!

– რიჟა ბაზარია ახლა კამათი... გაიგე, გლახუნოვიჩ?!

ახლა მართლა მომინდა ლოყები შემეხურებინა ვაჟიკოსთვის, მაგრამ ხელები ჩამომიცივდა ძირს. უკან ჩავიხიე და გაეცინა, კომპრომისი, კომპრომისია, გლახუნოვიჩ, ყოვლის გასაღები...

ყურები თითებით დავიგმანე და ზურგი შევაქციე ვაჟიკოს. მისი ფეხის ხმა გავიგონე, რომ მშორდებოდა.

თავს ცუდად ვგრძნობდი, სისხლი თვალებში მომწოლოდა და ამ ჩემი მდგომარეობის და შესატყვისი იოგას ვარჯიში მოვიშველიე.

დავრჩი უფიქროდ...

* * *

სადარდებელს რა გამოუღევს კაცს და:

ავტოსადგურიდანაც გამათავისუფლეს. დამითხოვეს როგორც ამ სამსახურისათვის შეუფერებელი, ორმოც წელს კაი ხნის გადაცილებულს ჩვენთან არაფერი გესაქმებო. ხმა აღარ ამომალებინეს, კარი გაიხურეო, თავაზიანად მითხრეს და გამომაბრძანეს გარეთ.

უკანაც აღარ მიმიხედავს, ისე დავტოვე იქაურობა.

შინ გვიან მივედი. თავი გასკდომაზე მქონდა.

– ამდენხანს სად იყავიო? მისაყვედურა მეუღლემ.

– ვიყავიო, ხელი ჩავიქნიე, უკვე აღარ ვარ იქო... – ხმა გამბზარვოდა.

ისიც ჩამეძია და ვუთხარი, რაც მჭირდა. ქალიც გაშრა, აწი რა გვეშველებო, ამოვიკითხე იმის თვალებში და სისხლი ამივარდა თავში.

ვაჟიკოც ამ დროს გამოჩნდა. უჟმურ ხასიათზე რომ მნახა, თვითონაც ცუდ გუნებაზე შეიქნა, – გლახუნოვიჩ, შენ მოსიარულე უამინდობა ხარ, რაშია საქმეო? – მოურიდებლად მკითხა, – მოსიარულე ავდარი...

– სამსახურიდან დაითხოვესო, მე არა, ლილიმ უთხრა.

– გლახუნოვიჩ, ესეც გაგიბედეს?! – ჩაიცინ-ჩაიხითხითა ვაჟიკომ და აბა, რა გეგონაო? – ასე „დამამშვიდა“.

– ვინაა, ბიჭო, შენი გლახუნოვიჩიო?! – წამოიკივლა ლილიმ და მკლავზე წაეტანა ვაჟიკოს.

– დედა, შენ მაინც რა გჭირს?! – უხეშად ჩამოიცილა ლილი ვაჟიკომ და თითიც დაუქნია, – მასეთები არ იყოს, თორემ, რომელი თითითაც შემეხებით, ის თითი შეგახმებათ, რომ იცოდეთო! – აქეთ დაგვემუქრა და კარის ზღურბლზე შედგა, მობრუნდა ჩვენკენ და ისევ დაგვიქნია თითი: – ჩემი შეჩერება არ იფიქროთ, – წამით ჩაფიქრდა და თითქოს რაღაც გაახსენდაო, ჩემზე შეაჩერა მზერა: – უპირველესად შენ გაფრთხილებ, გლახუნოვიჩ... იფიქრე, იქნებ მიხვდე, რაც მინდა გითხრა და... გლახუნოვიჩო, – ჩაილაპარაკა და დაგვტოვა.

წავიდა და ახლა ლილი დამესხა თავს, – სულ შენი ბრალია, ასე რომ გაუვიდა თავსო.

ხმა აღარ ამომიღია.

ვაჟიკო რომ დაბრუნდა, რომელიღაც ბრაზილიული სერიალი ინწყებოდა.

გავედი ჩემს ოთახში და ტანგაუხდელად მივწექი დივანზე.

ხუთი წუთიც არ იქნებოდა გასული, რომ დამიკაკუნეს კარზე.

ვაჟიკო იყო.

არაფერი, არაფერიო, გაბრუნდა უკან, მაგრამ ჩვეულებისამებრ ახლაც შედგა კარის ზღურბლზე, თითქოს მობრუნებასაც კი აპირებდა ჩემკენ, მაგრამ გადაიფიქრა და გადააბიჯა კარის ზღურბლს.

თვალი გავაყოლე თოთმეტი წლის ანონილ ბიჭს, თითქოს და არაფრით გამორჩეულს სხვებისგან, ყოველგვარი კომპლექსებისაგან თავისუფალს, მოურიდებელს და იქნებ თავხედსაც და რაღაც ჩამწყდა სულში. ზედ მზის ნწულთან ამენვა და კაი სამი წლის ამბავი გამახსენდა:

– მამი, ერთი ლარი მჭირდებაო, მეუბნება ვაჟიკო.

– ამ ლამით რაში დაგჭირვებია?

– ჯერ მომეცი და მერე გეტყვიო, – დამცინოდა ეს თითისიგრძე ბიჭი, მაგრამ მაინც ცნობისმოყვარეობამ გადაძლია ჩემში და კითხვის თვალი არ მომიცილებია მისთვის.

– დედაჩემს მივცემდიო, – მითხრა.

– დედაშენს რატომო?

– მივცემ დედაჩემს ლარიანს და... რწილ და ჭიანჭველაში რომ არის, ისე... მივცემ დედაჩემს ლარიანს და სერიალს მაყურებნებს!

გაოგნებულმა, ეს რამ გაფიქრებინაო, ჯიბიდან ამოვიღე ლარიანი და ხელის გულზე დავუდე ვაჟიკოს.

– ეს არ იკმარებს, ორი ამდენი იდეისათვის მეკუთვნის, მაგრამ შენგან ლარიანს ვიკმარებ.

– შელავათია? – ვკითხე.

– რაც გინდა იფიქრო ... თქვა და კარის ზღურბლზე შედგა, მხოლოდ წამით, დღევანდელივით, მობრუნებით კი მაშინაც არ მობრუნებულა ჩემკენ.

ჰო, ზედ მზის ნწულთან ამენვაო, ვამბობდი. წავიდა, მაგრამ მისი ანონილი ფიგურა ახლაც თვალწინ მიდგას. მიირწეოდა აქეთ-იქით და თვალეში შემომეყურებდესო თითქოს, თავისებურად, თითქმის ურცხვადაც. თვალეში ჰქონდა როგორღაც სხვანაირი, შიგ გულში გწვდებოდათ მისი „გაგდებულივით“ მზერა და გაფორიაქებდათ. ამ ბიჭის ზეგავლენის ქვეშ უნებლიეთ ხვდებოდით და თანატოლებიც ამიტომ გაურბოდნენ. დაიჩემებდა და ხომ ვერ გადაათქმევინებდით მერე (!).

მოკლედ: ვერავინ იტანდა და ვერც მას იტანდნენ.

– ეს ბიჭი სატანისტივით იქცევო, ბირჟაზე მითხრეს. კომლიქტურია და: პირველობა წყურია ყველგან. უტიფარივით იქცევა... იქნებ ნატიფარიცააო.

ერთხელ მთელი კლასი აუმხედრდა და ჭკუის სწავლებაც დაუპირეს: (გული მტკივა, ამას რომ ვიხსენებ) და თავბედიც აწყველინეს. მაგრამ ხომ არ გგონიათ, რომ მოარჯულეს?

კაი ხნის შემდეგ ოთხად გაკეცილი ქალაღი დამხვდა ჩემს მაგიდაზე (არა მგონია განგებ დაეტოვებინოს): იმ არასასურველ პირთა სია ჩამოეწერა თავისთვის, ვისზედაც ჯავრის ამოყრა ეწადა სამომავლოდ. ორისთვის ხაზი გადაესვა (მერე გავარკვიე, რომ ის ორი სხვა სკოლაში გადასულიყო სასწავლებლად).

მე რომ ვაჟიკოს ხასიათი ვიცოდი, აწი იმ ორისკენ არც გაიხედავდა, დანარჩენებს კი როგორც მოუხერხდებოდა, ისე გაუსწორდებოდა და რა დამამშვიდებდა?!

...პარასკევს მხიარულ გუნებაზე გახლდათ, ჩემთან რომ შემოვიდა.

რალაც უნდა ხდებოდესო, ვაჟიკოს გასაგონად ვქთვი.

– ისეთი არაფერი, შენი ყურადღება მინდოდა მიმეპყროო, უფმურაყოლილივით მითხრა ვაჟიკომ. არც მომრიდებია. ხელიც კი ამიქნია თვალწინ.

კი შემილახა თავმოყვარეობა, მაგრამ მოვთოკე გრძნობები და გალახულივით წავლასლასდი კარისკენ. უცებ არ ვიცი, რა დამემართა,

აღბაც ცნობისმოყვარეობამ წამძლია მაინც და ხმის კანკალით ვკითხე: – ჩემსა და შენს შორის დასმული კითხვის ნიშანი რას უნდა ნიშნავდესო?

– არ ვიცი, რას უნდა ნიშნავდეს, მაგრამ ვგრძნობ, ხედვით კი ვერ ვხედავო... – ცხადი იყო, აღარ ეამა ჩემი შეკითხვა.

– ერთი მაცოდინა, ვის რას ემართლები? – უსაყვედურე.

– არ ესმით ჩემი!

– შენი რომ ესმოდეთ, შენ უნდა გესმოდეს უპირველესად იმ სხვების, ვაჟიკო!

– რებუხები რა საჭიროა, გლახუნოვიჩ? არავინ მჭირდება! თვითონ განსაჯე... მე კი ყველას ვჭირდები! ცოტაც მაცალონ და...

– იმუქრები კიდევ?

– ჰო, ვიმუქრები და ამის საფუძველიც მაქვს!

– კაი ახირებული ვინმე ხარ... შენი გამოსწორება აღარ იქნება!

– გლახუნოვიჩ, შენც კაი ახირებული ვინმე ბრძანდები... ვიცი, აღარ მომეშვები და პირდაპირ გეტყვი: კლასში რომ ერთი მატრაკვეცა გოგო გყავს, იმის თმები დავიხვიე ხელზე და ასე მყავდა ზარის დარეკვამდე. ვერავინ გამაშეებინა ხელი.

– ვერც მასწავლებელმა?

– იმას აღარაფერიც ეყურება, გლახუნოვიჩ, ბრმაცაა ამასთან და დაჯდება და ადგომა აღარ შეუძლია მერე. ხელით გამომგვყავს გარეთ. იმ მატრაკვეცა გოგოს ბიჭები გამოესარჩლენ, უნდა მოუბოდიშოო, მე მეუბნებოდნენ, მაგრამ მე მოვუბოდიშებდი? ამას ვიზამდი მე?

– და იმ გოგოს შენ მაინც მოუხდი ბოდიშს!

– ისინიც შენსავით ჩამჩიჩინებდნენ, გლახუნოვიჩ, მაგრამ ნურას უკაცრავად! უკან დამხევი არ ვარ! შენ კი, გლახუნოვიჩ, ერთი რჩევა მინდა მოგცე: ნულარ ჩადგები ჩვენს შორის!

თვალებში ჩავეხედე ვაჟიკოს და შემეშინდა. ვაჟიკოს შეეძლო მოეკლა და სინდისის ქენჯნაც არ შეანუხებდა. შიშმა ამიტანა.

– ვაჟიიი... შენ გაგიჭირდება ასე... – გული მიკვდება, ამას რომ ვეუბნები ჩემს შვილს: – იცი, როდის შეიძლება, ამაღლდეს კაცი? როცა შეცდომას, დანაშაულს აღიარებს და მოინანიებს...

– გლახუნოვიჩ! – თითი ახლაც დამიქნია ვაჟიკომ, – იმედებს მიცრუებ, გლახუნოვიჩ! ნუ ამიხირდები, თორემ...

– თორემო?! – იქნებ ისიც მითხრა, რა უნდა მოჰყვეს შენს „თორემს“?!

– არ ვიცი, მაგრამ ... – დაიბნა ვაჟიკო, – მართლა არ ვიცი, რა უნდა მოჰყვეს, მაგრამ ვიცი, რომ მოჰყვება რაღაც...

– „მაგრამო“ ისევ? – მემნარა ენის წვერზე, ამენვა გულის კოვზთანაც, – ვაჟიკო...

– ვაჟიკოო?! – კითხვა კბილებში გაეცრას თითქოსოო და ზიზღით გადააფურთხა ღია ფანჯრიდან, ზიზღითვე ამათვალ-ჩამათვალთვალა ჩემმა შვილმა და ფიქრიც გამიმნარდა. იგი კერპი იყო ჩემი და ეს კერპი მწირავდა (!).

– გლახუნოვიჩ, ეს ფიქრებია, რომ გამოსაგავათეს ასე... გირჩევნია საქმე აკეთო, შენ კი ისევ ძველებურად ფიქრობ... გადმონაშთი ხარ შენ წარსულის და ცამდე მართალიცაა იგი, რომ ჩაგრეცხათ ერთხელ და მოგათავათ...

– ბიბლიაში კი სხვანაირად წერია: პატივი ეცი დედასა და მამასა შენსაო... მოვა ერთხელ შენი შვილიც და ჩაგრეცხავს დღევანდელივით... თავის მოკვლა მოგინდება, მაგრამ მეორედაც ველარ შესცოდავ და გაგიმნარდება შენაც სიცოცხლე. ჩემსავით, ვაჟიკო...

– ეს შენი მოსაზრება გადაფასებულია უკვე და, გლახუნოვიჩ, რეალობას რომ გაუსწორებდე თვალს, იქნებ გადარჩენილიყავი, მაგრამ დაგვიანებულია უკვე. სისხლი მონამლული გაქვს... ანი აღარ დაგენმინდება... ჩამონერილი ხარ და იქნებ „ჩარეცხილიც“! გენიოსია ამის მთქმელი და ორჯერ გენიოსი – მქმნელი ამისა!

– მე კი ახლაც მგონია, ვაჟიკო, რომ საკუთარი მარცხის აღიარება დიდი ვაჟუაცობა იყო ყოველთვის, ვაჟუაცობაა დღესაც, ახალი დროისთვისაც, რომელიც მარტო შენად მიგაჩნია რატომღაც...

– ისევ განსჯა?! გლახუნოვიჩ, იქნებ გულწრფელად მითხრა: „მნიგნობარი“ ხარ თუ „ფარისეველი“? – ისევ ამრეზით შემათვალთვალა ვაჟიკომ და ერთი მაგისიო, ჩაილაპარაკა თავისთვის, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მე არ ვიგულისხმებოდი იმის „მაგისიოში“. ისე კი გავიფიქრე:

„შვილი დამიკარგავსო“, – მიძგერდა გული და ვფიქრობდი: „გული როგორ არ ამტკივდებაო“?

თავბრუ მესხმის: „მნიგნობარი“ თუ „ფარისეველი“? – ამცრიალებოდა ფიქრი.

...ვაჟიკო სამ დღეს აღარ გამოჩენილა და ლოგინად ჩავარდა დე-
დამისი, ჩემი ლილი. საავადმყოფოში გადაიყვანეს.

– ამ წელს ავადმყოფობა დაგვებედებაო, მითხრა და წამოიტირა:
– ვაჟიკოს უნახავად ღმერთი ნუ მომკლავსო.

...ფიქრმა ზღვასთან მიმაგდო.

ვაჟიკოც იქ იყო: ხმამაღლა ელაპარაკებოდა ზღვას.

ხომ არ გაგიჟებულაო და სულ ახლოს მივედი მასთან.

იგი ჩემს მხარმარცხნივ დგას, მაგრამ ვერ მხედავს (ჩემთვის აღარ
სცალია და იმიტომ).

ჩემი დანახვა არ უნდოდა.

შევუძახე და შემომიბღვირა, მაგრამ თქმით არაფერი უთქვამს.

იდგა და დუმდა.

– დედაშენი საავადმყოფოშია და შენს ნახვას ნატრობსო, ვეუბნე-
ბი.

– ავადმყოფების ადგილი საავადმყოფოშიაო, ძლივს ამოღერლა.

– ამას როგორ ამბობო? ვუთხარი.

– შენი ადგილიც იქ არისო... – თქვა.

– არ მოინახულებ?

– დღეს ვერა... შეიძლება ხვალ ვნახოო.

– რა ვუთხრა? ზღვასთან ვნახე და შენთვის ვერ მოუცლიაო?

– უთხარი რაც და როგორც გინდოდეს... – არც ახლა მოუხედავს
ჩემკენ. კენჭებზე ჩაჯდა და გვერდით მივუჯექი. რალაც მინდოდა
მეთქვა და „ნე უტამლიაიო“, რუსულად მითხრა.

თითქოს ჩამოხნელდაო და მინას დამაჭყლიტა ძირს ჩამონოლილ-
მა ღრუბელმა.

უცებ გამოინათა, ხასიათიც უცებ გამომიკეთდა და ლოყაზე რომ
არ მეკოცნა ვაჟიკოსათვის, გავგიჟდებოდი ალბათ.

– ხომ არ გაგიჟებულხარ, გლახუნოვიჩ? – ჩაილიმა ვაჟიკომ, – გა-
ვინყდება, რომ ბავშვი აღარ ვარ! – ჩაფიქრდა, მაგრამ თავიდან მო-
ცილია ფიქრი და უცებ მომიბრუნდა: – გლახუნოვიჩ, მარჯვენა ლო-
ყაზე რომ მაკოცე, რაო, მარცხენას ხომ არ ემდურაო? – მხარი შეი-
წია როგორღაც და თავი მოაბრუნა ჩემკენ.

მეც ვაკოცე მარცხენა ლოყაზე და სული მოვიტყვი.

ახლაო? – ვიკითხე.

– ისე მიხარია, თითქოს ფეხის გულზე მკოცნიდეო, როგორც ბავშვობაში, გლახუნოვიჩ...

ალარაფერი მითქვამს.

– ალარაფერს მკითხავო? მკითხა.

– ხომ მომყვები სახლშიო? – ვკითხე.

– ეს ის კითხვა არაა, რომელსაც შენგან მოველოდიო, მაგრამ...

– ახლა ის არის ჩემთვის მთავარი, რომ სახლში მომყვები! – ვთქვი.

– გლახუნოვიჩ... შენ მაინც არ იშლი შენსას, მაგრამ გლახა კაცი არ უნდა იყო, ხომ იცი...

– მართლა?! მაგრამ გლახუნოვიჩოო...

– უნდა ამიტანო, გლახუნოვიჩ... ჩემი გადასხვაფერება სიკვდილით თუ იქნება, ჩემი დაგაკეთება ადვილი საქმე არ იქნება!

– კაი ახირებული ვინმე მყავხარ, მაგრამ...

– მაგრამ ჩემთან საერთო ენის გამონახვა მაინც შეიძლება, გლახუნოვიჩ... და მოგიწევს კიდეც!

თქვა და წამოდგა.

ზღვა უკან გვრჩება...

* * *

დრო კი კაი მონდომებულივით ვიდოდა.

– დრო თოხარიკი ცხენივითაა, მითხრა ერთხელ, – დრო რომ არ იყოს, შეიძლება მაშინ მართლა მენამა უკვდავება...

– კიდეც არის და არც არისო, რომ ამბობენ?

– მტკიცებულება იმისა, რომ არის, არავის უნახავს და არც იმის მტკიცებულება უნახავს ვინმეს, რომ არ არის, გლახუნოვიჩ.... უნდა გამოირიცხოს ერთიც და გამოირიცხოს მეორეც... მაგრამ მათ შორის (ყოფნიდან არ ყოფნამდე თუ არსობიდან არარსობამდე) თუკი რამ შეიძლება მოიაზრებოდეს, სწორედ ის არის რეალობა, მაგრამ სად არის, როდის არის ის, რაც არ ჩანს და არც მოიხილება, გლახუნოვიჩ? მე კითხვას ვსვამ და შენ... თავს ნულარ შეინუხებ, რადგან ამ ჩემი კითხვის პასუხი შეიძლება ტიბეტელ დადუმებულ ლამებსაც არ ჰქონდეთ... შენ კი მეუბნებოდი, გლახუნოვიჩ, დუმან საუკუნეები, მაგრამ ჭვრეტენო მაინც.

ვუყურებ ვაჟიკოს და მიკვირს მისი: ისე გაზრდილა, ვერც შემიტყვია თურმე...

– რამ ჩაგაფიქრა, გლახუნოვიჩ? არ გეგონა ასე აზროვნება თუ შემეძლო?! გავიზარდე, გლახუნოვიჩ! სხვათა შორის ამ კითხვაზე პასუხი ვერც გურჯიევის „ბელზებელში“ მოვიძიე. მართალი გითხრა, გურჯიევი მოძველებული მეჩვენა როგორღაც, თუმცა მისგანაც შეიძლება ბევრის სწავლა... შენც შენს ნაჭუჭში ზიხარ და ვფიქრობ ანიველარც გამოიჩეკები... შენი დრო ნავიდაო, მინდოდა მეთქვა, მაგრამ არსად არ წასულა, შენი დრო მოკვდა, გლახუნოვიჩ. შენ მოკვდი, გლახუნოვიჩ! მივდივარ, რადგან გულს მირევს აქაურობა... არ მკითხო, ახლა სად მიდიხარო? მგონია, გამიგეო თითქოს და წყალში ნულარ ჩაყრი იმ შენს გაგებას, რაც ახალ დროსთან გაკავშირებს. ნუ განყვეტ იმ უხილავ ძაფს... უნდა, შეეგუო, გლახუნოვიჩ. ვიცი, გწყინს, გლახუნოვიჩს რომ გეძახი, მაგრამ მართლა გლახუნოვიჩი რომ ხარ... მამაშენს, იგივე ბაბუაჩემს, თუ არ ვცდები, გლახუნა ერქვა და გლახუნოვიჩიც ამიტომ ხარ! მე არაფერი მომიგონებია... რა ჩემი ბრალია, რომ მამაშენმა გლახუნა არ დაგარქვა. მეც შენსავით გლახუნოვიჩი ვიქნებოდი... მერე შენ დამარქმევდი გლახუნას, მეც გლახუნას დავარქმევდი ჩემს შვილს, ჩემი გლახუნაც გლახუნას დავარქმევდა თავის ძირს და ჯილაგს და... ვიქნებოდით გლახუნოვიჩები; მოვედებოდით ქვეყნიერებას და... გულს იჯერებდი, გლახუნოვიჩ!

– იცი კი, რა იგულისხმება გლახაში... გლახუნაში?

– არ ვიცი, გლახუნოვიჩ და არც მინდა ვიცოდე, მაგრამ თუკი წერა დავინწყე ოდესმე, გპირდები, გლახუნოვიჩ, რომ ფსევდონიმად „გლახუნას“ ავირჩევ. ასე რომ: „სახელი კი არ აგამალლებს, შენ უნდა აღამალლო სახელი შენი, ამალლებული გლახუნოვიჩი კი შეიძლება ბევრად ამალლებული იყოს, ვიდრე დამდაბლებული უფლისწული...“

შვილი:

წარმოგიდგენიათ?! ნათემ უარი მითხრა. ის დათოია გამოლენჩებული არ ამჯობინა ჩემს თავს?! ნათესგან უარყოფილი ბოძს შევასკვდი შუბლით და უცებ მოვეფხიზლდი: – და ნათეს გულისთვის მოვიკლა თავი? – მოვნწყვდი რკინის ბოძს: – ასე სიკვდილიც სირცხვილიაო, – ამიძგერდა გული.

ფიქრშელახულიც ასე აღმოჩნდები ზღვასთან.

– ჩამოვირეცხავ ამ სირცხვილს! – წამოვიძახე და წყალში გადავეშვი, ჩაუყვინთე ტალღას და მესამე ტალღას ცხვირწინ ამოვუყვ

ვინთე. ზურგზე მოვექეცი და ფიქრიც ამიხმინადა: “გაეხედნი კვიცი-
ვით, თუ კაცი ვყოფილვარო! ავიღე და გაშლილი ხელი მთელი ძალით
დავუშვი ტალღის ზურგზე. – ახლა ლაგამსაც ამოგდებ და... – სადა-
ვეც მოვზიდე: „კაი გასახედნი კვიცივით ყოფილხარო“, – გულში
ვთქვი.

ტალღამაც: ასე არ უნდაო, სადავე ნამართვა და ნაფოტივით მო-
მიქნია.

თვალი მხოლოდ მაშინ გაეახილე, როცა მომდევნო ტალღამ ბურ-
თივით შემისროლა მალლა და ნაპირზე მოძულეებულებივით დამაჟღერ-
ტა.

წელი ძლივს ავითრიე: „ასე არაფერი გამომივაო“, – გავიფიქრე:
ტალღას ნება-ნება უნდა შეეყვე და ამოვყვე და შენს ხელთაა მერე,
ათამაშე როგორც გინდოდესო.

თქმა და ქმნა ერთი იყო: შევეყვი ტალღას და ზურგზე მოვექეცი.
გალიზიანებაც ვერ მოასწრო, რომ ჩამოვცურდი ძირს, მომდევნო
ტალღასაც ისე ჩავეყვინთე, ვერც კი იგრძნო და გონსმოსულიც ამან
გააბრაზა, სად დამეკარგეო და ჯებირს შეასკდა. დაიმსხვრა და სირ-
ცხვილნაჭამმა ჯებირმაც ამოთქვა მწარედ: „ამ ბიჭმა მგონი მაჯობა
ჭკუითო“.

– გაჯობე, აბა, არ გაჯობე?! – მივახალე პირში და ჰაიტი, შე ნა-
ცარქექიაო!“ – ამოიძახა და კიდევ გათავდა, სული ამოხდა.

– დიახაც, რომ ნაცარქექია ვარ, მაგრამ ტალღის მსხვრეველი! –
ნაპირზე გამარჯვებული ამოვდივარ, ზღვისკენ არც მივბრუნებულ-
ვარ, თითქოს სულაც არ მაინტერესებდეს, ანი რა დაემართებაო... ეს
უკვე მისი პრობლემააო.

– ნაცარქექია ვერც დევმა შეაფასა და იმიტომ გაიქცა, – ამოთქვა
ზღვამ: – ნაცარქექია მხოლოდ ისე პანია და უსუსურ ქვეყანაში უნ-
და დაწერილიყო, როგორიც საქართველოა... იგი ხომ ბურთია სხვა
დიდი ქვეყნებისათვის, ჩოგანს რომ მოუქნევენ და თავბრუდასხმული
ხან აქეთ გდია ერთის ფეხქვეშ და ხან იქით – მეორის ფეხქვეშ. ხან ერ-
თის ყმაა და ხანაც მეორის. ზოგჯერაც, თუკი ჭკუას მოუხმობს მინა-
ზე განრთხმული, სულს განაბავს და მიაყურადებს მასზე მონადირე-
ნი, როდის დაუშენენ ერთმანეთს ტონიან ტორებს. უნიკალური ფე-
ნომენია ჩვენი ნაცარქექია. ეს მომცრო ზღაპარი სამაგიდო წიგნად
რატომ არ გაგვიხდია ნეტა? მაგრამ კმარა ნაცარქექიაზე!

ჰო, დღესაც მოუშალე ნერვები გლახუნოვიჩს. კმაყოფილი ვარ ჩემით! ასეთი ვარ და რა ვქნა, რა ჩემი ბრალია?

სიტყვა თაობებზე ჩამოვარდა და არც მოვრიდებივარ, ისე მავახალე პირში: – გლახუნოვიჩ, მარტო შენ კი არა, მთელი შენი თაობა დაიკარგა შენთან და შენისთანებთან ერთად და ამდენხანს რომ გეგონა, რაღაცას წარმოადგენდი, ბლეფი ყოფილა თურმე, რიჟა ბაზარი, გლახუნოვიჩ, გესმის? შენ და შენი თაობა არარაობა ხართ, შეცდომით მოვლინებული... დროში ამოჭრილი, ან: იქ არ მოგინიათ ყოფნა, სადაც წესით უნდა მომხდარიყავით და თქვენი კვალიც გაგვევლოთ. თქვენ კი უკვალოდ დარჩენილხართ, გლახუნოვიჩ?! ეს სიკვდილია სამწუხაროდ და სამწუხაროა კიდევ იმიტომ, რომ ველარ აცნობიერებთ ამას, სინამდვილეში მომკვდარხართ თურმე. შენ კი, სამსახურს დაეძებ, გლახუნოვიჩ! აბსურდი!

იცო რა, გლახუნოვიჩ? მკვდრის სუნი ასდის შენს თაობას და რატომ არ გვაძლევთ იმის უფლებას, რომ დაგასაფლავოთ?! რაო, შენ იმის წინააღმდეგი ხომ არ ხარ, მამას ასაფლავებდეს შვილი? ის ანდაზაც ხომ გარდასულ თაობათა დანერილია: „ის ურჩევნია მამულსა, შვილი რომ სჯობდეს მამასა“ და დგახართ მაინც და ფეხებში ებლანდებით საქმიან, თვალახელილსა და გონებაგახსნილ შვილებს! შენ პროგრესის განვითარებას უშლი ხელს!

გლახუნოვიჩ, შენ ველოსიპედის ბორბალში გაჩხერილ ჩხირს მაგონებ და... რატომ ღირსეულად არ მოკვდები, მამავ ბატონო და... გლახუნოვიჩ ჩემო?

მეგონა, განყრებოდა გლახუნოვიჩი და სახტად დავრჩი, როცა მართალი ხარო, მითხრა ჩაფიქრებულმა: ამაზე მეც მიფიქრია, მაგრამ როგორც ჩანს კარგად ვერ მიფიქრიაო... – ფიქრიანად ჩაილაპარაკა და თავის ოთახში გამოიკეტა. კარი დედაჩემისთვის, მისი ლილისთვისაც კი არ გაუღია და მე ხომ ზედაც არ მიყურებდა. მართალიც იყო: მაგ რწყილს, ის ურჩევნია ჭიანჭველა მოძებნოს, გადაუგდოს თოკი, ამოიყვანოს წყლიდან და გადაარჩინოს თავისი ძმობილი ჭიანჭველაო... ჭიანველაში ჩემს თაობას თუ გულისხმობდა.

ენა მუცელში ჩამივარდა... ამბობდა ამას, როცა სიგიჟემდე ვუყვარდი და მზად იყო დღეში სამჯერ მაინც ფეხის გულები დაეკოცნა ჩემთვის. ვცოდავდი მის წინაშე, ალბათ ვცოდავდი.

საკვირველი კი უფრო ის არის, რომ აღმოვაჩინე: ჭკუის დაკარგვამდე მიყვარდა ჩემი გლახუნოვიჩი და ვნუხდი, მეშინოდა, მართლა არ შევძლებოდი.

აღარ გველაპარკებოდა, აღარ გვეცნობდა, ბოლოს კი სულაც შეწყდა მისი ფეხის ხმა, თითქოს სუნთქვაც შეკვროდესო. კარები შევამტვრიეთ.

სიცოცხლემოდულებულს ვენები გადაეჭრა.

საავადმყოფოში გადავიყვანეთ. დედაჩემი მასთან დარჩა, თავმდგმური აუცილებელიაო, ეს მისმა მკურნალმა ექიმმა დაიჟინა.

დავრჩი სულ მარტო.

ხელს არავინ მიშლიდა, აღარავინ მალიზიანებდა.

მივედი მამაჩემის მაგიდასთან და ხელებით დავეყრდენი. ნიგნები ყველგან და სუყველა ასმეთერთმეტე გვერდზე გადაშლილი.

აქვე მამაჩემის გაკრული ხელით მინანერსაც გადავანყდი. გულისცემა ამიჩქარდა.

მწერდა გლახუნოვიჩი:

„... თავ ნუ დაიდანაშაულებ! შენ რა შუაში ხარ? თუმცა იმ შუაში მაინც ხარ, რომ გულწრფელად გითხრა: შენ ამიხილე თვალი, ვაჟიკო, ჩამონერილი ვარ არა მარტო მე, არამედ მთელი ჩემი თაობა... ეს სიმართლეა... ჩვენ ისე გადავშენებულვართ თურმე, რომ კვალსაც ვერ ვტოვებთ. დაკარგულ თაობასაც ამიტომ გვეძახიან.

ახალი დრო მოსულა... მაგრამ მოვიდა ისე, რომ ჩვენი დროის გარდასვლა ვეღარ ვიგრძენით... გაიპარა როგორღაც და აქა-იქ შემორჩენილმა ძველი ყაიდის ადამიანმაც დაკარგა თავისი ფუნქცია. ფუნქციადაკარგული, უფუნქციო კაცი, არავის ესწავლება და მკვდარია. ასე რომ, შენ უნდა გეჭიროს ხელში წამონთებული ჩირალდანი... არ გემდური. მე რომ ამ დღეში ვარ, ვხვდები რატომაც? სხვა დროში აღმოვჩნდი, ვაჟიკო, შენ მართალი ხარ! მაგრამ ვეღარც შენი სახელი მეუბნება რამეს. ამაზე იფიქრე, შვილო... შენ რომ შემოქმედი იყო და ამაში არც მეპარება ეჭვი, ფსევდონიმად „დროს“ შევირჩევდი.

მე გადავწყვიტე: ვილაცისთვის ხელიშემშლელი ჩხირი არ აღმოვჩნდე ბორბალში.

ეცადე, მტკიცედ დადგე ფეხზე! საყრდენსაც შერჩევა უნდა. ეცადე, ფეხი მოიკიდო მინაზე, თორემ: სვავების დროცაა დღეს და მეშინია, სიკვდილის სუნი არ იგრძნონ, რომ...

ისე, მართალი რომ გითხრა, იყო ჩვენი დროც, მაგრამ ვერ შევიგ-
რძენით იგი და დაგვისხლტა. დავრჩით პირში ჩალაგამოვლებულე-
ბი. მოფხიზლებულები კი უდროოდ დავრჩით და ძილმაც ამიტომ
ნაგვართვა თავი...

ალარც კი ვიცე, როგორ დავასრულო წერილი. ან: საჭირო იყო კი
მისი დანერა?! მოვცდი და შენც მოგაცდინე... დროს გაკარგვინებ!

კარგი, გვეყო... სენტიმენტები საჭირო არაა!

ადრე, ფეხისგულეებზე გკოცნიდი და არ ვნანობ. ეჰ, ნეტა იმ
დროს?!

და მაინც შენკენ რომ მომიწევს გული?!

ახირებაა ვითომ ეს ყველაფერი?!"

თითქოს წყალი გადამავლესო თავზე...

გლახუნოვიჩის წკნელი ჰქონდა ერთი, რომ ყოველ დილით კანჭები
აეჭრელებინა ჩემთვის, მაგრამ ერთხელაც არ აუღია ხელში. კარის
ზღურბლთან შემაჩერებდა და მეტყოდა: – ვითომ კანჭები გენვის, –
ხელს მალა აიქნევდა და: – ნადი გაიარე, ეს დღეც ხვალემდებო... –
თვალს ფიქრიანად გამომაყოლებდა.

ასე რომ: მინდოდა ისე მეცხოვრა, როგორც გლახუნოვიჩი მომი-
წოდებდა, მაგრამ გამიძნელდა, დრომაც მიგანა და გაინაპირა იმან
თავისთვის. მახსოვს: თხილს ვკრეფდით. მე ვკრეფდი, მაგრამ უფრო
მეტს ვტეხდი და პირში ვიყრიდი.

შემამჩნია გლახუნოვიჩმა და ხელი დამიქნია. მხარზე გიდელგად-
აკიდებული მივედი მასთან. გიდელი ძირს დავუშვი და სავსე რატომ
არ არისო? – გამიწყრა.

ხმა ველარ ამოვიღე.

შენი გიდელი გადმოაპირქვავეო! მიბრძანა.

მეც გადმოვაპირქვავე და შიშით ავხედე გლახუნოვიჩს.

– დაარჩიეო!

მეც დავარჩიე.

– ახლა დატეხე და შეჭამეო!

მეც ვტეხ და ვჭამ.

ჰოდა: ავივსე თხილით. თხილი ვარ, მეტი აღარ შემიძლიაო, აღ-
მომხდა.

– მაშინ გეყოფაო, შეგიძლია თხილის ძირში დაჯდე და იფიქროო.
იფიქრე იმაზე, რაც ახლა მოხდა, მაგრამ ნურაფერს მკითხავო.

მეც ვფიქრობ, მაგრამ აზრი ვერ გამომიტანია მომხდარიდან.

აქედან მწარე გაკვეთილიც: რაც შენი არ არის, არ უნდა მიითვი-სოო, მეუბნება გლახუნოვიჩი. მას შემდეგ ასე მგონია, რომ ჩემი არა-ფერია და ჩემი კუთვნილი დროც ამიტომაც, რომ ვერ გამითავისებია.

შედეგი იმდღევანდელი: მას შემდეგ თხილი აღარ მიჭამია.

ასე იყო ეს.

არ ვიცი, რატომ გამახსენდა ეს ამბავი... მეხსიერებიდან რომ არ ამომვარდნოდა ვითომ?!

მაგრამ დრო?

ხელთ გლახუნოვიჩის წერილი მომყვება და ისიც იმ ამბავს იხსე-ნებს: გიდელში ჩაყრილი თხილი რომ მარჩევია და მერე დატეხე და შეჭამეო, რომ მიბრძანა:

„ვაჟიკო, შენ უკვე იცი, მწერდა გლახუნოვიჩი, იცი როგორ ვიცხ-ოვრე, თითქოს ხელის გულზე გედოს ძველი თუ ახალი ეპიზოდები ჩემი ცხოვრებიდან და შეგიძლია შენი შეხედულებისამებრ გამოიყე-ნო თითოეული მათგანი... ჩემი ცხოვრება შენთვის ის მაგალითი უნ-და იყოს, თუ როგორ არ უნდა იცხოვროს ადამიანიმა დროში. მომიტე-ვე, რჩევებს რომ ვიძლევი მაშინ, როცა ამ რჩევების მოცემის უფლე-ბა არავის მოუცია ჩემთვის. ვაითუ ახლაც მეშლებოდეს რამე და ჩე-მი ამნაირი თითქოს და კეთილი სურვილების მსხვერპლი შეიქმნე... ამას ვერასოდეს ვაპატიებ თავს.

ვაჟიკო, ჩემო დროვ! წერილი დახიე! ბოლომდე ნაკითხულიც რომ არ გქონდეს, მაინც დახიე! ან დანვი, როგორც გინდოდეს და წერი-ლი კი არა, მეც დამივიწყე! ჩათვალე: არც ვყოფილიყავი თითქოს და არც მიცხოვრიაო.

ჩემი ცხოვრება ხომ ერთი ახოხოლავებული აბსურდის სახლია, ქარის პირველივე შემოქროლებაზე რომ უნდა დაიშალოს და იავარიქნეს...

ცხოვრებას ზერელედაც ნუ მოეკიდებიო.

P.S.

მართალი იყავ ჩემთან, ვაჟიკო, ამას ვამონმებ მე, გლახუნოვიჩი, რომელმაც თავს უფლება მივეცი, მეცხოვრა ერთხელ და ველარ ვიცხ-ოვრე.

ველარ ვიცხოვრე, ვაჟიკო, განა სიცოცხლეა ის ჩემი განვლილი გზა, რომელიც თვითონვე დამიგმია არაერთხელ.

ვიმეორებ: ცხოვრებას ზერელედაც ნუ მოეკიდები... ღვთით მომადლებული ნიჭია საჭირო, რომ ღვთითვე მომადლებული სიცოცხლე არ შემოგაკვდეს ცხოვრების გზაზე“...

შენი გლახუნოვიჩი

წერილი კი არა, ერთი გზააბნეული, დავინყებისთვის განწირული კაცის აღსარებაა. არა, მონანიებას არ უნდა ჰკავდეს. დაბადებულა დავინყებისთვის!..

მაგრამ ვაითუ მეც გლახუნოვიჩით უნდა ვიცხოვრო და ჩემი ცხოვრებაც მასავით დასაგმოი დაძრჩეს. ნუთუ მეც გლახუნოვიჩით გადავიჭრი ვენებს და ამით მეც განაჩენს გამოვუტან გლახუნოვიჩის შვილიშვილებს?!

მაგრამ მიუხედავად ყოველივე ამისა, გლახუნოვიჩის ცხოვრებაში მაინც იყო გამონათებები: მიხვდა, ფუჭად უცხოვრია თურმე და მაფრთხილებს, რომ ფეხი ავუნყო ჩემს დროს, წამითაც არ ჩამოვრჩე, რომ მივინყების მდინარემ არ გამიტაცოს მასავით და მივინყების ზღვას არ მიმცეს.

„ცხოვრებას ზერელედაც ნუ მოეკიდები... ღვთით მომადლებული ნიჭია საჭირო, რომ ღვთით მომადლებული სიცოცხლე არ შემოგაკვდეს ცხოვრების გზაზეო“... – ბრძანებს გლახუნოვიჩი და: რა დიდებული ბრძანებაა, ღმერთო?!“

წერილი ხელსა მწვავს, აღარც კი ვიცი, რა ვუყო?

დავწვა, როგორც მებრძანა გლახუნოვიჩისგან, თუ...

დავწვა ის ერთი ნათელი ფურცელი გლახუნოვიჩის მატეანედან, რომელმაც ასე შემძრა?!

კარგად მართლა ვერ უნდა ვიყო...

მაგრამ გლახუნოვიჩი რომ ჩამძახის ყურში, დანვიო!

...და ინვის წერილიც:

მაგრამ ხელნაწერი არ ინვისო, ჩემამდე უბრძანებიათ და ჩემს შემდეგაც იგივე ბრძანება გაიცემა... ისევ გლახუნოვიჩს მოვიშველიებ: „ვაჟიკო, შვილი... მიხეილ ბულგაკოვის „ოსტატი და მარგარიტა“ წაიკითხე ხელმეორედ და... წინადადება განგებ არ დაამთავრა... ფიქრის უფლება არ შემიზღუდა, მაგრამ ახლაც არ დავუჯერე, „ოსტა-

ტი და მარგარიტა“ წიგნის კარადის შორეულ კუთხეში გადავმალე და მისი დავიწყებაც ვცადე. ასე გამომივარდა თავიდან (და არა მეხსიერებიდან) ბულგაკოვიც და მისი „ოსტატი და მარგარიტაც“ და გავყევი მეც ჩემს მდინარეს...

ერთხელ შინიდან რომ გამოვდიოდი (მამაჩემის მოსანახულებლად მიმეჩქარებოდა საავადყოფოში) და ნათეს არ გადავეყარე?!

გამიხარდა?

არ ვიცი დანამდვილებით, მაგრამ არც მწყენია.

მინდოდა გვერდი ამეწლო მისთვის და შემაჩერა, მამაშენი როგორ არისო, მკითხა. მაგრამ აღარ უთქვამს, აღარ შეუხსენებია ჩემთვის, რომ მე და გლახუნოვიჩი ერთ სიბრტყეზე ვერ დავეტეოდითო. შევატყვე, გული აძგერებოდა და ხელი ავუქნიე ბრაზმორეულმა, თავიდან მომწყდიო.

ნათე სახტად დარჩა. თუ ფიქრობდა: „ამდენხანს მოსვენება არ მქონდა ამ სუბიექტისგან, დღეს კი თავიდან მომწყდიო?! როგორ გამიბედა?!“ – სიბრაზისგან ფეხები დააბაკუნა მიწაზე, – ასე იყოსო! – კბილებში გამოსცრა და მართლა მოწყდა იქაურობას.

– ნათე, გამიგე... შენი წყენინება არც მიფიქრია! – დავედევნე და ისიც შემომიბრუნდა მკვეთრად, – ჩემგან რა გინდაო? – ჯიქურ მკითხა.

– უნდა გამიგო, გავუმეორე, – გამიგე, გთხოვ.

– რა უნდა გაგიგო, შე მართლა დამთხველო?! – ახლა ნათემ ამიქნია ხელი და თავიდან მომწყდიო, – ისე მითხრა, თვალიც არ დახამხამებია.

– მე არ მინდოდა, ნათე... გამომივიდა თავისით... – მინდა მოვუბოდიშო, მაგრამ არც ეს გამომდის და ნათეც ისე გამშორდა, მოსმენაც აღარ ინდომა ჩემი. რომ აღარ მოვეშვი, განმიცხადა კატეგორიულად:

– თუკი მზად იქნები ჩემთან შესახვედრად... – მომიგდო და ხელი ავუქნიე, – მაინც მოგიწევს ჩემი მოსმენაო.

– ისეთი რა უნდა მოიფიქრო, რომ დამაინტერესო?!

მეც: ვნახოთო, აღარ შევპირებივარ, თვალი მივადევენე მხოლოდ.

* * *

გლახუნოვიჩი გამომჯობინდა.

ალბათ, ორ-სამ დღეში საავადმყოფოდანაც გამოწერენ.

ნათეც გადამავეწყდა სულ.

არც ნათეს გავხსენებია...

* * *

გლახუნოვიჩი შინ არის უკვე.

ტანჯულივითაა. ცოტას ლაპარაკობს, ადრე მთელ დღეს ილაპარაკებდა და არ დაიღლებოდა, დღეს დეპრესიაშია. არც გამიკვირდება, თვითმკვლელობით რომ დაასრულოს თავისი სიცოცხლე და ამ დეპრესიის მიზეზიც თავის თავში უნდა მოიძიოს. დაეძებს კი სხვაში და სხვაგან. ნევროპათოლოგი არა, მაგრამ ფსიქიატრი უსიკვდილოდ ჭირდება.

ამ ბოლო ხანებში საუბარსაც კი გავურბივარ თვითონ დიალოგის დიდოსტატთან, მაგრამ ვგრძნობ, რომ ეს დიალოგი (სავარაუდებელი) მაინც უნდა შედგეს ჩვენს შორის და მეც წინასწარ ვემზადები ამ დღისათვის. თითქოს და თვალნათლივაც ვხედავ იმ სცენას, სადაც მთავარი როლები ჩვენთვის მოუკუთვნებია განგებას, მაგრამ მშვიდობიანადაც რომ ვერ უნდა დასრულებულიყო ეს დიალოგი, თავიდანვე ცხადი იყო ჩემთვის.

ჩიხი! და ამ ჩიხიდან გამოსავალსაც რომ ვერ ვხედავდი?!

– ინიციატივას ისევ მე ავიღებ საკუთარ თავზე და... შეხვედრის ადგილი – ჩემი ოთახ-კაბინეტი! 17 საათსა და ჩვიდმეტ წუთზეო, – გამომიცხადა გლახუნოვიჩმა და სალოკი თითი გაილოკა.

იქამდე დრო კიდევ მრჩებოდა და ნათე გამახსენდა უნებლიეთ, ხომ არ შევხმინებოდი და შეხვედრის ადგილიც დამეთქვა მისთვის?

შინ დავურეკე და გაკვირვებულმა მკითხა, – ისეთი რა მოიფიქრე, ძალიან დამაინტერესო?

შენი ხმის გაგონება მომწყურებიაო, ვუთხარი.

– ამაში საინტერესოს ვერაფერს ვხედავო.

– ყურმილი არ დამიკიდოო, ვთხოვე.

– საინტერესო ვერაფერია იმაში, რომ ჩემი ხმა მოგნატრებიაო, მიპასუხა. – ჩვენი შეხვედრის დრო ჯერ არ დამდგარო, ამის აუცილებლობა თუ ვიგრძენი, აუცილებლად დაგირეკავ.

– რომ ვერ იგრძნო?

ყურმილი ჩამომიკიდა.

ასე გადაიდო სამომავლოდ ჩვენი შეხვედრის დრო და ადგილი, მაგრამ გული მაინც მეუბნებოდა, ნათე შენ დაგიბრუნდება მაინც და... იმასაც ერთი სულ აქვს შემორიგებამდეო.

გლახუნოვიჩთან მოსალოდნელი საუბარიც მალეღებდა. არც ის ვიცოდი საიდან და როგორ უნდა წარმართულიყო ეს შეხვედრა და სად და როგორ უნდა დამთავრებულიყო.

ვფიქრობდი დრო წიგნის კითხვით ხომ არ მომეკლავ, მაგრამ კითხვაც რომ გამიჭირდა ჩემ და მოულოდნელად? სტრიქონსა და სტრიქონს შორის სულის მოძღვრებაზე მოქადაგე გლახუნოვიჩს ვხედავდი. იმის წინ ვიყავი დაჩოქილი და ლოცვას აღვაკლებდი, გლახუნოვიჩი კი, დამცინოდესო თითქოს და ახალშექმნილი კეპის თვალებზე ჩამოფხატვას მიპირებდესო.

შინ აღარ გამიჩერდა გული და გამოვედი გარეთ.

ფეხებს მივენდე და იმათაც ზღვასთან მიმაგდეს.

– მე რომ არ გელოდიო? – შემომიტირა იმანაც, – ყოველივე ამას ვის უნდა ვუმაღლოდო?

– ვის და გლახუნოვიჩს, – შევუღრინე.

– იმ შიზოიდს?

– შენც ასე ფიქრობ? – მომეფონა გულზე.

– გითანაგრძნობო, მითხრა და ფეხები ამილოკა, – ხომ არ შემოსულიყავი წყალში? ნამდვილად არ განწყენდა ჩემი აბაზანებიო, ღრმად ჩაისუნთქა და მეორედაც ამილოკა ფეხები. მაგრამ ახლა მუხლებამდე მომწვდა, – ასე აღელვებული ჯერ არ მინახიხარ და... მინდა გინამლოო.

ხომ არ მომეყურავო, გავიფიქრე და ტანგაუხდელად შევედი წყალში. ყელამდე რომ მომწვდა წყალი, მაშინლა ჩაუწყვინთე ტალღას. მივინეც სიღრმისკენ, ყურები დასკდომაზე მაქვს, საფეთქლებზე ჩაქუჩს მიკაკუნებდნენო თითქოს, გულიც ისე უსაშველოდ გამსიებია, რომ საგულეში აღარ მეტევა. ამჩქარებია სისხლი: – კიდევ ათი მეტრი რომ ჩავეყვინთო, აღარ ვიცი, რა დამემართება, იქნებ ამოყვინთვაც ვეღარ მოვასწრო... მხოლოდ სამი მეტრი, სამად სამი მეტრი... ცოტას გავსიღრმავდებოდი და... სინათლისაკენ მერე! კიდევ, კიდევ ცოტაც, მაგრამ ეს „ცოტაც“ რომ აღარ გაილია?! თვალთ მიბნელდება... გულს

მაინც რაღას ვერჩი?! უნდა შევისუნთქო, თორემ... შევისუნქავო, ვთქვი, შევისუნთქე და ავივსე წყლით და, წარმოიდგინეთ, ჰაერიოთაც. წყლის სიმლაშის შეგრძნობაც ვერ მოვასწარი, რომ საცობივით ამოვვარდი წყლიდან. მზეს ვეძიებდი და რომ ველარ მივაგენი, შემეშინდა, იქნებ წყლიდან არც ამომიყვინთავსო და ახლა რომ ზეცას შევცქერი, შეიძლება მესიზმრებოდესო. ფიქრმა წამართვა თავი. ბარძაყზე ვიბნკინე მაშინ, მეტკინა და მაშინვე დავასკვენი, რომ ეს არ იყო სიკვდილი, არც – კლინიკური და არც არანაირი სხვა სიკვდილი.

მერე მზესაც მოკვარი თვალი, ღრუბლებისთვის რომ დაეღწია თავი. გამონათა, – გადავრჩენილვარ! – წამოვიძახე.

– მე არ მოვმკვდარვარ და დროა ნაპირისკენ ვქნა პირი, მაგრამ სად არის ნაპირი? არ ჩანს...

შიში შემიპყრობს... მზისკენ შევბრუნდები და თვალს მომჭრის – ნაპირი ზურგს უკან უნდა იყოს, ვამბობ და ასოთხმოცი გრადუსით შეფტრიალდები. მივიწვევ ნაპირისკენ და მამაჩემის ხმასაც გავიგონებ: – აი, შე მართლა გლახა, აბა, მიყურე! ხომ მხედავ? – გავიგონე და გხედავო, პატარა ბიჭივით ამოვილულულლე, – მე ნაპირი ვარ! – მეუბნება.

თანდათან ვმძიმდები, ვიძირები კიდეც და ისევე გავიგონებ მამაჩემის ხმას, ხელი მომეციო.

ვხედავ იმის ხელს, მაგრამ ხელს არ გავუწვდი. მირჩევნია ზღვამ შთანმთქოს, ვიდრე გლახუნოვიჩზე დავერჩე დამოკიდებული, ვერა, ვერ მივიღებ მე მეორე სიცოცხლეს მისგან...

წყალიც ნელ-ნელა მითრევს, სადაცაა შემინოვს მთლიანად და დავსრულდები...

– ვაჟი! – მეძახის, – ხელი მომეცი.

– არ შეიმძლია! – ჯიუტად გავიძახი და ვხუჭავ თვალს, რომ ველარ დავინახო გლახუნოვიჩის ხელი.

– მაგრამ შენ ხომ სიკვდილი არ გინდა?

მოვიშველიებ დუმილს.

– ვაჟი, თავს რატომ იკლავ? ეს ხომ თვითმკვლელობაა?!

– მირჩევნია მოვკვდე, ვიდრე... – რაღაც კი ვთქვი გულში, მაგრამ აღარ გამიგონია და შიშისაგან გამაცახცახა, – ნუთუ მართლა უნდა მოვკვდე და... აღარ ვიყო?! დავსრულდე? – და როცა უკვე შევეგუე იმ აზრს, რომ მოვმკვდარიყავი უნდა, თმაში ჩამავლეს ხელი და ძალით წამათრიეს ნაპირისკენ.

– მე თვითონ, მე თვითონ! – ვიძახი გამწარებული, – ხელი გამიშვი, გლახუნოვიჩ!

– შენ უნდა იცოცხლო! მე ვერ დავუშვებ, რომ უსახელოდ მოკვდე! გრძნობას ვკარგავ...

თვალი რომ გავახილე, მარტო ვიყავი: სახე სილაში ჩამერგო, ფეხები კი წყალში მრჩებოდა ჯერაც.

გლახუნოვიჩი აღარსად ჩანდა.

იყო კი?

აღბათ აზრზეც არაა, რომ გადამარჩინა. ვერც ვერასდროს შეიტყობს!

არა: აღარ შემიძლია ფიქრი, მით უმეტეს, რომ იგი გლახუნოვიჩს არც გაცილებია.

* * *

შინ დაბრუნება აღარ მინდა (!)

ერთი სიამოვნებაა ჩემთვის ქალაქის ჩამობნელებულ ქუჩებში ხეტიალი: უფიქროდ, რასაკვირველია.

ქუჩების გადაკვეთასთან შევდექი და ფიქრიც მაშინვე ჩაირთო.

იქით, სულ პირდაპირ, ქუჩა რომ მოემართება ზღვიდან, იმის ბოლოში ნათე ცხოვრობს. იქითკენ წასვლა არც გულს უნდოდა და ფეხებიც რომ მეურჩებოდნენ?!

თითქოს უკან მომყვებოდესო ვილაც, მაგრამ არ მივიხედავ მისკენ, ნაბიჯსაც არ შევანელებ იმის ჯინაზე. თუკი საქმე აქვს ჩემთან, წამომენევა და გამომელაპარაკება, მაგრამ მაინც რომ მინდა ვიცოდე, ვინ არის, ვიცნობ თუ არ ვიცნობ, თვითონ თუ მიცნობს?

ამ ფიქრებში ვიყავი და ვილაცა მხარზე ჩამომადებს ხელს.

მისკენ მივბრუნდი.

ნათე იყო (!)

ძლივს წამოგენიეო. უკან ხომ არ გავბრუნებულიყავითო? (თუ დამცინოდა) ზღვისკენ შემატრიალა.

მივდივართ იქით, საითაც ზღვაა.

მხარზე ჩამომყრდნობია.

ვთრთი ფოთოლივით. იგიც.

ლოყაზე მაკოცა. ეს უკვე მოულოდნელია ჩემთვის და ვერც ვფარავ გაკვირვებას. სირცხვილისაგან ვწითლდები.

ზღვა გვიახლოვდება. და მიდი, გაგრილდო, ხელს ნამიბიძგებს ნათე. ფეხსაცმლის ნაძრობას ძლივს ვასწრებ და ასე, ტანსაცმლიანად გადავეშვები წყალში (ეს უკვე მეორედ).

ვშორდები ნაპირს, არა, მე არა, ნაპირი მშორდება მე. ზურგზე ნამოვნვები, რომ ნაპირს არ დავეკარგო. მივცურავ მზისკენ.

ნათე ხელს მიქნევს, მაგრამ არ ვიცი, უკან გამობრუნდო, მანიშნებს, თუ მაგულიანებს, მასე მზისკენო.

უცებ: შიში შემიპყრობს და ასოთხმოცი გრადუსით შემოვტრიალდები, ახლა მზეს შევცქერი და ვშორდები, ვგრძნობ. მივცურავ იქითკენ, საითაც ნათე მეგულება. მისი ხასიათი რომ ვიცი, მეშინია უჩემოდ არ ნავიდეს და ამიტომ ვჩქარობ. გადმოვბრუნდი და მზე უკან დამრჩა, თითქოს ზურგი შემექციოს მისთვის, მოვუბოდიშე გულში. ახლა მხოლოდ ნათეს ვხედავ, თითქოს ცაში გამოკიდებულიყოსო.

ამოვდივარ ნაპირზე, რომელიც აღარც არსებობს ჩემთვის. მიჭირს მუხლის გამართვა, ნათე თვალს არ მაცილებს და იცინის.

უხარია თუ ეცინება უბრალოდ?

ნიავემა კაბის კალთა აუფრიალა და ჩემი მზერა ჩემდა უნებურად აცდა მუხლისთავეს.

სახე წამოუწითლდა ნათეს და აკრძალულ ხილს ნუ ეპოტინებო, სიცილითვე მითხრა. მოვიდა და სველ ლოყაზე მაკოცა.

ბაგეები შეუშარილდა და ენით გაილოკა, – მაგრამ გუშინ რომ მიყვარხარო, გივიმ? – ორი ნაბიჯით უკან დაიხია, უკეთ რომ დაენახა, თუ რა რეაქციას მოახდენდა ჩემზე მისი ნათქვამი.

– იმან გაკოცა?! – უცებ ავფეთქდი.

– დიახ, მაკოცა, თუმცა ძალიან კარგად იცის, რომ გიყვარვარ...

– მესამე კლასიდან!

– და როგორ ახერხებთ, რომ დღემდე მეგობრებად რჩებით?

– ამის უფლებას ვერ ნაევარმევ, ნათე, მაგრამ...

– იჩხუბებთ?! დუელში გამოიწვევ? მეცხრამეტე საუკუნეში რომ იცოდნენ, ისე? და გამარჯვებულს დავრჩები?

– წესია ასეთი...

– მაგრამ... თქვენში გამარჯვებულს ნივთივით გადავეცემი? მაგრამ რომ გაჯობოს?

– ვერ მომერევა?

– ისიც ასე, შენსავით რომ ფიქრობდეს?
– არ გამიკვირდება... – შეეფიქრიანდი.
– ვაჟიკო, დამარცხებული რომ ამერჩია, არ დამარცხდებოდი ჩემი გულისთვის?
– მაგრამ ჩემი დამარცხება რომ შეუძლებელია?!
– ეს კიდევ ვინ იცის, ვაჟიკო...
– დუელი გადანყვეტს ყველაფერს... დავსვამ ნერტილს!
– და თუკი... შეგიძლია შემელიო, ვაჟი?!
– არ დავმარცხდები, არა!
– დუელი ჩემი გულისთვის... – ჩაიღიმა ნათემ და ხელი გამომინოდა, – დუელის შემდეგ შეეხვდებით ერთმანეთს, – მითხრა და წავიდა, ისე დამიქნია ხელი, რომ არც შემობრუნებულა ჩემკენ.

* * *

გადაწყდა: დუელი კვირას გამართულიყო და კვირამაც აღარ დაყოვნა.

აქეთ – მე, იქით – გივი.

წამზომი ჩაირთო.

გივი, ვატყობდი, ვერ მიმეტებდა და მთელი მონდომებითაც არ მიტევდა, მაგრამ ვამჩნევდი, რომ ტექნიკით მასთან ვერ მივიდოდი. ამან გამაკვირვა, თუმცა შიშით მაინც არ შემშინებია.

უცებ შევამჩნიე, რომ მარჯვენა ხელი უნებლიეთ ძირს დაუშვა და მარჯვენა მოვუქნიე მთელი ძალით. შეტორტმანდა, მაგრამ თავი შეიმგრა: კლასიო, გამოსცრა კბილებში და მოემზადეო, გამაფრთხილა.

გივის ველარ ვცნობდი.

მესამე რაუნდში ნოკდაუნში გამიშვა.

ითვლის. შვიდზე წამოვდექი.

– აგრძელებო? მკითხა.

– ვაგრძელებ, აბა, არ ვაგრძელებ?! – ვინყინე.

– მსაჯი რომ გვყოლოდა, ორთაბრძოლას შეგვანყვეტინებდარო, თითქოს სხვათაშორისო, ისე თქვა.

– ხომ არ გეშლება, რამე? – აღეშფოთდი, – შენც ხომ იცი, რომ ჩემი დამარცხება არ შეიძლება!

– ვაჟიკო, შემეძლო, ნოკაუტში გამეშვი, მაგრამ აღარ ვინდომე... აღარ დავამთავროთ?

– აღარ გავაგრძელოთ?

– შენი ნებააო და: ბურთს არ მოხვდება იმდენი, რამდენიც მე მომხვდა.

საეჭვოდ დავბარბაცდი. შემატყო, მეტს ველარ გაუძლებდი და ხელები ძირს დაუშვა. – ბრძოლა დავამთავროთო.

– ბრძოლას ვერ წავაგებო! – ამოვიძახე.

– ვაჟიკო, შენ ვერ მომიგებ... შენ არც კი იცი, რომ მესამე წელია, კრივში ვვარშიჯობ... მე ის მიკვირს, ამდენხანს როგორ გამიძელი... მაშინ ასე მოვიქცეთ: ბოლო დარტყმა მაშინ მოგაყენე, ხელები ძირს რომ გქოდა დაშვებული, ამიტომ ერთი დარტყმა შენზეა და თუკი ვერ წამაქციე, დავასრულოთ, კარგი?

თავი დაუუქნიე, მაგრამ კორექტივის შემოტანა მეც შემიძლიაო, ვუთხარი. სიტყვა „კორექტივს“ ხაზი გავუსვი.

კარგიო და მარცხენა ლოყა მომიშვირა.

გვერდულად მოუუქნიე მარჯვენა და ვერ წავაქციე.

ახლა მარჯვენა ლოყა მომიშვირა და არაო, ჩავიღმუვე.

არაფერი უთქვამს.

ნათეს რა ვუთხრათო, ვკითხე.

– მე ვეტყვიო, მითხრა.

კარგიო, დავეთანხმე.

შენ მაინც რას ფიქრობ?

სიმწრის ოფლი დამასხა:

„წავაგეო“, – როგორ ვუთხრა ნათეს? მაგრამ ხომ ვიცი, რომ წავაგე და: გულში კიდევ ვალიარებ ამას, მაგრამ... ვეტყვი სიმართლეს და უნდა დავემშვიდობო ნათეს...

– ვაჟიკო, ამდენს რას ფიქრობ? ხომ გითხარი, სათქმელს მე ვეტყვი-თქო ნათეს და... – აღარ დაასრულა გივიმ.

ტროტუარის ძგიდეზე ჩამოვჯექი და თვალი გავაყოლე გივის.

წავიდა გივი და ნათეც გამოჩნდა.

გვიყურებდიო? ვკითხე გულისფანცქალით.

– იმ ხეს ამოფარებულს არაფერი გამომჩენია...

– რომელ ხესო? – შევცბი, – იმ ხელს ხომ არა, „ვაჟი + ნათე“, რომ ამოვჭერი ჯაყვა დანით? მესამე კლასში ვიყავით მაშინ და გივიმ იმ ჩემს წარწერას ჯვარი გადაუსვა... ახლაც ატყვია...

– მერე, ვაჟი, შენ როგორ ფიქრობ, რომელი ხარტ გამარჯვებული, შენ თუ გივი? მე რომ ვიცი, შენ არ გაგიმარჯვია.

ვხედავ, გივიც შემოგვიერთდა. რალაცის თქმას აპირებს.

– თქვი, გივიო, მიმართავს ნათე.

– არც მე გამომარჯვია, – ამოღერღა გივიმ და ხელი ჩამომართვა.
– მაგრამ არც წამიგია.

– არც მთლად ასეა საქმეო, – ჩაილაპარაკა ნათემ, – ვისაც არ წაუგია, იმას ვირჩევ, ან სულაც...

– არც ამას წაუგიაო, – გივი გამომექომაგა.

– მაშინ მე რა ვქნა? – შეწუხდა ნათე.

– არავის დაცვა მე არ მჭირდება! – წამოვიძახე ჩემდაუნებურად.
– მე წავაგე, ნათე... – ვთქვი და თავი ჩავეკიდე, – ამის გაგონება გინდოდა ხომ?

ჰო... შენ წავაგე... – სიხარულისაგან თვალები გაუბრწყინდება ნათეს, – ანი, ნურაფერს იტყვი, ვაჟიკო...

და მეც დავდუმდი.

გივი ისე გაგვეშორდა, ვერც კი შევნიშნე.

ზღვაზე ხომ არ წავსულიყავითო? – ამას მე ვკითხულობდი.

ნათემ თავი დამიქნია.

ისევ ღელავდა ზღვა და აქოჩრილი ტალღა შემომამგება, თითქოს გვილოცავდესო. ისიც: აქაფებული, მაგრამ უკვე ჟინდამცხრალი გაწერტხო ჩვენს ფერხთით, თითქოს სული გაკმინდაო, მაგრამ წამით მხოლოდ და ხრიალით წატალღავდა უკან...

* * *

გლახუნოვიჩს ყოველდღე ვხედავ.

– სხვა საქმე აღარაფერი გაქვსო? – თავისებურად ჩაიციინა და მეც:

– საქმე ხომ არ გამოგელიაო? – ვუთხარი და იმანაც:

– სწორი შენიშვნააო.

– მაშინ: დღეჩაგდებით გნახავ.

– კაი რა... გლახუნოვიჩი, მაინც და მაინც გული უნდა მომიყვანო?

– აგდებულად მიუვგდე, – თუ გინდა, სულაც აღარ გნახავო.

– შენ, ვაჟი, ახლა ორგზის მანყენინე: ერთი ის, რომ ისევ გლახუნოვიჩოო და მეორეც: ...მაგრამ ამ პირველზე შევჩერდეთ შენის ნებართვით.

– დრო ხომ არ ჩაგვენიშნა, გლახუნოვიჩ? ხო, ისევ, გლახუნოვიჩ და... – მინდოდა დამესაჯა მამაჩემი, გული ამექცივებია მისთვის და მგონი გამომივიდა ჩანაფიქრი.

– ვაჟიკო, გამოსცრა მამაჩემმა, – მიქარა ბაბაუაჩემმა, რომ გლახუნა დაარქვა მამაჩემს, მამაჩემმაც მიქარა, რომ მეც გლახუნა არ დამარქვა და მივექარე მეც, რომ გლახუნა არ დაგარქვი...

– შენ მითხარი, რომ ორგზის მიწყენინებია შენთვის, ერთი წყენა გამიმხილე, მეორე რომელია, გლახუნოვიჩ? თუმცა მე ვიტყვი.

– გისმენ, გისმენ, ვაჟიკო...

– მეორე ის, რომ ვალდებულების და მიხედვით შემოვდივარ შენთან... ასეა, გლახუნოვიჩ, არა?

– ჰოდა, გითხარი, სულაც ნულარ შემოხვალო! როგორმე ამასაც ავიტან... – ახლა გლახუნოვიჩმა მატკინა გული.

მართალია, გლახუნოვიჩს ვეძახი, მაგრამ არც დაცვინი და არც მძულს მამაჩემი... თითქოს და მიყვარს კიდევ, მაგრამ რომ გამოვეუტყდე ამაში, ხომ გაიგუდა სიცილისაგან, ეს რა მეყურებაო.

– კაი, გლახუნოვიჩ... – მახვილი „ო“-ზე გავაკეთე და თვალი გავუსწორე, – თუ შენი ნებაც იქნება, ანი დღეჩაგდებით შემოვივლი შენთან... მოდის?

გამომწვევად შემხედა, მაგრამ აღარაფერი უთქვამს. კედლისკენ გადაბრუნდა და მაგრძნობინა, აუდიენცია დამთავრებულიაო. გამოვდივარ მის კაბინეტოთახიდან.

ბუზს არ დააბიჯებს გლახუნოვიჩიო, რამდენჯერ მსმენია და გული მომსვლია, ჩემს გარდა არავის არა აქვს უფლება, გლახუნოვიჩად მოიხსენიონ მამაჩემიო, მაგრამ საყვედური მაინც არ გამომითქვამს ხმამაღლა... ბრაზი მომდიოდა საკუთარ თავზე: „არა, გლახუნოვიჩს ჩემდათვად არასოდეს ვაწყენებ, მაგრამ იმას ვერ შევპირდები, რომ სიტყვას „გლახუნოვიჩს“ ჩემი ლექსიკონიდან ამოვიღებო“.

* * *

ერთხელ დედაჩემი ნამტირალევი დამხვდა.

ჩავეძიე და ლანძღვა-გინებით ამიკლო მამაშენმაო: ვაჟიკო რომ ასეთია... ასეთი გათამამებული და თვალში რომ არავინ უჩანს, სულ შენი ბრალიაო.

გლახუნოვიჩი ასპროცენტინია და შენი გამოისობითაა, ასეთ დღეში რომ ვართო, არც მოვრიდებივარ, ისე ვუთხარი დედაჩემს.

სწორი ხარო, ატირდა დედაჩემი.

ტირილითა და მოთქმით საქმეს არ ეშველებათ, ვთქვი და ჩემივე სიტყვებმა მომიყვანეს გონს: ამდებანს ხმამალალი სიტყვა არ მიკადრებია დედაჩემისთვის და ახლა რა მჭირსო? ავფორიაქდი მართლა. შემეძლო მომებოდისებია და არ ვქენი, ეს რა სისულელეაო?!

რა მექნა და გადავწყვიტე, მენახა მამაჩემი და საქმე გამერჩია. შევდივარ მასთან.

იმანაც: დამინახა და საწოლიდან წამოიწია.

– გლახუნოვიჩ! დედაჩემს რას ერჩიო?! – სულის მოთქმაც არ ვა-ცალე.

– დამასმინა ხომ?

– არ დაუსმენია, გლახუნოვიჩ... მხოლოდ შემომჩივლა... დედაჩემს რას ერჩი?

– ჩემი შვილის დედას ვერჩი?! – გაიკვირვა მამაჩემმა.

– პასუხს ველი, გლახუნოვიჩ!

– პასუხს ვერ მიიღებ ჩემგან!

– ეს რა პასუხია?! – ხმას დავუდაბლე, – გლახუნოვიჩ, შენ მე იმედს მიცრუებ...

– ისევე, გლახუნოვიჩ?! – წამოიყვირა მამაჩემმა და სილა გამანწა.

ვეცი მამაჩემს და შევანჯღრიე.

– შეგეძლო შენც შემოგელან უნებია ჩემთვის... არ გამიკვირდებო-და შენგან, – თითქოს: ამ სიტყვების თქმა და მათი გადაყლაპვა ერთი იყო, ხველება აუტყდა მამაჩემს.

„ხელი შევუბრუნო?!“ – ოფლი დამასხა, თავბრუც დამეხვა, მარ-ჯვენა ხელი მარცხენათი დავიჭირე, ვაითუ ველარ დამემორჩილოსო და საბოლოოდ არ დავცემულიყავი საკუთარ თვალში.

– ღმერთი არ გაგინყრეს და ხელი არ შემომიბრუნო, თორემო... – თვალები დახუჭა მამაჩემმა.

შევატყვე თვალის გახელა აღარ უნდოდა და თავის მოკვლა მო-მინდა.

ამ დროს ექთანმაც მოაკითხა მამაჩემს და ასეთ დღეში რომ ნახა, თავი სინანულით გადააქნია, ეს რა თაობა მოდისო, ამრეზით შემათ-ვალიერა. მერე ხელი მოკიდა მამაჩემს და თითქოს ძალით ჩაანწინა

ლოგინში: – გრცხვენოდეთ, ბატონო... საკუთარი თავის პატრონიც თქვენვე უნდა იყოთ და ... მკურნალიცო.

გლახუნოვიჩმაც გაუღიმა ექთანს და ასეც იქნებო, ამოთქვა.

ექთანმაც: მკერდზე მატაკა თითი და აქედან მიბრძანდიო, მიბრძანა.

– გლახუნოვიჩ... – მივუახლოვდი მამაჩემს და ყურში ჩავჩურჩულე: – გთხოვ, ნულარასოდეს ანყენინებ დედაჩემს... მოვილაპარაკეთ? – ვთხოვდი და ეს მაკვირვებდა.

მოვილაპარაკეთო, გლახუნოვიჩმაც და ხელი გამომინოდა, მაგრამ მე აღარ ჩამომირთმევია ხელი, ისე გამოვბრუნდი უკან.

– იმედია, დუელში არ გამომინვევო... – სმა დამადევნა გლახუნოვიჩმა.

– თუ გაუფრთხილდები დედას, არა, – უკან მიუბრუნებლად გავეძახე.

ფეხს ავუჩქარე.

მივდიოდი სახლიდან და ვფიქრობდი: „ამბობენ, გლახუნოვიჩს სიყვარულით შეურთავს თურმე დედაჩემიო. ამას ისეთ ამბებსაც მოაყოლებენ, რომ პირდაპირ მშურს გლახუნოვიჩის. დღეს კი ნევროსტენიკები არიან. ზოგჯერ ძულთ კიდევ ერთმანეთი. ერთი მეორე ვერ აუტანიათ, ზოგჯერაც: ისე შესციცინებენ ერთმანეთს თვალებში, ახალშეყვარებულები გეგონებათ. ნუთუ: ნათე და მეც ასე ვიქნებით? შეიცნობენ ქალი და კაცი ერთმანეთს და მოჭამა ჭირი სიყვარულმა?“

მეც კაი ვინმე ვარ, აგერ ახლა არ იყო, მთელი კლასი რომ ამიჯანყდა?! – ან ეს, ან ჩვენო... ისევ მამაჩემის ხათრით დამტოვეს სკოლაში და ისიც გამოსაცდელი ვადით. მერე როგორღაც ათბა კლასში და აღარავინ მერჩოდა.

ყოველივე აქედან გამომდინარე: ეს მე ვარ, რომ ვალიზიანებ მამაჩემს და სიცოცხლეს ვუმნარებ. ასე რომ, ჩვენი ურთიერთობა ისევ მე უნდა დავაბალანსო.

კი, ბატონო, მიზეზი და მიზეზი ყოველი უბედურებისა მე ვარ და მევე ვიღონებ, რამეს, მაგრამ იმას ნულარ მომთხოვთ, რომ სიტყვა „გლახუნოვიჩი“ ამოვიღო ჩემი ლექსიკონიდან. და თქვენ გგონიათ, რომ მე არ მიფიქრია ამაზე? სწორედაც რომ მიფიქრია და არა ერთხელაც, მაგრამ არაფერი გამომსვლია.

ჰოდა: შევთანხმდით ამაზე: მეც „სუ“ და თქვენც „სუ“...

მაგრამ გამოსავალი?!

ასეა და ასე იქნება ხვალ, ასე იქნება ზეგ, მაზეგაც, ასე იქნება მაზეგის მაზეგაც... ამას იქითაც (...)

ამას წინათ გლახუნოვიჩმა ბლევ პასკალის „აზრების“ წაკითხვა მირჩია ბაჩანა ბრეგაძის წინასიტყვაობით და მისმა ამნაირმა ტონმა გამაღიზიანა, მაგრამ აღარაფერი მითქვამს. მხოლოდ: ღრმად ჩავისუნთქე და მის და გასაკვირად, აბა, რას ვიზამ, გლახუნოვიჩ, შენს რჩევებს ყოველ მიზეზს გარეშე გავითვალისწინებო, ჩავილაპარაკე და გავშორდი.

ბლევ პასკალი ხომ უნივერსალური ადამიანია, აჯანყებული სული, რომელმაც დაამსხვრია მის ირგვლივ არსებული ძველი და დრომოჭმული სტერეოტიპები... არა მგონია მამამისთან მთლად დალაგებული ურთიერთობა ჰქონოდა, მაგრამ დუმს ამაზე მატყინე და ბაჩანა ბრეგაძეც თითქმის არაფერს ამბობს. მაგრამ მე ვფიქრობ: ბლევმა ჯერ მამა ჩამოიცილა გზიდან, როგორც ავტორიტეტი და ბარიერიც და მერე თავისთავსაც გამოუტანა განაჩენი...

ისე, მართალი გითხრათ, მშურს მე პასკალის. არ ვიცი, რას შევძლებ მე, მაგრამ პასკალმა შეძლო და ამაღლდა კიდეც. იქნებ ღმერთთანაც იყოს ახლა და...

დარწმუნებული ვარ, რალაცას მეც გავაკეთებ, მაგრამ რას... რამდენს, ეს აღარ ვიცი უკვე. ვიცი, შევეჭიდები რალაც დიადს, ამაში აღარ მეეჭვება და ამიტომაცაა, ასე რომ ვლელავ: სადაცაა ამომივარდება გული, ამომივა სული და გაიჭრება წინ...

ადგილზეც ველარ დავმდგარვარ: ჩემივე თავის მეშინია (!)

„გლახუნოვიჩ...“

ნეტა პასკალი არ წამეკითხა და...

პასკალმაა, საბოლოოდ რომ შემშალა და გამანადგურა... მინდა, მასავით ვიყო!

გლახუნოვიჩ... ვიცი, რასაც ფიქრობ ჩემზე: შენ წაიკითხე ჩემი სული და პასკალთან გამაიგივე. წამიკითხე და მომკალი ამით.

მაგრამ, გლახუნოვიჩ...

იცი კი თვითონ ვინა ხარ შენ?

თითქოს და იცოდე ყველაფერი...

იოგიც შენ ხარ, ფილოსოფოსიც და პოეტიც, მაგრამ გარკვეულხარ კი, მე რას ვფიქრობ ყოველივე ამაზე? გახვეულხარ იღუმალების საბურ-

ველში და უხილავი რჩები ყველასთვის. სტოიკოსიც ხარ და რატომ, როგორ, გლახუნოვიჩ?! და შენსავე ტყაში ამძვინვარებული სული საკუთარ თავს დესერტად მიირთმევ. მე კი ამასობაში ბავშვიც აღარ ვარ!

ბლუზ პასკალი ჩემს ასაკში უკვე მეცნიერი იყო და ფიქრით ვარსკვლავებს ელაციცებოდა. მე კი გლახუნოვიჩთან კამათის გარდა არაფრით გამომიჩენია თავი. მამაჩემს ვერჩი, დედაჩემსაც ვერჩი და ამ დროს იმათი გენებია, რომ მასულდგმულებენ და იქით ვერჩოდე? გლახუნოვიჩია ჩემი ორიენტირი.

დარწმუნებული ვარ, ისიც ჩემსავით იქნებოდა ბავშვობაში: იმაზეც დიდ იმედებს ამყარებდნენ ალბათ, მაგრამ იმედი გაუცრუა ყველას და უპირველესად საკუთარ თავს. ამიტომაცაა ასეთ დღეში! და ვაითუ იმის გზას ვიმეორებ?! ვაითუ გლახუნოვიჩით ვერ შედგა ჩემგან დიდი პიროვნება?! რასაკვირველია, არ მაკმაყოფილებს ისიც, რომ დილენტანტი ვიყო ყველაფერში. მე უნდა ვიღვწოდე და ვქმნიდე! ვიყო დიდი მეცნიერი, დიდი ფილოსოფოსი და დიდი მწერალი... მე კი ჯერაც არ ჩამოვყალიბებულვარ. არჩევანიც არ გამიკეთებია.

ამბობენ: ახალშობილს შუბლზე აწერია თავისი მომავალიო. გამონაკლისი არც მე ვიქნებოდი. რამდენჯერ ჩამიხედავს სარკეში, იქნებ წამეკითხა როგორმე ის წარწერა, ღმერთის ნებით რომ შუბლზე მაქვს ამოტვიფრული, მაგრამ ამაოდ.

ვიფიქრებ ამაზე:

იმასაც ამბობენ: დიდი ადამიანები მარტოსულები არიანო და თუკი მართლა მაგარი ვინმე ვარ, უარი უნდა ვთქვა ნათებზე!..

მამა:

თითქოს და არც არაფერი მჭირს, მაგრამ სულიერი სიმშვიდე, არა მგონია მომეპოვებინოს ჯერ. რატომღაც საკუთარი თავიდან მინდა ამოხტომა!

ბავშვობაში მემართებოდა ასე: სული წინ მიმისწრებდესო თითქოს, ამოვიჭრებოდი სხეულიდან, ავიჭრებოდი სულ მალლა-მალლა და სანამ სრულად არ მოვიცავდი სივრცეს, უკან დაბრუნებაზე ფიქრიც არ მინდოდა საკუთარი სიპატარავის და გამო. მერე: მოვფხიზლდებოდი უცებ და ისიც აღარ ვიყავი უკვე, ამ რამდენიმე წუთის წინ რომ წამომიტივტივა მესხიერებამ. დავიოკე სივრცე და მეპატარავა მერე ყოველი – თვით უსასრულობაც.

და მაინც: საკუთარ სიღიადეში დარწმუნებული რაღას არ შეე-
ჭიდე, მაგრამ ვერსადაც ვერ მოვიკიდე ფეხი: მჭედლის შეგირდიც
ვიყავი, ზეინკლობასაც ვსწავლობდი, საზღვაო სასწავლებელშიც ვე-
უფლებოდი ნავიგაციას, მათემატიკისთვისაც მომისინჯავს კბილი
და: ყველგან და ყოველთვის იმედაგაცრუებული ვრჩებოდი. ჰოდა,
თავიდან ვინყებდი...

ბოლოს რამაკრიშნამ და ვივეკანანდამ მიიქციეს ჩემი ყურადღება:
თითქოს და პლატონსაც და არისტოტელესაც ჩაწვდი. იქით, აღმო-
საველეთში ლაო-ძიმ შემძრა, კონფუცი ახლოს ვერ მოვიდა ჩემთან...
დიდ მომავალსაც მინინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ ერთხელ: გაქ-
რა როგორღაც ის ზეშთაგონება, რაც აქამომდე მომაქანებდა და მი-
ნაზე ფრთებჩამოყრილი დავეშვი. გონს მოვედი და თავზე ცივწყალ-
გადავლებულმა ავტოსადგურის სადისპეტჩეროში ამოვყავი თავი.

რაზე ვოცნებობდი და როგორ ვსრულდებოდი?!

მენოდა სული ამოცარიელებული.

მე: ვინმე მავან-მავანი, გამოუსწორებელი მეოცნებე, რომელსაც
მქონდა იდეები, მაგრამ ამ იდეების განსახორციელებლად ხელიც არ
გამინძრევია.

დავსრულდი თითქოს...

იდეები იდეებად რჩებოდა და ინერებოდა ძალზე უბრალო მოკ-
ვდავის ერთი ჩვეულებრივი, ერთფეროვანი ბიოგრაფია...

ამ ერთი თვის წინ კი ამ სამსახურიდანაც დამითხოვეს: ასაკში ხარ შე-
სული, საქმეს თავს ველარ გაართმევო, ენთუზიაზმს ველარ გამჩნევთო.

– ცდებით-თქო, არც კი ვიყავი შოკიდან გამოსული, ისე ვუთხარი
შეფს და დაკვირვებით შემათვალეირა.

– რაო, მიჩანს რამე და მე არ ვიციო? – მოურიდებლად ვუთხარი.

– გიჩანსო, მითხრა იმანაც, ქვედა გასასვლელში კუბოს ფიცარიო.

– როგორ გგონიათ, ხომ არ შეურაცხმყოფთო? შეეუტიე და არა-
ო, სიმართლეს გეუბნებითო:

– წყენად ნუ მიიღებ ჩემგან და მე ორმოც წელს გადაცილებულ ხე-
საც ვერ ავიტან ჩემს ეზოში და მერე: მე მსხმოიარე ხე მინდა, შენ კი...
მოისხამ გგონია?

შევხედე მე – არამსხმოიარე ხემ მსხმოიარეს და პასუხიც მკვახე
მივაგე: – შეიძლება შენ მართლა მსხმოიარე იყო, მაგრამ თქვენი ნა-
ყოფი რომ მონამლულიაო?!

– თავისუფალი ხარო, თითქოს დაჭრილმაო, ისე მითხრა შეფმა და მაგრძნობინა, აუდიენცია დამთავრებულიაო.

– მივდივარ, მაგრამ შენც გადააბიჯებ სადაცაა ორმოცს და... მოგჭრიან ძირში ... ესეც არ გაგიკვირდესო. ეს დღეც მოგიბრძანდება მალეო!

...და სადაც კი მივალ, ასაკს მიწუნებენ ყველგან.

მეც ყოველივე ასეთი განბილების შემდეგ მართლა ვბერდებოდიო თითქოს, თავჩალუნული და იმედგადაწურული გამოვიდიოდი უფროსის კაბინეტიდან და ბოლოს სულაც შევწყვეტ სამსახურის ძებნას.

შინიდან გამოსვლა აღარ მინდოდა, მაგრამ თუკი მაინც და მაინც გამოვიდიოდი, შემოსვლა მეზარებოდა მერე.

ერთხელაც: ღია ცის ქვეშ დარჩენა ვამჯობინე და მხოლოდ მეორე დღეს, გვიან ღამით შევბრუნდი შინ.

კიდევ კაი არავის არ დავკლებივარ თვალში, ჩემი არყოფნა არავის შეუმჩნევია და ამან დამწყვიტა გული.

სავარძლის საზურგეს მივესვენე და მაშინვე ჩამეძინა, გზას ცალთვალა მივიკვლევდი და გამოქცეულთან შევდექი მოულოდნელად. შევიხედე შიგ და წყვილიაღმა შემომასუნთქა.

წყვილიაღში გრილოდა. მესიამოვნა.

ქვის სანოლზე წამოვწედი და ქვამაც შემისუნქაო თითქოს, ველარ გავინძერი, კიდევ უფრო ჩამოწყვილიაღდა და სულ უფრო შემომეტმასნა ის ქვის სანოლი.

მერე:

მივირწეოდი ჩემი ქვის სანოლიანად სადღაც: გამოქცეულის სიღრმეში.

ზღაპრული იყო ჩემი სიზმარი, ზღაპრული და დაუსრულებელი.

სიმზრიდან გამოსვლა არც მიფიქრია. მაგრამ: სიზმრიდანაც როგორ გამოვიდიოდი, გამოქცეული რომ არ დამეტოვებინა. გამოქცეულის დატოვება კი არც მიფიქრია.

და ამიტომაც:

თითქოს და სიზმარში ჩავრჩი...

ძლივს არ გამოვიღვიძე?!

ახლაც თვალწინ მიდგას ის უდაბნო შუა უდაბნოში, ზღაპრული გორი და მისი გამოქცეული. იქ სიმშვიდე სუფევდა, დიდი სიმშვიდე და კიდევ უფრო დიდი უძრაობა.

გამოქვაბული – გამოტუმბული დროისგან...

გამოქვაბულზე ვფიქრობდი მხოლოდ და კიდევ: ვისზე და რაღაზე აღარ ვფიქრობდი.

ლამის გავგიჟებულყავი. თავი ისევ იმ ქვის სანოლში მეგონა.

ფიქრით თუ სინამდვილეში, უკვე ველარც ვაცნობიერებ, ვინდომე და ქვის სანოლმა აღარ ამიშვა. ვიგრძენი, ფესვები გამედგა ქვაში.

ნუთუ დამთავრდა ყველაფერი და: კუბოდ მქცევია მე ის ქვის სანოლი? ნუთუ მზის სინათლესაც ველარ ვიხილავ ანი?

გაგიჟებამდე აღარაფერი მიკლია.

და ვიგრძენი ამ დროს: ფეხაკრეფით მიახლოვდებოდა თითქოს ვილაცა.

ჩემი ვაჟიკო იყო. ძალიან გამიხარდა მისი ნახვა.

ის ქვის სანოლიც გამქრალიყო (...)

სავარძლიდან წამოვინიე, მაგრამ რაღაცამ აღარ ამიშვა, რაღაც უხილავმა. თვალი დავხუჭე. თითქოს იმ ქვის სანოლში ვინვე, მაგრამ დიდხანსაც ველარ გავძლებ ასე. ვახელ თვალს.

ახლაც ვცდილობ წამოდგომას, მაგრამ მუხლები აღარ მემორჩილება და ვაჟიკოს ვანიშნებ, დამეხმარეო.

ისიც მომვარდა, შემანჯღრია, ნუ მოკვდებიო, მთხოვდა.

ასე ნუ მანჯღრევო, შევაშვებინე ხელი.

– მეგონა, კვდებოდი, გლახუნოვიჩ და...

– მაინც არ გაგიხარდებოდა ჩემი სიკვდილი, ვიცი... – ვთქვი, მაგრამ გულისტკივილით.

– ამას რატომ მეუბნებიო? – თვალეები მოწკურა, – ვფიქრობდი დაგხმარებოდი...

– მეც იმას გეუბნები, რასაც ვფიქრობო...

– გლახუნოვიჩ, მთლად გუნებაზეც ვერ უნდა იყოო.. – ხელი ჩაიქნია.

სავარძელში გავიშალე.

გამშორდა სასწრაფოდ.

სიზმარი გამახსენდა უნებლიეთ და ჟრუანტელმა დამიარა ტანში. ისე მომინდა ქვის სანოლში ჩანოლა, რომ აღარასოდეს წამოვმდგარიყავი: „მე მაინც ვნახავ იმ გამოქვაბულს და იმ სანოლშიც სხვა ველარავინ ჩანვეს!“

მე მართლა ვერ დამედგინა, სინამდვილეში მართლა იყო ის სანოლი სადღაც, თუ სიზრიდან მოთრეული აბლაბუდა გახლდათ ეს ყველაფერი.

ფიქრით: ისევ ვწვები ჩემს ქვის სანოლში... ფიქრზე შორსაც კი მივდივარ, თითქოს პორიზონტისთვის გადამებიჯებინოსო... გავა დლე, დლეებიც გავლენ და თვეებიც, წელიწადებიც და მოდიან ჩემთან ხეიბრები, ბრმები და სულით დაავადებულები. თვალდახუჭული ვხედავ ყველას და ვიძირები იმათ სულებში. ვიცი, რაც ჭირთ და რაც უჭირთ. მე შემძლია მათი მკურნალი ვიყო.

მათი ჟრუანტიელი ვარ, ვკურნავ მათ და ისინიც მტოვებენ გახარებულიები, მაგრამ გაოგნებულები... მიდიან ჩემგან განკურნებულები და... აღარც მოიხედავენ უკან.

მე მინდა ასე (!)

ოღონდაც: იმაზე მეტი მინდა ვქნა, რაც გამიკეთებია... მინდა გავილიო ამ სიყვარულში.

იქნებ მორჩილად დავმდგარიყავი სადმე ტაძარში... მერე კი შეიძლება ბერადაც აღვიკვეცო. შეუძლებელი არაფერია...

შვილი:

გლახუნოვიჩი გამოკეთდა, მაგრამ შეცვლილი მეჩვენება როგორღაც: ის აღარ არის, რაც დღემდე იყო. დადის ბრძენივით დაუნჯებულნი, არავითარი მკვეთრი მოძრაობა.

იქნებ ბრძენია მართლა?!

ეთრხელ ვენები გადაიჭრა და გადავარჩინეთ.

სიკვდილი უნდოდა და მე დავეუშალე. კიდევ მისაყვედურა, ეს რა მიყავიო?!

იქნებ მართალიც იყო.

ისე იქცევა, თითქოს თავისი სავალი გზა დაუსრულებიაო.

მაგრამ ვატყობ: თვითონაც უკვირს, ეს რა უბედურება მჭირსო?

ჩემი აზრით: ვერ შეუგრძენია ახალი დროის სუნთქვა. ისევ იმ თავისი ძველი დროით ცხოვრობს და ახლებურად ცხოვრებაც აღარ შეუძლია. ვენებიც ამიტომ გადაიჭრა.

და მაინც:

გლახუნოვიჩის აწმყოც არ ჰგუობს და თავის პროტესტსაც, ამიტომაც, არც ჰფარავს.

აქ კითხვაც თავისით ჩნდება: ერთ სიბრტყეზეც როგორღა ვიყოთ მე და გლახუნოვიჩი?

გლახუნოვიჩი ჩემთვის ხელისშემშლელი ჩხირია ველოსიპედის ბორბალში გაჩხერილი: სანამ ცოცხალია, მკვდარი ვარ მე, მოკვდება და სიცოცხლედ მაშინვე მომეცემა, ჩემი საათიც ჩაირთვება, მაგრამ მისი სიკვდილიც რომ აღარ მინდა?

...დედა დაბადების დღეს მილოცავს. მზის ჩასვლისას... მოდის გლახუნოვიჩი, მოსალოცად ალბათ. ვგრძნობ რომ მიყურებს, თითქოს ზურგს მწვავედეს მისი მზერა.

მაშინ: ზღვას შევჩივლე ჩემს გასაჭირზე.

ისიც მომვარდა და ჩემს ფეხებთან ჩაიცალა სილაში.

ფეხები დავუბაკუნე, გლახუნოვიჩი ხომ არ გგონივარო და შემომიბღვირა.

– შენც გლახუნოვიჩის ეძახი მამაჩემს, თუმცა სხვანაირადაც როგორ უნდა მიმართო, როცა გლახუნოვიჩია სინამდვილეში. შუბლზე აწერია, რომ გლახუნოვიჩია?!

– ძველებურად ვერ იტან მამაშენს?

– ჰო... სანამ არის, ვერაფერსაც ვერ მივალწევ... ვერც ის გააკეთებს რამეს.

– დარწმუნებული ხარ? მერე და გლახუნოვიჩი რას გიშლის?

– არ ვიცი და ესაა ასე რომ მაფიქრებს. დილას იდეებით სავსე ვიღვიძებ, დავინახავ გლახუნოვიჩს და ერთი იდეაც აღარ მრჩება...

– ეს შენი ახირებაა, ვაჟიკო, ასე შთაგიგონებია თავი და... – უკუიქცა ტალღა.

– ზღვაო, შენც გამიცრუე იმედი, – ბრაზს ველარ ვმალავ, – მორჩა, ველარ მოგისმენ ანო!

– იქნებ... თვითონ შენ გაუცრუე იმედები გლახუნოვიჩს... შენ, ვაჟიკო, ფეხზე დგახარ და გძინავს, ასე ხომ შეიძლება შენც ჩაგადნეს ხელში შენი წუთისოფელი?!

– შენ, ხომ არ გეშლება რალაც-რალაცები?! – თითი დავუქნიე ზღვას და ზურგი შევაქციე.

ჩემკენ მოიხედეო, ზღვაა რომ მთხოვს, – სათქმელი რამ მაქვს შენთანო.

– შენთვის შეინახე ის შენი სათქმელი, – ვეუბნები უკანმოუხედავად, – მივდივარ და საეჭვოა, მოგინახულო ანო...

რა გაენყობაო, თავისთვის წაილაპარაკებს ტალღაც და უკან ჩაიხეხვს. მგონი თვალის ჩახუჭა, რომ ველარ დავენახე.

მოძულებულივით დავტოვე.

სამაგიეროდ: ნათეს ნახვა მომინდა როგორც არასდროს.

მოხილურზე მირეკავენ.

ნათეა.

ხომ ვერ შემხვდებიო, მეკითხება.

მე კი: თითქოს მინდა და არც მინდა მასთან მისვლა. ჩემი გამკვირ-
ვებია!

კითხვას უპასუხოდ ვტოვებ და სად ხარო, ჩამეკითხებიან.

შენი სახლიდან ორმოცდაათ ნაბიჯზეო, ამოვიძახებ.

მოვდივარო, გავიგონებ ნათეს აღელვებულ ხმას და საჭირო არა-
აო, ველარ ვკადრებ.

კი აღარ მივდივარ ნათეს სახლისკენ, არამედ მივინევ როგორ-
ღაც, თითქოს და ტალღას მივარღვევდეთ.

დამინახა ასე მოუამული და აღარ ეამა. მეც: რა მოხდაო, აგდებუ-
ლად ვკითხე.

– აქეთ მინდოდა შენთვის მეკითხაო, გამიბრაზდა და მგონი მოვ-
ფხიზლდი:

– აღარ ვიცი, ნათე, რა მომდის... რალაც მემართებოდეს თითქოს...

– ისევე მამაშენზე ფიქრობ? წარმომიდგენია, რა დღეშიც ხარ და...
ის რა დღეში იქნება?! უნდა გაერკვე როგორმე... შენით უნდა დაინყ-
ო, ვაჟი...

– კი, მაგრამ... კაი ახირებული ვინმე ვარ, რომ ხელს ვუშლი ყვე-
ლას. არავის დანახვა აღარ მიხარია, გაგიგონია ასე?

თვლებში ჩავხედე ნათეს, – მე ხომ ერთი საზიზლარი ვინმე
ვბრძანდები და შენდობასაც არ ვიმსახურებ, ერთი კაი ჭკუის სწავ-
ლება მართლა არ მანყენდა!

– წავიდე, ვაჟი? – გავიგონე ნათეს შეწუხებული კითხვა.

– წადიო, მგონი არ მითქვამს შენთვის...

– კარგად მართლა ვერ უნდა იყოო, – ჩაილაპარაკა ნათემ და წას-
ვლა დააპირა.

– არ წახვიდე, გთხოვ, ნათე, – აღმომხდა ჩემ და უნებურად.

– ვაჟიკო, უსამართლოდ და უდიერად ხომ არ ექცევი მამაშენს?
იცნობ, რას გვასწავლის წმიდა წიგნი?

– სანამ გლახუნოვიჩია, მე... ვერ შევდგები, ნათე...

– მამაშენს რომ ძალიან უყვარხარ, ვაჟიკო?

– ალბათ ჩემი სიყვარულით ჭირს ეს ყველაფერი...

– მერე და შენი აზრით ეს ყველაფერი ანგარიშგასანევი არ უნდა იყოს?

– იცი, ნათე, რა მითხრა ერთხელ გლახუნოვიჩმა? ბირჟაზე ერთი ლოთი ძმაკაცი გეყავდაო, ვასაკა. სად არ იმკურნალა იმ ჩვენმა ვასაკამ, მაგრამ არაფერი ეშველა. შვილი ჰყავდა ერთადერთი და იგიც ვასაკა. აულია ვასაკა უფროსს და სასეირნოდ წაუყვანია ვასაკა უმცროსი. წვიმამ მოუსწრო მამა-შვილს და ორივე გაცივებულა. ვასაკა უფროსი მალე გამომჯობინებულა, ვასაკა უმცროსს კი გართულება გრიპი და სული კინალამ მიუცია მამაზეციერისთვის.

უფროსი ვასაკა სულ ასე გაიძახოდა, ჩემი ვასაკა მე დავლუპეო. ერთხელაც: კოკისპირულ წვიმაში ამ ჩვენს ვასაკა უფროსს თავი გამოუყვია სარკმლიდან და მთელი სამი საათი ასე დარჩენილა.

ფილტვების ანთება შეყრია და ვერ წარმოიდგენთ, რა ბედნიერი იყო: ვინანიებო, გვეუბნებოდა. მკურნალობაზე ხომ უარი თქვა და: კვდებოდა ვასაკა უფროსი და ხარობდა: „თუკი მოკვდები, იცოცხლებს ჩემი ვასაკაო. ასე მოკვდა დიდი ვასაკა. მერე: სოფელი დიდია და სამართლიანი. გაიზარდა ვასაკა უმცროსი და დიდი ვასაკა გახდა...“

ვასაკა უმცროსი ჩემი კბილაა და სპორტსმენია, გივისთან ერთად ვარჯიშობს. პერსპექტიული მოკრივეაო, გივი მეუბნება, გივის კი დაეჯერება!

– ნათე, ჩემი გლახუნოვიჩი იმ ვასაკასავითაა, რომ მოკვდა, იმასავით. ვუყვარვარ ძალიან, ალბათ ისე, როგორც დიდ ვასაკას უყვარდა პატარა ვასაკა.

ადრე, მახსოვს: სამსახურიდან მობრუნებული ადგილს ვერ პოულობდა ავტობუსში. ავტობუსს სკოლასთან გააჩერებინებდა და ფეხით გამოყვებოდა დარჩენილ მანძილს სახლამდე იმის შიშით, ვინ იცის როგორ უჭირს ჩემს ვაჟიკოსო. ფეხს აუჩქარებდა, იქნებ მოეუსწრო და დავარდნილი წამოვაყენოო. დამინახავდა და მომვარდებოდა, გაგიჟებულვით მკოცნიდა და მხოლოდ ამის შემდეგ დამშვიდებოდა. მოკლედ: ასეთია გლახუნოვიჩი. მეც მიყვარს იგი და გლახუნოვიჩსაც, სიყვარულითაა რომ ვეძახი.

ერთად როცა არ ვართ, მაშინ ვწუხვართ ორივე. შევიყრებით და ერთმანეთი ვერ აგვიტანია. თუმცა: შეიძლება ვაზვიადებდე და...

ნათეს თვალი არ მოუცილებია ჩემთვის.

ბოლოს: დაგირეკავო, გამანყვეტინა და დამემშვიდობა, მაგრამ აღარ წასულა: ჩვენი ფიქრის დრო დამდგარაო. მეც ასე ვფიქრობო და ფიქრმაც წამილო.

უცებ ხელი შემახო ნათემ და უნდა წავიდეო, ჩურჩულით მითხრა. რა გადაგინყვეტიაო, ვკითხე.

ვერაფერი ისეთიო, მიპასუხა, მაგრამ რალაცას მოვიფიქრებო. შენ, ვაჟიკოო? – თვალი გამისწორა.

მეც ვერაფერიო, ვთქვი დაძმარებულმა. თვალს ვხუჭავ, არ მინდა დავინახო, როგორ წავა და დამშორდება.

და მაინც მიხაროდა რატომღაც.

* * *

ვილვიძებ:

იქნებ კოშმარულ სიზმარში ჩარჩენა მემუქრებოდა და ამბურძ-გლა ტანზე: – ჩემი სიზმარი...

მაგრამ თვითონ სიზმარი რომ ვერ გამიხსენებია? ამან მართლა შემაშინა: ცუდი რამ ხომ არ უნდა შეემთხვას გლახუნოვიჩსო, ფიქრი მომვარდა.

წამოვდექი. ფრთხილად შევალე მამაჩემის კაბინეტად გადაკეთებული ოთახი. გლახუნოვიჩი იქ არ დამხვედრია და იქნებ დედაჩემთან იყოსო, ვივარაუდე. თუმცა ვიცოდი: ეს რამდენიმე თვეა, რაც ნეკა თითითაც არ გაკარებია დედაჩემს. შევატყვე, დედაჩემიც შეშინდა, სად უნდა გამქრალიყო და მოძებნეო, მთხოვა.

ჰოდა, მეც ვეძებ გლახუნოვიჩს, მაგრამ ამაოდ.

გლახუნოვიჩის ასავალ-დასავალს ველარსად მივაგენი და ამან მართლა შემაფიქრიანა.

უგზო-უკვლოდ გამქრალიყო.

* * *

ჩემს ოთახში გამოვიკეტე. ხმას აღარავის ვცემდი. არავის დანახვა არ მინდოდა.

მესმოდა, როგორ მოთქვამდა დედაჩემი და მესმოდა ჩემი გულის ბაგა-ბუგიც.

ნათეც აღარ გავიკარე.

შიმშილობის მესამე დღეს დამენყო თავბრუსხვევა. წნევამაც ამინა. მთელი დღე აღარ წამოვმდგარვარ ლოგინიდან. მხოლოდ მეექვსე დღეს გამოვკეთდი და აღმოვაჩინე, რომ ფეხსაც არ ვაკარებდი მინას. აფრენაც კი მომიხდა, მაგრამ გადავიფიქრე, ვაითუ ვერ აფრინდებო. ჩემს თავზე მეცინებოდა მერე, ეს რა სისულელეები მომდის თავშიო.

და მისდევდა ასე დღე დღეს...

ძილ-ღვიძილში ვხედავდი: გლახუნოვიჩი აღსარებას აძლევდა თავის მოძღვარს მამა გიორგის. ოღონდ: ის აღარ მაინტერესებდა, ხილვა იყო ეს ჩვეულებრივი, თუ მესიზმრებოდა უბრალოდ. ვგრძნობდი კი: აღსარების მიცემის დროს ჩემზე ფიქრობდა გლახუნოვიჩი. მერე და მერე გაქრა ეს ზმანებებიც და... ნათეც შემომეგება ხელებგაშლილი.

მაინც რა ლამაზი იყო?!

და კინალამ უარი არ ვთქვი ნათეზე?!

ხელი ჩამკიდა ნათემ და დიდხანს, დიდხანს ავდიოდით აღმართზე. მერე: გაქრა ნათეც.

გაივაკა და აღარც კი მახსოვს, როგორ აღმოვჩნდი გამოქვაბულში.

ერთი განდეგილი ცხოვრობდა ამ გამოქვაბულში...

განდეგილი არ დამხვედრია.

ჩემი ყურადღება უჩვეულო ქვის სანოლმა მიიპყრო. ჩავენეკი შიგდა: დავრჩი უფიქროდ.

იქნებ უბრალოდ ჩვენებაა-თქო, თავს ვიმშიდებდი, — ზმანებაო. თანაც მეექვსეობდა, განდეგილს ქვის სანოლი ვინ მისცაო?

ქვის სანოლი კი თონესავით ხურდა. ოფლის ღვარში ვცურავდი და ვფართოვდებოდი თითქოს, სული მიწუხდა. ქვის სანოლმა კი გაციება იწყებო მოულოდნელად. მალე ისე შევიწროვდა, რომ ველარ მიტევდა უკვე. ბოლოს საცობივით ამოვვარდი ქვის სანოლიდან და დაგვალულ და დაბზარულ მიწაზე დამაგდო.

ყველაფერი მტკიოდა: სულიც და ხორციც. ლამის გაგვიყებულყავი ტკივილებისგან. ძარღვები დასკდომაზე მქონდა და ავფეთქდიო თითქოს, თვალთ დამიბნელდა. ვიცლებოდი სისხლისაგან და ალბათ სიცოცხლისგანაც. იქნებ: მოკვდი ჩვეულებრივი მოკვდავივით და ვერ გამეცნობიერებია. სიცივე ნელ-ნელა მეუფლებოდა.

აღარ ვფიქრობდი და ესეც არ მენალვლებოდა. აბა, სიკვდილიც
სხვა რაღაა, იქნებ ამიხსნას ვინმემ?

ჰო, ეს სიკვდილი იყო...

* * *

დედაჩემის შევივლებამ წამომავლო ლოგინიდან.

ზმანება გაქრა.

ორთქლი ამდიოდა ტანზე.

– რა მოხდა-მეთქი? – გაკვირვებულმა ვიკითხე. ჩემსავ ხმას მივა-
ყურადე და მწუხარე მეჩვენა იგი.

მე ვწუხდი.

– გამოლვიძება გაგიჭირდაო, მეუბნებოდა დედა.

შემცივდა და გამაკანკალა.

თეთრეული გამომიცივალეს.

წამოდგომაც ვცადე, მაგრამ სასწრაფოს ექიმმა არ დამანება, –
ცოტა ხანში საავადმყოფოში გადაგიყვანთო. მაგრამ არ ვქენი, საჭი-
რო არაა, გავჯიუტდი.

სახსრებში მტეხდა...

სულს ნელ-ნელა ვიბრუნებდი...

ახლაც იმ სიზმარზე ... (თუ ზმანებაზე) ვფიქრობ.

მაშინ მე მართლა მოკვდი და მკვდრეთით აღვდექი.

მე ჩემეული წარმოდგენა მქონდა სიცოცხლეზე, ადამიანზე და
ყველაფერ ამას ხაზი გადაესვა. ადამიანი არც არაფრად მეჩვენებო-
და უკვე. სიცოცხლე ჭეშმარიტადაც აღარ მიმაჩნდა.

მხოლოდ ერთი ნატვრალა მიცნობიერდებოდა: რომ უნდა დაბრუ-
ნებულიყო იმ სადანლაც ჩემი გლახუნოვიჩი...

ვგრძნობდი ქვეცნობიერად: ჩემი ბედი და საერთოდ კეთილდე-
ობა ამაზე იყო დამოკიდებული. და არა მარტო დამოკიდებული, არა-
მედ დაფუძნებულიც.

ღმერთმაც მისმინა: გლახუნოვიჩი სწორედ ისეთი გამომიჩნდა,
მისი გაუჩირანების დღეს რომ ვნახე: წვერმოშვებული და წელში მო-
ხრილი. შავი სათვალე ეკეთა.

– გიხილე, ვაჟიკო, ცუდად იყავი... ჩემს ქვის სანოლში იწექი და
დღითიდლე გიუარესდებოდა ჯანმრთელობა. დნებოდი ჩემს თვალ-
წინ.

მერე: აღარც კი ვუნყი, მოკვდი თუ გაქრი და ჩემი აგილსამყოფელიც ამიტომ დამიტოვებია. მეუბნებოდა გული: თუკი დაგხედავდი, აღარ მოკვდებოდიო.

– შენი სიკვდილი არ მინდოდა და შენს მოსვლამდეც ამიტომ აღვდექი.

– ვაჟიკო, მართლა ასეა?

– გლახუნოვიჩი... – ნერწყვი დამადგა ყელზე და ხველება ამიტყდა. ვხედავ, თვალს არ მაცილებს მამა.

– ვაჟიკო, რაღაცის თქმას აპირებდი...

– მინდა შევრიგდეთ. თუკი დარჩები სახლში, გლახუნოვიჩს აღარ დაგიძახებ!

გლახუნოვიჩმა თავი დამიქნია და თავისი გატყლაპული თითებით ჩამოიფოცხა ნვერი.

ვაკვირდები და მინდა დავადგინო: ჭალარა მოჭარბებია ნვერში, თუ შავი შერევია ჭალარაში? და რა სისულელეებზე ვკარგავ დროს?!

უნებლიეთ გამეცინა და დღევანდელი დღე ამონურულიაო, ვანიშნეთ ერთმანეთს.

ასე შევრიგდით და თითქოს მოვრიგდით კიდეც...

მამა:

ასე შევრიგდით და კიდეც მოვრიგდით თითქოს, მაგრამ მაინც გამაფრთხილა ვაჟიკომ, საღამოობით საუბრები რომ გვიყვარდა, დროებით, გარკვეულ დრომდე უნდა გადაიდოს, რადგან ისეთ საუბარსაც ვერ ვისხენებ, ჩხუბში არ გადაგვჭროდესო. უნდა გავუფრთხილდეთ ერთი მეორის გრძნობებს, დავინდოთ ერთმანეთი, ხომ იცი, ეშმაკს არ ძინავს და... შენს სიტყვებს ვიმეორებ, გლახუნოვიჩი... მომიტყევე, მაინც წამომცდა...

– არა უშავს, უკვე შევეგუეო, ვთქვი და მინდოდა მივფერებოდი, მაგრამ ყოველგვარი სენტიმენტების გარეშე, თუ შეიძლებაო, მეუბნება და ეცინება. მეც მეცინება, ერთმანეთს არა, საკუთარ თავს თუ დავცინოდით ერთიც და მეორეც.

...უკვე სამსახურის საქმეებზედაც ერთად დავდივართ. ერთ კვირაში მობრძანდითო. ერთნაირად გვაიმედებენ ორივეს. შინ დაძმარებულებით ვბრუნდებით დღესაც და როგორც ყოველთვის ახლაც კარის ზღურბლიდანვე გაიყოფა ჩვენი გზები.

ვკითხულობ...

ამ ბოლო დროს რომენ როლანის რამაკრიშნას ცხოვრების ეპიზოდების კითხვა დამჩემდა. იმის ნააზრევში ვეფლობი.

კაი შებნელებულზე დამიკაკუნეს კარზე.

ვაჟიკო იყო. სტუმარი მყავს და შენი ნახვა აინტერესებსო.

საუბარი, როგორც მოსალოდნელი იყო, მამებსა და შვილებს შორის ჩამოვარდნილ უთანხმოებაზე ჩამოვარდა. ვილაპარკეთ მეცხრამეტე საუკუნის თერგდალეულებზე და დღევანდელ ე.წ. ოკეანედალეულებზე. ჩვენს თაობას, ადრევე შევეთანხმდით და დაკარგული თაობის იარლიყი ჩამოვკიდეთ, რომელმაც თავისი თავის რეალიზება ვერ შეძლო.

ჰო, გაიკიცხა ჩემი დაკარგული თაობა და არქივს ჩაბარდა.

სისხლი ამივარდა თავში და საპროტესტოდ განვენწყვე: – ჯერ არაფერიც არ დამთავრებულა! – ნამოვიძახე: – ჯერ არაფერიც არ დაგვიკარგავს და ღმერთმაც თუ ინება და შეგვაძლებინა, ჩვენს სიტყვას ვიტყვი. დროა, საქმეს მოვეკიდოთ, ჩვენი გასაკეთებელი ჩვენს შვილებს არ დაუტოვოთ!

შევატყვე: ჩემმა სიტყვებმა გაალიზინა ვაჟიკო, მაგრამ მაინც შეიკავა თავი და აღარ შემკამათებია, მხოლოდ ესა თქვა: – რა დასამალია და ჩვენმა ოკეანედალეულებმა ვერც მრენველობას უშველეს და ველარც სოფელს მოაბეს თავი, – უცებ შეუწყდა სიტყვა, თვალი უყო თავის თანაკურსელს და უსიტყვოდ დამტოვეს.

დიდხანს ველოდი ვაჟიკოს. იგვიანებდა და ვნერვიულობდი. თავს ისე ვგრძნობდი, როგორც ბავშვობაში. ამომივარდა სული სხეულიდან და დავედევნე. მეშინოდა, მართლაც არ დამკარგვოდა. ფიქრმა წამიღო: აჰა, თითქოს წამოვენიეო და ისიც აინია მალლა.

უემურაყოლილივით შევდექი და მოულოდნელად გაიღო კარი.

ვაჟიკომ შემოაბიჯა და რა გინდოდაო, მკითხა.

– მინდოდაო, – ვუთხარი და შევეყვით ერთი მეორეს.

– გლახუნოვიჩ, არ ვიყავი მართალი, როცა ერთად დავდიოდით სამსახურის საძებნებლად. უნდა მცოდნოდა, რომ შენს გადამკიდეს სამსახურს არავინ მომაშავებდა. შენ კი იმიტომაც ხარ მტყუანი, რომ არ გაითვალისწინე შენი ასაკი. შენი ხნის კაცი მოგონებებით უნდა ცხოვრობდეს და ემზადებოდეს... ეჰ, გლახუნოვიჩ, გლახუნოვიჩ, მაინცდამაინც მე უნდა აგისხნა, რისთვისაც უნდა ემზადებოდე?! ის ბი-

ჭი, შენით რომ იყო დაინტერესებული, სწავლას აგრძელებს უნივერსიტეტში, შენი შვილი კი, შენც კარგად მოგეხსენება, სასწავლო თანხის გადაუხდელობის გამო, სხვა ორი ათას ხუთას სტუდენტთან ერთად გარიცხულია და გვარდიაც მზადაა თავის რიგებში ჩაგვრიცხოს.

მოკლედ: არ დაიკარგებიან ჩემისთანები. ასე რომ, შენ-შენთვის, გლახუნოვიჩ და მე კიდევ – ჩემთვის. გთხოვ: მზრუნველი მამის როლსაც ნულარ ითამაშებ.

– ვაჟიკო ... – ოფლი დამასხა და სისხლი ამივარდა თავში: – შენ უსინდისოც ყოფილხარ თურმე... ნამუსგარეცხილიც!

– მაშასადამე, გლახუნოვიჩ... ყველა სიკეთესთან ერთად უზრდელიც ვყოფილვარ და ნამუსგარეცხილიც და ამას ყოველგვარი სინდისის ქენჯნის გარეშე მეუბნები? – ფერი შეცვლოდა ვაჟიკოს. თვალებდასისხლიანებულს სახეც დაწრილებოდესო თითქოს, – გლახუნოვიჩ, მგონი ბოდიშის მოხდა მოგიწიოს და ... გლახუნოვიჩ, მომიბოდიშე, თორემ გავგიჟდები, – თვალებზე აიფარა ხელები, – გაქრი აქედან! შვიდამდე ვითვლი და გთხოვ, – თვალს რომ გავახელ, აღარ დავგინახო!

მართლა შევშინდი: „აღარ ვიცი, როგორ მოვიქცე“?

მაგრამ არც მიფიქრია, ფეხი მომეცვალა ადგილიდან.

მე ის მიკვირდა, თავს როგორ ვიკავებდი, რომ ჩემს გემოზე არ მიმეტყება ეს გათავხედებული ბიჭი, მერე გამეთოკა და ფსიქიატრიული საავადმყოფოსთვის გადამეცა.

ჰოდა: ვიდექი ასე ფეხებგაჩანჩული და შევთხოვდი უფალს, წყობიდან არ გამოვსულიყავი. ხომ შეიძლებოდა, მართლა შემომკვდომოდა უღირსი შვილი და დედამინაც გათავისუფლდებოდა ამ მძიმე და უმაქნისი ტვირთისაგან, – მაგრამ ვნახავ კიდევ ერთხელ რის შემძლეა ეს ჭკუანაღრძობი ტილი და იქნებ მართლა მოვითქვა სული.

– ორი და სამი! – ჩაითვალა ვაჟიკომ.

– შვიდამდე დავითვლიო, რომ ამბობდი? – მშვიდად შევახსენე.

ვაჟიკომ ძირს დაუშვა ხელები და თვალი გაახილა: – მე გხედავ შენ გლახუნოვიჩ! ხომ არ მეშლება რამე?

– კი, გლახუნოვიჩი ვარ, – ვთქვი და ხელები გავშალე, – და არაფერიც არ გეშლება!

– გლახუნოვიჩ, წერას ხომ არ აუტანიახარ?

- დიდი ხანია...
- ხუმრობის ხასიათზე ხარ?
- გირჩევ წყალი დალიო!
- გლახუნოვიჩ!
- რამეს მიპირებ, ვაჟიკო?

- გლახუნოვიჩ, მე გაგაფრთხილე და შენ ყურად არ იღე ჩემი გაფრთხილება, ამიტომ... – მარცხენა საჩვენებელი თითით თვალი არ გამომთხარა ამ უღმერთომ?! (დამავინწყდა მეთქვა, რომ ჩემი ვაჟიკო ცაციაა).

გონი არ დამიკარგავს, მაგრამ კი ჩამოხბუნელდა. გავახილე მარცხენა თვალი და გაფითრებული ვაჟიკო დავინახე. იმავდროულად ვიგრძენი, როგორ დაეტყუა იატაკზე ჩემი მარჯვენა თვალი, მაგრამ თითქოს არც არაფერი მომხდარიყოსო, დავიხარე, თვალი ავიღე და მარცხენა ხელისგულზე დავიდე. ვაჟიკომ თავში შემოირტყა ხელები და სამზარეულოში შევარდა. იქიდან დანა გამოიტანა და ის, თვალის ამომგდები თითი მაგიდაზე დადო, გაასწორა და... თვალთ დამიხბუნელდა ისევ.

თვალი გავახილე და ვაჟიკო აღარსად იყო. მაგიდაზე გაუნძრევლად იდო ის დანა და მის გვერდით – ჩემი თვალის ამომგდები თითი.

რეტდასხმულმა მზერა თითიდან ჩემს თვალზე გადავიტანე, და აღარც ვუნწყოდი, რომელი ხედავდა და აღიქვამდა: თვალი, რომელიც თვალის ფოსოში მედგა, თუ ის, თავის ადგილზე რომ აღარ დამიყენეს...

* * *

ვაჟიკოს აღარ განვიკითხავდი.

დამნაშავეს საკუთარ თავში ვეძიებდი: იგი მე ვიყავი, გლახუნოვიჩი. და უნდა აღსრულებულიყო მართლმსაჯულება!

ჰოდა, უცებ გამახსენდა გამოქვამული და შიგ ჩემი ქვის სანოლი. მომაგონდა ის ზღაპარიც, ასეთი მინაწერი რომ წაემძღვარებინათ: „ზღაპარ იყო, ზღაპარ იყო, ჭალას ჩიტი ჩამგდარიყო, დიდ ქვაბში არ ეტეოდა, პატარაში არც რა (ლაყე) იყო“..

ჭალაში სამყარო იგულისხმება, ქვაბი ჩემი ქვის სანოლია და ჩიტიც მე ვარ – გლახუნოვიჩი. ასე რომ, ჭალაც, იგივე გამოქვამული, ქვის სანოლიც, ორივე ჩემია და შემაჟურჟოლა.

...ჩემი სახლიდან წასვლა არავის შეუმჩნევია და ამანაც მატკინა გული, მაგრამ გზამ გამინელა ტკივილი.

თავს კაი გვარიანად შელახული შლიაპა მხურავს და მზისაგან მიცავს. თან მიმაქვს ერთი ხელი ტანისამოსი და წყლით სავსე მათარა.

უფალო, გზა შენკენ მიდევსო, ჩავითქვი და იელვა კიდეც. ვიფიქრე, ღმერთმა მისმინა და ნიშანსაც მაძლევსო.

ზოგჯერ ამიაღმართდება გზა, ზოგჯერ ჩამომიაღმართდება. მგონი სათვალავიც ამრევია უკვე. აღარ ვიცი, რამდენი დღეა, რაც ამ გზას დავდგომივარ.

ადამიანი ხომ გამიუცხოვდა (!)

ვილაც მეძახის და მზარავს ამ ხმის გაგონება.

ნაბიჯი თანდათანობით მიმცირდება (ასე მგონია). სინამდვილეში ვინ იცის, რა მჭირს?!

ერთია: წინ გაჭირვებით მივიწეე.

უკან მრჩებოდესო თითქოს ყველაფერი: უდაბნოც ამ დროსაა, გულს რომ გადამიშლის და დამსიცხავს.

გამოვშრით თითქოს.

და ძახილსაც, ასე რომ მზარავდა, ახლალა ვაცნობიერებ:

უდაბნო მეძახდა თურმე ამდებანს...

ჟრჟოლა ამიტანს.

ძლივს არ გამოვშრი?!

– მზისკენ იარეო, უდაბნოა რომ მეუბნება.

მზე კი დამცინოდესო თითქოს, თავის მწველ სხივებში მხვევს და სული მეხუთება.

მილიარდობით მოვიწელებ მე შენნაირებსო, ჩამძახის ყურში და არ მომწონს, როცა ასე პანია მოლექულა ვგონივარ ვინმეს, თუნდაც მზე ბრძანდებოდეს ეს ვინმე.

– მე ჩემს გამოქვაბულს მაინც მივაგნებ! – ვამბობ და მომწყურდება.

და როცა მათარას ბოლომდე დავცლი, ამწვანებული მალლობი წამოიმართება ჩემს წინ.

მირაჟი თუ არისო, ვიტყვი გულდანყვეტილი, რადგან ამ მალლობით წყდება ჩემი სავალი გზა.

– არავითარი მირაჟი! აქ არის შენი გამოქვაბული! გავიგონებ და დამზრინავს ტანში.

შევდივარ გამოქვაბულში.

არც ცხელა აქ და არც ცივა.

წყაროც მოწვეთავს სანვეთურივით.

სიხარული მომიცავს. წყურვილით სიკვდილი აღარ მიწერიას, –
ვამბობ ვილაცის ჯინზე.

თიხის ჯამი ნახევრად შევსებულიყო და გულის ხმაც მესმა: – სა-
ლამომდე შეივსებაო. – ერთი კაცის ინჯრაო, – ამიცრიალდა გული.

ქვის სანოლი ახლალა შევამჩნიე.

„ჩემი ქვის სანოლიც აქ მხვდება! სწორედ ის არის... რამდენჯერ
დამსიზმრებია... ამ ქვის სანოლში ფიქრებს ვებრძოდი“...

„ჯერ წყალი მოსვი, გლახუნოვიჩ“... – ვაჟიკოს ხმას ვამსგავსე და
არ მესიამოვნა, იმქვეყნიური აქაც მომყოლიაო.

ქვაზე შევდექი და ქუსლებით დავხტი ძირს. ვფიქრობდი: უმაქნი-
სი ფიქრებისგან შევებერტყილიყავი. მეც ავიღე შეორთქლილი ჯამი
და თითები კინალამ ზედ მიმეყინა.

ერთი ყლუპი მოვსვი და ჯამი ისევ შევუდგი წყაროს.

ახლალა მივბრუნდი ქვის სანოლისკენ. ფინიკის ხურმა იდო სა-
ნოლზე.

შეგიძლია შეჭამოო... – გავიგონე.

– მერე ხვალ? – ვიკითხე.

– ხვალემ იზრუნოს ხვალისთვის, – მესმის სუსტი ხმა.

– მაშინ ნახევარს გადავინახავ სახვალიოდ.

– გინდა დაიკანონო ერთი ფინიკის ხურმა ორ დღეში? როგორც
ისურვებ? კეთილი... ალბათ სულს უჭირს სხეულის ტარება... ნება შე-
ნია... – მისუსტდა უცხო ხმა.

„უფალო, გისმენ და გემორჩილები“ – ვამბობ გულში და ამღელ-
ვარებული სულიც დამიცხრება. ახლა კი დროაო, წამოვიძახებ და
ჩემს ქვის სანოლში გავსწორდები.

...ქვის სანოლი ვარ!

„აღარ გჭირდება შენ დღის სინათლე, დროა გულით იხილავდე“!
დამიმარტოხელეს ფიქრებმა და მეც დავმორჩილდი უშუაღლესის
ნებას. ის ცალი თვალიც დავხუჭე და ძილმაც წამილო.

მოკლედ:

ერთი ნეტარება იყო ქვის სანოლში წოლა“...

* * *

ავახილე თვალი და ველარაფერიც ვერ დავინახე. დიდ ტრაგედიად არც ჩამითვლია მე ეს ამბავი.

სამაგიეროდ: ვხედავდი გულით.

– გეცოდინება ვის რა უჭირს და ვის როგორ უმკურნალო! გახსოვდეს: ეს წყაროს წყალიც წამალია უებრო.

ზოგჯერ უწყლოდაც მოგიწევს დარჩენა და მაშინ შენ შენი უნდა გასცე, რომ აივსო! ითხოვენ? გაეცი და აივსები!

– ეს ფინიკის ხურმა საიდან? – თვითონაც არ ვიცი, რატომ ვიკითხე?

– აქედან სამიოდ ვერსზე ფინიკის ხურმა ხარობს, რომელსაც დღეში ერთი ნაყოფი ცვივა, შენკენ სამკურნალოდ წამოსული წამოიძღვანიებს ძირს დაგდებულ ნაყოფს. სულ ესაა...

ჰოდა: მოჰქონდათ ის ჩემთვის განკუთვნილი ფინიკის ხურმა.

მაცოცხლებდნენ და მეც ვაცოცხლებდი.

არაფერი გვემართა ჩვენ ერთმანეთის...

შვილი:

არაფერი მსმენია გლახუნოვიჩზე და თითქოს და მიმავინწყდა კიდეც. თუმცა არა! მიმავინწყდაო, რა სისულელეა?! როგორღაც დაილექა სადღაც მეხსიერების სკივრში.

ზოგჯერ ნისლივით გადამივლიდა თავზე მისი ჩრდილი და გამაძაგებდა.

ერთხელ ერთ ბერზე მომითხრობდნენ და გული ამიძგერდა, ნეტა გლახუნოვიჩზე ხომ არ მიყვებიანო და მოსვენება დავკარგე.

ძლივს გავთავისუფლდი გლახუნოვიჩის გავლენისაგან, თითქოს და გამოვედი მისი ჩრდილიდან და გული მისკენ რომ მომიწევდა ისევ?!

წამოვხტებოდი ნაშუალამევს და სულამოვარდნილივით გამოვვარდებოდი გარეთ: გამოვენტებოდი ჩემგან გამოთავისუფლებულ სულს და გავრბოდი სადღაც გაურკვეველი მიმართულებით. მაგრამ მოვფხიზლდებოდი ოფლადგალვრილი და ერთბაშად დავცხრებოდი.

ვფიქრობდი?

არა მგონია.

ასე მემართებოდა ყოველდღე არა, მაგრამ კვირაში ერთხელ და აუცილებლად, ზუსტად განმთენიისას.

მერე: მკვდარივით ჩამეძინებოდა.

მეძინა დიდხანს და პირველი საათიდან, როცა მზე შუბისტარისკენ აუხვევდა, გამომელევიძებოდა მაშინ...

საოცარი სიმშვიდე მეუფლებოდა, მაგრამ გამოლვიძებიდან ერთი საათის შემდეგ თავბრუსხვევა მენწყებოდა და სისხლი მომანვებოდა თვალეში. ველარაფერს ვხედავდი და ესეც ერთ საათს გრძელდებოდა – მე ვბრმავდებოდი ყოველდღე ასე. მაგრამ ჩემი ტრაგედია ამ ერთსაათიანი სიბრმავით როდი ამოინურებოდა?! სისხლამღრეული ერთ ადგილზე ველარ ვჩერდებოდი. თითქოს, ადამიანიც ველარ ვიყავი, რადგან აღარ ვფიქრობდი და, რალა თქმა უნდა, ველარც ვაზროვნებდი.

ფსიქიატრთანაც არაერთხელ ვყოფილვარ. ფსიქიატრებიც მხრებს აიჩეჩავდნენ, მაგრამ არავის უთქვამს, ეს კაცი ჩემი ავადმყოფი არააო (ვერ მელეოდნენ).

გული მიგრძნობდა: ჩემი კოშმარი აწი უნდა დაწყებულიყო და კიდევ დაიწყო სულ მალე.

თვალის გახელა აღარ მინდა!

ჭკუაც აღარ მეკითხება უკვე...

ფსიქიატრიულში გამაქროლებს.

ხის სანოლზე საიმედოდ დამაკრეს.

ფსიქიატრმა ე.წ. დამამშვიდებელი ნემსის გაკეთება თვითონ ითავა და დედაჩემიც ადგილიდან წამოიჭრა, ცოცხალი თავით არ დაგანებებთო.

– თქვენ რომ გგონიათ, ქალბატონო, ეს ის ნემსი არ არისო და დედაჩემიც დამშვიდდა. ხელები ძირს ჩამოუტყვივდა. თვალეებს განგებარ ვახელ.

– ერთ საათში გაუვლისო, ბუნდოვნად მესმის.

მართლაც გამიარა, მაგრამ უკეთ მაინც არ გავმხდარვარ.

ხის სანოლიდან ამხსნეს.

სიარული შემეძლო და გამაყოლეს დედაჩემს. მაგრამ ნაშუალამევეს დედაჩემი შეიქმნა ცუდად. აღარც გამომჯობინებულა. მერე ცნობიერებაც დაკარგა და სარეანიმაციოში გადაიყვანეს. იქ მისცა სული გამჩენს და სამუდამოდ მოისვენა: ჩემგანაც და გლახუნოვიჩისგანაც.

ისე დავასაფლავეთ, რომ გლახუნოვიჩს ვერ შევატყობინეთ. გლახუნოვიჩი აღარ გამოჩენილა...

* * *

ჩიტის ჭიკჭიკმა გამომალვიდა. სიზმრიდან ძლივს, მაგრამ მაინც გამოვედი. ფანჯრიდან გადავიხედე. ის ჩიტი არხეინად ზის ხის ტოტზე და გალობს თავისთვის, თითქოს რალაცას მეუბნებოდესო და მეც მივაყურადებ.

წარმოიდგინეთ: რალაცას მომითხრობდა, ამას გუმანით ვგრძნობდი, მაგრამ მე მისი ენა რომ არ მესმოდა?!

– გლახუნოვიჩს ხომ არ მოვნატრებივარო? – ვეკითხები.

– შენ ახლაც ყურზე გძინავსო, – გადმომიჭიკჭიკებს.

– იქნებ იცოდე, ჩემგან რა უნდა გლახუნოვიჩსო, – ხმადაბლა ვკითხავ.

– შენგან არაფერი... გადაიჭიკჭიკა ჩიტმა, – შენგან რა უნდა უნდოდეს? გამოდი გარეთ და... – უკვე ადამიანის ენაზე მელაპარაკებოდა ჩიტი და არ გავოცებულყავი?

– მერეო? – ისევ ვკითხავ.

– საითაც გულმა გაგინიოს, შენც იქით მიიქეციო.

მეც გამოვდივარ გარეთ და მზეს ავხედავ.

– გამომყევით! – მზე ჩამომძახებს.

მეც იმისკენ გავინევი.

...ალარც კი ვიცი, რამდენი დღეა გზაში ვარ, სათვალავი ამერიია.

კაი ხანიაო, ვამბობ და წვერზე ჩამოვისვამ ხელს: „ამ წვერს რომ დაუუჯერო, თვეზე მეტი უნდა იყოს, რაც გზისა ვარ და ალარც კი ვიცი, თავს როდის დავალწეე ამ გზას“... – შემომწოლია ფიქრი და გლახუნოვიჩის ხმასაც გავიგონებ მოულოდნელად: – ფეხს აუჩქარე, მზეს არ ჩამორჩეო, – მაფრთხილებს კიდევც, – ჩამორჩები და გზაში ჩარჩებო.

მივრბივარ მზისკენ. რომ ალარც ვილღები?!

რა ხანია თავიც აღარ მიბრუნის. მაგრამ თავის ტკივილები და სისხლის ჩივილი რამდენჯერმე გამიმეორდება.

ახლა მარჯვნივ გადაუხვიე ისე, რომ მზე მარცხნივ დაგრჩეს, თითქოს მკარნახობდნენო. ვგრძნობ, რომ მალე ვნახავ გლახუნოვიჩს.

ვიცი, რომ მეორე თვალითაც ველარ ხედავს, ან არ უნდა ხედავდეს და ტანში დამზრინავს, შეიძლება ველარც მიცნოსო, გული ამტკივდება, როგორ თუ ველარ მიცნოსო?

– მთავარია, ირწმუნო, ვაჟიკო! – ჩამომძახებენ მალლიდან და ჟრუოლა ამიტანს.

ახლა მზისკენ მე კი არა, თვითონ მზეს გამოუნწევია ჩემკენ.

ამასობაში მზეც მარცხნივ დამრჩება.

უცებ სუსტი ხმა მომწვდება, ვიგრძენი ეს ხმა სულიდან ამომდიოდა: – ეცადე ვერ გიცნოს გლახუნოვიჩიშაო.

ძალიან გამიჭირდებაო, ვამბობ და გაგიჭირდება და ძალიანაცო, ვიცითო, მიპასუხებენ. ახლა მზეს მიენდო, თითქოს მირჩევდნენ.

მზეც სხვანაირი მეჩვენა როგორღაც: მათობდა და აღარ მთანგავდა.

მაგრამ ამტიკვდა მოულოდნელად, თითქოს საკუთარი თავიდან გამოვდიოდო.

„იქნებ ვიბადები და ვერ დავბადებულვარო, გამკენწლა და აუტანელმა ტკივილმაც წამომიარა. ლამის გავგიჟებულყავი ტკივილებისგან.

და სწორედ ამ დროს, როცა თითქოს ვერც უნდა დავძრულიყავი ადგილიდან, გორი გადამიდგა წინ და აღარ გამატარა.

წამით მხედველობაც კი დამიბრუნდა და მთლიანად აღვიქვი გორიც, გამოქვაბულსაც კვიდე თვალი და სინათლესაც მაშინვე წამერთვა. ჩამობნელდა.

გამოქვაბულს ხელების ფათურით მივაგენი.

„გლახუნოვიჩი აქ უნდა იყოსო“... – გული მეუბნება და ეს გულიც მომეწურება.

ხომ ერთი სული მქონდა, სანამ გამოქვაბულამდე მოვალწედი, მაგრამ მოვედი და შესვლა აღარ მინდოდა უკვე, თუმცა ისეც ვერ ვიზამ, შიგ არ შევიდე და რაღაც ძალაც შემაგდებს გამოქვაბულში. მე: გულით ვხედავდი.

ქვის სანოლში გლახუნოვიჩი წევს. წამოინევა. მეც ფეხათრევით წავინევი მისკენ. შემკრთალი ჩანს, მაგრამ ცდილობს, არ დაიმჩნიოს.

ორივე ხელი ჩემკენ გამოუნწვდენია.

მივუახლოვდი სუნთქვაშეკრული.

სიტყვაც არ უთქვამს, მარცხენა ხელი ისე დამადო თავზე, მარჯვენა კი სახეზე ამისვ-ჩამომისვა. ვიგრძენი როგორ შეუთბ-შეუტოკდა მარცხენა ხელი. მარჯვენათი კი მასხივებდა უკვე. ტკივილი არანაირი.

მიხაროდა, თან მეშინოდა, არ ვეცანი და ისიც არ ვიცოდი, როგორ რეაგირება ექნებოდა ჩემს მიმართ.

ვიმეორებ: არანაირი ტკივილი-თქო.

ვგონებ მართლა კარგად უნდა ვიყო, ოღონდ: ფიქრებით ვიტვირთებოდეო თითქოს. აღარ მეგონა ამდენი ფიქრის ტარებას თუ შევძლებდი.

შევეცდები, ჩემი ყოფა გავაცნობიერო და ავხსნა. მოვარდნილ ფიქრს, როგორც წესი, გავიაზრებ და როცა მეგონა, რომ მართლა ჩემი იყო და როგორც მომესურვებოდა, ისე მოვექცევი, აღმოჩნდება, რომ იმ უკვე გააზრებულ და დასრულებულ ფიქრს კიდევ რამდენიმე პირვანდელზე უფრო დამძიმებული და გართულებული ფიქრი არ მოუშობია რება?!

და: თავიდან იწყება ყველაფერი. ასე რომ, მოცლა აღარა მაქვს. უკვე დანამდვილებით ვიცი, რომ უფიქროდ, მაშასადამე, უსაქმოდ აღარასოდეს დავრჩები.

ერთი სასიხარულო ამბავიც: გლახუნოვიჩის ერთ ძველ მეგობარს, რომელიც ვერაფრით გამიხსენებია, ჩემი სწავლების ფული შეეტანა უნივერსიტეტის ბუღალტერიაში...

ასე დავამთავრე უნივერსიტეტი, მერე მაგისტრატურა და სამსახურიც დამაწყებინა. ერთხელაც არ გამომჩენია, მადლობა რომ გადამეხადა მისთვის.

მაშ, ასე: ჩემი დღე უნივერსიტეტით იწყება და უნივერსიტეტითვე მთავრდება; შვიდიდან თორმეტამდე – კითხვა, ფიქრი და განსჯა. და იყო სიცოცხლე დროში და: დროს კი რა შეაჩერებდა?!

* * *

გლახუნოვიჩზე ბევრი მიფიქრია, მაგრამ მისი ადგილ-სამყოფლის დადგენა – არასოდეს.

მასზე ფიქრი, გამოგიტყდებით და მაშინებს კიდევ, მაგრამ ერთხელაც, აღარ ვიცი, მომეჩვენა თუ მომეყურა, მომისმინეო, მესმა.

საათზე დავიხედე.

ორივე ისარი თორმეტს დაკვდომოდა.

ძილის დროაო, გავიფიქრე, მაგრამ რა დამაძინებდა?!

ფანჯრიდან ქოტივით შემომყურებდა წყვილი ღამე.

შემაძაგაძაგა.

შუქიც სწორედ ამ დროს გამოირთო.

თითს ველარ მიიტანდით თვალთან. ჰოდა: ამ სიბნელეში გლახუნოვიჩი არ გამომეცხადა?!

ინვა თავის ქვის სანოლში და ვგონებ აღარ სუნთქავდა. ოლონდაც: გული მეუბნებოდა, რომ ცოცხალი იყო... სიკვიდლს არც აპირებდა თითქოს.

ჩემზე ფიქრობდა გლახუნოვიჩი. კვდებოდა და ისევ მე ვიყავი მისი ფიქრის საგანი.

გული ამიჩქროლდა: მემშვიდობებოდა...

არა, კი არ მემშვიდობებოდა, უნდოდა, მომენახულებია... იქნებ სათქმელი რამ ჰქონდა ჩემთვის?!

გული მომენურა...

„მიდის გლახუნოვიჩი: სარბიელს ტოვებს. იყო და აღარ იქნება?!

უნდა ვნახო, ავუსრულო უკანასკნელი სურვილი“...

და სახეზე ღიმილი გადაურბენს გლახუნოვიჩს, გადაუვლის და მიიღევა ის ღიმილიც თავისთვის...

* * *

ნუთუ მართლა ვიყავი გლახუნოვიჩთან გამოქვაბულში? და მისი წყალობით გამოვმჯობინდი, თუ მხოლოდ და მხოლოდ განგების ნებით გამგრძელებია სიცოცხლე?

ველარ გამიცნობიერებია: სიზმარეულმა სულმა მოვიხილე ჩემი გლახუნოვიჩი, თუ იმას ვესიზმრებოდი მთელი ამ ხნის განმავლობაში.

* * *

გამოიდარა.

გამომდარებია სულში...

ვილაც მირეკავს.

ვილაცო?!

ნათეა ვილაც?!

სადაცაა ამომივარდება ეს გული: სიხარულისგან მომდის...

ნათე მელოდება!

ეს დღე ნათეს სახელზე გამთენებია...

დიდება უფალს...

მამა:

არც კი იცის, რომ ჩემთან იყო... მომინახულა მაინც!

ფეხის ხმაზე ვიცანი...

ვაჟიკო შევიგრძენი.

სანამ ხელს დავადებდი თავზე, უკვე ვიცოდი, ის იყო... მლეღვარე-
ბისგან იმასაც შეკვროდა სუნთქვა...

თითქოს ახლაც ჩამესმის მისი “შენთან ვარ, გლახუნოვიჩო... მისი
ჭირი მე...

გამარჯობაო, გული შეეკუმშა, ხომ მიმიღებო?

მართლა ცუდად ყოფილა! ამხელა ტკივილი დაჰქონდა თურმე...
მაინც როგორ მოაღწია ჩემამდე? ან ჭკუაზე როგორ არ გადაცდა ამ-
დენ ხანს?

ხელიც კი შემიტოკდა და: გადმოდის ჩემში მთელი მისი ტკივი-
ლი... უნდა ავიტანო როგორმე, სათითაოდ გავითავისო. აჰა, ეშველა
მგონი! გათავისუფლდა! თავის უფალია! თითქოს თვალებით მეფერე-
ბოდეს...

ერთხელ მივეცი სიცოცხლე და: ტკივილად ქცევია თურმე იგი სი-
ცოცხლე... მაინც როდემდე აეტანა ყოფა ამნაირი?! როგორ მოაღწია
ამ ბიჭმა აქამომდე? აი, სასწაული თუ გინდა!

მგონი აღარ უნდა ტკიოდეს, მაგრამ მარად ფიქრს დავაბედებ! კა-
ცი ხომ ფიქრისთვისაა?!

ხომ არ ჰგონია, ვერ მეცნოს თითქოს? თუმცა: როგორც უნდოდ-
ეს...

არც შევამჩნევინებ, რომ ვიცანი...

ვიცნობ და განუახლდება ტკივილიანი დღე.

სჯობს აქვე დააგდოს ტკივილიანი ფიქრი გლახუნოვიჩზე.

მე გადავდივარ...

შენი დრო დგება!

ახალი დრო...

– იარე!

დასასრული



მწვერვალები

მაშინ სულ პატარა ბიჭი ვიყავი. ფეხშიშველა დავრბოდი სოფელში და ჩვენი სახლ-კარის ახლომახლო მეზობლების თითქმის ყოველი ხის ძირი ვიცოდი. მიყვარდა მუდამ მწვანე სამოსელში გახვეული ჩვენი სოფელი. ანდამატივით მიზიდავდა სოფლის თავში ამომართული მთა, რომელსაც ელიას ციხეს ეძახდნენ. ციხის ნანგრევები ახლაც არის შემორჩენილი... სოფლელები ათას რამეს მიაწერდნენ ამ მთას, ალბათ, ამიტომ მხიბლავდა იგი, გული მუდამ მისკენ მიმინევდა და ვნატრობდი მასზე ასვლას, მაგრამ მაშინ ამ ოცნების განხორციელება მარტოკას არ შემეძლო. ვინც კი სტუმრად გვეწვეოდა, ვეხვეწებოდით, იმ მთაზე ამიყვანეთ-მეთქი. ზოგი იცინოდა, ზოგი კიდე მპირდებოდა, მაგრამ ნათქვამი ავინყდებოდათ.

ერთხელ მე და ჩემი ტოლი ბიჭები დილაადრინად ავდექით და მშობლებისაგან მალულად ელიას ციხისაკენ წავედით... ტყეში დათვის ნაფეხურები შევნიშნეთ, შეგვეშინდა და სირბილით დავეშვით.

ისე ღამე არ გავიდოდა, რომ სიზმარში არ მენახა მწვერვალი. თითქოს მასზედ ავდიოდი და ველარც ავდიოდი. ჩემი ოცნების გასაღვივებლად, პირველად იმ მწვერვალზე გადმოთოვდა ხოლმე, მერე თოვლი თანდათანობით ჩამოივაკებდა, ბოლოს კი ეზოშიც გვესტუმრებოდა. მზეც ელიას ციხიდან ამოდიოდა და მთვარეც.

სოფელში ამ მთასთან დაკავშირებით ლეგენდა მიაბზეს: მსოფლიო წარღვნის დროს, როცა ზღვამ წალეკა მიდამოები, ელიას მთას რომ გაუსწორდა, გაჩერდა. მაშინ იქ აბამდნენ ნავს, რომელშიც გადარჩენილი ადამიანები ცხოვრობდნენ, იქ ახლაც არის შემორჩენილი ნავის მისაბმელი რკინის ჯაჭვიო... ჰოდა, ამან კიდე უფრო გამიცხოველა სურვილი, როგორმე ფეხი დამედგა იმ მწვერვალზე, მენახა იქაურობა და ერთი ზემოდან დამენახა, როგორია ეს ქვეყანა. სოფლის ჭინკა ბიჭებთან ერთად დღეში ასჯერ ვეზომებოდი ეზოში

აღმართულ ნაძვის ხეს და, თუ შევნიშნავდი, რომ ოდნავ მაინც მომემატა სიმალლე, სიხარულისგან ყირაზე გადავდიოდი.

ერთხელ დედაჩემმა მეზობელ სოფელში ახმედ ბაბუასთან წამიყვანა. ჭალარა სიმპათიური მოხუცი ჩვენი ხშირი სტუმარი იყო, მაგრამ მასთან პირველად მივდიოდი და ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ელიას ციხეს თვალს არ ვაშორებდი და, წარმოიდგინეთ, გზიდან, მეზობელი სოფლიდანაც ისეთივე ჩანდა ეს მწვერვალი, როგორც ჩემი სოფლიდან: ცადატყორცნილი და ზვიადი. ახმედ ბაბუადიდი სიხარულით შეგვხვდა. მე სულ ხელიხეჩაკიდებული დავყავდი და თავის განიერ მკერდში მიკრავდა.

სალამოს ბევრმა სტუმარმა მოიყარა თავი და სანამ მაგიდას მიუხსდებოდნენ, ნარდის თამაში გააჩაღეს. მე ახმედ ბაბუას მუხლებზე ვეჯექი და ვუსმენდი საუბარს.

ვილაცამ ელიას ციხეს გახედა და იკითხა, ყველაზე მაღალი მწვერვალი რომელია მსოფლიოშიო. ევერესტიო, უპასუხა ერთმა ჭაბუკმა, რომელიც ყველაზე მეტს ლაპარაკობდა და მას სტუდენტს ეძახდნენ. მე ბევრი სახელი მქონა გაგონილი... ჰო, ბევრი... ევერესტი კი არ გამეგონა და გულისყურით ვუსმენდი მას. ველარ მოვითმინე და შევძახე: – თქვენ არ გცოდნიათ, ყველაზე მაღალი მწვერვალი ამ ქვეყანაზე ელიას ციხეა-მეთქი. ატყდა ერთი სიცხილ-ხარხარი, რატომღაც ახმედ ბაბუამაც გულიანად გადაიხარხარა. მე მაინც ჯიუტად ვამტკიცებდი, ამქვეყნად ყველაზე მაღალი მწვერვალი ელიას ციხეა-მეთქი. არავინ დამიჯერა, ცხარე ცრემლებით ავტირდი. დედაჩემი მოვნახე, რომელიც სამზარეულოში თეფშებს რეცხავდა. შინ წავიდეთ-მეთქი, ვთხოვე. ჩემი ტირილის მიზეზი რომ გაიგეს, დედაჩემმა და მასთან მყოფმა ქალებმა გადაიკისკისეს. ამ დროს სამზარეულოში ახმედ ბაბუა შემოვიდა, ღონიერი მკლავებით ამიტაცა, მკერდზე მიმიკრა, მომიალერსა, ცრემლიანი თვალები ცხვირსახოცით მომწმინდა და ცოტა რომ დამანყნარა, მკითხა:

– შენ გჯერა ჩემი?

მე ყოველთვის მჯეროდა ამ კაცისა და, რატომღაც, ყველაზე უფრო მიყვარდა იგი. მამა არ მახსოვს. ექვსი თვისა ვყოფილვარ, ომში რომ წასულა და დაღუპულა, და ეს მოხუცი, დედაჩემის ბიძა, გვეხმარებოდა ყველაფერში.

– მჯერა, – მივუგე სლუკუნით.

– ჰოდა, თუ გჯერა და გიყვარვარ, ნუ ტირი, ჯემალ, ის ხალხი მართალია, აბა, ელიას ციხე რა მწვერვალია! დილას რომ წახვალ, სალამოს თავზე მოექცევი, ქვეყნად ისეთი მწვერვალებია, რომ მათ მხოლოდ უჩვეულოდ ძლიერი და უშიშარი ადამიანები თუ შეებდავენ.

– აბა, ელიას ციხე მაღალი მწვერვალი თუ არ არის, რატომ ჩანს ყველაზე მაღალი?

– ჩანს! მერე რაა, რომ ასე ჩანს. აქედან ასე გვეჩვენება, იმ მთის მწვერვალზე რომ ახვალ, ერთი მაშინ უნდა ნახო, რა მაღალი მწვერვალებია ამქვეყნად!

– თუ ასეა, სხვა მთები რატომ არ მოჩანს?

– იმ მთებს ეს ჩვენი ელიას ციხე ეფარება, ამიტომ არ ჩანან სხვა მწვერვალები.

– პატარა მთა დიდ მთას როგორ დაეფარება? – მაინც არ მჯეროდა.

– ბუნების კანონია. ღრუბლის ნაფლეთი მზეს ჩრდილავს ხოლმე. გუნებაში მაინც ვფიქრობდი, რატომ მატყუებს ახმედ ბაბუა, ეს ყელამდე მართალი კაცი-მეთქი. ამიტომ ვკითხე:

– ახმედ ბაბუ, შენ ნამყოფი ხარ ელიას ციხის მწვერვალზე?

– ბევრჯერ, შვილო.

– ბაბუ, მეც წამიყვანე!

– სულ მალე, კარგი ამინდი რომ დაიჭერს, აგიყვან ელიას ციხეზე და იქედან შენი თვალით დაინახავ, არის თუ არა ქვეყნად იმ მწვერვალზე უფრო მაღალი მწვერვალები.

ერთი სული მქონდა, როდის დადგებოდა ის სანატრელი დღე, როდის დავადგამდი ფეხს ელიას მწვერვალს! მოსვენება დავკარგე, სულ ახმედ ბაბუას ველოდებოდი. ერთხელ კიდევაც დამესიზმრა, რომ ახმედ ბაბუამ მწვერვალზე ამიყვანა, მაგრამ არსად ჩანდა სხვა, მასზე მაღალი მწვერვალები. ელიას ციხის ყველა და ყველაფერი დაეჩრდილა. ახმედ ბაბუა კი მაინც მიმტკიცებდა, აქედან ასე გვეჩვენებო, თორემ ეს მთა სულ არ არის მაღალი, ამქვეყნად ისეთი მწვერვალებია, თუ ძალიან გაბედული არ ხარ, ვერ დაიპყრობო. სიზმარშიც კი მატყუებდა იგი.

დაცდილი მქონდა, სიზმარში ამ საოცნებო მწვერვალზე ფეხს თუ დავადგამდი, იმ დღეს დედაჩემი რაიმეს მიყიდდა ან სტუმრად წამიყვანდა. ერთი სიტყვით, სიზმარშიც ელიას ციხეზე ასვლა, ჩემთვის კარგის მომასწავებელი გახდა.

...გამოზაფხულდა. ღრუბლები სადღაც გადაიკარგა, წითელმა მზემ გადმოანათა ელიას ციხეზე. დილაადრიან ახმედ ბაბუა გვესტუმრა. იგი თოფით იყო შეიარაღებული და მაშინვე მივხვდი, რომ ელიას მწვერვალზე მივდიოდით.

დედაჩემმა რომ დაინახა, გაოცებულმა ჰკითხა:

– ახმედ ბიძია, ჯემალი მართლა უნდა წაიყვანო იმ მთაზე?

– ჰო, თუნთულ, კარგია, ქვეყანას გადახედავს, დაამახსოვრდება. მინდა საკუთარი თვალით დაინახოს, რომ ელიას ციხე არ არის ამ ქვეყნად ყველას მაღალი მთა, რომ პირიქით, ამ მთიდან მოჩანს უდიდესი მწვერვალები... თან იცი რა, – ახლა ყურში ჩასჩურჩულა დედაჩემს, მაგრამ მე მაინც გავიგონე: – სახლი დაგიძველდათ, ნაბლის ხის მასალა უნდა მოვქებნო...

იმ დღეს მთელი დღე ბოსტანში ვიმუშავეთ, რა არ გავაკეთეთ, ბოლოს ყანაც კი მოვჩაღეთ...

– ახლა დიდი ბიჭი ხარ. დედაშენს აღარ გაუჭირდება. დალლილ-დაქანცული საწოლთან რომ მივედი, მკვდარივით ჩამეძინა.

ვითომ სიზმარში... მე და ახმედ ბაბუა გავუდექით ელიას ციხის გზას, მაგრამ... კოკისპირული წვიმა დაუშვა, დავბრუნდით უკან. ვტიროდი, ვიგუდებოდი... ვილაცამ გამალვიძა, ახმედ ბაბუამ ტკბილად ჩამკოცნა, მომეფერა და ტირილის მიზეზი მკითხა. სიზმარი ვუამბე.

– კარგი სიზმარი გინახავს... დღეს უეჭველად ავალოთ იმ მთაზე, ხელს ვერაფერი შეგვიშლის.

გათენდა. ახმედ ბაბუამ ცოტა ხანს ეზოში იტრიალა, ღობე შეაკეთა და მერე გაუწყევით ჩემს საოცნებო მთის გზას. ისე მსუბუქად მივუყვებოდი უღრან ტყეში აღმა მიმავალ, გველივით დაკლანკილ გზაბანარს, რომ დალლას ვერც ვგრძნობდი, გულს სიხარულისაგან ბაგაბუგი გაჰქონდა. მნიფე მოცვი, მაყვალი – ასწაირი ტყის ხილი გვხვდებოდა გზაში, მაგრამ ყურადღებას არაფერს ვაქცევდით.

ახმედ ბაბუა მეკითხებოდა, ხომ არ დაილაღეო, მაგრამ სუთიოდე კილომეტრი რომ გავიარეთ და დალლა არ შემეტყობია, გაოცებული დარჩა. სვენებ-სვენებით კეცავდა აღმართს. მწვერვალს რომ მივუახლოვდით, მხოლოდ ეს მითხრა:

– ამ მთას ახლა დაგაპყრობინებ, ჯემალ, შემდეგ კი მიუვალი, ცა-დანვდენილი მწვერვალები დაგაპყრობინოს გამჩენმა!

– შენ დაგიპყრია ყველა მწვერვალი? – ვკითხე.

– მე ამისთვის სად მეცალა, ჯემალ... შენ კი ახალგაზრდა ხარ და უნდა ეცადო, – ეს მითხრა და დამლოცა: – მგლის მუხლი, ჩანჩქერის ძალა და ქორის თვალი მოგცეს ღმერთმა, შვილო!

შუადღე გადასული იქნებოდა, ფეხი რომ დავადგით ჩემს საოცნებო მწვერვალს! სიამაყოთ მიმოვიხედე ირგვლივ! მაგრამ ძველი ციხის ნანგრევების მეტი ვერაფერი დავინახე. არც ნავის მისაბმელი ჯაჭვი ჩანდა სადმე. სად არის ჯაჭვი-მეთქი, რომ ვკითხე, ახმედ ბაბუმ მიპასუხა, იყოო გამიგონია, მაგრამ ვინ წაიღო, არავინ იცის... შინაური, გარეშე მტრები, ვინ არ გვძარცვავდაო... მზეც ისე ჩანდა აქედან, როგორც სოფლიდან. შორს, ჰორიზონტზე უზომოდ გადაჭიმული ზღვა ლაპლაპებდა. გორაკებსა და ზღვის სანაპიროზე პატარ-პატარა სახლები დავინახე, მე რომ კუბურებით ვაგებდი, სწორედ ისეთი, მეორე მხარეს კი გველივით დაკლაკნილი გზები და ცაში აჭრილი უზარმაზარი, თოვლიანი მწვერვალები მოჩანდა. ერთი მწვერვალი ყველას ზემოდან დაჰყურებდა. ჰოდა, მოხუცმა სწორედ იმ მწვერვალზე მიმითითა:


– აი, იმაზე რომ ახვიდე, კიდევ უფრო მაღალ მწვერვალს დაინახავ, ეს მწვერვალი ეფარება იმ სხვა მწვერვალებს, როგორც ელიას ციხე ეფარებოდა ამ მწვერვალებს. გზა იმ მწვერვალებისაკენ ელიას ციხეზე გადის. ნამდვილი ვაჟკაცი ერთ მთაზე ასვლით მუხლებს გაიმაგრებს მხოლოდ. მერე სხვა მწვერვალებს დალაშქრავს. მიღწეულით კაცი არასოდეს კმაყოფილდება. დაპყრობილ მწვერვალს აღარ ჰქვია უკვე მწვერვალი. აბა, რაღაა ახლა ამ მთაზე ამოსვლა? აი, იმ მთაზე ასვლა კი, – ხელი გაიშვირა ჩრდილოეთისაკენ, ღრუბლებისაგან თავნაფლეთილი, მარადი თოვლით დაფარული მწვერვალისაკენ, – უეჭველად საინტერესო და სასარგებლოა, ჰოდა, ბევრი ასეთი და ამაზე მიუვალი მწვერვალი დაგაპყრობინოს გამჩენმა, ბიჭო! ო, რამდენი მწვერვალია ამქვეყნად!..

მე მაშინ კარგად ვერ გავიგე, რა მწვერვალზე ლაპარაკობდა მოხუცი, შემდეგ კი, როცა ნამოვიზარდე – ყველაფერი ნათელი გახდა ჩემთვის...

მწვერვალები...

ისინი გვტაცებენ თვალსა და გონებას, განუწყვეტილად გვიხმობენ, გვაძალებენ...

მწვერვალები!..



სამოთხიდან ღღებდა

ადამი და ევა ტურისტული მოგზაურობისას ქორწილში მოხვდნენ. მაჰმადიან სასიძოს ქრისტიანი საპატარძლო ესვა გვერდით. მაგიდაზე ბლომად ელაგა შებრანული გოჭები, ცხვრის მწვადებიანი შამფურები, კალმახი და ასე წარმოიდგინეთ „ჩიტის რძეც“ კი ჰქონდათ, ოღონდ კამფეტისა.

ევამ, რომელსაც მთელი ყურადღება ნეფე-დედოფლისკენ ჰქონდა გადატანილი, შენიშნა, რომ ვაჟი პირს არ აკარებდა გოჭის ხორცს და ბატკნის მწვადს მიირთმევდა, ხოლო საპატარძლო გოჭის ხორცს მიირთმევდა და ცხვრის მწვადებს პირს არ აკარებდა. უცებ ევამ უჩქმიტა ადამს და წასჩურჩულა: – შეხედე, საპატარძლო ეხვეწება სასიძოს, რომ გოჭის ხორცი გასინჯოს, ნახე რა გემრიელიაო, ხოლო სიძე პირს არ აკარებს, რაშია საქმე?.. გამაგებინე!

– ო, ჩემო კარგო, ნუთუ ვერ მიხვდი! სიძე მაჰმადიანია და გოჭის ხორცის ჭამა აკრძალული აქვს, ხოლო პატარძალი ქრისტიანია და დიდი სიამოვნებით მიირთმევს გოჭის ხორცს და საქმროსაც ეპატიუება, რომ მიაჩვიოს ღორის ხორცის ჭამას.

– მე მაინც ვერ გავიგე, ჩემო კარგო, რაშია საქმე. – უთხრა ევამ ადამს. – რამ განასხვავა მუსულმანი და ქრისტიანი ერთმანეთისგან. ორივე თეთრკანიანია და რასისტული განსხვავება და შეკვანიანთა ჩაგვრა, ზოგ კაპიტალისტურ ქვეყნებში რომ გვხვდება, გამორიცხული უნდა იყოს.

– ოო... შენ მართლა ბედოვლათი მყავხარ, კიდევ ვერ ისწავლე ვერაფერი. როგორ ვერ გაიგე, მუსულმანის ღმერთი სხვაა. ჰოდა, გაიგე ალაჰს ღვინო და ღორის ხორცი არ უყვარს. ქრისტეს კი პირიქით, ძალიან უყვარს ღვინოც და ღორის ხორციც.

– რას ამბობ, შე კაი კაცო, რას! – გაცხარებით მიუგო ევამ თავის მეუღლეს, – „მართლა ჭკუის კოლოფი“ ხარ და ეგაა, ალბათ დაბერიდი და ჭკუა მოგაკლდა. რას ამბობ თუ კაცი ხარ, ქრისტიანსა და მუ-

სულმანს სხვადასხვა ღმერთი როგორ ეყოლებათ, როცა ღმერთი ერთია. არ გახსოვს მაინც, ჩვენ რომ გაგვაჩინა ღმერთმა და სამოთხეში ვიყავით, მაშინ ერთი იყო. ახლა ორი როგორ შეიძლება იყოს, ღმერთი ღმერთია, ადამიანი ხომ არ არის, რომ ცოლი შეირთოს და გამრავლდეს.

– პოო.. ჩემო კარგო, ჩვენ რომ სამოთხეში ვიყავით, ერთი იყო ღმერთი, მაგრამ შენ რომ აკრძალული ვაშლი შეჭამე და მეც შემაჭამე, ღმერთმა გამოგვყარა სამოთხიდან დედამიწაზე და გამრავლდა ჩვენი ჯიში – ადამიანები. ამდენ ხალხს ერთი ღმერთი რაღას მომწყესავს, როცა ჩვენ ორი ვერ მოგვწყესა. ახლა ხომ მიხვდი, ადამიანის გამრავლებასთან ერთად ღმერთებიც გამრავლდნენ: ბუდა, იელოვა, ქრისტე, ალაჰი და მრავალი სხვა.

– კი მაგრამ ადამიანები ჩვენგან არ გამრავლდნენ? ყველა ჩვენსავით ერთნაირი აგებულებისაა. ყველას ორი თვალი, ორი წარბი, ორი ლოყა, ორი ყური, ერთი პირი, ერთი ცხვირი, ერთი შუბლი და თავი აქვს: ორი ფეხით დადიან ჩვენსავით და ორი ხელით შრომობენ: ოღონდ ეს არის ზოგი მალალა და ზოგი დაბალი, ზოგი მსუქანი და ზოგი გამხდარი, ზოგი ქერაა და ზოგი შავგვრემანი, ამასთანავე ჩაცმულობა აქვთ სხვადასხვანაირი და კოსმეტიკაში და თმის ლებვაში ძალიან დაოსტატებულან, განსაკუთრებით ქალები. ჩვენს დროს კოსმეტიკა არ გინდოდა, სასირცხვო ადგილებს ძლივს ვიფარავდით. დედა, დედა! რამდენად წინ წასულა ხალხი.

– რაო? ვის დედას ეუბნები შე კაი ქალო. არ იცი, რომ მე და შენ დედა და მამა არ გყავს!? ჩვენ ვართ ყველა ადამიანის დედა და მამა, უპირველეს ყოვლისა! ჩვენ ვართ პირველი დედა და მამა დედამიწაზე. ჩვენგან გამრავლდნენ ადამიანები, ჩვენგან ისწავლეს დედობა და მამობა, შე კაი ქალო! ჩვენი დრო სხვა იყო. მაშინ მარტო მე და შენ ვიყავით ამ ქვეყანაზე, ან ვისთვის უნდა დაგვემალა სასირცხვო ადგილები. ცოლ-ქმარს ერთმანეთის ხომ არ შეგვრცხვებოდა, ჩვენს დროს სირცხვილი არ არსებობდა. ახლაც რომ ჩვენსავით მარტო ყოფილიყვნენ ცოლ-ქმარნი, ერთმანეთს სულაც არ დაუმალავდნენ სასირცხვო ადგილებს, მხოლოდ სიცივეში ჩაიცვამდნენ ტანსაცმელს. თუმცა, როგორც ვხედავ, მაინც და მაინც არც ახლა უმალავს ხალხი სასირცხვო ადგილებს ერთმანეთს, განსაკუთრებით კი ზაფხულში. შეხედე ქალიშვილებს რა მოკლე კაბები აცვიათ და როგორ გულგა-

ღელილი არიან. განსაკუთრებით ისინი, ვისაც სახვე გულმკერდი და თეთრი – ფუნჩულა ხელები აქვთ და სწორი ფეხები.

– ჰო, ჰო, კარგი ერთი თუ ღმერთი გნამს! ნუ გიყვართ კაცებს მუდამ ქალების კრიტიკა, არც კაცები ხართ, ასე ვთქვათ პატიოსნები. გუნებაში გიხარიათ, რომ მოკლე და მოკლემკლავიანი კაბები აცვი-ათ ქალებს, თვალები გაგირბით მათკენ და ვინ იცის გულში რა ფიქრი გიტრიალებთ. სულ იმას უყურებთ ქალებში ვის უფრო ლამაზი სახე, ლამაზი ფეხები, თეთრი-თეთრი მკალავეები და გამოყვანილი ნელი აქვს, იმას კი არ ფიქრობთ, შიგნით როგორი სული აქვთ. ჰო, მართლა შენ სულ დამავეინყე, რაზე ვლაპარაკობდით. ადამიანები ყველანი ერთნაირები არიან, ჩვენგან გამრავლებული-მეთქი. ხომ შეიძლება მათაც ერთი ღმერთი ჰყავდეთ. რა საჭიროა ამდენი ღმერთი?

– აბა მე რა ვიცი რად უნდათ, ჰკითხეთ მათ, მართლაც და რად უნდათ ამდენი ღმერთი. რატომ სწირავენ ღმერთებს მსხვერპლს და უნთებენ სანთელს. ღმერთს ხომ არასდროს მოშივდება და არც მონყურდება. შენ მართალი ხარ, ადამიანები ჩვენგან არიან გამრავლებულნი და ფიზიოლოგიურად ერთნაირები არიან, მაგრამ რამდენადაც უფრო მეტად გამრავლდნენ, იმდენად უფრო სხვადასხვა შეხედულებები გაუჩნდათ, იმდენად უფრო შეიცვალნენ, დაჯგუფდნენ და გადასხვაგვარდნენ.

– კარგი, გენაცვალე, კარგი! ჩემო ბრძენთაბრძენო ფილოსოფოსო ადამ! ეგ კი გავიგე, მაგრამ ის ვერ გავიგე, რატომ ხოცავს ერთმანეთს ხალხი დიდ ომში იქნება თუ პატარა ომში. რავე, ჩვენ ხომ ერთმანეთის დასახოცავად არ გაგვიჩენია ისინი. რავე ნეტავი, ვერ ეტყვიან ამხელა დედამინაზე თუ რაა?! რატომ უნდა კლავდეს ქრისტიანი ქრისტეს სახელით მაჰმადიანს და მაჰმადიანი ალაჰის სახელით ქრისტიანს?! რატომ უნდა სძულდეთ ერთმანეთი ქრისტიანს და მაჰმადიანს?! რატომ თავისუფლად არ უნდა შეეძლოს ქრისტეს ჯვრისა და მაჰმადის ნახევარ მთვარის გამო მუსულმან ვაჟს ქრისტიანი ქალიშვილის შერთვა ცოლად და პირიქით, ქრისტიან ვაჟს მაჰმადიანი ქალიშვილისა?! რავე, ქრისტიანიცა და მაჰმადიანიც ჩვენ არ გავაჩინეთ?! ორივე ერთნაირი არაა?! მერე რა, რომ სხვადასხვა ღმერთები ჰყავთ, ხომ შეიძლება მუსულმანმა ისევე ჭამოს ღორის ხორცი და ღვინო დააყოლოს, როგორც ქრისტიანმა?! ოღონდ ღვინო ზომიერად უნდა ისმებოდეს. თორემ ხომ იცი, ბახუსი, თუ ზომაზე მეტად

დალიე, ჭკუის მტერია. ეჰ, ნეტავ ჩვენ დროს ყოფილიყო ამდენი ნა-
ირ-ნაირი კერძი და ხილი. მე და შენ აკი ყველაფერს ვჭამთ. არც
ლორს ვინ უნებთ და არც ცხვარს.

– ჰოო... კარგო, სწორედ მაგ ჭამამ დაგვლუპა და ამიტომ არის, რომ
ამდენს მუშაობენ ადამიანები ახლა ჭამისთვის. მოდი ცოტა ხმადაბლა
ვილაპარაკოთ თუ ქალი ხარ, თორემ შეგვნიშნავენ ადამიანები და მიგ-
ვაბრძანებენ აქედან. ჰაიტ თქვე ქურდებოო! სამოთხეში რომ არ მოგეპა-
რათ ვაშლი, ახლა ამდენს არ ვიშრომებდითო. თქვენი ბრალია სუყვე-
ლაფერიო. მით უმეტეს ახლა ყველაფერი იციან ჩვენს შესახებ, რადგა-
ნაც რაკეტით ღმერთთან ავიდნენ ცაში და ღმერთმა ყველაფერი მოუთ-
ხრო მათ ჩვენს შესახებ. მანამდე ადამიანებს შეცდომით ეგონათ, რომ
მაიმუნებისაგან გაჩნდნენ. როდის იყო მაიმუნი ადამიანს აჩენდა, მაიმუ-
ნი მაიმუნს აჩენს. ახლა კი ღმერთის ნყალობით ყველაფერი იციან ჩვენს
შესახებ. იციან, თუ როგორ მოვიპარეთ ვაშლი და შევჭამეთ. ღმერთმა
თავისი თავი გაიმართლა და ყველაფერი ჩვენ დაგვაბრალა. ურჩები იყ-
ვნენ, არ დაიჯერეს ჩემი ნათქვამი და იმიტომ გავაძევე სამოთხიდანო,
ის კი არ უთქვამს, რომ შიმშილით გვკლავდა. მაშ, ასე, ჩემო კარგო, ადა-
მიანებმა უკვე იციან, რომ ჩვენი შეცდომით მუშაობენ ამდენს.

– მერედა რა მოხდა, შე კაი კაცო! იმუშაონ და ჭამონ! ოღონდ ერ-
თმანეთს ნუ წაართმევენ ნაშრომს, ნუ მოიპარავენ, ნუ მიითვისებენ
სხვის ნაოფლარს და ნუ დაჩაგრავენ ერთმანეთს. თორემ ისე რა სჯო-
ბია თავისუფალ, შემოქმედებით შრომას! ჩვენ სამოთხეში ვერ გავუ-
ძელით უშრომლად, მუქთად ჯდომას და იმიტომაც შევჭამეთ აკრძა-
ლული ვაშლი, რომ გვეშრომა და საკუთარი შრომით მონეული ვაშ-
ლი იქნებოდა თუ სხვა რამ გვეჭამა! საკუთარი შრომით მონეულს კი
ვერავინ ვერ აგვიკრძალავს. ასე არ არის, ჩემო კარგო? ხომ ხედავ,
რამდენი ვაშლია მაგიდაზე და ყველა თავისუფლად მიირთმევს, რად-
განაც იცის, რომ არ არის აკრძალული. – ამ სიტყვებთან ერთად ევამ
აილო ვაშლი და მიანოდა ადამს, – მიირთვი გენაცვალე, ვნახოთ ერ-
თი როგორია ადამიანების ვაშლი, სჯობია თუ არა სამოთხის ვაშლს.

– ჰოო... გეთაყვა, ზუსტად მაგ ვაშლით შემაცდინე და ახლაც მაგ
წყეულ ვაშლს მთავაზობ, ისიც შენსავით ლოყანიითელას.

– ოჰ, ერთი შენც, ნუ დაგიჩემებია შემაცდინე – შემაცდინეო, უჭმე-
ლობით გამოფიჭული იყავი. წარმოდგენაც კი არ გქონდა იმაზე, რომ
მამრი მდედრისაკენ ილტვის და მდედრი მამრისაკენ. მხოლოდ მაშინ,

პირველად რომ შეგაჭამე ვაშლი, იგრძენი მამაკაცური ძალ-ლონე, მიხვდი თუ როგორ უნდა მომპყრობოდი... მერე ცხრა თვე გავიდა და დაიბადა პირველი ადამიანი, ასე რომ, ეს წყეული ვაშლი არ არის, მითუმეტეს, რომ საკუთარი ადამიანური შრომით არის მოწეული.

ჰო, კარგი, კარგი, სამოთხეში თუ არ გაგიტყებ ხათრი, არც აქ გაგიტყებ. ვნახოთ ერთი როგორია ადამიანების ვაშლი, სჯობია თუ არა ღმერთის ვაშლს, უჰ, რა გემრიელია! ასეთი ვაშლისათვის შეიძლება შემცდარიყო კაცი. ეს ვაშლი ათასჯერ სჯობია ღმერთის ვაშლს, თუმცა იმ ვაშლმა დიდი როლი ითამაშა ადამიანების გამრავლებაში. იმ ვაშლს, შენ თავს გეფიცები, რომ არ მშობოდა, არც კი შეეჭამდი. ხომ გაგიგონია ანდაზა: „თუკი გშია ზაქარია, ცივი მჭადი შაქარია“. მერე კიდევ მე ძალიან მიყვარდი და შენი ხათრისთვის მეც ვჭამე, რადგან არ მინდოდა სამოთხეში მარტოდ დარჩენა და შენი მერტო გამოშვება დედამინაზე. მერე კიდევ იმ ვაშლის ჭამის შემდეგ შევცოდე და ვიცოდი შვილი გაგვიჩნდებოდა. შენ კი მაშინ მარტოდმატოვერ აღზრდიდი ჩვენს შვილს უმამოდ. ახლა ხომ ბავშვთა ბაგები და ბალებია ყველგან, ობოლ, უდედმამო ბავშვებისათვის ცალკე აღსაზრდელი თავშესაფარი, ისე კი არ იყო მაშინ. ჩვენ პირველად ვინყებდით ადამიანურ ცხოვრებას დედამინაზე. მე ერთგული მეუღლე ვარ შენი, როცა შევცოდე, ქმრის მოვალეობაც ავიღე თავის თავზე და მზად ვიყავი ჯოჯოხეთშიც კი გამოგყოლოდი, არა თუ დედამინაზე. მე კი ზოგიერთ ახლანდელ ვაჟებს არა ვგავარ, რომ შეაცდენენ ქალიშვილებს და მერე ცოლად აღარ ირთავენ! არც იმათ ვგავარ, ჯერ რომ გააჩენენ რამდენიმე შვილს, მერე კი მიატოვებენ ცოლ-შვილს და ცხრა მთას იქით გადაიკარგებიან, რომ ალიმენტი არ გადავიხადოთო! სასამართლო ერთი დავიდარაბის შემდეგ თუ აიძულებს მათ ალიმენტის გადახდას, ესეც დიდი ამბავია. მოკლედ რომ ვთქვა ზოგიერთ ქმრებს არც სინდისი ან უხებთ და არც ზნეობრივი მოვალეობა. მე კი... ჩემ დროს არც სასამართლო იყო და არც პროკურატურა, მაგრამ ზნეობრივი შეგნება მქონდა და ბოლომდე პატიოსნად ვნიე შენს ერთად ცოლქმრული უღელი. აბა ქართული სიტყვა „მეუღლე“ სხვას რას ნიშნავს, თუ არა სიცოცხლის ბოლომდე ცოლქმრული უღლის ერთად განწევას. აი ასეთი ერთგული მეუღლე ვარ მე და საერთოდ ზოგიერთი ჩემისთანა კაცი, მე შენ გეტყვი და ის მუსულმანი სიძე ჩემსავით ერთგული იქნება. ამაში ახლავე დაგარწმუნებ, შენი

თვალთ დაინახავ, რომ დედოფლის გულისათვის ღვინოს დალევს და ღორის ხორცსაც დააყოლებს.

– მაგის კი რა მოგახსენო, ჩემო კარგო, ცოტა არ იყოს მეექვება, ყველა ხომ შენსავით ერთგული არ იქნება.

– აი, ნახავ თუ არ იქნება.

ამ დროს თამადამ, – რომელმაც ნეფე-დედოფალი მთელი თავისი ორატორული ენაწყლიანობით ადღეგრძელა, დაცალა ყანნი და სხვებსაც ასევე ერთხმად დააღვინა, – საზეიმო ხმით განაცხადა: – აბა, ახლა მოკუსმინოთ ნეფე-დედოფალს. – ფეხზე მდგარ ნეფე-დედოფალთან მივიდა მერიქიფე და ნეფეს ქართული ყანნები მიანოდა. ნეფემ ადღეგრძელა თავისი მეუღლე და მადლობის გადახდის შემდეგ სულმოუთქმელად გამოსცალა ორივე ყანნი, უმაღლე გოჭის ხორცი დააყოლა ზედ, ამის დანახვაზე ადამი გამარჯვებული იერით მიუბრუნდა თავის მეუღლეს და საზეიმო ტონით, თითქოს ნიშნისგებით მიუგო: ხომ გითხარი, რომ კაცები ერთგული ქმრები ვართ ცოლისა-მეთქი.

– კი ჩემო ადამდალო-დანდალო, კი! მაგრამ ქალებიც ხომ ერთგული ცოლები ვართ ქმრებისა! ქმრის გულისათვის წყალში გადავეარდებით. გაიხსენე ბერენიკას მაგალითი: ამ ფარაონის ულამაზესმა მეუღლემ თავისი ულამაზესი თმები შეიჭრა ალექმის მიხედვით, როცა მეუღლე მშვიდობიანად დაბრუნდა და ამისათვის კიდევ ქმრის რისხვა დაიმსახურა! ამისნაირი მაგალითი კი რამდენია კიდევ. ოღონდ ქმრები კარგად გვეყავდეს, თორემ ცოლები ყველაფერს ავიტანთ ქმრის გულისათვის. თავის დროზე გირეცხავთ, საჭმელს გიმზადებთ და რა ვიცი, კიდევ რას.

– ჰო, ეგ კი მართალია, უერთგულესო მეგობარო და მეუღლე, ჩემო ულამაზესო ქალბატონო ევა! ცოლქმრობა ისე არ შეიძლება, თუ სიყვარული, თანხმობა და ერთგულება არ არის ერთმანეთს შორის. თუმცა ახლანდელ ქალებს გაადვილებული აქვთ საქმე. ატომის ეპოქაში რა გინდა რომ არ იყოს, სარეცხი მანქანა თუ მაცივარი, გაზი თუ მტკერსასარუტი და სხვა ათასი რამ. ჩვენ დროს კი სად იყო ტექნიკა, მაგრამ მაინც გვიყვარდა ერთმანეთი და უერთმანეთოდ ვერ ვუძლებდით ვერც სამოთხეში და ვერც დედამიწაზე. სწორედ ამიტომ ვიქეცით ცოლქმრული ერთგულების სიმბოლოდ! ხომ გაიგონე, რა თქვა თამადამ, როდესაც ნეფე-დედოფალს ლოცავდა: „ადამსა და ევასავით შეაბერდით ერთმანეთსო“.



საათი

ერთ კაცს საათი აჩუქეს.

მას საათი არ სჭირდებოდა და არც ვინმეს მის ქვეყანაში, რადგან ცხოვრება უკან მიდიოდა და საათის ისრები დროის მოძრაობას წინ ვერ სწევდა.

მანც არ უთქვამს უარი და ეგ იაფფასიანი საათი (თუმც საჩუქარი ყველა ძვირფასია) თაროზე შემოდო.

რომელიმე საათის შესრულებისას პატარა სარკმლიდან პატარა ჩიტი გამობტებოდა, გუ-გუს დაიძახებდა, შებტებოდა და გაქრებოდა.

კაცი არ მუშაობდა და არც ვინმე მის ქვეყანაში. ხოლო გაღვიძება, ადგომა, ყავა თუ დაძინებამდე სადღაც ვახშამი რა დაზუსტებას ითხოვდა, თუ კი შქონდა. არსად ეჩქარებოდა და არც აგვიანდებოდა, არავის ელოდა და არც მოელოდნენ.

ამიტომაც კაცს საათი იშვიათად ახსენებოდა. ჩიტის დანახვა არ-თობდა მანც და მზის ამოსვლა-ჩასვლას და რამე-რამე მოვლენებს უფარდებდა. ჩიტის გამობტომა გუგუს ძახილს, ან ისე უბრალოდ გამოსაცნობად: ისრები სად იქნებიანო... ვერანაირად დაადგენდი ამ ისრებიდან რომლის წვერი ეხებოდა ტკვიილებს და რომელი ეხებოდა ბედნიერებას. ხან ერთი უსწრებდა და ხან მეორე. ერთ ნუთსაც კი ძლივს იყვნენ ერთად... ჩიტიც ორ წამს თუ სძლებდა აქ. თუა რაიმე აზრი არ ისრებს მოძრაობაშიო იფიქრა. გაეცინებოდა, მაგრამ კაცს სიცილიც დაავინყდა. ბოლოს მობეზრდა შეხედვა და საათი შეაბრუნა. დაავინყა...

ფიქრი ადამიანის, ქვეყნის და ჩიტის ბედზე უსაათოდაც უტრიალებდა თავში ლამის შეზღამდე. ამიტომაც ერთ დღეს ისრების მოძრაობა მსოფლიოს დანაშაულებრივი ამბების მაჩვენებელიაო, იფიქრა და საათი გააჩერა.

იქამდე ჩიტს სარკმელი გაულო და გაუშვა.

რომელ საათზე მოხდა ეგ, არ შეუხედავს.

სიზიფსს შრომა

რას დაათრევ ამ დამნაშავეს ტანჯულ იერს... სასაცილოა. ჩამოი-
რეცხე...

მინაზე მთარული რად იმედოვნებ: სივრცეში შეწყობით ქეშმე-
რიტებას ჰპოვებ, შეუძლებელში მართვა შეუძლოაო, ხომ ამტკიცებ-
დი. გადაიფიქრე?

თუ მარტო ყოფნა არ განსხვავდება ხალხში ტრიალისაგან, რად
არჩიე სცენაზე განმარტოება...

აკი ადამიანები ობობასავით გისოსებს იქსოვენო, მაშ, რად ჩამ-
ტკბარხარ, ვით წურბელა საკუთარ ტვინში!

რად გგონია: ისინი უმეტესად სხვის სახლში ცხოვრობენ, სხვის
სალოცავში შედიან, სხვის მეგობრებთან ახლობლობენ და სხვის სიყ-
ვარულს ეუფლებიან...

რატომ ჰფიქრობ: შენი წილი საკუთარი ნებით დაუთმე.

თუ სიყვარული და სიძულვილი ერთი საშოდან დაბადებული
ტყუპებია, რალად ეძიებ ჩამსახველს?

შენ ამბობდი: კაცი ცდილობს, ქალთან თავისი შეცდომები მინი-
მუმამდე დაიყვანოს, ხოლო ქალი თავის შეცდომებს მაქსიმალურად
იყენებსო...

აკი, ისიც გჯეროდა: მამრი აზრია, ქალი მიმღები, ოლონდ უდაბ-
ნოში წყლის ძებნისას გაებნენ ერთმანეთსო?..

თუ სიარული, წოლა და ფრენა თვისობრივად იგივეა სულისთვის,
რად ზიხარ მუდმივად.

თუ საუბარი და სიჩუმე იმ ქეშმარიტების გარდა არცრას მოი-
ცავს, რაც თავისთავად დუმბილში მეტყველებს, რად წერ და ხატავ.

თუ ხმები გაშფოთებენ, რად უსმენ სიმღერებს...

თუ ბავშვს და მოხუცს შუა სხვაობა ასაკშია მხოლოდ, რალად ით-
ვლი წელთასვლას...

თუ აფეთქებები არ გაშინებს, რად ერიდები ნაპერწკალს?

თუ მოქმედება უმოქმედობა ერთი და იგივეა, რად მიათრევ
მწვერვალზე მაგ ლოდს?

შენ იქნებ, ისიც გგონია: სადღაც ნაპირზე მდგომი შენაც წერტი-
ლად არა გხედავდეს?!

ეპა; გვაუნყე, რა გაიგე ყველაფერ ამით... რად თვლი, დუმილშია შვება?.. ბოლოს რა ჩნდება, საბოლოოდ-მეთქი... ნუთუ აჩეჩილი მხრებია პასუხი? გამეცი ხმა. ოო, თქვი რამე.

და ხმების გამომცემი საყვირი დიდ ყურად გადაიქცა. იქამდე კიდევ ერთხელ ამოიძახა: ჰე, ნუ თავმდაბლობო...

კაცი პასუხთა შექვავებულ ოქროს ლოდზე იჯდა, მთაზე კვლავ აგორება ეზარებოდა დაღლილ-დაოსებულს. მწვერვალთან მიღწეულს მაინც დაუსხლტებოდა და უკან ჩაგორდებოდა. არ ვიცი, ვთქვა, ვინ გაპატიებს.

შენ თქვი ოლონდაცო...

ვიტყვი და: ვინ გაგიგებს ან დაგიჯერებს.

ეგ განმარტებებიც ველარ მიხსნის გაორებული ტყვეობიდან.

დიახ, ერთობ უცნაურია, მდგომარეობა მამყოფებს გაურკვევლობაში...

სანამდე უნდა ვილაპარაკო ჩემს თუ ცხოვრების ავკარგიანობაზე და ნებას ვერ ვპოულობდე: ავანყო სახეიროდ...

ჰოო, კარგი ავლაპარაკდები, ოლონდ ხომ გასხოვთ ჩემი შეუჩერებლობა და თქვენი მოუსმენლობაც.

აბა, მე რა შემცვლიდა ამ ჟამთასვლაში: რაც მეტ მარცხს განვიცდი, უფრო ვოცნებობ შეუდარებელზე... ჩემი სინამდვილაც ეგაა: ღამით არავინ მგავდა მე და დღისით არავის ვემგვანებოდი. ღამით პოვნილი სინათლეზე ვიკარგები.

უნინდებურად ვდუმვარ, როცა მტკივა; ვჩუმდები, როცა მიყვარს და მივრბივარ, როცა არ მომდევენ.

ყოველი აზრს იძენს, ხრამიდან რომ ამომაქვს ეგ ლოდი. გულწრფელად გეტყვი: შენ და მე რასაც ნიშნავს სიტყვიერად თუ ერთმანეთთან შეკავშირებული ახალი სიტყვის „ჩვენ“ წარმომშობი იქნება, უთვალავჯერ გავიმეორებდი. გრანიტზეც ამოვკვეთდი ახლავე, თუმცა მეცნიერნი ამაქვეყნისსანნი ამტკიცებენ: დროებას ქვებიც ვერ უძლებენო და ზედ წარწერილს... ჰმ! რა მოგახსენოთ.

ხოლო გული: ეეჰ, მის მახსოვრობაზე ნულარას...

ხოლო ისინი? გარქმევთ: რად არა მსურს იმათთან დაახლოება.

ჯერ ერთი: სხვადასხვა გაგებისა ვართ სიმდიდრე-სიღარიბეზე. მეორეც ეგაა: ხომ გინახავს, რა გახელებით ნთქავენ. ვახშმად, საუზმედ და სადილად რა საბანკეტო ხორაგს იწყობენ და მესამე მიზე-

ზიც: უნდო მშვიშრები არიან უგონობამდე, ვირთხები აფრთხობთ და ტანკების იმედით ძალადობენ.

ყურმოკრულ ცოდნას ძალაუფლებად აქცევენ და თრგუნავენ მსმენელს: დიქტატორები ხდებიან სწავლებაში. ხოლო სინამდვილეში სხვათა ქვაბში და სანოლში დაძვრებიან სიამტკბილობისათვის და აღსასრულსაც იქვე პოულობდნენ.

ბავშვებს იმით ემგვანებიან ქცევა-ზრახვებში, რომ რალაც და ყველაფერი უნდათ და თუ ბავშვი თოჯინას მოაგლეჯს თავფეხს დაუნანებლად, ეგენიც ადამიანს უღმობლად. უფროსის კარს ლაქიის სიფრთხილით მიუკაკუნებენ და დაჩაგრულის ბინაში წიხლისკვრით შევარდებიან.

კუჭის და სეიფ-ჯიბის სისავსეს და მოსახვეჭს შეჭიდებული მათი გულისთქმა... ხოლო წიგნს ნუ უხსენებ და ნურც აზროვნებას, იმთავითვე უარყოფილია: ისედაც იცინა!

ხოლო ვინც მნიგნობრობა-სწავლულობას ჩემულობენ, ამ ძალმომრეობის სისტემას ემსახურებიან მონურად და ხალხის გონების დაბნელებაზე მუშაობენ.

ქვეყნის და ადამიანის თავისუფლებაზე თუ იტყვი რაიმეს, ერთხმად აყვირდებიან: ამ დალაგებული ცხოვრების ამრევია და კარგად ყოფნას გვიშლისო... ეგრევე თეთრ ტრამალებში გაგაქანებენ: ტვინი გახურებია ნამეტანი და სამუდამო საყინულე მოუხდებო... ანდა შეშლილობას შეგწამებენ და თავს ყვითელ შენობაში ამოგაყოფინებენ კაიხნობით, სანამ მართლა არ შეიშლები...

კაი-კაი საქმეებს მოისაქმებენ და კაბინეტ-რესტორნებიდან კომფორტულ ტუალეტებში გარბიან მოსასაქმებლად.

სიკვდილის წინაც გარანტირებულნი არიან და შემდგომაც: მდიდრულ ძეგლ-პანთეონებს აიგებენ...

თავიანთ შთამომავლობას ძვირადღირებულ სასახლეებს და ამნაირად გარანტირებულ ცხოვრებას უტოვენებ ანდერძად.

აი, ეგრეა იმათ აგებულ კედლებს მიღმა!

ხოლო გამოღმა: იყვნენ ისეთნიც, აზრს და ცრემლს რომ აქანდაკებდნენ გულმოდგინედ, თავისუფლებას ვერ ელეოდნენ და ხელოვნების მშვენიერებას უმღეროდნენ... ახლაც არიან,

ჰოდა, მოვედი იმათი ერთი აჩრდილთაგანი: სულის ნებით და აზრის შთაგონებით. უცოდველი არც მე ვყოფილვარ, მაგრამ ბოროტი თუ ავი რამ საქმე ნამდვილად არ მნდომებია.

გინდ ვდუმდე, ჩემი მისია მაინც ფიქრთა ხმამალალი თქმაა. დიახ, მე ვარ მე: ვნერ, დიად და პროპორციადარღვეულ გონებაში როგორი იბადება ლექსი-ლეგენდა დასავინყარად...

ვხატავ: გადათელილი ყვავილის სილამაზეს, ნაფურთხში სხივის ანარეკლს და ბენვზე დაკიდებულ მზე-მთვარეს...

აღტაცებისაგან გული მნახველ-წამკითხველს მაინცდამაინც არ ანთებია, ოღონდაც ჩემი შრომა ეგაა და ხომ ვერ მოვიშლი.

აი, იმათ კი ისუნთქონ ჩემი ნატანჯი ტვინის ოხშივარი და გაიხსენონ საკუთარი კეთილსურნელოვანი ემულსიები.

ყველაფერი ჩემი გასასწორებელი არაა, ეგეც ვიცი.

რა სანატრელია განვალებული აზრების თრევა. სიამოვნებით კი წამოვიკიდე... მოვიცილებდი, მაგრამ რომ ვერ ვიცილებ... თანხმობაში მინდოდა, ვყოფილიყავით და თვით ვუშლიდი მელანქოლიკის ჩვევით. არ მეთმობოდნენ, თუმცა თავბედსაც მანყევლინებდნენ და კისერსაც მატეხინებდნენ. ასე შევეთვისეთ.

ჰოო, ლოცვაც მაინყდებოდა. წამოოხვრისას თუ დამცდებოდა გამჩენის სახელი: უფალო, შემინდე ახლაც და მერეც-მეთქი.

ჰე, რამდენჯერ იყო: ვგავდი გაქცეულს და გარდახვენილს. მიუსაფარს ბინა რად სჭირდება: ქარ-წვიმაში ღრუბლების ქოლგას შევავარებდი სულს, პათოსით ვმხნეობდი.

ხანდახან სიჩუმის ბაზარზე გამქონდა ხმამალალი იდეები, თუმცა უფასოდაც ვერ დავარიგე, ვერავის მოვანონე...

ახლაც ეგრეა: რამდენჯერ გარდავიცვლები, იმდენჯერ ვგრძნობ სიცოცხლეს... ამათ კი მკვდარი ვგონივარ. ჰმ! დიახ, ვიცი: არსებობს ღიმილი, ხოლო მელოდია შემოგვიქროლებს გამქრალ ნაფეხურთა ექოს... დაე, გვასმენინოს.

ჰოდა, რა აუცილებელია, სადღაც ნაპირიდან წერტილივით ფიგურამ ხელი გამოგვიქნოს: თუ იცი, შენა ხარ ისიც.

მიმოვესალმებით, ვემშვიდობებით, დავეპირებით ოდესმე სადმე კვლავაც შეხვედრას... აი, ამგვარადაა ჩემთან.

თქვენთან კი როგორიაა: უფრო პირნათლად ეჩვენებით თუ ყველა ამოჩემებული სიმართლით ტყუის?

არ დაიფიცო: მაგრად ვართო და მეც აღარ დავიფიცებ: ახსნა-განმარტებანი მეტად არ შემოიძლია-მეთქი. მოულოდნელიც თავის როლს და სათქმელს გვიმზადებს... დაე, განგვაცვიფროს!

კაცმა ნამით შეისვენა, ჩამოჯდა სიტყვებით შენივთულ ოქროს ლოდზე. მწვერვალს ახედა: იქ ატანამდე არც თუ შორს იყო. ხოლო იქ იდუმალს ეზიარებოდა: ისევ უნდა განეცადა შობის სიმწარე-სიხარული. ვითარცა პირველად.

ადგა, ღრმად ჩასუნთქა, ოხვრით ამოისუნთქა... ძალთა მოსაკრებად და სარწმუნოდ პირჯვარი გადაინერა. იმედით დაიძრა! ჰოო, ჯერაც ვერ შევიცანი, სიცოცხლის ნადილი რა დაულალობაა: ლაპარაკობდე გამუდმებით და ველარც ჩერდებოდე. ჯილდოა თუ სასჯელი ეგ. ნეტა, როდის მივხვდები ან ისე თუ მოვირყევი, რომ გამაჩეროს... თუმც დავენგრეულვარ, მაინც ვმრთელდებოდი.

რად ხდება ყოველი ეგე? აჰა, გულისყურით გისმენ: იყვირა საყვირმა თანაგრძნობით: თქვი, ჯილდოა თუ სასჯელი?

კიდევ მეკითხები?! ეეჰ, ვეცდები, ამჯერადაც ავხსნა და მეტად ნულარ გამახსენებ... აქამდე ასე აენყო:

მოვიდა, მაკოცა, წავიდა: ამაღელვა.

მოვიდა, მაკოცა, წავიდა: ამატკივა.

მოვიდა, მაკოცა, წავიდა: გამაბრუა.

მოვიდა, მაკოცა, წავიდა: თავგზა ამებნა.

მოვიდა, მაკოცა, წავიდა: გამააფთრა.

მოვიდა, მაკოცა წავიდა: გადავუხადე.

მოვიდა, შევხედეთ, გამშორდა: გავუცხოვდით.

ალარ მოსულა, არ უკოცნია, არც ველოდები: დავივიწყეთ!

ახლა სინყნარეა: გათენება ვერ იწვევს ხსოვნის ხალისს და შემოღამებაც ვერაა ელეგიური. პათოსიც გაჰქრა.

ეჰ! ამეებს შენ ქალზე ამბობდი თუ ბედ-ილბალზე: თქვი, რა.

გეტყვი, რა დასამალია, ორივე გულძუნუნუხვობით მექცეოდა... პირველი მართლა შევიყვარე, მეორე გამოვიწერე.

ჰოო, სანახევროდ გავიგე... ახლა რაღად შემოგეძალა ეს ფიქრები ასე გამძაფრებულად. აკი სინყნარეაო? შფოთავ ძალიან.

არა, ვზეიმობ რა: დღეს დამიზუსტდა გამოჩენის დრო ამ სანუთროში გარკვეულად: სამს შვიდი მიეტოლა. ჯამში ათია. ცოტაა?

ჯერ რა გიჭირს, ჯეელო. მერე ითვალე: ოთხსაც მიემატება ნოლი, ხუთს, ექვსს, შვიდს. და ცხრასაც იქამდე...

მოიცა ერთი, ამდენი ნამეტარია, რად მინდა... ეგ მედარდება, რომ ღირებული რამე არ შემიქმნია. ბოლომდე ეს ლოდიც ვერ ავიტანე.

ჰოდა, ირბინე აღმართ-დაღმართ... დროც ამიტომ მოგეცა: ერთ-ხელ უთუოდ გაგიმართლებს. ეგ ოქროსფერი განძიც არ ჩანს უნონადო, კაი მძიმეა, ეტყობა... კი გიშრომია, აი!

ჰმ! რა განძი, რის ოქროსფერიო, ერთი გაშავექვაებული ცრემლის წვეთია. ვიცი მისი სიმძიმე-სიმწარეც. ნეტავი, ჩამომცილდეს.

ვხვდები, ოღონდ შენაც რა სულ ღობის გაღმიდან მომძახი, რამ გაგვყო.

ეჰ, შუაზე რჩება ამობურცული, ჟანგისფერი ბელტები: უტყუარი საბუთი დასამარდაო ყუნწი, ცოდვის ნაყოფს რომ ისხამდა.

კი, ნაღდად... თუმც ბოლოც ეგ ყოფილაო, ვერ იტყვი... მერე, იქნებ, ერთარსად განცხადდეთ შენ და მე. აღარ ვქნათ, რაც გაგვყოფს.

ვაჰ, ჩემო! ხედავ, რარეგ გვსურვებია ისეთი სამყოფელი, სად სუფევს უფეროვნო მშვენიერის არსი და ჩრდილიც ვინმესი არც ვისმე ეფარება. ზღაპარივითაა!

კაცმა მწვერვალს ახედა. სამიოდ ნაბიჯი აშორებდა იმ საზღაპრო ადგილს, რომ ლოდი უეცრად გაუსხლტა ხელიდან და ქვემოთ-ქვემოთ ხმაურ-ლიწინით ჩაექანა. მზერა ჩააყოლა, ჩაადევნა. ისევ გაექცა: – რამდენჯერ, ო ღმერთო!!!

ჰე, მიდი ჩქარა, ნუ აყოვნებო: შესძახა შეშლილივით და მოსწყდა, გამოენთო, ფრთები მოიხსნა, ლოდს ჩაასწრო და დაელოდა.

ოქრო-ლოდიც ჩამოგორდა და ფეხებთან შეუჩერდა თვინიერ მორჩილად. კაცი ჩამოჯდა. სული ამოითქვა.

ეგ რანაირად მოხდა, რა უცებ დავცილდითო: ფიქრობდა იგი, მწვერვალზე რომ იდგა და წყვიდადში ჩამოჰყურებდა.

ველარ ხედავდნენ... ან თუ სინათლე ისეთ ბნელში გარდაიქცა, როს არც ვინმე ჩანს, არავინ მოდის, ვერსად მიდიხარ. და უეცრად გაშავებულ ოქრო-ლოდზე პატარა თვალმა გამოანათა, სხივი მალლა მწვერვალს აანვდინა: გამოჩნდა გზა! კაცი ადგა, ლოდი შეაქანა. მიხვდა: უფრო დამძიმებულიყო კიდევ ერთი ცრემლის წვეთით.

გაუხარდა, პათოსური მხნეობა იგრძნო. პირჯვარი გარდაისახა: შემოქმედო, შემენიე მალლა აზიდვაშიოო: თქვა გზნებით. ლოდს მძლავრად შემოაჭდო ხელები, ასწია, შეიმართა!

მანდ მწვერვალზე შევიქმნებით მე და შენ „ჩვენ“, – ასძახა. აბა, დავიძარიო!..

უსაშველო ნერტილის აგვაჰი ანუ გაქრობა

თვალქალაქს მოეფარა.

ბერნად აციმციმებული ნათურები ზურგს უკან.

კუდი ჩაანო მარილიან ცისფერ წყალში და დამნაშავის იერი ჩამორეცხა...

ადრე იმ წრეს აღიარებდა, რომლის შუაგული და ყველა ნერტილიც თითონ იყო.

შავ აისბერგით დაცურავდა.

ლამით თავის მხარეში გაცურდებოდა ხოლმე: მორყეულ კბილებს ჩააგდებდა და იცინოდა თესვის მაყურებელი.

ყფით გამოქანებულ აჩრდილებს თვლა ასე გაახსენა.

მეასეზე უთხრეს „ანი მკა ინყება, ველარც გცნობენ და თესლიც ცოტა დაგვრჩაო“.

გაეცინა.

„მე არ ვარ სტუმრად. მე არ ვარ შინ, მე ვზი ჩიბუხში“.

გასცილდა ტივტივით.

საუნჯეთა შესასვლელ – გადასასვლელი კეფის ქვემოთ თმებში ჩაემალა გამოსაჩენად.

თვლებში იისფერ მინებს გაღმა ხედავდა.

ფიქრებში ჭინთვისას გადახსულ შუბლზე ჭიაყელებს რიარია ჰქონდათ და სხვადასხვაფერად გამოანათებდნენ სივრციდან სარკეში.

ამაზეც იცინოდა და ჩურჩულებდა: „ცისარტყელები“, „ცისარტყელები“.

სილამაზე სიმახინჯეს მშვენიერში აერთებდა.

იატაკზე ეწერა: „აქ არ ამოქნარებენ“.

კედელზე სიარულს რომ მოამთავრებდა, ჰაერში დაფრინავდა დიიდი მწვანე ყურების ქნევით.

ბოლოს ჭერში სარკმელთან გაკიდულ ქსელში ჩარნეული ნებიერად ღიღინებდა: „შეიყვარე და გადარჩები შენ“.

იისფერ მინებს მიღმა გამოჩენილ არსებებით ერთობოდა მოლოდინში. დუმილის სამყარო ყველაზე ნამდვილი და სახვე იყო მისთვის. სიცილში, ყვილში, სიმშვიდეში ნაპოვნი „მე“ ახალისებდა.

ასხვაებდა სიჩუმეებს: შეყვარებულის, მკვდრის, მარტო კაცის. მთვარის შუქზე რომელიმეს გამოარჩევდა სევდის ხილვით შთაგონებული.

იისფერ სარკმლიდანაც გადახედავდა გულგაცივებულთა და გახელებულთა მოდგმას; სურვილს და აზრს უთავებოლოდ ურევდნენ. აღმაცერად მაცქერალნი ადამიანის სათამაშოსაგან ვერ ასხვავებდნენ.

„ერთ ჭიქაში ჩაისხმებიანო, თუმც არა ყველა, რაც და ვინაც“.

ლიმილით მიაჩერდებოდა ხეზე ფოთლებში შეყუჟულ ჩიტს, უძრავს. იცოდა რა მძლავრი იყო იგი.

ცარიელ თაროზე მტვრის სქელ ფენად დადებულ მის გამოგონილ ცხოვრების წესებს თითოთ ჩაანერა სათაურად: „სულნი ჩხრეკას და ნაცარში ჩხრეკას ნუ გააიგივებთ“.

უძილობით კვამლით და ჰაერით სარზდობოდა და თუ ეტყოდნენ, „შენაც წერტილი ხარო“: პასუხად ნეტარის მშვიდი ლიმილით ბედსაც დაუთმობდა.

ვილაცასთან გაკეთებულ ბავშვს უფრთხოდა.

ქალები ნაყინისაგან ვერ არჩევდნენ, კაცები – საფრთხობელასაგან. მიხვდა.

მოიკრიბა კუზად დაეინყებულობის წმინდა ძეგლები.

თეთრი საღებავი გადაისვა.

დაუტოვა ოთახი.

მოხურვის ჟამს უკანასკნელად გაიჭრიალა დაჟანგულ ძარღვებზე გულმა.

„ყველა მარცხგანცდილი აქ მოვა... ღიაა“.

მზის იქეთ გაცურებულს აღარ უფიქრია ოკეანეთა თაფლად ქცევაზე. ჩაიკეტა გარეთ.

რას აკეთებდა იქ, ყველამ კარგად უნყოდა მის გარდა: რალაცას ისევ სულელობსო საყინულეთში.

თითონ სრულყოფილ მოლანდებებს ეჩურჩულებოდა.

ცას და ვარსკვლავებს უსვამდა საღებავებს უუპირველესის მოლოდინში და თავის გემოზე აფერადებდა.

ქვემოთ მიაწერა: „აზრი გრძნობის გარეშე, ანუ სინმინდე, სინმინდე სინმ“.

დაინახეს.

თქვეს: „მთლად გაგგიჟებულაო“ და

გაიგო რადგან ყრუ-მუნჯობასთან ერთად სიბრმავის სენიც სჭირდა. ამიტომაც ერთ დღეს

ლამით დღისით

თუ დილით

ვილაცამ თქვა: „მაკრატელზე გამობმული ფუნჯი ჩაანო უფერულში. ჭიპი და სახე გადაიშალაო“.

დაბნეულები მიაგვანებენ ვიხსმე სიარულით სამოსით თუ სათვალით. სხვა ხსოვნა გაჰქრა.

ახლა თავს იმტკრევენ: თაროზე შერჩენილი მტკერი სანაგვეში ჩალუქონ თუ...

თუ ოქროს ბუხარში დასვან.

გზები და: არჩევანი

კაცი იდგა გზაჯვარედინზე.

ერთგან ეწერა: „არ ინანებ“, მეორე გზაზე: „ინანებ ან არა“, მესამეზე: „ინანებ“.

და კაცი გაუდგა გზას სინანულისას: რამეთუ სინანულად ჰქცეოდა ყოველი სვლაქმედება.

სამი დღე იარა შეუშფოთებლად, რომ კვლავ გზაჯვარედინზე აღმოჩნდა. ისევ წარწერები მიუთითებდა გზათა რაობას:

ერთგან ეწერა: „უეჭველია“, მეორეზე: „საეჭვოა ან არა“, მესამეზე: „საეჭვოა“.

კაცი გაუყვა საეჭვო გზას, რამეთუ მუდამ საეჭვო გზით ვიღოდა... სამი დღე იარა, არც ვინმე სულიერი უნახავს, არც რამ ხიფათს შეჰყრია. კვლავ გზაჯვარედინზე გავიდა.

ერთგან ეწერა: „შეიძლება“, მეორეზე: „შესაძლებელია“, მესამეზე: „შეუძლებელია“. და კაცი შეუდგა გზას შეუძლებელს, რამეთუ შეუძლებელს ელტვოდა იგი. სამი დღე ვლო შეუფერხებლად, რომ ისევ გზაჯვარედინზე აღმოჩნდა. გზაზე ეწერა: „არ იტანჯებ“, მეორეზე: „იტანჯები ან არა“, მესამე გზაზე: „იტანჯები“.

და კაცი გაჰყვა გზასა ტანჯვისას, რამეთუ იმშიერი ტანჯულობით დაძრულს: ყველა ტანჯვა ეიოლებოდა.

სამი დღე იარა დაულალავად, რომ ისევ გზაჯვარედინზე გავიდა. ერთგან ეწერა: „არ შეიძლება“, მეორეგან „შეიძლება ან არა“, მესამე გზაზე: „შეიძლება“.

კაცი გაუდგა გზას სიძულვილისას: რამეთუ სიძულვილი ძიძაობდა მას. სამი დღე ვიდოდა თმენით, ვიდრე გზაჯვარედინზე აღმოჩნდებოდა. ერთი გზა იუნყებოდა: „შეიყვარებ ან არა“, მეორე: „შეიყვარებ“ მესამე: „არ შეიყვარებ“. და კაცი გაჰყვა გზას უსიყვარულოს: რამეთუ უსიყვარულოდ მოდიოდა. სამი დღე იარა გულგაყინულმა: რომ გზაჯვარედინზე გავიდა. ერთგან ეწერა: „ბედნიერება“, მეორე გზაზე: „გაურკვევლობა“, მესამე გზაზე: „უბედურება“.

კაცი გაუყვა გზას უბედურებისას: რამეთუ უბედურებას მოჰყავდა იგი. საფლავებში იარა დღე სამი ვიდრე გზაჯვარედინზე გავიდოდა. ერთგან ეწერა: „სინყნარე“, მეორეგან: „მოუსვენრობა“, მესამეზე: „ხანძარი“.

და კაცი გაემართა ცეცხლოვანი გზით: რამეთუ მუდამ იწვოდა იგი. და შემდგომად სამი დღის აალებულობისა: გზაჯვარედინზე აღმოჩნდა. ერთგან ეწერა: „სული წმინდა“, მეორე გზაზე „სული დაუნძედი“, მესამეზე: „სული სატანისა“.

და კაცი გაუდგა გზასა სატანურს: რამეთუ დემონი ბობოქრობდა მასში. შეშლილმა იარა სამი დღე ვიდრე გზაჯვარედინზე გავიდოდა. ერთი გზა მითუითებდა: „არ სცოდებ“, მეორე „სცოდებ ან არა“, მესამე კი „სცოდებ“.

კაცი გაუყვა გზას ცოდვისას, რამეთუ ცოდვებით ვიდოდა იგი. და იარა დღე სამი უქენჯნოდ; ვიდრე გზაჯვარედინს არ მიადგა. ერთგან ეწერა: „არა ჰკლა“, მეორეგან: „ჰკლავ ან არა“, მესამე გზაზე: „ჰკლავ“...

კაცი გაუდგა გზას სიკვდილის, რამეთუ ყოველწამიერი მკვლელობა გრძნობა აზრითა: სდევდა ნაბიჯებად...

და იარა სამი დღე უგრძნობელად: რომ კვლავ გზაჯვარედინზე გავიდა. ერთი გზა მიუთითებდა: „სწორია“, მეორე: „დახვეულია“, მესამე კი „ხრამია“.

და კაცი ხრამისკენ მავალ გზას შეუყვა: რამეთუ მუდამ ხრამის კიდეზე ვიდოდა იგი...

და იარა სამი დღე უფსრკულში: ვიდრე გზაჯვარედინს არ მიადგა. ერთგან ეწერა: „იმღერებ“, მეორეზე: „იმღერებ ან არა“, მესამეზე: „იგოდებ“

კაცი გაუდგა გზას გოდებისას, რამეთუ გოდება თან სდევდა მას... სამი დღე იარა გულშეუძვრელად, რომ კვლავ გზაჯვარედინზე აღ-

მოჩნდა. ერთგან ეწერა: „არ იტირებ“, მეორეზე: „იტირებ ან არა“, მესამე გზაზე: „იტირებ“.

და კაცი შეუდგა გზას გლოვისას, რამეთუ ტირილში ტკბებოდა იგი. თვალგამომშრალმა იარა სამი დღე და ისევ გზაჯვარედინზე გავიდა. ერთი გზა იუწყებოდა: „იცოცხლებ“, მეორე „იცოცხლებ ან არა“, მესამე კი: „არ იცოცხლებ“...

და კაცი გაჰყვა გზას უსიცოცხლოს, რამეთუ მიწყვიტოს მისი იყო იგი. სამი დღე იარა ბინდში, ვიდრე გზაჯვარედინზე არ გაუთენდა. ერთგან ეწერა: „მინაა თბილი“, მეორეგან: „ნყალი მანუგეში“, მესამეზე: „ჰაერი უსაყრდენო“.

და კაცი აჰყვა გზას მალლა-მალლა: რამეთუ ჰფრენდა ფიქრები მისი, და სამი დღე იფრინა, ვიდრე გზაჯვარედინს არ მიადგა.

ერთი გზა ამბობდა: „არ მოკვდები“, მეორე: „მოკვდები ან არა“, მესამე: „მოკვდები“...

კაცი გაუდგა გზას სიკვდილისას: რამეთუ სიკვდილისკენ ისწრაფოდა.

სამი დღე ვლო სევდის ველზე შეუწელებლივ და ისევ გზაჯვარედინი. ერთგან ეწერა: „სამოთხე“, მეორეზე: „სალხინებელი“, მესამე გზაზე: „ჯოჯოხეთი“...

და კაცი შეუდგა გზას ჯოჯოხეთისას: რამეთუ ჯოჯოხეთი ენთო გულში. სამი დღე იარა აუჩქარებლად, ვიდრე გზაჯვარედინს მიადგებოდა. ერთ გზაზე ეწერა: „გაილიმებ“, მეორეზე: „გაილიმებ ან არა“, მესამე გზაზე „ულიმილოა“...

და კაცი გაჰყვა გზას ულიმილობის, რამეთუ სიცოცხლე ულიმილოდ მოდიოდა. სამი დღე იარა მონყენილმა, რომ გზაჯვარედინს მიადგა. ერთგან ეწერა: „არის“, მეორეგან: „სავარაუდოა“, მესამეზე: „არაა“...

უცებ გაეცინა და გაჩერდა, რამეთუ მთელი ცხოვრება:

გზები და გზაჯვარედინები არარაობა იყო...

თვითონაც არ ჩანდა: მიმავალი...

ბანმარტიპიტი ბარათი

ბატონო ციხის უფროსო:

მოგახსენებთ: მე ამ საკნის მცხოვრები ვარ ოცდახუთი წელიწადია. დროის ისტორიული საზომი საუკუნეა!.. მე მეოთხედი საუკუნეა აქ ვცხოვრობ. რამეთუ ამდენხანს პატიმრობასაც ვერ შეიძლებს ადამიანი, იგი თავისუფლდება: იგრძნობს იქაა ყველაზე უფრო თავისუფლად, ვიდრე სხვაგან. და არ სცილდება იმ ადგილს გინდ უდაბნო იქნას, გინდ ყინვიანი იგი სამყოფელი...

იქ ადამიანი მცხოვრებლის სრულ უფლებას ინიჭებს; იცავს იმ რეჟიმს, ეთვისება გარემოს და ტრადიციას ჰქმნის იქ სიცოცხლისა.

და ამდენად: ეს განაწერი არც თხოვნაა და არც განაცხადი.

ეგ ჩემი უფლების მოკლე დეკლარაციაა!.. დღეს დილით გამომიცხადეს; რომ მე ვარ თავისუფალი და უნდა დავტოვო ჩემი საცხოვრებელი, რომლის უკეთესი აღარ მეგულება მთელი ცხოვრების მანძილზე...

ჩემთვის გაუგებარია: რატომ უნდა დამატოვებინონ ეგ ბინა განთავისუფლების მოტივით; გამიშვან სადღაც ბედის ანაბარა და ამას ვუნოდო თავისუფლება გახარებულმა, როს ამის მსგავსს თავშესაფარს ვერსად ვპოვებ.

მოგახსენებთ ამ საკანში ფეხმოუცვლელად ვზივარ თხუთმეტი წელიწადია. ათი წელი მიჭირდა და გარეთ ის იშვიათი გასეირნებები აუნერელ შევბას მანიჭებდა... ვიდრე უძრაობამ არ მიმახვედრა სადმეცა არსებობის სინამდვილე: სიმარტოვეში!

თავს არ შეგანყენთ თუ რა ემართება ადამიანის გონებას ამ დროის განმავლობაში: რაც იგლეჯს და რას ეტმასნება... შემდგომ როგორ უყალიბდება ჩვევები, რას იშორებს და რას იახლოვებს, რას ითვისებს და რანაირად უძნელდება სიყვარული; რას ხედავს და ესმის, რა ამნუხრებს და რა ახარებს. ცდუნებიდან ვით ასხვაავებს ჭეშმარიტებას... და ბოლოს როგორ ჰქმნის თავის თავს: საკუთარი სამყაროთი...

ამეების ჩამოთვლით აღარ დაგლით ბატონო ციხის უფროსო, ოღონდაც მიმაჩნია: უთუოდ ვიმსახურებდი ვყოფილიყავი მარტო; ფეხმოუცვლელი და არავინ მენახა...

ჩემთვის ნამდვილად გაუგებარია: რა ჩამეთვალა დანაშაულად, რომ მიპირებენ (განთავისუფლების მოტივით: ვიმეორებ) ადამიანებ-

თან გასახლებას, რომ გავიხსენო: სადღაც არის ქალაქი ან სოფელი, კაცი ან ქალი. და მე დავწვრილებ მათ შორის ვითარცა უცხო; უცხო ადგილზე, უცხო ადამიანებთან, მიუსაფარ ცხოველივით. ხოლო იქ ჩემს ყოფილ სახლში, ან გაუცხოებულ ახლობლებში მუდამ ვიგრძნობ: ვარ დამნაშავე, ვერ შევუსრულე რაღაც იმედები: გავანბილე... ერთი სიტყვით ერთად ცხოვრება აუტანელი გახდა და იძულებული შევიქნები განსარიდებლად ვეძიო მყუდრო ადგილი...

ვინ დაგანებებს... შემდეგ გიჟადაც შემრაცხენ უთუოდ და ყვითელ სახლში გამაქანებენ...

არც ეგაა დიდი უბედურება, ოღონდ იქ სად ვნახავ ასეთ წყნარ საკანს, მე რომ ვცხოვრობ ამჟამად და ვინ მომასვენებს...

ბატონო ციხის უფროსო: ყოველი ეგ ნათლად უნდა წარმოიდგინოთ, ვიდრე ამ სრულიად უსაფუძვლო განაჩენს აღასრულებდეთ...

მე არაფერი დამიშავებია. ამდენად უფლება არ გაქვთ გამასახლოთ.

ხოლო თუ კანონის ძალით მეკუთვნის თავისუფლება და შემოძლია ავირჩიო სამყოფელ-საცხოვრებელი: უთუოდ აქ ვირჩევ!..

და პატიმრობის ეგ გაუქმება; ოცდახუთი წლის შემდგომ ხომ კანონის ჰუმანურობის ცდუნებით თავის მოწონებაა და ამას გარდა თუ ამდენი ხანი პატიმარი კვლავ პატიმრობს, იმას მართლაც გაუხარდება აქედან წასვლა... ალბათ სადმე უკეთესი წარმოუდგენია. მისი საქმეა...

მოგახსენებთ: სასიხარულო შეება თუ თავისუფლება გარეთ და არსად არ მეგულება... აქაა ამ საკანში...

ვფიქრობ ნათელია თქვენთვის ბატონო ციხის უფროსო: რად ვთვლი ჩემს თავს ამ ადგილის მკვიდრად და ეგ სახელიც თქვენთვის ესოდენ ოფიციალური, მხოლოდ დღეს გამახსენდა ამ დეკლარაციის წერილსას; რამეთუ ამდენი ხნის ამგვარი უხილავი თავაზიანობა, არ დაგერღვიათ ჩემი სიმყუდროვე, უნებლიედვე მავინებდა ვიყავი ციხეში და თქვენ ბრძანდებოდით ციხის უფროსი... როგორღაც შორიასლო მეზობლად გთვლიდით!...

ხოლო თუ სამსახურებრივი მოვალეობებით შეწუხებული ისევ ციხის უფროსად გადაიქცევით რომ კანონით იმოქმედოთ, მაშინ ერთს გირჩევთ ამ კეთილმეზობლურობის ნიშნად: მომესაჯა ისევ აქ ყოფნა... განუსაზღვრელი ვადით...

თუ ამას მართლა არ აღასრულებთ: ჩათვალეთ, რომ ჩემს თვით-
მკვლელობაში თქვენ გაქვთ წილი...

დიახ: ბატონო ციხის უფროსო!..

ერთგან ნავიკითხე (დიდი ხნის წინათ): სიბრძნე არც გულშემატ-
კვირობაშია და არც გულგრილობაშიო...

ამდენად: თანაგრძნობას ვერ მოგთხოვთ და ეგეც ვიცი, გულგრი-
ლი საკუთარ ავტორიტეტის მიმართ ვერ იქნებით, რადგან თქვენ
ბევრი ადამიანის სიცოცხლე გაქვთ მობარებული... და თქვენი დემო-
კრატიული პრინციპები უმნიკვლოდ უნდა დარჩეს...

და თუ ეგ არ დაიცავით, დამერწმუნეთ: თქვენც გაგასახლებენ ამ
ადგილიდან...

გაგაფრთხილებთ: აჩქარებულად ან წინდაუხედავად არ გაეხვეთ
თქვენთვის უცნობ ინტრიგაში: ჩემი ვითომგათავისუფლების იდეით
რომ თამაშდება სადღაც ფარულად... რომ თქვენაც ბოლო მოგიღონ...

ამიტომაც გვახსოვდეს ორივეს: ჩვენი სიცოცხლისუნარიანობა,
ჩვენს ამგვარ ურთიერთმიმართებაშია და არა როს დაგვაცალკავე-
ბენ, მიმოგვფანტავენ თავისუფლების სახელით... რამეთუ...

რამეთუ... მეც ბატონო ციხის უფროსო და თქვენც ორთავენი
უთესლონი ვართ, ბერნობაც ჩვენი: ჩვენ ვიცით მხოლოდ...

ჩვენი საიდუმლოც ჯერ ჩვენს ხელთაა...

მშვიდობით გაგიკითხავთ ჩემს სენაკიდან:

არავინ...



სამბარძელი

– არა პქმნე თავისა შენისა კერპი, არცა ყოვლადვე მზგავსი, რაოდენი არს ცათა შინაზე, და რაოდენი არს ქვეყანასა ზედა-ქვე, და რაოდენი არს წყალთა შინა-ქვევე ქვეყანისა: არა თაყვანის-სცე მათ, არცა მსახურობდე მათ.

(გამოსვლა, თ. მე-20, 3,4,5).

ლიფტში აღარ შევიდა, ნოხდაფენილ კიბეს ფეხათრევით აუყვა; ბოლო ათი წლის მანძილზე პირველი შემთხვევა იყო, აღარსად ეჩქარებოდა. რალა მნიშვნელობა პქონდა, მოხსნილი კაცი კაბინეტს ათ საათზე დაცლიდა თუ თერთმეტზე? მართალია, განცხადება თვითონ დაწერა – გამათავისუფლეთო, ითხოვა, მაგრამ... ყველამ მშვენიერად იცოდა, როგორც იყო საქმე... დიახ, იძულებული გახდა, თვითონვე დაეწერა განცხადება გადადგომაზე. ზოგისთვის რომ გეკითხათ, მინისტრის სავარძლის დათმობა არ იყო იოლი, ერთი შეხედვით, სახარბიელო ჩანდა იგი. მინისტრის თანამდებობას ხომ პრივილეგიები ახლდა – მაღალი ხელფასი, პერსონალური მანქანა, დაჯავშნული ადგილები პრეზიდენტში, თეატრებში, მივლინებები საზღვარგარეთ, საყოველთაო პატივისცემა და რიდი... მაგრამ იორამი როდი ფიქრობდა ასე, ყელში პქონდა ამოსული თანამშრომელთა მამებლური ღიმილი და კუდის ქიცინი. ამას კიდევ აიტანდა კაცი, მაგრამ ბოლო დროს კი მთლად აუტანლად ეჩვენებოდა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მკაცრად შეკრული კოპები და გაბლენძილი იერი – მე ვარ და ჩემი ნაბადიო, უსიტყვოდ რომ ეწერა სახეზე, იუმორის ნატამალი არ გააჩნდა და ვერც გაცინებულს დაინახავდით, ძალიანაც რომ მოგენდომებინათ.

მაინც რა იყო, რა შავ ჭირად გათენდა ის ორშაბათი? გაერთიანებულ სხდომაზე სიტყვა რომ მისცეს იორამს, გაბრაზებულმა დაიწყო:

სხდომობანას თამაშს როდის უნდა დავეანებოთ თავი, ხომ ხედავთ, ქვეყანა თავზე გვექცევა, ეკონომიკა კრიზისშია და ასე იქნება მანამ, სანამ კადრებს არ შევცვლით, სანამ დარგებს კომპეტენტური და მცოდნე ადამიანები არ ჩაუდგებიან სათავეში, სანამ მთლიანად არ გავაახლებთ მინისტრთა კაბინეტს, რას ჰგავს ჩვენი დღევანდელი მთავრობა, მინისტრთა კაბინეტია თუ ვეტერანთა საბჭო? – ამ სიტყვის თქმისას დამსწრეთ გადახედა, მტრულად მომზირალი თვალები და ირონიული ლიმილი შეანათეს კოლეგებმა, მან კი, მთლად უფროსმა, თავმჯდომარემ, ვეზირთუხუცესად რომ ნათლავდა გუნებაში ჩაიცინა:

– ძალიან კარგია, იორამ ბატონო, მომწონს თქვენი მსჯელობა, მართლაც, შესაცვლელია კადრები, ამისათვის უნდა ვიზრუნოთ, იმედი, მაგალითს თქვენ მისცემთ კოლეგებს.

– კი ბატონოო, – ჩუმად ჩაილაპარაკა და განთავისუფლების შესახებ განცხადების წერას იქვე შეუდგა. როგორ იფიქრებდა, ასე ადვილად თუ შეეღოდა. მიხვდა, ასე ადვილად არ გასწირავდა უფროსი, მაგრამ მოენებებ თავისი საქმე უკვე გაეკეთებინათ და ახლა ეს მისი სიტყვა მშვენიერი საბაზი იყო იმისათვის, რომ თავიდან მოეშორებინათ.

სხდომის დამთავრებას რაღაც წუთები აკლდა, როცა განაცხადა – გთხოვთ გადამაყენოთ დაკავებული თანამდებობიდან, რადგან აქაურ ატმოსფეროს ვერ ვგუობ, ალერგია მომეძალა და ძალა აღარ შემენევს მუშაობისთვისო.

– რახან ასეა, მეგობრებო, მადლობა ვუთხრათ იორამს განეული ამაგისათვის და დავაკმაყოფილოთ მისი თხოვნა.

თავმჯდომარის ეს სიტყვები სიჩუმეში ჩაიკარგა, დამსწრეთ ხმა გაიკმიდეს, მარტო იორამის ხმა გაისმა:

– წარმატებულ მუშაობას გისურვებთ, კოლეგებო, ნუ დაივიწყებთ, დადგება დრო და ყველაფერი მოგვეკითხება.

იმ დღეს, სახლში მიმავალი, მანქანაში რომ ჩაჯდა, მძლოლმა ჰკითხა: – იორამ ბატონო, მართალია, რაც გავიგე?

– კი, მართალია!

– რატომ მერე, რატომ დაწერეთ, ბატონო, განცხადება, თქვენს მაგივრად ვილაც უკეთესი მოვა გგონიათ და უკეთესად წავა საქმე?

– რა ვიცი, წინასწარ ვინ იცის მაგი.

– ეჰ, ბატონო, დასანანია, მაგრამ მაინც მაგარი კაცი ხართ, ხომ აჩვენეთ ქვეყანას, სკამს რომ არაფრად აგდებთ.

ჯერ კიდევ სადარბაზოში, კიბის საფეხურებს მიუყვებოდა, ტელეფონის ხმა რომ მოესმა. ბინაში რომ შეაბიჯა, ტელეფონი კვლავ ნკრიალებდა. წაუყრუა, სავარძელში მოწყვეტით ჩაეშვა და თვალე-ბი დახუჭა. ოთახში მეუღლემ შემოიხედა, ხმა რომ არ გასცა, კარი ჩუმად მიიხურა და უკან გაბრუნდა. დაღლილობამ თავისი გაიტანა და იორამს ჩაეძინა. დილით გვიან ადგა, მეუღლე და ბავშვები უკვე სკოლაში წასულიყვნენ. სახლიდან გამოვიდა. სადარბაზოსთან სამსახურის მანქანა ელოდებოდა. ანი უმანქანოდ, ფეხით მომინევს სიარულიო, – გაუელვა ანაზდად და მანქანაში თითქოს გულდანყვეტილი ჩაჯდა. გაახსენდა, როგორ ეჯავრებოდა ხალხით გაჭყდილი ტრანსპორტი და დანჯღრეული ტაქსები.

შუა გზაში გააჩერა მანქანა და გზას ფეხით გაუყვა. ნაცნობები შეხვდნენ, ერთი თავის დაკვრით მიესალმა, მეორემ კი საერთოდ არც მოხედა, ზურგი შეაქცია. ამ ქალში ყოფილი თანაკურსელი შეიცნო, გაახსენდა, შარშან მიღებაზე იყო, შვილი სამსახურში მომინყვეო – სთხოვა. ვერ შეუსრულა სურვილი და ახლა განანყენებული ქალი აღარც მიესალმა. ქუჩის გადაკვეთაში სამინისტროს თანამშრომელი შეეფეთა – ეს პირნავარდნილი მლიქვნელი უნინ, შეხვედრისას, პირზე ლიმილს გადაიფენდა ხოლმე, ახლა კი მოღუშულმა, ამპარტავნული იერით ჩაუარა.

იორამმა ქუჩა გადაჭრა და სანაპიროზე გავიდა. ნელ-ნელა მიდიოდა, ჩაფიქრებული გასცქეროდა წყალზე მოლივლივე ათას ხარახურას – ბოთლებს, თუნუქის კოლოფებს და გაკვირვებული იყო, თურმე რა დღეში ჩაუგდიათ ბუნება ადამიანებს, აქამდე როგორ ვერ ამჩნევდა ამას, თუმცა რა ხანია, ფეხით აღარ გაუვლია და ფარდაჩამოფარებული მანქანიდან რას დაინახავდა?

პოლიციელი გამოჩნდა, შავი ბერეტი, ხელკეტითა და რაციით აღკაზმული, საკმაოდ უსიამო შთაბეჭდილებას ტოვებდა.

– აქ სიარული არ შეიძლება! – უხეში, ტლანქი მიხრა-მოხრა და გამომწვევი მზერა ჰქონდა პოლიციელს.

– ვითომ რატომ, გარშემო საიდუმლო ობიექტებია, თუ წესრიგს ვარღვევ?

– ბევრი ლაპარაკი არ არის საჭირო. აქედან წადით!

– მაქვს უფლება ვიცოდე, რატომ მელაპარაკებით ასე, კეთილი ინებეთ, ამიხსენით!

იორამის შეუვალმა ტონმა ერთგვარად დააცხრო პოლიციელის აგრესიულობა.

– ნესი ნესია! – მკაცრად თქვა და „რაცია“ ამოიღო: – „მე ჩვიდმეტი ვარ, მე ჩვიდმეტი ვარ“...

ეს „რაციები“ და „მობილურები“ მალე ყველას გამოათავყვანებსო, გაიფიქრა იორამმა და ერთგვარი კმაყოფილება იგრძნო, ამიერიდან იმ „პერსონალური რაციის“ ტარება აღარ მოუწევდა.

* * *

– მობრძანდით, ბატონო იორამ! – მდივანმა ქალმა კაბინეტის კარი გაუღო და შიგ შეჰყვა.

– ხომ არ დაგეხმაროთ, ბატონო იორამ!

– აი, ეს წიგნები შემიკარით, ამათ წავიღებ, პირადია.

– კი ბატონო, ახლავე.

ნახევარი საათიც არ დასჭირვებია კაბინეტის დაცლას. რა ჰქონდა წამოსაღები, მხოლოდ რამდენიმე წიგნი და რალაც უმნიშვნელო სუვენირები. კაბინეტში ჯერ ერთი მოადგილე შემოვიდა, მერე – მეორე, მერე განყოფილებათა გამგეები, მათ სახეებსა და ფარისევლურ კილოს ერთმანეთს ვერ უგუებდა იორამი, აშკარად გრძნობდა ზოგი მათგანის სიყალბეს.

– როგორ გვეტკინა გული, ბატონო იორამ, ჯერ რა დროს თქვენი პენსიაზე გასვლა იყო, გემუშავათ კიდევ, ასე ადვილად ვერ დაგემშვიდობებით, გაცილება უნდა მოგიწყოთ.

– ალბათ, მემუარების წერას დაიწყებთ, ხომ?

– ახლა მაინც მოიცლით სადოქტორო დისერტაციისათვის, დიდი ჩანაფიქრი გექნებათ, ცხადია.

იორამი ყველას ღიმილით უკრავდა თავს. მადლობას უხდოდა კეთილი სურვილებისათვის, მშვიდი, თბილი ხმით ემშვიდობებოდა ყოფილ თანამშრომლებს.

მძლოლმა ჩვეულებისამებრ გაუღო მანქანის კარი, იორამი როგორც კი ჩაჯდა, მძლოლმა უმაღვე აამუშავა მანქანა, ადგილიდან მონყვიტა და სწრაფად გააქროლა.

– ცოტა ნელა იარე და ცისფერ ბაღს რომ მიუახლოვდები, შეაჩერე, – სთხოვა მძღოლს.

ცისფერ ბალთან მძღოლმა მანქანა შეაჩერა. უნინ აქ მოსასვლელად ვერ იცლიდა იორამი. სტუდენტობის მერე ერთი-ორჯერ თუ იქნებოდა ნამყოფი, ახლა კი... ახლა მოუნდა, დამტკბარიყო თავისუფლებითა და მასაც ჩვეულებრივ, სხვა ადამიანებივით მარტოდმარტო ესეირნა ამ უძველეს და ულამაზეს პარკში, სადაც იშვიათი, იასამანისფერი და ალისფერყვავილებიანი დიდი ხეები ხარობდნენ და უთვალავი ჰორტენზიები ცისფრად ღვინვებდნენ... ალბათ, ამიტომ შეარქვეს ცისფერი ბაღიო, გაიფიქრა და სამხრეთ ბილიკს გაუყვა. ბაღის დასასრულს პატარა, ბუნებრივი ტბა იყო, გულმა სწორედ იქითკენ გაუნია. ტბის გაყოლებით, საცალფეხო ბილიკის გასწვრივ უნინ ტირიფის ხეები ხარობდა, ახლა კი, ამ გზაზე მწვანე ბალახი ხასხასებდა. რამდენიმე ადგილას ძელსკამებიც დაედგათ, იორამმა ერთი მათგანი ამოირჩია და ჩამოჯდა. იჯდა ერთხანს, თვალები მილულა, მოეშვა, მოდუნდა, სახეზე ნიავე ელამუნებოდა. ტბაზე ნელი ქარი დაქროდა და წყალი რალაცნაირ მოგუდულ ხმას გამოსცემდა. ხეთა ფოთლების შარიშურში უცხო მუსიკის ხმაც ჩაესმა იორამს, საიდან ისმოდა ის, ბაღის შუაგულიდან? ტბიდან? მერე რალაცნაირი სიმსუბუქის გრძნობა დაეუფლა, თვალები გაახილა და შეშინებულმა სწრაფადვე დახუჭა. ეს რაა? ნუთუ ჰალუცინაციები დაენყო, ეჩვენება თუ სინამდვილეა ყოველივე? იქნებ მირაყია? ხელ-ფეხი მოსინჯა, ნამდვილად მისი იყო, სახეზე იჩქმიტა, ეტკინა, თვალები დახუჭა, გაახილა: ბაღი უკვალოდ გამქრალიყო, არც ტბა მოჩანდა სადმე.

იორამი საუცხოოდ მორთულ პოლში, ძვირფას სავარძელში იჯდა, პოლში გამორჩევით ლამაზი ადამიანები მიმოდდიოდნენ, ზოგიც ტელეგადაცემას უცქეროდა – კედელში ჩატანებული ტელევიზორის ეკრანი ციმციმებდა, მერე საინფორმაციო ცნობა გადმოსცეს. იორამმა ყურები დაქვეითა: „დღეს, 20 ივლისს, სრულიად საქართველოს მეფე გიორგიმ უცხოპლანეტელთა პატივსაცემად გამართა დარბაზობა. 2150 ნელი ისტორიაში შევა, როგორც...“

– რაო? – იორამმა თავზე იტაცა ხელი, სული შეეკრა. თავში სისხლის მოწოლა იგრძნო, ცივმა ოფლმა დაასხა, არა, არ ეჩვენებოდა, ეს სინამდვილე იყო, საკუთარი თვალით ხედავდა ყოველივეს და ეს მოდა...

– მე სასტუმროს კიბორგი ვარ, ველი თქვენს ბრძანებას, ინსტრუქციას შეგიძლიათ გაეცნოთ ამ კასეტაზე.

რობოტმა კასეტა შეაჩერა ხელში და იქვე გაჩერდა. მშვენიერი რობოტი იყო, თავად რომ არ ეთქვა, ადამიანისაგან ვერც გაარჩევდი, ძალიან ლამაზი და ელეგანტური ქალისათვის დაემსგავსებინათ მექანიკოსებს.

იორამმა კასეტა ჩართო.

– თქვენ იმყოფებით სასტუმრო „აიეტში“, აქ ტარდება სიმპოზიუმი, სადაც მოწვეულია პლანეტის ყველაზე ცნობილი მეცნიერები – ფიზიკოსები და ბიოლოგები, კიბერნეტიკოსები, ეკოლოგები, აგრეთვე სტუმრები წარსულიდან, დამატებითი ცნობებისათვის შეგიძლიათ მიმართოთ კიბორგს.

– მე, მე... გამარკვეით, რა არის ეს, რეალობა თუ წარმოსახვა, მე ავად ვარ?

კიბორგი გვერდით მიუჯდა, გაულიმა და ოდნავ მონოტონურად აღაპარაკდა:

– თქვენ სრულიად ჯანმრთელი ხართ, ბატონო იორამ, თქვენ იმყოფებით ჩვენს საუკუნეში, ახლა ახალი წელთაღრიცხვის ოცდამეორე საუკუნეა, თქვენ დროის გვირაბში მოხვდით, უფრო სწორად, ჩვენ წარსულიდან გამოგახმეთ!

– ვერაფერი გავიგე, ფანტასტიკა კი მიტაცებდა, მაგრამ...

– მაგრამ არ გჯეროდათ, ხომ მართალია?

კიბორგი ქალივით მიმზიდველად ილიმებოდა, ლანვებიც კი ისე ვარდისფრად შეფაკვლოდა, რომ... იორამს არ სჯეროდა, რომ ეს კიბორგი უსულო რობოტი იყო, მართლა დასანანი იყო – ასეთი მიმზიდველი არსება და რობოტი...

რობოტმა ჩაიცინა.

– თქვენს საუკუნეში, ბატონო იორამ, ქალების გულისათვის პრეზიდენტებიც ისულებდნენ თავს...

– მე მართლა მომავალში მოვხვდი? ეს როგორ, ღმერთო...

– დიას, ჩვენს ერაში აღარავის უკვირს, რომ მატერიალურ სხეულებს შეუძლიათ გადაადგილება მომავლიდან წარსულში და პირიქით!

– კარგით, ვთქვათ, დავიჯერე ეს ყველაფერი, მაგრამ რატომ მომინვიეთ მე, მაინცდამაინც მე, ეს მოხსნილი კაცი თქვენს დიდებულ საუკუნეში?

– მაგაზე პასუხის გაცემის უფლება მე არ მაქვს, ჩვენს საუკუნეში თქვენ რამდენიმე დღეს დაპყოფთ და თავადვე გამოიტანთ დასკვნას. იქამდე კი, ნება მიბოძეთ, სასაღილომდე მიგაცილოთ, სადაც უკვე კარგახანია გელოდებიან.

წინ კიბორგი მიუძღოდა, საუცხოო სასახლე იყო, იისა და ვარდის სურნელით გაუღენთილი ჰაერი ღრმად ჩაისუნთქა და უცებ მის წინ დიდი, ფართო კარები გაიღო: იორამი მეფური გულუხვობით გაშლილ სუფრასთან მიიწვიეს.

სუფრასთან მსხდომთ დააკვირდა: ქალებს გრძელი, ფართოდ გულამოღებული საღამოს კაბები ემოსათ, კაცებს ღია ნაცრისფერი კოსტიუმები.

„ჩაცმულობაში კლასიკურ სტილს იცავენ, როგორც ჩანს, ესენი ნამდვილი ადამიანები არიან. ღმერთო, რა უცნაურია, ნეტავი ვინ არიან, რას ნიშნავს ყოველივე ეს?“

– ქალბატონებო და ბატონებო, წარმოგიდგენთ სტუმარს მეოცე საუკუნიდან, იგი მონანილეობას მიიღებს ჩვენს სიმპოზიუმში, საინტერესო პიროვნებაა, ყოფილი მინისტრი, წიგნების ავტორი, ჩვენი სიმპოზიუმისათვის შერჩეულია წარსულის შესწავლისა და გაანალიზების მიზნით.

კიბორგის ეს განცხადება ყურადღებით მოისმინეს, თავაზიანად გაუღიმეს და მისალმების ნიშნად თავი დაუხარეს. კიბორგმა მაგიდასთან სკამი მიუჩოჩა. იორამი დაჯდა. მეორე კიბორგი მიუახლოვდა და ლანგარი მიაწოდა. შემწვარი კომში და ქათმის ნაჭერი გადმოიღო და სუფრის წევრებს შეფარვით გადახედა. კი, ნამდვილად ჭამდნენ, როგორც ჩანს ნამდვილად სულიერები არიანო, დაასკვნა იორამმა და ქათმის ხორცს თვითონაც გაჰკრა კბილი. ეგემრიელა, შინაური ქათმის ხორცის გემო იგრძნო. სუფრაზე ამათავ ჩვენსავით გაუთავებელი სადღეგრძელოები თუ იციან, აი, მაშინ იქნება სერიი, – უნებლიეთ გაუკრთა გონებაში ეს ფიქრი, როცა კიბორგმა ღვინო დაუსხა.

– მაგის შიში ნუ გექნებათ, აქ ზედმეტი არაფერი შეგანუხებთ, ჩვენთან ყველაფერი მოწესრიგებულია, გრძელ-გრძელი სიტყვები წარსულს ჩაბარდა. ლაპარაკი თითქმის არც გვჭირდება, ჩვენ აზრებს ვკითხულობთ, – გამოიცნო იორამის ფიქრი გვერდით მჯდომმა ქალმა და კიბორგი იხმო:

– ბატონ იორამს პერსონალური პულტი მოუტანეთ.

კიბორგმა იორამს მცირე ზომის კლავიატურიანი კოლოფი მოუტანა.

– მაგ კოლოფის მეშვეობით თქვენ ნებისმიერი ადგილიდან შეგიძლიათ ყველაფრის მართვა – განათების ჩართვა, ყავის გაცხელება, რადიო და ტელეაპარატურის ჩართვა, კარებისა და ფანჯრების დაკეტვა, როცა ისურვებთ, გამზადებულ საუზმეს, სადილს მოგართმევენ, შეგიძლიათ დააპროგრამოთ, რომ დილით აბაზანა მზად იყოს, მანამ აბაზანაში დაჰყოფთ, ყავაც მოდულებული დაგხვდებათ, შემდგომ რობოტი ოფიციალტი მაგიდასთან მოგემსახურებათ, გასურთ, მუსიკას დაუკვეთთ, გასურთ, სასურველი პოეტის ლექსს მოისმენთ, გნებავთ, ახალ გაზეთს წაგიკითხავენ, ან სულაც სასურველ ქვეყანაში გაგამგზავრებენ... ერთი სიტყვით, მთავარია ისურვოთ და ამ კოლოფის მართვის ნეეს სწორად დაეუფლოთ, – გააცნო პერსონალური პულტის ინსტრუქცია და განაგრძო: – ცნობისათვის, რომ იცოდეთ, მთელი ჩვენი პლანეტა, მისი ყოველი უბანი დღესდღეობით ელექტრონული ცენტრალური ნერვული სისტემითაა აღჭურვილი და თითოეულ მოქალაქეს შეუძლია სხვადასხვა საყოფაცხოვრებო თუ სამეურნეო მონყობილობის მართვა ისე, რომ ზედმეტად თავი არ აიტკივოს.

– მაღლობელი ვარ, მშვენიერო ქალბატონო, ამ ჯადოსნური საჩუქრისათვის – იორამი მონინებით ეამბორა ქალს ხელზე. ქალს გაელიმა:

– წარსულის რომანტიკის გახსენება ყოველთვის სასიამოვნოა, მერე რაა, რომ ტექნიკურად ჩამორჩენილები იყავით...

აქ საუბარშიც სხვა ქალბატონიც ჩაერთო:

– სამაგიეროდ, ყველაფერი ნატურალური და ბუნებრივი იყო, გაბრაზებაც და დაყვავებაც, მართალია, აფექტური, ემოციური იყო ადამიანი, რადგან იმპულსები სჭარბობდა, მაგრამ უფრო საინტერესო იყო ურთიერთობა.

ამ ქალის ხმაში იორამმა წარსულის ნოსტალგია იგრძნო და ჰკითხა: – მომიტევეთ, ქალბატონო, ვისთან მაქვს პატივი საუბრისა? – მე კიბორგების ჯგუფის ხელმძღვანელი ვარ, ბიოელექტრიკოსი, ამ სიმპოზიუმზე ჩემი მოხსენების თემაა, თუ როგორ შეიცვალა ელექტრონული მონყობილობების გადანერგვის შედეგად ადამიანის ფიზიკური და გონებრივი უნარი.

– ღმერთო ჩემო, უფალო შემინყალე – პირჯვარი გადაინერა იორამმა და ქალს ჰკითხა:

– ღმერთის არ გეშინიათ, ადამიანი შეცვალეთ, მერე სადამდე მიგიყვანთ ეს?

– დიალექტიკურ პროცესს ვერაფერი შეცვლის, მეცნიერებას წინ რა დაუდგება, გენური ინჟინერია ვითარდება, მისი განვითარებაც, ალბათ, შემოქმედის სურვილია, ბუნების დიდი კანონია.

„თხუთმეტ წუთში გელოდებით საკონფერენციო დარბაზში“ – აინთო სატელევიზიო ეკრანზე წარწერა და დიქტორის სასიამოვნო ხმამაც სწორედ ეს აუწყა ტრაპეზის მონაწილეთ. სუფრიდან რიგრიგობით წამოდგნენ ისინი – ქალები და კაცები იორამს წარუდგნენ:

ლეღი ჯაფარიძე – კიბერნეტიკოსი, მშვენიერი, თითქმის მზეთუნახავი ქალი იყო; არც მეორე, ფიზიკოსი ნუცა კახაბერიძე იყო ნაკლები; მესამე ქალი – თამარ დადიანი თამარ მეფეს წააგავდა, ბიოლოგი ვარო, განაცხადა; მეოთხე, ნინელი ბერიძე, წელან რომ გაეცნო იორამს, კიბორგების ჯგუფის ხელმძღვანელი, ძალზე სანდომიანი მიმზიდველი ქალბატონი, საოცარი ელემენტურობითა და თავაზიანობით გამოირჩეოდა, მეხუთე ქალბატონი კი... ღმერთო! იორამი გაოგნდა, სულ მის ყოფილ საცოლეს, თინათინ ჩარკვიანს ჩამოჰგავდა, მასავით ეშხიანი, თვალეგაბრწყინებული და ტანწერწეა იყო, ისიც გენური ინჟინერის სფეროში მუშაობდა. იორამი გაოგნებული მისჩერებოდა ამ ლამაზ ქალებს და ვერ გაეგო, რატომ მოუწყო განგება ამ მკაცრი გამოცდა, რას უმზადებდა ბედისწერა.

– ლამაზი ქალების გარემოცვაში არც ჩვენ ვგრძნობთ თავს არხეინად, – ხმამალლა გაიცინა ერთ-ერთმა მამაკაცმა და იორამს მხარზე შეეხო, ეტყობოდა, ტიპური სანგვინიკი იყო. – ესენი – სელიმ ნიჟარაძე, ოთარ ნაფეტვარიძე, მალხაზ გეგენავა, შოთა იშხნელიძე და მე, თქვენი მონა-მორჩილი ლაშა ჯორთმენაძე გენური ინჟინერიის წამყვანი სპეციალისტები ვართ, – დაიწყო თავისი ჯგუფის წევრების დახასიათება, – ჩვენი აღმოჩენის წყალობით მთლიანად შეიცვალა ადამიანის გენეტიკური კოდი, მაგალითად, მშობლებს უკვე კარგახანია შეუძლიათ აირჩიონ თავიანთი მომავალი შვილების სქესი და სხვა თვისებები, გამოვიყვანეთ ცხოველთა და მცენარეთა ახალი სახეობები, ჩვენ უკვე სიცოცხლესაც ისე ვმართავთ, როგორც გვსურს... ადამიანი ჩვენთან მუდმივად ახალგაზრდაა, არ ხუცდება.

ამ საუბარ-საუბარში დატოვეს სასადილო და პოლში ჩამოვიდნენ, საკონფერენციო დარბაზში შესვლისას კიბორგმა იორამი გააჩერა და გვერდით კარზე მიუთითა:

– თქვენ, კონფერენციის დაწყებამდე იქ მიბრძანდით!

„გასახსენებელი დარბაზი – ნაბიჯი წარსულში“ – ენერა ფირნიშუხე. იორამი ოთახში შევიდა და სავარძელში ჩაჯდა. მიიხედ-მოიხედა, მის გარდა არავინ იყო. კედელში დიდი ეკრანი იყო ჩამონტაჟებული, პერსონალური პულტი ამოიღო, ღილაკს თითი დააჭირა და ეკრანიც განათდა.

* * *

შორიდან ჩანდა, როგორ იწვოდა ქალაქი. მას ერთიანად ეკიდა ცეცხლი, გეგონებოდა, საცაა ალი ზეცას მიუწვდებო. გამორბოდნენ შეშფოთებული ადამიანები, მდინარის გადმოლახვას ცდილობდნენ, ვინ ნავით, ვინ ცურვით; ლტოლვილებს უკან თოფმომარჯვებული კაცები მოსდევდნენ.

მოხუცებულ ქალს სიარული უჭირდა, სულ უკან რჩებოდა. მერე თავში წაიშინა ხელი და ანივლდა – ღმერთო, ამ დღეს რატომ მომასწარი, რატომ არ მომკალი, სანამ ამას მოვესწრებოდიო.

ყმანვილი, ასე ჩვიდმეტ-თვრამეტიოდე წლის ბიჭი მიუახლოვდა მოხუცებულს და ნუგეში სცა:

– ნუ გეშინია, ბებია, გამაგრდი, აგერ არ ვართ ჩვენ?

– რავა ნუ მეშინია, შვილო, ღმერთმა იცის, ჩემი შვილები და შვილიშვილები სად არიან ახლა, თავი რად მინდა ცოცხალი იმათ დამკარგავს, შენ ვისი ხარ, შვილო. ღმერთმა დაგწეროს ჯვარი, დედა!

ბიჭმა მოხუცი ზურგზე შეისვა და მდინარესთან მიიყვანა, მერე ნავში ჩასვა და დიდი წვალეებით გადალახა მდინარე. მიუახლოვდნენ დასახლებულ ადგილს, გზაზე ტანკიც გამოჩნდა და იძულებული გახდნენ, ტყისათვის შეეფარებინათ თავი. ამასობაში მათ სხვა ლტოლვილებიც შემოუერთდნენ. დაღლილებმა ჩაიმიუხლეს. ბიჭი ხის ძირას ჩამოჯდა, მოხუცს თავისი ქურთუკი დაუფინა მინაზე და ფრთხილად დასვა.

– ბებო, შენი ჭირიმე, გამაგრდი, ბებო!

გამოღამებული თვალებიდან მოხუცს ლაპალუპით სცვიოდა ცრემლები. შეღამებისას თავს შეიარაღებული კაცები წამოადგნენ, მო-

ხუცს ფეხი ნაჰკრეს, მოიტა ოქროულობა და ფულიო, აძალებდნენ. რას მისცემდა, რაც არ ჰქონდა. არ დაუჯერეს, თავში წიხლი ჩასცხეს და იქვე მიაგდეს გონდაკარგული, ბიჭს ხელი წაატანეს, შენი დედაო, შეაგინეს და ცემა დაუნყეს.

სატივრთო მანქანა გაჩერდა, იქიდან ორი თოფიანი კაცი გადმოვიდა, ერთ-ერთი, წვერებიანი, ლტოლვილებს მიუახლოვდა, ბიჭს გაუსწორდა და ჰკითხა:

– რამდენი წლისა ხარ, ბიჭო შენ?

– ჩვიდმეტის – ამაყად მიუგო ბიჭმა.

– ჩვიდმეტი კონდახი შენ! – გამოუტანა განაჩენი ბიჭს და კონდახით ცემა დაუნყო. ვილაც ახალგაზრდა, წარმოსადეგი ქალი გამოეყო ლტოლვილებს და შეიარაღებულ კაცს ფეხებში ჩაუვარდა:

– ოღონდ ბიჭი არ მოკლა და რაც გამაჩნია, თქვენი იყოს, ოქროულობა, ფული, ყველაფერი, რაც მამადია, ოღონდ ბიჭი არ მოკლათ, თქვენი ჭირიმე!

– რაა შენი ეს ბიჭი?

არაქათგამოცლილმა ბიჭმა ძლივსძლივობით ასწია თავი და ქალს დააკვირდა. ნამიანი თვალები უბრწყინავდა, სხეული უცახცახებდა, სულს ძლივს ითქვამდა. ქალი ვერ იცნო თავისიანად, ნეტავ ვინ იყო, თავს რომ სწირავდა უცნობისათვის? გაუხარდა, კიდევ კარგი, მთლად არ გადაუჯიშებულვართ, მთლად არ დაკარგულა ჩვენში ადამიანურობის მარცვალიო...

– შვილია ჩემი, მაჩუქე მისი სიცოცხლე, ნუ გამწირავ...

– შვილი? ოხ, შე ძუკნავ, შენა! – ზიზლით ამოისროლა წვერიანმა და ჩახმახს თითი გამოჰკრა. ბიჭი მიწაზე დაეცა და ერთი საწყლად ამოიხავლა, ჯერ კიდევ არ იყო მკვდარი, თვალები გაურბოდა. ისუნთქეო, გიჟივით ჩასძახოდა ქალი. ერთხელ ამოისუნთქა ბიჭმა და სახე მოეღრცა. ქალი მიხვდა, ეს ამოსუნთქვა უკანასკნელი იყო, ვაი, შენს დედას, შვილოო, დაიგმინა, თოფიანს მივარდა, მუშტები დაუშინა. გამწარებული ცდილობდა სახე და თვალები ამოეკორტნა მისთვის.

ამასობაში დაღამდა. გვიანი შემოდგომა იდგა და უკვე აცივებულ იყო. წვერიანმა და მეორე, სასტიკი შესახედაობის კაცმა ცეცხლი დაანთეს და ქალი კოცონთან მიათრიეს, მუგუზალი სახესთან მიუტანეს და ჭიხვინს მოჰყვნენ: – ხმას თუ არ ჩაინყვეტ, ნახავ, რაც მოგივა!

ქალი გათოკეს და კოცონთან მიაგდეს.

– არ მოჰკლავ, – უთხრა ერთმა მეორეს, – ლამაზი ქალია, ალბათ, პატრონიც კარგი ეყოლება, გამოსასყიდში ბევრ ფულს მოგვცემენ, იქამდე კი ჩვენ გაგვართოს, აბა!

მთვარე დედოფალივით გაიზადრა ცაზე, არემარეს მისი შუქი მოეფინა. კოცონთან ჩაყვინთეს თოფიანმა კაცებმა, ლტოლვილთა ჯგუფიდან დროდადრო ბავშვების მისუსტებული ტირილი ისმოდა, ხელფეხგაკრული ქალი კოცონთან ეგდო და სიმნრისგან კვნესოდა. სადღაც, შორს ძალი გაავეებული ყფდა.

იორამს გააჟრჟოლა, ცოლის დეიდაშვილის ნაამბობი ისე ცხადად წარმოისახა ეკრანზე, თვალს არ უჯეროდა. ეჰ, მანაც სხვებივით ვერ გაითავისა აფხაზეთის ტრაგედია, ერთხელ მაინც მისულიყო პანსიონატში და ენახა ეს გატანჯული ქალი, ჯოჯოხეთს რომ დააღწია თავი, ნუგეში ეცა, იმედი გაელვიძებინა. მუდამ საქმეს, უდროობას იმიზეზებდა, აღარ მთავრდებოდა გადაბმული სხდომები და თათბირები, ღონისძიებები, შეკრებები, ყრილობები. არ ეცალათ იორამსა და მის კოლეგებს, ლტოლვილები კი საოცარი მოთმინებით ელოდნენ, როდის მოიცილდნენ ძლიერნი ამა ქვეყნისანი მათთვის... კოლხური გენის გამძლეობა ირეკლებოდა ამ მოთმინებაში.

* * *

ეკრანზე გამოსახულება ამოძრავდა, როგორც კი პულტი კვლავ ჩართო.

წრიალებდნენ სიცხისაგან გულშენწუხებული ავადმყოფები: ექთანმა ფანჯარა გამოაღო და პალატაში სუფთა ჰაერის ნაკადი შემოიჭრა.

– არ ამოვისუნთქე? შენ აგაშენა ღმერთმა, – თქვა ერთმა.

– ჩვენ ყველაფერს ავიტანთ, ოღონდ ამას ეშველებოდეს რამე, – ხმა უთრთის მეორეს.

– ნუცა, გენაცვალე, აბა რა აზრი აქვს შიმშილობას, ისედაც სუსტადა ხარ, დაგვიჯერე, ნუ გეშინია, მართლა ჩალით კი არაა ქვეყანა დახურული! ხომ გითხრეს, ხომ დაგპირდნენ... – ექთანი ლოგინზე ჩამოუჯდა ფეხმოკვეთილ ქალიშვილს და ხელები მოხვია.

– ასეთ სიცოცხლეს სიკვდილი მირჩევნია, როგორმე ავდგები და აქედან გადავხტები, თუ ესეც ვერ მოვახერხებ, შიმშილობა ხომ მაინც შემიძლია, არ შევწყვიტავ, სანამ არ დამარწმუნებენ, რომ საზღვარგარეთ გამგზავნიან სამკურნალოდ, – ხმა უკანკალებს გოგონას.

– მამაშენს ორი მინისტრი შეჰპირდა, აუცილებლად გავამგზავნებო, მათი სიტყვისაც აღარ გჯერა?

– უკვე მამაჩემისაც აღარ მჯერა, მგონია დასამშვიდებლად მეუბნება ამ სიტყვებს, ამდენი თვეა, ვნეკარ და დაპირება დაპირებად რჩება, მეტი აღარ შემიძლია, ასეთ სიცოცხლეს რა ფასი აქვს?

გოგონას ნერვებმა უმტყუნა და გულამოსკვნით აქვითინდა.

შავთავსაფრიანი ქალი სანოლთან ჩაიკეცა, შვილს ხელი მოხვია, ხმა უკანკალებდა.

– თუ არ მოგხედავენ, შვილო, მთავრობის სახლის წინ გაგიყვან და დაგსვამ, მე კი ბენზინს გადავისხამ და თავს დავინვაჟ, მერე, ალბათ, შვილსაც მიმიხედავენ.

– ჩვენ ყველაფერს ავიტანთ, მაგრამ ამ გაუბედურებული შვილის მოვლას ვერ ვახერხებთ, მას ხომ სხვანაირი მოვლა სჭირდება, ჩვენ კი ლუკმაპურის შოვნაც გვიჭირს, რა ვქნა, რა წყალში ჩავევარდე. – შესჩივლა ავადმყოფის მამამ პალატაში შემოსულ უურნალისტს, რომელიც ავადმყოფის საჩივრის შესასწავლად მოსულიყო საავადმყოფოში.

უურნალისტმა ბლოკნოტი მოიმარჯვა და ავადმყოფის მამის ნაამბობის ჩანერა დაიწყო, გამწარებული მამა ბორძიკ-ბორძიკ, სვენებ-სვენებით ჰყვებოდა:

– რკინიგზის დეპარტამენტში მივედი, ვიფიქრე, ჩემს შვილს ეს უბედურება რკინიგზაზე მოუვიდა და იქნებ რამენაირად დამეხმარონ-მეთქი. უფროსმა ტყვიასავით მომახალა, ჩემთან რას მოდიხარ, ვაგონი მე ავაფეთქეო? არადა, სანამ ჩემი შვილი არ აფეთქდა, ყურადღებას არავინ აქცევდა რკინიგზას. ახლა კი, სადგურს პოლიციელები იცავენ. ჩემს შვილს სახლში, თავისი უყურადღებობით არაფერი მოსვლია, არ უნდა გაგვიწიოს სახელმწიფომ დახმარება?

– თბილისში უმაღლესი დონის გერმანულ პროთეზებს ამზადებენ, იქნებ იქ მოგესინჯათ? – აზრი გამოთქვა უურნალისტმა.

– არა, თქვენი ჭირიმე, მაგი არ გამაგონოთ! – აღშფოთდა ავადმყოფის დედა, – ჩემი საბრალო შვილი... აქაურებს ვენდობი? ერთი შვილი, ვაჟიშვილი, ზუგდიდში, ამ გაუგებარ ბრძოლაში დავკარგე, იქ მომიკლეს, ახლა ჩვენი უნიათობის გამო ესეც ხომ არ უნდა დავკარგო? არა! თუ არ დამეხმარებიან, გამოვალ და საქვეყნოდ თავს დავინვაჟ!

„თუ არ მომხედავენ, ფეხმოკვეთილ შვილს მთავრობის სახლის წინ დავსვამ, მე კი ბენზინს გადავისხამ და თავს დავინვაე!“

ზარივით დაიგუგუნა ამ სიტყვებმა. სიმწრისაგან ტუჩები მოიკვნიტა იორამმა, გაახსენდა, იმ უბედურ დედას შეჰპირდა უახლოეს მომავალში დაგეხმარებო, მაგრამ... ოთხი თვეც გავიდა იმ დაპირებიდან და აი, ამასობაში სამსახურიდანაც გაათავისუფლეს, დროზე რომ დახმარებოდა, იქნებ...

ოფლში გაიწურა... ეს სიმწრის ოფლი იყო, თითქოს შეამცვივნა კიდეც, რალაცნაირი შიში დაეუფლა, ნუთუ ეს განკითხვაა, ნუთუ... თვალები დახუჭა, ახლა ეშინოდა ამ საოცარი პულტის, მუხლებზე რომ ედო და თითქოს კბენდა, აღარ სურდა პულტი ჩაერთო, ეშინოდა, საკუთარი გულგრილობის კიდეც ერთი სურათი არ გადაშლოდა თვალწინ. ღმერთო, მიშველე, უფალო, შემინყალე, – შიშმორეული ჩურჩულებდა გულში და თვალის გახელა ეშინოდა. იჯდა დიდხანს, გახევებული, თითქმის უგრძობელი, მერე, როგორც იქნა, თავს ძალა დაატანა, თვალი გაახილა და გაოცებულმა მიმოიხედა ირგვლივ – ღმერთო, დიდებულო, ისევე პარკში იყო! მშობლიური პარკის სკამლოგინზე იჯდა. რა საშინელი სიზმარი ვნახე, რა არ დაესიზმრება კაცსო, გაიფიქრა და ის იყო, უნდა წამომდგარიყო, რომ მუხლები მოეკვეთა, ელდა ეცა – მუხლებზე სწორედ ის პულტი ედო, კიბორგებმა რომ მისცეს „იქ“. აღარ იცოდა, რა ეფიქრა, საგონებელში ჩავარდა, ცივმა ჟრუანტელმა დაურბინა მთელ ტანში, ისეთი შეგრძნება გაუჩნდა, თითქოს საცაა გული ამოუვარდებოდა.

ლაპარაკი მოესმა, პარკში ახალგაზრდები შემოვიდნენ. იმათ ერთი მათგანი გამოეყო და იორამს მიუახლოვდა. ეტყობოდა, იცნო იორამი.

– ბატონო იორამ, აქ საიდან გაჩნდით, ორი დღეა ძებნაა გამოცხადებული თქვენზე! სახეზე ფერი აღარ გადევთ, გული ხომ არ განუხებთ, ახლავე გამოვუძახებთ სასწრაფოს.

ვილაცა სასწრაფოს დასაძახებლად გავარდა.

„რომ ვთქვა, მომავალში ვიმოგზაურე-მეთქი, იტყვიან, სავარძლის დაკარგვა ვერ აიტანა და ჭკუაზე შეირყაო“.

გადანწყვიტა, არაფერი ეთქვა, პულტი თითქოს გველივით კბენდა, ხელში აიღო, უცებ ვერც მოიფიქრა, გადაეგდო თუ ეჩუქებინა ვინმესათვის.

– რა ორიგინალურია, ამერიკულია თუ იაპონური? – დაინტერესდა ახალგაზრდა.

– თქვენი იყოს, მშვიდობაში მოგეხმაროთ! – პულტი ახალგაზრდას გადასცა და თავი სკამლოგინზე ჩამოდო.

დაფიონი იდგა, საცაა მზე ჩაესვენებოდა ჰორიზონტს მიღმა, რალაცნაირი სიჩუმე ნელ-ნელა მოიპარებოდა ფეხაკრეფით, ფრთხილად, ისე როგორც ადამიანს სჩვევია და ბავშვობის იმ დაუვინყარ ჰანგს გამოსცემდა, ათასში ერთხელ რომ მოგაგონებდა კაცს. იორამს სუნთქვა შეეკრა. თვალეები დახუჭა, რალაცამ გაიზუზუნა... ახლოვდებოდა, რალაც მნიშვნელოვანი ახლოვდებოდა.

– ჩქარა, საავადმყოფოში ნავიყვანოთ, აბა მომეშველეთ! – იყვირა ბიჭმა და ამხანაგებს თავისკენ მოუხმო.

იორამმა თვალი გაახილა, მზე ჯერ კიდევ არ ჩასულიყო, ნითლად შეფერილი ღრუბელი დიდ სავარძელს დაემსგავსა, სწორედ იმ ხავერდგადაკრულ, უცხო, ლამაზ სავარძელს, იორამს რომ ედგა კაბინეტში, მერე დაპატარავდა და შავ ღრუბლებში ჩაიკარგა. უცებ ჩამობნელდა, მშვიდი, ნეტარი სიჩუმე მოდიოდა და იორამი თანდათან ისე იძირებოდა მასში, როგორც ოდესღაც თავის ყოფილ ფუმფულა სავარძელში.

მეწყარი

ედიშერი გაშრა, თითქოს ენა ჩაუვარდა, ნერწყვი გაჭირვებით გადაყლაპა, სული ძლივს მოითქვა, ცხადად იგრძნო, გული როგორ შეეკუმშა, მკერდში ტკივილმა დაუარა, მერე რალაცნაირმა ძრწოლამ აიტანა, ფოთოლივით აცახცახდა, შეამცივნა კიდევ. უგრძობდა გულცივ სამყაროს როცა პირისპირ შეეჯახა, მიხვდა, უკვე სიბერეში შეედგა ფეხი; არა, არ მოელოდა მოვლენების ასე განვითარებას, რას იფიქრებდა, ეს გუშინდელი ღლაპი თავზე თუ წამოასკუპდებოდა. ვინ ოხერი იტყოდა რამეს, ცოტა რომ ეცლიათ, პენსიაზე გავიდოდა და მერე, ვინც უნდოდათ, ის დაენიშნათ დირექტორად. ვითომ ხელქვეითად მუშაობა არ ეკადრებოდა ამ ყმანვილს? სახელგანთქმული გვარის წარმომადგენელია, განათლება ამერიკაში მიიღო, ქარხანას შენზე უკეთ უხელმძღვანელებს, თანამედროვე ბიზნესის მცოდნეაო

— უსაბუთებდნენ. რალას იზამდა, არგუმენტები რომც არ მოეშველე-ბინათ, მაინც უძლური იყო, სად ჰქონდა დავის თავი, წლებს თავისი გაეტანა, მოტეხილიყო. ბოლო დროს კი უკვე გულსაც უჩიოდა. არ იქნა და არა, ვერ შეეგუა ახალგაზრდა უფროსს, მის მუდამ უკმაყოფილო სახეს, მის ამპარტავნულ მზერას. თვალეები აცაბაცად გაურბოდა, პირდაპირ არასოდეს შემოგხედავდათ, მუდამ თავჩალუნული, ცივი ხმით იძლეოდა დავალებას და მერე სადღაც გარბოდა, ერთხანს ყურადღება არ მიუქცევია ამისათვის, მერე კი უცებ გაუნათდა გონება და მიხვდა, რატომაც ვერ ამყარებდა უფროსთან სასურველ კონტაქტს. თავჩალუნული და ცივად მოლაპარაკე უფროსი გაუცხოების, უნდობლობის გრძნობას აღძრავდა. გუმანით გრძნობდა ედიშერი, რომ ამას დიდხანს ველარ მოითმენდა. იმ დღეს, კაბინეტის კარი რომ შეაღო და მაგიდაზე ფეხებზემონყობილი დაინახა, გაკვირვებისაგან ყბა მოექცა, იმან კიდევ, ვითომ არაფერიო, მობილურით ლაპარაკი განაგრძო, იდგა ედიშერი და ელოდა როდის დაამთავრებდა დირექტორი. როგორც იქნა, მოხედა ედიშერს. გაუგებარი მზერა იყო, ედიშერს კიდევ უფრო მოეწურა გული. უფროსმა მოხსენებითი ბარათი გადახაზა, დამცინავად ჩაიცინა და ცივად ჩაილაპარაკა: იქნებ, ედიშერ ბატონო, ტესტებზე გვეარჯიშათ, ინტელექტს გაიმდიდრებდითო. ედიშერს ფერი ეცვალა, ეგონა გული გაუსკდებოდა, გახევდა, ენა ჩაუვარდა. გაფითრებულმა ძლივძლივობით გამოიხურა კაბინეტის კარები. ერთიანად სულშეძრულს ახლაც ყურში ჩაესმოდა დირექტორის სიტყვები, როგორ უთხრა? კარგი იქნებოდა, ტესტებზე გვეარჯიშათ, ინტელექტს გაიმდიდრებდითო. არა, ეს უკვე მეტისმეტი იყო, ამის მოთმენა აღარ შეეძლო.

ფანჯარასთან მივიდა, ოდნავ შეაღო, ღრმად ამოისუნთქა და ეზოში გადაიხედა. ქარი შემოდგომის დამჭკნარ ფოთლებს ჰაერში აფრიალებდა. შორს, შემკრთალი თოლიები წიაქით მიფრინავდნენ, მიფრინავდნენ გუნდად. საავდრო ღრუბლები ზეცაზე მოიგრანა, ეტყობოდა, საცაა მეხი გავარდებოდა. იცქირებოდა ეზოში ედიშერი, მაგრამ თითქოს წყვდიადი ჩამოეფარაო, წინ ვერაფერს ამჩნევდა. თვალეებში სხივი ჩაქრობოდა, სახეზე ნაკვეთიცი კი არ უთრთოდა. იგი ფიქრებში ჩაძირულიყო. ეჰ, ძნელია ამ ქვეყნად ცხოვრება, ყველაფერი კბილით უნდა გაიტანო; ჭკვიანებსა და კეთილშობილებს მუდამ ურთულდებათ საქმე.

ამ გაუსაძლისი დღეების დამთავრებასაც აღარ დაადგა საშველი. არადა, სოფელში იყო წასასვლელი. რა ნაიყვანდა ახლა ამ ყიამეთში სოფელში. აქ, ქალაქში, მართალია, არ იყო ამინდი მთლად წამხდარი, მაგრამ სოფელში რა დახვდებოდა, ღმერთმა იცის. ჯიბის რადიო ამოიღო, ექვსი საათი სრულდებოდა. ცნობების მოსასმენად მოემზადა, რადიო ჩართო. ამინდის პროგნოზს იტყობინებოდნენ, სანუგეშო ვერაფერი იყო, კოკისპირული წვიმები და წყალდიდობაა მოსალოდნელიო. ისედაც გუნებანამხდარ ედიშერს ამის გაგონებაზე შეაჯრუოლა, ეს უნდოდა ახლა? არა, აუცილებლად უნდა წავიდე სოფელში, ქვრივი რძალი და ობოლი ძმისშვილი ელიან, ვინ იცის, იქნებ სურსათი სულ გამოელიათ, ერთ ტომარა პურის ფქვილს მაინც აუტანს, სხვა თუ არაფერი; ეჰ, რაა ეს ცხოვრება, ზოგისთვის დედაა, ზოგისთვის – დედინაცვალი, ზოგს ლუკმა პური ენატრება, ზოგსაც ლამის ცაზე მიუწვდეს კიბე; ხვალ განათდება თუ არა, გზას დაადგება, ამ საქმის გადადება აღარ იქნება, აუცილებლად წავა სოფელში, შაბათამდე ვეღარ დაიცდის. დღეს ორშაბათია, დანერს განცხადებას განთავისუფლების შესახებ და დაუტოვებს საქმეთა მმართველს. დირექტორი გაბრაზდება? ისედაც გაბრაზებული არაა? სულერთია, კარგად იმუშავენს თუ ცუდად, მაინც ერთი არშინით იზომება, მუდამ რაღაც ნაკლს ეძებს, ოღონდ შენიშვნა მისცეს და...

ედიშერი სკამზე ჩამოჯდა და განცხადების წერას შეუდგა.

კარები მდივანმა ქალმა შემოაღო.

– ედიშერ ბატონო, დირექტორი გიხმობთ!

ედიშერი უხმოდ წამოდგა და დირექტორის კაბინეტისაკენ გაემართა. ღმერთს ეხვეწებოდა, გამძლეობა მიეცა, რათა თავი შეეკავებინა. კაბინეტის კარები რომ შეაღო, თვალს არ დაუჯერა, დირექტორი კვლავ იმავე პოზაში დახვდა, როგორც დატოვა – მაგიდაზე ფეხებშემოწყობილი კვლავ მობილურით ლაპარაკობდა. როგორც იქნა დაამთავრა და ედიშერს მოხედა.

– ახალი მოხსენებითი ბარათი გამომზადეთ, პრობლემებზე გაამახვილეთ ყურადღება, ხელშემშლელი ფაქტორები არ გამოგრჩეთ, შეეცადეთ, მოხსენება კომპაქტური იყოს, დამაჯერებელი, ხვალ 12 საათისათვის მჭირდება.

ერთი უცნაური ზნე სჭირდა ედიშერს, თუ ვინმეს სურდა თავისი აზრი მოეხვია ან ყალბი ხმით ლაპარაკობდა, მაშინვე ყურის ტკივი-

ლი შეახსენებდა თავს. ახლაც მტკივნეულად დაენიწკნა მარჯვენა ყური.

– ვერ შევძლებ! – ისეთი მტკიცე ხმით წარმოთქვა ედიშერმა, რომ თავადაც გაუკვირდა.

გაკვირვებისაგან ახლა დირექტორს გაუფართოვდა თვალები.

– რაო, რა მითხარით, მგონი ვერ გავიგონე! – მიუგო მკვახედ.

– არა, ძალიან კარგად გაიგონეთ!

– არ მესმის!

– აღარ მინდა, ბატონო, თქვენთან მუშაობა, განცხადება დავწერე და მივდივარ აქედან საერთოდ!

– ვერ გავიგე!

– რა არის გაუგებარი, ოდესმე თქვენც მიაღწევთ ჩემს ხნობამდე და მერე გაიგებთ, ალბათ!

– როგორ, თქვენ შენიშვნებს არ აძლევდით თანამშრომლებს?!

– შენიშვნებს როგორ არ ვაძლევდი, მაგრამ აბუჩად არასოდეს ამიგდია ვინმე, არ დამიმცირებია!

– ესე იგი, მუშაობის სტილის მინუნებთ?! – უფროსს თვალებში დაცინვა გაუკრთა.

– ჩემს აზრს რა მნიშვნელობა აქვს თქვენთვის, იმედი მაქვს მაგი არ შეგანუხებთ!

– როგორც ჩანს, თქვენ ძალზე შეთვისებული იყავით დირექტორის პოსტს, რამდენ ხანს იყავით დირექტორად, 20 წელი არა? ეს პატარა დრო როდია, რა თქმა უნდა, ხელმძღვანელის ფსიქოლოგია ჩამოგიყალიბდათ; მაშინ, უძრავობის წლებში ხელმძღვანელობა განსაკუთრებულ ნიჭს არ მოითხოვდა, ყველაფერი მზამზარეულად მოგეწონოდებოდათ, რასაც მოითხოვდით, დღეს სულ სხვა ვითარებაა, ახლა ახლებური აზროვნებაა საჭირო, მაშასადამე, მიდიხართ ჩვენგან, არა?

– დიახ, მივდივარ, ეს უკვე მტკიცედ გადავწყვიტე, ქვეყნიერება არც აქედან იწყება და არც აქ მთავრდება, საბედნიეროდ!

– ოო, ფიცხი ყოფილხართ, – უფროსს ბაგეზე ოდნავ შესამჩნევი ირონიული ღიმილი გაუკრთა.

– საკუთარი ღირსების დაცვა სიფიცხე არაა. უღირსებო კაცი არც სამსახურს გამოადგება, არც ქვეყანას, არც ოჯახს და არც საკუთარ თავს.

– ჰოო, ისე სწორი ხართ, ალბათ, ახლა სხვა დროა, კომუნისტურ ნომენკლატურას, რა თქმა უნდა, უჭირს მუშაობა, სხვა გზებია საძიებელი, სხვა მეთოდები...

– კამათის სურვილი არ მაქვს, ჩემს განცხადებას საქმეთა მმართველთან დავტოვებ და ხვალიდან აქ ჩემი ფეხი არ იქნება. ვერ ვიტყვი, გული არ მწყდება-მეთქი, ამ ქარხნის ხელმძღვანელად ოც წელზე მეტი ვიმუშავე!

– კეთილი, რახან ასე გადანყვიტეთ, თქვენი ნებაა, ყოველ შემთხვევაში, მე არ მითქვამს თქვენთვის, განცხადება დანერეთ განთავისუფლების შესახებ-მეთქი.

– სიტყვით არ გითქვამთ, მაგრამ...

უფროსს თითქოს ნირი წაუხდა, თითქოს დაიბნა კიდევ, მაგრამ თავს სწრაფად მოერია.

– კარგით, კარგით, მტრებივით რატომ უნდა დავშორდეთ ერთმანეთს, კეთილი, გაგათავისუფლებთ, თქვენ დაიმსახურეთ დასვენება და პენსია. მერე შეხვედრასაც მოგიწყობთ, ყველა ვეტერანს მოვიწვევთ, მაღლობას ვეტყვი!

– ნუ შენ უხდებით! მე არაფერს ვითხოვ!

– კარგად ბრძანდებოდეთ, – როგორც იქნა ფეხზე წამოდგა დირექტორი და ედიშერს ხელი გაუწოდა.

ედიშერმა ვერ შესძლო გამონვდილი ხელისათვის ხელის შეგებება, უხმოდ შეტრიალდა და ნიავივით სწრაფად დატოვა უფროსის კაბინეტი. დერეფანში ახალგაზრდა კაცს შეეჩეხა, რომელსაც მობილური ყურთან მიედო და ლაპარაკობდა.

– დირექტორი ადგილზეა? – ჰკითხა მან.

ედიშერმა უხმოდ დაუქნია თავი და კანცელარიაში შევიდა. უცარმა სევდამ შეიპყრო, როცა თანამშრომელი ქალები დაინახა, მათ სახე გაუნათდათ და ერთხმად ფეხზე წამოდგნენ.

ედიშერმა საქმეთა მმართველის მაგიდაზე განცხადება დადო.

– ეს რეგისტრაციაში გაატარეთ!

ქალმა განცხადება ჩაიკითხა და გაოცდა:

– სამსახურს რატომ ანებებთ თავს, ბატონო ედიშერ, – კანცელარიის გამგეს შენ უხებული ხმა ჰქონდა.

– რას იზამ, ასეთია ბუნების კანონი, ყველაფერს აქვს დასასრული, ბებრებმა ახალგაზრდებს უნდა დავუთმოთ გზა.

– თქვენ და ბებერი? რას ამბობთ, ბატონო ედიშერ, თქვენი შემხედვარე ამას ვინ იტყვის?

ედიშერს მოღრუბლული სახე გაუნათდა.

ქალი კვლავ განაგრძობდა:

– ბატონო ედიშერ, ძალიან დაგვაკლდებით, ღმერთმანი, არც კი ვიცი, რა გითხრათ, მუდამ თქვენ გვანუგეშებდით და...

– ნამდვილად ასეა, ბატონო ედიშერ, – კვერი დაუკრა სტატისტიკა, იგი ახალგაზრდა და ლამაზი ქალი იყო, ედიშერს ისე თბილად გაუღიმა, რომ კაცს გულიდან ნალველი უცებ გადაეყარა, გულზე მოეშვა, ცუდმა გუნებამ გაუარა, ქუდი შუბლზე ჩამოიწია და ქალებს გაულითადად დაემშვიდობა:

– აბა, გვრიტებო, კეთილად მეყოლეთ, არ დაივიწყოთ ბაბუა ედიშერი!

შუადღე გადასული იყო, ედიშერი ქუჩაში რომ გამოვიდა. ცაზე ელვა დაიკლაკნა და მეხი გავარდა. კაცმა ფეხს აუჩქარა, გარბი-გამორბოდნენ ადამიანები, მერე თითქოს პაერი გაიპოო, გრუხუნო გაისმა. ედიშერმა ყურებზე ხელი მიიფარა. უზარმაზარი ჭადრის ხე შუაზე გაიპო და წაიქცა. ხესთან ახლოს მდგომი ქალი დალანდა, იგი შეშინებული იწერდა პირჯვარს, თვალებში უზომო შიში ჩასდგომოდა; საერთო საფრთხე აახლოებს ადამიანებს, ალბათ ამიტომაც იყო, ქალმა ნაცნობივით გამოხედა ედიშერს, მერე ძლივძლივობით გამოსცრა:

– მადლობა უფალს, რომ დაგვინდო და შეგვინყალა!

წამოწვიმა, ჩამობნელდა. ედიშერი გახევებული იდგა ნაქცეულ ხესთან, თითქოს რალაც ძალამ მიაღწერს ადგილზე; თეთრწვერა მოხუცი მიუახლოვდა და მხარზე ხელი დაადო. როგორც იქნა გამოერკვა და მოხუცს შეხედა, თვალი მოსჭრა სინათლემ, მოხუცის თვალებიდან რომ იღვრებოდა. ეს სინათლე მწველი არ იყო, პირიქით, უცებ ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს ზღვაში ბანაობდა და თბილი ტალღები სხეულზე ელამუნებოდა. მოხუცის ხმა გარკვევით ჩაესმოდა. არადა, მოხუცი ჩუმად იყო, ოღონდ დაჟინებით შესცქეროდა. მაშ, საიდან ესმოდა ასე გარკვევით მისი ხმა? ალბათ, ტელეპათიური კავშირიაო, დაასკვნა. ხმა მთელი სიცხადით ხმიანდებოდა ედიშერის გონებაში.

– იცოდე, არაფერს არ მოუხედო უკან, არ დაკარგო სულის სიმშვიდე, დროზე გააღწიე ამ ცოდვით სავსე ქალაქიდან, თქვენი ურ-

ჯულოებისა და ცოდვებისათვის დიდ განსაცდელს მოგივლენთ უფალი, გადარჩება ის, ვინც გულით მართალია.

ედიშერმა თავს ძალა დაატანა და თვალები ფართოდ გაახილა, მოხუცი გამქრალიყო. იქაურობა გულდასმით შეათვალიერა, ნაქცევული ხე დაჭრილი კაცივით წრიალებდა და ქარის ყოველ დაქროლებზე დალენილ ტოტებს ასფალტზე ატყვალაშუნებდა. ხანგამოშვებით კვლავ ელავდა და არემარე ნათდებოდა. ედიშერი იქეთ-აქეთ იყურებოდა, მაგრამ ამოდ, მოხუცი უკვალოდ გამქრალიყო. არა, ეს ამბავი ცხადს კი არა, სიზმარს უფრო ჰგავდა. გაოცებისაგან მხრები აიჩეჩა და სახლისაკენ გზა განაგრძო. კვლავ დაიკლაკნა ცაზე ელვა, მერე გამაყრუებლად დაიგრუხუნა. წინ მიმავალმა ქალმა შეჰკვივლა და გაოგნებული კედელს მიეყრდნო, ქალს ავადმყოფურად წამონთებოდა სახე, თვალებიც სიცხიანივით ულაპლაპებდა, გუგები გაფართოებოდა. ედიშერმა თავი მოვალედ ჩათვალა გაემხნევებინა ქალი:

– ცუდად ხომ არ ხართ, იქნებ, დახმარება გჭირდებათ?

არაო, უსიტყვოდ ანიშნა ქალმა.

– ნუ გეშინიათ, მალე ჩადგება ავდარი, აგერ, მალაზიას შეაფარეთ თავი – იქვე, მახლობელ მალაზიაზე ანიშნა.

მადლობთო, ჩაილაპარა ქალმა და რალაცნაირად უმწეოდ გამოიხედა, ნაჩვენები მიმართულებით გაიქცა.

ამინდი უფრო და უფრო უარესდებოდა. შავად ჩაგუბებულ ცაზე ღრუბლები ჩქარ-ჩქარა მიცურავდნენ, დროდადრო ელვა იკლაკნებოდა, ედიშერს ავის მომასწავებელი წინათგრძნობა დაეუფლა.

ქუჩის გადაკვეთაში, შესახვევთან მიახლოებისას ხმამალალი ლაპარაკი შემოესმა. არა, ეს უფრო ტირილს ჰგავდა, ორ ვაჟს ერთი გოგონა ალყაში მოექცია. ედიშერმა იგრძნო, როგორ მოაწვავდა სისხლი კეფაში.

ეს რა თავხედობაა, რას ბედავენ ეს უნამუსოები? – გაუელვა გულში და შეჩერდა.

– გაიარე ძიაკაცო! – შეულრინა ერთმა ბიჭმა, რომელსაც თვალები ისე ბოროტად უელავდა, იფიქრებდი, ნამდვილად ეშმაკი უზის მხრებზეო.

– თავი დაანებეთ მაგ გოგოს – გაცეცხლდა ედიშერი.

– შენ ვინ გკითხავს, ნადი შენი... – მუშტი შემართა მეორემ და საჩხუბრად გამოიწია.

– თქვე არაკაცებო – გაბრაზებით გამოსცრა ედიშერმა და ბიჭს მუშტი დაუხვედრა.

– შენი დედა! – იღრიალა ბიჭმა და გამეტებით ეძგერა.

ედიშერმა ფერდში აუტანელი ტკივილი იგრძნო და სიმწრისაგან იქვე ჩაიკეცა, თვალი დაუბნელდა.

– ბიჭო, ბიჭო, დაგვენერება ეს იდიოტი, თავს ვუშველოთ!

ამ ხმაზე თვალი გაახილა, ბიჭები კისერტეხით გარბოდნენ, გოგოც აღარსად ჩანდა, ისიც გაქცეულიყო და მისი მოსარჩლე ედიშერი ასე ღვთის ანაბარა დაეტოვებინა. სიმწრისაგან ტუჩები მოიკვნითა ედიშერმა და ფეხზე ძლივძლივობით წამოდგა. ფერდზე ხელი მოისვა, პერანგი სისხლს გაენება. ირგვლივ კაცის ჭაჭანება არ იყო, არც მანქანები მოჩანდა, სასწრაფომდე კი ფეხით მისვლას ვერ შესძლებდა. სახლი უფრო ახლოს იყო და გადანყვიტა, როგორმე სახლამდე მიეღწია და მეზობელი ექიმისათვის ეთხოვა დახმარება. სვენებ-სვენებით ძლივს მიაღწია. სადარბაზო ჩაბნელებული დახვდა, ეტყობა სინათლე ჯერ არ ჩაერთოთ. მეზობელს კარზე მიუკაკუნა. კარი ექიმის ცოლმა გაუღო, ქალი გაფითრებულიყო, კოპები შეეკრა. ედიშერს გაუკვირდა, სხვა დროს ღიმილიანი ქალი ახლა ასე ქუშად შეხვდა.

– მობრძანდით, ბატონო ედიშერ, – უხალისოდ შეიპატიჟა ქალმა.

– რა იყო, მოხდა რამე? – იკითხა შეცბუნებულმა ედიშერმა და ირგვლივ მიმოიხედა.

– ეჰ, – ამოიოხრა ქალმა, – მოხდა კი, ზოგი ადამიანი ფულის გულისათვის რას არ ჩაიდენს, – ქალი ნერვულად ისრესდა ხელებს და საუბრისას კრთებოდა, ღელავდა.

– რა მოხდა, აღარ მეტყვი? – მოთმინების ძაფი გაუნყდა ედიშერს.

– დაბრძანდით, ბატონო ედიშერ, – ცივად წარმოთქვა ქალმა და სკამი მიუჩოჩა, – ამ საღამოს ჩვენს სადარბაზოში უბედურება მოხდა, კაცი მოკლეს!

– რაო, – შეძრწუნდა ედიშერი – ვინ კაცი, რას მეუბნებით?

– ვინ და, როსტომ მხეიძე, ყაჩაღები დაესხნენ თავს, ბიზნესმენი ხარ და ფულის მეტი რა გაქვს, 20000 დოლარი მოგვეცი და ჩვენ გზაზე წავალთო, იმან კიდევ წინააღმდეგობა გაუნია თურმე და მოკლეს.

– რას მეუბნებით, ღმერთო, ეს რა მესმის, მერე?

– რალაც ხმაური კი გავიგონე, მარა, რას ვიფიქრებდი, დღისით თუ მოიჭრებოდნენ ყაჩაღები და ამას გაბედავდნენ. მერე კვილი რომ შემომესმა, გამოვვარდი გარეთ და კიბეზე ვილაც ნიღბოსნები შემეჩვენენ, ერთმა ისე გამეტებულად გამკრა ხელი, რომ ნავიქცი და მუხლიც გადავიტყავე, მოკლედ, სულ გაგიჟდა ხალხი, ასე თუ გაგრძელდა, აღარ ვიცი, ბატონო ედიშერ, რა გვეშველება, ნახდა ქვეყანა, გარეთ გამოსვლის უნდა გეშინოდეს!

– ეჰ, – მძიმედ ამოიოხრა ედიშერმა – მეორედ მოსვლის უამია მგონი მართლაც – გაფითრებული და ოფლით დაცვარული შუბლი ცხვირსახოცით მოინმინდა და ქალს ჰკითხა:

– ამირანი სად არის, საავადმყოფოდან ჯერ არ მოსულა?

– ბატონო ედიშერ, – შიშისაგან თვალები გაუფართოვდა ქალს – რა არის ეს, სისხლი გდით, რა გჭირთ, ვაიმე, რა არის ეს, ბატონო ედიშერ!

– არაფერია, არაფერი, ნუ გეშინიათ, რალაც ინციდენტი შემემთხვა ქუჩაში, სერიოზული არაფერია, თორემ აქამდე ვერც მოვალნევიდი, ამირანი მომეშველება, ვიცი.

– ნუ გეშინიათ, ახლავე დავურეკავ საავადმყოფოში და ვეტყვი.

– მადლობელი ვარ, ნავალ ახლა, ფეხზე ძლივს ვდგავარ, კარს ღიად დავტოვებ, ამირანი როცა მოვა, პირდაპირ შემოვიდეს!

– ახლა კარი ღიად დაიტოვება? რას ამბობთ!

– მე რა უნდა ნამართვან, წიგნების გარდა არაფერი მამადია!

ძალაგამოლეულმა ედიშერმა გაჭირვებით შეალო თავისი ბინის კარები, უცებ თვალები დაუბნელდა, სანოლთან ძლივს მიასწრო, იგრძნო, როგორ უცივდებოდა ხელ-ფეხი, რალაცნაირი მსუსხავი სიცივე ეუფლებოდა და თანგავდა. მის სმენამდე უცნაური ჭრიალის ხმა აღწევდა, თითქოს ჭრიჭინობლები ჭრიჭინებდნენ, მერე ეს ხმაც თანდათან მიწყდა...

თვალი რომ გაახილა, უკვე გათენებულიყო. სავარძელში ჩაძინებულ კაცს დააკვირდა, მეზობელი იყო – ამირანი. მეყსეულად გაუნათდა გონება, მოაგონდა გუშინდელი ამბავი და ამოიოხრა. რას არ გადაეყრება კაცი ამ არეულ ქვეყანაში – გაიფიქრა და სანოლიდან ნამოდგომამ სცადა. სანოლი გაჭრაჭუნდა. ხმაურზე ამირანმა თვალი გაახილა.

– ედიშერ, კაცო, როგორა ხარ, კაი მაგრად არ შემაშინე ნუხელის?

– აა?

– აბა, კაცო ქალმა დამირეკა საავადმყოფოში და იმწამსვე გამოვიქეცი, ოთახში რომ შემოვედი, შევშინდი, ისე, მაგარი ყოფილხარ, კაი ძალი სისხლი დაკარგე, მარა ჭრილობა საშიში არაა, ერთი სიტყვით, საშიში არაფერია, თუმცა მოფრთხილება მაინც საჭიროა.

– ადგომა შეიძლება?

– უმჯობესია ერთხანს თუ არ ადგები, მაინც რა შეგემთხვა გუშინ, რომელი მოჩხუბარი შენ მყავხარ, რა დაგემართა?

– ვილაც ბიჭები გოგოს აწვალებდნენ, გამოვექომაგე და...

– გასაგებია, კიდევ კარგად გადარჩენილხარ...

– ალბათ მორფინისტიები იყვნენ!

– გადაგვარდა ქვეყანა, აგერ, მეზობელი მოგვიკლეს ვილაც არამზადებმა, მოკლედ, ფული გაქვს, უნდა გეშინოდეს, არ გაქვს, მაინც უნდა გეშინოდეს, შეიძლება იმაზე აგისირდნენ, რატომ არ გაქვსო, აგერ ერთი ჩვენი თანამშრომელი ქალი უთოთი გააუთოვეს, რატომ არ გვაძლევ გადამალულ ოქროულობას და დოლარებსო. აირია ქვეყანა, აირია, ჩემო ბატონო! წავალ ახლა, თუ რამე დაგჭირდეს, ტელეფონით შემეხმინე!

– ამირან, უნდა გითხრა ძმაო, წასვლას ვაპირებ...

– სად უნდა წახვიდე, ვერ ხედავ, როგორი ამინდია, ღვარცოფია პირდაპირ, ასე თუ გაგრძელდა...

– ჰოდა, სწორედ მაგაშია საქმე, დაეტოვოთ უნდა ეს ქალაქი, გავეცალოთ აქაურობას, აქ იმდენი უარყოფითი ენერგიაა დაგროვილი, კაი არაფერი დაგვემართება. გუშინ გრძნეული მოხუცი გამომეტყვადა და გამაფრთხილა – თავს უშველეთო. ალბათ, რალაც სტიქიური უბედურებაა მოსალოდნელი, მეწყერი, მიწისძვრა, წყალდიდობა თუ სხვა რამ, არ ვიცი, მაგრამ რალაც საშინელება რომ მოხდება, ვგრძნობ...

ამირანს ჩაეცინა, აშკარა იყო, არ სჯეროდა ედიშერის ნაამბობი.

– ჩემო ედიშერ, ნუხელის ცუდად იყავი, სიცხემაც აგინია, ამ დროს ხშირია წარმოსახვა...

– არა, როგორ დაგარწმუნო, რომ რასაც გუუბნები, წყალი არ გაუვა, სწორია, ცამდე მართალი ვარ იცოდე, შალუცინაციები არასოდეს მქონია, ფსიქიკურად ჯანმრთელი ვარ, გგონია მეჩვენება?!

– კარგი, რახან ასეა, მე რა გითხრა, თუ დამიჯერებ და დღეს არ ადგები ლოგინიდან, კარგი იქნება, ნერვებსაც დაიწყნარებ, აი დანიშნულება მაგიდაზე დევს, ამ წამლებს მიიღებ, ჭრილობის გადახ-

ვევა კი ხვალ დაგჭირდება და ექთანს გამოგიგზავნი. ახლა უნდა ნავიდე, იქეთ მეზობლებსაც უნდა მივხედო, ხომ იცი, ათასი საქმეა, გასვენების სამზადისი, ქელეხი...

ამირანმა კარი გაიხურა, ჩირადაც არ ჩაუგდია ედიშერის ნათქვამი. კიბის საფეხურებზე ერთხანს ისმოდა მისი ნაბიჯების ხმა, მერე სიმყუდროვემ დაისადგურა. ედიშერი მარტო დარჩა და ფიქრს მიეცა. თვალწინ ის იდუმალი მოხუცი დაუდგა, მაქაურობას დროზე გაეცალეო, რომ გააფრთხილა. კი ბატონო, თვითონ მაინც წასასვლელი იყო სოფელში და ნავიდოდა, მაგრამ მართლა რომ მომხდარიყო უბედურება და ეს ხალხი დაღუპულიყო, მაშინ? ცოდვიანი ქალაქიაო, კი, ასე იყო, ბევრი იყო არამზადა და ბოროტი, მაგრამ კეთილებიც ხომ იყვნენ აქა-იქ. ბოლოს გადანყვიტა, ტელევიზიაში მივალ და ხალხს გავაფრთხილებ მოსალოდნელი უბედურების შესახებო.

კიბეზე ჩასვლისას მეზობლის ქალების ლაპარაკი შემოესმა:

– იცი, ნინელი, ედიშერს ნუხელის ხულიგნები დასხმიან თავს, საცოდავი ისე შეშინებულა, ჭკუაზე აღარაა, დღეს თურმე სულ მიწისძვრა და მენყერი ელანდება.

რომელიღაც ქალმა თავი ვერ შეიკავა და მთელი სახლი ხარხარმა გააყრუა:

– ხა, ხა, ხა...

ედიშერს ბრაზი მოეძალა, მერე ხელი ჩაიქნია და ბორძიკით ჩაუყვა კიბეს. მიხვდა, მეზობლებს ვერაფრით დააჯერებდა თავის სიმართლეში.

ტელევიზიაში ზრდილობიანად მიიღეს, მოუსმინეს და როცა ეთერში გამოსვლა ითხოვა, მაშინ კი ცივი უარი უთხრეს. რას ამბობთ, მიწისძვრისა და მენყერის პროგნოზირება თქვენ კი არა, თანამედროვე მეცნიერებას არ შეუძლია, ჩვენ რომ გრძნეულებსა და ნათელმხილველებს აყვეთ, ათას აბდაუბდას ჩმახავენ, ხომ წარმოგიდგენიათ რა მოხდება, არა, ამის უფლება არ გვაქვს, შეუმომებელ ინფორმაციას ვერ გადავცემთო – მტკიცედ განუცხადეს.

ცხადია, არ სჯეროდათ ედიშერის მონათხრობი, ვინ იყო ის მოხუციო, ისეთი კილოთი ეკითხებოდნენ, თითქოს, ანიშნებდნენ, თუ სიმართლეა, გვაჩვენე მაგი იდუმალი მოხუციო.

რას იზამდა, თავს ზემოთ ძალა არ ჰქონდა, განბილებულმა დატოვა ტელევიზია და ქუჩაში გამოვიდა. საათს დახედა, თერთმეტის ნუთები იყო. ცა უფრო და უფრო ჩამუქდა, მერე ისე დასცხო წვიმამ,

გეგონებოდათ მართლა კოკიდან ასხამენო. შხაპუნობდა წვიმა და ისეთ ასოციაციას აღძრავდა, თითქოს ვილაც გაბრაზებით აკაკუნებდა ასფალტზე. ედიშერი უქოლგოდ იყო და სულ გაიწუნა. ეღვრებოდა წვიმა მხრებზე, ტანსაცმელზე და მთელ ტანში უსიამოვნო სიცივე უვლიდა. საერთოდ უყვარდა წვიმა, მაგრამ ახლა ვერ აღიქვამდა მის სიკეთეს. ხშირად, წვიმიან დღეს, სარკმელთან მდგომი წვიმას პეშვს უშვერდა, მაშინ აღარ უკვირდა წარმართების, წვიმის სადიდებლად ლოცვებს რომ აღავლენდნენ, თვალწინ ის სურათი წარმოუდგებოდა, მლოცველი ქალები გაშლილ ველზე რომ როკავდნენ და წვიმას ეპატიუებოდნენ. მაგრამ ახლა ეს წვიმიანი დღე ასეთ წარმოსახვას აღარ იწვევდა, პირიქით რაღაცნაირად აშინებდა კიდევ. მახლობელი მთაც შეიძრა, ტორტმანობსო, გეგონებოდათ. ქუჩები დაიტიბორა, წყალი თანდათან მატულობდა. წყალს ტალახის გოროხები მოჰქონდა, არა, არ იყო ეს კარგის მომასწავებელი; ედიშერმა ავტოსადგურისაკენ გასწია. თავსხმაში გზა ძლივს გაიკვლია. ცნობათა ბიუროში უთხრეს – ავტობუსი შუადღემდე სადგურიდან არ გავაო. ყველა არხეინად იყო. ავტოსადგურის სალონში ვილაც ბიჭებს პურმარილი გაეშალათ და უდარდელად ქეიფობდნენ.

ედიშერი ქალაქიდან გასასვლელ გზას ფეხით დაადგა, დაღლილობისაგან თვალები ეხუჭებოდა, ის კი მაინც მიდიოდა, მერე ერთბაშად ჩამობნელდა. ედიშერი თითქოს სხვა ადგილას მოხვდა, თითქოს დროში გადაინაცვლა, არა, მართლა უცნაური ამბავი იყო, უძველესი ქალაქი წარმოესახა თვალწინ, თითქოს ვილაცის იდუმალმა ხელმა კინოფირი ჩართო... რაღაც იდუმალი ცოდნა ნათელივით მოეფინა და ამის წყალობით ის დაინახა, რაც სხვისთვის დაფარული იყო. ყველაფერს ცხადად ხედავდა და ესმოდა.

* * *

ქლიავისფერი ბურუსი ჩამოსწოლოდა ქალაქს: კარიბჭესთან იჯდა ლოტი განმარტოებით და ჩაფიქრებული ჩასცქეროდა მიწას, რომელსაც ნაჯაფი კაცის ხელისგულივით დახეთქოდა ზედაპირი. ორი ანგელოსის დარი კაცი გამოჩნდა, ღვთიური სახე კეთილად უცინოდათ, თვალები სიყვარულით ანთებოდათ და თავიანთი დიდებით იქაურობას ისე ალაპარაკებდნენ, რომ ლოტი სიხარულისაგან ზეწამოიჭრა, თავდადრეკით მიეგება მათ და თაყვანი სცა:

– აქეთ მობრძანდით ჩემო ბატონებო, შემოუხვიეთ თქვენი მორჩილის სახლში, დაისვენებთ, ფეხს დაიბანთ, ღამეს გაათევთ, დაპურდებით, დილით კი ადრე ადგებით და თქვენს გზაზე წახვალთ!

– არა, ქუჩაში გავათევთ ღამეს!

– რას ამბობთ, რალა კაცი ვარ, თუ სტუმარს ვერ დავაპურებ და საკადრისად ვერ მოვემსახურები.

ალარ გაანბილეს ლოტი იმ კაცებმა და ენვივნენ სახლში. დატრიალდა ლოტი, სუფრას სასმელი და ხმიადი არ აკლდა და თავადაც პატივითა და კრძალვით ემსახურებოდა სტუმრებს, როცა ტრაპეზი გაასრულეს და დასაძინებლად ემზადებოდნენ, ახლომახლო ჩოჩქოლი ატყდა, შეიქმნა ერთი გნიასი და განეევ-გამონევა, ქალაქის მკვიდრი კაცები ყოველი მხრიდან მოაწყდნენ ლოტის სახლს და აყვირდნენ:

– ლოტი, ლოტი, სად არიან ის კაცები, ნუხელის რომ გესტუმრნენ?

გამოიყვანე ჩვენთან, უნდა შევიცნოთ!

შენუხდა ლოტი, არ მოელოდა ასეთ მზაკვრობასა და უტიფრობას თანაქალაქელებისაგან. სტუმრებს რომ არ შეემჩნია, კარი გამოიხურა და შექუჩებულ თანაქალაქელებს მიმართა:

– ბოროტებას ნუ ჩაიდენთ ძმებო! ჩემს ოჯახს არ დავეძებ, ოღონდ ჩემს ხიზნებს არაფერი ავნოთ, – ლოტის სუნთქვა ეკვროდა, გული ეკუმშებოდა შეურაცხყოფისაგან.

მის ვედრებას ყური არავინ ათხოვა, გამძვინვარებულ ბრბოს გამოეყვნენ გამორჩეული თავხედები და გაბოროტებით აყვირდნენ:

– ლოტი, მოშორდი აქედან, შენ რა სამართალს სჯი? შენ უარეს საქმეს დაგმართებთ!

გაგულისებულები გაშმაგებით ეკვეთნენ კარს შესამტკრევად.

მაშინ სტუმრებმა კარი შეუმჩნევლად გააღეს, ლოტი შინ შეიყვანეს და კარიც ჩაკეტეს, მომხვედურებს კი ღვთის რისხვა დაატყდათ თავს – დაბრმავდნენ.

სახლის შესასვლელთან მოძალადე კაცები წამიერად ელდისაგან გაქვავდნენ, მერე თავზარდაცემულებმა თავში ხელი წაიშინეს და აბლავლდნენ:

– დავბრმავდით, ველარაფერს ვხედავთ, დავბრმავდით, რა გვეშველება:

ქანცგანწყვეტილები დარბოდნენ და გასასვლელს ვერ პოულობდნენ, არც არავინ იყო მათ გვერდით თვალებილი, რომ გზა ესწავლებინა, დიდ-პატარა ერთიანად დაბრმავებულიყო.

დააკვირდა ლოტი თავის სტუმრებს, იაზრა, მის წინაშე ვინც იდგნენ.

ანგელოზები ლოტის მიუბრუნდნენ:

– კიდევ ვინა გყავს აქ, სიძე, ვაჟები და ქალიშვილები, ყველა ვინც კი შენთანაა, გაიყვანე აქედან, უნდა გავანადგუროთ ეს ადგილი, რადგან დიდად ცოდვილიანია, უფალმა მის გასანადგურებლად მოგვავლინა, ჩვენ მხოლოდ წესიერთა დახსნა შეგვიძლია.

ლოტი თავის სასიძოებთან მივიდა და მშვიდად უთხრა მათ:

– ადექით და გადით ამ ქალაქიდან, რადგან მალე მოისრება აქ ყოველივე, უფალი გაანადგურებს.

სასიძოებმა გაიცინეს, იფიქრეს, ლოტი ალბათ ხუმრობსო, არ დაიჯერეს.

განთიადისას ანგელოზებმა ააჩქარეს ლოტი.

– ადექი, ხელი მოჰკიდე შენს ცოლს და ორ ასულს, აქ რომ არიან და წადით აქედან, თორემ თქვენც დაიღუპებით აქაურთა უკეთურობის გამო.

ფეხს ითრევდა ლოტი, ანგელოზებმა ხელი ჩასჭიდეს ლოტის ცოლს, მის ორ ასულს, გამოიყვანეს სახლიდან და ქალაქის გარეთ გაიყვანეს. მერე ერთ-ერთმა ანგელოზმა გააფრთხილა ლოტი, თუ გინდა ცოცხლად გადარჩე, უკან არ მოიხედო, არც სადმე გაჩერდე ამ მხარეში, მთას შეეფარე, თორემ დაიღუპები.

– არა აგერ პატარა ქალაქი მოსჩანს, იგი უფრო ახლოსაა, იქ შევაფარებ თავს – ანიშნა მეზობელ ქალაქზე.

– კეთილი, შეგისრულებ ამ სათხოვარს, არ დავამხობ იმ ქალაქს, შენ რომ ახსენე, ოღონდ იჩქარე და სასწრაფოდ განშორდი აქაურობას.

ისმინა ლოტიმ უფლის სიტყვა და დატოვა უკეთურთა ქალაქი.

ანვიმა უფალმა გოგირდი და ცეცხლი, მიწასთან გაასწორა მთელი ეს მხარე.

ცნობისმოყვარეობამ წასძლია ლოტის ცოლს, მოიხედა უკან და იქცა მარილის სვეტად. ლოტის უკან არ მოუხედავს. საკირედან ამოვარდნილ ბოლს მოგაგონებდათ ის სქელი კვამლი, ქალაქს რომ ასდიოდა.

ედიშერი გამოერკვა, ზმანება იყო ალბათ ეს ყოველივე, გაიფიქრა და გზა განაგრძო. წინ! წინ! – ჩაესმოდა მბრძანებლური ხმა, ვერ მიმხვდარიყო, საიდან ესმოდა ეს ხმა, უკან არ მოიხედო, ბრძანებასავით იძლეოდა განკარგულებას ის იდუმალი ვილაც და მთლად ჩამოქნდილ ედიშერს სულის ამოთქმასაც აღარ აცლიდა. შორს, ჰორიზონტთან ილანდებოდა პატარა დაბის მალღივი შენობების სახურავები. მიაბიჯებდა ედიშერი და გულში ლოცულობდა, ღმერთს ევედრებოდა ძალა და გამძლეობა მიეცა, როგორმე იმ დაბამდე მიეღწია. ფერდში ტკივილმა ისე შეუტია, ნელში ვეღარ გაიმართა და გზისპირას დაგდებულ ლოდზე ჩამოისვენა. ერთი პირი კიდევ წაეთვლიმა. ძილს ძლივს წაართვა თავი და ცდილობდა გაფანტული აზრებისათვის თავი მოეყარა. უკვე ქალაქს კაი გაყოლებაზე გაშორებოდა. კვლავ წვიმდა, მახლობელი სოფლებიდან ადიდებული მდინარეები ზატყით მოაპობდნენ გზისპირებს. მერე სირენების ყურისნამღებმა ხმებმა მთლად გააყრუეს იქაურობა, ცაში ვერტმფრენები წრიალებდნენ. არა, გზას ვეღარ გააგრძელებდა, ლოტივით ვერ მოიქცეოდა, თუნდაც ქვად გადაქცეულიყო, ედიშერმა უკან მოიხედა, ელდამ თავიდან ბოლომდე დაუარა, ქალაქის ახლოს აღმართული მთა აღარ მოჩანდა, არა, არ ატყუებდა თვალი. მერე კვამლის მწკლარტე სუნი იგრძნო და ზე წამოიჭრა, თვალს არ უჯერებდა, შავი ბოლი ნისლივით დაჰფენოდა ქალაქს.

ქალაქისკენ იბრუნა პირი. მუხლებამდე აზელილ ტალახში ძლივს მიტოპავდა. გზადაგზა თითო-ოროლა გადარჩენილი კაცი თუ ქალი ხვდებოდა, დაბნეულები და შეშინებულები უკანმოუხედავად მირობდნენ. ამ ერთი საათის წინ ქალაქის შემოსასვლელში ხუთსართულიანი სახლი შენიშნა, ახლა ისიც გამქრალიყო, თითქოს მიწამ ჩაყლაპაო; ედიშერს აუტანელი ტკივილისაგან გული მოენუ რა, აღარც ცხრასართულიანი სახლი იდგა თავის ადგილზე, ნანგრევები იქეთაქეთ გაფანტულიყო. საზარელმა შიშმა აიტანა, მაგრამ თავს სწრაფად სძლია და პირჯვარი გარდაისახა, უფალო შემინყალო – ჩურჩულებდა. უზარმაზარი ზედახორიდან ცოტა ხნის შემდეგ ოდნავ შესამჩნევი კვნესა მოესმა, ედიშერმა მიაყურადა, მერე ძებნა დაიწყო, პირველად ამონვდილი ხელი დაინახა, ფრთხილად მისნი-მოსნია დაცვენის ხარა-ხურა და გოგონა ამოიყვანა. ასე, ათიოდე წლის იქნებოდა,

საბედნიეროდ, იგი უვნებელი იყო. ნამდვილად ღვთის წყალობაა რომ გადარჩენილათ – გახარებულმა ედიშერმა გოგონას დამშვიდება დაუნყოფ, ციებიანივით ძაგძაგებდა გოგო და სლუკუნებდა.

– აქ ჩემი დებიცაა, – ძლივს ამოთქვა გოგომ.

დიდხანს ეძებდა ედიშერი მათ, მაგრამ ამაოდ.

– დედა, დედა – იყვირა გამწარებულმა გოგომ და მუშტი მოიქნია, ედიშერს ჭრილობაზე მოხვდა და სიმწრისგან ჩაიკეცა, ერთხანს უსიტყვოდ იყო, იგრძნო გოგომ, არც ედიშერი იყო კარგ დღეში და კითხვის თვალეხი მიაპყრო.

– ნავიღეთ, – წყნარად უთხრა ედიშერმა გოგოს, ხელი ჩაჰკიდა და ქალაქიდან გასასვლელ გზას დაადგა.


წვიმამ გადაიღო, გამოიდარა, ირგვლივ ყოველივე დამშვიდდა, მერე ცაზე ცისარტყელაც მოირკალა.

– ცისარტყელა, ცისარტყელა, ნახე, ბიძია რა ლამაზია ცისარტყელა! – ცრემლები შეიმშრალა გოგომ და ცას შეჰლიმა.

ცრემლი და სიცილი რამ გაყოო – გაუელვა ედიშერს ფიქრმა და შვებით ამოისუნთქა, გოგოს თავზე ხელი ალერსით გადაუსვა. უცებ სიმსუბუქე იგრძნო, თითქოს ტანში ამჩატდა, არა, მაინც რა ბედნიერებაა, ცოცხალი რომ ხარ და სუნთქავ, აზროვნებ, ბუნებას აცნობიერებ, დააბიჯებ ამ მიწაზე... ამ აზრმა სულით ხორცამდე შესძრა, სუნთქვა გაუხშირდა და სიხარულისაგან თვალეხი დაენამა, სულში თითქოს ანგელოზები გალობდნენ. მშვენიერი იყო სიცოცხლე, იდუმალი და ლამაზი.

დროდადრო ცას აცქერდებოდა ედიშერი.

ცას შვენოდა შვიდფრად ანთებული ცისარტყელა.



მერცხალა

სამი წლის წინათ მერცხალმა ბუდე მიაშენა ლევანის სახლს, მერე ზამთარს გაექცა მერცხალი და უკან აღარ დაბრუნებულა.

ბუდე კი დარჩა, გაუძლო ქარსა და წვიმას და დარჩა ლევანის სახლზე მიშენებული.

მეოთხე გაზაფხულს მოფრინდა პირველი მერცხალი. მოფრინდა და ლევანის სახლს მიაშურა. ბავშვივით გაუხარდა ლევანს. ერთი საათის შემდეგ მას ვაჟიშვილის დაბადება მიულოცეს...

მერცხალა დაარქვა ბიჭს. ორიოდ თვის შემდეგ ლევანი ომში წავიდა.

წავიდა და ველარ დაბრუნდა.

გადიოდა დრო...

მერცხალა იზრდებოდა და ძალიან, ძალიან უნდოდა მამის ნახვა. გაზაფხულივით ანცი და მხიარული ბიჭი იყო. მერცხალივით სწრაფი და დაუდეგარი.

მაგრამ მოუნდებოდა მამის ნახვა და უეცრად მოიწყენდა.

იცოდა, რომ ვერასოდეს ნახავდა მამას და ეს აწუხებდა. უნდოდა, მასაც ყოლოდა მამა.

იზრდებოდა მერცხალა. ახალი ფიქრები და სურვილები ემატებოდა.

ზღვა უყვარდა მერცხალას.

ხშირად გამოეთიშებოდა ტოლებს და ზღვასთან მიდიოდა. მაშინ არაფერზე ფიქრობდა.

იდგა და უყურებდა ზღვას.

ხედავდა ცაში მორიალე თოლიებს, შორს, ჰორიზონტზე, ერთ წერტილზე გაყინულ გემებს და დიდ, გასაოცარ სილურჯეს.

წიგნები უყვარდა.

და კიდევ, ჯარისკაცები უყვარდა მერცხალას.

მისი მამაც ხომ ჯარისკაცი იყო!

მერცხალას მეზობლად სამხედრო ნაწილი იდგა.

იქ მხიარული და კეთილი ჯარისკაცები ცხოვრობდნენ, ბიჭს ყოველთვის იქეთ მიუწევდა გული, მაგრამ მიახლოებას ვერ ბედავდა. ერთხელ გაბედა.

რკინის დაბალი ლობის ზემოდან კარგად მოჩანდნენ ჯარისკაცები.

მერცხალა იდგა და უყურებდა.

მერე ხშირად მოდიოდა აქ.

მამაჩემიც ასეთი იქნებოდა, – გაიფიქრებდა ბიჭი, როცა რომელიმე ენაკვიმატი ჯარისკაცი მეგობრებს აახარხარებდა. მამაჩემიც ასეთი გულადი იქნებოდა, – გაივლებდა გულში, როცა ჯარისკაცი უშიშრად გადაევლებოდა ხის გრძელ ტაიქს.

ყოველდღე მოდიოდა აქ მერცხალა. რკინის დაბალ ლობურასთან იდგა, შესცქეროდა ჯარისკაცებს.

– მერცხალა! – ეძახდა დედა.

– მოვდივარ! – პასუხობდა ბიჭი და არ მიდიოდა.

მერცხალა მეექვსე კლასში გადავიდა.

ერთხელ, სკოლაში თვითმოქმედების კონცერტი გამართეს.

მერცხალას ამხანაგები ცეკვავენ.

ბიჭს ადრეც ენახა ცეკვები, მაგრამ სხვების, დიდების შესრულებით. აქამდე ვერც კი წარმოედგინა, რომ მისი ტოლებიც იცეკვებდნენ.

და მერცხალას ძალიან მოუნდა თვითონაც ესწავლა ცეკვა.

– ცეკვას გასწავლით, მაგრამ საცეკვაო ტანსაცმელის გარეშე სცენაზე ვერ გამოხვალ, – უთხრა მასწავლებელმა.

დალონდა მერცხალა.

დედას უჭირდა. საცეკვაო ტანსაცმელი კი ძვირი ჯდება. ეს კარგად იცოდა ბიჭმა.

დედას არ გაუმხილა ეს ამბავი. სამი დღე სახლიდან არ გასულა.

იჯდა და კითხულობდა.

აღარც ჯარისკაცები გახსენებია.

ერთ დღეს სიმღერის ხმა შემოესმა ნაწილიდან.

იქითკენ გასწია.

ნაწილში ახალწვეულები მოეყვანათ. სულ ახალგაზდა ბიჭები იყვნენ, თავზოტორები.

– პატარა ბიჭო მოდი აქ!

მერცხალას ეწყინა, პატარა რატომ დამიძახესო. გაიჯგემა და ისე შეხვდა ახალწვეულს.

შავტუხა ჯარისკაცს თვალები მხიარულად უელავდა.

– რა გქვია?

– მერცხალა.

– კარგი სახელია. მე თეოფილე მქვია, მერცხალა ბიჭო.

მერცხალას გაეცინა.

– რა გაცინებს, მერცხალა ბიჭო?

რა გაცინებსო? თეოფილე ქვია. მოდი და ნუ გაგეცინება! თეოფილე რა სახელია, – ეს გულში გაივლო მერცხალამ, ჯარისკაცს კი უთხრა:

– არაფერი, ისე...

– მწყობრში დადექ! – გაისმა მეთაურის ძახილი.

– გავიქეცი, მერცხალა ბიჭო, ხვალაც მოდი, ვისაუბროთ.

შავტუხამ თვალი ჩაუკრა და მოკურცხლა.

მაგრამ ველარ მოვიდა მერცხალა.

დიდხანს ველარ მოვიდა. იმ საღამოს მალალი სიცხე მისცა და საავადმყოფოში წაიყვანეს.

საავადმყოფო ზღვის პირას იდგა.

ბიჭი ფანჯარასთან დაანვინეს და უყურებდა ზღვას – გასაოცარ სილურჯეს.

უყურებდა და ფიქრობდა... აი, მერცხალა მოცეკვავეა. იგი დგას ზღვაზე და ცეკვავს.

ჰო, ზღვაზე დგას, ცეკვავს და არ იძირება...

მერე საავადმყოფოდან გამოწერეს.

სამხედრო ნაწილს მიაშურა, მაგრამ ვერავინ ნახა. სანწრთნელ მეცადინეობაზე წავიდნენო, – გაიგო.

ერთხელ ქუჩაში გამოსული ბიჭი აფიშებს ათვალეიერებდა.

კვირა დღე იყო.

მერცხალა შესცქეროდა აფიშას, რომელზედაც ჩოხაში გამონწყობილი, ტანწერნეტა ჭაბუკები იყვნენ გამოსახულნი.

– მერცხალა ბიჭო სად დაიკარგე?

შემობრუნდა მერცხალა და თეოფილე დაინახა. ბიჭს გაუხარდა. გაულიმა თეოფილეს.

– ავად ვიყავი.

– ავად შენი მტერი იყოს, მერცხალა ბიჭო, რა დროს ავადმყოფობაა. რას ათვალე ირებ, გიყვარს ცეკვა?

მერცხალამ თავი დაუქნია.

– მერე? არ სწავლობ?

– მასწავლებელმა მითხრა, თუ საცეკვაო ფორმას არ შეიკერავ, ისე სცენაზე ვერ გამოხვალ. სკოლას ფორმების შექმნის საშუალება არა აქვს, დედას კი ძალიან უჭირს... – ველარ დამალა გულში ნადები ბიჭმა.

– ჰოო, – თქვა თეოფილემ.

„ჰოო“ – და მეტი არაფერი. მერცხალა თანაგრძნობას ელოდა, ამან კი „ჰოო“, და მეტი არაფერი.

ენყინა ბიჭს.

კარგა ხანს ერთად იარეს ქუჩებში. საღამოს მერცხალამ ნაწილამდე მიაცილა თეოფილე. დაემშვიდობა და გამობრუნდა.

– მერცხალა ბიჭო! – დაუძახა თეოფილემ.

– რა იყო?

– მერცხალა ბიჭო, მიდი ცეკვის მასწავლებელთან, ისწავლე ცეკვა.

მერცხალა გაკვირვებული შესცქეროდა.

– ჰო, მიდი, ისწავლე, რა ვუყოთ, რომ სცენაზე ვერ გამოხვალ! როცა საშუალება გექნება, მაშინ გამოხვალ. აი, მე სიმღერას ვსწავლობ. ჯარიდან რომ დავბრუნდები, აუცილებლად კონსერვატორიაში შევალ, – და თეოფილემ „დო, რე, მი, ფა, სოლ, ლა, სი“ ჩაიღიღინა.

მერცხალას გაეცინა. მართლაც, რა სასაცილოა ეს თეოფილე!...

– მასწავლეთ ცეკვა, – მეორე დღესვე სთხოვა მერცხალამ მასწავლებელს.

და მერცხალაც სწავლობს ცეკვას...

სხვებთან ერთად იმეორებს ილეთებს. ფიქრებში ბიჭი ისევ ზღვაზე ცეკვავს.

ჰო, ზღვაზე დგას, ცეკვავს და არ იძირება. ნიჭიერია მერცხალა. მერცხალივით სწრაფია და დაუდეგარი.

მაღე კონცერტი იქნება სკოლაში. მერცხალა კი ვერ იცეკვებს...

დადარდიანდა ბიჭი.

მხოლოდ თეოფილესთან ლაპარაკით იოხებდა გულს.

– ნუ დარდობ, მერცხალა ბიჭო. ყველაფერი რიგზე იქნება, – ეუბნება თეოფილე და თვალს უკრავს.

კონცერტის დღეც გათენდა.

წინა ღამით გვიან დაიძინა მერცხალამ.

თეოფილე ვერ ნახა. ამან მთლად მოუშხამა გუნება.

დილით დედამ კონცერტი გადასცა. თან რალაც მოზრდილი ფუთა დადო მაგიდაზე.

– აი, შვილო, ჩვენს აივანზე ვნახე ამ დილით, კონცერტს შენი სახელი აწერია.

მერცხალამ ჯერ ფუთა გახსნა და...

გული აუძგერდა ბიჭს, უჩვეულოდ აუძგერდა გული. ჩოხა იყო, ნამდვილი, სირმებიანი ჩოხა, ქამარ-ხანჯალიც, აზიურები, ლეკვერთხები, ყველაფერი იყო, ყველაფერი...

ახლა წერილი გახსნა მერცხალამ.

„მერცხალა ბიჭო!

ეს საჩუქარი ჩემგან მიიღე. გისურვებ დიდ წარმატებას. სხვა ნაწილში გადაყავართ და, ალბათ, მეტს ველარ განახვ.

კარგად იყავი, მერცხალა ბიჭო!

თეოფილე“.

სად ჰქონდა თეოფილეს ფული? – ფიქრობდა მერცხალა, – სად ჰქონდა ფული?

უცებ გაახსენდა:

– „თეოფილე რა უყავი შენი ოქროს საათი?“

ჰკითხა ერთხელ მერცხალამ.

– გაფუჭდა ოხერი, ჩემსავით დაუბოხდა ხმა ამ ბოლო დროს და მესაათეს მივუტანე სიმღერის შესასწავლად, – იხუმრა თეოფილემ.

დიდი ოქროს საათი ჰქონდა, თეოფილეს...

ჩემი პირველი ჯამაგირით ეს საათი ვიყიდეო, – თქვა ერთხელ.

მერცხალას ცრემლები ახრჩობს.

მამაჩემიც ასეთი კეთილი იქნებოდა, – ფიქრობს ბიჭი და ხელის ზურგით ინმენდს თვალებს.

მასხარობელი

ომი ახალდამთავრებული იყო, როცა ბრიგადირის ბიჭმა, გოგიამ, თავს უფლება მისცა და შურდული გაიკეთა. აბა, მანამდე ვის ეცალა საშურდულედ.

კაცები ფრონტზე იყვნენ. ქალები და ბერიკაცები – ჩაიში და ყანაში, ბავშვები, კიდეც... ვის უმცროსი და-ძმა ყავდა მოსავლელი, ვის ავადმყოფი დედა თუ ბებია.

წყალი – მოსატანი, სიმინდი (თუ იყო) – დასაფშენელი და დასაფქველი, ლობე – გასამაგრებელი, სახურავზე – კრამიტი გამოსაცვლელი და სკოლაში, კიდეც, მასწავლებლები ბეჯითად სწავლას და გულმოდგინებას ითხოვდნენ.

და მომრავლდნენ სოფელში უდროოდ დადინჯებულ-დაღვინებული გოგო-ბიჭები.

ვის ჰქონდა გართობის თავი, ან ვინ გაცლიდა. გადიოდა დღეები. გადიოდა გაუსაძლის მოლოდინში, ფოსტალიონის გამოჩენის საშინელ შიშსა და სადღაც, გულის კუნჭულში მოჭიატე იმედში.

და ბოლოს, როგორც იქნა, გათავდა – ომი გათავდა!

დიდებმა ჭირის დავიწყება და ამდენი ხნის განუცდელი სიხარულის გათავისება სცადეს, ბავშვებმა – ბავშვობის დაბრუნება.

ჰოდა, ბრიგადირის ბიჭმა, გოგიამ შურდული გაიკეთა. შალიკო ბრიგადირი სალსალამათი დაბრუნდა ფრონტიდან და კვლავ თავისი ბრიგადა ჩაიბარა. დედამ და ბებიამ პატარა ძმისთვის მოიცალეს და სხვა ოჯახური წვრილმან-მსხვილმანებისთვისაც. თავისუფალი ამოსუნთქვის საშუალება მიეცა ბიჭს და გაინავარდა სოფელში შურდულით. მიზანს, იცოცხლე, არ აცდენს. ვაი, შაშვების და ჩხართვების ბრალი, თუ სადმე წაახელთა.

კენჭებით ჯიბეებგამოტენილი გოგია სოფლის შარაზე მიაბიჯებდა და ხის კენწეროებს ათვალიერებდა, იქნებ რომელიმე ტოტზე სამიზნე მოვიხელთოო. უცებ, ნოე მეგრელიშვილის წვერცამეტა თხას მოჰკრა თვალი.

ამ თხამ სიცოცხლე გაუმნარა ბიჭს. ერთი ათასჯერ მაინც ეყოლება ბოსტნიდან გამოდენილი. ვერც დაუღლვამ უშველა და ვერც ლობის საგულდაგულოდ გამაგრებამ. ვერა დ ავერ დააკავა ეს ცანცარა მავნებელი.

ჰოდა, აგერ არ გამოეცხადა, როცა ხელთ შურდული უჭირავს და ჯიბეებშიც მსხვილ-მსხვილი კენჭები ურჩხუნებს?

„ახლა გიტირებ ყოფას“ – გოგიამ შურდულში მრგვალი, ბუხულა კენჭი ჩადო და მის გამამწარებელს პირდაპირ შუბლში უმიზნა, მაგრამ ბედი არ გინდა? თითქოს გულმა უგრძნოო, სწორედ გასროლის მომენტში არ გაკუნტრუშდა გვერდზე ის სამგლე და საოხრე?! არადა, მაინც და მაინც მის უკან ჩამუხლულიყო ლუკაია ჩხიკვაძე ქალამნის ყაითნების შესაკრავად. გასროლილ ქვას უკან რაღა დააბრუნებდა და ის მრგვალი, ბუხულა კენჭი, მჭახე რაკუნით ლუკაიას შუბლმა აისხლიტა.

ლუკაიამ ერთი შეკივლა და გულალმა გადავარდა.

დაზაფრული ბიჭი შურდულნაკრავს მივარდა. გოგიას უნებლიე მსხვერპლს შუბლზე იმ კენჭისხელა კოპი დასჯდომოდა, თვალებს ფინდისში მოყოლილივით ახამხამებდა და სიმწრისგან კბილებს აკრაჭუნებდა.

– ლუკაია ბიძია, ლუკაია ბიძია, – ჩასძახა აკანკალებულა ბიჭმა.

თვალეების ხამხამი და კბილების კრაჭუნი შეწყდა. დაზარალებული წამოჯდა, უკვე გალურჯებულ კოპზე ხელი მოისვა და აკივლდა:

– პატრონი არ გყავს, ხომ, შე მამაძაღლო და ღორის გაგდებულო?! შალიკო ბერძენიშვილს შენთვის ვერ მოუვლია, ბრიგადას მოუვლის მაგი?! მაცადე მე შენ, კოჭებს დაგატეხავ, შე გაფუჭებულო, მგლის არჩივო, შენ...

„შემიყრის მთელ სოფელს. რა გადაურჩება ახლა მამაჩემს“, – გაივლო გულში გამწარებულმა ბიჭმა და იმავ წუთს, კოჭებში, უკვე ფეხზე წამომდგარი ლუკაიას თხილის შოლტის სუსხმა დაურა. სხვა გზა არ იყო და გოგიამ ერთ წუთში სოფლის ბოლომდე გაიმშრალა...

...ლუკაია ჩხიკვაძე თავისი ყიამყრალობით იყო ცნობილი მთელ სოფელში. მისი ერთადერთი ბიჭი, ვარდენა, ომის დაწყებისთანავე გაიწვიეს ჯარში და იმ დღიდან გზა-კვალი არ იცოდა მისი. ამან მთლად გაამწარა და გააცოფა ისედაც ავი და ენადაუოკებელი. რა შვილი, შეარჩინდა გოგიას იმდღევანდელს! წვრილად ჩაუტაკლა ყველაფერი ბრიგადიერს.

შალიკო ბრიგადირი, სამწუხაროდ, არც უშინსკის შრომებს იცნობდა და არც მაკარენოს გვარი გაეგონა ოდესმე. სამაგიეროდ, ფრონტიდან ჩამოყოლილი ბრტყელი ქამარი ერტყა წელზე. ჰოდა, იმ

ქამრით ააჭრელა, სწორედ, სანყალი ბიჭი. ამას კიდევ მოითმენდა კაცი, მაგრამ ლუკაიას გადაკიდებას რომ სამფუთიანი ტვირთის აკიდება და თრევა სჯობდა, ეს კარგად იცოდა გოგამ. ამიტომაც ყოველმხრივ ერიდებოდა ქვეყნიერებაზე აღრენილს, მაგრამ თავად ლუკაიას რალა მოასვენებდა?

ერთხელ საგულდაგულოდ დაცული და ეკლებით შემოძქვილი საგვიანო ბალი გაუჭრიფა ვილაცამ.

ქვეყანას მოსდო ლუკაიამ – „ბრიგადირის ბიჭმა დამლუპაო“.

შალიკოს ეზო-კარში იმდენი ბლის ხე იდგა, მოკრეფას ვერ აუდიოდნენ. ამან კი – ბრიგადირის ბიჭმა ბალი მომპარაო. ვინ დაუჯერა გოგიას სიმართლე და ფიცი-მტკიცე. ისევ მოუხდა ბრტყელი, ფრონტული ქამრის ნაკვალევს მოშუშება. ერთხელ კიდევ, ძროხა დაეკარგა ლუკაიას. მთელი ორი დღე ეძებეს და, და ბოლოს, გაღმა სოფლის ტყეში იპოვეს ხეზე მიბმული. კაცმა არ იცის, ვის მოუვიდა აზრად ასეთი მამაძაღლობა. ფაქტი ისაა, რომ, ისევ და ისევ ალაღმართალ ბიჭს დაბრალდა ყველაფერი.

სიცოცხლე გაუმწარდა გოგიას. უკვე სოფლიდან გაქცევაზე და სადღაც, უგზო-უკვლოდ გადაკარგვაზე ფიქრობდა...

...კოლმეურნეობის კანტორაში გაბმით აწკრიალდა ტელეფონი. ეზოში გოგიას მეტი არავინ იყო. ტელეფონი კი წკრიალებდა და წკრიალებდა. ვინ იცის, რამდენჯერ უნატრია გოგიას ამ ტელეფონის ყურმილის ხელში დაჭერა, რამდენჯერ დაუტრიალებია ოცნებით პრიალა შავი აპარატის სახელური და ბოხი ხმით ჩაუძახნია – ალო!... და აი, რეკავს და რეკავს ტელეფონი. კანტორაში კი, არავინაა. გოგიამ სწრაფად აირბინა კიბეები და საოცნებო ყურმელი აიღო.

– ალო!

...

– მე, ბატონო, შალიკო ბრიგადირის ბიჭი ვარ, გოგია.

...

– ?!

„... ნეტავ, სად იქნება? ნეტავ, სად იქნება?...“ – ეს კითხვა უბურღავს ტვინს და მირბის, არა, კი არ მირბის, მიქრის, მიფრინავს გოგია.

„ნეტავ, სად იქნება? ნეტავ, სად იქნება?“... ბიჭს გული ამოვარდნაზე აქვს. უნდა იპოვოს, უნდა მონახოს აუცილებლად.

ნახევარი სოფელი შემოირბინა. ვერსად მიაკვლია.

„სად წავიდა, ნეტავ? სად ეშმაკებში დაეხეტება ეს კაცი?!“ – ბრაზობს ბიჭი და უცებ...

აგერ არ მოდის თავისი განუყრელი თხილის შოლტით ხელში?!

– ლუკაია ბიძია, – მიაფრთხილდა აქოშინებული ბიჭი, – ლუკაია ბიძია!

ლუკაია შედგა. თვალები მრისხანედ მონკურა და ის თხილის შოლტი კანჭებში გამეტებით უცხუნა.

– რა გინდა, შე მამაძაღლო და გაფუჭებულო?! რა გინდა, შე ქურდო და ბანდიტო?!

ლუკაიას, როგორც ჩანს, უკანასკნელი ეპითეტი მოენონა ძალიან.

– შე ბანდიტო, შე ბანდიტო, – იმეორებდა და დაუზოგავად უტყალაშუნებდა თხილის შოლტს წვივებსა და კოჭებში.

სტკიოდა გოგიას, უსაშველოდ სტკიოდა კანჭები. კიდევ უფრო სტკიოდა გული, მაგრამ იდგა და ითმენდა. იობის მოთმინებით იტანდა ამ ჯოჯოხეთს.

ბოლოს, ვინ იცის, დაიღალა თუ მოსწყინდა ეგ ზეკუცია ლუკაიას და შედგა. მარცხენა ხელის ზურგით შუბლზე მომდგარი ოფლი შეინმინდა და სწორედ მაშინ წააწყდა ბიჭის გამოხედვას. წააწყდა და გაშეშდა. გოგიას თვალებში ტკივილი ჩაბუდებულიყო. არა, თხილის შოლტით მიყენებულ ტკივილს არ ჰგავდა ეს. იგი პატარა ბიჭის გულის ტკივილი იყო, ჩიტისხელა გულის ტკივილი, უმადურობანანენევი გულის ტკივილი. სახეზე კი, მაინც ღიმილი ეფინა გოგიას და ვერ ხვდებოდა ლუკაია – ეს ღიმილი რაღა იყო, რა უხაროდა ასე გამეტებით ნაცემ და გულნატკენ ბიჭს.

– ლუკაია ბიძია, – ბიჭმა ნერწყვი გადაყლაპა, ყელსმომდგარი სლოკინი უკან გაჭირვებით ჩააბრუნა და, აქ არ ავლრიალდეო, სხაპასხუპით მიაყარა:

– ლუკაია ბიძია, თქვენი ვარდენა ჩამოსულა, კომისარიატიდან დარეკეს, პარტიზანად ყოფილა და ჩამოსულა...


„ჩემი ვარდენა ჩამოსულაო?“ – გალენჩდა ლუკაია. ტან-ფეხი ციებანატეკები კაცივით აუკანკალდა, თვალებიდან ღვარი წასკდა, ჯერ ჩაიშხლა, მერე ჩაჯდა სოფლის შარაზე.

– ჩემი ვარდენა ჩამოსულა?...

გოგია შებრუნდა, ათიოოდე ნაბიჯით დაშორდა ელდანაკრავ ლუკაიას და ახლა მისი თვალებიდან იფეთქა ღვარმა.

ღრიალ-ტირილით შევარდა შუკაში, ბალახებში პირქვე ჩაემხო და უწყალოდ ნატკენი გულისა და კანჭების მოშუშება ერთბაშად ამოხეთქილ ემოციებს მიანდო. ლუკაია კი კვლავ გალენჩებული იჯდა სოფლის შარაზე, ცრემლები ლაპალუპით ჩამოსდიოდა, კანკალებდა ციებაატანილივით და განუნყვეტლივ იმეორებდა:

– ჩემი ვარდენა ჩამოსულა!.. მაპატიე, გოგია, მაპატიე!..



ზრანი

ცხელმა, აუტანელმა ამინდმა სექტემბრის დამდეგამდე გასტანა. უკანასკნელმა ორმა დღემ კი ხავერდოვანი სეზონის დადგომა აუნყა ზღვისპირა ქალაქს. პანსიონატი „ბათუმი“ თითქმის დაცარიელდა. ნახევრად გამეჩხერდა სანაპირო, ორმოცამდე რუსი, ორი თბილისელი გოგონა და ახლახან ჩამოსული ასევე თბილისელი ცოლ-ქმარი და მათი ბავშვი წარმოადგენდნენ დამსვენებელთა მთელ კონტიგენტს, თუმცა, უნდა ითქვას, რომ პანსიონატი ათიოდე დღის შემდეგ მაინც წყვეტდა მუშაობას კაპიტალური შეკეთების მიზნით.

მაშველი ბადრი ფალავა შეზღონგში იჯდა და პროფესიული სიმშვიდით გასცქეროდა ზღვის უკიდვებანო სივრცეს. მას მოსწონდა მობინავეთა სიამოვნებისაგან გაბადრული სახეების ყურება. საღამო ახლოვდებოდა და პლაჟზე რამდენიმე რუსი დამსვენებლისა და თბილისელი გოგონების გარდა აღარავინ დარჩა. ისინიც, გაუხდელნი, წვრილსალტეებიან მაისურებსა და გრძელმაქმანებიან ქვედანელებში გამოწყობილნი, შუბლზე ინდიელებივით ზონარაკრულნი ისხდნენ ტახტზე და საუბრობდნენ. საშუალო სკოლა ახალდამთავრებული ექნებათო, – გაიფიქრა ბადრიმ.

თბილისელი ცოლ-ქმარი ბავშვთან ერთად მოგვიანებით გამოჩნდნენ. მაშველი თავიდანვე სიმპატიურად განეწყო მათდამი. მამაკაცი, ორმოცი-ორმოცდახუთი წლისა, შერიფს ჰგავდა, ჩვეულებრივი ამერიკული ვესტერნებიდან. პერანგიც შესაბამისი ეცვა, ხაკისფერი სამხრებიანი, ფართო ჯიბეებით. ბადრის ყმანვილკაცობიდან იტაცებდა ამ ჟანრის პოლივუდური ფილმები, რომლის სანყისებთან ლეგენდარული ჰარი კუპერი იდგა. მოგვიანებით კი იულ ბრუნერი და კლინტ ისთვუდი ანსახიერებდნენ მსგავს გმირებს. მისთვის „კლონდაიკი“ და „ამერიკული რომანტიკაც“ აქედან იღებდნენ სათავეს.

– საღამო მშვიდობისა, – ჩაილაპარაკა მამაკაცმა და ჯიხურში შევიდა შეზღონგების გამოსატანად, ქალს გრძელი კიმონო ემოსა,

სწორი წაბლისფერი თმები სადად დაეარცხნინილი და უკან მრგვალად შეკრული ჰქონდა. ამომავალი მზის ქვეყნიდან მოვლენილ ფერიას მოგაგონებდათ.

– ფრანი მინდა, – დაჟინებით თქვა ბიჭმა. იგი ექვსიოდე წლისა იქნებოდა, შუბლზე უსწორმასწოროდ ჩამოშლილი თმები და დიდი, ნაღვლიანი, ზღვისფერი თვალები ერთიან, ყველაზე წარმოსაჩენ შტრიხს ანიჭებდნენ მთელ მის გარეგნობას.

– გაჩუმდი, ნიკა, მამა გაგიჯავრდება, – თქვა ქალმა და მაგრად ჩაჭიდა ხელი ბიჭს, რომელიც გასხლტომას ლამობდა.

– ფრანი მინდა, ფრანი! – კვლავ დაჟინებით გაიმეორა ბიჭმა.

– თბილისში როცა დავბრუნდებით, ნორჩ ტექნიკოსთა სახლში ჩაგწერ, იქ დიდსა და ლამაზ ფრანს გაგაკეთებინებენ – კარგი?! – ქალს ისეთი დამაჯერებელი ტემბრი და მეტყველება ჰქონდა, რომ ყველაზე ველურ ულაყსაც მოათვინიერებდა, მაგრამ ბავშვი რის ბავშვი იქნებოდა, თუკი საკუთარ სიჯიუტეს დათრგუნავდა.

– დიდი აბეზარი ვინმეა, – მაშველის საყურადღებოდ თქვა მამაკაცმა, – ორი დღეა, სულ ეს წყეული ფრანი აქვს დაჩემებული, მატარებლიდან დაინახა, მწვანე კონცხის ბაქანზე ვილაც მოცლილი დამსვენებელი აფრიალებდა. დღეს ფრანს ითხოვეს, ხვალ, ალბათ, დელტაპლანს მოინდომებს, ზეგ კი ვინ იცის, კიდევ რას...

– ნუ განსჯი ასე მკაცრად, ბავშვია, – ქმრის გასაგონად ჩაიჩურჩულა ქალმა და მორიდებით გახედა ბადრის, რომელიც მონუსხა ქალის სათნოებამ და სინატიფემ. „ასეთი ქალები სიყვარულისთვის არიან გაჩენილნი“, – გაიფიქრა მან და რატომღაც მოეჩვენა, რომ ქალი და მამაკაცი არ შეეფერებოდნენ ერთმანეთს.

– ფრანი მინდა, ფრანი! – ბიჭი ღრიალებდა.

„ოცი წლის ქალები, როცა ოცდათხუთმეტი წლის მამაკაცებს მითხოვდებიან, ხშირ შემთხვევაში, მამაკაცის ასაკსა და გავლენას უფრო ემორჩილებიან, ვიდრე სიყვარულს“. – ბადრი წამოდგა და მამაკაცს მიმართა – თუ წინააღმდეგი არ იქნებით, დარჩეს ნიკა, ერთად გავაკეთებთ ფრანს.

– რა თქმა უნდა არა, – დაასწრო ქალმა ქმარს, – ქალს მოსწონდა მზით გარუჯული ახალგაზრდა კაცი, მისი ხმელხმელი დაკუნთული სხეული, მოსწონდა, როგორი გატაცებით აკვნესებდა ნუხელ საღამოს იგი გიტარას, მოსწონდა, როგორი სერიოზულობით კვებავდა პანსიონატის ეზოში მტრედებს.

– ნახევარ საათში მზე პორიზონტს გაუსწორდება, ჩვენს ვიბანავებთ, შემდეგ შეზღონებებში ჩავსხდებით და მზის ჩასვლას დავაკვირდებით. – თქვა ქალმა და სიყვარულით შეხედა ქმარს.

– იმ დროს ჩვენი ფრანიც მზად იქნება ქალბატონო, მზე ზღვაში ჩაიკარგება, მის ნაცვლად ფრანი აღიმართება ცაზე.

მამაკაცს წინააღმდეგობა არ გაუნეცია, შეიძლება, გაეხარდა კიდევ, ბიჭის პრობლემა ასე უმტკივნეულოდ, რომ გადაწყდა. ბიჭმა სიხარულისგან ტაში შემოჰკრა და მაშველს შიშველ სხეულზე აეკრა.

ბადრის ძალიან უყვარდა ბავშვობაში ფრანების კეთება, ტოლ-მეგობრებთან ერთად მრავალ სხვადასხვა ზომის ფრანს აწყობდა და იდგა უბანში მერე ერთი ყვილ-ხვილი, მთელი ცა ფრანებით იფარებოდა.

...ახლა ზღვის შტორმის დროს გამორიყული ხის ტოტებიდან ოთხი თანატოლი ჯოხი გამოთალა, თევზსაჭერ ძუათი კვადრატად შეკრა და დიაგონალები ჯოხებით გაამაგრა. კვადრატზე ძველი უცხოური ცელოფნის პარკიდან გვერდის დამაგრებას რომ მორჩა, მალულად გახედა ზღვაში მობანავე ცოლ-ქმარს, მამაკაცს ხელში ეჭირა ქალი და წყლის ზედაპირზე ათამაშებდა.

ბიჭი მაშველს ნუთითაც არ მოშორებია, ბადრიმ კვადრატს ორმეტრიან ლენტებად შეკრული საგუშაგოს დროშის ნაფლეთები მიამაგრა, შემდეგ სამკუთხედად გასკენილ ძუაზე კოჭის ძაფი მიაბა და ფრანიც მზად იყო.

სანამ ბიჭი ლენტებს ფრანზე ამაგრებდა, ბადრიმ ისევ გახედა შეზღონებში მსხდომ მამაკაცსა და ქალს, რომლებიც პორიზონტზე დაგორებულ მზის ნითელ დისკოს აკვირდებოდნენ. ბადრის განსაკუთრებულად მნიშვნელოვნად მოეჩვენა ათასჯერ ნანახი ბუნების ეს სურათი, მზე ჩვეულებრივზე დიდხანს გაიყინა უძრავად წყლის ზედაპირზე, ჩვეულებრივზე მეტი ნითელიც იყო, გარშემო შემოკრებილი მთების მსგავსი ღრუბლებიც მენამულის ნაცვლად სისხლისფრად იყვნენ შეფერადებულნი. გაუკვირდა, რადგან მანამდე ასეთი ცა მხოლოდ შორეულ აღმოსავლეთში ენახა, საზღვრისპირა რაიონში, მდინარეების უსურისა და ბიკინის ტრამალეებზე, ჯარში სამსახურის დროს.

– ნახეთ, რა ლამაზი ფრანია, – გასძახა ბიჭმა მშობლებს, მამაკაცი გაზეთს კითხულობდა, ქალი კი წამოდგა და მათკენ გამოემართა.

– ლამაზია, – თქვა ქალმა და ბადრის გაულიმა.

– შორიდან უფრო ლამაზი გამოჩნდება, ცაში, რომ დაეკიდება. – თქვა ბადრიმ. ფრანი მალლა აღმართა, ძაფი მიუშვა და სუსტ ზღვაურს მიანდო, იგი ოციოდე მეტრის სიმაღლეზე აიჭრა ცაში, ძაფის მკვეთრი მოძრაობით ბადრი მფრინავ გველეშაპივით ათამაშებდა ფრანს, ბიჭი და დედა ერთნაირი ალტაცებით იცქირებოდნენ მალლა. მამაკაცმა ერთხანს მიაქცია ყურადღება ფრანს, შემდეგ ისევ გაზეთის კითხვა განაგრძო.

– გამადლობთ, – თქვა ქალმა, – შეხედეთ, რა ბედნიერია ნიკა, ალტაცებულნი ნიკა თვითონაც ათამაშებდა ძაფს და ფრანიც აქეთ-იქით დასხლტოდა ჰაერში. აბრეშუმის ნაფლეუები ისევე იკლაკნებოდნენ ლურჯ ფონზე, როგორც მხატრულ ტანვარჯიშში ლენტებით ვარჯიშისას.

ბადრი ზღვაში შევიდა, იგი სალამოობით, შებინდებისას, ყოველთვის ცურავდა, სიამოვნებდა ლამის თბილი წყალი, ზოგჯერ ზურგზე განოლილი ცას გაჰყურებდა, უყვარდა ცქერა, თუ როგორ ისახებოდნენ ნელ-ნელა ბინდის დადგომასთან ერთად ვარსკვლავები.

კახაბრის ველზე ზღვაში ჩამდინარე ჭროხის მიერ წარმოქმნილმა დინებამ ბადრი პედინსტიტუტის წინ სანაპიროზე გამოიყვანა. საკმაოდ შებინდდა, ცოტა ხნის წინ ზღვიდან ჯერ კიდევ თუ ხედავდა ცაში დაკიდებულ ფრანს, ახლა აქედან სიბნელეში არაფერი მოჩანდა, პანსიონატის წინ პლაჟზე ორიოდე რუსი მამაკაცის გარდა არავინ იყო. ცოლ-ქმარი წასულიყო, ნიკაც წაყვანათ, აღარც ის თბილისელი გოგონები ჩანდნენ, მთელი სალამო განუძრევლად რომ ისხდნენ ტახტზე და რეზინს იღეჭებოდნენ. ფრანი ათიოდე მეტრის სიმაღლეზე ეკიდა და ძაფით პლაჟის საგუშაგოს სადროშე ანძაზე იყო მიბმული.

ბადრი სახლში წავიდა, აქვე ახლოს ცხოვრობდა, გრიბოედოვის ქუჩაზე, თორმეტსართულიან სახლში. ივანშმა, წვერი გაიპარსა, მერე ნაცრისფერი ვილვეტის შარვალი და მოკლესახელოიანი, მკერდზე ზღვისცხენის გამოსახულებიანი წითელი მაისური ჩაიცვა. ეს მაისური პოლონელმა ტურისტმა აჩუქა შარშან დელფინარიუმში მხოლოდ იმიტომ, რომ მისმა მეგობარმა, მეცნიერმუშაკმა გელამ ახლო მანძილიდან დელფინის სურათის გადაღების ნება დართო. გადაღების შემდეგ ორივენი დაასაჩუქრა.

პანსიონატის კლუბში ცეკვებზე თბილისელები მთელი სალამოს განმავლობაში არ გამოჩენილან. გოგონები მოვიდნენ მხოლოდ მოგ-

ვიანებით. ჩანდა, ოთახში ჯდომა მობეზრდათ, კუთხეში მიიყუვნენ და სიგარეტები გააბოლეს.

ბადრი ქალის ნახვის სურვილმა შეიპყრო, სურდა ენახა, მეტი არაფერი. სურდა კიდევ ერთხელ შეეხედა მისი ეგვიპტური მხრებისა და ელინური მკერდისათვის და საზღვაოსნო სასწავლებელში სწავლისდროინდელი ოცნებისათვის - ფერიდე ბერძენიშვილისათვის შეედარებინა, რომლის ფიზიკურ და სულიერ სილამაზეს ბუნების სრულყოფილებად თვლიდა.

ფოტოგრაფმა ალიმ, რომელიც შეთავსებით კულტმუშაკადაც მუშაობდა, პანსიონატში არსებულ ტრადიციისამებრ, მიკროფონში გამოაცხადა: „დაბადების დღეს ვულოცავთ ჩვენს დამსვენებელს ტიუმენის ოლქიდან, ღრმად პატივცემულ ქალბატონ ნადეჟდა ბრაგინას, რომელმაც მოინადირა ადმინისტრატორ ანთიმოზ გიორგაძის გული... ასევე ვულოცავთ ჩვენი პანსიონატის საიმაყეს, მაშველს, რომლის აქტივშიც სამი გადარჩენილი სიცოცხლეა, ელექტრიკოს-მექანიკოს, კარგ ვაჟკაცს, ბადრი ფალავას და ერთავთ ფირს მათი საყვარელი სიმღერის „ბაბილონის ცისფერი მდინარეების“ ჩანანერით. ბადრის ერთი კვირის წინ ახსოვდა, დაბადების დღე რომ ახლოვებოდა, ახლა კი მივიწყებული ჰქონდა და რატომღაც არც ესიამოვნა, ასე საჯაროდ ამ ფაქტის გამოცხადება.

მუსიკამ თბილისელი გოგონები გამოაცოცხლა, განსაკუთრებით ერთი, რომელმაც საკმაოდ პროფესიონალურად იცეკვა „Boney M“-ის ცნობილ ჰიტზე.

ცეკვების შემდეგ, ღამის თერთმეტ საათზე, ფოტოგრაფმა ალიმ ბადრი ორასმეთერთმეტე ოთახში აიყვანა ნაცნობ ქალებთან, ქალებმა სუფრა გაშალეს, დაბადების დღე მოულოცეს, მაგრამ ბადრიმ გული ვერაფრით დაუდო სუფრას, ჩვეული ოხუნჯობაც არ გამოდიოდა, არც ქალებთან დარჩენის ხალისი და სურვილი აღმოაჩნდა. შინ მიმავალმა მესამე სართულზე ცოლ-ქმრის აივანს ახედა. ეძინათ.

იმ ღამით ფრანი ესიზმრა. ფერად-ფერად-ლენტიებიანი, უზარმაზარი წითელი ფრანი.

ქარბუქი განთიადისას ამოვარდა. ცას ჯერ ნათელიც არ დადგომოდა.

– დახურული ფანჯრებიდან მკაფიოდ მოისმოდა შტორმული ქარის ძლიერი, ყურისწამლები სტვენა. „დღეს შტორმი იქნება, ბანაობის ამკრძალავი წითელი დროშა უნდა გამოკვიდო“, გაიფიქრა.

ცოტა ხნის შემდეგ ქუხილმა იმატა, მინებს სულ უფრო ხშირად სცემდნენ წვიმის მსხვილი წვეთები. წამოდგა და ფანჯრიდან ზღვას გადახედა. ზღვა შავი იყო, შავი და პირქუში, ისეთივე, როგორიც ცა, მოქუფრული და ავი. შვიდი საათი სრულდებოდა.

უცებ ფრანი გაახსენა.

– სად მიდიხარ? – ჰკითხა ცოლმა.

– ფრანს აწყვეტს ქარი, პლაჟზე უნდა გავიდე.

– რის ფრანი, რა ფრანი? – წამოწია ბალიშიდან თავი ქალმა. - კიდეც უნდოდა რალაც ეთქვა, მაგრამ ძილი მოეძალა. იგი შეჩვეული იყო კაცის ასე ადრე ადგომას და ზღვაზე გასვლას, – ხან სათევზაოდ და ხან ისე, უმიზეზოდ.

პლაჟზე რომ გავიდა, თითქმის გათენებული იყო, ფრანი აენწყვიტა ქარს, ანძაზე სველი ძაფის ნაწყვეტილა ეკიდა უსუსურად. კოკის-პირულად წვიმდა. აქედან კარგად მოჩანდა ბარის წინ გაშენებული პალმების ხეივანი, სველი პალმების გაშლილ მარაოებიდან წვიმის წყალი ისევე წვეთავდა, როგორც ჩინური ქოლგებიდან.

ბადრიმ „კიმონო“ ჯერ საქალაქთაშორისო სატელეფონო ჯიხურებთან შეამჩნია, მერე მისმა ფართო სამკლავებმა ტრიფოლიატის ხეებს შორისაც გაიღვია. ქალს ხელში ლურჯი ქოლგა ეჭირა აქეთ მოემართებოდა ხისძირიანი ქოშების ბაკუნით.

– დილა მშვიდობისა! – თქვა ქალმა მოახლოებისას, ბადრიმ უპასუხა.

– იცით, ფრანი გუშინ აქ ანძაზე დავამაგრეთ, ნუხელ პროექტორების შუქზე ვუცქერდით მის ფარფატს მე და ნიკა.

– ქარმა აწყვიტა ამ დილით.

– როგორ გგონიათ, ჩამოვარდებოდა?

– წვიმის მოსვლამდე თუ კი აასწრო ღრუბლების ფენას, მაშინ გურიის მთების გაყოლებით სამშვიდობოზე იქნება გასული, თუ არა და ზღვაში ჩაიკარგებოდა.

– ძალიან მწყინს, ფრანი რომ დაიკარგა, თანაც წვიმს... ასეთ ამინდში უცნაური სევდა მეუფლება ხოლმე.

– ჰო წვიმს... წვიმს და საეჭვოა დღეს გამოიდაროს.

– შეხედეთ ზღვას, რა ლამაზია, ტალღები ისეთივეა, როგორიც ოკეანეში, უზარმაზარი და ქაფიანი... რა სილამაზეა, – აღტაცება ვერ დამალა ქალმა.

ბადრიმ ზღვას გახედა. მართლაც ზვირთები სიმძიმისაგან სიღრმეში ადრევე იზნიქებოდნენ და ზოლი-ზოლ ტყედბოდნენ სანამ ნაპირს მოაღწევდნენ. „საოცარია, ამ ქალს სრულებით არ გააჩნია ის ამპარტავენობა და კუდაბზიკობა, არც თუ ისე იშვიათად რომ ახასიათებს თბილისის ვითომ ნაღები საზოგადოების ქალებს“. გაიფიქრა ბადრიმ.

– ნიკას სძინავს, ძალიან ეწყინება ფრანის დაკარგვა, მამუკასაც ეწყინება, ძლივს გამოექცა პაპანაქება სიცხეებს, აქ კიდევ საშინელი წვიმაა და არც პერსპექტივაა თქვენი აზრით.

– ნიკა დაამშვიდეთ, უკეთეს ფრანს გაუუკეთებ, უფრო დიდს და უფრო ლამაზს, უფრო მაღლადაც იფრენს. წვიმა კი კარგია, წვიმა სევდას და ოცნებებს აღვივებს, ქალაქიც ლამაზია მაშინ, სველი, იდუმალი და ამოუცნობი.

– წუხელ ზღვისპირა პარკიდან როცა ვბრუნდებოდით, კლუბის ღია ფანჯრიდან თქვენდამი მოლოცვა გავიგონე, მეც მოგილოცავთ „ჩაძირული გემის მეზღვაურს“. – ქალი იღიმებოდა.

ბადრის არაფერი უთქვამს და ქალმა იგრძნო, რომ რალაც მოხდა. ქალს კაცი მოსწონდა და ამიტომაც იგრძნო, რომ რალაც მოხდა.

– წვიმს, – თქვა ქალმა, – მე წავალ.

– კარგად ბრძანდებოდეთ, ახალ ფრანს მალე გავანყობ... – გამოერკვა ბადრი. ქალი წავიდა, ბადრი მანამ გაპყურებდა, სანამ კიმონოს ზურგზე გამოსახული ორი უზარმაზარი იეროგლიფი საბოლოოდ არ გაითქვიფა წვიმის წვეთებში.

– ბადრი სამი წლის წინ ჩამოეწერა ტანკერიდან... არ სიამოვნებდა, „ჩაძირული გემის მეზღვაურს“ რომ ეძახდნენ: მხოლოდ აღისგან არ წყინდა, მეგობარი თუკი გაიხუმრებდა, მისი თანაგრძნობაც შეეძლო.

– მას შემდეგ მაშველად მუშაობდა, შეთავსებით საესტრადო ჯგუფსაც ხელმძღვანელობდა მეზღვაურთა კლუბში, საცირკო სეზონის დროს კი გიტარაზე უკრავდა ცირკის ორკესტრში....

იმ დღიდან დაწყებული, სულ წვიმდა და წვიმდა, მთელი კვირის განმავლობაში გრძელდებოდა სუბტროპიკული წვიმების ფეიერვერკი, პანსიონატი თითქმის დაცარიელდა, აღარც თბილისელი ცოლ-ქმარი უნახავს მას შემდეგ ვინმეს, ისინი პირველი წვიმიანი დღის მიწურულსავე გაემგზავრნენ გაურკვეველი მიმართულებით. პანსიონატის უკანასკნელ დამსვენებლებს ტიუმენის ოლქში თხუთ-

მეტკაციანი ჯგუფი და თბილისელი გოგონები შეადგენდნენ. გოგონებს სტუმარი ჰყავდათ, ასევე თბილისელი თანატოლი ბიჭი, ბიჭს გრძელი თმები ჰქონდა და ჯინსის კოსტუმი ეცვა. იგი ჩუმად შეიპარებოდა მათ ოთახში და მთელ დღეებს იქ კლავდა – სიგარეტს ეწეოდა, მაგნიტოფონს უსმენდა და ინტერესით აკვირდებოდა როგორ ხსნიდნენ გოგონები პასიანსს.

ბადრიმ ფრანი მეორე დღესვე ააწყო, მთელი მისი გამოცდილება და ხელოვნება ჩააქსოვა. წვიმების დამთავრების შემდეგ ფრანი ძლივს გამოეცა პლაჟის ნივთების გასაქირავებელი პუნქტის კარებში. ლენტებიც გრძელ-გრძელი და შვიდფერი ჰქონდა გამობმული ცისარტყელასავით. ბადრიმ ისინი მახლობელი ტურბაზის ეზოში მდებარე სუვენირების ჯიხურში შეიძინა.

უიშვიათესი ფრანი გამოვიდა, შემდეგი ერთი კვირა ანძაზე მიმაგრებული და ცაზე გამოკიდებული პანსიონატის პლაჟს ამშვენებდა. მერე კი ბადრიმ იგი აუშვა. გონიოს მხრიდან სუსტი ზღვაური ქროდა, ფრანის სხეულს ბერავდა და ლენტებს კლაკნიდა. სქელ ძუაზე გამობმული ფრანი აწყვეტას ლამობდა, მაღალ ცას ნატრობდა და ბადრიმაც აუშვა. ფრანი შეტორტმანდა, განთავისუფლდა, მაღლა აიჭრა. კარგა ხანს მოჩანდა ცის ტატნობზე მისი ნითელი სილუეტი, მერე კი სამუდამოდ გაუჩინარდა მზის სხივებით გარშემორტყმულ, თოვლივით თეთრ, ბოლქვა-ბოლქვად შეკრულ ღრუბლებში...

იისფარი თოვლი

ადამიანებში სამყაროს სხვადასხვაგვარი აღქმა არსებობს, რეალური და ირეალური. ზოგიერთები ირეალურ სამყაროში ცხოვრებას ენევიან, ზოგიერთები კი მეტადრე ოცნებებით და ვირტუალური სამყაროთი არსებობენ და ყველა თავისი, ამ ნებაყოფლობითი კომფორტული ცხოვრების გამართლებას ცდილობს, მაგრამ ზოგჯერ ერთმანეთში აღირევა ეს ორი სხვადასხვა მცნება და ადამიანის სიურეალისტური ბუნება უკონტროლო ხდება. თვით ამ უკიდუგანო სამყაროში კი ფიზიკურად ადამიანს სხვადასხვა გარემოში უნევს ცხოვრება, სამოქალაქო თავისუფლებაში, რომელიც გარკვეულწილად პირობითია და სამოქალაქო ტყვეობაში ე.ი. ციხეში ან საავადმყოფოში. ორივეთაგან ძნელია ადამიანის ყოფა, მაგრამ განსაკუთრებით ძნელია, როდესაც ადამიანის ირეალური და ამასთანავე სიურეალისტური ბუნების სინთეზი სამოქალაქო ტყვეობის მსხვერპლი ხდება.

1993 წლის გვიანი შემოდგომა იდგა ბათუმში. დრო ერთნაირ კვალს ამჩნევს ბუნების მრავალგვაროვნებას და არც ფსიქიატრული საავადმყოფოს ეზოში არსებული, ფოთოლგაცვენილი ჭადრები წარმოადგენდნენ გამონაკლისს. შემოდგომის ნესტიანი ჰავის კვალი, კორპუსების კედლებსაც გვარიანად დამჩნეოდა.

საავადმყოფოს ერთერთი კორპუსის დერეფანში. ძლივს ცეცხლგალვივებულ თუნუქის ღუმელთან სულით დაავადებულები შეჯგუფებულიყვნენ და არაბუნებრივი გამომეტყველებით, უცნაური გრიმასებითა და მიმიკით აღსავსე მიზნედილ-მიჩვარული სახეების გათბობას ცდილობდნენ.

განუვითარებული და ცივილიზაციას მოკლებული საზოგადოებების მსგავსად აქაც ქვეყნის ამ ერთ პატარა, დასნეულებულ უჯრედშიც ჯუნგლების კანონი ზეობდა და შედარებით ფიზიკურად ძლიერებს (თუ კი შესაძლებელია ძლიერნი ეწოდოს დაბეჩავებულ, სულით ავადმყოფ ქალებს) უფრო ახლოს ეჭირათ ადგილები ღუმელთან.

გარეთ, ცივ ქარებს მოყოლილი ყვაეები ნამდაუნუმ ეშვებოდნენ ხის კენწეროებიდან და ეზოში მომრავლებულ მანანწალა ძაღლებს უერთდებოდნენ, რომლებიც თავისმხრივ შენობებთან ატუზულები, ბინადართაგან ნარჩენ სალაფავს ელოდებოდნენ, თუმცა თანდათან

რწმუნდებოდნენ მოლოდინის უიმედობაში და ცხვირჩამოშვებულნი შეთხელებულ გაზონებს შორის დანაწნალებდნენ. მართლაც თვითონ მშვიერ-მწყურვალ ავადმყოფებს ბევრი არაფერი რჩებოდათ ძაღლების სანილადოდ.

სულით სნეულები, რომლებიც ღუმელის გასაღვივებლად თუნდაც ორიოდ ხის ნაჭერს მოიტანდნენ, შეეძლოთ ცოტახნით ადგილი დაეჭირათ ღუმელის მახლობლად და შემთბარიყვნენ.

ღუმელისაკენ ერთი უსახური არსება გაემართა. საეჭვოა ვინმე უცნობს ან პირველშემხედრს გამოეცნო მისი ასაკი, სქესი და ვინაობა. ქალს საავადმყოფოს გახუნებული ხალათის ზემოდან ძველი პალტო მოესხა, თავზე იისფერი თავშალი შემოეხვია, ხელში სველი ხის ნაფოტები ეჭირა და ისე მილასლასებდა ღუმელისაკენ.

ავადმყოფები ადგილზე შეჯგუფდნენ და გზა დაუთმეს. მან როგორღაც მოახერხა ღუმელში ნაფოტების შეგდება და თავიც წამოწია. ქუთუთოებთან ნითელი და ყვითელი ფანქრებით მოხატულ თვალებში წამიერად სიხარულის შუქსხივებმა გაიელვეს და უცებადვე მინელდნენ. მერე მან სასონარკვეთილი მზერა ჭერს მიაპყრო, გრძელი და თხელთითებიანი ხელები ზემოთ, მკერდის სიმაღლეზე აღმართა, ჰაერში თარაზულად გააცურა, თითქოს როიალის კლავიშებს ათამაშებსო და უცებ მთელი სხეულით მოწყვეტით დაეცა იატაკზე. თავი ღუმელის კიდეს ჩამოკრა ძლიერად და გონდაკარგული, იქვე მყოფ სნეულთა ფეხებთან გაიშხლართა. ეს ისე სწრაფად და მოულოდნელად მოხდა, რომ ხელიც კი ვერავინ შეაშველა. ამას ვერც მოახერხებდნენ დამთრგუნველი ფსიქოტროპული წამლების ზემოქმედებით რეაქციადაკარგულები.

ავადმყოფებში ჯანსაღმა ადამიანურმა ინსტიქტებმა იმძლავრეს, უგონო ქალი ფრთხილად გადაიყვანეს პალატაში და სანოლში მოათავსეს. ზემოდან თბილი საბანი გადააფარეს და მომხდარის შესახებ მორიგე სანიტარს შეატყობინეს. სანიტარი მხოლოდ ცნობით დაკმაყოფილდა და გულწასულისთვის არ მიუხედავს, რომელიც სუსტი სუნქვით თუ ამჟღავნებდა სიცოცხლის ნიშანწყალს.

მეორე დილით ორმოციოდე წლის ნ.ი. იმავე პოზაში იხილეს სანოლში. იმ განსხვავებით, რომ აღარ სუნთქავდა, რადგან გარდაცვლილიყო.

გიორგობისთვე იწურებოდა.

ზემოდალწერილ ტრაგიკულ შემთხვევამდის რამდენიმე თვით ადრე ნახევრად უმუშევარი ჯ.ო-ს (ამ ნახევრად თავისუფალ, ბედკრულ ქვეყანაში მისი სპეციალობის ინჟინრები ნაკლებად ჭირდებოდათ) ბინის კარებზე ვილაცამ დააკაკუნა. კარები თვითონ ჯ.ო.-მ გააღო. რომელმაც დილაადრიან ამოიტანა წყლით სავსე ვარცლები ფეხით მეთერთმეტე სართულზე და ახლა რაღაც საქმეებზე წასასვლელად ემზადებოდა. კარებში მდგომ თავგადასხოტრილ არსებაში მან ნ.ი. შეიცნო.

– შეიძლება? – იკითხა ნ.ი.-მ.

– რა თქმა უნდა, შემოდი – მიუგო მამაკაცმა. ნ.ი.-მ, მეუღლე მოიკითხა, რომელიც სამზარეულოში ფუსფუსებდა. ქალი მიეგება და გადაეხვია.

– საავადმყოფოდან გამოვიპარე – თქვა ნ.ი.-მ ურთიერთმოკითხვის შემდეგ.

– რატომ? – ჰკითხა ქალმა.

– აუცილებელი საქმეები. გამომიჩნდა, ცოტა ხნით თავისუფლება მჭირდება, – ბავშვები სად არიან?

– სკოლაში ნავიდნენ დილაადრიან.

– ჰო – მრავალმნიშვნელოვნად თქვა. ნ.ი.-მ, მერე სამზარეულო მოათვალიერა და იკითხა – როგორ ცხოვრობთ, კმაყოფილი ხართ?

– არა გვიშავს, ვცოცხლობთ – უპასუხა ქალმა.

– პროდუქტებს ადვილად შოულობთ?

– შოვნით იშოვება, ყიდვა ძნელი – ისევ უპასუხა ქალმა – რაღაცას ვახერხებთ. ეკონომიურად უჭირდათ, შაქარს თუ იყიდნენ კარაქისთვის ფული ნაკლებად რჩებოდათ. ბოსტნეულის სრული ასორტიმენტის ყიდვაც უძნელდებოდათ, ხილზე რომ არაფერი ვთქვათ. მანქანაც იშვიათად გამოჰყავდათ ავტოფარეხიდან სანჯავის სიძვირის გამო, ტანსაცმელსაც ვერ იძენდნენ ძველებურად.

– ავად ხომ არა ხარ? – იკითხა ნ.ი.-მ, როცა შეამჩნია, რომ ქალი ხშირხშირად ახველებდა.

– არა, ცოტა გაცივებული ვარ – უპასუხა ქალმა. სინამდვილეში სერიოზულად ავადმყოფობდა. ფილტვების ანთებამ გართულება დაუტოვა და ხანგრძლივადაც მკურნალობდა, თუმცა აუცილებელი წამლების დეფიციტისა და სიძვირის გამო საბოლოოდ მაინც არ განკურნებულა.

– ახლავე სუფრას გაგინყობ, მშვიერი იქნები – მიმართა ქალმა. ნ.-ის მართლაც შიოდა, აღარც კი ახსოვდა როდის დანაყრდა სრულყოფილად უკანასკნელად.

ქალმა ნავთქურაზე ხორციანი წვნიანი გააცხელა და თეფში წინ დაუდო. შესაკმაზავად არაჟანიც გამოუტანა ჭიქით. წინა დღით პურის შოვნაც მოახერხა. ამ დროში შეძლებულ ოჯახებშიც ხორციანი კერძი იშვიათად კეთდებოდა, მაგრამ ის დღე, ამ ოჯახში ჩვეულებრივი არ გახლდათ.

ნ.ი.-მ ხუთიოდე წუთში მოასუფთავა თეფში და სული მოითქვა. მერე დიასახლისმა ნამცხვარი გამოიტანა და ყავასთან ერთად შეთავაზა.

– რა აუცილებელი საქმეები გაქვს? – ჰკითხა ქალმა ნ.ი.-ს და რამდენჯერმე დაახველა.

– პირველ რიგში თბილისთან უნდა დამაკავშიროთ, საავადმყოფოში ტელეფონი არ მუშაობს. თუმცა, რომც მუშაობდეს მაინც არ მომცემდნენ უფლებას.

– იქ, შენს გაქცევას, რომ აღმოაჩენენ არ დაგსჯიან? – დაინტერესდა მამაკაცი.

– მეტი რალა უნდა დამსაჯონ, ისედაც დასჯილი ვარ – თქვა მშვიდად ნ.ი.-მ. კაცმა არაფერი უპასუხა. ან რა უნდა ეპასუხა. ქალმა მრავალმნიშვნელოვნად გადახედა ქმარს,

ნ.ი. ცოლ-ქმრის საერთო მეგობარი გახლდათ. სიყმანვილე და ახალგაზრდობა ერთად გაეტარებინათ. ერთ წრეში ტრიალებდნენ. ყოველდღიურად ხვდებოდნენ ერთმანეთს ლექციებისა და სამსახურის შემდეგ. მაშინ ყველანი ერთმანეთზე იყვნენ შეყვარებულები. ერთადერთი ნ.ი. იყო, რომელზეც რატომღაც გული არავის შეეარდნოდა. ჯ.ო.-მ ვერც ნ.ი.-ს ვინმეთი გატაცების ფაქტი გაიხსენა. იგი მიუხედავად სრულიად ნორმალური გარეგნობისა, რალაცნაირად ყოველთვის მეორე პლანზე რჩებოდა. უმნიშვნელო კონტრასტს მის გარეგნობაში ჭორფლიანი სახე და მოზრდილი მკერდი ქმნიდნენ, რითაც უნდა ითქვას უცნობ მამაკაცთა ყურადღებას იპყრობდა. ხანდახან ნაქეიფარი ბიჭები შუალამით მოიკითხავდნენ ნ.ი.-ს, რომელიც ქალაქის ცენტრალურ ნაწილში ცხოვრობდა დედასა და უფროს დასთან ერთად. მამა ისრაელში ჰყავდა რეპატრიირებული. რომელი რესტორნიდან ან კაფე-ბარიდანაც, არ უნდა გამოსულიყვნენ, მის სახ-

ლთან აუცილებლად ჩაივლიდნენ, ზოგჯერ სახლშიც ენვეოდნენ, უმეტესად კი ქუჩიდან მიუმღერებდნენ ებრაელურ სიმღერებს.

ნ.ი. ეროვნებით ებრაელი გახლდათ, ხასიათი კი უფრო ქართული ჰქონდა. რწმენით როგორც სხვა, აქაური ებრაელები იუდეველი იყო. თუმცა რწმენას კომუნისტური რეჟიმი უგულვებელყოფდა. ნ.ი. ებრაელთა უმრავლესობის მსგავსად განათლებით და ნიჭით გამოირჩეოდა. მუსიკალურ სკოლაში მუშაობდა პედაგოგად და საქმის პროფესიონალი იყო. ჯ.ო.-ს კარგად ახსოვდა, როგორ დაძვრებოდნენ ბიჭები ნ.ი.-ს ეზოში ლელვის ხეზე, დაკრეფდნენ და მერე სიცილით ერთმანეთს პირში უტენიდნენ ტკბილ ნაყოფს.

ნ.ი.-ს დანახვისას ჯ.ო.-ს ყოველთვის ლელვის ხეები აგონდებოდა. ლელვის ხეები კი ლერმონტოვის ქუჩაზე პიონერთა პარკთან მდებარე, იმ ეზოს ახსენებდა, სადაც ბავშვობის წლები გაატარა. პატარა, რომ იყო ლელვს ბებია და დედა უკრეფდნენ. მერე თვითონაც ადიოდა ხეებზე. ზამთარში მთელი ეზო ხეებითურთ, თოვლით იფარებოდა. სიჩუმის საოცარი მუსიკა ისადგურებდა ირგვლივ. გალაკტიონისეული თოვლის სისპეტაკე და ქალწულებრივობაც მაშინ შეიგრძნო სრულად. იისფერი თოვლის ფიფქების ფრენაც მაშინ იხილა პირველად.

ჯ.ო.-ს კარგად ახსოვდა ნ.ი.-თან ერთად აღნიშნული დაბადების დღეები, ყოველდღიური შემხვედრები ზაფხულობით პლაჟზე, კოლექტიური სეირნობები სალამობით ბულვარზე და ვოიაჟები ქობულეთში და მწვანე კონცხზე. დასწრებები საზაფხულო თეატრში ჩატარებულ, საგასტროლოდ ჩამოსულ მსახიობთა კონცერტებზე.

– თბილისში ვისთან უნდა დარეკო? – ჰკითხა ქალმა.

ნ.ი.-მ ქალაღდის ნაგლეჯი ამოიღო ხალათის ჯიბიდან, რომელზეც ტელეფონის ნომერი ეწერა, თუმცა ზეპირადაც იცოდა და ვინმეს შუალამისას, რომ გაელვიძებინა და ეკითხა დაუფიქრებლად გაიხსენებდა. ქალმა კოდით მოსინჯა დარეკვა, ცდა ამაო გამოდგა. შემდეგ შეკვეთაც დააპირა, მაგრამ სატელეფონო სადგურიდან არავინ გამოეხმაურა.

– ცოტა მოვიცადოთ და ისევ მოვსინჯოთ. იქნებ ნაცნობობითაც მოვახერხოთ – თქვა მამაკაცმა.

– შალვა სახლში თუ დაგვხვდა კარგი იქნება – ჩაილაპარაკა ნ.ი.-მ.

– შალვა ვინ არის? – გაიკვირვა ქალმა.

– ჩემი მიჯნურია. გახსოვთ ათიოდე წლის წინათ გაიმბეთ მის შესახებ. ქალმა ვერაფრით გაიხსენა.

სამოცდათვრამეტში გავიცანით ერთმანეთი, ზუსტი რიცხვიც მახსოვს-რვა მარტს, ქალთა საერთაშორისო დღესასწაულზე. წვეულე ბაზე ვიყავით ახლო ნათესავის ოჯახში. იგი მაღალი და ლამაზი იყო. საცეკვაოდ გამინვია. გახსოვთ ყველანი იტალიურ მუსიკას ვუსმენდით მასიმო რანიერი, ჯანი დორელი, ჩელენტანო, პუპო, ცეკვის დროს ტუჩებით შემეხო, მერე პაემანიც დამინიშნა. მე ვუთხარი, თუკი სერიოზული ზრახვანი გაგაჩნია, გამგზავრებას გადავდებ მეთქი (მეორე დღისთვის მოსკოვის მატარებელზე ბილეთი წინასწარ მქონდა აღებული) მისმა ქცევამ მათქმევინა ასე, ნასვამი ძალზე აქტიურობდა. დილით გადმოგირეკავ და ყველაფერს გეტყვიო მითხრა. როცა აღარ დარეკა, მე თვითონ დავურეკე. ტელეფონით ვისაუბრეთ კარგა ხანს. საღამოს მატარებელზე გამაცილა აუცილებლად ჩამოვალ და გნახავო, დიდხანს ველარ დავუკავშირდი, თბილისში არ იმყოფებოდა.

სამი წლის შემდეგ ჩამოვიდა და მომინახულა. სასტუმროს ნომერში მეპატიჟებოდა, მაგრამ არ გავყევი. დაქორწინებულიყო, ადრევე გაცილებოდა ცოლს, მას ხომ მხოლოდ მე ვუყვარდი, ამაში დღესაც დარწმუნებული ვარ. მას შემდეგ ვუკავშირდები, მაგრამ ამ ნომერზე სხვები მპასუხობენ. აღარც კი ვიცი, როგორ მოვიქცე. საავამდყოფო-დანაც ვცადე დაკავშირება რამდენჯერმე. არაფერი გამომივიდა. არავინ უნყის, ცამ ჩაყლაპა თუ დედამინამ. ახლა გული მწყდება, მაშინ სასტუმროში, რომ არ გავყევი. სახლში, როცა ვარ ხოლმე, მაგნიტოფონზე იმ ძველ კასეტას ვუსმენ-პუპო, უმერტო ტოზი... თითქმის წაიშალა ფირი, იქნებ ჩანანერების აღდგენაშიც დამეხმაროთ.

– რალაცას მოვახერხებთ – თქვა კაცმა, რომელმაც ცოლის თხოვნით დააგვიანა კიდეც. სამსახურში ყველანი დროულად ცხადდებოდნენ, თუმცა საქმე გასაკეთებელი დიდი არაფერი ჰქონდათ. ყავას დალევენ და ზედმეტად მრავალფეროვან და არასახარბიელო პოლიტიკურ ცხოვრებას მიმოიხილავდნენ.

– ჩვენი ბიჭები როგორ არიან? გოგონების ამბავი ასე თუ ისე ვიცი – იკითხა ნ.ი.-მ

– კარგად – თქვა კაცმა – ყველა თავისი პრობლემებით ცხოვრობს.

– მეორეჯერ, მას შემდეგ ძალით, რომ წამიყვანეს ფსიქიატრიულ-ში აღარავის მოუკითხავს, ლალი თუ მნახულობს კვირაში ერთხელ. ცოლ-ქმარმა არაფერი უპასუხა. არც არაფერი ჰქონდათ თავის გასამართლებელი.

ნ.ი.-მ წამცხვარიც გადასანსლა სწრაფად და ყავის ჭიქაც გადააბრუნა ჩვეულებისამებრ სამკითხაოდ, მერე ჯიბიდან პომადა და კომუნისტების დროინდელი იაფფასიანი ოდეკალონი ამოიღო და მაგიდაზე დააწყო.

– ეს ჩემგან საჩუქრად – მიმართა გაოცებულ ქალს – დაბადების დღეს მოგილოცავ. პომადა სულ ახალია ამ დილით ვიხმარე მხოლოდ ერთადერთხელ. – თქვა მან და ნითლად მოელვარე ტუჩები წინ გამოზნიქა. თუმცა ნასადილეზე პომადის კვალიც არ აჩნდა.

– გმადლობ – თქვა დიასახლისმა და განითლდა. აღელვებისგან ხველაც გაუხშირდა. მერე დაიხარა და ლოყაზე აკოცა.

მამაკაცმა ცოლს სახე მოარიდა. ორიოდ დღის წინ ახსოვდა ცოლის დაბადების დღის მოახლოება, დღეს დილით კი მილოცვა დაავინწყდა.

– მე და შალვამ როცა ვიპოვეთ, სწორედ მაშინ დავკარგეთ ერთმანეთი. იქნებ ჯობდა სიყვარულში გამოვტყდომოდი და სასტუმროშიც წავეყოლიდი, ან რა საჭირო იყო სასტუმრო. იმოდენა სახლში ორი-სამი ოთახი ჩემია. შემეძლო სახლში წამომეყვანა. ჩემებიც არ იქნებოდნენ წინააღმდეგი. ჩვენი საცოდაობა ის არის, არ ვიცით როდის როგორ მოვიქცეთ, დრო კი უღმობელია. თანდათანობით ყველაფერს გვაცლის.

ჯ.ო.-ს თავისი სიყვარულის ამბავი გაახსენდა და სევდა მოეძალა. ცოლთან ურთიერთობაგართულებულს, რამდენიმე წელი რომანი ჰქონდა ქვრივ ქალთან, რომელსაც ბევრი რამ შეჰპირდა, მაგრამ ცოტა თუ შეუსრულა. ქალი ნაკლებად გრძნობდა მამაკაცს მის გვერდით. იგი, თითქმის მარტოდმარტო ატარებდა ზამთრის გრძელ საღამოებს, ლამფის შუქზე ფართოდ გავრცელებული ბულვარული რომანებისა და დეტექტივების კითხვასა და ჯ.ო.-ს ლოდინში. მერე ქალმა სძლია საკუთარ თავს და მშობლიურ, შორეულ ქალაქში დაბრუნდა. კაცს მიაჩნდა, რომ ქალმა იგი მაშინ მიატოვა, როდესაც ყველაზე მეტად ჭირდებოდა. ახლა ის ქალი, ალბათ სხვა ცხოვრებით ცხოვრობდა და აღარც კი ახსოვდა იგი, თუმცა ვინ იცის...

ჯ.ო.-მ ველარ გაიხსენა თუ როდის აუხსნა ცოლ-ქმარმა უკანასკნელად ერთმანეთს სიყვარული. ხუთი... შესაძლოა ათი წლის წინათ. ერთმხრივ, სიყვარულს ისევე სისტემატურად ჭირდება ახსნა და მტკიცება, როგორც ოთახის ყვავილებს მორწყვა, მეორე მხრივ კი ზედმეტი წყალიც მავნებელია ყვავილისათვის. ვინ იცის, სად იმალება ჭეშმარიტება – ფიქრობდა კაცი. ამასთანავე მიაჩნდა, რომ სიყვარულის ფორმულის შინაარსი, ფაქიზ გრძნობებსა და სექსის ერთობლიობაში გამოიხატებოდა, რომ არ არსებობდა სრულყოფილი სექსი უსიყვარულოდ ისევე, როგორც იდეალური სიყვარული სექსის გარეშე...

შალვასთან სატელეფონო კავშირის უპერსპექტივობის მიუხედავად მამაკაცმა და ქალმა აღარ გაუტყუეს ნ.ი.-ს ხათრი და კვლავაც მრავალგზის სცადეს დარეკვა, თუმცა ისევ უშედეგოდ.

– შეიძლება იქეთ ოთახში გავიდე? – იკითხა მოულოდნელად ნ.ი.-მ

– რა თქმა უნდა – უპასუხა დაუფიქრებლად ქალმა. ნ.ი. წამოდგა და სამზარეულოდან გასასვლელი კარებისაკენ წალასლასდა.

„საკვირველია, როგორ შეძლო მეთერთმეტე სართულზე ფეხით ამოსვლა“ გაიფიქრა ქალმა. ლიფტი უშუქობის გამო არ მუშაობდა. კაცს ეგონა ნ.ი.-ს საპირფარეოში შესვლა სურდა, მაგრამ მან ზალის ოთახისკენ შეუხვია. ცოლ-ქმარმა მრავალმნიშვნელოვნად გადახედეს ერთმანეთს. მოულოდნელად სივრცე ფორტეპიანოს ჰანგებმა შეავსეს. ნ.ი. უკრავდა. კაცს ეცნო მელოდია, მაგრამ ვერაფრით გაიხსენა ნაწარმოები. „რა კარგად ასრულებს“ გაიფიქრა მან. ქალმა უცებ იცნო ჩაიკოვსკის შემოდგომის სიმღერა „წლის დროებიდან“. „რა არარიტმულად და ნერვიულად უკრავს“ გაიფიქრა ქალმა (ქალი მუსიკოსი იყო, ის და ნ.ი. ერთად სწავლობდნენ მუსიკალურ სასწავლებელში).

შესრულების ცალკეული მონაკვეთები სისადავითა და ნატიფი ბგერებით გამოირჩეოდა, ნაწილი კი სავარჯიშოებს უფრო ჰგავდა. თითქოს ორი სხვადასხვა ადამიანი უკრავდა. ცოტა ხანში მუსიკა ისევე მოულოდნელად შეწყდა, როგორც დაიწყო და ნ.ი. სამზარეულოში დაბრუნდა.

– დიდი ხანია აღარ დამიკრავს, თანაც მგონი ინსტრუმენტი ასაწყობია.

– ჰო, მეც ასე ვფიქრობ – თქვა ქალმა.

კაცს უნდოდა ეთქვა ერთი თვის წინ ავანყვეთო, მაგრამ ქალს, რომ შეხედა გადაიფიქრა. ქალს ახსოვდა ნ.ი. ოდესღაც აბსოლუტური სმენით გამოირჩეოდა და თვალები ცრემლებით ავესო.

– მე წავალ, საავადმყოფოში დავბრუნდები – თქვა ნ.ი.-მ

– მოიცადე, რალაცეებს გაგატან – უთხრა ქალმა – იქნებ ტანსაცმელიც გამოგიძებნო. მერე გაელიმა – თუმცა შენ რომ ტანსაცმელი გაქვს, ბევრს შეშურდება.

მართლაც, ნ.ი.-ს გარდერობი მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა. მისი კარადა ბრწყინავდა მამის მიერ ისრაელიდან გამოგზავნილი ქურქებით, კაბებითა და ფეხსაცმელებით.

– იმ ტანსაცმელს იქ არავინ დაგანებებს, არც სამედიცინო პერსონალი და არც ავადმყოფები. იქ ყველა ერთნაირი და თანასწორუფლებიანია – თქვა ნალვლიანად ნ.ი.-მ.

– რალაცას მაინც გამოგინახავ...

– არა, არაფერი მინდა, მხოლოდ თუ შეიძლება ორიოდ ნამცხვარს წავიღებ, ტკბილეული მომენატრა.

კაცს უცებ მოაგონდა შარშანწინდელი შემთხვევა, როდესაც იმავე დანესებულებაში მრავალი წლით გამოკეტილი მეზობელი ნიკა სახლში დაბრუნებული პირველად საშაქრეს ეძგერა და სულ ერთიანად გამოცალა.

– ყველა ნაილე. ქალმა ნამცხვრები სწრაფად შეუხვია თეთრ ქალაქში და ცელოფნის პარკში ჩაუდო.

– და კიდევ ერთი სათხოვარი მაქვს.

– თქვი, ნუ გერიდება.

– ბამბა მომეცი თუ შეიძლება. იქ არც ბამბაა და არც არაფერი.

ბამბა არცერთ მაღაზიასა და აფთიაქში არ იშოვებოდა. ქალს რამდენიმე შეკვრა ჰქონდა შემორჩენილი, ამიტომ სწრაფად გამოალო განჯინა და ორი ცალი პარკში ჩაუდო.

– წამლებს თუ ღებულობ – დაინტერესდა ქალი – იქნებ რომელიმე წამლის შოვნა გიჭირს, ჩვენ ვიშოვით და მოგიტანთ.

– არავითარი წამლები მე არ მჭირდება, თქვენ ხომ იცით, რომ ჯანსაღი ვარ. ისინი სულ ერთიდაიგივე წამლებს მაძალებენ, სურთ მუდამ მძინარე და დათრგუნული მამყოფონ. სიმართლე თუ გინდათ იცოდეთ, ნახევარს რასაც მაძლევენ, საპირფარეოში ვყრი. გამაბრ-

უებელ წამლებს ისა სჯობს, მკებენარების სანინააღდეგო საშუალებები ჩამოგვირიგონ.

– ცუდად გექცევთან, მარცხენა ყვრიმალღ რატომ გაქვს ჩალურჯებული? შენ ხომ არასოდეს ყოფილხარ კონფლიქტური, – შენ უხდა დიასახლისი.

– თქვენ ვერასოდეს გაიგებთ თუ რა ხდება იქ, თუმცა მანც არ დამიჯერებთ, საკუთარი თვალღთ უნდა იხილოთ ყველაფერი. ეს კი სანიტარების ნამოქმედარია – არ მოწონთ ჩემი ჰუმანურობა და რჩევა-დარიგება – ზნეობასა და ადამიანთა უფლებების შესახებ.

ერთხანს ყველანი გაჩუმდნენ. ქალი მოიღუშა და ღრმად ჩაფიქრდა. კაცმა სანიტარებისათვის საქმის გარჩევა ჩაიფიქრა, მაგრამ ხმა-მალღა არაფერი უთქვამს.

– წამლები დაღიე, დამშვიდღი და მალღე სახლში გაგიშვებენ, მუსიკასაც დაუბრუნდები. შენი ადღიღიც ყოველთვის მოიძებნება სკოლაში.

– აღარაფრის იმეღი აღარ შემრჩა. უკანასკნელი იმეღი შალვაღღა. იგი თუ დაიხსნის ჩემს დატყვევებულ სულს საკუთარი დეღა და დაც ვეღარ მიგებენ, ყველანი ჩემს წინააღმდეგ მოქმედებენ, ჩემს სიკვდიღლს ნატრობენ მხოლოდ. მოვა დრო და აუსრულდებათ აღბათ სურვიღღი.

– ნუ ლაპარაკობ ასე. ნუ იჩხუბებ მათთან და ყველაფერი კარგად იქნება.

– მთელ ლამეებს თერთად ვათენებ, თავის ტკივიღღებით ვიტანჯები. ვიღაცეები ლურსმნებით ჭედავენ ჩემს სხეულს.

– დამშვიდღი და წამლები მიიღღე სისტემატურად, მეტად ნულარ გადაყრი ჩვენც მოღინახუღღებთ დროდადრო.

ქალმა ნ.ი. კარებამღღე მიაციღღა და გამოემშვიდობა. ქმარს კი მისი საავადმყოფოში მანქანღღთ მიყვანა სთხოვა. ჯ.ო.-მ ავტოფარეხიდან მანქანა გამოიყვანა, ნ.ი. ჩასვა და ქალაქგარეთ, საავადმყოფოს მიმართუღღებით გაემგზავრა.

ბენზინის გასამართ სადგურს როცა გასცდნენ და კომერციულ მაღაზიას გაუსწორდნენ, ნ.ი.-მ მანქანის შეჩერება სთხოვა, კაცმა დაამუხრუჭა.

– თუ არ გენყინება, კიდევ რაღღაც მინდა გთხოვო, – მიმართა კაცს.

– ბრძანე, რაც შემეძღღება შეგისრუღღებ.

– ამ მაღაზიაში კაპრონის შავი წინდები იყიდება ძალიან მჭირდებამ ფული კი ვიცი არ მეყოფა. სხვისი იმედიც არა მაქვს.

– ახლავე გიყიდი რა ღირს?

– მამაკაცმა ყოველთვის უნდა იცოდეს რა ღირს ქალის წინდები, – გაიცინა ნ.ი.-მ.

– ახლავე გადავალ და ვიყიდი.

– არა, მე თვითონ ვიყიდი. მამაკაცმა ქალს მაშინ უნდა უყიდოს წინდები ან სხვა საჩუქარი, როცა ქალი არ ელოდება. მაშინ აქვს მას განსაკუთრებული ხიბლი.

– აი ორი ათასი მანეთი, საკმარისია? – კაცმა ქვეყანაში მოქმედი რუსული ფული გაუნოდა.

– საკმარისია, გმადლობ. – ფული ჩამოართვა და მანქანიდან გადავიდა.

– არ დამელოდო, აქედან საავადმყოფომდე რამდენიმე ასეული მეტრია. მე თვითონ მივალ, ნახვამდის.

– ნახვამდის, თუ რაიმე დაგჭირდა დაგვირეკე.

– შალვასთან დაუკავშირდით, ნამიყვანოს აქედან. ყველაფერზე თანახმა ვიქნები მეტი აღარ შემიძლია.

ნ.ი. მაღაზიაში შევიდა. კაცი აღარ დაელოდა, მანქანა მიაბრუნა და ქალაქისაკენ აიღო გეზი.

გიორგობისთვის დამლევს, როცა ინჟინერის ოჯახი ლამფის შუქზე ნავთქურასთან თბებოდა საღამოს ჩაის მოლოდინში, ტელეფონმა დარეკა. იგი უშუქობის ფონზე გარე სამყაროსთან დამაკავშირებელ ერთადერთ ნივთს წარმოადგენდა ბინაში. ყურმილი ქალმა აიღო. ავისმომასწავებელი სიჩუმე ჩამოვარდა. ვილაცამ ცუდი ამბავი ამცნო ქალს. კაცი ამას უსიტყვოდ მიხვდა.

– რას ამბობ, როდის, როგორ, საცოდავი ნ.ი. – ქალს თვალები აუცრემლიანდა და კარგა ხანს ველარ დაწყნარდა. ხველაც დიდხანს გაუგრძელდა.

– ნ.ი. გარდაიცვალა საავადმყოფოში. ლუმელის კიდეზე თავი ჩამოუკრავს. დილით მკვდარი უნახავთ სანოლში, საშინელი ამბავია, ზეგ ასაფლავებენ.

– საცოდავი, – თქვა კაცმა.

– შენ ხომ იცი, როგორი კარგი გოგო იყო. ბევრ ჯანსაღ ადამიანს ჯობდა. არასოდეს გამიგია მისგან ვინმეს ძაგება და გაჭორვა. ძალი-

ან ტაქტიკური და თბილი იყო. არავისთვის არაფერი დაუშავებია. რატომ განირა ასე განგება. ჩვენც ვერ მივაქციეთ ყურადღება, გვერდით ვერ დავუდექით. დასწყევლოს ეშმაკმა.

– ტელეფონის ნომერი სადღაა? – იკითხა კაცმა

– რომელი ნომერი?

– ნ.ი.-მ რომ დაგვიტოვა, შალვასი. მაშინ მთხოვა დამერეკა, მაგრამ სულ გადამავინწყდა.

– იქ ძვეს ცისფერ კოლოფში, მაცივრის თავზე, მაგრამ აღარ არის საჭირო. გავიგე ასეთი პიროვნება მართლაც არსებულა – თქვა ქალმა – ლალიმ მითხრა ამის შესახებ. ორი წლის წინ ხელმეორედ დაქორწინებულა და ცოლშვილით ისრაელს გამგზავრებულა და საერთოდ შალვას არასოდეს უფიქრია მასზე სერიოზულად.

კაცმა ფანჯარაში გაიხედა. მთელი ქალაქი წყვდიადს მოეცვა, ქალაქის საზღვრისპირა მთაზე ენთო მხოლოდ რამდენიმე ნათურა.

– ხვალიდან გრაფიკით მოგვანოდებენ ელექტროენერგიას.

– რომელ საათებში? – იკითხა კაცმა.

– ამბობენ გრაფიკით შუქი სისტემატურად გვექნებაო, მაგრამ წყლის საკითხია მოსაგვარებელი. მობინადრეთა ნაწილი ფულს ვერ იხდის ძრავის გადასახვევად. ხვალიდანვე უნდა იზრუნო, თორემ საახალწლოდ უწყლოდ დავრჩებით. ჩვენი პასიური მეზობლები არაფერს იღონებენ. ვერ გამიგია, როგორ ცხოვრობენ უწყლოდ – ანუ უნუნდა ქალი. ისევ გაჩუმდნენ, როგორც იქნა ნავთქურაზე ჩაიდანი ათუხთუხდა.

მერე, როცა ლიმნიან ჩაის სვამდნენ კაცი ნ.ი.-ზე ფიქრობდა. დაკრძალვაზე ყველანი შეიკრიბებოდნენ, მეზობლები, ძველი თანამშრომლები, თხუთმეტი წლის წინ უნახავი მეგობრები, ნათესავები. მერე კი ნ.ი.-ს სულს დაცილებული ქალწულებრივი, მამაკაცხელმიუალერსებელი სხეული მარტო დარჩებოდა სამუდამოდ, წყვდიადის სამეფოში, ისეთივე მიუსაფარი და მიტოვებული, როგორიც სიცოცხლეში იყო, თუმცა უაზრო სამოქალაქო ომის შემდეგ ამ ქვეყნის უბადრუკ ხელისუფალთ ნ.ი.-ს მსგავსად ბედის ანაბარად ჰყავდათ მიგდებული მრავალი გაჭირვებული თანამოქალაქე, რომლებიც ამ საერთო უბედურების ჟამს სულს ლაფავდნენ.

ხვალ საავადმყოფოს ეზოში ერთიანად შემოძარცვული ჭადრები კვლავაც შეეცდებოდნენ ხშირი წვიმებისაგან შეჯერებული ნესტია-

ნი ჰავის, ნაადრევი სუსხისა და ჩრდილო-დასავლეთის ქარების მოგერიებას. ყვავები ისევ გაერეოდნენ სიცივისა და შიმშილისაგან მოძაგდაგე, ფერდებჩაცვინილ ძაღლებს შორის.

საავადმყოფოს ერთ-ერთი კორპუსის დერეფანში კი, ძლივს მბუუტავი თუნუქის ლუმელთან კვლავ შეჯგუფდებოდნენ შიზოფრენიით, პარანოიით, ანდროფობიით თუ სხვადასხვა „ფობიებით“ შეპყრობილი ავადმყოფები და ისევ არაბუნებრივი გრიმასებითა და მიმიკით აღსავსე მიბნედილ-მიჩვარული სახეების გათბობას შეეცდებოდნენ.

ვილაცას ულხინდა, უმრავლესობას კი უჭირდა.

– გიყვარვარ? – შეეკითხა ქმარი ცოლს, როცა ისინი დასაძინებლად დანვნენ. ქალმა გაოცებით გადახედა და ხველებით დასტურის ნიშნად ოდნავ თავი დაუქნია.

– მითხარი, რომ გიყვარვარ, – დაიჟინა კაცმა.

– შენ რა გაგიჟდი, რა დროს სიყვარულია ამ უშუქობის, უწყლობის და ულიფტობისას, ასეთ სიცივესა და ყინვაში, – ნანწყინი ტონით თქვა ქალმა და კაცს სანოლში ზურგი შეაქცია. კაცმა აღარაფერი უპასუხა. კარგა ხანს ინრიალა შემდეგ, მაგრამ ვერაფრით დაიძინა. ერთ ხანს მცირე ძაბვის გამო დამწვარი წყლის საქაჩი ძრავის გადახვევაზე ფიქრობდა შემდეგ კი ბავშვობის დროინდელ მეგობრები წარმოუდგა თვალეზაბახუჭულს, რომელთაგან ბევრი უკვე ცოცხალიც აღარ იყო. წუთით ის ქალიც გამოეცხადა, მაშინ რომ დაჰკარგა და რომლის ლამაზ სახესა და ხორცსავსე თქმობებს ალბათ ახლა სხვა დაჰპატრონებოდა. მერე ბავშვობის ეზოც იხილა. ეზოში ბებია ფუსფუსებდა და ლელვის ხის იისფერ ნაყოფს აწვდიდა.

ღრმადწაძინებულზე კი გალაკტიონისეული „იისფერი თოვლის ქალწულებივით ხიდიდან ფენა“ ესიზმრა. ქალწული ნ.ი.-ც იისფერ ფიფქებს შორის დაჰფარფატებდა. გრძელი, თოვლისფერი საქორწინო კაბა ეცვა. თმებზეც იისფერი თოვლი ეფინა გვირგვინად.

გადაშუალამებულზე 1993 წლის ქრისტეშობისთვე დგებოდა. იმ ღამით პირველი თოვლი მოვიდა ბათუმში.



თავშესაქცევი აზვები

ოთარა

ჯარიდან ნაადრევად დააბრუნეს სადღაც დაკარგულიდან. არა-და სახლში იმედიან წერილებს აგზავნიდა. თავისი იმჟამინდელი მდგომარეობით კმაყოფილც ჩანდა., ახლა კი ორმა რუსის ჯარისკაც-მა ოჯახს შექანებული ოთარა ჩამოუყვანა...

ჭორი ელვის სისწრაფით გავრცელდა სოფელში: თითქოს გენერლის მძლოლი ყოფილა და საქმე მის ცოლთან დაუჭერია. განრისხებულ გენერალს სულ სხვა მიზეზით (აბა, იმას ხომ ვერ გაამჟღავნებდა, ცოლი გამიბახაო) ოთარა სამხედრო ტრიბუნალისთვის გადაუცია. ოთარა შიშისგან ჭკუიდან გადასულა.

სოფელში გულკეთილებს მაინც ებრალებოდათ ოთარა, გულცი-ვები კი ნიშნისმოგებით ამბობდნენ: – გენერლის ცოლი მაგას ისაკიე კუნტის თვალგატეხილი ასინეთა ხომ არ ეგონა, ყველა ხის ძირში რომ აკოტრიალებენ კაცებო...

ოთარას გულშიც არ გაუვლია გენერლის ცოლთან არშიყობა. გენერალი ხშირად იღუშებოდა (და არა მარტო გენერალი). საკუთარი თვალით ბევრჯერ უნახავს დილაობით როგორ კრებდა სამხედრო საპატრულო მანქანა გზისპირად ჩაძინებულ ჩინოსნებს. ოთარას ხშირად მიუყვანია მთვრალი გენერალი სახლში და, ბუნებრივია, მისი ცოლიც მაშინ გაუცვნია. ქალი ხორციანი და სანდომიანი ყოფილა, თვალში მოსვლია ჩვენი ოთარა და სამიჯნურო ამბებიც დატრიალებულა, მაგრამ ერთხელ კოკა გატეხილა და წყალიც აღარ მოუტანია...

სოფლის ბრძენისა და გიჟისა მოგეხსენებათ... ბრძენი კოლმეურ-ნეობის თავმჯდომარე შალვა ლიპიანი იყო. აბა სოფლის თავკაცად ვინ აირჩვდა? ასე რომ, ბრძენის პრობლემა სოფელში ყველა დროში მოგვარებული ჩანდა. რაც შეეხება გიჟისას, მისი დეფიციტი ხშირად

იგრძნობოდა. ავიღოთ უბრალო სტატისტიკა: ბოლო გიჟი ერმილე ფეხუცა სამი წლის წინ გარდაიცვალა და თქვენ წარმოიდგინეთ, ამ დროის მანძილზე სოფელი გიჟის გარეშე ცხოვრობდა. მაშინ ის იყო ტელევიზორი შემოდოდა, მანამდე მის ფუნქციას სოფლის გიჟები ინანილებდნენ და ხშირად მხიარულ ცოცხალ შოუებსაც მართავდნენ...

ერთი სიტყვით, ოთარას შექანება სოფელს დიდად არ სწყენია: ახლა მას თავისი გიჟიც ჰყავდა და ბრძენიც, ხალხი ხომ იყო და იყო. ერთიცაა: სოფლის გიჟი პოპულარობით აჭარბებდა სოფლის ბრძენს. შალვა ღიპიანი თავმჯდომარე იყო და შიშის გამო ეპირფერებოდნენ, ოთარა შექანებული კი მართლა უყვარდათ.

ოთარას პოპულარობა სოფელში მას შემდეგ უფრო გაიზარდა, როცა ერთხელ გზად გადაყრილ შალვა ღიპიანს ზურგში თხილის შოლტი გადაუნვინა...

ოთარა, გონებაარეულობის მიუხედავად, ბავშვსაც არ აწყენინებდა უმიზეზოდ, თუმცა უმიზეზოდ იცინოდა და მღეროდა. სწორედ ეს სიმღერა გახდა სოფლის ბრძენისა და სოფლის გიჟის კონფლიქტის მიზეზი.

იმ დილით, უფრო სწორად დილაუთენია, ნოემბრის მინურულს ხალვათად ჩაცმული ოთარა სოფლის ძროხებს მიდენიდა გურვან-რთში. სწორედ მაშინ შეეჩეხა სოფლის ორღობეში თავმჯდომარეს.

– რა გემღერება ან სიცივეში, შე უბედურ დღეზე გაჩენილო?.. მაგ შარვალს ვერ შეიკრავ, ყველაფერი გარეთ რომ გადმოგილაგებია?

ოთარამ ხვანჯარზე დაიხედა, ვითომც აქ არაფერიო, თავმჯდომარეს ღიმილით მიუგო: – გუშინ ბარდებში გავები და... – წინადადება აღარ დაუსრულებია.

– ცოტა ჭკუას მოუხმე, თორემ ისევ საგიჟეში გიკრავ თავს, შე ღვთის გლახავ! – დაემუქრა თავმჯდომარე და გაშორდა.

ოთარას უკვე ეწვინა ფსიქიატრიული საავადმყოფოს სიკეთე და იქ მეორედ მოხვედრას სიკვდილი ერჩინა. თავმჯდომარის სიტყვებზე სახე გვერდზე მოექცა, ტუჩებზე დუჟი მოადგა, თვალები აენტო, მხეცივით დაიღმუილა და ადგილიდან მოწყდა. მერე რაც მოხდა, უკვე იცით.

საგიჟეთს მეორედაც ვერ აცდა. ამასობაში შალვა ღიპიანი სხვა სოფელში გაუშვეს თავმჯდომარედ და ოთარაც გამოიყვანეს საავა-

დემოფოდან. სოფლის ბრძენი შალიკო ცხვირა გახდა, ოთარა შეიბრაღა და პატარა ხელფასიც დაუნიშნა.

სისხამზე ოთარა ფეხზე იდგა, თავისი განუყრელი სიმღერით ძროხებს მიერეკებოდა, საღამოთი უკან მოერეკებოდა და ეს ნუთი-სოფელიც მიდიოდა.

ერთ დღეს ოთარა საძოვრებიდან აღარ დაბრუნებულა. რკინიგზის გადასავლელზე მატარებელმა გაიტანა...

გულწრფელად დაიტირა სოფელმა თავისი კეთილშობილი გიჟი, პატივით დაკრძალა და საფლავზე მისი პორტრეტის მარმარილოს დაფაც დაუდგა წარწერით: „ოთარა შექანებული. 1941-1967“.

გედეონა მენავთე და დათიკო ურია

სოფელში მათი გამოჩენა მოვლენად იქცეოდა ხოლმე.

ჯერ გედეონა მენავთეზე გეტყვით...

ერთი უსახური და გონჯი ვინმე გახლდათ: საშუალოზე დაბალი, არაბივით შავი. მარცხენა თვალი მარჯვენაზე დიდი ჰქონდა და მისი მზერა ბავშვებს შიშის ზარს გვცემდა.

ძუნწი კაცი იყო გედეონა მენავთე, სოფელ-სოფელ ცხენშებმული ფორნით ნავთით სავსე ავზს დაატარებდა, ჩამოხეულ-ჩამოძონძილი დადიოდა, არადა ამბობდნენ, ქალაქში საკუთარი სახლიც აქვს და შეძლებულადაც ცხოვრობსო...

სოფლის შუკაში გამოჩნდებოდა თუ არა, უმალ ხმა გავარდებოდა, გედეონა მენავთე მოდისო და ნავთის ბიდონები ქუჩაში გამოეფინებოდა. მერე იყო ერთი ჩხუბი და აყალმაყალი – გედეონა მენავთე ნავთს ნისიად არავის აძლევდა. ბოლოს მოთმინების ფიალა აევსებოდა, ავარდებოდა ფორანზე, თავის ჯაგლაგა ცხენს მათრახს გადაკრავდა და ძვირფასი ტვირთით ადგილიდან მონყდებოდა. ქალები ცარიელი ბიდონების ქნევით და უშვერი სიტყვებით მიაცილებდნენ გაავებულ მენავთეს:

- ნავთში ვნახე დამხრჩვალ შენი ცოლშვილი!
- ნავთი დაღია შენმა პირმა!
- ნავთი ჩაგაყოლე კუბოში!

გულგამყოლი არ იყო გედეონა მენავთე. მალე ორღობეში ისევ აყვირდებოდნენ ბავშვები:

– გედეონა მენავთე მოდის!

– გედეონა მენავთე დაბრუნდა!

მერე ყველაფერი ძველი სცენარით აენწყობოდა ხოლმე: გედეონა მენავთე გარბოდა, უკან აღელვებული სოფელი მისდევდა: – შენ არ მიაღწიე სახლამდე, გედეონა მათხოვარო!

ერთხელ გედეონა მენავთის როსინანტს ვილაცამ სადგისი ატაკა. დაფეთებული ცხენი ფორნიანად გაიჭრა შარაზე და ძაბრიანი გედეონა მენავთე გაოგნებული დატოვა. ფორანს კი გამოედევნა, მაგრამ რაღას დაენეოდა...

მერე თქვეს, ნავთის გაყიდვას თავი დაანება და ძველმანებით ვაჭრობსო. ზოგმა – ცოლი გაექცა და მისი ფულებიც თან გაიყოლაო, ზოგმა – კიდეც რა და კიდეც რა...

ერთი კია, ამ დღის შემდეგ გედეონა მენავთე სოფელში არავის უნახავს...

ის კი...

სადაც გამოჩნდებოდა, მხიარულებაც იქ იყო. ბავშვები ხომ უყვარდა და უყვარდა. ახლა ქალებისას არ იტყვიო: ისე ჰყავდათ მიღებულნი, როგორც შინაური. მასთან ისეთ თემებზეც საუბრობდნენ, წესით რომ არ უნდა ელაპარაკათ...

ყველა იცნობდა – დიდი და პატარა. დათიკო ურიას ეძახდნენ. ერთხანს ბავშვებს ურია გვარი გვეგონა. ზედ თავის დუდზე უცნაური პატარა ქუდი ჰქონდა წამოსკუპებული. იმ დროს სოფელში სახის საუკეთესო კოსმეტიკურ საშუალებად ფერუშმარილი ითვლებოდა. დათიკო ურიაც ფერუშმარილის შემზადების ოსტატი გახლდათ. როცა საქმეში ჩაერთვებოდა, მთელ ეზოკარში სპეციფიკური სუნი დგებოდა, ხელის მტევნებზე სულ დაყვითლებული ჰქონდა წამლისგან...

ქალები მის თვალწინ იღებებოდნენ, იყო ერთი გნისი და მხიარულება.

ბავშვებს კანფეტებს გვჩუქნიდა. კეთილი კაცი იყო დათიკო ურია...

ერთ დღეს ვილაცამ ამბავი მოიტანა, დათიკო ურია მოკვდაო, რაც სოფელში ფერუშმარილის ხანის დასრულებასაც ნიშნავდა... ქალებზე მეტად ამ ამბავს ბავშვები განვიცდიდით, თუმცა ჩვენ ვინ რას გვეკითხებოდა: ცხოვრება თავისი გზით მიდიოდა...

იანუსი

დილაუთენია უკვე ოზურგეთში ვართ. სწორედ იქ, საიდანაც ავტობუსები და მსუბუქი ავტომობილები კურორტ გომის მთისკენ გადიან.

ზედვე ეტყობა, აგვისტოს ის დღე ძალიან ცხელი იქნება.

ჩვენ ორნი ვართ – მე და ჩემი სიმამრი – სოსო. არჩევანი არ გვაქვს: რომელი მანქანაც პირველი გავა, იმას გავეყვებით.

ახალგაზრდა კაცი მოდის და გრძელცხვირიან ავტობუსში გვეპატიჟება. ფასზეც ვრიგდებით: კაცის თავზე ათი მანეთი.

ნახევრადშეესებულ ავტობუსში ადგილებს ვიჭერთ და სხვა მგზავრებს ველოდებით.

– სანამ ყველა ადგილი არ შეივსება, არ დავიძვრებით! – აცხადებს მძღოლი.

გადის ათი წუთი.

– არ მივდივართ, კაცო! – ლელავს წინ მჯდომი ლოყებლაჟლაჟა, მსუქანი ტიპი და დაცვარულ სახეს ცხვირსახოცით იმშრალებს.

– შენი ათი მანეთი ეყოფა ჩემს ცოლშვილს... შეივსება ავტობუსი და წავალთ! – როყოფს ამბობს მძღოლი და სიგარეტს უკიდებს.

ლოყებლაჟლაჟა სკამზე ვერ ისვენებს, მერე კუბოკრულ ცხვირსახოცს თავზე იფენს და ყუჩდება. როგორც ჩანს, თვლემს...

ორი მგზავრი გვემატება.

– კიდევ ორი და ჰერი გომის მთისკენ! – ზეიმობს მძღოლი.

ხმაურზე ლოყებლაჟლაჟას ეღვიძება და გაოცებული კითხულობს:

– კიდევ აქ ვართ, კაცო! ეს რა ღეთისწყრომაა? წავალთ თუ არა ბოლოსდაბოლოს! – მძღოლისკენ იგრძელებს კისერს.

– მაშინ წავალთ, როცა დრო მოვა!

– მერე როდის მოვა ეს დრო? ამ წელიწადში თუ დაგება მაინც?

– თუ არ მოგწონს, მიბრძანდით და ტაქსს გაყევით! ბიჭოს, არ შემეჭამა კაცი...

– გავეყვები კიდევაც! – ლოყებლაჟლაჟა ფართხაფურთხით ჩადის.

– მე არ ვიყო იანუსა, თქვენზე ადრე თუ არ ავიდე იქ! – ხელს უმისამართოდ იშვერს...

– ცხრა მთას იქით წასულხარ! – გზას ულოცავს მძღოლი.

იანუსი!

რა უცნაური სახელი რქმევია ამ კაცს, თუმცა გურიაში რანაირ სახელს არ გაიგონებთ!

ორიოდ წუთში იანუსი უკან ბრუნდება.

– აბა, კიდევ ორი მგზავრი და „ვილისი“ გადის!

მე და სოსო ვდგებით და ლოყებლაჟლაჟს მივყვებით.

– ახლა იმ დანჯღრეულ ავტობუსს ეს „ვილისი“ არ სჯობს? ახალიცაა და სწრაფიც! – „ვილისს“ აქებს იანუსი. – რას იტყვით თქვენ?

– რა უნდა ვთქვათ? – იცინის სოსო. – წავა და ვნახავთ.

– ცოტა ვინროდ კი ვართ, მარა რაფერ გინდა აბა, ვინც არ გეიჭირვა, ხეირიც ვერ ნახა... – იანუსი ლაპარაკის იშტალზუა. – პეი, წავედით, შოფერ! შენაც არ დეინყო ახლა იმასავით...

ათ მეტრს გაივლის და „ვილისი“ ჩერდება.

– რალაც ემართება ამ ოხერს! – მძლოლი მანქანიდან ჩამოდის და კაპოტს აღებს. ერთხანს შეფიქრიანებული დგას. – ეტყობა ველარ წავალთ! – ამბობს ბოლოს.

– შენც შეგარცხვინე და შენი დაფეხვილი მანქანაც! – მარჯვენა ხელს მუშტავს იანუსი, მარცხენათი ისევ ოფლინ სახეს იმშრალებს.

ავტობუსში ვბრუნდებით. ამჯერად უკანა ადგილები გვერგო. მძლოლი მანქანას ადგილიდან ძრავს და სარკიდან იანუსის სახეს აკვირდება.

– აგაშენა ლმერთმა, კაცი ვარო, შენ უნდა თქვა! – ვითომც აქ არაფერი მომხდარაო, მძლოლს უსირცხვილოდ აქებს იანუსი. – მერე მე და სოსოს გვმოძღვრავს: – იმ დანჯღრეულ „ვილისს“ აგი ახალი ავტობუსი არ ჯობს? თავისუფლად დაჯდები, მხარსაც გაშლი და რიხინით ახვალ კურორტზე. რას იტყვით თქვენ?

– ჩვენ არაფერს! – ჩემს მაგივრადაც პასუხობს სოსო.

– აბა, იცოდეთ, სადაც ჩვენ ვართ, იქ არის კარგი და არა იქ, სადაც ჩვენ არ ვართ. „ვილისში“ ვიყავით და „ვილისი“ იყო კარგი, ავტობუსში ვართ და ავტობუსია კარგი, ვირზე გადაგვსვამენ და ვირი იქნება კარგი. ასეა, ჩემო კეთილებო, აი საქმე...

გომის მთაზე ასვლამდე ენა არ გაუჩერებია იანუსს, ცარიელი ყურები ნახა და რა ანალვლებდა.

იანუსი!

პირველად ვნახე კაცი, თავის სახელს ასე პირწმინდად რომ ამართლებდა: იგი მართლაც ორსახოვანი იყო, იქნებ სამსახოვანი და უფრო მეტსახოვანიც...

ჩათლახი

პატიოსნება სასჯელია?

დიპლომატიურად მოვიქცევი და ამ კითხვას არ ვუპასუხებ!

ბონდო პატიოსნებაზე მხოლოდ ერთხელ დაფიქრდა და საკუთარ თავში ისეთი გასაოცარი რამ აღმოაჩინა, ამ საკითხს მეორედ აღარ მიბრუნებია...

უმჯობესია თავად ბონდოს მოვეუსმინოთ (საუბარი იტალიურ ეზოშია ჩანერილი, როცა ბონდომ მეზობლები უხაზე დაპატიჟა და ოცბოთლიანი ღვინოც თან მოაყოლა).

– ჰოდა, კაცო, ერთ დღეს ზემოთ დამიბარეს და გამაფრთხილეს, ან განყოფილების გამგე გიჩივის, კომბინატორიაო. ან გააჩუმე ის კაცი, ან თბილ ადგილს გამოეთხოვეო...

გაცეცხლებული მივედი ქარხანაში და განყოფილების გამგე დავიბარე. კერკეტი კაკალი აღმოჩნდა: არც მუქარამ გაჭრა და არც მოფერებამ. ბოლოს დიდი ფული შევთავაზე, ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, მე პატიოსანი კაცი ვარ და ქარხნის ინტერესები მალაპარაკებ... სო...

სასამართლოს იმედზელა დავრჩი: იქით მივდექი, აქეთ მოვდექი, გამოვნახე გავლენიანი პირი და ჯოჯოხეთი ქრთამით გავანათე. სასამართლომ, ბუნებრივია, გამამართლა, ხოლო მომჩივანს, როგორც ცილისმწამებელს, პირობითი სასჯელი დაადო...

ჩემზე ბედნიერი კაცი თუ იყო ამ ქვეყანაზე, არ მეგონა: ცა ისევ მალლა იდგა, მინა კი – დაბლა. ავდექი და ნაცნობ-მეგობრები რესტორანში დავეპატიჟე. კარგადაც მოვეულხინეთ.

სახლში რომ დავბრუნდი, ყველას ეძინა. სატუმრო ოთახში გამოვედი და გავაბოლე. მოზრდილ სარკეში ჩემი სახე დავლანდე: თვითკმაყოფილი სიფათი შემომცქეროდა გაღმიდან. ორეულმა შემომცინა, თავისთან მიმიხმო და თითი ლამის მკერდზე მაძგერა:

– შენც პატიოსანი კაცი გქვია, რალა! იმ მოსამართლემ კი გაგამართლა, მაგრამ, სხვამ თუ არა, მე ხომ ვიცის, რა ჩათლახიც ხარ! – მერე იმდენი იცინა და იცინა, თვალებზე ცრემლები მოადგა...

ველოსიპედიანი კაცი

ის დროა, ინსტიტუტში ვსწავლობ, სოფელს მაინც ვერ ველევი. როგორც კი შემთხვევა მეძლევა, დავკრავ ფეხს და ყოველ შაბათ-კვირას სახლში, მშობლებთან ვატარებ: მამაჩემს სიმინდის მარგელაში ვეხმარები, ხანაც მოსავლის დაბინავებაში. ორშაბათობით ისევ ქალაქს მივაშურებ.

ახლაც, როცა ბინდი ნათელს ჯერ კიდევ არ გაპყრია, მომცრო ზურგჩანთით სოფლის ცენტრში ვდგავარ. ნოემბრის მიწურულია და გვარიანად ცივა. ათიოდ წუთში „წრიულმა“ უნდა ჩამოიაროს – რატომღაც ასე ეძახიან სოფელში სამარშრუტო ავტობუსს. იგი რკინიგზის სადგურში ჩამიყვანს და რეას რომ თხუთმეტი წუთი დააკლდება, პირველ ლიანდაგზე ჩამომდგარ მატარებელში ამოვყოფ თავს.

ავტობუსი იგვიანებს...

„ნეტავ მატარებელმაც დაიგვიანოს!“ – წყალწაღებულცივით ხავსს ვეჭიდები.

ავტობუსის იმედი უკვე აღარ მაქვს.

„ჯანდაბას, ღამის მატარებელს გავყვები. დღეს თუ ლექციაზე ვერ მივალ, ქვეყანა არ დაიქცევა!“

ხანდახან ცხოვრებაც ზღაპარივითაა: უკაცრიელ შარაგზაზე ველსიპედიანი კაცი ჩნდება. ახლოს მოდის და ვცნობ: რეზოა ლომაძე, არც მთლად ახლო მეზობელი, რაიონის ელსადგურის ელექტრიკოსი...

რალაცას მეკითხება, მეც ვპასუხობ...

– მოდი ასე ვქნათ, მატარებლის გასვლამდე კიდევ არის დრო. თუ სწრაფად ივლი, დარწმუნებული ვარ, მიუსწრებ... ველოსიპედი ბაქნის კიბეებთან დატოვე, არავინ მოიპარავს. რომელი მზეთუნახავი ეგა მყავს! – იცინს. – მერე თავად მივაკითხავ და წავიყვან...

ყოყმანზე ველოსიპედს ძალად მაჩეჩებს.

– აბა მიდი, დროს ნუ კარგავ! – თვლები უციმციმებს.

მატარებელს მართლაც ვუსწრებ. სარკმლიდან ველოსიპედს ვავლებ თვალს, სადგურის კიბეებთან გალახული ბავშვივით რომ ატუზულა...

მას შემდეგ დამჩემდა: ველოსიპედი კაცს დავინახავ თუ არა, სხეულში სასიამოვნო ურუნტელი დამივლის ხოლმე: ასე მგონია, კვლავაც ვილაცის დასახმარებლად მიდის... არადა, ხომ შეიძლება ეგ კაცი სულაც არ იყოს კეთილი...

შეიძლება, მაგრამ ამის წარმოდგენა ყოველთვის მიჭირს!

საშა

საშა მოულოდნელად გარდაიცვალა.

მალე სხვა უბანში გადავედი საცხოვრებლად და საშაც დავიწყებას მიეცა.

შემოდგომა იწურებოდა. ცირკის წინ სამარშრუტო ავტობუსს ველოდებოდი. ქუჩის მეორე მხარეს ნაცნობი სახე შევნიშნე, მაგრამ ვერაფრით გავიხსენე, სად მენახა.

– გამარჯობათ! – მომესალმა მოახლოებული უცნობი და ხელი გამომინოდა.

– გაგა! – და სახეში მივაცქერდი. საშას ალიკვალი იყო.

– დედა როგორ არის?.. ცოლი ხომ არ შეგირთავს? – სხაპასხუპით მივაყარე.

– დედა ორ შვილს მიზრდის... უფროსს ბიჭს ალექსანდრე დავარქვი, მამაჩემის სახელი.

ცოტა კიდევ ვისაუბრეთ და წავიდა. მამასავით მძიმედ მიაბიჯებდა, მერე უკან მოიხედა, ხელი დამიქნია და მოსახვევში გაუჩინარდა.

...ათი წლის წინათ ქალაქის ერთ მოზრდილ იტალიურ ეზოში ვცხოვრობდი. ქართველი, რუსი, სომეხი, აზერბაიჯანელი, ქურთი ერთმანეთში არეულიყო. ამ ეზოში ნამდვილად არ მიოწყენდი. მალე შევეჩვიე აქაურობას და მეც აქაური ქუდი დავიხურე.

დილაობით მეორე სართულის აივანზე გადმომდგარ კაცს ვხედავდი, გამუდმებით გიტარის სიმებს რომ აწრიპინებდა. ერთხელ აივნიდან გადმომძახა: – ჩვენი ახალი მეზობელი არ ხარ, კაცო შენ? ერთი წუთით დამელოდეთ..

ვიქფიქრე, რალაც მნიშვნელოვანი უნდა მითხრას-მეთქი.

მუსიკოსმა კიბე მკვირცხლად ჩამოირბინა. შუახნის იქნებოდა, ხმელი პირისახის...

– გავიცნოთ ერთმანეთი... მე გიგლა მუსიკოსს მეძახიან. შენ?

ვუთხარი ჩემი სახელი.

– მაშინ ჩვენი გაცნობა ჭიქა არყით აღვნიშნოთ. გატყობთ, ჩქარობთ, მარა წუთის საქმეა აგი, მე გეპატიჟებით!

იტალიური ეზოს გვერდით პატარა სასაუზმე იყო და იქ შევედით.

– აბა კოლია, – მიმართა დახლიდარს. – ას-ასი გრამი ჩამოგვისხი, ყველიც და პურიც მოაყოლე...

დახლიდარმა მუსიკოსი რაღაც უცნაურად შეათვალა, მერე მე გადმომხედა და არყიანი ჭიქები ჩვენსკენ მოაჩოჩა.

– ჩვენს გაცნობას გაუმარჯოს! – თქვა მუსიკოსმა.

– გაუმარჯოს!

– აგაშენა ლმერთმა! – მუსიკოსმა ყველის ნაჭერი აიღო და წავიდა.

როცა გაცნობამ გადამიარა, დახლიდარს ფული გავუწოდე და ჩავილაპარაკე: რა უცნაური დაპატიჟება სცოდნია ამ მუსიკოსს...

– ასე იცის მაგან, თუ ვინმე ანკესზე წამოაგო, ასეთ უხერხულობაში ჩააყენებს, კაცო!

მოგვიანებით ეს ამბავი საშას მოვუყევი, თან დავანამუსე, მუსიკოსს არ უთხრა-მეთქი...

– მაგას ასეთების არ რცხვენია... მეორედ აღარ გაჰყვე, თორემ ვეღარ მოიცილებ...

საშა ფილოსოფოსების ბაღში გავიცანი.

ფილოსოფოსების ბაღი იტალიური ეზოს მოპიდაპირე პატარა სკერი იყო ათიოდე ხანშიშესული პალმის ხითა და სამი ძელსკამით. აქ ვერც არიტოტიელს ნახადით და ვერც სპინოზას, მაგრამ მოფილოსოფოსო ტიპები მრავლად იყვნენ...

საშა არ იყო ფილოსოფოსი.

– უბრალოდ კაი ბიჭებია, მარა ფუნქციადაკარგულები. – ამიხსნა ერთ დღეს საშამ. – რაღაც უნდათ, მაგრამ რა, თავადაც არ იციან...

პირველი ჩხუბი იტალიურ ეზოში მოსვლია. მილიციელებთან შეტაკებისას დაუჭერიათ და მის წინააღმდეგ მონმედ თითქმის მთელი ეზო გამოსულა.

– გამოვალ ციხიდან და ყველას დედას გიტირებთო, დამუქრებია იტალიურ ეზოს.

არადა უბრალო ამბავი ყოფილა: მილიციელებს იტალიურ ეზოში შემოვარდნილი ვილაც ქურდბაცაცა აუყვანიათ და იმდენი უცემიათ, ლამის სული ამოუხსდიათ. ხომ დაიჭირეთ და ახლა ამდენი ცემა რაღა საჭიროაო, გამოსარჩლებია ქურდს გიგლა მუსიკოსის ბინიდან მომავალი საშა. ნადი, შენი გზით გაიარეო, უთქვამთ მილიციელებს. საშას არ გაუვლია და ერთერთი მილიციელისთვის კაი ალიყური უჭმევია. საშაც გაასამართლეს. მერე ციხეში დაუმორჩილებლობისათვის სასჯელს საჯელი მიემატა და იქ ათი წელიწადი დაჰყო.

საშას გამოჩენისთანავე ბაღში დებოშები აიკრძალა, მაგრამ იტალიურ ეზოში აღარ შესულა. შემოვალ და ყველას დედას გიტყვირებო! – ახსოვდათ მისი მუქარა.

ერთხელ მაინც შემოვიდა...

პირველ სართულზე ვცხოვრობდით. ოთახში უმცროსი ბიჭი შემოვარდა და გვამცნი: – საშა ბიძიამ ნაყინი მიყიდა და ახლა აქეთ მოდისო...

ფარდა გადავნიე: საშა რწევა-რწევით მოდიოდა. ონკანთან შედგა, ხელებზე წყალი გადაივლო და იქაურობა მოათვალიერა. მეზობლები არსად ჩანდნენ, მაგრამ გრძნობდა, ფარდების მიღმიდან რომ უთვალთვალებდნენ...

კაკუნზე კარი გავალე.

– შეიძლება! – თქვა ოდნავ გაფითრებულმა.

– ბატონო საშა, ჩვენთან როგორ შემოგიცდათ ფეხი! – ღიმილით შეეგება ჩემი მეუღლე.

– თქვენ ფილოლოგები ხართ, მინდა ბიჭმა თქვენთან იმეცადინოსო, გაგვიმხილა მოსელის მიზეზი საშამ.

წასვლისას ეზო ისევ მოათვალიერა, მაგრამ თავისი მუქარა აღარ გახსენებია, უხმოდ დატოვა იქაურობა.

მეორე დღეს მეზობლები დიდი მონინებით გვესალმებოდნენ...

სალამობით ფილოსოფოსთა ბაღში გავდიოდი. საშა მეტწილად განმარტოებით იჯდა. როცა დამინახავდა, სახეზე ღიმილი გადაეფინებოდა. საუბარში დრო შეუმჩნევლად გადიოდა. წესად ჰქონდა: ბაღს ათ საათზე ტოვებდა.

– ჩემი სამუშაო ახლა იწყება, – იტყოდა. – ხვალამდე.

ვიფიქრე, ალბათ სადმე დარაჯად ან რომელიმე ქარხნის ლამის ცვლაში ოსტატად მუშაობს-მეთქი...

სალამობანს ჩვეულებრივ ბაღში გავედი. ძელსკამზე გიგლა მუსიკოსი იჯდა და სიგარეტს აბოლებდა. გვერდით მიკუჭექი.

– საშა სად მუშაობს? – მოულოდნელად ვკითხე.

– მომე მანეთი და გეტყვი!

მივეცი.

– სად და სახლში, მეჯღანეა...

– რა მეჯღანე?

– ტუფლებს კერავს... რა ვერ გაიგე? მაგას მისი კლიენტები ჰყავს, თანაც დიდი კაცები... მაგარი მოხელეა!

– მერე დღითი რატომ არ მუშაობს?

– მომე მანეთ და გეტყვი!

– მეტი არ მაქვს!

– კაი, გეტყვი მარა ვალი გექნება ჩემი... თავმოყვარეა და იმიტომ! მეჯღანეობა რა ხელობაა, თავი რომ მოინონოს... ნავედი ახლა მე, ას გრამს დავკრავ! – და იმ სასაუზმისკენ გასწავა, ამას წინათ ვითომ რომ დამპატიყა.

გიგლა ნავიდა და საშა გამოჩნდა: ხელებზე დავაკვირდი, მუშაკაცისა იყო – დაშარშული და დაკოჭრილი. გიგლა მუსიკოსმა სიმართლე მითხრა...

საშა კანონიერი ქურდი არ ყოფილა, თუმცა ამ ჯურის ადამიანები ძალიან ერიდებოდნენ. მიზეზი კარგა ხანს ვერ ავხსენი, საშა ყველას თანასწორივით ექცეოდა, საუბარიც მშვიდი იცოდა და იმ ერთი წლის მანძილზე, რაც მას ვიცნობდი, გაბრაზებულს არ მინახავს... აბა, რისი ეშინია ამ ხალხს? – თავს ვეკითხებოდი.

იმ დღით ის იყო საუზმეს მოვრჩი და სამსახურში ვაპირებდი წასვლას, ჩვენთან საშა ვაჟი მივიდა: მამამ გთხოვათ, რამდენიმე წუთით გადმოვიდესო. ბიჭს გავყევი.

– აქა მშვიდობა! – ვთქვი ოთახში შესვლისას.

საშამ მეორე ოთახში გამიყვანა, რომელსაც, ყველაფერზე ეტყობოდა, სახელოსნოდ იყენებდა.

– მეუღლეს ფეხი რა ზომა აქვს? – მკითხა ანაზდად.

– ფეხსაცმელი ახლახან იყიდა, არ არის საჭირო! – სახეზე აღმურმა გადამიარა.

– კაცმა კაცს პატივისცემა პატივისცემით უნდა გადაუხადოს, ასე მესმის მე და ფილოსოფოსებივით არ დამინყო კამათი ახლა...

საშამ მომავალი ფეხსაცმლის ზომა ჩაინიშნა და ისევ მისალეო ოთახში გამოვბრუნდით. მის ცოლს სახელდახელოდ სუფრა გაეშალა...

– ახლახან ვისაუზმე! – ვთქვი.

– უცებ გადაჰკარი! – მითხრა საშამ, როცა სასმელი ჩამოასხა.

– ამ სახლს უფლის წყალობა! – ისე მვიქეცი, როგორც დამარიგა.

– სული სიმწრით ამოვითქეცი.

– ეგ სუფთა სპირტია, უზომოზე ვსვამ ხოლმე და ჩემს ასთმიან გულს როგორღაც შევლის...

ერთი კვირის შემდეგ საშამ თავისი ნახელავი ცელოფნის პარკით მომიტანა. თანამედროვე სტილზე შეკერილი ქალის ფეხსაცმელები იყო.

– მადლობა ზედმეტია! – მითხრა, როცა რალაცის თქმა დავაპიე... მოგვიანებით გაავებული საშაც ვნახე.

ფილოსოფოსების ბალში გავედი, მაგრამ კაცი ჭაჭანება არ იყო. მეზობლის ბიჭმა ჩამიკაკლა, საშა ბიძია და მისი ამხანაგები კაფეში არიანო. მეც იქითკენ გავსწიე, კარი შევალე და იატაკზე მიმოფანტული ათმანეთიანები დავინახე. ფილოსოფოსები მაგიდასთან გატრუნული ისხდნენ და სახეანთებულ საშას შესცქეროდნენ.

– რა ხდება? – ხმადაბლა ვკითხე შეცბუნებულ გიგლა მუსიკოსს.

– საშამ მზარეული გალახა და ახლა მიმტანები ასულიერებენ!

– ეგ ფული ვისია?

– საშამ შიგ სახეში შეაფერთხა ეს ფული მზარეულს და ჩვენ ხელის ხლება აგვიკრძალა, არც შენ გირჩევ...
ფრთხილად დავიხარე, ჯერ ერთი ათმანეთიანი ავიღე, მერე მეორე, მერე მესამე...

საშას არაფერი უთქვამს. ფული ჯიბეში ჩავიდე და კაფედან გამოვედი.

სამი დღე არ გამოჩანილა საშა ფილოსოფოსების ბალში. იმ დღისა არაფერი მიკითხავს, არც მას უთქვამს რაიმე. ჩვეულებრივ ვისაუბრეთ და როცა წასვლა დააპირა, თუმნიანების დასტა ამოვიღე და გავუნოდე.

– ეგ რა არის? – თითქოს გაიკვირვა.

– ფულები კაფედან! – გავიცინე.

– იმ მზარეულმა ჩვენი სიმთვრალით ისარგებლა და ძველი კერძი შემოგვაპარა, ეს უკვე მერამდენედ... კაცი დაჩაგვრა არ მიყვარს, ძალად გამალახვინა თავი. გუშინ ბოდშიც მოვუხადე, მარა ბოდში შველის ახლა ამ საქმეს! სიმართლე კარგია, თუმცა ძვირია... – სახეზე სინანული ეწერა.

სიმართლე მართლაც ძვირი ღირდა და საშას იგი ათ წელიწადად დაუჯდა: ნიჭიერი, ალლოიანი და კეთილშობილი კაცი ჩანდა, მაგრამ ცხოვრებას სულ სხვა კალაპოტში მოექცია.

მერე ის იყო, საშა გარდაიცვალა...



კარატამსხრაველი

ჩემს მეზობლად ერთი კერამიკოსი ცხოვრობდა. მისი დღე და მოსწრება წითელ თიხას ეზიდებოდა სოფლებიდან. ხვნიშოდა, ზელდა, ოფლს ინურავდა და იყო ერთ ამბავში.

სახელოსნო სარდაფში ჰქონდა. ჩადიოდა, ამოდიოდა, ფუსფუსებდა. მისი ნაღვანის შესახებ რაიმეს თქმა არ შემეძლო. მე სარდაფში არ ჩავსულვარ და მისი შემოქმედება სადმე გამოფენილი არ მინახავს. ისინი არც რომელიმე წიგნში შესულა ილუსტრაციების სახით და მისი ოჯახის მეტს არავის ენახა.

რამდენჯერ მიფიქრია, ერთი მანახა რა სიცოცხლე შესძინა ამ ჭაპანწყვეტით მოტანილ თიხას, რას მისდევს და რას აღმერთებს ხელოვნებაში, მაგრამ ჩემით ხომ არ შევეჭრებოდი სარდაფ-სახელოსნოში, თვითონ კი არასოდეს მიეუპატიევივარ.

ალბათ მართლა ვერასოდეს აღმოვჩნდებოდი მის საუფლოში, რომ არა მისი ძმა, რომელიც როგორც ეტყობა თიხის მოთხრასა და გადმოტანაში ეხმარებოდა და ელოდა, რომ ერთ დღეს კერამიკოსის შემოქმედება აღიარებას მოიპოვებდა, მაგრამ ძალიან გაგრძელდა ეს დრო და... არადა, იმ კურთხეული სოფლიდან მოჰქონდათ ეს წითელი თიხა, რომელიც ფორმისა და აზრის მინიჭების გარეშეც ხელოვნება იყო და თუკი ოდნავ სულს შთაბერავდა ხელოვანი, გაცოცხლებული თიხა ცრემლებს გადმოლვრიდა და ატირდებოდა.

იმას მოგახსენებდით, არასოდეს მომინევედა იქ ჩასვლა-მეთქი...

ერთ დღეს, ეზოში რომ ვზივარ განმარტოებით, კერამიკოსის სარდაფიდან არაადაამიანური ღრიალი მომესმა, რომელიც მერე ჩხუბში გადაიზარდა და ვხედავ, კერამიკოსის ძმა გარეთ გამოვარდა და ჩემკენ გამოემართა.

— ერთი წუთით შენი ჭირიმე, ერთი წუთით ჩამოდი ჩვენთან, სარდაფში. არ გაინტერესებს რას შვრება შენი მეზობელი? რაზე კარგავს დროს... ერთი წუთით!

ჩემი თანხმობაც არ იყო საჭირო, ისე ძალად მივეყავდი. არადა, მეც რამდენჯერ მიფიქრია იქ შესვლა და დღეს განგებამ ამ კაცის ხელით თითქმის ძალად შემადგო კერამიკოსის გამოფენაზე.

სელის მოქსოვილ სკამზე კერამიკოსი იჯდა და ცოლი შუბლზე სველ ტილოს აფენდა. აქა-იქ დამტვრეული კერამიკა იატაკზე მიმობნეულიყო...

როგორც მითხრა ჩემმა მიმპატიჟებელმა, იგი დაიღალა ამდენი თიხის სოფლიდან ჩამოტანაში და შური თიხის კერპებზე იძია. დიას, კერპებზე. თაროებზე ასობით თიხის კერპი იდო, ათას პოზაში, რომელთა ნახევარს თავში ჯოხი ჰქონდა დაკრული და საფეთქელგახეთქილი მიმზერდა. ზოგიერთს ისეთი მწუხარე სახე ჰქონდა, გეგონებოდა კერამიკოსმა წინასწარ იცოდა მათი ბედი და ასეთი შექმნა. თითქოს საშველად მეძახდნენ შეძრწუნებული სახითა და ყვირილისთვის გაღებულ ბაგეებით.

– მოდი კაცი არა ხარ? ამას რომ კაცი გამოძერწავს? ა, აი ამაზე დროს რომ მოაცდენს... მამაჩემის წითელი გორი, ზედ რომ წითელ კარტოფილსა ვთესავდით, სულ ამ დარბაზში ჩამომიტანია კალათითა და გოდრით. ვეუბნებოდი, გაყიდე, ორ შაურს აიღებ-მეთქი, ან გამოფინე სადმე ან გაყიდე, იქნებ ვინმემ თვალი ჰკიდოს, არადა სახლში ცოლ-შვილი უკვდება მშიერი.

– ა, მოდი, მოდი აქეთ. აგერ რომ კაცის თავს ხედავ, ვინ გგონია, ჩვენი სოფლის თავმჯდომარეა. ამისი ერთი თავი რომ დადის ამ ქვეყნად, იმას ვდარდობთ სოფელში და ამას კიდევ ჩემი ჩამოტანილი მინით იმ მამაძალღი თავმჯდომარის მეორე თავი არ შეუქმნია?

და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, უთხლიშებია კერპთამსხვეველს ჯოხი და გაუტეხია სოფლის თავმჯდომარისათვის თავი.

– „ნეტა არ გეთქვა, კერპთამსხვერველო, რომ შენი თავმჯდომარე თახსირი, ნამგლეჯი და უცხვირპიროა. შენამდე ეს მე შენმა საკარტოფილე წითელმა მინამ მითხრა“ – ვფიქრობ ჩემთვის.

– ა, აგერ კიდევ. აგერ რომ ქალი შეუქმნია, ამაზე უნესო, ამაზე ღვთისპირიდან გავარდნილი ქალი ჩვენს სოფელში არ დადის შარაგზაზე. ამას კიდევ ძეგლი დაუდგმია ამ ქალისთვის. ის სულძალღიანი ლამის ხუთი წელია ჩაძალღდა და ჩემს ძმას მეორედ არ გაუცოცხლებია, რომ კიდევ ერთხანს წაიიმასქნას?..

ახლა შენ დაჯექი და მითხარი, ამნაირი ქალების დახატვისთვის დღეს გროშსაც თუ მოგცემენ? აი ეს მითხარი და მეტი არაფერი მინდა.

– „ეჰ, შე მართლა კერპთამსხვრეველო. ჩემზე გეკითხა, ეს ვისი ქანდაკებააო და გეტყობდი, რაც თავად ქანდაკებამ მითხრა, მაგრამ ახლა რაღა დროსია. ამ ქალსაც თავი გახეთქია და ეგ არის რომ სისხლი არ გამოსდის“.

– ბევრი ვაფრთხილე, ან გაყიდე, ან რაც გინდა უყავი – მეთქი. მერე ეს ჯოხი გამოვთალე. ფიჭვისა, ან თხემლისა ხომ არ გგონია. შქერის ტოტს მეორე ტოტი რომ ებმის, ის მეორე მოკლეზე მივაჭერი. მთელი ზაფხული ხმება და კერპდება და აი ის ჯოხია ეს...

– „ვიცი, ვხედავ კერპთამსხვრეველო. იქნებ ის ჯობდა ეს ჯოხი შენი ძმისთვის დაგეკრა შუბლზე და... ეს უფრო ადვილი იქნებოდა მისთვის, რადგან ამ სარდაფში ხელოვანის თანდაყოლილი სიმორცხვით, მშობლის სიყვარულით შექმნილი ხელოვნებაა რომელსაც კერამიკოსი არასდროს გაყიდის, ისე, როგორც მშობელი – თავის შვილებს“.

ამ გამოფენის შუა ნაწილს რომ მივუახლოვდი, კერამიკოსმა, რომელსაც შუბლზე სველი ნაჭერი ეფარა, მქრქალად გამიღიმა და ამით ყველაფერი მითხრა.

ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს შუბლგახეთქილი, სისხლგადმოშქეფარე მხატვრის გამოფენაზე მიმინვიეს.

„რატომ ადრე არ ჩამოვედი, რატომ არ ვიაქტიურე. მე, მე უნდა შემოვჭრილიყავი, ძალად უნდა შემოვსულიყავი აქ.“

მივყვები ფიცარზე დალაგებულ ქანდაკებებს და ახლა სახეზე ღიმილგადაფენილ კერპებს გავუსწორდი, რომლებიც მიღიმოდნენ თითქოს და ამით მადლობას მიხდიდნენ.

კერპთამსხვრეველი შქერის გაკერპებული ჯოხით ამ ხნის განმავლობაში თან დამყვება.

„ხელოვნება ხელოვნებისთვის, მორჩა და გათავდა! რა უნდა ხელოვნებას ამასთან, ახლა გვერდით რომ მომყვება შქერის ჯოხით, რომლისთვისაც ქმნილება მარტო გასაყიდი საგანია. იყო წლები, ამ თქმისთვის ხალხი ჯვარს აცვეს. მე კი დღეს ამ ქანდაკებების ფონზე ამ აზრის სიმართლეში ვრწმუნდები“...

ერთადერთი რაც იმ წუთას შევძელი, ეს იყო, რომ კერპთამსხვრეველს მივუბრუნდი და ვუთხარი:

„დანარჩენს ხელი არ ახლო, თორემ პოლიციას გამოვუძახებ“.

კვლავ გაკერბდა კერპთამსხვერველი.

– როგორ კაცო, ჩემი ძმის სახლში მე მაპატიმრებ?!

„ეს შენი ძმის სახლი არ არის ეს ხელოვნების სახლია, ვუთხარი და სარდაფი დავტოვე...“

კერამიკოსი მეორე დილით გარდაიცვალა.

ერთი კვირის შემდეგ ტელევიზიით საგამოფენო დარბაზში მდგარი ლამაზი გოგონა ლაპარაკობდა:

– დღეს საგამოფენო დარბაზში გადმოიტანეს სულ ახლახან გარდაცვლილი ნიჭიერი კერამიკოსის – ბაჩანა ეგაძის უნიკალური გამოფენა, რომელსაც უამრავი დამთვალიერებელი ჰყავს. როგორც ხელოვნებათმცოდნეები აღნიშნავენ, ტრადიციულ ქართულ კერამიკას აქ ერწყმის შესრულების ორიგინალობა და ინდივიდუალობა, სინატიფე და ხატოვნება. როგორც გვაცნობეს, ამ გამოფენას მალე უცხოეთის დამთვალიერებელნიც ნახავენ. იგი ექვსი თვის განმავლობაში რიგრიგობით მოივლის საფრანგეთის, ჩეხეთის, ესპანეთის, ამერიკის შეერთებული შტატების საგამოფენო დარბაზებს...“

მთელ ღამეს თვალნი მუდგა შუბლზე თეთრნაჭერ გადაფარებულ კერამიკოსი და ჩემს თავს ვეუბნებოდი:

„ნუთუ, მართლა ასეთი უზენაესი მსაჯულია იგი, უსაზიზღრესი გაქრობა ამქვეყნად, რომელსაც სიკვდილს ვეძახით, რომ ნიჭს თავისი ადგილი მივაკუთვნოთ, ან რატომ არის გზა ხელოვნებისა ამდენი აზრთამსხვერველის ლაბირინთებში გასაკვლევი...“

რატომ, რატომ?

ურომლისოდაც ხვალ ისედაც ყველა ყველაფერს გაიგებს!...“

ქველი სახლის დღიურები

მიტოვებული სახლი ქალაქის განაპირას იდგა. რამდენს ჩაუვუ-
ლიდი სულ იმას ვფიქრობდი, ნეტავ რატომ მიატოვეს? იქნებ ეპიდე-
მიის გამო, იქნებ უსახსრობის გამო, იქნებ მისი უსახურობის გამო
ადგნენ და წავიდნენ მისგან ისე, როგორც შეუხედავ ქალს მიატოვე-
ბენ.

ამ სახლს არც ანგრევდნენ, არც რაიმეს უმატებდნენ. იდგა ერთნა-
ირად. აქა-იქ სარკმლებგამოცლილი, სიბერესავით გადაქანებული
და უსახური.

ხანდახან უპატიურნი და გზააბნეულნი შეეხიზნებოდნენ, ან დაბ-
ნეული პირუტყვი შეეფარებოდა მის ფარლალალა პირველ სართ-
ულს, ხანდახან სახურავზე დატოვებული სამტრედედან ლამურების
დაფეთებული გუნდი შეერეოდა სიბნელეს.

თუკი შესაძლებლობა მქონდა ყოველთვის გვერდს ვუვლიდი ამ
სახლს. შორიდან შემოვუვლიდი და თვალს ვარიდებდი, რადგანაც
შელამებულზე ისეთი თავშეუკავებელი სიცილი და აღვირაბსნილი
ხმაური გამოდიოდა, რომ გეგონებოდათ მიტოვებულ სახლს ეშმაკე-
ბი დაეპატრონენო. თქვენ წარმოიდგინეთ და მისი ჩამტკვრული მი-
ნებიდან ერთხელ სიმღერაც კი გავიგონე, რომელიც მაშინ უპატიურ-
თა სიმღერად მოვნათლე.

ერთი სიტყვით, ეს სახლი მძულდა. ხომ არის ხანდახან კაცზე სხვა
შეხედულებები გაქვს და გაცნობის მერე გეცვლება, ან უცვლელი
გრჩება ეს წარმოდგენა...

ერთ დღეს, ამ სახლის მოპირდაპირე ქუჩა რომ უნდა გადამეკვე-
თა, ზაფხულის შხაპუნა წვიმა წამოვიდა და ვიფიქრე, რაც უნდა მოხ-
დეს, მის ნახევრად ჩამონგრეულ აივანზე შევიყუდრებ-მეთქი.

ქვის სამი-ოთხი საფეხური ავირბინე და კედელთან ავიტუზე. რა-
ღაც ორი ფიცარი მიფარავდა, თორემ მთელს აივანზე წვიმდა.

ზღვიდან მონაბერმა ქარმა კარი ააჭრიალა და გააღო. ასე მეგო-
ნა ამ საშინელმა სახლმა სტუმრად მიმინვია-მეთქი.

„მოდი ერთი, შევალ. რა იყო წინათ, იმის გაგებას მაინც შევძლებ,
ვინ ააშენა, ან ასე უმონყალოდ ვინ მიატოვა-მეთქი“.

უპატრონო სახლში ისე ვერ გაივლი, რომ იატაკზე შენი კვალი არ
დატოვო. ნაბიჯი გადავდგი თუ არა, ჩემი ნაფეხურები კვალში მომ-

დედნენ და შუა ოთახამდე მიმყვნენ. მტკერზე დარჩენილი ჩემი კვალები ისე დამაჯერებლად გამოიყურებოდნენ, რომ რომელიმე დეტექტიური ნიგნის გარეკანის ილუსტრაციისათვის გამოდგებოდა...

მე ახლა იმ ოთახში ვიდექი, რომელსაც უპატიოსნო ლამის მთევარნი იყენებდნენ. კედლებს მათი შემოქმედებაც ეტყობოდა და ნარნერებიც ზუსტად აღნუსხავდნენ რომელიმე მეძავის აქ ყოფნის საათს... და წუთებსაც კი. მარჯვენა კედელზე ერთი „ყოჩი“ აქ თავისი სამოცდაათი ლაშქრობისა და მის მონაწილეთა სიას გვთავაზობდა. ძალაუნებურად, უხეშად შევადარე ბეჰისტუნის კლდეზე სპარსთა მეფის დარიოსის ცნობილი წარწერა: „მე სპარსთა მბრძანებელმან, დარიოსმან“... კედლები უხვად იყო დასურათებული უპატიურთა გამოფენითაც.

ამის ნახვის შემდეგ კიდევ უფრო შემზარდა ეს სახლი და მეგონა მე ახლა უზარმაზარი ურჩხულის მუცელში ვიყავი, სადაც ნებაყოფლობით აღმოვჩნდი.

„მოდი, რაკი ეს ერთი ოთახი ვნახე, მეორეშიც გადავალ. ვნახავ და მერე ცაც რომ ჩამოინგრეს, აღარასოდეს შევეყუდრები მის ქერს-მეთქი“.

უპატრონო სახლი!

სახლი, რომელსაც დღიდან აშენებისა პატრონის ხელი არ შეხებია. აქ ყველაფერი ინგრეოდა და ილენებოდა, მაგრამ...

მაგრამ, როგორც ეტყობა, თვითგალამაზების უნარი არა მარტო აღამიანებს დაგვყვა ბუნებიდან. ღელის ქვები ხავსის ხავერდებით ლამაზდებიან. მაღალი, გამხმარი ნიფლის ტანზე სურო მიცოცავს და სიცოცხლით რთავს სიკვდილს, ქალაქის სანეხვეს თეთრი თოვლის თავშალი გადაეფარება და დაფარავს თავისი უნაზესი სითეთრით...

მიტოვებული სახლის კედლებს კარგა ხანია დაუკარგავთ იმედი, რომ მათ უსახურობას ვინმეს ხელი სასიკეთოდ შეცვლის. შელებავს ან შეათეთრებს და მიტოვებულ სახლს თავის თავზე თვითონ უზრუნია. უპატიურთა ოთახისგან განსხვავებით აქ სხვა მდგომარეობაა. ქერიდან და კედლებიდან ობობებს ვეება ჰამაკები დაუშვიათ ძირს. თუ ჩემს ნაკვალევს არ ჩათვლით, აქ ყველგან ნაცრისფერი ხავერდის მტკრის საფენია. ერთ მასიურ კედელთან პიანინო დგას, რომელსაც დედაბრის ერთი კბილივით, ერთი კლავიში შერჩენია. ფანჯრების

მინები გაუნმენდაობისგან სუბტროპიკების მწვანე ლოპრით დაფარულა და ეს ჭერიდან დაშვებული ობობას ჰამაკები, ერთკლავიშინი პიანინო, მწვანე ლოპრით შეღებილი სარკმლები და იატაკი ნაცრისფერი ხალიჩა ჩემი სამი-ოთხი ნაბიჯით, გაბედული მხატვრის უაღრესად მოდერნისტულ ნახატს მაგონებს. ასე მგონია, რომელიღაც სპექტაკლის დეკორაციების შუაგულში ვდგავარ...

უპატრონო სახლი!

ნეტავ რა დააშავა ასეთი, რომ ასე უმოწყალოდ მიატოვეს.

ჩაუანგული კარების ანჯამების ჭრიალმა გამცა პასუხი, მაგრამ...

კედელთან ალბატროსის მტკივან ფრთასავით ჩამოგდებული, ნახევრად ჩამოგლეჯილი შპალერი ქანაობს. ვინ იცის, იგი ამ ყოფაში ედავება ქარებს... ვინ იცის...

კედელთან მივედი და შპალერის ნახევს ხელი ვკიდე და ქვევით ჩამოვნიე. წლებისგან გახევებული ისე გაუხეშებულა, რომ არც კი ჩამოიხია. მაშინ ძალით ჩამოვფხრინე ერთი დიდი ნაგლეჯი. ოდესღაც ბაცი ვარდისფერ-თეთრი ყვავილებით.

ალბათ ბედნიერი დღეებიც ახსოვს, როცა ვიღაცის ხელი კლავიშებს აუღერებდა...

მეორე ადგილას უფრო დიდი ნაგლეჯი მოვაფხრინე კედელს და ჩემს ფერხით რვეულის შეყვითლებული ფურცლები დაცვივდა. უპატრონო სახლის კარებმა ისე გაიჭრიალეს, გეგონებოდა მთელ სახლს გააჟრიალა ტანში...

მე ახლა ობობების სამფლობელოში ვიყავი და მათი სათვალთვალო თოკები რომ შეირხენ, ჩემს ტანზე ათობით ობობა მობობლავდა შურისძიებით ანთებული.

თეთრ-ყვითელი ფურცლები ხელში ავიღე. იმ სინათლეზე, რაც ფანჯრიდან აღწევდა, იმის წაკითხვა მოვახერხე, რომ ყვითელ ფურცლებს პირველ გვერდზე „დღიურები“ ეწერა.

ოთახის მტვრისგან ისე ვიყავი სულშეხუთული, რომ იმ ოთახში ამის მეტის წაკითხვა არ შემეძლო. სხეული ობობებითა და ფილტვები მტვრით მქონდა სავსე.

უპატრონო სახლში ჩემი შესვლისა და გამოსვლის კვალი დავტოვე, მე კი მთელი ღამე სახლის პატრონის დღიურებს ვკითხულობდი.

დღიური პირველი

გუშინ ზღვას გავყურებდი. თედუნაც თან მყავდა. ვუთხარი, აი შორს, შორს კავკასიონი რომ მოჩანს, მამაშენი იქ იბრძვის-მეთქი.

პანია თითი გაიშვირა და მითხრა: – მამიკოთან წამიკანე...

ვართ, არა გვიშავს. ვნერ ამ წერილებს, მაგრამ არ გიგზავნი. როცა დაბრუნდები იმ დღისთვის ვინახავ. არ მინდა ჩემი მდგომარეობით გული დაგიმძიმო. რომ დაბრუნდები და ამ დღიურებს იმ იმედთან წერილებს შეადარებ, რომელსაც გწერდი, ვიცი დამტუქსავ... ან რის გაკეთება შეგიძლია ახლა, საბრალოვ. ალბათ სადმე სანგარში წევხარ და ტყვია განვიმს. ვიცი ამ წუთსაც ჩემზე და თედუნაზე ფიქრობ.

თედოს მუსიკას ვასწავლი. სულ შენი სმენა აქვს. ყველაფერს ადვილად ითვისებს.

პირველად ხელი რომ მთხოვე, ხომ გეუბნებოდი, ამ სიშორეზე ნუ წამიყვან-მეთქი, ახლა ჩემიანებს, რომც უნდოდეთ, ვერ ჩამოვლენ. მე კი წასვლა და შენი კერის გაცეცება არ მინდა. ჩვენს ბუხარშიც ამოდის კვამლი და შენს პატარა სახლს შენი ოჯახი ჰქვია. გაჭირვებით, როგორ არ მიჭირს. სწორედ მაგიტომ არ გწერ ამ წერილს. ოღონდ შენ დამიბრუნდი სალ-სალამათი და იდოს ეს წერილი შენი თვალების მოლოდინში, რომ ერთ დღეს დაბრუნდები და...

დღიური მეორე

ძალიან გაგვიჭირდა. მთელი კვირა ღომით გამყავს ბავშვი. გუშინ ნანას გიგლას ხაჭოიანი პური გამოგლიჯა ხელიდან და სახლისკენ გამოიქცა. ძალად წავართვი და გიგლას დავუბრუნე, თედოც ტირიდა, მეც და ასე მეგონა, მაშინ შენც ტიროდი, ცხრა მთის გადაღმა.

დღიური მესამე

არ ვიცი, კარგია თუ ცუდი, ამ დღიურებს რომ ვწერ, მაგრამ მე ხომ ახლა შეფასებისა და ავ-კარგის გარჩევის გრძნობა კი არაა, არამედ შენთან საუბრის სურვილი მანერინებს. ხვალ გივისთან მინდა მივიდე. შენი ამხანაგი რომაა. როგორ არ იცი. იცი, იცი. უბრალოდ არ გაგახსენდა, თორემ... თუმცა რაა გასახსენებელი. ადრე, კვირა არ

მასსოვს, რომ ჩვენთან არ მოსულიყო სადილად. გაგახსენდა ხომ?.. იქნებ თავის სასადილოში დამანყებინოს მუშაობა. მაშინ მე და თედუნა უფრო ადვილად გავიდოდით. პური მაინც არ მოგვაკლდებოდა... გუშინ ძლიერი ქარი იყო და ჩვენი სახლის წინ რომ ბებერი ფიჭვი იდგა, ძირიანად მოთხარა. მე თვითონ დავაპე, ხერხს მარინა დეიდა მიწვედა. თედუნაც ხვნეშოდა და ორ-ორ ღერს ეზიდებოდა. თანაც მეუბნებოდა: – მიწელე მამიკოს, მე ლომ გეხმალეები...

გთხოვ მაპატიო ასეთი წერა. ასე მგონია შენ გესაუბრები. ამას, რასაც ფურცელს ვანდობ, სხვას ვერავის ვეტყვი. როცა დაბრუნდები სიამოვნება გელის – ამ ჩემი ნაცოდვილარის კითხვა.

ხუმრობა ხომ არაა...

ახლა თედუნას სძინავს, მე კი ვწერ, რომ ეს დღეები შეგინახო. შენ ხომ ამ დღეებს ვერასოდეს ნახავ. ისინი ჩავლილნი დაგხვდებიან, როგორც გაზაფხული, ზაფხული... როგორც შემოდგომის ფოთლები...

ხო, ხვალ გივისთან მივდივარ. მაშინ იქნებ მეზობლის პური არ შეეხარბოს შენს თედუნას.

იქნებ.

დღიური მეოთხე

...ასეც ვფიქრობდი, რომ გივი ყურადღებას მომაქცევდა. ხომ მოგაგონდა ცალხელა გივი. სხვათა შორის ხელი გაუკეთებია, მაგრამ ისე სჯობდა. ეს არაბუნებრივი, შავი მოქანავე ხელი რალაც საშიშ შთაბეჭდილებას ტოვებს. თავად კი კმაყოფილია.

დიდი ჯაფა არ მადგას. ეგ არის რომ შენ გვენატრები. პურიც აღარ გვაკლია... თედუნა მშვენივრად მღერის. ვიცი, დაბრუნების შემდეგ ამას რომ წაიკითხავ, იტყვი: მე რომ ვიბრძოდი, თქვენ მღეროდითო. ისე ხუმრობით მეტყვი ხომ? ხუმრობით, თორემ ისემც მტერმა იმღერა, ჩვენს სიმღერას რომ სიმღერა ჰქვია.

...ოლონდ დაბრუნდი, მითხარი და გავუძღვებ...

დღიური მეხუთე...

ეტყობა ხალხის ცნობა არ ვიცი. გივი ერთი დამთმობი, წყნარი და მიმტყვებელი კაცი მეგონა. სასადილოდან თეფშები მიმქონდა სამ-

რეცხაოში. ერთი თეფში გადმომივარდა და გატყდა. ბავშვიც თან მახლდა... ამაზე სულ გადაირია. თუ მუშაობა გინდა, ბავშვი მეზობელს დაუტოვეო. მე ეს ვერ გავაკეთე და მთელი კვირა სახლში ვიჯექით ნახევრად მშვივრები.

დღიური მეექვსე

მე ისევ ვმუშაობ. რა ძნელია მუშაობა იმასთან, ვინც გეჯავრება. არა, მაინც უნდა გითხრა. ხომ არ გამინყრები სიმართლისთვის?... გახსოვს? ერთი კაცი რომ გამომედევნა პარკში საღამოს, რამდენი იცინე, ეს რომ მოგიყევი?... ეჰ, თემო, შენი სიცილი, შენი ლამაზი სიცილი... როგორ მაკლია. თურმე რა ბედნიერი ქალი ვყოფილვარ და არ მცოდნია...

ჰო, გადამცილდა, იმას გიყვებოდი, რაღაც საშინელი შესახედაობა აქვს თავისი შავი მოპორნიალე ხელით ამ გივის. ერთ დღეს სამრეცხაოში რომ ვარ და თავი მარტო მგონია, მოვიხედე და... გივი, თავისი შავი ხელით. ისე შემეშინდა, ბოლო თეფში ისე მაგრად დავდე დანარჩენებზე და გავიქეცი, რომ ერთი ათი თეფში ჩამოვარდა მაგიდიდან და დაიმსხვრა.

ყველაზე მეტად ის გამიკვირდა, რომ მეორე დღეს არაფერი უთქვამს, ორ-სამჯერ შევნიშნე, შორიდან იდგა და მიყურებდა თავისი მოპორნიალე შავი ხელით... თედუნა მეუბნება: – დედიკო, გივი ბიძია იმ მეოლე ხელს ლატომ ალ იბანს, ელთი ხელი შავი ლომ აქვს და მეოლე – თეთლი?..

ეტყობა შენს გივის ხელიც შავიც აქვს და გულიც. სულელი ხომ არა ვარ მისი მზერა ვერ ავხსნა... ისე შენ ხარ დამნაშავე, ასეთი კაცი ოჯახში რომ შემომიყვანე და მიმამსახურე. არ უნდა იცოდე, ვინ მიგაყვს სახლში?

ეჰ, ისევ შენ გაგამტყუნე, ალბათ სადღაც სანგარში გაყინული და გათოშილი. არ მინყინო, გამიგე. ისეთი ჩხუბიც მენატრება ცოლქმარს შორის, რომელიც ალერსი უფროა, ვიდრე ჩხუბი. რა მაგარი ქალი ვიყავი შენთან. ახლა კი ვიღაც ცალხელას აჩრდილი ჩამდგომია კვალში.

დღიური მეშვიდე

რა პქვია იმ მდგომარეობას, ახლა რომ მე ვარ? შიში. შიში საკუთარი თავის დაკარგვისა. მე ჯანდაბამდე გზა მქონია. შიში შვილის დაკარგვისა...

შიში.

უფრო მეტიც, რომელიც სიტყვით არ გამოითქმება. იგი შიშზე მეტია.

მისი გამოსახატავი სიტყვა არ შექმნილა.

ძრწოლა!

არა, არც ეს!

არა, არა...

დღიური მერვე

არა, არ უნდა დამეწყოს დღიურების წერა.

მინდა ხმამაღლა ვიყვირო, რომ არა ვარ გულწრფელი, არა ვარ მართალი...

...და მაინც ვწერ...

დღიური მეცხრე

აღბათ მალე დღიურების წერას შევწყვეტ.

დღიური მეთათე

ჩვენი ლამაზი სახლი აღბათ ძლიერ გენატრება. გახსოვს ჩვენი ქორნილი? ჩვენს უკან მოზუიმე მაყარი. ჩემი ფერსაცმლით გატეხილი თეფში. თედუნასთან განათევი პირველი ღამე. უძინარი ღამე, რომ ჩვენ შვილი გვეყოლა.

გახსოვს?

შენი უწყება სამხედრო კომისარიატიდან. ფრონტზე შენი გაცნობა და შენი ირაოს ფრთასავით ფართო ხელის დაქნევა.

?!
?!

დღიური მეთერთმეტე

მაპატიე.

მე უკვე ნავედი არა შენგან, არამედ ჩვენი სახლიდან. თუკი ოდეს-მე ამ დღიურებს წაიკითხავ, დიდი ფიქრი არ დაგჭირდება, მიხვდები ვისთან ნავედი თედუნასთან ერთად... აპრილში ბავშვს ველოდები...

ვკეტავ სახლს და მივდივარ, რადგანაც მე აღარა მაქვს შენს სახლში ყოფნის უფლება.

ჩვენი ფართო ოთახი პიანინოთი. ჩვენი შეუღლების მეორე დღეს კედელზე ბაცი ვარდისფერი შპალერი რომ გავაკარიტ. ორივენი ხელებით რომ ვეფერებოდით კედლებს. შპალერს ისე ვერ გააკრავ, კედელს თუ არ მიეფერე.

დიახ, ჩვენი ფართო ოთახის კედლებს ვეფერებოდით. დღეს მინდა ეს შპალერი ფრთხილად ჩამოვახიო კედელს, მხოლოდ ამ კედელს უნდა ვანდო ჩემი დღიურები. მერე ისევ მივანებო და შეგინახო. იმ კედელში ჩაგიტოვე ჩემი და შენი სიყვარულის დღეები. სანამ? მანამდე, როცა შენს სახლთან ახალი მაცარი მოდგება. მეორე დღეს ამ გახუნებულ ქალად რომ ჩამოხსნი, მაშინ ნახავ ჩემს დღიურებს... მერე კი ისევ, როგორც მაშინ, თქვენ ისევ მიეფერებით კედლებს და ახალ შპალერს გააკრავთ...

შენ ნამდვილად გაქვს ამის ღირსება და უფლება, ვაჟკაცობაც, რომ ეს დღიურები წაიკითხო. მერე კი თუ გინდა ნება-ნება გაატანე ქარაშოტებს, ვით ჩავლილი, გახუნებული და გარდასული დღეები...

არა, შენ იქნებ მაპატიო კიდევ, მაგრამ მე, მე აღარ მაქვს შენს ჭერქვეშ ცხოვრების უფლება.

მე სამარადისოდ მივდივარ!

მთელი ღამე მიტოვებულ სახლზე ვფიქრობდი.

თურმე ის მოჭრიალე კარები კი არ ჭრილებდნენ, უთქმელი სევდით ტიროდნენ. ის შპალერი, მე რომ კედელს ჩამოვახიე, დანგრეული ბედნიერების უკანასკნელი ფრთა ყოფილა. ის პიანინო, ერთი კლავიში რომ შერჩენოდა, ამ სახლში თქმული სიმღერის ბოლო კრინი იყო.

არა, ხვალ დილითვე უნდა მივიდე და ეს დღიურები თავის ადგილას დავაბრუნო. მერე წებოთი ისევ მივანებო კედელს და ამით მცირედით მაინც გავამრთელო სახლის ტკივილი.

ლამის ქარს ხეები მიმოუქცევია ზოგან, ბალები აუწენავს. ზღვა გაგიჟებული ასკდებოდა ნაპირს და ნაპირზე ამოსვლას ლამობდა.

მივდივარ, რომ იმ ოთახში ჩემი კიდეც ერთი შესვლა-გამოსვლის კვალი დავტოვო და რაც მთავარია, ეს ტკივილიანი დღიურები დავუბრუნო ძველ სახლს...

ის კი ვერ დაბრუნდა ალბათ, ვისთვისაც ეს წერილები იწერებოდა. ის ცოცხალია თუ... ვინც ამ დღიურებს წერდა.

მაგრამ საოცრებაე!

შორიდან შევნიშნე, რომ ძველი სახლი თავის ადგილზე აღარ იდგა. წუხანდელ ქარს ჭერი ძირს დაენარცხებინა და ახლა თუნუქის ფურცლებს აქეთ-იქით უნაცვლებდა ადგილს.

სახლი, ეს ტანჯული და უპატრონო სახლი!..

მაგრამ ამ დღიურებს რა ვუყო, რომელ კედელში ჩავატანო, ნიშნად ტრაგიკული სიყვარულისა...

მერე მისი დამწერის სურვილი გამახსენდა: „ქარს გაატანეო“, – მეუღლეს რომ წერდა. ანაზდად ხელი შევეუშვი გაყვითლებულ ფურცლებს და ქარმაც შორს, შორს წაიღო ისინი, რადგანაც წუხანდელ ნგრევა-ტრაგედიას თუ რაიმე აკლდა, ეს გაყვითლებული დღიურები იყო და ისინიც ნება-ნება, ქროლვა-ქროლვით, შორს და შორს მიჰქონდა გაავებულ ქარიშხალს.

ფრაუ ელიზაბეტ

მშობლიური ქალაქის აღებისას იგი მისმა სილამაზემ გადაარჩინა. გადამრჩენელი შემდეგნაირად წარუდგა გერმანელ გოგონას:

– შტაბს-კაპიტანი კოზლოვი.

– ელიზაბეტ... – იყო პასუხი.

თითქოს თავის ქალაქთან ერთად დატოვა სახელიც – ელიზაბეტ... ამის შემდეგ ის ელიზავეტად გადაიქცა და მისთვის სხვანაირად არავის მიუმართავს.

– შენმა სილამაზემ გადაგარჩინაო, – ეუბნებოდნენ საველე მატარებელში. შემდეგ რუსეთშიც ერთი და იგივე ესმოდა: – შენმა სილამაზემ გადაგარჩინა...

არაფერს იტყოდა.

გული კი ყოველთვის სხვას ამბობდა: „მე ჩემმა სილამაზემ დამლუპა, თორემ თუ ვერ გადავრჩებოდი, ჩემს ქალაქში, ჩემიანებთან ერთად მაინც დავიმარხებოდი...“

მისნაირები მრავლად იყვნენ ამ ვაგონებში. ისინი ისე „მიჰქონდათ“, როგორც ჰამბურგიდან წამოღებული პიანინო, თუ ვაიმარიდან მოპარული სერვიზი.

მიდიოდნენ და თოვლიანი გზა არ ილევოდა.

კოზლოვი პეტერბურგელი იყო. წარმოშობით მაღალი წრიდან, ახალგაზრდა, ლამაზი...

ერთ ღამეს, მორიგი აღერსის შემდეგ მატარებელშივე გაანდო ელიზავეტას:

– პეტერბურგში დიდხანს არ დავრჩებით. კავკასიაში, საქართველოში, ქობულეთთან ახლოს მაქვს მამული და სასახლე. ჯერ ცოლი არ მყავს. მომავლის იმედებს არ გაგიცრუებ, ახლავე გეტყვი, რომ ცოლად არ მიმყავხარ, მაგრამ ის ქალი იქნები, რომელიც ზოგჯერ ცოლზე მეტად უყვართ.

არას იტყოდა. იგი ხომ ტყვე იყო, პირადი „ნადავლი“ პირველი მსოფლიო ომიდან ამ ახალგაზრდა კაცისა, რომელიც თუმცა ერთგულებას აღუთქვამდა ცოლობას მაინც არ ჰპირდებოდა.

მატარებელი კი გაშმაგებით სერავდა თეთრ ტრამალებს და პეტერბურგისკენ სავალ გზას იმოკლებდა.

„არა, ცუდად არ მექცევა, მაგრამ ცოლობას არ მთავაზობს. არა-
და, ვიცი, რომ უცოლოა. ნეტავ მაინც ვისთვის უნდა მეუღლის ტახ-
ტი? ვინ ელის ომების დენტში ამოგანგლულ მატარებელს? ვინ იქნე-
ბა ის პრიმადონა, რომელიც ვაგზალში დახვდება და თავის ნაზ,
თეთრ ხელებს ბრჭყვიალა ეპოლეტებს შემოხვევს და ეტყვის: „ოჰ, რა
გრძელი და გაუსაძლისი წლები იყო, მწარე ნალექი და ლოდინი...
და შენ დაბრუნდი, დაბრუნდი სამარადისოდ და სამუდამოდ...“

პეტერბურგთან შეხვედრის დროც დადგა. თოვლ-ტალახში ამო-
განგლული მატარებელი ვაგზლის პირველ ლიანდაგზე შეგრიალდა,
სკლა შეანელა, ერთი კიდევ შეჰკვივლა და გაჩერდა.

ალექსანდრე კოზლოვს მცირე ნადავლი ჰქონდა. სულ რამდენიმე
ჩემოდანი, ახალგაზრდა გერმანელი ქალი და თოვლივით თეთრი პა-
ნია ძალღი.

მატარებელში ჯარისკაცები ერთხანს „ფრაუ ელიზაბეტს“ ეძახ-
დნენ, ახლა კი იგი უბრალოდ ლიზას სახელით ჩამოვიდა პეტერბურ-
გში.

მატარებლის დახვედრაზე ათასი ლექსი დანერვილა და მრავალი
ტილო შექმნილა, მაგრამ სხვა არის მშობლიურ ბაქანზე, ფრონტი-
დან მობრუნებული შემადგენლობის დახვედრა. აქ ყველა სიტყვა და
ყველაფერი ძალიან ცოტას ამბობს. ცრემლები?.. რა თქმა უნდა! მო-
ნატრება?.. უპირველესად! სიტყვები?.. არც არის საჭირო?..

გრძელი, გაფხორილი კაბები მიხვეტავდნენ თოვლქყაპს. არის
ერთი შეძახილი და გაკვირვება. ხუმრობა ხომ არ არის, მატარებელი
მობრუნდა ფრონტიდან. ლიზაც ცდილობს კაბა მოარიდოს ტალახი-
ან თოვლს, მაგრამ არ გამოსდის. მეორე ხელი საკმაოდ მოზრდილ
ფუთას სჭირდება. წინ კოზლოვი მიდის, მერე – ლიზა, ბოლოს –
თეთრი ძალღი...

ვაგონთან არავინ დახვედრიათ.

„ალბათ დააგვიანდა და გზად შემოგვხდება“, – ფიქრობს ლიზა.

ბაქნიდან ქუჩამდე კიბე ეშვებოდა. სწრაფად ჩაიარეს. კიბის ბო-
ლო საფეხურთან ერთი ეტლი იდგა. მერე – მეორე, მესამე, ალბათ
ასამდე ეტლი იდგა და ელოდა. ცხენები ფრუტუნებდნენ და თოვ-
ლქყაპს ტორებით აყრიდნენ გამვლელ-გამომვლელს.

ალექსანდრე კოზლოვი დაჯერებულად მიიკვლევდა გზას და რა-
ღაცას თუ ვიღაცას ეძებდა, და...

– ალექსანდრ სტეპანიჩი, ნუთუ თქვენ, ბოლოს და ბოლოს?..

ერთი ზორბა მეეტლე კოზლოვის წინ მუხლზე დაეცა, ჩაიჩოქა და მუხლი თოვლ-ტალახში ჩადგა. ლიზამ შენიშნა, რომ ასეთი მუხლმოყრა დამხვედურთაგან აქ არავის აკლდა.

კოზლოვმა დაჩოქილ მეეტლეს მხარზე ხელი დაადო. ხელის შეხებინას მეეტლემ კიდეც უფრო დახარა თავი.

კოზლოვი არც შეჩერებულა, ისე გასწია მწვანე ეტლისკენ. მას უკან ლიზა, მეეტლე და თეთრი ძაღლი მისდევდნენ...

კოზლოვის სასახლე შემალღებულ ადგილას იდგა. წინ – სვეტიცბიანი კოლონადა. ეზო განიერი და ათასნაირი ბუჩქნარით დამშვენებული. ფართო სადარბაზო კარებიდან დიდ დარბაზში შევიდნენ. ჭადრაკის დაფას მოგაგონებდათ იატაკი. კედლები ათასნაირი ნახატებით გადატვირთული. უბრალო მოყვარულის თვალის იოლად შეამჩნევდა, რომ აქ რუსეთის დიდი მხატვრები მეფობდნენ. კოზლოვი ერთ ტილოსთან მივიდა, დიდხანს უცქირა, როგორც ცოცხალს რასმე შეხედავენ. მერე ლიზასკენ მობრუნდა და დამტკრეული გერმანულთ უთხრა:

– აივაზოვსკია, ჩემი საყვარელი მხატვარი.

ლიზა უსიტყვოდაც კარგად მიხვდა, რომ ეს ასე იყო, რადგანაც დარბაზში ამ მხატვარს რაოდენობრივადაც ყველა ფერმწერი დაეჩრდილა...

ამ შენობას, მისი კონსტრუქციისა და მორთულობის გამო ნამდვილად ეთქმოდა სასახლე. განიერი, მაღალჭერიანი ოთახები, შესანიშნავი ავეჯი, ჭურჭელი და ხალიჩები...

კაცი ბრმა უნდა ყოფილიყო, რომ ეს სიმდიდრე ვერ დაენახე, მაგრამ ლიზას თვალები იმას ეძებდნენ, ვისაც ეს სილამაზე მიუძღვნეს, ვისაც ფრონტული მატარებელი ელოდა, ვინც ამ სასახლეში მითირევდა თავის გრძელ, ბორბალა კაბას, მაგრამ იგი არ ჩანდა.

რამდენჯერაც კარი გაიღებოდა, იმდენჯერ ეგონა, რომ ის, ის იყო... მაგრამ ერთი ღამეც გაათენა კოზლოვის საწოლში, ის კი არა და არ ჩანდა.

და საოცრებაე! სარკმლებს რომ რძისფერი განთიადი შემოეპარა, ალექსანდრე კოზლოვმა თავად გააქრო მისი ცნობისმოყვარეობა:

– ვიცი, შენ აქ ვილაც ქალთაგანს ელოდი. ამას შენი მაძებარი თვალები ამბობენ. მე კი ახლავე გეტყვი: ის აქ არ ცხოვრობს, ის კავკასიაშია. კავკასიონივით შორეული და მიუწვდომელი, შავ ზღვასავით

ღრმა და იღუმალი. ის ჯერ ჩემი არ არის, მაგრამ, მალე ჩემი იქნება, – აღსარებასავით წარმოსთქვა კოზლოვმა.

მეტი რა გზა იყო. ლიზას კავკასიამდე უნდა ეცადა იმ ქალის გასაცნობად, რომლის ტახტს თუმცა არ სთავაზობდნენ, იმ ქალის ბედს უნდა შერიგებოდა, რომლებიც ხანდახან ცოლებზე მეტად უყვართ... მაგრამ, ხანდახან!

პეტერბურგის სასახლეში მხოლოდ ერთ კვირას გაჩერდნენ. ლიზამ ამ ხნის განმავლობაში იმის გაგება მოასწრო, რომ კოზლოვი საკმაოდ კარჩაკეტილი კაცი იყო, მიუხედავად იმისა, რომ იგი ჯერ მხოლოდ ოცდათხუთმეტს გადასცილებოდა. ეს დასკვნა იქიდან გამოიტანა, რომ მთელი კვირის განმავლობაში სულ სამი წყვილი იყო, ვინც სასახლის კარი შემოაღო და ფრონტიდან დაბრუნება მიულოცა. ლიზამ არც ის იცოდა, რა იყო მისი იდეალი. მხატვრობა კი... ამის აღქმა არ ჭირდა. სასახლის კედლებზე იკითხებოდა რუსეთის დიდი ფერწერა. გერმანიიდან წამოყვანილი ეს თეთრი ძაღლიც მის მონადირულ ვნებებს ამხელდა, ხოლო მისი მამაკაცური ქარაშოტების ნადავლი თავად ლიზა იყო, რომელიც ახლა კავკასიაში უნდა გაჰყოლოდა ამ ნახევრად უცნობ მამაკაცს, მთავარი პრიმადონა კი იქ, ცხრა მთის გადაღმა ელოდა ფრონტიდან დაბრუნებულ სატრფოს.

ერთხანს ისიც გაიფიქრა, იქნებ ცრუობსო. სადღაც, რომანში წაეკითხა, რომ ეს მამაკაცების ხერხია. თუ გინდა ქალს თავი ძლიერ შეაყვარო, სადღაც შორს, არარსებულ ქალი უნდა დაუსახო მეტოქედ. დააეჭვო, დააფიქრო და ბოლოს უთხრა: არავითარი სხვა ქალი, ის ვინც მიყვარს და თავს მირჩევნია, ეს შენა ხარ და სიცოცხლის ბოლომდე შენ იქნები...

ამ ფიქრით გაიარა რუსეთის ტრამალები, პატარ-პატარა სასტუმროებში ჩამოსვენებით. ამ ფიქრით მიადგა ოდესას, საიდანაც მათი ხომალდი უნდა გასულიყო.

მათი შემადგენლობა არც გემზე მგზავრობისას შეცვლილა, კოზლოვი, ლიზა და თეთრი ძაღლი...

რამდენიმე დღის მგზავრობის შემდეგ, როცა ამომავალმა მზემ კოზლოვის ბრჭყვიალა ლილებს თავისი ბრჭყალი დაასო, მან ხელი შორეული ნაპირებისაკენ გაიშვირა და ლიზას უთხრა:

– ხედავ? შორს, მუქლურჯი სერი რომ გამოჩნდა, აი, იქ მივდივართ ჩვენ. იქ არის ჩემი ახლად შექმნილი მამული და იქ არის „ის“...

ისევ „ის“...
მაგრამ ვინ?!

შორეული მუქ-ლურჯი ნაპირი თანდათან დიდდებოდა და ბოლოს, მწვანე, ხასხასა მთებად გადაიქცა. მერე ნათლად გამოჩნდა ზღვისკენ მკვეთრად დაქანებული მწვანე სერი და ლამაზი, ზღვაში შეჭრილი კონცხი.

გემი ნაპირთან რამდენიმე ვერსზე გაჩერდა და მისკენ რამდენიმე ნავი დაიძრა. დაბალი გემბანიდან ნავში ადვილად გადაბარგდნენ. კოზლოვი მენავეს ასე მიესალმა:

– პრივეტ, გრუზინ! ნუ კაკ ტამ?

ნაპირთან მივიდნენ თუ არა, კოზლოვმა მენავეს ფული გადაუხადა და ციცაბოდ მდგარ ციხისძირს გახედა:

– ძველი ციხეა, ძალიან ძველი.

ლიზა უამისოდაც ძალიან კარგად ხედავდა ამ ძველ ციხესაც და მის ფერხთით მთისკენ მიმავალ ბილიკს.

პატარა ბეჭობის ძირში შედგნენ, საიდანაც სერზე წამომართული სახლისკენ კიბე მიემართებოდა.

– ეს კიბე მე თვითონ გავაკეთე. ოცდათხუთმეტი საფეხურია, რადგანაც „ისიც“ ოცდათხუთმეტი წლისაა...

„ისევ „ის“... – ფიქრობს ლიზა.

თუკი ერთი თვის წინ „ის“, სადღაც შორს, ცხრა მთას იქით იყო, ახლა „ის“, აქ არის, რომლის მიზეზითაც ლიზა ვერასოდეს იქცევა კოზლოვის მეუღლედ და მას ყოველთვის ხანდახან საჭირო ქალი ერქმევა“.

პირველი საფეხურიდან მხოლოდ ისე იარა, გეგონებოდა ყოველ საფეხურს „მის“ სახელს ფეხქვეშ თელავდა. ოცდამეთხუთმეტი საფეხურზე რომ შედგა, შეისვენა და ამით კოზლოვიც აიძულა „მასთან“ შეხვედრამდე ცოტა მაინც შეყოვნებულიყო. მთელი ამ ხნის განმავლობაში პირველად ჩაიხედა საკუთარ სულში და აღმოაჩინა რომ... რომ კოზლოვი უყვარდა, ისიც ინატრა:

ნეტა „იმის“ გამოგონება მართლა მამაკაცური ხერხი ყოფილიყო ლიზას გულის დასაპყრობად, მაგრამ „ის“, ახლა აქ ძალიან ახლოს იყო და ასე ეგონა, მისი სუნთქვაც კი ესმოდა.

სახლის კარები გააღეს. აქაც სრული მდუმარება სუფევდა. ერთხანს კიდევ დაიჯერა თავისი ეჭვი, რომ არავითარი „ის“, არ არსებ-

ბობდა, მაგრამ საღამოს, ზღვის საცქერად რომ გამოვიდნენ ბანზე, კოზლოვმა ყველაფერი თავად ახსნა:

– „ის“ იქ ცხოვრობს...

თქვა და ლიზამ მისი ხელის იქით მუხებით დაჩრდილული სახლი დაინახა...

– მე და მამამისი აქ ერთად ჩამოვედით და ერთად შევიძინეთ მამულები. მას ნასტია ჰქვია. ჯერ არ იცის ჩვენი ჩამოსვლის ამბავი, როცა ამას გაიგებს, შენ იმნამსვე მოსამსახურე ლიზად იქცევი, თუმცა...

– რა თუმცა, იმისთვის ნამომიყვანე ამხელა გზაზე, რომ აქ მოსამსახურის ტიტულით დაგეჯილდოებინე, რომ შენი რომანისათვის თვალყური შედევენებინა?

– მე ჩემს სიტყვას არ გადავსულვარ, შენ იმ ფუნქციას შეასრულებ, რომელიც მე გერმანიიდან მომავალმა მატარებელშივე დაგაკისრე. მე არასოდეს აღმიტყვამს შენთვის ცოლობა და ყოველთვის იმას გეუბნებოდი, რომ ეს ადგილი დაკავებული იყო...

კი, ნამდვილად ასე იყო, მაგრამ ახლა რატომ აღიქვამს მოულოდნელად ლიზა, იმას, რასაც კოზლოვმა წინასწარ შეაჩვია?

ბევრჯერ ჩაჰკითხა თავის თავს, მაგრამ პასუხი ერთი იყო: მას კოზლოვი უყვარდა! ისევე კაცის ხმამ გამოაფხიზლა:

– ხვალ ნასტია ჩვენი სტუმარი იქნება და შენ მასთან წარსდგები, როგორც მოსამსახურე.

ხვალ... აქამდე, როგორ ესწრაფოდა მის ნახვას, მაგრამ ეს ყველაფერი უნდა დასრულდეს ხვალ. ხვალის შემდეგ კი ყველამ თავისი თავი უნდა ითამაშოს და არა სხვისი როლი.

ხვალ!

ხვალამდე ოცდაოთხი საათია!

არ ეგონა თუ ასე გაუჭირდებოდა „მასთან“ შეხვედრა, რომელსაც თუმცა ელოდა, მაგრამ მაინც შორს ეგონა.

საღამო ხანს ერთი აქაური ქართველი ესტუმრა. „სჯობს აქედან დავიწყო მოსამსახურის როლის შესრულებათ“, – გაიფიქრა ლიზამ. ვაზაზე ხმელი ხილი დაანყო და მოსაუბრეებს შეუტანა, თავად კი მეორე ოთახში გავიდა.

ერთხანს მათი წყნარი საუბარი ესმოდა. მერე რალაც შეკითხვა კოზლოვისა და ბოლოს ღრიალით ნათქვამი:

– მე მას დუელში გამოვიწვევ!..

საერთო სიჩუმე ჩამოვარდა.

„ვის, ვის იწვევს კოზლოვი დუელში?!“

კარებთან მივიდა და მიაყურადა.

– ის ჩემი საცოლე იყო, ჩვენ პირობა გვექონდა.

ცხარობდა კოზლოვი.

მერე თავისი ოქროთი მოსირმული თეთრი ხელთათმანი აიღო მაგიდიდან, იმ ქართველს მისცა და უთხრა:

– გადაეცი ეს ხელთათმანი, ნიშნად იმისა, რომ მე მას დუელში ვიწვევ.

სტუმარს დიდხანს აღარ მოუცდია. წაიღო კოზლოვის ხელთათმანი და წავიდა.

ლიზას დიდი ფიქრი არ დასჭირვებია, მათი საუბრიდან ჩანდა, რომ ნასტია ერთ აქაურ ქართველს გაჰყოლოდა. სანოლ ოთახში შევიდა და გალიგვული ფეხები საბანში შემალა.

კოზლოვი კიდევ დიდხანს სცემდა ბოლთას, მერე ლიზას ოთახის კარი გააღო და შევიდა. ერთხანს, ოთახში მდუმარედ იდგა. ბოლოს უმისამართოდ ამოილაპარაკა:

– ნასტია ერთ აქაურ ქართველზე გათხოვილა!..

ლიზას ხმა არ გაუტცია. ამან უფრო გააცოფა, ისედაც გაგიჟებული კოზლოვი.

– რატომ ხმას არ იღებ? შენთვის მაინც არაფერი შეიცვლება. შენ ისევ მონად და მოსამსახურედ დარჩები იცოდე!

– მე არასოდეს ვყოფილვარ მონა!

იყო ლიზას პასუხი.

კოზლოვი ფეხბარევიტ მივიდა მალალ სკამთან, თავი ჩამოსდო და ატირდა.

„ოცდაოთხი საათი, თურმე რა დიდი დროა, ოცდაოთხი საათი. მთელი სიცოცხლის შემობრუნება შეიძლება ოცდაოთხ საათში“, – ჩურჩულებდა გაყინული და ძილგამკრთალი ლიზა.

დილით გვიან გაეღვიძა. ყველა ოთახი მოიარა. კოზლოვის კვალს ვერ მიაგნო. გარეთ გავარდა. არც ძალლი შემოეგება. ეს ლამაზი არემარე მდუმარებასა და იდუმალებას მოეცვა. გაღმით სერზე ნასტიკას სახლი ჩაფლულიყო მუხებში.

დიდხანს უძახა:

– ალექსანდრ სტეპანიჩ, ალექსანდრ სტეპანიჩ!..

დაქანებულ კიბეებზე რომ გადაიხედა, დაინახა, რომ თეთრი ძაღლი ამორბოდა ოცდათხუთმეტ საფეხურს და პირში რალაც ეჭირა.

ოცდამეთხუთმეტე საფეხური რომ ამოათავა, ლიზას მუხლებზე შემოეხვია და თეთრი საგანი ძირს დააგდო.

– ღმერთო ჩემო, ხელთათმანი, კოზლოვის სისხლიანი ხელთათმანი და... ფიქრმა გაჰკრა, – „დუელი!“

* * *

კოზლოვის ცხედარი პეტერბურგს წაასვენეს. მისმა დამ ყველაფერი იღონა, რომ ძმა მშობლიურ ქალაქში დაესაფლავებინა.

კოზლოვის გადასვენება ლიზასთვის ფიქრის დიდი ღამე იყო. ნაპყოლოდა? მაგრამ სად, მან ხომ მხოლოდ ერთი კვირა დაჰყო პეტერბურგში. იქ არავის იცნობდა, ან სცნობდნენ კი კოზლოვის ნათესაები?

აქ კი მეგობრად თავისი დიდი სიმარტოვე ეყოლებოდა და ეს გაუადვილებდა ცხოვრებას. სიყვარულის ნიშნად თეთრი ძაღლი და სისხლში მოთხერილი თეთრი ხელთათმანი დარჩა...

რევოლუციის შემდეგ ამ სახლიდანაც გამოასახლეს და მარტო მან იცოდა, ფეხქვეშ რატომ უკვნესოდა ციხისძირის კიბის ოცდათხუთმეტი საფეხური.

„რუსის ქალი ლიზა!“

ასე იცნობდა მთელი ქუჩა. მას ხომ საკუთარ ქალაქთან ერთად წართვეს საკუთარი სახელი – ფრაუ ელიზაბეტ!

თეთრი ძაღლის სიკვდილის შემდეგ სადმე ასეთი ფერის ძაღლს თუ ნახავდა, სახლში, თავის ვინრო ბინაში მიჰყავდა. ზიდავდა ფიჩხს, ზღვიდან – თევზს, და ძაღლებს „სუჰს“ უხარშავდა. მისი აივნისიდან მუდამ ათი თეთრი ძაღლი უყეფდა გამვლელ-გამომვლელს. დადიოდა ქუჩებში და მშიერ ძაღლებს აპურებდა.

ერთ ღამეს მეზობლები ძაღლების ყმულიმა გამოაღვიძა. კარები შეამტვრიეს და იატაკზე დავარდნილი მკვდარი იპოვეს. ქონება არა-რა დარჩენია, ხოლო უჯრა რომ გამოაღეს საგულდაგულოდ შენახული სისხლიანი ხელთათმანი და ტილოზე ამოქარგული გერმანული ნანერი იპოვეს: „ფრაუ-ელიზაბეტ!“

იმ დღეს მან სამარადქამოდ დაიბრუნა ტყვეობაში დამალული ქალწულობის სახელი – ფრაუ ელიზაბეტ!



მონატრება

პაპანაქება ზაფხული იდგა. ბინდდებოდა. ჩამავალი მზე ჯერ კიდევ აშუქებდა არემარეს. ხალხი შინისკენ წასვლას ჩქარობდა. ავტობუსის მოსაცდელთან მოხუცი კაცი გაჩერდა. დაახლოებით ოთხმოცი წლის იქნებოდა. საშუალოზე მაღალი. თავზე ბოხობი ეხურა. თოვლივით თეთრი წვერ-ულვაში მის სახეს სიდარბაისლეს მატებდა, ბრძენი კაცის იერს აძლევდა. შავი ფერის ყაბალახი ყელზე შემოეხვია. ტანთ ჩოხა-ახალუხი ეცვა. წელზე ოქრო-ვერცხლით მოჭედილი ქამარ-ხანჯალი ერტყა. მკერდს სამი სამკერდე ნიშანი უმშვენებდა.

მოხუცი გამვლელ-გამომვლელს აკვირდებოდა. არც ისინი ტოვებდნენ მას უყურადღებოდ, ალბათ მისი განსაკუთრებული აღკაზმულობის გამო.

მაღე ავტობუსი ჩამოდგა და მომლოდინე ხალხით გაივსო.

მოხუცს ეტყობოდა, შფოთავდა. იქვე, ახლოს ჯიხური შენიშნა. ჩქარი ნაბიჯით მიადგა ჟურნალ-გაზეთების ჯიხურს, მიმოათვალიერა იქაურობა.

– გამარჯობა, ყმანვილო! – თავაზიანად მიესალმა ახალგაზრდა გამყიდველს მოხუცი.

გამყიდველი ჯიხურის ღია სარკმელთან ახლოს მივიდა...

– გაგიმარჯოთ, ბატონო! რას ინებებდით? – ჰკითხა ბიჭმა და მოხუცი დაკვირვებით ჩაათვალიერა. აშკარად მოენონა მისი ჩაცმულობა.

– ჯერჯერობით არაფერს, მე სხვა საქმისათვის გეახელით, თხოვნა მაქვს თქვენთან, შვილო ჩემო, (ასეთი მიმართვა იცოდა მოხუცმა) – ვიცი თქვენც გაოცებთ ჩემი ჩაცმულობა და გაინტერესებთ, ვინ ვარ მე. ძალიან შორიდან მოვდივარ, ცხოვრების გზის დასაწყისიდან დასასრულამდე თითქმის მოვედი. ბევრი სიმწარე გადავიტანე. შეცდომებმა ნამდვილი გზა მაპოვნინა. მე სამშობლოს მონატრებამ მომიყვანა აქ. ჯერჯერობით არავის ვიცნობ, არავინ მეგულება ისეთი,

ვინც მიმასპინძლებს. პირველი ადამიანი, რომელსაც ასე გულახდილად ვესაუბრები, შვილო ჩემო, ჩემს ქვეყანაში, თქვენ ხართ. ღამის გასათევი არ მაქვს, იქნებ, მიმასწავლოთ ვინმე, ვინც ჩემნაირ სტუმარს მიიღებს, ან იქნებ, თქვენ დამდოთ პატივი, ერთი ღამე გამიტანოთ. თქვენი ჟურნალ-გაზეთებიც მაინტერესებს. უეჭველად შევიძინებ რამდენიმე ცალს.

– გეტყობათ, ბაბუ, განათლებული და ბრძენი კაცი ბრძანდებით. ჩაცმულობაზე გეტყობათ, ნაღდი ქართველი უნდა იყოთ, – უთხრა ახალგაზრდამ და ჟურნალ-გაზეთების გადმოლაგება დაიწყო.

– ბრძენი? – ირონიანარევი კილოთი წარმოთქვა მოხუცმა. გმადლობთ, შვილო ჩემო, ასეთი შეფასებისთვის. რადგან წვერიანი ვარ და მოხუცი, ბრძენი გგონივართ? ბრძენ კაცს და ბერ კაცს შორის დიდი სხვაობაა! – პაუზის შემდეგ თქვა მოხუცმა და ღიმილი დაატანა.

– როგორ გეკადრებათ, ბაბუ, ვიცი, თავს არ იქებთ, თქვენი თვალები სიბრძნეს აშუქებს. მთელ ჯიხურს გაჩუქებთ, ბაბუ და შეძლები-სდაგვარად გიმასპინძლებთ კიდევ. თქვენისთანა სტუმარზე ვინ იტყვის უარს, თქვენგან შეიძლება ადამიანმა ბევრი რამ ისწავლოს...

– გმადლობთ, შვილო ჩემო, როგორ გამახარეთ, თუკი ასეა, უნდა შეგან უხოთ, მხოლოდ ერთი ღამით. თუ კარგად ავანყეთ სტუმარ-მასპინძლობა, დავმეგობრდებით კიდევ, თქვენი ერთგული ვიქნები. რაც შემიძლია, არ დავიშურებ. გეტყობათ პატიოსანი ოჯახის შვილი ხართ, ალბათ, ამიტომ მომიყვანა ინტუიციამ თქვენთან, ნამდვილად არ შეემცდარვარ.

– დიდი მადლობა, ბაბუ. ვეცდები კარგი მასპინძლობა გაგინიოთ. შინ თქვენი ხნის ბაბუა მყავს, ჰგავხართ კიდევ. ისიც თქვენსავით საყვარელია. უეჭველი გამონახავთ საერთოს და არ მოინყენთ. დედ-მამა მყავს და ახალშერთული ცოლიც.

– სასიამოვნოა, – გაიხარა მოხუცმა. ჩათვალეთ, ჩემი სახით ერთი ბაბუა კიდევ შეგემატათ.

ბიჭმა უცნობს ბოდიში მოუხადა. სარკმელი ჩარაზა. კარი გამოკეტა და მოხუცს მიმართა:

– წამობრძანდით, აქედან ახლოს ვცხოვრობ, სულ ათი წუთის სავალია. – ნელი ნაბიჯით გაუყვინენ გზას.

– თქვენი სახელი, შვილო ჩემო, თუ შეიძლება მაჩუქოთ? – დაარღვია სიჩუმე მოხუცმა.

– ბაბუ, თქვენობით ნუ მესაუბრებით, არაა საჭირო, მე თქვენზე ბევრად უმცროსი ვარ და მეუხერხულება, რაც შეეხება სახელს, დავითი მქვია.

– კარგი, შვილო ჩემო, – სხვა ვერაფერის თქმა ვერ მოასწრო, ისე მიადგნენ ხუთსართულიან შენობას.

– აი, ჩემი სახლი. მეორე სართულზე ვცხოვრობთ, – უცნობს ბოდიში მოუხადა, ერთი ნაბიჯით წინ გაუძღვა. შესასვლელ კართან მისულმა ღილაკს თითი დააჭირა. კარი დედამ გააღო. – მობრძანდით! – თქვა ქალმა.

ოთახში, სავარძელში მჯდომი შუახნის მამაკაცი ტელევიზორს მისჩერებოდა. კოხტად და გემოვნებით განლაგებული ნივთები, სასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებდა. სახლს აშკარად ემჩნეოდა კომუნია დიასახლისის ხელი.

– ეს ჩემი მშობლებია, – წარმოუდგინა მოხუცს თავისი დედ-მამა დავითმა.

– გიორგი, – ფეხზე წამოდგა დავითის მამა და სტუმარს ხელი ჩამოართვა.

– მე ალიბეგს მეძახიან, – თქვა სტუმარმა.

– დაბრძანდით!

ამ დროს სამზარეულო ოთახიდან ახალგაზრდა, მაღალი ტანის, ქერათმიანი ქალი გამოვიდა.

– ეს კი ჩემი მეუღლე გახლავთ!

– ძალიან სასიამოვნოა.

– ეს კეთილი კაცი – თქვა დავითმა – ახლახან გავიცანი, – ვფიქრობ, საინტერესო ადამიანი უნდა იყოს.

მოხუცი რბილ სავარძელში დააბრძანეს. ქალებმა ყავა, ნამცხვარი და ხილი გამოიტანეს.

ჩუმად ისხდნენ. არც ერთმა არ იცოდა, საიდან დაეწყოთ საუბარი. ცოტა ხანში ვახშამიც შემოიტანეს. სურნელოვან საჭმელს წითელი ღვინოც მოაყოლეს. მასპინძელმა ბროლის ჭიქაში ღვინო ჩამოასხა. პირველი ჭიქა სტუმარს მიანოდა. სალაპარაკო თემაც მალე გამოუჩინდა.

– ამ ოჯახის თავკაცი მამაჩემია, – წამოიწყო დავითის მამამ. ვიდრე ის შემოგვეერთებოდეს, თითო ჭიქა დავლიოთ. მამაჩემი ოთხმოცი წლისაა, ცოტა შეუძლოდაა, მეტწილად წევს. ისე არც ყურს აკ-

ლია და არც – თვალს. დიდად გაიხარებს თქვენი ნახვით, უყვარს ძველი ამბების მოყოლაც და მოსმენაც. უძილობა სჭირს. ახლა ჩაეძინა, მალე გაიღვიძებს. ამ ჭიქით ჩვენს გაცნობას გაუმარჯოს! – ბედნიერების მომტანი ყოფილიყოს თქვენი სტუმრობა ჩემი ოჯახისათვის, კეთილო ადამიანო!

– გაგვიმარჯოს! – ჭიქა ჭიქაზე მიუჭახუნა სტუმარ-მასპინძელმა. დიდხანს იცოცხლეთ! – განაგრძო სტუმარმა. ჩემს ხანზე ბევრად გაგესწროთ, მაგრამ ტკბილად და უმტკივნეულოდ გეცოცხლოთ ამ ლამაზ ქვეყანაში... და არა ისე, როგორც მე განვლე წუთისოფელი. გეტყობათ, ბედნიერი ოჯახი გაქვთ, დაე, სულ ბედნიერად იყავით, იმრავლეთ და თქვენი სამშობლოს ზეცის შუქურა დღენიადაგ დაგნათოდეთ! – ჭიქა ბოლომდე დაცალა მოხუცმა.

ახალ ჩაძინებულ ოჯახის უფროსს ხმაური რომ შემოესმა, ნამოდგა ლოგინიდან და ჯოხის კაკუნით შევიდა მისაღებში.

– აი, მამაჩემიც! – ყველანი ფეხზე წამოდგნენ. მოხუც სტუმარს ესიამოვნა თანატოლთან შეხვედრა. ხელი მონინებით ჩამოართვა. დავითის ბაბუა სუფრის თავში დასვეს.

– მამაჩემო, ეს ძვირფასი ადამიანი დღეს ჩვენი სტუმარი ბრძანდება. ისაუბრეთ რამდენიც გნებავთ. თუ საინტერესო თემა დავიჭირე, უეჭველად წიგნს დავწერ. – გულწრფელად თქვა დავითის მამამ, გიორგიმ.

– ძალიან კარგი, ჯერ სტუმარს მოვუსმინოთ! – თქვა ოჯახის უფროსმა.

– თქვენ მწერალი ბრძანდებით? – მიუბრუნდა გიორგის სტუმარი და სახე გაუბრწყინდა.

– დიახ, ბატონო, მე შვიდი წიგნი მაქვს გამოცემული, მერვე თქვენზე იქნება დანერილი.

– მივესალმები თქვენს განათლებას, ცოდნას ძალზე ვაფასებ. თუკი მართლა დანერთ წიგნს, ნამდვილად საინტერესო ამბავს მოგიყვებით.

ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა.

– ეს იყო დიდი ხნის წინათ – დაიწყო მოხუცმა. – მაშინ აჭარაში ვცხოვრობდი. ჩემს ქვეყანაში დიდი არეულობა მოხდა, ერის ერთიანობა დაიშალა. საქართველო ორად გაიგლიჯა – თურქეთის საქართველოდ და რუსეთის საქართველოდ, რასაც მოჰყვა დიდი უბედუ-

რება. სწორედ აქედან დაიწყო ჩემი ბედუქულმართი ცხოვრება. ქვეყანას მაშინ უსულგულო ადამიანები მართავდნენ, რომელთაც არ ტკიოდათ სამშობლო. ადამიანებს ისე ექცეოდნენ, როგორც პირუტყვებს. ხვრეტდნენ უდანაშაულო ადამიანებს, ქალებს, ბავშვებს და მოხუცებს ასახლებდნენ...

– მეც, ვარ მაგისი მომსწრე, რა დამავინყებს იმ საშინელ დღეებს? – სიტყვაში ჩაეჭრა მოხუცი მასპინძელი.

სტუმარმა მცირე პაუზის შემდეგ განაგრძო – სანყალი მამაჩემი, სხვებთან ერთად ჩვენს თვალწინ დახვრიტეს. მამაჩემთან ერთად დახვრიტეს მისი ძმები და ბიძაშვილები, ჯალათებმა დიდი ორმო გათხარეს. სიკვდილმისჯილნი ორმოსთან გაამწკრივეს. ქალები და ბავშვები კი მოპირდაპირე მხარეს დაგვაყენეს, რათა გვეცქირა, ამ საშინელებაზე. კაცის მკვლელები მწვანე ფერის სპეციალურ ფორმაში იყვნენ გამოწყობილნი. წელზე ბასრი ხანჯლები ეკიდათ. ხელთ კი დამბაჩები ჰქონდათ. ირგვლივ უამრავ თანამემამულეს მოეყარა თავი. მახსოვს ფუტკრებივით ირეოდა ხალხი. მთავრობის წარმომადგენლები ამაყად დააბიჯებდნენ. კბილებამდე შეიარაღებულნი იყვნენ. სახე უბრწყინავდათ. ერთი სული ჰქონდათ, როდის გასცემდნენ ბრძანებას. მამაჩემი განწირულის თვალებით გვიყურებდა, ალბათ, შველას ითხოვდა. ჩვენთან ერთად იდგნენ დანარჩენი განსასჯელთა ცოლები და შვილები. ყველას თავზე ჯალათები გვედგნენ. აი, გასცეს ბრძანება: ერთი, ორი, სამი! და... გაისმა გულისგანმგმირავი, საზარელი ხმა. ვგრძნობდი საშინელება ხდებოდა. უდანაშაულო, ახალგაზრდა კაცები წინასწარ გათხრილ ორმოში ჩაცვივდნენ. გორასავით აზიდული მიწით უზარმაზარი ორმო იმწამსვე ამოავსეს. გოლიათივით მხარბუჭიანმა კაცებმა. იმ დღეს შვიდი კაცი დახვრიტეს. უცებ დედაჩემმა – „ვაიმე დედა“ – დაიძახა და ძირს მოწყვეტილი დაეცა. მასთან ერთად კიდევ ორი ქალი გარდაიცვალა. სამივე იქვე დამარხეს.

მის შემდეგ შურისძიების წყურვილი მახრჩობდა. ვნატრობდი, მშობლების მკვლელები ჩამეძაღლებინა, მაგრამ ჯერ ხომ ბავშვი ვიყავი, სოფლად ერთ ქოხში ვცხოვრობდით. მე და ჩემს ტყუპისცალ ძმას ბებია გვზრდიდა. მისი დაკოჟრილი ხელებით გვიცხოვრებდა მჭადს. წველიდა საქონელს (ერთი მარჩენალი ძროხა გვყავდა). რძეს ხის ჯამზე გვისხამდა, ჩვენ კი მადიანად ხვრებდით. პატარა ბოსტა-

ნიც გვექონდა. ყველას უჭირდა. სოფელი თუ ქალაქი ანიოკებული იყო. ერთმანეთისათვის დახმარების განევა არავის შეეძლო. თოთხმეტი წლისამ გადანყვეტილება მივიღე, რადაც არ უნდა დამჯდომოდა დედ-მამის სისხლი ამელო. იმის სახე, ვინც მამაჩემს დამბაჩა დაუმოზნა თვალებიდან არ გამომდიოდა.

სოფელში მდინარე ჩამოდიოდა. იქ ხშირად თავს იყრიდნენ კაცის მკვლეელი ჯალათები და ბანაობდნენ. ერთხელ სიცხისაგან შენუხებული ერთ-ერთი ჯალათი, კერძოდ, მამაჩემის მკვლეელი, საბანაოდ გაეშურა. მეც უკან გავეყვი. მდინარის პირას დაფოთლილი ხეები იდგა. დავინახე, არაკაცმა დამბაჩა ხის ძირში დადო. ტანთ გაიხადა და მდინარისკენ წავიდა. მე დამბაჩა ჩუმად ავიღე. არ ვიცი, რა ძალა მომეცა, დავივინყე რაც ამის შემდეგ მელოდა. ჩემი ბედი, რომ იმ დღით მარტოდმარტო იყო საბანაოდ გამოსული. მიზანში ამოვიღე და ისიც იყო მდინარეში უნდა შესულიყო, რომ შევძახე:

– არ გაინძრე, ხელები მალა! – ზურგით იდგა. ჩემკენ ხელებანული შემობრუნდა. სიტყვის თქმა აღარ ვაცალე, ვესროლე და მისივე დამბაჩით ჩავაძაღლე. ერთი გაიბრძოლა. საშინლად დაიხრიალა და მოწყვეტილი დაეცა ნაპირზე. ახლოს მივედი, რომ დავრწმუნებულიყავ, ჩაძაღლდა თუ არა. გულმკერდიდან სისხლი მოჩქეფდა: სისხლი, რომელიც ჩემი მშობლების ფასად ავიღე. თითქოს მომეშვა. შვებით ამოვისუნთქე. არ მინდოდა კაცის მკვლეელი მრქმეოდა, მაგრამ შურისძიების წყურვილს ვერ ვძლიე, მე მაიძულეს მკვლეელი გავმხდარიყავ. დამბაჩა მდინარეში მოვისროლე: ჩემი ქოხისკენ გავქანდი. ძმას და ბუბიას გამოვემშვიდობე. დაბნეული ვიყავი, ისე წავედი სახლიდან, მათთვის არაფერი მითქვამს. ორი კვირა ტყეში ვიმალებოდი. მცენარეების ფოთლებით ვიკვებებოდი. არ ვიცი, როგორ მოვახერხე თურქეთში გადასვლა. იქ ერთ ჩვენებურ კაცს გადავეყარე. მან შინ წამიყვანა. თურმე ცოლ-შვილი დაღუპოდა და მარტო ცხოვრობდა. მეორედ დაოჯახებაზე აღარ ფიქრობდა. საქონელი და ფრინველი ბლომად ჰყავდა. უქმად არ ვიყავი. მალე იმდენად შევეჩვიეთ ერთმანეთს, შვილად მალიარა. გამოცდილი პედაგოგები დამიჩირავა. თურქული ენა მალე ავითვისე. (არც მშობლიურ ენას ვივინყებდი.) უმაღლესიც დავამთავრე და თურქეთის სამხედრო სამსახურში დავინყე მუშაობა. ეს ჩინ-მედლებიც იქ დავიმსახურე. ჩემი მამობილი ჩემით ამყობდა. დავოჯახდი კიდევ. სამი შვილი და ექვსი შვილიშვილი

მყავს. ძალიან კარგი ოჯახი მოვიწყე, მაგრამ ყველაზე მთავარი მაკლია! რაც გულიდან ვერ ამოვიგლიჯე, – ეს ჩემი სამშობლოა! მისი სიყვარულით მიცემს გული მკერდში, გული, რომელიც ჩემივე სამშობლოს შვილებმა თითქმის ამომავლიჯეს. მე მძაგს ადამიანები, რომლებმაც გააჩანაგეს ქვეყანა, მომიკლეს დედ-მამა, ბაბუა და ამომინყვიტეს სანათესაო. მართალია მე ისინი არ მიყვარს, მაგრამ მე მიყვარს და მეძახის ჩემი წინაპრების სული... მითუმეტეს ახლა, როცა ჩემი დრო უკვე წასულია, დაღმართის ბოლოს მივუახლოვდი, მეძახის ჩემი სამშობლო, ჩემი მინა-წყალი და მეძახის ჩემი ტყუპისცალი ძმა-გოდერძი. ვინ იცის, იქნებ ცოცხალიცაა. ღმერთი ჩემს ძმას არ მოკლავდა ჩემს უნახავად. ისინი მეძახიან: – მოდი! მოდი! მოოოოო! ჩაგვხვითე, ჩაგვხუტე! გვენატრები, გვენატრები!

ახლა საშუალება მომეცა, ჩემი მინა-წყალი მოვინახულო, რომელიც სამოცდაექვსი წელია ან მინახავს. მოვინახულო ჩემი ბებოს საფლავი და მოვინახულო ჩემი ტყუპისცალი ძმა, გოდერძი ათაბაძე. ვინ იცის, იქნებ ცოცხალია.

ამ მართლაც საინტერესო, მაგრამ სამწუხარო ამბის მოსმენით, ისე იყვნენ ყველანი გაოგნებულნი და გართულნი, რომ არავის შეუნიშნავს, როგორ უცნაურად უთამაშებდა ნაკვთები მასპინძელ ბაბუას.

– რაო, რა თქვი?! – ფეხზე წამოვარდა სულ მთლად აცახცახებულნი მოხუცი. – ვინ ხარ შენ?! – დაავინყდა, რომ შეუძლოდ იყო. ერთბაშად გამოცოცხლდა. სახეზე აღმური მოედო. გული აუტოკდა. დამჭკნარ თვალეში სიხარულის ცრემლები ჩაუდგა. – ჩემო ძმაო, გიორგი, სიზმარში ვარ თუ ცხადში?! ეს რა მესმის?! – სტუმარი დაიბნა, რამ ააღელვა ეს მოხუცი. ორივე შეშლილს ჰგავდა. დანარჩენი ოჯახის წევრებიც ატირდნენ. სტუმარს ეხვეოდნენ. ღმერთს მადლობას სწირავდნენ.

– გამაგებინეთ, რა ხდება ჩემს თავს?! შენ საიდან იცი ჩემი სახელი?! სამოცდაექვსი წელია ეს სახელი აღარ მიხსენებია, გაოგნებულნი კაცი ველარ მიმხვდარიყო, ვისთანაც მოხდა სტუმრად.


– შენი ტყუპისცალი, გოდერძი ვარ, ბიჭო! – ახალგაზრდული შემართებით აღმოხდა გულიდან სიტყვები.

მოხუცი სტუმარი უღონოდ დაეცა სავარძელზე, ფერი წაუვიდა. დიასახლისმა გულის დასამშვიდებელი წვეთები დააღვეინა. ხმას ვე-

ღარ იღებდა მოხუცი, როცა გული დაუნყნარდა სტუმარმა ძმას კითხვა დაუსვა, თუ როგორ გადაურჩა საშიშ კაცის მკვლელებს.

– ეეხ, ჩემო ძმაო, მეც არანაკლებ ვინვალე. ტყეში ვიმალებოდი. კინალამ მგლების ლუკმად ვიქეცე. ერთმა მონადირემ შემიფარა. სამი წელი მასთან ვიყავი. თურქეთში გაპარვას ვფიქრობდი, მაგრამ თურქეთის საზღვარი მალე ჩაიკეტა. ბოლოს იქაც მომაგნეს. იმ კაცის მკვლელობის შემდეგ სოფელი აანიოკეს. რაკი სოფლიდან გაქარი, ეჭვი შენზე აიღეს, მეუბნებოდნენ, შენ იცი, შენი ძმის ასავალ-დასავალი და არ გვეუბნებო. ხელებზე ბორკილები დამადეს. ოცი წლით ციმბირში გამასახლეს. მოგვიანებით გავიგე ბებიას გარდაცვალების შესახებ. მეზობლებმა გაასვენეს. იქედან რომ დავბრუნდი სიტუაცია შედარებით დამშვიდებული იყო, რადგან სხვა ხალხი მისულიყო მთავრობაში, თუმცა რამდენიმე თვის შემდეგ, ისევ აანიოკეს გაჭირვებული, შეშინებული მოსახლეობა. უპატრონოს და უთვისტომოს რიგრიგობით მინახავდნენ სოფლელები. ბოლოს მალალმთიან სოფელში ვიპოვე თავშესაფარი. ტყეში ხეები მოვჭერი, ჩემი ხელით პატარა ქოხი ავიშენე. ასე თუ ისე, თავს ვირჩენდი. მოგვიანებით ცოლიც შევიერთე და თანდათან ჩავები ცხოვრების ფერხულში. დროც ცოტა გამოსწორდა. შენი ნახვის იმედი გამამენურა. სულ მახსოვდა, თითქოს ნახევარი გული ჩამოჭრილი მქონდა. საშინელ სიცარიელეს ვგრძნობდი. ძალიან მაკლდი. ისე განვიცდიდი შენს გაუჩინარებას, შენი სიყვარულით, ჩემს შვილს შენი სახელი, გიორგი დავარქვი. ამით თითქოს გულს ვიჯერებდი, მაგრამ შენს არყოფნას დიდად ვერ ავსებდა. გიორგი როცა წამოიზარდა, საშუალება მომეცა, ბარში დავსახლებულიყავი... დღეიდან ჩემთან იქნები. არსად გაგიშვებ! არსად! ღმერთმა ინება დიდი ხნის ჩაკეტილი საზღვარი გაიხსნა. შენი შვილები და შვილიშვილებიც ჩამოვიყვანოთ. დღეიდან ერთმანეთს აღარ დავცილდეთ!

ათაბაძეების ოჯახში სიხარული ზეიმობდა.



ბრინჯო

– მე ნუ მიყურებ! შენ თავ შეხედეე!.. – ვილაცას თუ ვილაცებს მუშტს მოუღერებს ბრინჯო და ვარაუდას მიუბრუნდება: – ის მთა გაიხვრიტოსნააა!..

– აჰა, ჩემი ვარაუდით, შენ ამბობ, რომ ის მთა გაიხვრიტოსნა?! – ბეჭედს არადა, კითხვას დაუსვამს ვარაუდა ბრინჯოს და ცას მიაციცინდება.

– ნუ მიყურებ მეთქიინ!... – ვილაცას თუ ვილაცებს ერთხელ კიდეც მუშტს მოუღერებს სახენამოაალებული ბრინჯო, მიწაზე დაფენილ კაბის ფუსკულ-ფუნჯულებს აიფერთხაიკეცავს, მხარზე სავსე ზურგჩანთას მოიგდებსდა ფეხშიშველა დაუყვება გზაშარას.

ყმანვილები ჟივილ-ხივილით აედევნებიან დაღმართს დაფიქრებულიად დაყოლილ ბრინჯოს, რომელიც ერთხანს თავჩალუნული, მიწას ჩაცვიცინებული, ნელი, მძიმე ნაბიჯებით მიუყვება გზაშარას. ცოტა ხნის შემდეგ თითქოს ვილაცას ედავებაო, ბუტბუტს მოჰყვება, უეცრად შედგება, მოჟივილე ყმანვილებს წარბებსქვეირიბულად გამოხედავს, მერე ისევ ვილაცას თუ ვილაცებს მუშტს მოუღერებს – მე ნუ მიყურეეებ!.. შენ თავ შეხედე მეთქიინ!.. – თავისებურად ნაუნვრილხმიანებს და კვლავ ღრმად დაფიქრებული დაუყვება შარას.

ბრინჯო ყველასათვის ბრინჯოა და მეტი არავინ. მისი ნამდვილი სახელი აღარავის ახსოვს. ბრინჯოს ხსენებაზე ყველას უწყინარი, მხიარული ღიმილი ეფინება სახეზე. რაც არ უნდა ცუდგუნებაზე იყოს კაცი, – ჰაუ, ბრინჯო მოდისო, – გულიდან დარდი გადაეყრება. რაც მთავარია, ბრინჯოს შიშით ბავშვებს ფაფებს არ აძალებენ, – ჭამეჭამე, თორემ ბრინჯო მოდისო, პირიქით, სადაც ბრინჯო მიდის, იქ ისეთი ხალისიადა, ისეთი ტკარცალიადა, ისეთი სიცილხარხარიადა, ფაფასარადა, თევზის ქონით გაზინთულ კოვზსაც სიამოვნებით ლოკავენ პატარები.

– გაუ, ბრინჯო, გაუ! – კაბის კალთებზე ეკონწილებიანდა კუდში დასდევენ ბრინჯოს სოფლის გოგო-ბიჭები. – აბა, ჰე, ბრინჯო,

აბა, ჰე! – აგულიანებენ ანგალა კოდალასტვენებიდა სახენამოაალე-ბული ბრინჯოც ხან უცნაურ ამბებს ჰყვებადა, ხან ხარხარებსდა, ხან კიდეე კაბის ფუსკულფუნჯულებს აიკალთავსდა, აჟღვართულ ტანს შემართავსდა, განდაგანას ჩამოუვლისდა. ბრინჯოს ზამთარ-ზაფხულ უხეში შალისაგან ნაქსოვი, ნაირნაირჯიმფულფუსკულებიანი კაბა აცვია. ცეკვის დროს ისე ნაირფერად ციმციმებენდა, ისე ზეიმურად ზიმზიმებენდა, ისე უცნაურად ხტიანდა, ეს ფერადფურადი ჯიმფულფუსკულები, ერთ სანახაობად მარტო ამის ცქერა ღირს. ამ დროს დიდი ცაცხვის ძირას თითქმის მთელი სოფელი იკრიბებადა, არის ერთი გნიასიდა, ტკარცალიდა. ჯერ ერთი კოდალასტვენია აიკვანება, წრიდან წინ წადგამს ნაბიჯსდა, კისერს ნაწყვეტამდე ნაიგრძელებსდა, ბრინჯოსნაიარად ხმას წაიწვრილებსდა:

ყველას თითოი ცოლი ჰყავსო, იიიჰდააა,

მეგარმონეს ვორ-ორიო, იიიჰდააა...

მერე მეორე ნამოიფხორება წრიდანდა, ახლად აყვინჩილებული მამალივით ხრინწიან ხმას ჩაიწმენდსდა, საერთო სიცილხარხარსადა, ტაშის გრიალში მიუბანებსდა:

ყველას ხუთ-ხუთი თითი გვაქს, იიიჰდააა,

ბრინჯოიას ექს-ექსიო, იიიჰდააა ჰეეე...

ბრინჯოს ექს-ექს-თითიანი, მზისგან დაბრანულიდა, მუდამამოლა-შტრულიდა, ბრტყელბრტყელი ტერფები ხომ სანახაობად არის ქცეული მთელს გამოღმახევეში. – ხელის თითები აღარ გეყოფნის ბრინჯოიას ფეხის თითებისდა დასათვლელადაოდა – ფეხებთან ჩაუცუცქედებიან კოდალასტვენებიდა, ჩაბჟირდებიანდა. ბრინჯოც მხიარულად იცინის მათთან ერთად, არც სწყინსდა, არც ბრაზობსდა. დილაუთენია გამოცხადდება სოფლის ცენტრში, შეკრებილ ხალხს ჯარისკაცივით გაეჯგიმებადა, მთასავით მხრებიდან ვეება ზურგჩანთას ჩამოიხსნისდა, გაბადრული სახით მიაციცინდება შემოჯარულ გოგობიჭებსდა.

– ჭირიმე, ბრინჯო, ჭირიმე მოსავალშიოდა, – წაიმღერებენ კოდალასტვენებიდა, ვინ ქლიავის ტყლაპს წაეტანებადა, ვინ შქერის ფოთლებში გახვეულ კეცის მჭადს და ყურუთს ჩააგემრიელებსდა, ვინ ჯანჯუხგოზინაყით ჩაკოკლოზინდებადა... ბრინჯოს ზურგჩანთაში ყოველთვისაა ათასნაირი ხილი და სასუსნავი, რადგან დღე ერთიადა, ბრინჯო ათ სოფელს ჩამოივლისდა, ათივეს ჩამოიცეკვებსდა, ათივეს გაამხიარულებსდა.

აქედანვედა გითხრათდა, ამ ქვეყანაშიდა, სანახაობამოყვარული-
და, ხალხი ცხოვრობსდა, ყანასაცდა მღერაცეკვათამაშობითდა, თოხ-
ნიანდა, ავადმყოფებსაცდა, მღერალოცვებით არჩენენდა, მტერთან
საბრძოლველადაცდა, ომახიანი სიმღერითდა, ლაკატკებითდა, მიე-
მართებიანდა. უკაცრავადპასუხიდა, მიცვალებულსაცდა, მღერამ-
ღერითდა, აცილებენთუგაცილებისშემდეგმღერიანდა?! მათთვის გა-
რთობა-თამაშობა ერთ სიცოცხლედ ღირსდა, ამიტომ უხვად სწყა-
ლობენ უწყინრადჭკუარეგტ-კეტთავდასხმულ დამაინცბრინჯოსდა.

ზაფხულობით იალალებზე, იაილებში ადის ბრინჯო. შუამთობის
დღესასწაულზე შეკრებილ მემთევრებს ართობსდა, ისინიც პირთამ-
დე უვსებენ ზურგჩანთას ათასნაირი ნუგბარეულითდა. ზურგჩანთა-
ში რომ აღარ ეტევადა, მხრებზე გადაკიდებენდა, ჭრელნახიშებიან
ლაზლის წინდებსდა, ზარ-ზეიმით გამოაცილებენდა, ბარისკენდა.
მოიტანს ბრინჯო სოფლის ცენტრში მხარზეგადაკიდებულ ჭრელებ-
სდა, დიდი ცაცხვის ძირას ფებს მოირთხამსდა, რომელიმე კოდალას-
ტვენია ბიჭს თავისი ხელით ამოუნკიპავს იმ ჭრელებსდა, იმ დღეს
ისეთი გაბრწყინებული სახე აქვსდა, ათჯერ რომ უთხრა, ათჯერ
წრეში ჩადგებადა, ათჯერვე ჩამოუვლის განდაგანასდა. სოფელში
ვინმეს რომ ჰკითხო, ვინ არის ბრინჯოო, ვერავინ გიპასუხებს, – მისი
ნამდვილი სახელი კარგახანიადა, ისკიარვიციდა, რამდენიხანიადა,
დავინყებიდა, სოფელსდა. დაავინყდებოდათ, აბა რა, ყველა ბრინ-
ჯო-ბრინჯოს ეძახისდა!

ბრინჯოსი რა გაგკვირვებიათდა, ამ სოფელში, მილიონმწვანე,
ცოტადავაკლოთდა, მწვანენახევარი სანაძლეო რომ დაუდო, სხვა
სოფლიდან გამოთხოვილი ვერცერთი ქალის სახელსაც ვერ გეტყვი-
ანდა, აქაურებიდა. დაავინყდებათ, აბა რა, ესენი ოჯახებში შემო-
სულ რძალქალებს იმ სოფლისდა, კერეკუჩხისდა სახელს არქმევენ-
და, საიდანაცდა გამოთხოვილი არიანდა, ასეთი კი ამ სოფელში ბევ-
რი ქალიადა, კიდევცოტაარიყოსდა, ეცოტავებათ გამოლმახეველებ-
სდა.რომელი ერთი ჩამოვთვალოთდა: ნენივრადი და, მესხურადი და, მა-
კალათურადი და, ხინავრადი და, ზენითურადი და, ზანაქეთურადი...

არადა, რა დროს ეგარისდა, ბრინჯოზე ვამბობდითდა. მისი სახე-
ლის გახსენებას არც ცდილა ვინმედა, ვინაიდანდა, რადგანაცდა,
აქაური მამაკაცებიცდა, სულ მეტსახელებით ესახელებიანდა, ერთმა-
ნეთსდა. არამარტო ესახელებიანდა, უზედმეტსახელობა სირცხვი-

ლადაცკიმიანიათდა, კაცი მარტო “სახენნიფიო“ სახელით არდა ბერდებოდესდაოდა, ის კაცი რა კაციოდა, ერთიორისამიანმეტი მეტსახელი თუარა აქვსოდა, ერთიორისამიქალისარიყოსდა, კიდეცოტაეცოტაეებათდა. მეტსახელი მითხარი შენიოდა, გეტყვი ვინა ხარ შენოდა. შენი მეტსახელი შენი ძმადამეგობარიოდა, ლალაბლულაბშია კაცობის მადლიმარილიოდა.

ამათი მეტსახელები კი, იმათჩამოთვლამდე ვიცოცხლოდა: ვარაუდაი და, ფასკუნჯაი და, ხისკუნძაი და, კუნაპენაი და, ცერცვიყლაპიაი და, ცურცლიქამიაიდა, ცურიტქლეფიაი და, ქალიპარიაი და, თხისურაი და, თავთხელიაი და, ცვინაი და, ნკნელიტოტაი და, კვანჭილაი და, კენენაი და, კუნბუჯაი და, ხეშტერაი და, შკერიყურაი და, ჩალიღერაი და, ჩუმჩუმელაი და, მუზმუზელაი და. ეს ხალხში გამოსაჩენი მეტსახელებია, თორემ ვინრო საარიფანოში რასაც ისინი ერთმანეთს ეძახიან, ჯერემერთიდა, ხმამალლა როგორ გავიმეოროთდა, მედათქვენ, ჩემო ასინელი არმომკითხველო, და მაინცმკითხველოდა, ის სახინჯარები თუ საოხუნჯარებიდა, მეორეცდა, იმათ ლალაბლაცობებეს რომ მივსდიოთ, მერე ჩვენჩვენი სახელებიც დაგვაკინყდებადა, მერე ჩვენჩვენ სახელებსდა, ვინლა გაგვახსენებსდა.

მაგრამ ისიც უსამართლობა იქნება, რომ მე არ გითხრათდა, ან თქვენ დაივინყოთდა, ერთი ძალიანმნიშვნელოვანიუარადა, ცოტადავაკლოთდა, მნიშვნელოვანი ამბავი: – ბრინჯოსა და სოფლის სხვა მამაკაცებს შორის ის განსხვავებაა, რომ მათ თავთავიანთი „სახენნიფიო“ სახელები მაინც ახსოვთდა, ბრინჯოს კი თავისი „სახენნიფიო“ სახელი დავინყნიადა, აბა, სხვას ვისლა გაახსენდება.

– ჯარში ნამსახურადა, ბრინჯოიდა, – ყვებიან სოფელში, – თავში რკინის კეტი უხეთქიადა, რუსისოფიცერსთუარადა, ვინცრომარისიმასდა, მისთინდა, ტვინიც ამიტონ დაპნეკია ბრინჯივით, მანამდე სანყალსარადა, მშვენიერ ვაჟკაცსდა, მერე დასანყლებულსდა, ბრინჯო ამიტონაც შეურქმევიათოდა.

ეს ამბავი, სოფლამდე რომ მოუცილებია ბრინჯო, ჯარის ამხანაგს თუ ვინც არისდა, იმას უამბვია თავისი ჩიქართულიარადა, ურუსულ უგაუგებარისდამაგვარი ენით მათთვის, თორემ ბრინჯოს რომ ეს ყველაფერი ხსომებოდა, რალა ბრინჯო იქნებოდადა, ან რალა სხვისიმოსაცილებელმოსაცინებელი გახდებოდა. იმ დლიდან დარჩენილა ისედაც ობლადგაზრდილი ბიჭი სოფელქვეყნის ამარადა, მისი

ავანჩავანიც სხვალარავის მოუკითხავსარადა, რამდენჯერმე ექიმები ამოსულან ბრინჯოს წასაყვანადდა, უჰ, წასაყვანადარადა, წასაყვანი თვითონ გამხდარანკიარადა, გაუხდიათდა, იმწასაყვანთა წასაყვანადამოსულნიც რომ ზედმიუსართიათ თუ მიუთაკრიათდა, იმის შემდეგ იმექიმების მოთხოვნითდა, სამართლიანადსაცავადაც, იმათი ისედაცგისოსებიანი სახლისთვის ქვის გალავანიც შემოუვლებიათდა. იცით თქვენ, ის სახლი რაც არისდა, როგორიცარისდა, შიგნიდანარადა, გარედანმინცდა, ასი წელი ჩემოარმოქმითხველო, დამინცმკითხველოდა, დროს ამაზე ნულარ დამაკარგვინებდა, ისედაც წერაახირებულსდა, თავგზადაკარგულსდა, ბრინჯოს კვალს მივჰყვეთ, სანამ ჩვენაც არ დავჰნეულვართ ბრინჯივითდა.

ჰოდა, ჯარიდან დაბრუნებულიარადა, იქიდან რუსის ოფიცრისმიერ დაბრინჯებულიდა, აქეთ ექიმებისაგან თავნაყვანაგადარჩენილი ბრინჯო თავის მინგრეულმონგრეულ ქოხში ჩაიკეტადა, კარგახან არავის ჩვენებია.

ერთ სისხამ დილით კი ამდგარადა, გეზი პირდაპირ ჭოროხიპირისკენ აულია. ო, სოფელორაშიგანხარდა, ჩუმჩუმად ორი-სამი მეზობელი ადევნებია უკან, ემანდ, რაიმე არ იხიმანკოსოდა. ბრინჯო ადგაფუნებულ ტალღებთან შეჩერებულადა, ტალღებს შიგ თვალეში ჩაცინცინებიადა, მერე რუსული ჯარისკაცური ფარაჯა თავისი ამხანაგითურთ გაუხდიაარადა, თითქმის შემოუგლეჯია ტანიდანდა, ხელუკულმა გაუტანებია ჭოროხინყლისთვინდა. თან ცისკენ იყურებოდაოდა, რალაცას ბუტბუტებდაოდა.

არავინ იცის, ვინ მოუქსოვაოდა, როგორაოდა, რანაირადაოდა, იმ დლიდან, კოჭებამდე ჩაჯიგჯიმებული კაბით გამოცხადებიაოდა, სოფელქალაქს ბრინჯო. იმხანად სოფელში კიდევე ჰოდა, ქალებს აქაიქ ეცვათ კაბები, ეცვათ აბა რადა, ქალაქში კი ბრინჯოს გარდა აღარავის ეცვა კაბადა – არცქალსადა, არცკაცსადა. ამიტომაც ყველა ჩერდებოდადა, შტერდებოდადა, ბრინჯოს აცინცინდებოდადა. ამაზე კი მართლაცდა, ბრაზობდა ბრინჯოდა, წარბებს შეჭმუნხნიდადა, სახეზენამოაალდებოდადა, წერილი ხმით გაჰყვიროდადა: – მე ნუ მიყურეეეებ, შენ თავ შეხედეეე!

ამ სიტყვებს დროდადრო მაშინაც წამოიყვირებდა, როცა მისკენ არავინ იხედებოდადა, ან სულაც მის ახლომახლო არავინ იდგადა, მაგრამ ბრინჯო მაინც გრძნობდადა, ვილაცის თუ ვილაცების დაჟი-

ნებულ მზერასდა, ზოგჯერ იმდენად აუტანელსდა: – ნუ მიყურებ მეთქიინ! – და იმ „ვილაცას თუ ვილაცებს“ მუშტებს უღერებდადა.

ამ მუშტის შიში ყველას გექონდადა, ცნობისმოყვარეობისა თუ რალაც ამისმაგვარისდა მიუხედავადდა, რომელიც ყველას გვილიტინებსდა, გულშიდა, თვით შემზარავი რამერუმეების ნახვის სურვილითაც გვაფორიაცებსდა, მაინცდამაინცდა, ყველა ერიდებოდა ბრინჯოსკენ პირდაპირ გახედვასდა, მათ შორის მეც. ირიბულად თუ გავაპარებდი მზერასდა. მაგრამ ბრინჯო ისეთი ვინმე იყო, როცა არ უყურებდი, მაშინაც ხედავდიდა. ახლაც თვალწინ მიდგასდა, მისი მუდამკობტადაბრეშუმლენტჩატანიებული ნანწავებიდა, ის კაბაც ისე კარგად მახსოვსდა, თუ ისურვებთდა, კიდევ შემოძლიადა, დაჯხატო მისი ფერადფურადებიდა, ჯეჯიმჯიჯიმებიდა, მაგრამ ახლა ისევ იქ, გამომლახევეში, გადავინაცვლოთდა.

მე შენ გეტყვი, ცუდია თუ რადა, სოფლის შუაგულყვითელ წითლადმწვანემინდორში მოშრიალე ცაცხვის ძირას თუყოველ დილაუთენიაარადა, კვირაუქმეებში მაინც ნახემსებამდე წასეირნებადა, მოტკარცალე გოგო-ბიჭებზე თვალისშეელებადა, ბრინჯოს ცეკვათამაშის ჩაგემოვნებადა, ყინულოვანი კარჩხალის მთიდან დაფეთებული ნიავით ყელგულფილტვის ჩანმენდჩასუფთავეებადა.

ბრინჯოს იმ ავადმოსაგონარი ჯარიდან ერთადერთი სახსოვარი შერჩენია, – ეს მისი განუშორებელი ზურგჩანთაა, რომელიც ზურგიდან ჯერაც ვერ მოუშორებია. – მაგ „ვეშმეშოკის“ სიმძიმეცდა, დაგიპნევსდა, ტვინსდა – აქილიკებენ ისედაცდა, ტვინდაპნეულდაბრინჯოსდა, მაგრამ იგი მაინც ველარ იშორებსდა, ველარ ელევადა, ხვლიკისფერძველისძველდა, შეჩვეულჭირსარადა, ზურგჩანთასდა. რატომ? – თვითონაც არ იცისდა.

ერთხელაცდა, კოცონთან ცეკვათამაშში გართულ ბრინჯოს ზურგჩანთას ხვინჭა ქვებით ამოუვსებენ სოფლის ანგალი ბიჭებიდა, ზემოდან აზარნაქა მსხლებს შემოუნყობენდა, პირს მაგრად ნაუკრავენდა. კოცონი რომ ჩაინავლება, ნალვერდლიდან გადაბრინჯებულ კარტოფილებს გამოანყობენდა (ის კარტოფილებიც ბრინჯოს ზურგჩანთიდანაადა), პირს ჩაიგემრიელებენდა, აიშლებიანდა. წამოიკიდებს მოპირულ ზურგჩანთას ბრინჯოდა, შეუყვება თავისალმართსდა. უკან ჟივილ-ხივილით აედევნებიან ანგალა კოდალასტვენებიდა, ქოხამდე ააცილებენ მარტოხელა ბრინჯოსდა.

– აბა, ჰე, ბრინჯო ჭირიმე მოსავალშიდა, ჩამოვსხდეთ, მსხალი ვჭამოთდა, – ეშმაკურად აცინინდებიანდა, ბრინჯოსდა, კოდალასტვენებიდა, მოუთმენლადდა, ფხუკუნებენდა. ბრინჯო ზურგჩანთას მოიხსნისდა, აზარნაქა მსხლებს ხალისიანი ღიღინით ამოალაგებსდა, სათითაოდ ჩამოურიგებსდა, ბიჭებსდა.

– დანარჩენი ალალი გვიქნია შენთინდა, აბა ჰე, ბრინჯო, ჭამედა-ჭამედა, გაჰკარიდაგამოჰკარი კბილიდა, – ახორხოცდებიან კოდალასტვენებიდა, აქეთიქით მიანყდებიანდა, ზოგი მესერს გადაევლებდა, ზოგი ბუჩქებს ამოეფარებადა.

ბრინჯო მთვარის შუქზე გადაპირავს ზურგჩანთასდა: ერთადერთი აზარნაქა მსხალი ჩარჩენილადა, ისიც ზედმეტი სიმწიფისაგანდა, ქვახინჭზე გადალუფხულადა. ქვების დანახვაზე თვალები ისე გადმოეკარკლებოდა, ბრინჯოსდა, და იმ ქვებს ისე ჩააცინინდებოდა, ზურგჩანთასდა, გეგონებოდა, დააკვდაოდა, იქ ჩაყრილ ქვახინჭასდა.

შენ საიდანლა ხედავდიოდა, ამ ყველაფერსოდა, არდადამითხრადა ახლა, ჩემო ცნობებისდა, კითხვებისდა, დამინცკითხვისსმოყვარემკითხველოდა, მე თუ არადა, ბიჭები ხომ ხედავდნენდა, უყურ ა დღე არადა, ყურა დღე არადა, მთვარიანლამითდა, ხომ აკვირდებოდნენ?!

მაგრამ ბრინჯოს შემხედვარე ბიჭებსაც პირზე ღიმილი შეეყინებოდა, გაშეშებულფერდაკარგულიდა, სუნგალგაკრულიდა, აცინინდებიანდა. მხოლოდ ერთი ალაჟვერა წამოყოფს თავს ბუჩქებიდანდა, – ბრინჯო, აბა, ჰე ბრინჯოოდა, ახარხარდებოდა. ეს ხარხარი შეაკრთობს ბრინჯოსდა, გველნაკბენივით წამოიჭრებოდა, ვეებერთელადა, ბანჯგვლიანდა, ფხებსდა, იქითაქით გაჩაჩხავსდა, ხელებს ზემოთ აღმართავსდა, ხაფი ხმით დაიღრიალებსდა: – ურუსი იყო! ურუსი იყო! ბიჭები ერთმანეთს გადახედავენდა, ვერაფერს მიხვდებიანდა, მაგრამ რალაცას მაინც იგუმანებენდა. მეც რომ არ მცოდნოდა იმ ჯარის ამხანაგის მოყოლილის გადმოსოფლურასლებული მონაყოლი სოფლელებისგანდა, ცოტაცდა სხვა რალაცებიდა, იმ რუსის ამბებიდა, მეც ვერაფერს გავიგებდიდა, იმ ბიჭებივით ცოტას თუ ვიგუმანებდიდა.

ის ცოტა გუმანი ნაგებმარება შენც, ჩემო არმომკითხველო მკითხველოდა, ამ ერთი ფრაზის გაგება-ჩაფიშმანებაშიდა. ჰო, ის ურუსი იყო, ბრინჯოს რომ ვეებერთელა ლოდი ჩაუდო ზურგჩანთაშიდა, მთაზე ატანა უბრძანადა, მერე იქიდან დააგორებინადა, მერე კიდევ

აიტანეოდა, მერე კიდევ დააგორეოდა, მერე კიდევ აიტანეოდა, კიდევ დააგორეოდა, კიდევოდა... ბოლოს ამდენ აიტანეჩაიტანეზე, მანამდღარაბრინჯოს, ბრაზიც რომ მოერიოდა, არცთუიმისობაიყო, ლოდსაც ვეღარ მოერიოდა, ქანცვაცლილი მთის ძირას რომ ჩაიკეცადა, ეს მთასავით ვაჟკაციდა (მაშინჯერკიდევარაბრინჯოდა), ე, მაშინ უთავაზა იმ აიტანეჩაიტანემ რკინის კეტი თავშიდა.

ახლაცდა, იმ რკინისკეტრეტდასხმულიდა, ბიჭებისონბაზობით თავზართუ, თავქვახვინჭადახვავებულიდა, მაინც ცისკენ ხელებაპყრობილიდა, მთელვეებერთელა ტანაცახცახებულიდა, დამაინცბრინჯოდა, კიდევ რალაცას ბუტბუტებსდა, ზლუქუნებსდა, თავისთვისდა. ისე, შენი რა ვთქვადა, მეც ვეღარ გავარჩიე კარგად თუ ნახევრადდა, მეოთხედადდა. უფრო სწორადდა, ის ნათქვამებიდა, ალთქმამუქარებიდა, დრომდე საიდუმლოდა, შეეუნახოდა, ბრინჯოსდა. მერე შენ თვითონდა, მიხვდედა, გაიგონოდა, გაიგუმანოდა, დაბოლოსდა, თუ ეს ყველაფერი ვერდაქნადა, დაიჯეროდა, მაინცდა, რა დიდსაქმეებს მოიმოქმედებსდა, ეს ჩვენი აგულთვალჭკუანუნდებული დამაინცბრინჯო „ციდან ცეცხლის ნიშანზედა“. ანუ როგორ გახვრეტს მთასდა, როგორ...

არადა, ახლა ეს გულმუცელჩამწვარჩანურული ბიჭებიცდა, ეს მართლა კოდალასტვენებიცდა, როგორ დავტოვოთდა, ასედაამგვარათდა, ამვითარებაშიდა. იქნებ მთვარემ დაინახოსდა, გააცილოსდა, გააცინოსდა, დაამუნათოსდა, დაანათოსდა, მათ გზასდა, დააფიქროსდა. კიდევ რავიციდა, მთვარეოდა, გიყვარს შენდა, კაცის ჩაფიქრებჩაფიშმანებადა, ამ უმთვარო ნუთისოფლის ავანჩავანზედა, აიტანეჩაიტანეზედა, კიდევ ამამიმისთანაებზედა, ასე რომდა, შენ ჩვენგან ეს არ გესწავლებადა.

ჩვენ კი, მედაშენ, ჩემო მაინც არმოკითხველო მკითხველოდა, თუკიდევ მომყვებიდა, თუ არადა, გზას მარტო გავუყვებიარადა, მთლად მარტოც როგორ გავუყვებიდა, როგორ გავუძღვებიდა, ამხელა საქმესდა, აქ უკვე ისე ჩაიბრინჯხლართასავითდა, საქმეცდა, სათქმელიცდა. ცოტასარადა, კაიგვარიანადაცდა, ნავიშველიებდა, ჩემზე უფრო თავკალამთვალჭკუაგამჭრიახ უფროს ძმებსდა, რომლებსაცდა, შენ ჩემზე უკეთ იცნობდა, გიყვარსდა, ენდობიდა. მაინცადა-მაინცდა, იმედადა, ვერც შენ გაძღვებ გულხელდაკრეფილი, ასინლის შემდეგაცარადა, დამლლიავებული მაინცდა, რადგან ისეთი

რალაცები ხდებოდა, ისეთი რალაცები და, ხილვები და, გამოცხადებუ-
ბიდა.

ეს იმ გამოცხადებებზეა, სიტყვაარადა, საქმედა, სადაც რომ
საიდუმლოდდა, მიიპარებინა და ბრინჯოდა, ვარაუდადა, ფასკუნჯა-
და, ხეშტერადა, კიდევყველას ცხვირკაუჭა ქალიპარია თავცანცარა
ჩალილერა დოხვრეპია... ვიცი ახლა უკვე ნერვები მოგეშალაარადა,
აგეშალადა (ისევ ნერვები!) ამდენი შეერთებულგადაბმულობებით-
და, გადაერთებებითა თუ და-კავშირებითა. თუ და კავშირია, ცალკე
რატომდა ვნეროთდა, თურავიციირაცარისდა, მაგრამ ახლადა, ცოტა
შენცდა, მაცალოდა, ჩემო ჯანდაბასდა არმოკითხველო ოლონდ ამ
მოთხრობის (თუ რაც არისდა) ბოლომდე ნამკითხველო მკითხველო,
სულ დაცალკეებაზე ხომ არ უნდა გვეჭიროს თვალიდაყურიდაგუ-
ლიდა ხელიდა, ერთხელაცდა, ხომ გავმთლიანდეთდა, გრამატიკუ-
ლადარადა, სულიერადდა (ვაიდა, საბრალოდა, უარაფროდა, უალა-
ფოდა, ხშირხსენებულობით შენ უხებულიდა, სულაც ქანცგაცლილი-
და, სულიერება ჩვენია!) ჰო, კარგი, შენც მართალიხარდა, საქმეზე
მოკლედდა:

იხილავს ვარაუდა: ცას სამჯერ შხუილით გადასერავს ლომარნი-
ვიდა. პირიდან ცეცხლს გადმოაფრქვევსდა, ცას ამოლანძავსდა.

– ჩემი ვარაუდით, შენ ამბობ, დავიძრათნა?! – ბრინჯოს გადახე-
დავს ვარაუდა.

– მართალი, ხარ, შეენ, უნდა დავიძრათნა! – კვერს არადა, თავს
დაუკრავს ბრინჯოდა, კაბის ჯეჯიმფუნჯულეებს აიკეცავსდა...

შემდეგი სურათი გასაგებია ისედაცდა, ჩემთავამოდებისგარე-
შედაცდა, აღინერება იგი ჟამთააღმწერლისდა მიერდა, როგორცდა
დიდებულთა ამაქვეყნისათა ძლევამოსილი გამარჯვება იმ აიტანე-
ჩაიტანეზედა, თუ რაც არისდა. რადგან ჟამთააღმწერელისხელი-
თდა, არ დაწერილაჯერაცდა, არც ინერებადა, არც დაინერებადა,
უბრალოდა, უსახელოდა (ბრინჯოიანმთელსოფლიანადუსახელოდა)
გმირების საქმენიდა, გამოჩინებანიდა, თუ რაც არისდა. ამიტომ ჩვენ
ჩვენს ბრინჯოსდა მივხედოთდა, ეს ამბავიც ასე დავასრულოთდა.

მეც, შენიარაიყოსდა, ნლები ისე გავიდა იმ დიდი გამარჯვების
წყალობით თუ უწყლობითდა, ათასი უუუუებითდა, კეტარადა, თავ-
ნისქვილქვაბორბალბლომადდატრიალებულმა გვიან გავიკითხე ბრი-
ნჯოს ასავალ-დასავალიდა, შენცდა გაგაგებინოდა: საქმე ის არის,

რომ ბრინჯო ამ დიდი გამარჯვების შემდეგ გაუსამართლებიათ თუ-
რავა, ღმერთო, სწორად მალაპარაკედა, გაუუსამართლოებიათ თუ
რავა ც ამისდამაგვარადდა. ოღონდ სხვა ვერაფერი დავაზუსტედა,
ვინდა, რატომდა, რომელი რჯულკანონუკანონოთუ რაც არისდა, იყ-
ოდა იმედია იქნებადა (უჰ, ისევ ეს სადღეგრძელოები!). ერთადერთი,
რაც მოვიძიე, ეს ქალაღია, სადაც შავით შავზე წერიადა, ამოვი-
კითხე კი მგონი, თუ არადა, თავივერგავიგედა, ბოლოდანდავიწყედა,
ისევთავშიავედიდა, თავშიამივარდადა, მაინცადამანცდა, იქნებ შენ
უფრო სრულად გაიგოდა, მე რატომ უნდა შეგაცდინოარადა, მოგაც-
დინოდა, აჰა, აგერ არისდა, ნაიკითხე. მე კი ერთარადა, ორსამჯერ-
თუმეტჯერარადა, შეგიამზანაგდები თუ მაინცადამანცდა:

მოქალაქე ბრინჯო, რომელიც უკანონოდ შეიარაღებული იყოდა,
ორივე ფეხით დაატარებდადა, ექს-ექს თითს თითო ფეხზედა, თავისი
ბანდით...ნა ტო...ნა ტო...ბანდიტ (თუ „ნა ტო“ ვერ გავარჩიე) თავს
დაესხა მშვიდობისმოყვარე და მშვიდობისმყოფელთა (უჰ, ისევ ეს
სადღეგრძელოები!) ჩვენს არმიას მაშინაცდა, ახლაცდა, ამგვარა-
დაცდა, მაშამესამედაცდა, როცა ჩვენი ჯარისკაცები შეიარაღებუ-
ლი იყვნენ ხუთ-ხუთი თითითდა, ჩაგვაცუნარადა, არათანაბარდა,
დაპყრობილადარადა, დამპყრობელად მოქმედებაში, სამხრეთითა-
რავა, აღმოსავლეთით არადა, დასავლეთითარადაარადა, არამედ
ჩრდილოეთით ნასასვლელადმდგომარეობაშიდა, ლაკატკიდან ნას-
როლი ხვინჭკა ქვების შეუჩერებელი ჯერიითდა, რომელიცდა უხვად
ჰქონდა მომარაგებული „ვეშემეშოკშიგანდა“, რომელიცდა იყო ხელი-
კისფერიდა, ძველისძველიდა, ჩვენისჩვენიდა, მაინც ასრულებდა თა-
ვის მოვალეობასდა, ანუ ვალს უბრუნებდა თავის უწინდელ პატრონ-
სდა, თუ რაც არისდა, ანუ ამ მოქალაქე ბრინჯომ ლაკატკით გახვრე-
ტილი მთიდან შემოუსია თავისი ბანდითზატონატობანდიტ.... (თუ
რაც არის... ვერც შენ ამოიკითხე?!) ჩვენს მშვიდობისმოყვარე... მშვი-
დობ... მშვიდ...ვიდ...იდ...ი...ობით (აქ ისევ ჩაიხვია და იმავეს იმეო-
რებსდა, აღარ გავაგრძელებდა, ნულამც გაგრძელებულადა!) და
რომც გავაგრძელოდა, მაინც ვერაფერს გავარკვევთდა.

ბოლოში ერთი რამე მაინც ხომ წერია გარკვევითდა, მოიცა, ეს
უკვე სხვა ხელიადა, ვილაცის მინაწერიადა, და კარგადაც იკითხება-
და: ოფიცერი აიტანეჩაიტანედა, მასთან ერთად გენერალი აიტანე-
გაიტანესდა, ხომ ასე წერია, ე მანდ, აბა, რა არის...

სოფელში კი იმას ამბობენდა, მეც გავიმეოროდა, რომე იმ დიდი გამარჯვების დღიდან ბრინჯო თავის ფუსკულფუნჯულებიან კაბაში აღარავის უნახავსოდა, არადა, საერთოდ აღარავის უნახავსოდა, არადა, ალაგალაგ იმასაც ამბობენ, არავინ იცის ვისგანდა, საიდანდა, როგორადაცდა, შეიმოსადა, შავი ფერის კოსტიუმითდა, თეთრი პერანგითდა, კიდევ რალაცრალაცებისდა თანაამხანაგობითაო. მაგრამ ეს არისოდა, ვერც ამან უშველაოდა, იმრკინისკეტრეტდასხმულ თავში ტვინი ისევ ძველებურად ბრინჯივით აქვს ჩაპნეულიოდა, კარჩხალის მთის ყინულწვერზე გადმოდგებოდა, დილაობითაოდა, ღამლამობითაოდა, როცა წყალსაც სძინავსაოდა, ძველებურადაოდა, ვილაცას თუ ვილაცებს მუშტებს უღერებსდაოდა, გვალვიძებსაოდა, მისი ზარივით ხმაოდა, მოსვენებას არ გვაძლევსაოდა. ამისთანაებსაც და კიდევ სხვანაირთანაებსაც ჰყვება ხალხი და, ახლა მეც შენსავითდა, აფერუმ, ამ ყველაფრის ამტანელოდა, იმ კარჩხალის წვერზე ლოდის ათასჯერ ამტანელოდა, დამაინცმკითხველოდა, გამიკვირდესდა: ბოლოსდაბოლოსდა, კარჩხალის ყინულწვერზე თავაღერილიდა, შავთეთრკოსტიუმპერანგში გამოწყობილიდა, დამაინცბრინჯოდა, ვის გასაგონადა, ვის ჩასაფიშმანებლათდა, გაჰყვირისდა – მე ნუ მიყურეებ, შენ თავ შეხედეე! ნუ მიყურებ მეთქინ!



თანთო ხასანა
(ისტორიული მოთხრობა)

კარების ჭრიალი.

შავებში ჩაცმულმა ქალმა სექვზე მწოლარე ავადმყოფს დახედა:

მაღალი და გამხდარი,

ლარებად ქცეული სახე,

ჩაფერფლილი, მიძინებული თვალები...

რაკი დარწმუნდა სძინავსო...

– სსუ, ჩუმად შემოდით... – ანიშნა დანარჩენებს და თვითონ ბუხართან დატრიალდა:

იატაკის მაგიერად მიწა,

ბუხართან – დოლაბი,

თაროზე – ჯამ-ჭურჭელი...

ხის კოვზები და სპილენძის ქვაბ-კარდლები,

თაროების ქვეშ საფუქვილე კიდობანი...

ცეცხლი გააღვივა.

ოთახში დამწვარი კარაქის სუნი დატრიალდა... და აი, სულ მალე:

დიდი სუფრა,

ბორანო,

მანონი,

შავი ლობიო და მხლის მყავე –

ვახშამი –

ექვსი და...

ავადმყოფი სექვიდან წამოიწია:

– სადაა ილიასი?!

– შენ გაიღვიძე, ნე?! დეზგარ ლელეში გაჰყვა ნური ბეგს, გობის მოსახვეწად, – გამოეხმაურა დედა და კეციდან ცხელი მჭადი ამოიღო.

– მერე ამ სალამო პირას?! – ნაყვავილარ სახეზე ხელი ჩამოისვა.

– საცაა მოვლენ კიდეც....

– არ უნდა გაგეშვა, ნე, არა... ხედავ როგორი დროა?!

– აჰა, მოვიდა კიდეც...

თანთო ხასანა სანოლიდან წამოინია, დარაბები გამოალო.

– ალი ბეგი ყოფილა... რა ამბავია ნეტავ?! – ოჯახის წევრების გასაგონად ჩაილაპარაკა და ხმამაღლა გასძახა: – ჰე, ჰე, ჭო, მოი, ძალი არ გერჩის, არა!

ის იყო ქალებმა სარძევე ოთახში გადაინაცვლეს, რომ ალი ბეგის ხმაც გაისმა:

– ოო, სალამ ალეიქუმ, ხასან ბეგ, როგორ ბრძანდები? თქვენი ავადმყოფობის ამბავი რომ გავიგე, გულზე მომეყარა...

– ღმერთს მადლობა, ჩემო ალი, სიკვდილს გადავრჩი, – წამოინია, ხელი გაუნოდა, – მოი, აგერ, ფოსტზე დაჯექი, – ცხვრის ტყავზე მიუთითა, – ვახშამზე დაგპატიყებ...

– არა, მადლობა, აგერ ჩამოვჯდები, ცოტა არ იყოს, შემცივდა, – თქვა და კერიის ქვაზე ჩამოჯდა.

დაბალი,

ყბა ყბაში გასული,

მაღალი, გადანეული შუბლი, –

ბუხრის კამარას ხელი შეახო.

– მომწონს!

– ჰო, ბაბაი იტყოდა, ლაზებმა გააკეთესო...

– ჰოო! ჩვენთან, ხუსეინ უსტაც კარგი მოხელე ყოფილა, აქებენ.

– სხვა რა ამბებია სოფელში, ალი ბეგ? – თავქვეშ ბალიში ამოიძლო.

– ჰე, ძალიან ცუდი, ხასან ბეგ, ბევრი ხალხი განყდა, გეიყუჟა ამ ავადმყოფობაზე, ყაჩაღებმა იხელთეს დრო... თითქმის არც ერთი ოჯახი არ გამოუტოვებიათ გაუძარცველი... გუშინ სოფელში ვიყავი გასული, გადასახადების თაობაზე...

– ჰო! მერე?

– ძალიან ცუდადაა საქმე, უარი მითხრეს, ლანძღვისა და გინების მეტი არაფერი შემხვედრია, მართალია, წლიური გადასახადი არაა დიდი, მარა... წელან თქმისა არ იყოს, ამ ყაჩაღებმა სული ააძრეს ხალხს... აქეთ კიდე...

– მაი რა მითხარი, ჭო?! ასე რაფერ შეიძლება?! – საგონებელში ჩავარდა ბეგი, მუდირთან ამბავი რომ მივა, მერე სხვაგვარად წავა საქმე... შენ არ იცი მაინც, როგორი პირნავარდნილი ძაღლია?! ოღონდ ოსმალს გული მოიგოს და... არა... ერთ კვირაში უნდა მომთავრდეს ყველაფერი, ალი ბეგ, რაღაც უნდა ვილონოთ... მერე დამსჯელი რაზმი აგვანოკებს, ჭო!

– მაშინ შენ უნდა გახვიდე, რაფერ გითხრა ავადმყოფ კაცს და... რაც არ უნდა იყოს სოფლის მუხტარი ხარ და დიდი რიდიც აქვთ თქვენი... კარების ხმაური.

„ილიასი?“

ტანმორჩილი და ზამბარისებური,

ქერა თმა,

მკვირცხლი და ცოცხალი თვალები...

– სალამო მშვიდობისა, ალი ბიძავ!...

ხილით სავსე თეფში მიართვა სტუმარს.

– შენ გაიხარე, შვილო, ღმერთმა მშვიდობა ნუ მოგიშალს... – მოეხვია, – ეს რამხელა ბიჭი გაზრდილა... – შენი ძმა თუა ამას არავინ იფიქრებს, ხასან ბეგ, ეს რაცხა სხვანაირია...

მერე?

მერე... გვიანობამდე ბჭობა, ბაასი...

გათენებისხანს...

თოფის გრიალი..

შეცბა სოფელი.

ცივი, გაყინული ხმა:

– ყაჩაღები!..

– მოკლეს!..

– მოკლეს!..

ხასანი დაფეთებული წამოვარდა:

„ნაილეს სახლიდან?! რა ჰქონდათ მაგ საცოდავებს...“

არ დაფიქრებულა – კედლიდან „მაჭახელა“ ჩამოიღო... პერანგის ამარა სიბნელეში გაიჭრა:

მალალი და დათვივით ბანჯგვლიანი.

ყარფუზივით გადმოგდებული მუცელი,

ყორანივით შავი წვერი და ნახშირივით თვალები...

ჯერ ერთ ეზოს გადაევიდა, მერე – მეორეს და...

ტირილი...

თავ-პირში ხელების წაშენა...

– მოკლეს!..

– ყაჩაღებმა მოკლეს!..

წყევლა...

კრულვა...

ხასან ბეგი ხალხში გაძვრა... სულს ძლივს ითქვამდა...

„ნაილე?!“

მგლისფერი სახე...

უცებ:

– რას უცდით კაცებო?! სეირს უყურებთ, არა?! გოგო კვდება, ვერ

ხედავთ?!

არ დაფიქრებულა ხასან ბეგი, არც მორიდება, მომაკვდავი ქალ-
იშვილი ხელში აიტაცა და...

– ჩემი საცოლუა, შავშეთში ექიმთან ჩავიყვან...

სიტყვა დააგდო, გაქუსლა...

– ?!..

ჭორიკნებს საქმე მოუსპო...

* * *

პარასკევი დღე.

ლოცვა დამთავრდა.

გაყვითლებული ფოთლები პეპელებივით დაფარფატებდნენ ჰაე-
რში...

ჯამედან ნელ-ნელა გამოდიოდნენ:

მამაკაცები – წინ, ქალები – უკან...

– აბა, მოსწავლეები შემოდით ახლა! – გაისმა ყაბალახმოხვეული
ახალგაზრდა კაცის ხმა და, ის იყო ჩადრში გახვეულ გოგონებს წინ
წაუძღვა, რომ ხასანის ომახიანი ხმაც გაისმა:

– მამაკაცებო არ წახვიდეთ სახლში, მოიცადეთ!... – ცხენიდან ჩა-
მოხტა და ხალხში გაერია.

სამლოცველოში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა...

– მდაა! – დიდი წკნელის ჯოხი იატაკზე დაატყლაშუნა ხოჯამ, –
რალაც ამბავია, თანთოლლი ხასანა ტყულა არ მოვიდოდა!.. – ხმამალ-
ლა ჩაილაპარაკა და ფანჯარასთან მივიდა, გამოალო:

დაბალი,

ყბამოლრეცილი...

– ხალხნო, ჯამათნო, როგორც ალი ბეგმა მითხრა, თქვენ უარი გითქვამთ გადასახადებზე...

გაისმა ხასან ბეგის ომახიანი ხმა და მოლამაც თავი უკან შეჰყყო.

ხალხი:

– მართალია, მართალი!..

– ჩვენ ვერ გადავიხდით, ვერა!...

– მაგის თავი არ გვაქვს!...

– სული ყელში გვაქვს მობჯენილი...

– ვიცი, თქვენიც მესმის, მაგრამ ახლა მეორე მხარეს შევხედოთ...

ხვალ უკვე ბოლო დღეა, მთლად ასეც არ შეიძლება... ლამაზად დაუჯდეთ და მოვითათბიროთ... რალაც მოვიფიქროთ... გადავწყვიტოთ... ათასჯერ გავზომოთ და ერთ ალაგას გადავჭრათ... გადასახადს თუ არ გადავიხდით, დამსჯელი რაზმი არ დატოვებს ჩვენ სოფელს... იცოდეთ ეს!.. მერე ძალადობაზე რომ წავეს საქმე, კუდამდე ტყავს გაგვაძრობენ... ან უნდა გადავიხადოთ, ანდა შევიარაღდეთ... და დამსჯელი რაზმს სასტიკად გავუსწორდეთ!.. მეტი გამოსავალი არაა!..

სამარისებური სიჩუმე.

– ნაით, სახლებში, ხვალ დროზე მოდით!.. – ფანჯარაში თვალებოუცილებლად უბრძანა მოსწავლეებს მოლამ და მხრებში გაიშალა:

– არ შეცდეთ, ხალხნო!.. „კამეჩის მოჭიდავე ხარს რქები არ შერჩენია“... ჩვენ თუ გავწყვეტთ ოც-ოცდახუთ კაცს... რა, თურქს ასკერი დაეღვევა თუ?! საქმე ამაზე უარესად წავა!

– სწორია, ნური ხოჯა!.. სწორი...

– მერე რაც მოხდება, სოფელს გადახდება!..

– შენ ასე რამ შეგაშინა, ყადირ უსტა?! კაი თოფებისა და ხმალ-ხანჯლების გამკეთებლები თქვენ ხართ, და არც თქვენ წინაპრებს დაუხრიათ თავი ოდესმე, გულადი მებრძოლები იყვნენ... დღეს თქვენ უნდა წაგვიძღვეთ წინ და არა...

– მაგენს რა ენაღვლებათ, ხასან ბეგ, დუქნებზე და მჭედლობაზე არასოდეს გადაუხდიათ საბაჟო, – ღვარძლი გადმოანთხია, პატარა, ჩია ტანის ნაყვავილარმა კაცმა და ლობზე შემოსკუპდა.

– შენ გაჩუმდი, ისმეთ, ამასაც თუ დიდად ხედავდი, არ მეგონა, ჭო... ეს სამჭედლოზე და დუქნებზე თორემ... ისე არ ვიხდიდით?!

– ჰოდა, რაღას ვუხდით, ყადირ უსტა, შევეიარაღდეთ, ვიცი გადასახდის გადამხდელი არავინ ხართ, მიეყვეთ ხასან ბეგს... მით უმეტეს ოსმალს რუსეთთანაც არ ქონებია საქმე კარგად.. ალბათ, მათ შორის მალე ომი დაიწყება... მეერ ჩვენთვის აღარ ეცლებათ!... – არნმუნებდა ალი ბეგი.

– რას ამბობ, ალი ბეგ?! ომი დაიწყება თუ არა ეს არავინ იცის... და, თუ დაიწყება, გამარჯვება ვის მხარეზე იქნება, ესეც არავინ ვიცით, – აღარ ჩერდებოდა მოლა.

კამათი...

არევე-დარევა...

უთავბოლობა...

ღრიანცელი..

აურზაური...

– მომისმინეთ, ხალხნო, ბაღნები ხომ არ ხართ?! ჩვენ თუ იმ დამსჯელ რაზმს კუდით ქვას ვასროლინებთ... დამიჯერეთ, ხელმეორედ ვერ გაბედავს ხარკისათვის მოსვლას... არა მარტო ჩვენს სოფელში, არამედ მთელ ხეობაში... – ხმა ჩაეხრინა ალი ბეგს და ისევე გააგრძელა – ისე სუსტია თურქის ძალაუფლება ამ მხარეში, რომ აქაური ბეგები განვაგებთ ხეობას... ასე არ არის, ყადირ უსტა?!

– ასეა, ასე.. ჯერ ოსმალს ფეხი არ შემოუდგამს... გარდა ჩვენი სალდათებისა, აქ არავინ მდგარა!..

– გაჩუმდით!.. სამაგიეროდ, თქვენ, ბეგები სულთანის სამსახურში, ხართ და ჯამაგირსაც კარგად ლებულობთ... ჩვენ ვიჩივლოთ, თვარა... – იყვირა აქამდე გაჩუმებულმა გლეხმა და ბოლმა გადმოანთხია...

– ხმა გაკმინდე!.. ბეგების სამსახურს ნუ ეხები შენ!.. რა, მათ მოხელეებს ვერ დანიშნავდნენ, თუ?! რა უშლით ნეტა ხელს?! მაგრამ ეშინიათ ადგილობრივი მოსახლეობის... თქვენ თუ არ გახსოვთ, ერთი თქვენს უფროსებს ჰკითხეთ... თუ როგორ აუჯანყდა მაჭახელი ოსმალეთს, იმის გამო, რომ ჯარში არ გეენვიათ ბიჭები... ყველაზე მეტი სისხლი სარნმუნოებისათვის აქ დაიღვარა... ყველაზე გვიან მაჭახელი გამუსლიმანდა. ბაბაი იტყოდა, შავშეთიდან აქ კაციშვილს არ უშვებდნენ თურმე, იქ „გიავრები“ ცხოვრობენო... თქვენსავით ლაჩრები და მშიშრები კი არ ყოფილან... თქვენ ოცდახუთი კაცის წინააღმდეგ იარაღი ვერ აგილიათ ხელში, შიშისგან კანკალებთ!.. – კბილები გააღრჭიალა ხასან ბეგმა... გაცოფებულ ვეფხვს დაემსგავსა...

– არა, მაინც არ თქვა სუსტია ოსმალეთის ძალაუფლება ჩვენ-
შეო... ვინ გითხრათ?! ანდა თუ ეშინიათ...

– ვინ გითხრათ ეშინიათ?! არაფერი არაა წასაღები ამ გალატაკე-
ბული მხარიდან, თორემ... ნეტაი...

– წასაღების მეტს რას ნახავს, რომ არ ეშინოდეს... სხვაგან ყოვე-
ლი მეორე კაცი შეიარაღებულია და არასოდეს არ ყოფილა ოსმა-
ლოს მორჩილი... – კვლავ ჩაერთო ალი ბეგი, – თქვენ რა, ამას ვერ
გრძნობს თურქი? შენ გადასახადების გადახდა გენახა მაშინ... რა, შე-
ნი ხათრი აქვს თუ? და ამ მცირესაც რომ ვერ გადაიხდით...

– კიდევ მისას ამბობს, ჭო!..

ისევ:

ღრიანცელი,

ალიაქოთი,

ღარღალი,

შეძახილ-შემოძახილი:

„ჩვენი ხელით, ჩვენს ცხვირს ნუ მოვიტყებთ!“

„დათვი მოგერევა ბაბაი უნდა დუუძახო!“

„მტერი ნაცარში რომ შემოგიხტება და ფესვებს გაიდგამს... მერე
არ ღირს ციხის აგება!..“

– ჭკუას მუუხმეთ!..

– არ შეცდეთ!..

– არ შეცდეთ!..

ჯამის შესასვლელ კიბეზე იჯდა თანთო ხასანა, – ჩაფერფლილი
თვალებით მიაცილებდა ერთმანეთში არეულ ხალხს...

– ხასან ბეგ!..

მხარზე ხელის შეხება იგრძნო.

მობრუნდა.

მის წინ ალი ბეგი იდგა:

– რა ვქნათ?!

– არაფერი, ჩემო ალი „კაცი კაცითაო, ღობე სარიითაო!..“ მარტო
ვერაფერს გავხდებით!.. ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი...

* * *

ხმა დაირხა სოფელში:

მოჭიდავე, ქავთარეთ იბრაიმი ჩამოსულა თავისი ბიჭებით...

- ხუთი-ექვსი სოფელი მოუვლია...
- მისი მომგები არავინ დაბადებულა თურმე...
- ბევრი საჩუქარიც აუღია!..

და აი:

მამაკაცები საჭიდაო მოედნისაკენ...

- რას გავს, ჭო, ხედავ? დათვივით ბანჯგვლიანია...
- აბა, აბა, ამის კუნთებს შეხედე... კუნთებს...
- შარშან გამარჯვება ჩვენ დაგვრჩა...
- ჰადაა ნეტაი თანთოლი ხასანა... არ ჩანს რაცხა...
- მაი თუ არა და, დავილუპეთ...
- ვერ ხედავ ამას?! მარტო მისი შემხედვარე დაბეჩდები კაცი!..
- კამეჩს გავს, კამეჩს!..

ლაპარაკობდნენ სოფლის კაცები და, ხან საჭიდაო ალყაში შესულ იბრაიმს შესცქეროდნენ, მუსიკის ფონზე რამდენჯერმე რომ შემოხაზა წრე, ხან კი თანთო ხასანას დაეძებდნენ თვალით...

შენყდა ზურნა.

იბრაიმის თანმხლები ბიჭები აყაყანდნენ:

– საჩუქარი... საჩუქარი... აბა როგორ გეგონათ, შარშან შერცხვენილი რომ გაგვიშვით... სადაა თანთო ხასანა?! ჩვენ მაგისი ჯინი გვაქვს, ჯინი...

და ის იყო იბრაიმიც უნდა გამოსულიყო რკალიდან, რომ...

საჭიდაო წრეში ილიასი შევარდა:

საშუალო,

ფერდი-ფერდზე აკრული...

– ოო, ბალანაა, ჭო, მაი...

– ხა, ხა, ხა... თავი გოლიათი ჰგონია, – ირონიულად ჩაიხითხითა იბრაიმმა და წრეში შებრუნდა...

– ნეტაი, გახდება მაგი რამეს?!

– არა მგონია, ვერ ხედავ, ნალევაი საპონს გავს!.. შერეც ბალანაა...

– რატომ იტყვი, ჭო, მასე... რაც არ უნდა იყოს, თანთო ხასანას ძმაა...

ზურნა...

საჭიდაო...

ხელდახელ შებმა.

გირჩევ ნახვიდე!.. არ მინდა რამე გატკინო!.. ნასჩურჩულა იბრაიმმა და ბიჭს ხელი გაუშვა.

– აქ ღონე კი არა, ფანდია საჭირო, ფანდი!.. – ბზრიალასავით შე-
მობრუნდა და წელში ხელმეორედ ეცა...

წამოძახილი...

სტვენა...

წაქეზება...

– მიდი, მიდი, ილიასი, სირცხვილი არ გვაჭამო, სირცხვილი...

– ეცადე, სოფლიდან საჩუქარი არ გაატანო!...

უცებ?...

უცებ... ბიჭი პეპელასავით წამოაფრინა, საჭიდაო წრის ირგვლივ
შემოატარა:

– ამის მეტი მოჭიდავე არ გყავთ?! – ერთხელ ბურთივით შეათამა-
შა პაერში და პირჩაღმა დასცა... და ის იყო „მსხვერპლისაკენ“ დაიხა-
რა, რომ...

ხალხის გრიალი...

ხრიალი....

სიცილით დაწყვეტა....

მუცლის ხელში დაჭერა...

„– ვაიმე?!“

სირცხვილის ოფლში განურვა...

იბრაიმმა სწრაფად იტაცა ხელი ფეხებს შუა – ამოდ ცდილობდა
გარღვეული ადგილის ხელებით დაფარვას...

– შიშე!..

ორმოცდაათამდე გაკვირვებული თვალი.

სუსტმა მხრებმა ქორივით აიტაცა დევივით სხეული და ის იყო
ალი ბეგის სახლისაკენ გააფრინა, რომ...

მთების ზანზარი...

ქვების რახარუხი...

წვიმასავით:

კაჟიანი დამბაჩები...

კვეს-აბედი...

„მაჭახელა“...

ღრიანცელი...

უაზრო ხმაური...

გადაძახილ-გადმოძახილი:

– ნარიე!..

- ხენიფე!..
- ალი ბეგ!..
- დააგორე...
- ნუ გეშინია, მეხფულე, ესროლე!..
- ემინე!..
- ფადიმე!..

და აი:

ბანრისოდენა ბილიკზე ცხენი ცხენს შეასკდა...

კაცი – კაცს –

მაჭახელა წითლად შეილება...

დაიბნა ხალხი...

ბოლოს?

ბოლოს...

– თურქის ასკერი ყოფილა, ჭო!.. –

დასცეცხლა ყველას თავში:

„მტერი თუნდ ჭიანჭველა იყოს, მაინც უნდა უფრთხილდეო“ და
ამან კი...

– ახლა ტყავს გაგვაძრობენ, ნახავ, აბა...

– თანთო ხასანა მტერს თავისი დებით დახვედრია...

– თურმე ორი დღე-ღამე სიკაღეთში ქვეები უგროვებიათ ქალებს,
ჭო...

– არა, მაინც, რა დედაკაცების საქმე იყო?! თუ საჭირო იყო, ჩვენ,
რა, კაცები დავწყდით, თუ?! რაფერ ილიასმაც არაფერი არ თქვა, ხე-
დავ?..

ხმამალლა...

გულში კი...

თანთო ხასანა მშვილდ-ისარივით მიაპობდა გაუფალ ტყეს... რაზ-
მის უფროსს სულ ჭენებ-ჭენებით მისდევდა:

სოფელ ხერთვისამდე –

ტყე-ლრეში,

ღელე-ღულეებში,

ხრამ-ხრუმში...

ცხენმა წაიბორძიკა...

მერე?

მერე... თითქოს მინამ პირი უყოო, – დაეკარგა.

სოფელ მინდიეთში დაღლილ-დაქანცული ჩამოქვეითდა და წკნე-
ლით შემოღობილ ეზოს მიადგა... შავი, ფიცრული სახლიდან სიმღე-
რის ხმა ისმოდა. კაციშვილი არ ჩანდა... ხის კუნძზე ჩამოაჯდა იმედ-
გადაწურული...

..... ერთი ლექსი მოგახსენოთ, შაქროს ჯანისა იქნება,
შაქრო კარგი მელექსეა, მიცემულია მას ზე ნება,
შაქროს ჯანსა თუ იკითხავთ, მეტად არის ასუებული,
ნელში მეტად მოკაკული, ნიკაპი აქვს დაშვებული...
შაქროს ჯანსა თუ იკითხავთ, არ იფიქრებს სირცხვილსა,
ლექსებს თუ უკვირდებით, უგავს დანგრეულ წისქვილსა...
სულყველაა მისი სახლი, პაცხან შეჭამა იალი.
სულ ყველა ამას იძახის, შაქრო არის სოფლის ძალი...
ქორნილი თუ გეიგონა, ვერ გაჩერდება ქედაში,
მოკაკული გამიექცევა, – ბიზს დაასობს შავშეთში...
ისე... ქორნილებზე ბევრი იარა, ერთ იბერეთს გედევყარა,
გიაურმა ჰქნა ეს პიქმეთი, გვერდზე უბნკინა და...
დააყლეპია თვალები –
ნამოშა და სმა დეინყო, ვერ გააჩერა ქალები...
ყური არავის ათხოვა, ადგა და წედა ზეგნის მთაში,
იქაც ცემა ქურთის ქალმა – მუხლები ვერ ამართა...
სახლში არავინ შეუშვა, – შაქრო დარჩა ხის ძირში.
იმ სანყალმა ტყულა იარა, ცხრა მთა-ქედი გადვიარა,
ჯობს სახლში დარჩეს და ჭამოს ჭვავის ჩორბა.
ამ ლექსის გამომთქმელი, კირკიტაძე ზაქარია,
შავი კაცის გამომთქმელი, შემომონმეთ რაფერია...”

– კარები გააღე და შევამონმებ რაფერია!..

პასუხს არ დალოდებია, ხმალამონედიმილმა ნახევრად ღია კა-
რებში ზორბა ტანი ძლივსძლიობით შეატია.

– სალამ-ალეიქუმ, ზექერ ბეგ!.. კარგი მელექსე იყავი, მაგრამ...
ასე კარგად თუ მღეროდი, არ ვიცოდი...

– ხასან ბეგ, შეენ?.. ალეიქუმ სელამ, რამ შეგანუხა?

– აქ თურქი უნდა იყოს საცხა... და – ... მთელი ოთახები დაუკითხ-
ავად მიმოირბინა, – რაზმის წინამძღოლი გამომექცა...

– არა, აქ, არავინ მოსულა!..

– გეშლება, ზექერ, წარმოდგენა არ დამაკარგვინო... მე კარგ ადა-
მიანად გიცნობ... მერე ჩვენს შორის ჯოხი რომ გატყდება, ხომ იცი...

მე არ მინდა ასე მოხდეს... ქორწილებში ხშირად შევხვედრივართ, კი-
დევე შევხვდებით...

გაჩუმებული იდგა კაცი:

მაღალი და ნითელი –

ვაცივით უცანცარებდა წვერი...

– აა, ეს ფოსტიც აგერაა... აილე... „ციხე შიგნიდან ტყდებაო“... შე-
ნმა ბადიშმა ყველაფერი მითხრა: „ბაბუამ დოშამეს ქვეშ დამალაო“...
მერე?

მერე ხვენწა –

მუდარა:

– ჩემს ოჯახში თითი არ დააკარო, ბეგ, მერე...

– ?!..

ამოიყვანა

განიარალა.

გააშიშვლა.

ბევრი ეხვენწა ზექერ ბეგი...

ცალკე – ტყვემ.

არაფერმა გასჭრა.

წინ გაიგდო:

მაღალი და მხრებში მოხრილი,

დაძარღვეულ-დაძვალული: –

არავითარი ხმა,

არავითარი სიტყვა...

მხოლოდ:

– მომკალი, გეხვენები, ამას მე სიკვდილი მირჩევნია!..

– არა, შენ არ უნდა მოკვდე, ამბის მიმტანი ხომაა საჭირო?! იყო

პასუხი და მთელი სოფელი მოატარა...

სახლში გაუშვა.

თვითონ კი ქოქოლეთის ღელე-ღურდანი სულ ჭენებ-ჭენებით გა-
მოიარა.

* * *

მთელი სამი თვე ფუტკარივით ზუზუნებდა ხეობა:

– უიმე, შეიშალა, ჭო, თანთოლლი ხასანა, ეს რავა გაბედა... ამას
არავინ გვაპატიებს...

– ღმერთმა დაგვიფაროს, გამწენელის ქირიმე...
თავზარდაცემული დადიოდნენ ქალები...
ცუდის მოლოდინით კრთოდნენ კაცები...
სამი თვის მერე?
სამი თვის მერე... რუსეთ-თურქეთის ომი, და...
მინყნარდა სოფელი...

* * *

ბნელოდა.

მოღრეცილი აივნის კიბეები ჭრაჭუნით აიარა.

ამდენი ტირილითა და ვიშით ავსებულ გულს მოეფინა ჩონგურის
ხმის გაგონება...

*„ჩიტი ბუდეს იკეთებს,
ქალასკურის თეფეში,
პანია ხარ და ლამაზი,
ჩამოგიდებ უბეში“...*

„ნაილე?!“

გულში სითბო ჩაელვარა...

არ ახსოვს, როგორ ამოძრავდნენ ურდულგაყრილ ხის კარზე მძი-
მე ტორები...

– ვინ ხართ? – შეშინებული ხმა.

მინყნარდა ჩონგურიც...

– მე ვარ, ხუსნი ბიძავ, მე!

– შენ ხარ, ხასან, მოი, ჭო, მოი... სად დეიკარგე ამდენ ხანს? – ხერ-
ტალივით დატრიალდა მამიდა.

– ჩემი ავადმყოფი რაფერაა, ემიავ...

– რაც მთავარია სიკვდილს გადავარჩინე...

– შენი ხელების ქირიმე, ხუსნი ბიძავ, ვიცოდი, კაი ექიმო იყავი და
მიყვარდი, მაგრამ ახლა ორმაგად შემეყვარდი...

– ასეა თუ ისე, სამი თვე იწვალა, დღე პქონდა და გადარჩა, თვა-
რა... – ხმადაბლა, ჩურჩულით: – ეს რაფერია, ჭო, რატომ არავინ არ
ჩამოაკითხა?!

– მე მოვედი ხომ?

– შენ?!

– ჰო... ობოლია... დედინაცვალი კი ყავს მარა...

– ჰოო!.. იმდენი ჭრილობა არ ანუხებდა, რამდენსაც ნერვიულობდა... უცხო ხალხი, უცხო გარემო... – ხმამაღლა – ნაილე, გამოდი, გოგო!

თითქოს მინამ ჩაყლაპაო...

– მე ვნახავ, თვითონ, – ფეხზე წამოდგა ხასანი.

მეორე ოთახში, სექვზე იჯდა გარინდებული გოგონა... ფანდურის სიმებს აწვალვდა...

ფეხის ხმაზე გველნაკბენივით წამოვარდა:

მაღალი და გამხდარი..

„ვაიმე“, – ჩადრი მოიფარა.

– არ გინდა ეს! – ახლოს მივიდა.

ჩადრი მოაძრო.

აფრენილი წარბებიდან უელავდა წყლიანი, თაფლისფერი თვალები...

– სად არიან ჩვენები?.. ბიძიები მაინც ჩამოსულიყვნენ ჩემს წასაყვანად – უკან დაიხია.

– ნუ ნერვიულობ, რაც მთავარია, მე ჩამოვედი! – ხელი მოჰხვია.

– უიმე?!

„ხუსნი ემო?!“

– ჩემი საცოლვა, ხუსნი ბიძავ!..

– კი შვილო, კი... ამას თავიდანაც კი ვგრძნობდი... აბა შენს ხელმონაკიდ ქალს ვინ ითხოვდა სხვა? ღმერთმა ხელი მოგიმართოს, ხასან... აიშე! – გასძახა ცოლს და...

გათენებამდე:

ცეკვა –

სიმღერა –

დიდი სუფრა.

შუაში დიდი ჯამი.

ივსებოდა:

ხან – კაიმალით და ხან – სინორით,

ხან ჩირბულით და ხან სუთლით...

მოიყარნენ მეზობლები –

ჩონგური,

ფანდური:

„ჩიტი დუას კითხულობდა,
ვიჭი, ვიჭი, ვიჭიო,
ამ სოფელში ყველაზე კაი,
მუსტაფაი კაი ბიჭიო.“

„ფიქრობა-ფიქრობაში,
გული გამიხდა იარა,
დღისით გელი და ღამით,
არ მომაკითხე, არა.“

„ფაცხა გაეაკეთევი,
წვიმამ ჩამომიარა,
პირზე რენგი წაგსვლია
რაცხამ გამოგიარა...“

„ფიქრობა-ფიქრობაში,
კინალამ შევშალე ჭკუაში,
ერთი არ მომაკითხე,
ალარ ვკადრულობ ბალხში“.

* * *

კარჩხალის მთები შევარდისფრდა, ორი ცხენი დაღმართზე დაეშვა – პეპლებივით აჯდა ხასხასა ბალახს გვირილები... ხან შავი ცხენი უსწრებდა წინ, ხან – თეთრი... შორიდან კვლავ ისმოდა:

„სახლის უკან ფური მაზოი,
იმან რანდა მეინველოს,
მე – აქა, შენ- იქა,
გულმა რანდა მეისვენოს“.



ბატიშვილის ჩურჩხელა

თავი პირველი
ნამყო

მკითხავის მეტი რა გაეგონა და ენახა, ჯერაც ბავშვს, მაგრამ ასე სერიოზულად, საგანგებოდ გამოწყობილსა და დაფიქრებულ დედას, ასე გამიზნულად ქალაქში წაყვანოს, ათასგან გაკითხულ, ვილაცხეების ნაქებ და საქვეყნოდ სახელგანსმენილ ქალთან, მომავლის განსასაზღვრად თუ გასარკვევად, თანაც არა საკუთარი, ქმრისგან მიტოვებული დედის ბედის, ილბლის თუ, როგორც დეიდა იტყოდა, მოუსაველეთში გადაკარგული კაცის ამბის გასაგებად, – ადრე, არა თუ არ მომხდარა, ვერ წარმოედგინა ოდესმე რომ მოხდებოდა და ახლაც გაოცებული მიყვებოდა გვერდით ჩაფიქრებულსა და დადარდიანებულ დედას. განსაკუთრებით მეზობლის გოგომ, საკუთარმა ნათლულმა, აზამ უქო ჩამბას ქუჩის რომელიღაც ჩიხში წინასწარმეტყველად დაუნჯებული ქალი ბავშვის დედას. თვითონ აზა კლინიკურსიკვდილგადანატანი იყო და სოფელში სულთა განმრიგედ, მედიატორად თუ მედიუმად აღიქვამდნენ, თუმცა ამჯერად აზამაც, უცხო ურჩია ნათლიას.

უხერხულობისა და მორიდებულობისაგან ლამის იყო ხმა ჩაყარდნოდა ბიჭს, გული აუბაგუნდა, როცა მკითხავმა, ორმოცსმიტანებულმა, ნახშირივით შავთვალემა ქალმა, მუქი შინდისფერი კაბის სილუეტი რომ გამოუსჭვიოდა მხრებსა და კისერზე მოგდებული შავი მოსასხამიდან, სკამი დაუდგა და „დაჯექიო“ უთხრა წყნარად. მღელვარებისაგან არც გაუგია კარგად დედისა და მკითხავის დიალოგი, საუბარი და ზოგჯერ ამოოხვრაჩართული ჩურჩული, გისოსებით შემოზღუდული ფანჯრის მუქყავისფრად შეღებილ რაფაზე მოთავსებულ ვებერთელა ქოთანში ჩარგულ გვიმრას უმზერდა, სოფელში მამამისი გულმოდგინედ რომ ძირკვავდა და მასაც აძირკვინებდა; უფ-

რო ლამაზი ეჩვენა და უფრო საინტერესო; ლაზათიანად იყო ღეროები გადმოხრილ-გადმოზნექილი.

ჩამბას ქუჩის მანქანების გრიალი არღვევდა ყურთასმენას გრძნეული ქალის სიტყვებს შორისი პაუზებისას.

– ასო „დ“- ზე ვინა გყავს?

– დათო, შვილი, – შეშფოთდა ქალი და ბავშვისკენ მიუთითა სახით.

– ეს უმცროსი ბიჭია? – კითხა მკითხავმა და ბავშვს მიაჩერდა.

უხმოდ დაუქნია თავი ქალმა.

– საინტერესო ბედი ექნება! – დაჟინებით დააკვირდა მკითხავი, შემდეგ დიდი კელაპტრისაკენ გადაიტანა მზერა, უხილავი სიოსაგან რომ უბანცალებდა ალი, – ვებერთელა სიმალღეზე ავა, ძალიან მალა ზის, ნახე! – მიუთითა ქალს იისფერი შუქისკენ, მართალია ბიჭის დედამ ვერაფერი ნახა, მაინც სიხარულით აუციმციმდა თვალები. დათო ჯერ მკითხავის შავ თვალებს ჩააშტერდა შემდეგ კი ჩაშავებულ უპეებზე გადაიტანა დაეჭვებული და უნდო მზერა და მაშინ პირველად მოაგონა გრძნეულმა ქალმა ერთი წლით უმცროსი და ეზოში ფეხშიშველად მოტანტალე თეა, მაშინ პირველად, შემდეგ კი, ბედისწერასავით, ყოველთვის, ბავშურ ზმანებად ახსენდებოდა მკითხავის ნახშირივით შავი თვალები და მასში ასარკული თეა.

* * *

ბიჭი ჯერაც პატარა იყო, როცა აზას ძმამ, დევიმ, სიქის გაცლამდე სცემა მათი მეზობელი ივანე, ივანე ბიძიად რომ იცნობდა ბიჭი და დურგალი რომ იყო, ბიჭის კარის მეზობელი. ერთი ღობე ჭქონდათ, სადურგლო ფარდულიც ზედ მათს ღობესთან აეხლაფორთებინა, ამიტომაც როცა გრძელ ფიცარს რანდავდა ივანე, პატარა სამერცხულივით ფანჯარას გამოალებდა ღობისკენ და ფიცარი მთელი სიგრძით ბიჭის ეზოში შემოდებოდა; კი ყვიროდნენ ბიჭის მამაცა და ბაბუაც, ნარგავები და ხეხილი გაგვიფუჭაო, მაგრამ ამაზე შორს არ მიდიოდნენ და არც ივანეს მოუშლია მეზობლის ეზოს ექსპლუატაცია. მეორე ქმრად იყო ჩასიძებული ბიჭის მეზობლად და ცოლისგან ერთი გერი ჰყავდა, მარინე. ცოლს, მაყვალას, მთელი სოფელი იცნობდა და მათ შორის დევიც, – ძალიან ახლოს, და შეუსწრო ივანემ, მუხლებზე დაჩოქილ და პირით ლოგინს ჩამხობილ ცოლის კვნესას

შერთულ, მუხლებამდე შარვალჩაჩაჩულ დევის ხვნეშას, მაგრამ დევივით დევისთან რას გახდებოდა და სცემა დევიმ კაცურად და კაცური წლებიც მიუსაჯეს, მთელი შვიდი, დრანდის ციხეში ხეხა კედლები. ივანეს კი დიდი არაფერი, ორი კვირა ვერ აგრძელებდა დურგლობას მერე შეუდგა ისევ თავის ჩვეულ საქმიანობას, ფიცრებისა და გერის რანდვას. ვერავინ მიხვდა სოფელში ასე საჩქაროდ რად გაათხოვა შვილი მაცყალამ, თხუთმეტი წლისა, და რვა თვეში რად დაენგრა შვილის ოჯახი. სიძე რუსთავიდან იყო, სოფელში ბებია ყავდა, სადაც გაიცნო მარინე და მოეწონა თუ შეუყვარდა და ზუსტად მეათე თვეს მკერდზე ორი თვის თეა მიკრული მიუბრუნა სახლში მაცყალასა და ივანეს, თანაც სიტყვა დაუგდო, ნუ ეცდებით ჩვენს შერიგებას და დამივინწყეთ საერთოდო. ბიჭის მამა და რამდენიმე მეზობელი მიუხედავად ამ მძიმე სიტყვებისა, მაინც წავიდნენ სიძის ოჯახში, მაგრამ უარით გამოსტუმრებულებს არც მიზეზებზე უთქვამთ რამე, არც შედეგზე და საეროდ შემდეგ არც უხსებებიათ შერიგება და ყოფილი სიძის ოჯახი. ივანე კი, – უკვე დევიც ციხეში იყო, – უფრო თავისუფლად ხვეწდა ფიცრებსაც და გერთან ურთიერობასაც. დიდხანს ველარ გაუძლო მაცყალამ და ეზოში, არცთუ ისე მაღალ ლელვის ხეზე ჩამოიღრჩო თავი. ხმის ჩანყვეტამდე გაჰკიოდა მარინე ერთი კვირა და მეორე კვირის ნახევარი, ზუსტად მეთერთმეტე დღეს კი (ბიჭს არასოდეს გამოსვლია თვალებიდან), ეზოში მსხდომ კაცებს, ზურგიდან მიუახლოვდა, ტაბლასთან მსხდომთაგან ივანე ამოარჩია და მთელი ძალით დაჰკრა ურო ბეჭებთან. ივანემ ტაბლა წინ გასტყორცნა სხეულით და ზედ გადაემხო თვითონ. დათომდე ხუთიოდე ნაბიჯი აშორებდა და რალაც ზებუნებრივი ძალებით, წინა ორი კიდურით აგრძელებდა ხოხვას ბიჭისკენ თან ბავშვის ქვეყნისტოლად ქცეულ თვალებს არ აცილებდა უკვე შუშის თუ ყინულისმაგვარად ქცეულ გუგებს, მარინე კი, აუღელვებლად მიუახლოვდა ხუთი გაშეშებული მამაკაცის მზერა ადევნებული, მსხვერპლსა თუ ჯალათს და ორი დარტყმით ჩაუჩიქვა ხერხემალი ქვეგანრთხმულს, გულცივად, მაგრამ ტყეებს ადევნებული და წამით ველზე შეჩერებული ტყაშმაფას ველური მზერით, რალაც ბედისწერით განსაზღვრული გარდაუვალობით რომ კლავს ოჩოკოჩის გამორჩენილ თავის წილ ნადირს, მხოლოდ მაშინ წამოვიდა სისხლი და მოედო ეზოს, ვერასოდეს რომ ვერ გადარეცხა ბიჭმა მესხიერებიდან.

* * *

არაფერი შეცვლილა დეიდისა და დეიდის ყოფილი ქმრის ბედსა თუ ბედისწერაში ბუნებრივია და არც გარკვეულა რამე მკითხავთან ყოფნის შემდეგ, მაგრამ წინასწარმეტყველის თვალები და სიტყვები, „ეს ბიჭი, ვხედავ, ძალიან მაღლა ზის, სადღაცო“, ვერ ამოიგდო თვალებიდან და მხესიერებიდან დათომ და ყოველ გახსენებაზე, რეფრენივით იმეორებდა და იმეორებდა „ო, კეისარო, გეშინოდეს მარტის იდეების!“ და რაოდენ უცნაურიც არ უნდა იყოს, სითბო ელვრებოდა გულში, ბავშვობისდროინდელ ზმანებასავით მოგონებაზე, რაც ასაკი ემატებოდა ბიჭს მით უფრო ენაცვლებოდა მკითხავს თეას სახე და ჩერდებოდა დრო და უკვე აღარ იყო ორმოცდახუთი წლის, თითქოს ისევ ის ბავშვი იყო და ცხოვრებამ აღარ გაიარა სულაც, რალაცნაირ მისტიურ წრებრუნვას გრძნობდა; ზმანების გახსენებისას დრო, წამებად ქცეული, თითქოს ძაფზე იყო აცმული, როგორც ფართქალა თამბაქოს ფურცლები, საცოდავი მაყვალა რომ ააცმევდა ნემსზე და გადაიტანდა შემდეგ ძაფზე, ბიჭის ცნობისმოყვარე მზერაადევნებულის, რომელსაც ეშინოდა მეზობლის თითების სწრაფ მოძრაობის შემხედვარეს, თავი არ მოხსნოდა ძაფს და თამბაქოს ათასობით ფურცლები არ ჩამოცვენილიყო და გაბნეულიყო ძირს როგორც უაზროდ გაფლანგული დღეები და წლები, მაგრამ ამ წამების გახსენებისას ისეთი შეგრძნება ჰქონდა თითქოს თვითონ ეჭირა ხელში ძაფის ბოლო და არსად გაუშვებდა აკინძულ დღეებს.

* * *

მისტიურ ხილვებად მოდიოდნენ მოგონებები, თოვლიანი, შუაზამთრის და სამყაროს მარადიულობას გამოჰკრავდა ხელს წამიერად, ერთიოდე წამით და ნატრობდა შემდეგ, ეს წამიერი შეგრძნება დაეჭირა ან დაეპატიმრებინა და მარადუამიულ ტყვედ ჰყოლოდა, ან მიეგნო ხერხისთვის ამ წამიერი შეგრძნების სურვილისამებრ მოხელთებას რომ შეაძლებინებდა. სწორედ თოვლიანი ზამთარი ბობოქრობდა სოფელში როცა გადასახლებიდან თუ ციხიდან დაბრუნდა მარინე, ცხრა წელი რომ მიუსაჯეს და სამ წელიწადში რომ გამოუშვეს; აშკარად არსად ეწერა რამე დოკუმენტებში, მაგრამ თითქოსდა უსულგულო მართლმსაჯულების მუხლებისა და სტატიების მარადიული გამყინვარება გაეღლო მარინეს შიშველ სიმართლეს და მაინც

ვადანე ადრე გამოეშვათ, ციხეში აკიდებული რვა თვის ბავშვისა და მამინაცვლის ძალადობის ან უკვე გამჟღავნებული ისტორიების თანხლებით. თავიდან არ მიეკარა საკუთარ ეზოს, რამდენიმე დღე-ღამე ბიჭის სახლში გაათია, (მარადიულობას ზიარებულ წამებად რომ ახსენდებოდა უკვე შუახანს გადაცილებულ დათოს მუდამ), ცხრა წლის თეასა და რვა თვის ჯამბულთან ერთად. ის ზამთარი ახსოვდა დათოს ყველაზე ტკბილად. განსაკუთრებით ერთი კვირა, როცა მარინეს ეხმარებოდა ფაცხის შეკეთებაში. სახლს სისხლის სუნი უდისო ამბობდა მარინე, თან მამინაცვლის აშენებული იყო და იქ ვეღარ ბედავდა კარის შეღებას, ფაცხა კი ნამდვილმა მამამ დაუტოვა, ნამდვილი ბაბუის ანაშენები. ახალ ნავსაყუდელში, პირველად გააკეთა მარინემ სუპი, თუ სოუზი, არ ახსოვს ბიჭს რა ერქვა იმ საჭმელს, არასოდეს ასე ტკბილად არ მოჩვენებია შემდეგ საკვები, დედის მიერ გაკეთებული ღობეში ჩახარშული პიტნიანი ჭყინტი ყველიც კი დაავინყა ლამის.

* * *

ყოველთვის რაღაც დიადის მოლოდინში იყო, მას შემდეგ რაც თეას საბოლოოდ დაშორდა. ვერ უტყდებოდა საკუთარ თავს, პატივმოყვარეობა რომ უშლიდა ხელს თეას სიყვარულში, არ არქმევდა პატივმოყვარეობას, მაგრამ ასე იყო, გაცდა როცა თეამ მოახერხა და ასპირანტურაც დაამთავრა, ბერძნულიც ისწავლა და იტალიურიც, ერთხელაც დაგესლეს გოგო სოფელში, „რომ არა ვნებიანი ბერძნულის პროფესორი, ვერც ერთს ვერ მიაღწევდა, თეაო“, მაგრამ მაინც მოახერხა გოგომ საკანდიდატოს დაცვა და რაც დრო გადიოდა უფრო და უფრო რწმუნდებოდა ბიჭი რომ სამართლიანად, იტალიიდან მონვევაც მიიღო და შესთავაზა დათოს ნამოდი იტალიაში, ლექსებსაც დაწერ და ენასაც გატეხავო. ცინიკური და ცოტა ბოლმიანი უარი მოსხლეთით მიახეთქა ბიჭმა. მას შემდეგ არ ენახა გოგო, მასშემდეგ მთელი ათი წელი ელოდა დიდებას, ელოდა როდის ავიდოდა სიმალღებზე, ვერც პირველმა ნიგნმა, ვერც მწერალთა კავშირში შესვლამ, ვერც რომელიღაცა დამწყები და ადრე გარდაცვლილი პოეტის სახელობის პრემიამ ვერ მოჰგვარა დიდებას მიმსგავსებული გრძნობის ნასახი, ოცდათხუთმეტი წლიდან კი დაუნყო ცინიკური დამოკიდებულება მკითხავის თვალებსაც და ნაამბობსაც, უფროდა-უფრო რეალურად ელანდებოდა უკვე თეას სახე, მაგრამ ცაში გაფან-

ტულ ღრუბლის ქულებივით გაბნეული და შეუკრავი. განსაკუთრებული სარკაზმითა და ცინიზმით მაშინ გაახსენდა გრძნეულის სიტყვებიცა და თვალეზიც როცა ოცდათხუთმეტი წლის ასაკში, რომელიღაც დაბის ახალგაზრდულმა ცენტრმა მისი პირველი წიგნის, პირველი და მას შემდეგ ბოლო პრეზენტაცია მოაწყო. სოფლის კლუბის თანამშრომლები, საოცარი პათეტიკით, ომახიანად კითხულობდნენ მის ლექსებს, სოფლის გუნდის წევრებმა კი ეროვნული სიმღერები და ცეკვები შეასრულეს. ძლივს გაუძლო, ბოლომდე და როცა გვალვა გამოვლილი ველური მხეცივით მიბანცალდა სახლში, ჩაძინებამდე იმეორებდა აკვიატებულ სტრიქონს გადავინწყებული საკუთარი ლექსიდან, „დიდების კიბევ, აღარ მიჩანს შენი კვარცხლბეკი!“ მეორედღეს კი უკვე რცხვენოდა მთელი წინა სალამოსიც და თავისი სიტყვის, იმაზე დარდობდა ვინმემ მობილურით ხომ არ ჩაინერაო, ერთი ის იყო, უხაროდა, კარგია რომ არ გავბრიყვდი და რომელიმე მეგობარი არ წავიყვანო.

თავი მეორე ანმყო

– ფრაუ, მშვენიერდები, ხომ იცი? – გაულიმა დათომ თეას, გადაკოცნა ოცი წლის უნახავი ქალი, სკამი გამოუნია მაგიდიდან, მიეხმარა სანამ მოკალათდებოდა მოხერხებულად და მერე თვითონაც მიუჯდა ყავისნალექებდამჩნეულ სუფრას. ბოლო ხუთი წელი ინტერნეტით ეხმიანებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ პირისპირ შეხვედრამ ძლიერ ააფორიაქა.

– შენა და ფრაუთი ხომ მიმართავენ? – თეამ გაიღიმა.

– კი მისტერ, როგორ ხარ აქ, სამშობლო გუბურაში? – საფეთქლები დაელარა ნაოჭების ნაკადულებს, ძლივს შესამჩნევად, გაღიმებისას რომ გამოეკვეთა უფრო. „მეც ასე დამეტყო ასაკი ნეტა?“ – გაიფიქრა დათომ.

– რავი აბა, როდის ჩამოდი?

– ერთი კვირაა აქ ვარ, წარმოგიდგენია რა სიდებილეა, ერთი ასო არ ემთხვევა დაბადების მონომობიდან და ქორწინების მონომობას ვერ ვაკეთებ.

– მერე რა უნდა ქნა? – კითხა დათომ უგულოდ და ქალი შეათვალიერა, გამომწვევად ეცვა, ეშხიანად უპრიალებდა თევზის ქერცლისმაგვარი ნაჭრის შემოტკლევცილი კაბა სხეულს, ქალთევზას გავდა თეა, ვნებიანად მიაჩერდა, რაც არ გამოპარვია ქალს და გაულიმა.

– სოფლიდან წამოვიღებ ძველ მონმობას და სასამართლო თუ რა-ღაც პროცედურაა, ადვოკატი იზამს რა...

– ვა, დონე!

– კარგი რას მალადავებ...

– არ გალადავებ, და კაცი სადაა?

– რა კაცი, შენ ხომ არ გძმარავს?

– რა არ მძმარავს, ისეთი წვა მაქვს კუჭში ლამისაა...

– არ იცვლები რა! – წყენით შეხედა ქალმა, – მართლა გაქვს კუჭის წვა?

– კი მეთქი! ესე იგი კაცი არაა?

– არა ბიჭი! – მკაცრად გაიღიმა, – ფიქტიურია, ხო გითხარი, გერმანიაში ყველაფერი ვიჩალიჩე უკვე.

– იქ რას აკეთებ, მარტო ლექციები?

– ჰო, ძირითადად, თან წელს პატარა ფირმაც დავაფუძნე და როგორც კი დრო გამომიჩნდება ქართველ ქალებს ევხმარები ამ ჯოჯოხეთიდან წასვლაში და იქ ფიქტიურ ქორწინებების გაფორმებაში.

– ტრეფიკინგი და რამე? – სერიოზულად გაიოცა დათომ, უფრო თავის შესანიღბავად ცდილობდა ეზღანდარა, ვერ იკავებდა მონოლილ ვნებას უკვე.

– რა ტრეფიკინგი? აბა სულ მონებად უნდა იყვნენ ამ დანყველილ ქვეყანაში?

– მონებად შენ ყიდი მგონია იქ...

– არაფერი არ გეშველებ! – გაიცინა თეამ, – რას შვები, არ წერ?

– რა უნდა ვწერო, აღარ მოდის უკვე რამე, ამოვინურე მგონი...

– კოლხებს რა ამოგწურავთ! – აკისკისდა ქალი, – მოეშვი მაგ სულელურ წუნუნს და წერე, ხო იცი, შენი ათი ლექსი ვთარგმნე უკვე, ფრაიბურგის გაზეთშიც ვრეკე, „ფრაიბურგის მიმწუხრი“ ქვია, მოსწონთ, იცი?

– სწორედაც მისამართით დაგიბეჭდავს! – გაელიმა დათოს და კიდევ ერთხელ აუელვარდა მკითხავის ნახშირივით შავი თვალები და სადღაც მაღალ სვეტზე შემომჯდარი საკუთარი სხეულის მინიატურ-

რული მოდელი, რომელსაც ძირიდან ხალხის ბრბო შეჰყავს და უცებ სიცილი აუტყდა.

– შენ ხო არ შეიშალე? – გაოცებით მიაშტერდა ქალი.

– ალბათ ჰო, ჯობია ბინაში ავიდეთ ჩემთან, აქ ველარ ალგიქვამ, თითქოს მთელი ქუჩა მეცილება შენ თავს.

* * *

ხელი გამოიძვრინა ქალის კისრიდან, თვა შეიშმუშნა, აგრძობინა, არ მძინავს მაგრამ უნდა გეგონოს რომ მძინავსო. იატაკზე დაგდებული სიგარეტის კოლოფიდან ერთი ლერი ამოაძვრინა და აანთო. ასე არასოდეს სიამოვნებია თბილი კვამლი, ისეე წამოეშალა მოგონებები ბოლქვა-ბოლქვებად, გაახსენდა თეასთან და საერთოდ ქალთან პირველი წოლა; სკოლას ამთავრებდა, უკვე, თვა იმ ზაფხულს რუსთავში ისვენებდა, მამულეთში, მეთაე კლასში იყო, იქიდან დაბრუნებული საოცრად გამომწვევად იქცეოდა, დედასაც აუმაღლა ხმა და ალქაჯივით დახტოდა, სექტემბრის ბოლო იყო, შუადღე, დათოსთან მივიდა; მეორე სართულზე იყო ბიჭი და ზალაში გაკვეთილებს სწავლობდა, მთელი ოჯახი, დედა, მამა, ბებია, ძმა და და დაბლა იყვნენ, ახლაც გააჟრჟოლა დათოს: „რომ არ ამოვიდნენ!“ არაფრით არ მოუყვა გოგო ვის მიუძღვნა ქალიშვილობა, უყვებოდა რუსთავის მეგობრებზე, რომლებიც იმ ზაფხულს გაეცნო და საოცარ ბიჭებზე, რომლებიც ვირტუოზულად უკრავდნენ გიტარაზე, ზედიზედ ენეოდნენ სიგარეტს, ისე, რომ თავბრუ არ ეხვეოდათ და რომლებსაც მხრებამდე ჩამოშვებული თმები და „ბლანჟედ“ მოშვებული წვერი ქონდათ. აი, მაშინ ეწვია პირველად უმწარესი განცდა ბიჭს, მერე ვერასოდეს რომ ვერ მოიცილა; თითქოს ეს ყველაფერი უკვე მოხდა ადრე და მაშინ უბრალოდ იხსენებდა, არა, უფრო სწორად მეორდებოდა, და წარმოიდგინა, რომ დრო საზიზღრად სწრაფად მიდიოდა, უცებ ჩამოთვალა; ახლა სკოლას დაამთავრებდა, მერე უნივერსიტეტს, მერე სამსახურს დაიწყებდა და უკვე მოხუცი სიკვდილს დაელოდებოდა და შეძრწუნდა იმის გაფიქრებაზე, რომ ამასობაში ყველა ახლობელი წავიდოდა იქვეყნად და სიკვდილ-სიბერეს მარტოსული დაუცდიდა, როგორც უპატრონო პენსიონერი რომელიღაც დაბის მივარდნილ ბაქანზე, აუცილებლად, მაგრამ ვინ იცის, როდის ჩამოშვლელ, ვებერთელა მატარებელს და შესძულდა თვა და მას მერე არ

გაკარებია გოგოს, რომელმაც რამდენიმე ბიჭი გამოიცივალა სოფელში და რომელზეც განაჩენივით ამბობდნენ, ჭინჭრის ადგილზე ჭინჭარი ამოვარო. ნეტარების ურუნტლად უვლიდა გახსენება, მაგიდაზე მუცლით გადანოლილ, სახელმძღვანელოებში ლოყადასვენებული გოგო როგორ გამოაპარებდა ველურ, ყოვლის გამთანგავ და ეშმაკურ მზერას ოდნავლიმშერეული სახით, როგორ წამოვიდა ჯერაც არნაგრძნობი ურჯოლა მუხლისთავეებიდან, ამოეჭრა სხეულში და სადღაც განქარდა ჯერარნახულ ნეტარებად. ვერ ივინყებდა. ისიც ახსოვდა მუდამ, რა საოცარი სიძულვილი მოჰყვა ფეხდაფეხ ამ ნეტარებას. ქალი და სიკვდილის ძრწოლა ერთად გააცნო გოგომ მეთერთმეტე კლასელ ბიჭს. მარტოობასა და გარდამავლობის ძრწოლას აზიარა ბიჭი.

– დათო... – მოესმა

– ჰო!

– იცი ევროპაში რა უკვირთ ყველაზე მეტად და რა ვერ გავაგებინე?

– არა.

– ვერაფრით მივახვედრე, რას ნიშნავს ბოზი, – დათომ არ შეიძინია შეკრთომა, თითქოს მის ფიქრებს კითხულობდა ქალი და პასუხობდა.

– რატო, ევროპაში არ არიან ბოზები?

– ყველაფერია: პუტანკა, ლამის პეპელა, ბორდელის ქალი, პროსტიტუტკა, ყველაფერი იციან, აი ბოზი არ იციან.

– მერე ბოზი არ ქვია მაგათ?

– ჰოდა, უფულოდ კაცთან რო ქალი წვება იმას ბოზი რატო ქვია, ამას ვერ ხვდებიან. – სიგარეტი გამოართვა და ორიოდე ღრმა ნაფაზით ჩაათავა თეამ. აღმური მოედო სახეზე კაცს და გაუხარდა, რომ ვერ ხედავდა ჭერს მზერამიყინული ქალი.

* * *

საბოლოოდ მკითხავის სიტყვების ცინიზმი მაშინ შეიგრძნო, როცა უახლოესი მეგობარო მოუკვდა, კლასელი ლევანი. 39 წლისანი იყვნენ მაშინ, მხოლოდ სიკვდილის შემდეგ აპატიო მეგობარს, თეასთან ერთად რომ იყო წასული ტალინში ერთი კვირით. მესამე კურსს ხურავდნენ მაშინ, როცა ლევანმა უთხრა, ყველაფერი გავამზადე, თვი-

თმფრინავის ოთხი ბილეთი მაქვს, წამოიყვანე ჯილდა თუ გინდა და წავიდეთო. ჯილდა გაგრელი იყო, პირველი კურსიდანვე შეეწყვნენ ერთმანეთს. წარმოიდგინა, როგორ გაუხარდებოდა გოგოს და სხეულში ნეტარებამ დაუარა აბანოს ხალათში გამოწყობილი ჯილდას ვნებიანი სხეულის გახსენებაზე.

– შენ მოგყავს ვინმე?

– თეა მომყავს, ჩვენი სოფლელი, გუშინ შემხვდა ბოტანიკურთან, საოცრად კარგად გამოიყურებოდა და მოულოდნელად შევთავაზე.

– იცის რომ მე მოვდივარ? – ნირი წაუხდა ბიჭს.

– კი, შენ რას უშლი, შეჩემა? – გაოცებულმა უთხრა ლევანმა. რაოდენი ტანჯვა გადახდა დათოს მაშინ, თანაც რამდენი ინვალა და რა არ მოიმიზეზა, უარი ისე ეთქვა, რომ არ წყენოდა მეგობარს და ვერც მისი გაღიზიანება და ბოლმა შეემჩნია. ცხრამეტი წელი დაჰქონდა ბოლმა დათოს და სიკვდილმა მოაცილა მხოლოდ, მაგრამ სამაგიეროდ ძრწოლა და შიში ჩაუნერგა ლევანის სიკვდილმა დათოს. ისეთი შიში დასჩემდა „როგორ გგონია, კრემატორიუმს თუ ააშენებენ ჩვენს ქალაქშიო?“ კითხა უფროს მეგობარს, კარლოს, ცნობილ პროზაიკოსს და დათოს პოეზიის პირველსა და ალბათ უკანასკნელ დამფასებელს, სერიოზულ ლიტერატორთა შორის. „ოდესმე ალბათ კიო“, მიუგო ღიმილით კარლომ და დასძინა: „პრინციპში სასაფლაოებზე ტევა აღარაა და უკვე კია დრო. მე ისე ვატყობ ამ გენერლებისა და პოლიციელების გვერდით არ ამცდება განსასვენები, ესენი პანთეონს რომ ეძახიან და შენ მაინც გადარჩე იქნებო“ და ახარხარდა მისებურად. ცალკებად გაეღიმა დათოს, სულ ის გამომგონებელი ახსენდებოდა საოცარი კუბო რომ შექმნა, თავისი კავშირგაბმულობითა და შიდამონყობილობებით; ვერ იშორებდა ზმანებას – მკითხავის შავ თვალებსა და უცებ გამოლვიძებულს თეას ნაცვლად, სიბნელეში, კუბოს სივინროვე რომ შებოჭავდა. მხოლოდ ლევანის გვერდით გრძნობდა თავს უშიშრად, ხშირად იგონებდა როგორ წაიყვანა ლევანმა, თავის შეყვარებულთან და მის დაქალთან შესახვედრად; სკოლას ამთავრებდნენ უკვე, დათომ მეზობელს ჯინსის შარვალი თხოვა, ცნობილი „პირამიდები“, ძმის ტყავის ქურთუკი მოიცვა და გაჰყვა ლევანს, თავიდან ყველაფერი კარგად მიდიოდა, №127 სკოლის დარაჯი ნაცნობი იყო მისი და გამოახმობინა გოგო, ეკა ერქვა, მან დაქალი, ლანა, წამოიყვანა და გაღიმებულებმა მოიარეს ქალაქი, შემდეგ კი ზღვის-

პირა კაფე „ერიდუ“-ში დასხდნენ და თავიდან ცოტა შებოჭილად, მაგრამ მაინც მხიარულად გაატარეს მთელი შუადღე, შემდეგ კი სკოლამდე მიაცილეს გოგონები და მომავალი შეხვედრის თარიღშეთანხმებულები დაშორდნენ. „რაც მოხდა დაშორებისას მომხდარა“, როგორც მუდამ ახსენებდა შემდეგ ლევანი, თან ლებანიძის ხმით; ათიოდე ბიჭი გადაუდგათ წინ, როგორც გაირკვა, ეკასა და ლანას კლასელები, „ერთი წუთით, ბიჭებო, თუ შეიძლებაო“ და მახლობელი ჩიხისკენ მიუთითეს, საიდანაც ნაძვებისა და კედლების ოდნავ დაბურული ხეივანი გამოჩნდა. არ ეგონა, ამდენი თუ შეეძლოთ, კარგა ხანს ურტყამდნენ თვითონაც, ლევანმა სადღაც მისდაბედად ნანახი არმატურის მოგრძო ნაჭერი დაითრია და ზურგიდან ხის ვეებერთელა ტანით დაცული გავეშებული იქნედა აქთ-იქით და როგორც ლევანი ეუბნებოდა შემდეგ, არაფერი არ მოხდებოდა, დათოს, მისდაჭირად, ძმის ქურთუკში შემთხვევით ჩარჩენილი დასაკეცი დანა რომ არ ენახა და არ გაეშალა მორიგი ძირს დავარდნისა და ადგომის შემდეგ. უკვე დასუსტებულს ადვილად წაართვეს დანა და დაუნდობლად მოუქნიეს; ხუჭუჭა შავგრემანი ბავშვი იყო, დათოსდა გასაოცრად კეთილი ღიმილი რომ ჰქონდა, ცოტათი მოასწრო უკან განევა და მაინც მკერდზე ჩამოკანრა განივად მოქნეულმა დანამ, შემდეგ კივილი ატყდა, შემდეგ სტვენა და გაოცებულ ბიჭს ისლა ახსოვდა როგორ აქოშინებული მიჰყვებოდა შეშინებულ ლევანს, დააღნიეს თავი ხალხსაც და საიდანლაც მოვარდნილ სამართალდამცავებს. მკერდთან გაჭრილი ტყავის ქურთუკი შეძლებისდაგვარად შეუკრა ლევანმა, მკერდი სულ დასისხლიანებული ჰქონდა მაგრამ ერთი წამითაც არ შეშინებია. ლევანის დედამ, რომელსაც დიდხანს ამზადებდა ლევანი და ეუბნებოდა რომ ღობეზე გაიკანრა მკერდი დათომო, როგორც კი გაუხსნა ქურთუკი, გაჭრილი პერანგი გადახია და მკერდზე დახედა დათოს, წამიერად მიუტრიალდა ლევანს და მთელი ძალით, გამეტეხბით გაანნა სილა. ლევანმა მოულოდნელობისა და ტკივილისაგან ისეთი ხმით შეჰყვირა „ვაიო!“ დათოს და ლევანის დედასაც სიცილი წასკდათ, ჭრილობა ნაკანრილა იყო, ხევსურები რომ დაიკვეხნიდნენ კენწლაობისას ჭრილობის სიღრმის სიმცირით. ლევანის დედა ექთან იყო და უნამლა ბიჭს, ისე, რომ არავის გაუგია დათოს ოჯახში, მხოლოდ ძმამ უკითხა მორალი მცირე ხანს, რომელსაც უფრო გამოფატრული ქურთუკი ადარდებდა, ვიდრე ძმის ნაკანრი. „აი მაშინ

ვიგრძენი პირველად თავი კაცად“ – ხშირად უფიქრია დათოს, შემდეგ მთავარ გამლიზიანებლად რომ ექცა, მას შემდეგ რაც ტალინში წაიყვანა ლევანმა თეა. არადა არასოდეს უსაუბრია ლევანთან თავის პირველ ქალზე, და ამიტომაც ვერ ეუბნებოდა ვერაფერს. ჩემი ბრალია ყველაფერიო, ფიქრობდა, თუმცა ბოლმას ვერ უხერხებდა ვერაფერს, სანამ მეგობრის სიკვდილმა არ გადაიყოლია თან, და შიშად, ძრწოლად და ზაფრად არ მოუბრუნდა უკან. არ მიაჩნდა შემთხვევითობად 39 წლის კაცს „კამაზი“ რომ შეასკდა ავტობანზე ლუდის ბოთლით ხელში კაფედან გამობარბაცებულს, მთელი სიჩქარით მომქროლი. მხოლოდ ანეგდოტებში თუ გაეგონა „კამაზი“ დასჯახებოდეს კაცს, ბედისწერისა და წარმავლობის შიში წამიერად დაეჯახა მასაც მთელი ძალით მომქროლი „კამაზის“ სიძლიერით. ხშირად ამბობდა შემდეგ, ისე უყვარდა ხუმრობა, სიკვდილიც საანეგდოტო გვანახაო.

* * *

– ალბათ, მეცოდები. – სევდით შეხედა ქალმ. – არასოდეს გიცხოვრია, მთელი შენი არსებობა შიში და სინანული იყო.

– ხასიათს შეცვლი?

– არაფერ შუაშია, შენ სიცოცხლის გეშინია, სიკვდილს იმიზეზებ, შენს ლექსებში სიკვდილის და წარმავლობის შიში არაა, შენ ვერ ცხოვრობ.

– კარგი, აღარ გვინდა, რა! – ემწარა დათოს.

– დააკვირდი, ყველაფერი დამთავრებულია შენთვის, ჯერ არ დაგინყია და უკვე დამთავრებას ცდილობ, ჟიმაოვაც კი არ განიჭებს სიამოვნებას, წინასწარ იცი, სიამოვნება რო წამიერია და ერთი სული გაქვს როდის დაამთავრებ.

– მაგ დარგში ნალდად ვერ შეგეკამათები.

– აი ხომ ხედავ, ვერ მალავ თავს! შენ ვერ იცხოვრებ! – სახე აელენა ქალს, – მე ცხოვრება მინდოდა შენთან ერთად, ცხოვრება და არა საფლავზე აღმართული ქვის მოლოდინი.

– მე ასეთი ვარ, ჩემი სევდა დამაქვს.

– ეს სევდა შენ გამოიგონე, აიჩემე გილგამეში და უკვდავების მაძიებელი მზეჭაბუკი და ვერ ხედები რომ უკვდავება ცხოვრებაა, რომელიც შენ ბაბუას ნაანდერძევე ქონებასავით გაანიავე! – უკვე ყვიროდა ქალი და კომეტის ბილეთს უფრიალებდა თვალწინ. დათომ მგზავ-

რებს შეავლო თვალი, ნახსადგურის შემინული შენობიდან რომ უმზერდნენ ცნობისმოყვარე თვალებით, – გახსოვს, ბატიბუტი რომ მოვხალეთ? – უცებ ჩაიჩუმა ხმა ქალმა, – ბიჭს შორეული მოგონებებიდან წამოსულმა სიტბომ დაუარა სხეულში და ღიმილით დაუქნია თავი.

– მერე, შენ აიჩემე ბამბასავით აფეთქებული ბატიბუტი ავკინძოთ ძაფზე და ჩურჩხელები გავაკეთოთო, გახსოვ?

– მახსოვს!

– ისიც ხომ გახსოვს, ადულებულ ფელამუშში რომ ამოავლე?

– კი, ისიც მახსოვს სხვა ჩურჩხელებთან ერთად რომ დავკიდეთ გასაშრობად და შემდეგ ვერ ვიპოვეთ იმდენ ჩურჩხელაში.

– ჰო, ვერ ვიპოვეთ და ბებიაშენმა სტუმრებს გამოუტანა მერე... დათომ გაიცინა.

– ხომ ჯობდა, რამდენი გეხვეწე, ბატიბუტი ბატუბუტად ვჭამოთ-მეთქი? – ბიჭი დადუმდა. ზღვას მისჩერებოდა, ვერ გადაეწყვიტა, რა ექნა სიცარიელისათვის, რომელიც, გრძნობდა, მალე დაეუფლებოდა, მიაჩერდა ქალს, სადღაც შორეული ქალის შავი თვალები და ჩაშავებული ქუთუთოები აელვარდნენ და არაფერი თქვა.

– წამოდი გერმანიაში, თუ გინდა საერთოდ არ გნახავ იქ, მაგრამ წამოდი!

ბიჭმა თავი გააქნია.

– წამოდი, აქ დაიხრჩობი, ვერ ხედავ, ადამიანის სახე დაკარგული რომ გაქვს, ჩარჩოში ჩასმულ სამგლოვიარო სურათს გავხარ! – ძლივს მოახერხა გაცინება ქალმა, ცოტა ხანს უმზირა თვალებში და შემდეგ, ტრაპზე არც კი დაუბიჯებია, ისე შეხტა გემბანზე, უკანასკნელად მოჰხედა კაცს, სანამ კაიუტაში გაუჩინარდებოდა. მარინეს თვალები წარმოუდგა დათოს ცოცხალ ხილვად, უკანასკნელად რომ მიანათა ივანეს, სანამ უროს ორიოდე დარტყმით ჩაუჩქჩქვავდა ხერხემალს.

შეტორტმანდა კომეტა და ნელა დაიწყო მოშორება ნაპირიდან. გრძნეული ქალის შავ, ნახშირივით შავ თვალებს შესცქეროდა დათო. რალაც წამით გაუელვა ფიქრმა გადავხტები გემბანზეო, მაგრამ იქვე იმის გააზრებაც მოასწრო, რომ ეს შეუძლებელი იყო – არ დაანებებდნენ და სარკასტულად ჩაეცინა თავისსავე ფიქრებზე. ზღვა ტყეებს ადევნებულ და წამით ველზე შეჩერებული ტყაშმაფას ველურ თვალებს ჰგავდა, ვერასოდეს რომ ვერ გადარეცხა მესხიერებიდან.

ს ა რ ჩ ე ვ ი

რამაზ სურმანიძე	3
ვახტანგ ახვლედიანი	18
ანა დუნდუა	53
ანზორ კუდბა	73
შაქრო რომანაძე	133
ანზორ ლორთქიფანიძე	138
ჯონი ჯიჯიეშვილი	144
გენრიეტა ქუთათელაძე	159
მუხრან კობალაძე	189
ჯუმბერ ჩარკვიანი	199
ზურაბ ფირცხალაიშვილი	220
ამირან ხაბაზი	233
ნანული გვარიშვილი	254
ეუეუნა შაინიძე	262
ნათელა კახიძე	273
ქარდა ქარდუხი	288

**დაიბეჭდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის თანადგომითა და მხარდაჭერით**

ხელმოწერილია დასაბეჭდად 05.05.2011

ქალაქის ზომა 60X84 1/16

ფიზიკური თაბახი 19

შეკვ. №11

ტირაჟი 300

ფასი სახელშეკრულებო